დოდო ჟუმბურიძე

ისტორიული პორტრეტები

დასაწყისი XX საუკუნისა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი – 2008

UDK(უაკ) 32 001+94+316.75] (479.22)+821.3531(ო92)
ჭ–838

წიგნში წარმოდგენილია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, სხვადასხვა პარტიული კუთვნილების ადამიანთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია; ძირითადად გაანალიზებულია სამეცნიერო ბრუნვაში აქამდე შემოუტანელი საარქივო-დოკუმენტური მასალა, 1900-1910-იანი წლების ქართულ დემოკრატიულ პრესაში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები.

ამ ნააზრევმა დაუდო სათავე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენის პროცესს XX საუკუნეში, ხელი შეუწყო ახალი ეპოქის ქართული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას.

რედაქტორი **ავთანდილ სონღულაშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **ოთარ ჯანელიძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

შოთა ვადაჭკორია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ხათუნა ქოქრაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19
☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

© დოდო ჭუმბურიძე, 2008

ISBN 978-9941-12-083-1

შესავალი

ადამიანები, რომელთა ცხოვრებასა და საზოგადოებრივ-კულტუროლოგიურ შეხედულებებზეა ამ წიგნში საუბარი, ორი საუკუნის მიჯნაზე, დიდი გარდატეხებისა და ქართველი ხალხისთვის მნიშვნელოვან ცვლილებათა ეპოქაში მოღვაწეობდნენ. ისინი ქართველები იყვნენ და, ბუნებრივია, ღრმად განიცდიდნენ რუსეთისგან ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებას, დამპყრობელი იმპერიის დამოკიდებულებას ჩვენი ეთნოისტორიული და სულიერი ღირებულებებისადმი. ერის მოწინავე შვილები კოლონიურ რეჟიმშიც ცდილობდნენ „არაფორმალური" სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბებას და იმ ფასეულობების დაბრუნებას, რაც ასე აუცილებელია ეთნიკური იდენტობისათვის, ერის მუდმივი განვითარებისათვის. ერთ-ერთი ასეთი სტრუქტურა იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომელსაც უნდა დაებრუნებინა ჩვენი ერისთვის მთავარი ფასეულობა — მშობლიური ენა. ის კი არადა, თვით ტერმინი „საქართველო", რუსეთისგან წართმეული, იმპერიული ხელისუფლებისაგან აკრძალული, ითხოვდა ლეგალიზებას, რისთვისაც ქართველ პატრიოტებს თავგანნირული ბრძოლა დასჭირდათ: ლიტერატურასა თუ თეატრის სცენაზე, შინ თუ გარეთ, ქართული სათვისტომოების შექმნით (რასაც ახლდა ეროვნული სკოლების, პრესის, კულტურული დაწესებულებების ჩამოყალიბება) ბაქოში, ვლადიკავკაზში, ნალჩიკში, მოსკოვსა და პეტერბურგში, ელიზავეტოპოლში და სხვაგან, სადაც კი რამდენიმე ათეული ქართველი მოიყრიდა თავს.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ქართულ სინამდვილეში ერთმანეთს შეეჯახა რუსეთის იმპერიული ამბიციები, მსოფლიო რევოლუციურ-კოსმოპოლიტური (ათეისტური) იდეოლოგია და ქართული ნაციონალისტურ-პატრიოტული

ინტერესები. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაბმული აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, მოაზროვნე ელიტა, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის ბედს, ხალხის წინსვლა-განვითარებას, ეროვნულ მიზანს.

პოლიტიკური შინაარსის პარადიგმებს ეპოქები აყენებენ და ისინი ამ ეპოქებში მუშაობენ. იცვლებოდა საუკუნეები და ხან ტერიტორიის საკითხი წამოიწევდა წინ, ხან სარწმუნოების, ხან — ენისა და სახელმწიფოებრიობის. ყოველ ეპოქას მოაქვს ახალი ზოგადკაცობრიული ფასეულობანიც, რომელთან ზიარება და გარკვეული დოზით მიღება გარდაუვალიცაა და საჭიროც. ქართული ხასიათი, ისევე როგორც სხვა პროგრესული ერებისა, თავისუფლად ახერხებდა საყოველთაოსთან ზიარებას და, იმავდროულად, საკუთრივ თავისი მახასიათებლების შენარჩუნებას. უამისოდ საქართველო ვერც გადარჩებოდა იმ ძნელ საუკუნეებში, როდესაც, თუნდაც, გეოპოლიტიკური მდგომარეობით, განწირული იყო სხვა კულტურებსა თუ ეთნოსში ჩასანთქმელად. ერის მოაზროვნე შვილებს ყოველთვის ჭირდებოდათ მოლიპულ გზაზე სიარულის სწავლა, პრაგმატიზმი, შექმნილი რეალობისათვის ალღოს აღება. თუ ფიზიკურ თავგანწირვას არ მოჰქონდა სასურველი შედეგი, არჩევანი მშვიდობიანი ბრძოლის ფორმებზე კეთდებოდა. იყო აზრთა დაპირისპირება და განსხვავებული შეხედულებებიც, მაგრამ მთავარი ეროვნული ღირებულებები არ ეწირებოდა იმ ბრძოლებს, რომელიც საქვეყნო ინტერესებით გულანთებულ ადამიანთა შორის იმართებოდა. მათ მხრებზე იდო უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველოს გამოხსნისათვის ბრძოლის ტვირთი. ეს ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი პატრიოტებისთვის ნიშნავდა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. მშობლიური ენისათვის უფლებების დაბრუნებას, საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის მოპოვებას რუსეთის იმპერიულ სახელმწიფოში. ამ სამი მიმართულებით ბრძოლა, თავგანწირვის გარდა, ზოგჯერ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმასაც ითხოვ-

და, ქართული ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნებისგან განსხვავებული შეხედულებების გამოთქმას, რასაც ხშირად მწვავე საზოგადოებრივი რეაქცია მოსდევდა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლ კიტა აბაშიძეს, გიორგი ზდანოვიჩს, გიორგი გვაზავას, რაფიელ ინგილოს, ლელი ჯაფარიძეს, გრიგოლ ვეშაპელს, ალექსანდრე ასათიანს და სხვებს წუთითაც არ უყოყმანიათ მუსულმანი ქართველების ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩათვლის საკითხში, არც პეტრე მირიანაშვილსა და ზოგიერთ მის თანამოაზრეს ჩაუთვლია საჭიროდ რელიგიური ნიშნით განესაზღვრა ქართველთა ეთნიკური იდენტობა. თავად კათოლიკე, ყურანის ქართულ ენაზე მთარგმნელი მირიანაშვილი რელიგიურ ტოლერანტობას ჩვენი ეროვნული ხასიათის მთავარ თვისებად თვლიდა. ამის აღნიშვნა სულაც არ გულისხმობს მათი შეხედულებების უეჭველობას. ჩვენი წინაპრები თავს სწირავდნენ მართლმადიდებლური ქრისტიანობისათვის და დიდ საქმესაც აკეთებდნენ, რადგან ეს მაშინ ქართველობის განმსაზღვრელი მთავარი ნიშანი იყო. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სხვა პრობლემა გაჩნდა: ორი იმპერიის — რუსეთისა და ოსმალეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს მიწა-წყლის გამოხსნის, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მიზანი. ჩრდილოელი მართლმადიდებელი მეზობლის კოლონიური უღლის ქვეშ მყოფი საქართველოს ტერიტორიაზე, ავტონომიური მმართველობის შექმნასთან ერთად, უნდა აღდგენილიყო ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. სწორედ ავტოკეფალური მოძრაობა იქცა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად — თურქეთისაგან გამოხსნილი მაჰმადიანური საქართველო კი თავისი ამჟამინდელი რელიგიით უნდა მიეღო დედასამშობლოს, რადგან სარწმუნოებრივი ცვლილებანი გაცილებით რთულად მიმდინარეობს, ვიდრე პოლიტიკური. პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მიერ თურქეთის ფრონტზე მოპოვებულმა წარმატებებმა, საქართველოს ავტონომიისათვის

გაჩაღებულმა ბრძოლამ, რომელსაც ერთხანს რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაც უჭერდა მხარს, ქართველი მოღვაწეების იმედები გაზარდა. თუკი საქართველო აღდგებოდა თავის ისტორიულ საზღვრებში, თუნდაც ავტონომიური ფორმით რუსეთის სახელმწიფოში, ის მაინც შეძლებდა ეროვნულ კონსოლიდაციას. გენეტიკური ჰომოგენურობა, ქართველ მოღვაწეთა რწმენით, საქართველოს ფარგლებში რელიგიურ სხვადასხვაობას ადვილად გადალახავდა. მითუმეტეს, ქრისტიანულ საქართველოში დიდი იყო გამოცდილება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სხვა ეთნოსების ბუნებრივი ჩართვისა.

ჩვენი წინაპრები ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდნენ დაკარგულ ტერიტორიებსა და ენა-სარწმუნოებას, ამისთვის იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ არა მარტო მეფეები და პოლიტიკური ზედაფენები, არამედ ხალხის უბრალო წარმომადგენლები. მსგავსი ტკივილი და სინანულია გამოხატული ჩვენი მოღვაწეების ნაწერებში საინგილოს, ტაო-კლარჯეთის და სხვა ქართული ტერიტორიების მიმართ. ეროვნული და სოციალური საკითხების მუდმივი განსჯის ფონზეა გაშლილი XX საუკუნის დასაწყისის ქართველთა ცხოვრება, ამდროინდელ ნააზრევში ჩანს ისტორიული წარსულის ობიექტური შეფასება და მომავლის გზის ძიება, ქართველ მამულიშვილთა სწრაფვა — საყოველთაო რევოლუციებისა და ომების ზღვაში არ ჩანთქმულიყო ჩვენი ქვეყანა, როგორმე გადაერჩინათ იგი და გადაეცათ თავიანთი მემკვიდრეებისათვის ის, რაც წინაპრებმა უფრო სატიკ დროებს გამოარიდეს.

მამულიშვილობა, მითუმეტეს საქართველოსნაირ პატარა და განსაკუთრებულად მძიმე ბედის მქონე ქვეყანაში, ყოველთვის იყო თავგანწირვა და თავდადება. სამშობლო სულთმობრძავი დედა იყო, შვილების მომლოდინე და მოიმედე, შვილები კი მის გამო ჯვარზე გაკრულები. ასეთები უარს ამბობდნენ პირად ცხოვრებაზეც, ყველაფერს საზოგადოს სწირავდნენ. პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძე იყო ასეთი შვილი თავის ქვეყნისა და მის თანამებრძოლებად თუ თანამოაზ-

რეებად ცნობილი ადამიანები მის გზას მისდევდნენ. ამ წიგნში შესული კირილე ლორთქიფანიძეც თავადი იყო, ყველაფერი რომ გასცა, რადგან, მისი აზრით, მოძმის სიყვარული მარტო იდეებით არ გამოიხატება: თუ ორი სამოსი გაქვს, ერთით შიშველი უნდა შემოსო, ორი ლუკმიდან — ერთით მშიერი უნდა დააპურო. ილიას მეგობარი და თანამოღვაწე, მართალია ტყვიით არ განუგმირავთ, მაგრამ ზნეობრივად მოკლეს. იყო ასეთი საჯარო მკვლელობების პრაქტიკა რუსეთის იმპერიაში, თუმცა კირილე არცერთ მოედანზე არ გამოუყვანიათ და ეშაფოტი არ აღუმართავთ მისთვის, მაგრამ ნამდვილ მკვლელობაზე უარესი იყო იმის დაბრალება ამ უმწიკვლო ადამიანისათვის, რასაც მისი შინაგანი სამყარო ვერაფრით მიესადაგებოდა: მას ბანკის ფულის მითვისება დააბრალეს... კირილე ლორთქიფანიძე უსახლკაროდ, შეურაცხყოფილი და გულგატეხილი წავიდა ამ ცხოვრებიდან, იმ მშობლიური ქალაქიდან, რომელსაც უკანასკნელი ათწლეულები პრინციპულად არ მოშორებია, საკუთარი სამშობლოს სხვა კუთხეშიც კი არ გადაადგილებულა, მაგრამ თავისი „ტყრუშული ღობის“ სიმაღლიდან არასოდეს დაუნახავს სამშობლო, რომელიც ყველა მისნაირ ქართველში ყოველთვის ცოცხლობდა, თუნდაც რომელიმე იმპერიის ზღვაში ყოფილიყო ჩანთქმული.

წამებულები იყვნენ ისინი, რომლებიც ვერ მოესწრნენ მთელი მათი ბრძოლისა და ძალისხმევის შედეგს — დამოუკიდებელ საქართველოს. მეგობრები და თანამშრომლები — გიორგი ზდანოვიჩი და კიტა აბაშიძე 1917 წელს გარდაიცვალნენ. წამებულები იყვნენ სხვებიც, ვინც მოესწრო ნანატრ თავისუფლებას, მაგრამ უხეშად წაჰგლიჯეს იგი: ივანე გომართელი, ლელი ჯაფარიძე, ზაქარია ედილაშვილი, სიმონ ქვარიანი, დავით კასრაძე — საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში დამოუკიდებლობის იდეის კრახით იტანჯებოდნენ, გრიგოლ ვეშაპელი ტრაგიკულად აღესრულა, გიორგი გვაზავა და რაფიელ ინგილოც ემიგრაციის სევდით მოწამლულნი მიებარნენ უცხოეთის მიწას...

ქართველს ყოველთვის ბევრი მტერი ჰყავდა, ამიტომ სულ ებრძოდა მას, ხან გარეთ, ხანაც შინ, მაგრამ იშვიათად საკუთარ თავში, არ ცდილობდა მტრის მონახვას და დამარცხებას საკუთარ პიროვნებაში. ის ადამიანები, რომლებზეც ამ წიგნშია საუბარი, თავიანთი იდეებით და ზნეობრივი მაგალითით ზრდიდნენ თანამოძმეებს, მოუწოდებდნენ საზოგადოებას სულიერი კათარზისისაკენ, პიროვნული პასუხისმგებლობის აღებისაკენ... და არა მარტო მოუწოდებდნენ, საკუთარი ცხოვრებით აჩვენებდნენ მაგალითს...

ზუსტი კონცეპტი პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმისა არ არსებობს, მაგრამ საქართველოში ეს ყოველთვის იყო არა მარტო თეორია, არამედ გრძნობა და მოქმედებაც, რომელიც ქართველი ერის თვითგადარჩენის იმპულსზე გადიოდა. ამ გრძნობის გაღვივებას ზოგჯერ მკვახე შეძახილი ჭირდებოდა, ისეთი, როგორიც ილიას, აკაკის, ვაჟას ახასიათებდა. ადამიანი, ვინც მხოლოდ საკუთარით ცხოვრობს და არც ცაში იხედება და არც გვერდზე, ქონდრისკაციც კი აღარაა. იგი ვერც საზოგადოების წევრი გახდება, ვერც სახელმწიფოს მოქალაქედ იქცევა. ილიას თაობა და მისი მიმდევრები ასეთ გულგრილობას შეებრძოლნენ, მთელი საქართველოს მოვლა-პატრონობა დაისახეს მიზნად, მათთვის იგი არ ყოფილა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად გაყოფილი, ყველგან, სადაც კი ახერხებდნენ ქართული საქმის კეთებას, თავდადებით ემსახურებოდნენ მას. მართალია, ხშირად კამათობდნენ, მაგრამ ილიასეული საერთო მოქმედების თეორიას არ ღალატობდნენ. მათ მყობადში დაინახეს საქართველოს ხსნა, განსაკუთრებით განიცდიდნენ ქართული ენისათვის უფლებების აყრას, საქართველოს მკვიდრ არაქართველთა გარუსებას, რითაც ხდებოდა ქვეყნის ფაქტობრივი კოლონიზაცია. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დამკვიდრებულ სეკულარულ აზროვნებას, სოციალისტური და კოსმოპოლიტური იდეების შეჯახებას ნაციონალურ-პატრიოტულ გრძნობებთან, ხელი არ შეუშლია მათთვის, რომ უამრავ პრობლემაში მთავარი გამოერჩიათ, ერთმანეთისთვის არ მიეცათ მძიმე

შეცდომების დაშვების საშუალება. როდესაც ქუთაისში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარემ — გიორგი ზდანოვიჩმა პროფესიული სასწავლებლის გახსნა გადაწყვიტა, სადაც სწავლება რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო, ქართულმა საზოგადოებამ მძაფრი პოლემიკა გაუმართა და სამართლიანადაც. მართალია, გიორგი ზდანოვიჩი დიდ შრომას სდებდა ამ სასწავლებლის შექმნაში, სწორადაც განსაზღვრავდა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისათვის მებრძოლ ქვეყანას მრეწველობა უნდა განევითარებინა, ეკონომიკა უნდა აეღორძინებინა, რისთვისაც საკუთარი პროფესიონალური კადრები ესაჭიროებოდა, მაგრამ ამ დიდ მიზანს არ უნდა ემსხვერპლა ქართული ენის საკითხი. ქართული ენა და ქართული სკოლა, ჩვენი მოღვაწეების რწმენით, მამულის იდეის საძირკველი იყო და ასეც უნდა დარჩენილიყო. გიორგი ზდანოვიჩს თანამოაზრეებმაც კი ნამდვილი ბრძოლა გამოუცხადეს და გადაწყვეტილება შეაცვლევინეს.

ყველა ადამიანი ერთნაირად ვერ შეიგრძნობს, ჩვეულებრივისაგან ვერ გამოჰყოფს ქვეყნისათვის ძირეულ და არსებით პრობლემებს. მხოლოდ საზოგადოებრივ პროცესებში კარგად გათვითცნობიერებულ, განათლებულ და, ამასთანავე, საზოგადოების ზნეობრივ ნაწილს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი ხედვა იმ პროცესებისა, რომელიც მის სამშობლოსაც ეხება და ზოგადად კაცობრიობასაც. პატრიოტიზმმა უნდა შეძლოს საზოგადოების სულიერი და თვისებრივი ტრანსფორმაცია, სიახლეების დანერგვა. ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის ეტაპი ჯანსაღი, ჰუმანური პატრიოტიზმითა და ნაციონალიზმით მიიღწევა. იაკობ გოგებაშვილი, ქართული სულიერების ერთი დიდი საყრდენი, XIX-XX საუკუნეების გზაგასაყარზე ამბობდა: „ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ბადებს ძლიერ სიყვარულს კაცობრიობისას". ქართველმა მოაზროვნეებმა კოლონიური საქართველოს პირობებში გახადეს ეროვნული საკითხი ყველაზე აქტუალური, იმდენად საჭირბოროტო, რომ მან სოციალური

კატასტროფის წინაშე მდგომი ქვეყანა მთლიანად მოიცვა. ქართველებისთვის მუდამ პირველ პოზიციაზე მყოფ ამ მიმართულებას ახალი ელფერი მისცა XX საუკუნის დასაწყისში გაშლილმა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლამ. XIX საუკუნეში დასრულდა ეროვნული ბრძოლის ერთი ეტაპი: ამოიწია ეთნოკულტურა, დაარსდა თეატრი, შეიქმნა თავისუფალი, ლიბერალურ-დემოკრატიული პრესა, დაარსდა: სკოლები, სტამბები, ბიბლიოთეკები, საზოგადოებრივ-ინსტიტუციური დაწესებულებები, როგორიც იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული საქველმოქმედო საზოგადოებები, სხვადასხვა კულტურულ-დარგობრივი გაერთიანებანი. XX საუკუნის დასაწყისიდან კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალი მიმართულებით გაიშალა.

ქართული ნაციონალიზმი არ დაპირისპირებია ლიბერალიზმს, დემოკრატიას, კოსმოპოლიტიზმს, პირიქით, კარგი გაგებით, მათ მოიცავდა და მოიცავს. კარჩაკეტილობა და შეზღუდული ფუნდამენტალიზმი საქართველოში არ ყოფილა, აქ ბედნიერად თანაარსებობდნენ სხვადასხვა ერის შვილები და ეს ნათლად აისახა არა მარტო მრავალსაუკუნოვან ლიტერატურულ და ისტორიულ ტრადიციაში, არამედ იმ კონსტიტუციაშიც, რომელიც შედგა დამოუკიდებელ საქართველოში და რომლის შემუშავებაში მონაწილეობდნენ: გიორგი გვაზავა, მისი თანაპარტიელი თუ სხვა მიმართულების მოღვაწენი. კიტა აბაშიძის, რაფიელ ინგილოს, ლელი ჯაფარიძის, გრიგოლ ვეშაპელის, პეტრე მირიანაშვილის და სხვათა ნაწერებში XX საუკუნის დასაწყისში ჩანს ლიბერალიზმი, კოსმოპოლიტიზმი, ჰუმანიზმი, რომელიც ნაციონალურ გრძნობებთან, სამშობლოს სიყვარულსა და მისი საუკეთესო მომავლის ძიებასთანაა შერწყმული. ეს ადამიანები არ ჩაკეტილან თავიანთ ეროვნულ საზღვრებში არა იმიტომ, რომ ტოლერანტიზმი ქართველი ხალხის მთავარი ნიშანია, არამედ, უბრალოდ, განათლებული და მოაზროვნე ადამიანების პოზიციაა ზოგადად ასეთი. როდესაც მომავა-

ლი ქართული სახელმწიფოს მოდელსა და სტრუქტურებზე მსჯელობდნენ, ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ: ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა, სოციალ-დემოკრატი ივანე გომართელი, სოციალისტ-ფედერალისტები კიტა აბაშიძე და გიორგი ზდანოვიჩი. XX საუკუნის პირველი ოცწლეულის სხვადასხვა პარტიულ და იდეოლოგიურ შეჯახებათა ჟამს, გამოიკვეთა ამ ადამიანთა დამოკიდებულება ეროვნული და საკაცობრიო ფასეულობებისადმი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქართული მენტალიტეტი და ჯანსაღი ნაციონალიზმი. ეს შეჯახება უბრალო არ ყოფილა, ის ნამდვილი ომი იყო, რომლის უკან იმპერია და მის წიაღში აღზრდილი ანტიქართული ძალა იდგა. ის ჭრიდა „საქართველოს ხეს", რომელსაც „ნაფოტებად" სცვიოდნენ პატრიოტები. რევოლუციას გამანადგურებელი მსოფლიო ომიც მოჰყვა, ინტელიგენციის პოზიცია ნათლად და პრინციპულად უნდა გამოკვეთილიყო. ილიას მოკვლამ ეს აუცილებლობა კიდევ უფრო გაამძაფრა. ვაჟა-ფშაველას და კიტა აბაშიძის წერილებს — „ნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი" და „ჯვარს აცვ ეგე" ჰქონდა ეპოქალური მნიშვნელობა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი გზის განსაზღვრისათვის, ეროვნული მიზნების სწორი კალაპოტით წარმართვისათვის. საზოგადოება იმ გზას უნდა გაჰყოლოდა, რაც „მამულისა ჩვეულებისაებრ სვლის" ორიენტირს წარმოადგენდა.

„მეცნიერები და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის მეოხებით, — წერდა ვაჟა-ფშაველა, — ვინც თავის ერს ეხმარება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელ კაცობრიობას საუკეთესო წევრს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას"...

ასევე ფიქრობდა კიტა აბაშიძე, რომელიც გმობდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა უაზრო კოსმოპოლიტიზმს,

ეროვნული ძარღვის ფეთქვაზე რომ არ გადიოდა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ასევე ფიქრობდა სოციალ-დემოკრატთა ერთი ნაწილიც, რომელთა შორის იყო ივანე გომართელი, მწერალი, ექიმი, რედაქტორი და პუბლიცისტი, პარლამენტარი, მუდმივად მაძიებელი და მებრძოლი ადამიანი...

წიგნში წარმოდგენილი პორტრეტები შთამბეჭდავია საქართველოს უახლესი ისტორიის გალერეაში. მართალია, ამ ადამიანთა ნააზრევს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებებს სხვადასხვა იდეოლოგიური საფუძვლები ჰქონდა, მაგრამ ყველა მათგანის საბოლოო მიზანი საქართველოს უკეთესი მომავალი იყო. ამ ნააზრევით ცხადდება XX საუკუნის დასაწყისში გამოკვეთილი ეროვნული მოძრაობის მთავარი ორიენტირი: დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა, საქართველოს ქცევა მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეულ წევრად. აქ იკითხება, თუ რა უნდა ეკეთებინა საამისოდ ქართველ ხალხს. რაც შეეხება ამ ნაწერების მნიშვნელობას დღევანდელი საქართველოსთვის, მას აქვს და ყოველთვის ექნება სწავლების, ზნეობრივი გაკვეთილის ფუნქცია. ისტორიის პათოსს დამწვარ სულთაგან ავარდნილი ალი ჰქმნისო, — ამბობდა ნეტარი ავგუსტინე. უახლესი საქართველოს ისტორიის პათოსიც და მთლიანად ისტორიაც იმ ადამიანთა ნააზრევითა და მოღვაწეობით იქმნებოდა, რომელთაც სული და ხორცი დაწვეს მათთვის ყველაზე ძვირფასის — სამშობლოს სამსხვერპლოზე.

კირილე ლორთქიფანიძე
(1839-1919)

კირილე ლორთქიფანიძის შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა. მასზე წერდნენ თანამედროვენიც და შემდეგდროინდელი მოღვაწეებიც. მისი პიროვნება უამრავჯერ გამკრთალა მე-19 საუკუნის ქართველ მამულიშვილთა მდიდარ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. მას უსაზღვროდ სცემდნენ პატივს, მის აზრს ანგარიშს უწევდნენ და საქვეყნო საქმეებში თანამშრომლობას სთავაზობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. ყველა თანამედროვისათვის გამორჩეულად პატივსაცემი პიროვნება იყო, მას თხოვდნენ საკუთარ შემოქმედებაზე აზრის გამოთქმას, ხშირად მისი შენიშვნების მიხედვით ასწორებდნენ თავიანთ ნაწერებს, იცვლიდნენ შეხედულებას. ვინც კირილე ლორთქიფანიძეს იცნობდა, ყველას უნიჭიერეს ადამიანად მიაჩნდა იგი, ყველა ელოდა მისგან განსაკუთრებულ, გამორჩეული შემოქმედებითი ღირსების მქონე ნაწარმოებების შექმნას. ყველა მათგანი დაუფარავად გამოხატავდა უკმაყოფილებასა და სინანულს იმის გამო, რომ ეს ნიჭიერი, შრომისმოყვარე და უსაზღვროდ თავდადებული მამულიშვილი ამ მხრივ ვერ გაუტოლდა მისი დროის იმ მოღვაწეებს, რომელთა შორის კირილე არათუ გამოირჩეოდა, არამედ ერთგვარი შემაკავშირებელი როლი, მოძღვრის ფუნქციაც ეკისრებოდა. აღარ მოვიტან იმ გრძელ სიას, სადაც მოწინავე ქართველი ინტელიგენტების

ის გვარები და სახელები იქნება შეტანილი, რომლებიც კირილე ლორთქიფანიძის დროს ქუთაისში მოღვაწეობდნენ. თითოეული მათგანი თითქოს ცალკე სამყაროა, ერის სულიერი ცხოვრების თითოეული სკოლაა, მათ შორის გამორჩეული კი – მაინც კირილე იყო, ადამიანი, რომელიც ქმნიდა ეპოქის სულს, თავის თანამებრძოლებთან ერთად აყალიბებდა ახალ სინამდვილეს, კოლონიური რეჟიმის პირობებში ამკვიდრებდა პროგრესული აზროვნების სტილს, ეროვნული იდეალებით ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებას, იღვწოდა კულტურისა და განათლების მასშტაბების გასაზრდელად, ქვეყნის ეკონომიკური დონის ასამაღლებლად, სოციალური ვითარების გასაჯანსაღებლად.

კირილე ლორთქიფანიძე იყო ეროვნული მოღვაწის ის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა და შემდეგდროინდელი საქართველოს ყველა თაობის მისაბაძ ნიმუშად იქცა. ილია ჭავჭავაძის მსგავსად, ის იყო პუბლიცისტიც, რედაქტორიც, ბანკირიც, მოსამართლეც და ვექილიც, უბრალო მუშა და მშენებელიც, ოღონდ ქართულ დაწესებულებებს ეარსება და ერის კეთილდღეობაში შეეტანა თუნდაც მცირეოდენი წვლილი, ეს კეთილშობილი კაცი არაფერს თაკილობდა.

მემამულედ დაბადებული და საკმაო მიწების მფლობელი, იგი ადვილად შეელია სოციალურ ამბიციებს, პირველი შესაძლებლობისთანავე გაათავისუფლა საბატონო ყმები, უსასყიდლოდ გადასცა მათ მიწები და ამით კიდევ ერთხელ გვაჩვენა პირადულისა და საზოგადოებრივის მკაცრი გამიჯვნის ნიმუში, მისთვის სანუკვარი საქვეყნო მოვალეობისადმი თავდადება. პირადულზე არც არასდროს უფიქრია. საკუთარი ცხოვრების გზა და აზრი სტუდენტობის დროსვე, 23 წლის ჭაბუკმა განსაზღვრა, როდესაც 1862 წელს პეტერბურგიდან „მრისხანე" წერილი გამოუგზავნა „ცისკრის" რედაქტორს – ივანე კერესელიძეს. ეს იყო პროტესტი ექვთიმე წერეთლისა და მისი თანამოაზრეების მიმართ, რომლებიც

პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტი,
სადაც სწავლობდა კირილე ლორთქიფანიძე

ილია ჭავჭავაძისა და მისი ჯგუფის იდეოლოგიას დაუპირისპირდნენ. ის ილიას გზის მომხრე და ქართველი ხალხის ამ გზით სიარულის მომწოდებელი იყო, იმ ადამიანებთან იდგა, ერის საუკეთესო იდეალებს რომ აცნობიერებდნენ.

ოჯახზედაც უარი თქვა: იაკობ გოგებაშვილის, ნიკოლოზ ღოღობერიძის თუ სხვა თანამებრძოლთა მსგავსად, არც კირილე დაქორწინებულა, პირადი ცხოვრების მოწყობას, სულიერად და ზნეობრივად, სოციალურად და პოლიტიკურად დაკნინებულ სამშობლოზე ზრუნვა არჩია. მისი პიროვნება და სახე ამიტომაც აღიქმებოდა ბერის, ასკეტის სახედ და თანამედროვენი ამას არც ოფიციალურ დოკუმენტებში მალავდნენ. როდესაც უსაფუძვლოდ მიადგა ჩრდილი მის რეპუტაციას, ქუთაისის საზოგადოებამ მაშინდელი იმპერიის იუსტიციის მინისტრს დაუფარავად გაუმხილა, რომ ეს კაცი არამიწიერად, პატიოსნებისა და უმწიკვლოების ნიმუშად მიაჩნდა მის ხალხს. ნიკო ნიკოლაძემაც თავის სტუდენტური წლების მოგონებებში კირილე – ფილიპე ბერიძის ფსევდონ-

იმით გამოიყვანა და მისი ჭირვეული ხასიათი, გერმანული აკურატულობა და პუნქტუალობა თუ იმერული „ფხუკიანობა“, სიკეთე და სიყვარული, სხვებისათვის თანგადაყოლის უნარი, დიდი ნიჭი და შრომისმოყვარეობა გააცნო მკითხველს, ფსევდონიმით კი, მის ბერულ სიწმინდესა და პატიოსნებაზეც მიანიშნა.

კირილე ლორთქიფანიძე, მიუხედავად მისი პიროვნებისა და ნაღვაწისადმი დიდი ინტერესის გამო დაწერილი მრავალი შრომისა, თითქოს განუწყვეტლივ ითხოვს ჩვენგან უკან მიბრუნებასა და მასზე საუბარს, მისი ცხოვრების ხელახალ გადაჩხრეკას, იმ ცეცხლთან გათბობას, რომელიც მისი სულიდან ამოდის და ასე ანათებს და ანთებს ჩვენი ქვეყნის მარადიულობას. იგი დიდი მოქანდაკის იმ დაუსრულებელ ნამუშევარს ჰგავს, რომლის შტრიხებიდან თავისუფლად აღიქმება ის „დაუსაბუთებელი გენიალობა“, ამ კეთილშობილი წინაპრის სიდიადეს რომ განსაზღვრავს.

„ჩვენი არისტიდე“ – ასე იხსენებს მას ივანე ზურაბიშვილი. მართლაც, ძველბერძენი გამოჩენილი მოღვაწის, დემოკრატისა და მებრძოლის, შეუპოვარი და უკომპრომისო ადამიანის ბევრ თვისებას ატარებდა არისტიდეს ქართველი ეპონიმი და მის მსგავსად უკანონოდ შერისხულს, კინაღამ საკუთარი ქალაქის დატოვებაც მოუხდა. მართალია, ეს არ მომხდარა, იგი ბოლომდე შერჩა მშობლიურ ქალაქს, მაგრამ სასამართლოს კარზე სიარული ისეთი ზნეობის მქონე კაცისთვის, როგორიც ის იყო, ნამდვილად უდრიდა სიკვდილმისჯის იმ ფორმას, რუსეთის იმპერია რომ იყენებდა იდეური მოწინააღმდეგეებისათვის და რასაც ცოცხლად დარჩენილი, ზნეობრივად, ხალხის წინაშე შეურაცხყოფილნი იშვიათად უძლებდნენ ხოლმე. ვერც კირილემ გაუძლო, ეს ბრწყინვალე ადამიანი უსახლკაროდ, სრულიად გაღარიბებული და დამცირებული წავიდა იმქვეყნად. მდიდარი ბიბლიოთეკა, შიმშილის ფასად რომ აგროვებდა და თავის თანამედროვეებსაც ასარგებლებდა მისი საუკეთესო გამოცემებით, ასევე საგვარეულო ძველი ნივთები, რაც ვალებს გადაურჩა, უსასყიდ-

ლოდ გადასცა სახელმწიფოს, შთამომავლობას უანდერძა. ისინი ახლა ქუთაისის მუზეუმის საგამოფენო დარბაზებსა და ფონდებს ამშვენებს, უამრავ, წარსულით დაინტერესებულ ადამიანს ეხმარება XIX-XX საუკუნეების სრულყოფილად წარმოსახვაში.

კირილე ლორთქიფანიძის ლეგენდა, მის სიცოცხლეშივე რომ გამოიკვეთა, არათუ ყველა მოგონებაში, არამედ მასზე დაწერილ გამოკვლევებშიც გადავიდა. ამ ლეგენდის შექმნაში, სხვებზე მეტი წილი თავად მიუძღვის ამ არაორდინალურ, შეუვალ, ჯიუტ და პირდაპირი ხასიათის ადამიანს. რუსეთში გადახდენილი დიდი თავგადასავლების შემდეგ, საქართველოში დაბრუნებული, ცხოვრების ბოლო ორი ათეული წელი ქუთაისს აღარც გაცილებია, თბილისსა და ბათუმშიც კი არ ჩასულა, არ უსარგებლია იმ რკინიგზით, რაც ასეთ დიდ ბედნიერებად ესახებოდა საქართველოს მომავლისათვის, არც მეგობრების ხვეწნა-მუდარას დანებებია – მონაწილეობა მიეღო თბილისში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში. თავისებური იყო, მაგრამ თავგანწირულად იღვწოდა იმ უბანზე, სადაც ევალებოდა ყოფნა, გალაკტიონისა არ იყოს, თუ ქრისტემ გალილეა აირჩია, კირილე ლორთქიფანიძეს ათეულ საუკუნეთა ისტორიის მქონე ქუთაისი ჰქონდა არჩეული ასპარეზად და აქედან მთელი საქართველოს ავ-კარგსა თუ საჭიროებას წონიდა და ჰზომავდა, თვალყურს ადევნებდა და ისიგრძეგანებდა. ამიტომაც, არათუ ქუთაისის, მთელი საქართველოს სულიერი ცხოვრება მის გარეშე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული, XX საუკუნის 20-იან წლებამდე, თითქმის წარმოუდგენელი იქნება.

კირილე ლორთქიფანიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცელი მონოგრაფია ეკუთვნის კონსტანტინე მეძველიას, სადაც გამოყენებულია ყველა ის საარქივო მასალა, პუბლიცისტური წერილი, ესეისტური თხზულება თუ მეცნიერული ნაშრომი, რაც არა მარტო კირილე ლორთქიფანიძეს,

არამედ მთელი მისი თაობის „თერგდალეულთა“ ცხოვრებასა და შემოქმედებას უკავშირდება[1].

ამ დიდი მოღვაწის პირველი საფუძვლიანი შესწავლა სცადა ისტორიკოსმა სიმონ ხუნდაძემ. მისი ვრცელი „ნარკვევების“ ქვეთავში – „სამნი ძმანი – სამნივ თერგდალეულნი“, კარგად ჩანს კირილეს ხელმძღვანელი, მაორგანიზებელი როლი თანამოაზრეთა შორის. სიმონ ხუნდაძე იკვლევს იმ სამის ვინაობას, რომლებმაც გააპროტესტეს ძველი თაობის დაპირისპირება ილიასადმი, თვლის, რომ ესენი იყვნენ: კირილე ლორთქიფანიძე, აკაკი წერეთელი და გიორგი წერეთელი. ანუ შვილი ექვთიმე წერეთლისა, რომლის წერილმა აღაშფოთა პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები. „მამათა და შვილთა“ ბრძოლა ანუ ბაზაროვების სინდრომი საზოგადოებრივი აზრის წინსვლას მოასწავებდა, მაგრამ ისეთი პატარა და კოლონიური რეჟიმის პირობებში მცხოვრები ხალხისათვის, ვისაც ეს დაპირისპირებული მხარეები ეკუთვნოდნენ, შესაძლოა საბედისწეროც გამხდარიყო. „ჩატეხილი ხიდი“, გათითოებული საზოგადოება ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ძნელად მოიგებდა, რაც კარგად ესმოდათ ახალთაობის წარმომადგენლებს და რისთვისაც ისინი მთელი ცხოვრება იბრძოდნენ. სიმონ ხუნდაძე აჩვენებს ამ ბრძოლაში კირილე ლორთქიფანიძის დიდ წვლილს, თერგდალეულთა შორის მის რჩეულობას, დაუზოგავ ბრძოლას ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისათვის[2].

კირილე ლორთქიფანიძეს, როგორც გამომცემელს, სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ზაქარია ჭიჭინაძემ[3], მკვლევარმა გიორგი აბზიანიძემ მასზე ვრცლად შეაჩერა ყურადღება ნაშრომში – „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის შესახებ“[4].

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მკვლევარ ელისო აბრამიშვილის მიერ შედგენილი კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა, რასაც ახლავს შესავალი წერილი, კომენტარები და საძიებელი. მეცნიერმა კირილე ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალ მომენტზე შეაჩერა

მკითხველის ყურადღება, სწორი შეფასება მისცა მას, როგორც მოღვაწეს, მწერალს, პუბლიცისტს.

ელისო აბრამიშვილის შესავალი წერილიდან მხოლოდ ერთ ადგილს მოვიტან. იხსენებს რა ნიკო ნიკოლაძის სიტყვებს კირილე ლორთქიფანიძეზე: „საყოველთაოდ განთქმულია მისი მიუდგომლობა, მისი ხასიათის სიმაღლე და გონების სისწორე, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი უფრო აშკარად გამოაჩენს მას...", – მეცნიერი დასძენს: „ნიკო ნიკოლაძის ეს სიტყვები ბევრის მთქმელია. მათში ხაზგასმულია კირილეს ცოდნა, ნიჭი, ჭკუა; გახსნილია მთელი მისი შინაგანი ბუნება, გამოვლენილია ხასიათის ის თვისებები, რომლებიც არ აძლევდნენ მას საშუალებას ბოლომდე გამოემჟღავნებინა თავისი ძალები. ამ სიტყვებშივე ჩანს ნიკო ნიკოლაძისავე საყვედური, უფრო სწორად, მისი გულისტკივილი, რომ კირილემ ვერ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც შეეძლო მისი მონაცემების მქონე ადამიანს. სამწუხაროდ, „მომავალი უფრო აშკარად" ვერ გამოაჩენს კირილეს შესაძლებლობებს, ვიდრე ეს შეიძლებოდა ცოდნოდათ მის თანამედროვეთ, რადგან ჩანს, რომ ის მაინც უფრო დიდი იყო, როგორც საზოგადო მოღვაწე და მოქალაქე, ვიდრე შემოქმედი. მომავალს მხოლოდ ის შეუძლია, რომ კირილეს ცხოვრების თვითმხილველის, კერძოდ, ნ. ნიკოლაძის მიერ ნათქვამი სიტყვები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, რამდენადმე გაამყაროს კ. ლორთქიფანიძის მიწერ-მოწერით, რომელიც დღეისათვის ფაქტიურად უტყუარ წყაროს წარმოადგენს კირილეს პიროვნების წარმოსაჩენად..."[5].

გარდა იმისა, რომ დიდი ადამიანები მუდამ იწვევენ სურვილს მათ შესახებ წერისა თუ საუბრისას, ეს მეცნიერულად ზუსტი თვალსაზრისიც უბიძგებს მკვლევარს კირილე ლორთქიფანიძის ნაღვაწ-ნააზრევის ხელახლა მოხილვისა და „უფრო აშკარად გამოჩენის", ამ კოლოსალური პიროვნების, თავდადებული მამულიშვილის ახლებურად წარმოსახვისაკენ. კიდეც რომ ვერ მოხერხდეს ეს, ყველა ახალი გახსენებაც

ხომ მის პიროვნებასთან მიტანილი ერთი წმინდა სანთელი იქნება და ამით სხვა არა დაშავდება!

ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის – ივანე ზურაბიშვილის მოგონებებში საინტერესოდ იკვეთება კირილე ლორთქიფანიძის პიროვნება.

ივანე ზურაბიშვილი სამი წლის დაობლდა, ჯერ უფროსი და, თავად ციციშვილის ცოლი მანანა ზრდიდა ქართლში, მაგრამ დაც მალე გარდაიცვალა და პატარა ბიჭი ქუთაისს გაგზავნეს, ნათესავ ბეკო კეჟერაძესთან. მისი დედა აქაური ბოდოკიას ქალი იყო. ზურაბიშვილი კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანეს, მას ყურადღებას არ აკლებდნენ სხვა ნათესავებიც, გრიგოლ და ბარბალე ვოლსკი-დემიდოვების ოჯახი, რომლებიც მისი დეიდაშვილები იყვნენ. პატარა ივანე მოწაფეობის დროს სრულად დაობლდა, ერთადერთი და-ძმა გარდაეცვალა და მთლიანად ნათესავების იმედზე დარჩა. პეტერბურგსა და მოსკოვში სწავლის დასრულების შემდეგ, 1895 წელს ზურაბიშვილი კვლავ ქუთაისში დაბრუნდა. აქ მან ცოლად შეირთო ნიკოლაძის უფროსი ასული ნინო, რითაც კიდევ უფრო დაუახლოვდა მაშინდელი ქუთაისის რჩეულ ინტელიგენციას, მათ შორის ნიკო ნიკოლაძესა და კირილე ლორთქიფანიძეს.

მისი მოგონებებიდან ქუთაისი და ქუთაისელები განსაკუთრებულად ცოცხლად ჩანან. 1882 წელს დაარსებული სათავადაზნაურო გიმნაზია ამ დროს ძალზე პრესტიჟულ სასწავლებელს წარმოადგენდა და მის კედლებში ქართველ თავადაზნაურთა შვილები, შემდეგში სახელგანთქმული ადამიანები სწავლობდნენ, მასწავლებლებიც რჩეულნი იყვნენ. მათი დავიწყება სამშობლოდან გადახვეწილ პატრიოტ კაცს როგორ შეეძლო, თუმცა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ზურაბიშვილზე მაინც ქუთაისის ბულვარს, ამ „ურეგლამენტო თავისფალ კლუბს“ დაუტოვებია[6]. იგი ხატავს, თუ როგორ დადიოდნენ ბულვარში ცნობილი ადამიანები, სამშობლოს ბედ-იღბალზე როგორ თავდავიწყებით კამათობდნენ, როგორ ტკივილს გამოხატავდნენ...

ქუთაისის ბულვარი ძველი ათენის „აგორას“ ჰგავდა, ხანაც ბერძნულ აკადემიას, ან კიდევ პერიპატეტიკოს – ფილოსოფოსების ასპარეზს.

ზურაბიშვილი ხატავს ბულვარს, გვიჩვენებს მის სტუმრებს; ჩვენ ვხედავთ, როგორ შემოდის „ცალ მკლავზე მოსასხამგადაკიდებული, თავის მუდამ უნაკლო ვესტონში ჩასხმული, წვრილის ჯოხით ხელში, თავზე მრგვალი მაგარი ქუდით, რომლითაც ასე მოხდენილად იძლევა სალამს, მაღალი, სწორი ტანის ოდნავი რხევით“ – დავით ხელთუფლიშვილი.

ბულვარის დასავლეთ კარისკენ რა ენერგიულად მოაბიჯებს ენერგიულისავე სახის პატრონი, მოწითალო წვერებიანი, უკან ლამაზად თმაგადავარცხნილი – გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი).

სეირნობს, ან რომელიმე ჯგუფის შუაგულში ჩამდგარა მიხაკისფერი ჩოხით მოსილი, „ადამიანის“ ავტორი – მამია გურიელი. „ხელები ზურგს უკან მოუყრია, ბრუნდად გაკეთებული პენსნე უხეიროდ დადგმულ კეხსავით ლამის ჩამოვარდნია ცხვირიდან, მაგრამ არ დაეძებს, რადგან არც სჭირდება, პენსნეს ზემოდან იყურება და ისე მისჩერებია მოლაპარაკეს“.

დაგვიანებით მოდის მუდამ მომღიმარი, ახოვანი, ლომის ფაფრიანი აკაკი წერეთელი, „ძველი საბერძნეთის ტანსაცმელში რომ გამოეწყოთ, გინდათ ოიდიპოსად რომ გამოდგებოდა, გინდ ჰომეროსად, ცალ ხელში ჯოხი ეჭირა და თავისუფალი ხელის ცერი ჟილეტის სახელოში ჰქონდა გაყრილი“.

დროგამოშვებით, თუ ქუთაისში იყო, ბულვარში გამოჩნდებოდა თავის ტოლთა შორის ყველაზე ყმაწვილი, ცოცხალი და მკვირცხლი – ნიკო ნიკოლაძე... – ასე აღწერს ივანე ზურაბიშვილი „თავისუფლების კლუბსა“ თუ ქართულ „აგორას“, – ქუთაისის ბულვარს და მის მუდმივ სტუმრებს. მათ შორის კირილე ლორთქიფანიძეს გამორჩეულად ხატავს, თითქოს ცოცხლად ხედავთ, როგორ მოდის ბალახვნის ქუჩიდან აუჩქარებელი, მუდამ ერთნაირი ნაბიჯებით, შავი

ნიკო ნიკოლაძე – კირილე ლორთქიფანიძის სტუდენტობის მეგობარი და თანამოაზრე

ქოლგით (ან ჯოხით) ყველასათვის კარგად ნაცნობი კირილე. აცვია შავი ჟაკეტი, ახურავს განიერი შავი მაუდის ქუდი. მივა ბაღამდე და იქვე შეუერთდება „ინ მედიას რეს", – უკვე გაბმულ მუსაიფს.

„კირილე მეტად სასიამოვნო მოსაუბრე იყო, – წერს ზურაბიშვილი – დინჯი და თვით პატიოსნების განსახიერება, სიტყვას არავის ართმევდა, მოსაუბრეს თუ მოკამათეს მოთმინებით უსმენდა, გუშინდელ გიმნაზიელს ტოლივით ესაუბრებოდა, თითქოს მისი ცოდნისა და გამოცდილების პატრონი ყოფილიყოს". ის არც იმას მალავს, როგორი გაბრაზება იცოდა, ერთიანად როგორ აჭარხლდებოდა, თუკი მოსაუბრე არასწორად წარმართავდა საუბარს. კითხულობ კირილე ლორთქიფანიძეზე მოგონებებს და გრძნობ, როგორ ნაწილდებოდა ეს დიდი კაცი საქვეყნო დიდსა თუ პატარა საქმეში, ბავშვსა თუ მხცოვანში, რა გულსა და სულს დებდა ყველასა და ყველაფერში.

ზურაბიშვილის მოგონებიდან, ერთი ეპიზოდია განსაკუთრებით შთამბეჭდავი, არა მარტო მოგონების ავტორისათვის, მკითხველისთვისაც დაუვიწყარი. ამ ეპიზოდში აღწერილია პატარა ივანეს შეხვედრა კირილესთან. ეს მომხდარა სწავლის დაწყებისას, როდესაც ზურაბიშვილი ქუჩაში შეხვედრია რუს თანაკლასელს, ისინი გიმნაზიის პანსიონში ცხოვრობდნენ თურმე და ერთად წასულან, გზად შემოჰყრიათ ბულვარისაკენ მიმავალი კირილე, რომელსაც რუსის ბიჭუნა არ იცნობდა, მისი ქართველი თანაკლასელისთვის კი

ნაცნობი და საამაყო ყოფილა ეს კაცი – ლეგენდა: „ეს ხომ კირილე იყო, – იგონებს 30-40-იან წლებში პარიზში ემიგრანტად მცხოვრები ქართველი მამულიშვილი, – კირილე ლორთქიფანიძე, რომლის შესახებ იმდენი მესმოდა გარშემო ყველა დიდისაგან. ეხლა რომ მკითხოთ, რა მესმოდა, ერთ სიტყვასაც ვერ გეტყვით, ვიცი ოღონდ, რომ გაგონილის საერთო შთაბეჭდილება იყო ის, რომ თუ კირილე რასმე ამბობს, ნამდვილია და მართალი, რომ მისგან მიდგომა და სიმრუდე არავის უნახავს, რომ... კირილესთანა მართალი და პატიოსანი ადამიანი იშვიათზე იშვიათია“.

ზურაბიშვილს მეგობართან ლაპარაკი შეუწყვეტია, კირილე ლორთქიფანიძეზე მიუთითებია და უკითხავს: თუ იცი, ეს კაცი ვინაა. პასუხს არც დალოდებია, ისე უპასუხნია: ეს ჩვენი, ქართველების არისტიდეაო. ცოტა გაკვირვებული მეგობრისათვის აუხსნია, ნამდვილი არისტიდეა, რადგან მაგისთანა მართალი და პატიოსანი ქვეყანაზე მეორე არ მოიძებნებაო. ამის შემდეგ ათი-თორმეტი წლის ქართველი ბიჭი მისალმებია მოხუცს, რომელსაც ქუდი მოუხდია და კეთილი ღიმილით სალამზე სალმით უპასუხნია უცნობი გიმნაზიელისათვის.

„იმდღევანდელ ჩემის არისტიდისადმი მისალმებას ორი აზრი ჰქონდა: – იგონებს ზურაბიშვილი, – უნდა მეჩვენებინა იმ ჩემი რუსი მეგობრისათვის, რომ ჩვენ, ქართველებს შესანიშნავი ადამიანი გვყავდა და რომ, ამ ადამიანს თუ თავს დავუკრავდი, ის საპასუხო სალამს მომცემდა. გამცა კიდეც პასუხი და ჩემი პატარა გული სიამაყით აივსო“[7].

ეს პატარა მოგონება ცხადყოფს თუ როგორ იბმებოდა კავშირი თაობებს შორის, როგორ ზეგავლენას ახდენდნენ ეროვნულ სულსა და ცნობიერებაზე ის დიდი ადამიანები, რომელთა ერთი წარმომადგენელი კირილე ლორთქიფანიძე იყო. ისინი თაობებს წვრთნიდნენ და ზრდიდნენ თავიანთი მაგალითით, ახალ სინამდვილეს აყალიბებდნენ, სრულიად უცვლიდნენ სახეს საზოგადოების განვითარების პროცეს-

ებს და მას სწორ მიმართულებას აძლევდნენ, სიკეთისაკენ მიმართავდნენ მომავალი თაობების აზროვნებას. ამიტომ წერს გიორგი აბზიანიძე: „კირილე ლორთქიფანიძე გაცილებით დიდ ზეგავლენას ახდენდა თანამედროვეებზე და მას მეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე ამის შესახებ წარმოდგენა შეგვიძლია შევიმუშაოთ ახლა, მის მიერ დატოვებული მცირე ლიტერატურული მემკვიდრეობის მიხედვით"-ო[8].

ასეთ საყოველთაო აზრში – კირილეს მცირეოდენი ლიტერატურული მემკვიდრეობისა და მისი შეფასებისათვის საჭირო კრიტერიუმის სისუსტეში, – არის რაღაც შეუსაბამოც, რაღაც გაუზიარებელი და ბოლომდე მიუღებელიც. როდესაც მასზე დაწერილ თუ მისგან დაწერილ წერილებსა თუ შრომებს ეცნობი, გული გევსება სიამაყით და ტკივილითაც, თუ ილია ჭავჭავაძე უგზავნის ახლადდაწერილ ნაწარმოებს და დაჟინებით, რამდენჯერმე უმეორებს: დაბეჭდვაზე მეტად ამ ნაწარმოებზე შენი აზრი მაინტერესებს, არ მომერიდო, შენ რომ იცი, ისე პირდაპირ მითხარი ნაკლი, – რომ გავასწორო"-ო;

თუ აკაკი წერეთელი ლექსს მისი გემოვნების მიხედვით ასწორებს, თუ იაკობ გოგებაშვილს „დედა-ენასა" და „ბუნების კარში" ცვლილებები შეაქვს კირილეს მითითებით...

თუ ნიკო ნიკოლაძეს შეუძლია თქვას, მეგობრები ბევრი მყოლია, მაგრამ შენნაირი არა და არც შენსავით მყვარებია ვინმეო...

თუ სერგეი მესხს მისი წერილები ეგულება იმედად მაღალი დონის გაზეთისათვის...

თუ გრიგოლ ვოლსკის მისი იმედი აქვს – დაიცვას უსამართლოდ მოკლული ევსტათე მჭედლიძის ინტერესები, მონახოს მკვლელი...

უამრავი ასეთი თუ!..

განა ეს ყველაფერი არ ნიშნავს უკვე მისი შემოქმედებითი ნაღვაწის მდიდრულობას, განა ყველა იმათ ქმნილებაშიც, ვისზეც იგი ასეთ ზეგავლენას ახდენდა, ცოტაა კირილე ლორთქიფანიძის წილი?..

მოდით, უფრო გულდასმით მოვუსმინოთ დიდ ნიკო ნიკოლაძეს, რას ამბობს და რატომ – კირილეზე, რა გაემტყუნება და რა არა, ოღონდ მიუკერძოებლად გამოვიტანოთ აზრი.

„ბევრს ფიქრობდა, ბევრს კითხულობდა. იმ დროს, ჩვენ ყმაწვილებში ის ცოდნით ვინმეს როდი ჩამოუვარდებოდა. მისი ნიჭი იშვიათად გამოჩნდა იმიტომ, რომ თუმცა დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ ამ ნიჭს მიწაში მარხავს: ერთობ მძიმედ, ერთობ სინდისიანად უცქერის ცხოვრებას და მოქმედებას. საქმეს კაცმა მარტო მაშინ უნდა მოჰკიდოს ხელიო, ამბობს, როცა ხელთ ყველაფერი მზადა აქვს საქმის ბოლომდე მისაყვანადო“.

„ყველას რომ ასე ემოქმედოს, – წერს ნიკო ნიკოლაძე, – ბევრი არაფერი გაკეთდებოდა ქვეყანაზე, ყოველი კაცი ვალდებულია ერთი ნაბიჯი მაინც წაადგმევინოს წინ თავის დროს და თავის თანამედროვეებს. ჩვენ რომ ვუცადოთ, თუ როდის მოგვეცემა საშუალება ხალხს სრული და საბოლოო სიკეთე ერთბაშად მივანიჭოთ, ვინ იცის, იქნება ამისთანა საშუალება ჩვენს დღეში არ გველირსოს. ის ჰქენი, რაც შეგიძლია, რისიც ღონე გქონდეს. სცადე და თუნდა არა გამოგივა რა, ამ გამბედაობასა და ამ ცდასაც სარგებლობა მოსდევს, აუხოცველი კვალი მაინც დარჩება“.

ასეთია ნიკოლაძის აზრი, ცოტა გაღიზიანებული, ცოტა გაბრაზებული. თუკი ნიჭიც გაქვს და უნარიც, თუკი შენს ქვეყანასა და ხალხს ჭირდება შენი საქმე, მაშ რატომ არ უნდა გააკეთო, რატომ უნდა გეპატარავებოდეს შენი შესაძლებლობა, რატომ არ უნდა სცადო ბოლომდე!..

ბერს ემსგავსებოდა სიყმაწვილიდანავეო, ამბობს ნიკოლაძე, თავად იმ მასშტაბის კაცი, ნებისმიერ ქვეყანას რომ დაამშვენებდა და დააჩნდებოდა. როგორც ჩანს, ის კირილეში ხედავდა იმაზე მეტს, რაც თავად ჰქონდა, ხედავდა და სურდა მისი მეგობარი ასეთად დაენახა ყველას. კირილე ლორთქიფანიძემ ვერ შეძლო ეს, ვერ იქცა თავისი ქვეყნის ილია ჭავჭავაძედ და ნიკო ნიკოლაძედ, მაგრამ ბერს მიმსგავსებული კირილე ხომ იყო ის პიროვნება, როგორიც ვერც

ერთი ამათგანი ვერ იქნებოდა, ორივეს ხომ მთელი სიცოცხლე სჭირდებოდა და ეძვირფასებოდა ეს, „წვრილმან“ საქმეებში ჩაძირული ადამიანი, ტყუილად, გულხელდაკრეფილი ხომ არავის უნახავს იგი!..

ამ კაცში ორი ადამიანიაო, – წერს ნიკოლაძე, – ერთი თავაზიანი, თავშეკავებული, გონიერი და სხვისთვის თავგამოდებული, ფაქიზი, მორიდებული, ფრთხილი, სუფთა და შორსგამჭვრეტი, მეორე – ჯიუტი, თავნება, აჩქარებული და ცეცხლმოკიდებულიო. ასევე ზურაბიშვილიც ეთანხმება ნიკოს და კირილეში გაორებულ ადამიანს ხედავს, რიონს ჰგავდაო: ქუთაისში, სადაც ფიცხია, და ფოთთან, სადაც მდორეა და უჩუმარი, ზღვის შესართავთანო. მერედა, განა ამ თვისებებით კიდევ უფრო საინტერესო არ ხდება მისი ადამიანური პორტრეტი? ნიკოლაძის გაღიზიანება ბუნებრივია. საოცრად სწრაფად მოქმედ, მუდამ მაძიებელ, პრაგმატისტ, ზედმეტად გაბედულსა და ცოცხალ ნიკოლაძეს – მეგობარი სრულ ანტიპოდად წარმოუდგებოდა. კირილე ლორთქიფანიძე მეტისმეტად ფრთხილი, ნელი და გაუბედავი იყო. მაგრამ მის საქმეს ხომ მისნაირად სხვა ვერ გააკეთებდა, ის ხომ მთელ თანამედროვეობაზე ახდენდა გავლენას, თვით ნიკოლაძე ხომ იძულებული იყო სტუდენტურ მოგონებებში დაეწერა, მიუხედავად ამისა, მისნაირი საყვარელი ადამიანი არც მანამდე შემხვედრია და არც მას შემდეგო.

როდესაც ნიკოლაძემ გეგმა მოიფიქრა, თუ როგორ შეეცვალა ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრება, რა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გაეჩაღებინა ამ ქალაქში, კირილეს გაუზიარა პირველმა ეს აზრი: ბიბლიოთეკა, სტამბა და გაზეთი დავაარსოთო, – იცოდა, ამ საქმეში კირილეზე მეტად ვერავინ გამოადგებოდა. ნიკოს მამასაც – იაკობ ნიკოლაძეს, შეძლებულ და ჭკვიან კაცს ფული ასეთ საქმეებში ადვილად ემეტებოდა, მით უმეტეს, თუ შვილის გვერდით კირილესთანა დინჯი მეგობარი ეგულებოდა. მერედა, რა სიყვარული ჩანს და კეთილი დაცინვაც ნიკოსადმი მიწერილი წერილებიდან: მეგობრის მამისადმი კირილეს

როგორი მშობლიური გრძნობა იკითხება! სხვა წერილიც ჩავიკითხოთ, ნიკოს მოწერილი დიდი ჯიხაიშიდან, ვაჟი შემეძინა და შენ უნდა მომინათლო, ჩემი ცოლიც გევედრება, არ მითხრა უარიო. იქნებ შენი თვისებები დაჰყვეს, უაზრო ჯიუტობის გარდაო. ფაეტონს მე გამოგიგზავნი, ჩამოგიყვან და გაგამგზავრებო. ხომ ხედავთ – იქნებ შენი თვისებები დაჰყვესო. მაშასადამე, მოსწონდა და შვილისთვის უნდოდა მისნაირობა, ასე რომ იქნებოდა, უჭკვიანეს ნიკოლაძეს რომ არ შეეშლებოდა კირილე ლორთქიფანიძის არც შეფასება და არც დაფასება, ამას რა ლაპარაკი უნდა! ტყუილად ეს მძიმე და მეტად საინტერესო ეპოქა ასეთი სიმკვეთრით ვინმეს არ გამოარჩევდა, კირილე კი უდავოდ თვალსაჩინო იყო თანამედროვეთა შორის! თუნდაც ქუთაისში ხომ მოღვაწეობდნენ საინტერესო ადამიანები. იყო „ბანკოვიადას" მძაფრი ხანა, „კალისტრატებად" და „ანტიკალისტრატებად" დაყოფილი ქუთაისის საზოგადოება. ქუთაისი თბილისის ასლი იყო ამ დარგში. ენამახვილი და სიტყვამოსწრებული კალისტრატე ჩიკვაიძე და კამათში ნაკლებად გაწაფული კირილე ლორთქიფანიძე, საბანკო საქმეებზე დავა ქუთაისში იწყება და თბილისში გადმოინაცვლებს. ივანე ზურაბიშვილი იგონებს ბაღის კიდესთან გამართულ ხალხმრავალ მიტინგებს, რომლის მსგავსი არც ევროპის ქალაქებში იმართებოდა მაშინ, რადგან არც ერთი ხელისუფლება არ დაუშვებდა ამას. მით უმეტეს, გასაკვირი იყო, რომ რუსეთის იმპერიაში ხდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეროვნული ცნობიერებით გამოღვიძებული ხალხი ისე აშინებდა ხელისუფლებას, რომ საბანკო საქმეზე თუნდა თავები ეხალათ ერთმანეთისათვის, აღარ დაეძებდა, შორიდან უთვალთვალებდა და უფლებას აძლევდა მიტინგებისას. ქუთაისურ მიტინგებზე განსაკუთრებული იყო „ანტიკალისტრატისტი" დათიკო წულუკიძის გამოსვლა. ეს იყო ნიჭიერი, თამამი და ჩინებულად მოლაპარაკე კაცი. ის აკრიტიკებდა ოპონენტს და განმარტავდა მის აზრებს, ირგვლივ ჩოჩქოლი და ხმაური იყო, ჩიკვაიძის მომხრენი რეპლიკას ისროდნენ, თანამოაზრენი კი მხარს აძლევდნენ ორატორს.

კირილეს ასეთი გამოსვლა არ შეეძლო, მას წყნარი კრებები, ან ყრილობები ერჩია, ანდა ბაღში რომელიმე ჯგუფთან შინაურული კამათი. მიუხედავად ამისა, ვერც წულუკიძის, ვერც სხვების ავტორიტეტმა ვერ დაჩრდილა მისი პიროვნება, კირილე მაინც რჩეულთა შორის რჩეულად დარჩა.

მას ზოგიერთები ნაკლად უთვლიდნენ გადაჭარბებულ პუნქტუალობას. თომა მთავრიშვილს გაბრაზებულს უთხოვია, არ გაეჭიანურებია მამია გურიელის ლექსების მიწოდება სტამბისთვის, სადაც უნდა დაბეჭდილიყო წიგნი. კრებულის შედგენას კირილემ წელიწადნახევარი მოანდომა, მთავრიშვილს კი საყვედურზე ასე უპასუხა: რა ვქნა, იმ ნეტარხსენებულმა კინაღამ დამაფიცა – წერტილ-მძიმეც არ გამომეტოვებინა, წესიერად დამელაგებინა მასალა და ტექსტი კარგად შემემოწმებინა, მეც ფრთხილად მოვკიდე ხელი, ხომ ვერ ვუღალატებდი გარდაცვლილსო. ამ პუნქტუალობას მიანერდა ნიკოლაძე მისი ნიჭის „მინაში დამარხვას". ის ფილიგრანული ოსტატობით აკეთებდა ყველა საქმეს, ამიტომ ხარჯავდა დროს. ნიკოლაძის საყვედურზე – საგაზეთო წერილებს რად არ გზავნიო, იგი შეახსენებდა: საქმეები მქონდა, შენც ხომ ვერ გზავნიდი ქუთაისში ყოფნისას საქმეთა გამო გაზეთებისათვის მასალებს, ჩემი რად გიკვირს, თუმცა ალბათ იფიქრებ: შენ დიდი საქმეები გქონდა, მე კი პატარ-პატარა საქმეებით ვარ დაკავებული და თავს ვერ ვართმევო. პატარა საქმეებს ვაკეთებო... თავს იმართლებდა კიდეც და იდანაშაულებდა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით: არც ერთი ის საქმე, რომელსაც ეს კაცი აკეთებდა, უმნიშვნელო კი არა, საქვეყნო ინტერესებისათვის აუცილებელი იყო.

„მომავალი უკეთესად გამოაჩენს" კირილე ლორთქიფანიძის პიროვნებასა და ღვაწლს, თუნდაც იმიტომ, რომ ის დარჩა სრულყოფილ ზნეობრივ პორტრეტად ქართველ გმირთა გალერეაში. ისტორიის პათოსს დამწვარ სულთაგან ავარდნილ ალთა ელვარება ქმნისო, წერდა ნეტარი ავგუსტინე „აღსარებაში". კირილე ლორთქიფანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ჩუმად დამწვარი სულიერებიდან და ოც-

ნებებიდან ავარდნილი ალი ჰქმნიდა არა მარტო იმ ეპოქას, რომელშიც იგი ცხოვრობდა, არამედ მომავლის ზნეობრივ იდეალსაც განაპირობებდა, იმ მოდელს იძლეოდა, ურომლისოდაც საქართველო ვერ იარსებებს როგორც ქვეყანა და ვერც ქართველი ხალხი იქნება კაცობრიობის ღირსეული ნაწილი. ჩვენს ზნეობრივად დამცრობილ სინამდვილეში, რა თქმა უნდა, „უკეთესად ჩანს" კირილე ლორთქიფანიძის მაღალი ზნეობა და ინტელექტი, მისი სილამაზე, მორალური ღირსებების წარუვალობა. იგი თითქოს წარსულის წიაღიდან, ქართველ წმინდანთა სალოცავებიდან მოვიდა XIX საუკუნის საქართველოში და კი არ დარჩა იქ, კი არ შეჩერდა მისი სიცოცხლე XX საუკუნის ზღურბლთან, გზა გააგრძელა, მომავლის უსასრულო სიღრმეებისაკენ...

ეს ყველაფერი, ზოგადად სათქმელია, დაწვრილებით თუ მოვიხილავთ მის ცხოვრებასა და საქმიანობას, მასზე დაწერილ ნაშრომებსა და მოგონებებს თუ დავუჯერებთ, უამრავი რამ იქნება დასანერი, ძალზე ბევრი გახდება გასახსენებელი და შესაფასებელი.

კირილე ლორთქიფანიძე დაიბადა 1839 წლის 28 სექტემბერს, ქუთაისის გუბერნიაში, სოფელ დიხაშხოში. ეს სოფელი დღეს ვანის რაიონს ეკუთვნის, მაშინ ქუთაისის მაზრაში შედიოდა; სოფლის წმიდა სამების ეკლესიაში 9 ნოემბრით გაფორმდა მისი დაბადების თარიღი.

დედა იყო ვახუშტი ჩიჯავაძის ასული – დარეჯანი, რომელსაც ხუთი შვილი ჰყავდა, სამი ვაჟი და ორი ქალი: გიორგი, სამსონი, კირილე, ელისაბედი და ეფროსია. კირილე ძმებს შორის ყველაზე უმცროსი იყო, იგი 31 წლის ასაკში შესძენია დარეჯან ჩიჯავაძეს.

ლორთქიფანიძეთა გვარი თავადურია, მაგრამ არც ისეთი პოლიტიკური სიძლიერისა, როგორიც იყვნენ იმერელი თავადები, კერძოდ; წერეთლები, აბაშიძეები, ნულუკიძეები, აგიაშვილები და სხვები. ისინი სახელმწიფო პოლიტიკურ საქმეებში ნაკლებად ჩანან, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით კირილეს მამა – ბეჟან ლორთქიფანიძე სხვებზე

უკეთესად თუ არა, უარესად როდი ცხოვრობდა. ცნობილია იმერელ თავადთა მცირემიწიანობა, ბეჟან ლორთქიფანიძე კი საკმაოდ შეძლებული თავადი ყოფილა იმის გამო, რომ ქუთაისის გუბერნიაში მას დიდძალი სახნავ-სათესი, ტყე და საბალახო მიწები ჰქონია სოფლებში: ზეინდარი, გორა, ინაშაური, გადიდი, ნოღა, ირითი, ტყემლოვანი, ზენობანი, ტობანიერი, საპაიჭაო, ციხე სულორი, გოგოლეისუბანი, ფარცხმა, ციხე, ერკეთი, ამაღლება, გუტური და საყვავიას ტყე. იმერეთის პირობებზე ასეთი ქონება ურიგო როდი იყო.

1850 წელს მშობლებმა იგი ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის შესახებ ჩვენ უამრავი სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ-მხატვრული ინფორმაცია გვაქვს და არ გაგვიჭირდება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ იზრდებოდა ამ სკოლის კედლებში კირილე, რა სულიერ საზრდოს აძლევდნენ მაშინდელი პედაგოგები მოწაფეებს. ჩვენი ცოდნა ამ სასწავლებელზე ხატოვანი წარმოსახვით მდიდრდება აკაკის „ჩემი თავგადასავლის" მიხედვით, მით უმეტეს, რომ აკაკი და კირილე ლორთქიფანიძე ქუთაისის გიმნაზიაში ერთროულად სწავლობდნენ. აკაკისთან ერთად, გამორჩეული მოწაფეც ყოფილა. სიბეჯითე და ნიჭიერება ერთბაშად ჰქონდათ მომადლებული გარეგნულადაც მშვენიერ ბიჭებს. ეს თვისებები კირილეს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა: იგი მუდამ გამოირჩეოდა სიბეჯითით, წესრიგის სიყვარულითა და მოვალეობის უზადო შესრულებით.

1860 წელს, გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, უფლება მიიღო უგამოცდოდ ჩაებარებინა უნივერსიტეტში. გადაწყვიტა: პეტერბურგს გამგზავრებულიყო და ფილოლოგიის ფაკულტეტზე განეგრძო სწავლა. წინასწარ გამოიკითხა პეტერბურგში ცხოვრებისა და უნივერსიტეტში სწავლის პირობები. იქაური ამბები თანაქალაქელმა სტუდენტმა მოსწერა. ერთი სიტყვით, როცა რუსეთისაკენ გაემგზავრა, 20-21 წლის ჭაბუკმა კარგად იცოდა სად მიდიოდა, რატომ და რისთვის...

1860 წლის 30 ივნისი. საქართველოს სამხედრო გზით, ჩვეულებრივი „პოვოსკით" მიემგზავრება რუსეთში შემ-



პავლოვსკი, სადაც პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები ისვენებდნენ და გამოცდებს ამზადებდნენ

დეგში ერთი „თერგდალეულთაგანი", სამშობლოს ნათელი ბედისათვის მებრძოლი ჭაბუკი. უსაზღვროდ იხიბლება კავკასიონის ზვიადი ბუნებით, თერგითა და მყინვარწვერით, დარიალის ხეობაში ნანახი პიტალო კლდეებით. შაბათს, 2 ივლისს, ვლადიკავკაზშია, 5-ში სტავროპოლში, 9-ში ნოვოჩერკასკში, შემდეგ – ვორონეჟში. დამღლელი გზა ხასიათს ვერ უფუჭებს, დიდის მოლოდინით გაბრუებულა, ძლიერი წყურვილით ანთებულა.

ვორონეჟში ორი დღე დარჩა, ინახულა იქაური ეკლესია, მიტროფანეს განთქმული ხატი, ეკლესიის მსახურთაგან ლოცვა-კურთხევა მიიღო, ოჯახის წევრებისათვის ჯვრები და ხატები შეიძინა მკაცრად განსაზღვრული თანხიდან და კვლავ ჩრდილოეთისაკენ განაგრძო გზა. გაიარა ტულა და მოსკოვს ჩავიდა. ორი დღეც მოსკოვში დარჩა, მტვრიანი ტანსაცმელი მოიწესრიგა და ისე გაემგზავრა პეტერბურგს. დაღლილ-დაქანცული, მგზავრობისაგან განაწამები, მაგრამ გზას არც აქ ეწერა დასასრული.

არდადეგებზე მყოფი სტუდენტები ქალაქგარეთ აგარაკებზე გაკრეფილიყვნენ. გაიგო რა, რომ ქართველები პავლოვსკში იმყოფებოდნენ, შეუსვენებლივ გაემგზავრა და მეორე დღეს პავლოვსკში იყო. მთელი მისი მგზავრობა აღწერა ორი წერილით, რომელიც ჯერ ვორონეჟიდან, შემდეგ კი პავლოვსკიდან გამოუგზავნა უფროს ძმას – გიორგის. პირველ წერილში უსაზღვრო აღფრთოვანება გამოხატა საქართველოს ბუნებით, დარიალის ხეობით, ხოლო უსაზღვრო შეწუხება უწყლობით, მტვრითა და რუსული პეიზაჟის სიმწირით. აღფრთოვანებით იწერება ასევე მოსკოვისა და პეტერბურგის შესახებ. მანამდე ვორონეჟიც მოსწონებია, მაგრამ ჯერ მოსკოვმა დაავიწყა ეს მოწონება, პეტერბურგმა კი საბოლოოდ დაატყვევა ქუთაისელი ჭაბუკი. რა ზომის იქნებოდა ეს აღფრთოვანება, კარგად დავინახავთ, თუ მაშინდელი ქუთაისის საქალაქო მეურნეობას, ქუჩების მდგომარეობას და საერთო ქალაქურ მასშტაბს გადავხედავთ. ქუჩებმა გააკვირვა, აქ ორჯერ უფრო ფართოაო, მოსკოვსა და პეტერბურგში რაღა იქნებოდა. პავლოვსკი იმპერატორ პავლეს ბაღად უქცევია, რისი ჩვენი „ფერმა", მას სჯობნისო, ისე წერს, ღიმილს მოგგვრის კაცს გულუბრყვილო ჭაბუკის განცხადება.

უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩაირიცხა ისტორიაფილოლოგიის ფაკულტეტზე, ჯერ საკუთარ კმაყოფაზე იყო, მალე კი კავკასიის კომისიის სტიპენდია დაენიშნა.

დიდი ინტერესით შეუდგა ჭაბუკი სწავლას, დიდი იმედებითა და მომავლისადმი რწმენით, მაგრამ თურმე ბედი რთულ პერიოდს უმზადებდა სამშობლოდან შორს გადახვეწილს. კირილე ლორთქიფანიძეს ჯერ კიდევ ამ დროიდან, თუ უფრო ადრეც, გამოაჩნდა ისეთი თვისება, რითაც იგი მესვეტე ბერებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე უბრალო საერო კაცს და რაზეც მისი ნაცნობ-მეგობრები ყოველთვის ამახვილებდნენ ყურადღებას.

წუთს არ აცდენდა, მარტო უნივერსიტეტის საუკეთესო ლექტორ-მასწავლებლების ლექციები არ აკმაყოფილებდა. დაუახლოვდა ნიჭიერ პოლონელ და რუს ახალგაზრდობას.

სულ სწავლობდა, თვითონაც არ ისვენებდა და სხვებსაც არ აძლევდა დასვენების უფლებას. როცა ნიკო ნიკოლაძე პეტერბურგში ჩავიდა, იგი კირილეს ბინაში ცხოვრობდა, ლათინურ ენაში, რაც ასე უჭირდა ყმაწვილს, კირილეს მოუმზადებია: „ეხლა ლათინური ენა უნდა მესწავლა, ეგზამენის დასაჭერად, ფილიპე გახდა ამ საგანში ჩემ პროფესორად" – წერს ნ. ნიკოლაძე. მრავალი მოგონებიდან, რაც იმდროინდელ პეტერბურგელ ქართველ სტუდენტობას, მათ შორის ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის, ჩანს კირილეს სახე, როგორც ნიჭიერის, უკვე დასრულებული პიროვნების, ვისშიც სჭარბობს დამრიგებლის, მეთაურის ნიჭი, რაც მას უსათუოდ გამოარჩევდა მისი თაობის ახალგაზრდობისაგან.

„ერთად რომ ვიდექით, – წერს ნ. ნიკოლაძე, – ოთახში წესიერების დამცველიც ის იყო, ჩაის გამკეთებელიც, ჩაიშაქრის მყიდველიც, მზრუნველიც და მშრომელიც, სიყვარულით კისრულობდა ყველაფერს"[9].

კირილე ყველა ქართველ სტუდენტს ეხმარებოდა გამოცდებისათვის მზადებაში, როგორც იგივე ნ. ნიკოლაძე იგონებს, ლექციების შემდეგ იმდენს ასწავლიდა „ჩვენებურ ყმაწვილებს", დაქანცულობისაგან წოლაც კი უჭირდა. დიდი ნებისყოფა დასჭირდა ნიკო ნიკოლაძისათვის ლათინური ენის სწავლებას. სრულიად ბავშვი ნ. ნიკოლაძე ვერ ეწყობოდა ლათინურს, კირილე მოთმინებით ჩასჩიჩინებდა, გაუთავებლად უმეორებდა ერთსა და იმავე ლათინურ სიტყვებს, მოუწოდებდა ურჩ მოწაფეს ყურადღებისაკენ, მაგრამ ამაოდ.

„ოთხჯერ-ხუთჯერ რომ ტკბილად მეტყოდა საყვედურს, – იგონებს ნ. ნიკოლაძე, – მეექვსეჯერ წიგნს თავში მესროდა, წამოხტებოდა ბზიკივით და გავარდებოდა გარეთ".

რამდენჯერ უსაყვედურებია თუ წაჩხუბებია პეტერბურგელ მეგობარ-ამხანაგებს, რომლებიც დაუდევრად ცხოვრობდნენ, ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სისუფთავეს და წესრიგს, როდესაც საყვედურით და რჩევით ვერას გახდებოდა, შემდეგ თავად დაულაგებდა ოთახს, მოუწესრიგებდა საგნებს. ახალგაზრდები ამას ისე იღებდნენ, თითქოსდა მათზე

ბევრად უფროსი, მათი მშობლის ტოლი ადამიანი უკეთებდათ საქმეს და არა მათი თანატოლი. დიდად არ ნაღვლობდნენ, მით უფრო, რომ იცოდნენ კირილეს კეთილი გულის ამბავი. ისინი დასცინოდნენ მას ამაზე, თვითონაც აცინებდნენ, მაგრამ თუ გაჯავრდებოდა, მტრისას, როგორც ნ. ნიკოლაძე იგონებს, უსაზღვრო გაჯავრება იცოდა თურმე, არავის დაინდობდა, იყვირებდა, დაამტვრევდა ნივთებს, გულს მოიქარვებდა და ისევ იგივე წყნარ, საქმიან კაცად იქცეოდა.

რწმენით სავსე სტუდენტური ჟამი მალე შეიცვალა.

1862 წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტთა დემონსტრაცია მოეწყო.

ორი დღით ადრე უნივერსიტეტის ლექტორი პლეტნევი, გრძნობდა რა მოახლოებულ სტუდენტურ გამოსვლას, აფრთხილებდა ახალგაზრდობას, – ხელი აიღეთ განზრახვაზე, თორემ მთავრობა უნივერსიტეტს დახურავსო. ამ შეგონებას შესრულება არ ეწერა. ტრიბუნებზე ერთმანეთს ცვლიდნენ ორატორები, მთავრობის ლანძღვასა და საბრძოლო მოწოდებებს დასასრული არ უჩანდა. ნ. ნიკოლაძე იგონებს: „მეორე დღეს, კვირას, სექტემბრის 24-ს, ის-ის იყო ვისადილეთ, სემიონოვის ქალთან, რომელიც თვეში შვიდ მანეთსა და 25 კაპიკად გვაჭმევდა ნისიად სადილს ქართველ სტუდენტებს და ფრანგ ორიენტალისტ ჟაბოს, რომ სასადილოში შემოვიდნენ ორივე ღოღობერიძე: ნიკოლოზი და ბესარიონი. დიდი ხანია ერთად არ გვენახა, ახლა ისინი ყოვლად შეთანხმებული მეგობრების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ...ღოღობერიძეებმა გადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა დემონსტრაციაზე გამოდისო და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობაო... ღოღობერიძეების განცხადებას წინააღმდეგობა გაუწია დ. აბდუშელიშვილმა, რომელიც მიზეზად ქართველი ახალგაზრდობის თავისებურ პირობებს ასახელებდა“.

შემდეგ ნ. ნიკოლაძე განაგრძობს: „ღოღობერიძეებს არც კი სჯეროდათ, რაც მოისმინეს, რადგან ახალგაზრდობა ყოველთვის ემორჩილებოდა მათ და ახლა პირველად წააწ-

ყდნენ ურჩობას. მათ ის უპასუხეს, რომ შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენო. ამაზე კირილე ლორთქიფანიძემ შენიშნა, რომ ქართველები სხვებს ვერ მიბაძავენ: რუსეთში, პოლონეთში, ბელორუსიაში ბევრია ნასწავლი ხალხიო, ეს ქვეყნები უინტელიგენტო არ დარჩება, მათი ახლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგავოს პირისაგან დედამიწისა, ჩვენში კი საქმე სხვანაირადაა. ჩვენ ქართველი სტუდენტების პირველი თაობა ვართ. ჩვენ რომ ახლა დავბრკოლდებით, ქართველ მამებს შემდეგ ვერ გააგონებ, შვილები უნივერსიტეტში გამოაგზავნონო. ძველებურად საკადეტო კორპუსებში მიაბარებენ, მით უმეტეს, ეს უფრო ადვილი საქმეა და არც ფულის დახარჯვაა საჭირო". ბევრი კამათის შემდეგ, წასვლისას, ნიკოლოზ ღოღობერიძემ სიტყვა გვესროლა, ვინც მშიშარა ხართ, სახლში დარჩითო, ეს კი საკმაო იყო იმისათვის, რომ არათუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კლდეზედაც შეგვეხეთქაო", – იგონებდა შემდეგში ნიკო ნიკოლაძე.

სტუდენტი კირილე ლორთქიფანიძე პატიმრობაში, კრონშტადტის ციხეში

ასე სწორად და მართლად საზღვრავდა კირილე ლორთქიფანიძე ყველა მოვლენის არსს და შედეგს. როცა ნ. ნიკოლაძის ამ მოგონებას ვკითხულობთ, უნებლიედ დიდი ილიას პასუხი გვახსენდება ქართველი სტუდენტებისადმი, რომლებმაც მას აზრი ჰკითხეს – საბერძნეთის დასახმარებლად წასულიყვნენ თუ არა. ზუსტად დიდი ილიას პასუხს ჰგავს

კირილე ლორთქიფანიძის პასუხი ნ. ღოლობერიძისადმი, და ეს ამბავიც საბერძნეთის ბრძოლამდე კარგა ხნით ადრე მოხდა.

რა თქმა უნდა, თავმოყვარე ქართველი სტუდენტები, მათ შორის კ. ლორთქიფანიძეც, უკლებლივ გამოვიდნენ დემონსტრაციაზე, ბევრი მათგანი, მათ შორის კ. ლორთქიფანიძეც, დააპატიმრეს და გარიცხეს უნივერსიტეტიდან. აქედან დაიწყო უსიამოვნებათა მთელი წყება, ტრაგიკული დრო. მთელი ათი წელი გაატარა პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძემ, ძლივს დააღწია თავი ციხეს, დრო გაატარა მოლოდინით, უნივერსიტეტში აღდგენის სურვილით, დიპლომის მიღებისა და სამშობლოში ღირსეულად დაბრუნების უსაზღვრო წადილით. რა არ დასჭირდა ამისათვის, რამდენი გაჭირვებისა და დაუღალავი შრომის, უსარგებლო ბიუროკრატიზმის, საშინელი სასოწარკვეთილების გადატანა მოუხდა და ბოლოს მაინც დაბრუნდა სამშობლოში უდიპლომო, თუმცა იმდენად განსწავლული, ათეულობით დიპლომიან სწავლულს რომ შეშურდებოდა. უნივერსიტეტიც დაიხურა, ჭაბუკი ჯიუტად ელოდა მის გახსნას, სტუდენტად აღდგენას. დახმარებას სთხოვდა ძმას, თუმცა იმდენად ერიდებოდა, რომ ეს სიკვდილს უდრიდა მისთვის. ძმას კიდევ არა უშავდა, მასთან უფრო გულახდილი იყო, როცა ბიძას, ნიკოლოზ ჩიჯავაძეს თხოვა დახმარება და მისგან ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო, ლამის სიცოცხლე გაათავა, ოჯახს რომ ეჭვი არ შეჰპარვოდა მის უკიდურეს გაჭირვებაში, ბრალი არ დაედო ხელგაშლილობაში, დაწვრილებით ანგარიშს უგზავნიდა. ანდა რისი ხელგაშლილობა! ის ხომ მთელი სიცოცხლე თავის ლუკმასაც არ ჭამდა თავად, სხვებს უნანილებდა.

როგორც იქნა გაკვეთილებიც იშოვა, თარგმანებიც შეასრულა, მაგრამ ასეთი სიმწრით ნაშოვნი ფული თავისთვის როდი დაიტოვა, ძმას აქეთ გამოუგზავნა, ვალების გასასტუმრებლად. ასეთი იყო კირილე ლორთქიფანიძის ბუნება.

1866 წელს უნივერსიტეტი აღსდგა, მაგრამ ისტორია-

ფილოლოგიის ფაკულტეტის მხოლოდ I კურსი გაიხსნა, უნდა დაეცადა ოთხი წელი, რათა IV კურსზე დამჯდარიყო. კანდიდატის ხარისხის გამოცდების დაჭერაც სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, ესეც უფულობის, უსახსრობის ბრალი იყო. ქუთაისშიც კი გაგზავნა თხოვნა ქართული გიმნაზიის ხელმძღვანელობასთან, უმცროსი მასწავლებლის ადგილი მიეცათ, პასუხიც არ აღირსეს. 1870 წელს ძლივს შეძლო საკუთარი შრომით ფულის შოვნა, გაისტუმრა ვალები და წავიდა ოდესაში იქაურ უნივერსიტეტში გამოცდების დასაჭერად. აუტანელმა სიძვირემ კვლავ პეტერბურგში დააბრუნა. ქიმიკოსობაც მოინდომა ერთხანს, ისწავლა კიდეც ეს საგანი, მაგრამ ლაბორატორიის გამართვა ვერ შეძლო, რაც თანხა ჰქონდა, ყველაფერი ამაში გადაყარა, მაგრამ ქიმიური ცდებისათვის შეძენილი ხელსაწყოები არ ეყო. მაინც თავს ინუგეშებდა: „მართალია, აქ ყოფნას სულ უსარგებლოდ არ ჩაუვლია ჩემთვის... მე ის მირჩევნია, მრავალი ჩვენი ყმაწვილების სწავლას, შენ კარგად იცი, რომ მე არ მშურს ადმინისტრატორების, მსაჯულების და ადვოკატების მდგომარეობა, დიპლომი მე მინდოდა მხოლოდ იმისათვის, რომ მასწავლებლად ყოფნის უფლება მოეცა და მატერიალური ღონისძიება, რომელსაც მომცემდა მასწავლებლის თანამდებობა, მომეხმარა სწავლის შეძენისათვის, რომელიც სასარგებლო იქნებოდა საქართველოს სხვადასხვა საქმეებისათვის“, – წერდა იგი ახლობლებს და ამით თავის დიდ გულისტკივილსაც და ქვეყნის სამსახურისთვის მზადყოფნასაც ამჟღავნებდა.

პეტერბურგიდან კირილე ლორთქიფანიძე გამუდმებით ადევნებდა თვალს საქართველოს ცხოვრებას. როდესაც ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გაილაშქრეს ძველი თაობის წარმომადგენლებმა – რევაზ ერისთავმა, ბარბარე ჯორჯაძემ, სარდიონ მესხიშვილმა, ექვთიმე წერეთელმა, გიორგი ბარათაშვილმა და სხვებმა, კირილე ლორთქიფანიძე პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილებით ჩაება ამ ბრძოლაში მამების წინააღმდეგ. მისი წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა „ცისკარში“, „საქართველოს მოამბესა“ და „დროე-

ბაში". ამ სტატიებიდან აღსანიშნავია: „წიგნი მიწერილი რედაქტორთან ეფვთიმე წერეთლისა". („ცისკარი", 1862 წ. 4) „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ" და ახალი ჟურნალის სარგებლობაზედ". („ცისკარი", 1862, 9), „ბიძია თონიკეს სტატიების გამო", („საქართველოს მოამბე", 4), „ამაო ამაოთა", („საქართველოს მოამბე", 6)

„საქართველოს მოამბეში" გამოქვეყნდა მისი სტატია „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა", თარგმნა ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პლეშჩევის და სხვათა ნაწარმოებები რუსულიდან, ასევე თარგმნიდა ევროპული და ამერიკული ლიტერატურიდან, ქართულ ენაზე გადმოიტანა ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი", ჯეიმს გრინვუდის „უპატრონო და უსახლკარო ყმაწვილის ცხოვრება", ჰაინრიხ ჰაინეს, რობერტ ნიკოლის, მორის ჰარტმანის, ვიქტორ ჰიუგოს, ლეოპარდის და სხვათა ლექსები. პეტერბურგში გამოსცა მან ბრწყინვალედ შედგენილი კრებული „ჩონგური" 1864 წელს. ეს იყო წიგნი, სადაც ყველა ნაწარმოები, ქართული თუ უცხოენოვანი, დიდი გემოვნებით იყო შერჩეული. 1869 წელს, პეტერბურგშივე კირილემ გამოსცა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!", რუსულიდან თარგმნა არითმეტიკის სახელმძღვანელო და ბუნებისმეტყველების პოპულარული სახით გამოცემული წიგნი, სადაც გარჩეული იყო ასტრონომიის, ბიოლოგიის, ბოტანიკის, გეოლოგიის საკითხები, შეადგინა „წერა-კითხვის სწავლების წიგნი", დაწერა გამოკვლევა „ისტორიის განსაზღვრა და წყაროები"...

პირადად იცნობდა ჩერნიშევსკის, თუმცა რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების იდეოლოგია, სხვა ქართველ თანამოაზრეთა მსგავსად, პირდაპირ არ გადმოუღია, მისი ქვეყნისათვის უმჯობესად ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგია ჩათვალა. პეტერბურგში გატარებული ათი წელი, თუ ილია ჭავჭავაძის ცნობილ სიტყვებს „ოთხი წელიწადი"... გავიხსენებთ, კირილე ლორთქიფანიძისნაირი მშრომელი და დაუღალავი კაცისათვის არ შეიძლება არ ყოფილიყო დიდად

ნაყოფიერი და პიროვნების სრულიად ჩამომყალიბებელი წლები. დიდი ცოდნით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, სურვილებითა და მიზნებით, მრავალნატანჯი, მაგრამ შეურყეველი სულისკვეთებით კირილე ლორთქიფანიძე სამშობლოში ბრუნდება.

თავადი კირილე ლორთქიფანიძე მაშინვე ათავისუფლებს ყმებს, რა თქმა უნდა, მიწიანად. ასე ბევრი განათლებული თავადიშვილი იქცეოდა მაშინ, მაგრამ კირილე მაინც გამოირჩევა ყველასგან. მან თავისთვის არაფერი დაიტოვა, სახლიც კი არ ჰქონდა საკუთარი, დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა ქუთაისში, და თუმცა უდიდესი წესრიგით და საქმის სიყვარულით გამოირჩეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პირადი ცხოვრება სრულიად მოუწყობელი დარჩა.

ის ერისკაცი იყო, ამ სიტყვის მაშინდელი და ყოველი დროის სრული გაგებით. მისი სიცოცხლის ყველაზე დიდი მოთხოვნილება – საქართველოსა და ქართველი ერის კეთილდღეობისთვის ზრუნვა იყო. სანთელივით იწვოდა მისი დროის მამულიშვილთა მსგავსად სამშობლოს საკურთხეველზე და მეტი არა უნდოდა რა. მეგობრობდა ყველას, რჩეულსაც და დაჩაგრულსაც, მფარველობდა ასევე ყველას, ვისაც კი მფარველობა სჭირდებოდა. მისი მთელი ენერგია, ფიზიკური, სულიერი, თუ გნებავთ ეკონომიკური ძალაც ხმარდებოდა მის მეგობრებს, მათი გაჭირვებული ცხოვრების გასამსუბუქებლად ცოტა როდი გაუღია კირილე ლორთქიფანიძეს. განსაკუთრებით თავისი პურის ფულიდან ხშირად გაუწევია დახმარება აკაკისათვის, გიორგი წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და სხვებისათვის, რომელნიც ყველაზე თამამად გაჭირვებისას მას მიმართავდნენ. თუ ისინი გადაურჩნენ იმ სიდუხჭირეს, მათი შემოქმედება და სახელი თუ დღეს ასე ელვარებს ჩვენი კულტურის ისტორიაში, ამაში დამსახურება კირილე ლორთქიფანიძესაც მიუძღვის.

შინაგანი ზნეობრივი სიწმინდე მის გარეგნობასაც ასვამდა დაღს. თეთრი, ქათქათა წვერი მას თითქოს იმქვეყნიურ ნათელს ჰფენდა. გ. წერეთლის თქმით, მასში „გამოხატული

იყო იესო ქრისტეს გულწრფელობა“. ასეთი გარეგნულობა, აკაკის მსგავსად, თავისთავად ახდენდა გავლენას ხალხზე – ახლა მისი ცოდნა!.. ივანე პურადაშვილი იგონებს: „კირილე იყო ერთგვარი ენციკლოპედისტი. იგი მონაწილეობდა სათავადაზნაურო საქმეებში, ბანკის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქველმოქმედო, გამომცემლობისა, სათეატრო და სხვა საქმეებში. ვინ გაიხსენებს დეტალურად, თუ კირილე სად ღებულობდა მონაწილეობას. შეიძლება ვთქვათ, ყველგან და ყოველთვის გაისმოდა მისი დამაჯერებელი სიტყვა“. მისი განსწავლულობა კარგად ჩანს იმ პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, რომლებიც ასე ხშირად ქვეყნდებოდა მაშინდელ პრესაში. წერილის დაწერას დიდ დროს ანდომებდა, სანამ ყველა დეტალს არ დააზუსტებდა, სტილსაც სრულ შესაბამისობაში არ მოიყვანდა ტექსტის შინაარსთან, მანამ გამომცემლობას არ გაუგზავნიდა, საკუთარი სახელითა და გვარით, მიუხედავად ასეთი გულმოდგინებისა, მაინც არასოდეს არაფერი გამოუქვეყნებია. როგორ არ სცადეს სერგეი მესხმა თუ ნიკო ნიკოლაძემ, მისთვის ეს უცნაური გადაწყვეტილება შეეცვლევინებინათ, მაგრამ ვერაფერი გაახერხეს. მას მტკიცედ სწამდა: ნაწარმოებს თავად უნდა გაეკვლია ხალხის გულისაკენ მიმავალი გზა და არა ავტორის საშუალებით.

ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი რომ საზღვარგარეთ წავიდნენ, მაშინდელ საუკეთესო ჟურნალ „კრებულს“ კირილე უძღვებოდა და ხელმძღვანელობდა, ასევე სერგეი მესხის „დროებას“. ქუთაისში გაზეთი „შრომაც“ მან დააარსა. იგი იყო ამ გაზეთის ფაქტიური რედაქტორი და კორექტორი. ამ გაზეთის გარეშე კი, თუმცა იგი მხოლოდ 3 წელი – 1880-83 წლები არსებობდა, დღეს ვერ წარმოგვიდგენია XIX საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების კვლევა. ქართული გიმნაზიის დაარსება ქუთაისში, სათავადაზნაურო ბანკი, საურთიერთო ნდობის საზოგადოება – ყველაფერი ეს მისი გაკეთებული იყო. იყო ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანი, შექმნა საკუთარი შრიფტი – პირვე-

ლად – დაუწუნეს, მაგრამ ბოლომდე მიჰყვა, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერს – და მეორედ ახალი შრიფტი წარმოადგინა, რომელიც დიდხანს იხმარებოდა სტამბებში. ითვლებოდა ქართული ენის ისეთ მცოდნედ, რომ ილია ჭავჭავაძე ხშირად მას უგზავნიდა ახალ ნაწარმოებებს და პირუთვნელ აზრს ღებულობდა მისგან. ხშირად შეუნიშნავს სხვა მწერლებისთვის, მიუთითებია მათი ნაწარმოებების ნაკლზე, მათაც გაუთვალისწინებიათ ამ უაღრესად განათლებული, პატიოსანი და ჯიუტი კაცის შენიშვნა.

„გიგზავნი ჩემს გლახის ნაამბობს", – სწერს ერთ-ერთ წერილში ილ. ჭავჭავაძე, – ჯერ ვიდრე დაჰბეჭდდე, შენებურად გადაიკითხე და შენი პირმოუფერებელი აზრი მაცნობე". იაკობ გოგებაშვილისთვის მკაცრი შენიშვნები მიუცია კირილე ლორთქიფანიძეს და მასაც შესწორებები შეუტანია თავის „დედა-ენაში". ხშირად ფიცხდებოდა, მაგრამ მეგობრები კეთილად დასცინოდნენ, პატიებასაც თხოვდნენ, ურიგდებოდნენ.

ნიკოლაძისადმი მიწერილი ვრცელი წერილიდან ჩანს, როგორ ხვდებოდა გულზე სულ მცირე გაკენწვლაც კი, წერილის დიდ ნაწილში იმის მტკიცებას ანდომებს, უბრალოდ, სხვა ნომრებთან შედარებით შევაქე „დროების" მე-16 ნომერი, რას ვიფიქრებდი თუ შენ ან სერგეი ისეთ კაცად ჩამთვლიდით, ვისი გემოვნებაც ამაზე იქით არ მიდისო.

პოლემიკა უყვარდა და თავის აზრს ისე ჯიუტად იცავდა, მხატვრულ შედარებებსაც ისე მოხერხებულად იყენებდა, აღარ ეკამათებოდნენ. მაგალითად, ნიკოლაძეს და მესხს ეპაექრება გიორგი ჭალადიდელზე (ქოჩაკიძე), რომელიც ამ დროს ძალზედ პოპულარული იყო. კირილე მას „порядочно глуп"-ს უწოდებს და „ნიორით გამაძღარს". „იმის ლექსებში ერთი საფუძვლიანი აზრიც არ არის, არც ნამდვილი გრძნობა, არც ლოგიკაა, არც რითმაა და მე ძალიან მიკვირს, საიდან გიცვნია ნიჭიერ კაცად, მე მგონია, რომ მისგან, რაც უნდა იფრინოს თავის ლექსებით, აკაკი წერეთელზედ ან ზურაბ მოენიძეზედ (ანტონ ფურცელაძე) მაღლა მის დღეში ვერ

ავა". აკაკი ცხენს ჰგავს, ეგ ჯორსაო, უმტკიცებს ნიკოლაძეს, ხანდახან ღორსაც ადარებს: „უფალი ჭალადიდელი, глуп, как 48 свиней и не развит ни на волос", გაბრაზებულია, რატომ ამბობ, ჭალადიდელს უეჭვო ნიჭი აქვს და შესაძლოა შენი კრიტიკით „ხელები" ჩამოუშვასო. ერთი სიტყვით, თუ თვითონაც არ სჯერა, სხვისი აზრი, თუნდ ნიკო ნიკოლაძისნაირი მოაზროვნისა და მეგობრის, არაფრად უღირს, არც ადვილად იცვლის შეხედულებას.

„კანცელარიულ ფეხმძიმობას" უწოდებდა ხელოვნურად საქმის დაბრკოლებას [10]. მის წერილებში ჩანს სულიერად შეკრული საქართველო, ყველა ნიჭიერი ქართველის გაერთიანების წყურვილი. ქუთაისის საქმეებს ისე აცნობს და აუცილებლად სახავს ილიას მონაწილეობას მათში, იგრძნობა, როგორ უყურებდა ის მაშინდელი ინტელიგენციის მოვალეობას, საქართველოს ყველა კუთხისადმი თანაბარი ზრუნვის აუცილებლობას როგორ საჭიროებად თვლიდა[11].

ნიკო ნიკოლაძე ხან ეკამათებოდა, ხან ეფერებოდა, ხანაც თხოვდა, მაგრამ კირილეს მაინც თავისი ცხოვრების წესი ჰქონდა და მას იშვიათად იცვლიდა. „ახირებული კაცი ხარ, ძმაო კირილე, მამაჩემი ნუ წამიწყდება, კორესპონდენტობა გთხოვე, წერილი მოგწერე, მაგრამ პასუხი არ მაღირსე, მეტი როგორ გეხვეწო, ძალიან მჭირდები", – ემუდარებოდა მეგობარს.

ნიკოლაძეზე უკეთესი ბიბლიოთეკა ჰქონდა და მას ხშირად თხოვდა ნიკო წიგნებს. „ჩერნიშევსკის კოლექცია მათხოვეო", – წერს ერთ-ერთ წერილში, – ხშირად მიწევს მისი დამოწმება და მე სრული კოლექცია არ მაქვსო. ხან კი თავისი პირადი ცხოვრების ინტიმურ ამბებს უმხელდა, ხან ცხოვრების წვრილმანებზე ესაუბრებოდა, პალტო გადავაკეთე, ისეთია, ახალს სჯობია, თუ გინდა, მოდი და ჩაიცვიო, – წერდა ერთგან. „ჩემს დღეში არ მიგრძვნია ისე შენი სიყვარული და შენი ახანაგობის საჭიროება, როგორც ეხლა, მას აქეთ, რაც ევროპაში ვარ"-ო, წერდა ლონდონიდან, 1872 წლის 7 ივლისს. „შენი იმედი მაქვს, როგორც კლდისა", – სულს

უბერავდა სხვაგან და პუბლიცისტურ ნაწერებს თხოვდა. ქუთაისში ნიადაგ არის ღირსშესანიშნავი საკორესპონდენციო ამბები, თუ სურვილი გექნება, დასაწერი არ შემოგაკლდებაო. ნიკოლაძე ირონიასაც არ იშურებდა კირილეს გამოსაფხიზლებლად: „შენ იცი, როგორ შემეწევი მანდედან, ვიცი, რომ ვრცელი სტატიების ან კორესპონდენციების წერას შენ კაცი ვერ გთხოვს, ვინაიდან ეგევითარ შრომას შენ ისე ერიდები, ვითარცა ოგიუსტ კონტის სისტემის შედგენას, ამნაირ საქმეს, შენი აზრით, ათი წლის მზადება სჭირია. არა, ამისთანა „ძნელ საქმეს“ როგორ მოგთხოვდი. გთხოვ მარტო ამხანაგური, ქართული, შეუფერავი, უბრალო ბარათები მომწერო, ძლიერ ხშირად, ყველაფერზე, რაც კი ხდება ქუთაისში შესანიშნავი ან ყურადღების ღირსი“. სერგეი მესხიც იმასვე თხოვს თუ საყვედურობს: „დროებისთვის“ წერა სულ დაგავიწყდა? წელიწადში რომ რამდენიმე სტატია გამოგზავნო, ხელი მოგტყდება?..“

უკან დახევაც ახასიათებდა ავტორიტეტების წინაშე, ნიკოლაძეს წერდა, „დროების“ იმ ნომერს რედაქტორად ვერ დავეწერები, სადაც აკაკის სტატია იბეჭდებაო“[12]. სხვაგან იმ დაუდევრობას აკრიტიკებდა, „რომლითაც ჩვენ, ყველანი, ერთობ დაჯილდოებული ვართ“[13].

ცალკე მეცნიერულ თემებად შეიძლება დალაგდეს კირილე ლორთქიფანიძის ურთიერთობა აკაკისთან, გიორგი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესა, თუ სერგეი მესხთან. აქ, ამ ურთიერთობის შესწავლისას წარსულის მთელ სურათს დავინახავთ, მთელს მაშინდელ ქართულ საზოგადოებრივ მაჯისცემას შევიგრძნობთ.

ამავე მასალიდან ნათელი ხდება მისი პიროვნებაც და ღვაწლიც მაშინდელი კულტურული ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. ნიკო ნიკოლაძე გულდამშვიდებით მხოლოდ მას ანდობდა თავის თხზულებების გამოცემას და სრულ უფლებას აძლევდა, შეეტანა მასში ყოველგვარი შესწორება. სერგეი მესხისთვისაც ყველაზე საიმედო მეგობარი იგი იყო. „იმედი მაქვს შენი, – წერდა ერთ-ერთ წერილში ს. მესხი,

– რომ დამეხმარები მერმისს გაზეთის გაუმჯობესებაში, თუ შენისთანა კაცებისგან რამე შემწეობა მექნება, მაშინ აღარ ვიქნები იძულებული დავბეჭდო ხანდისხან უაზრო და უფერული კორესპონდენციები და სტატიები ზოგიერთი ჩვენი ფსევდომწერლებისა. თავი ნუ მოგიკვდება, ნუ იფიქრებ, რომ ამას გწერ მე ვითარცა რედაქტორი მუქთ თანამშრომელს; შენც კარგად იცი, რომ გაზეთის გაუმჯობესება ჩემი კერძო საქმე კი არ არის. ამის შედეგები, როგორც ჩემთვის, ისე ყოველი ჩვენი რჯულის კაცებისთვის ერთნაირად სასურველი და სანატრელია"[14].

იგივე სერგეი მესხი შეჰნატროდა მის „ნემეციურ წესრიგს და აკურატულობას", რაც ჩემთვის უცხოაო და შეუძლებელი. სერგეი მესხმა ჩამოიყვანა ის ბოლოს და ბოლოს ემიგრაციულ ქალაქად ქცეულ პეტერბურგიდან და ჩაუყენა სათავეში „დროებას".

კირილე ლორთქიფანიძე არა მარტო მეგობრების, მთელი საზოგადოების იმედი იყო. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ როდესაც 1885 წელს, ქუთაისში ვერაგულად მოკლეს ახალგაზრდა, ჩვენი ერის საუკეთესო შვილი ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი), თავზარდაცემულმა გრიგოლ ვოლსკიმ (უმწიფარიძემ) კირილე ლორთქიფანიძეს მიმართა შველისათვის. იგი უსიტყვოდ იყო მიჩნეული ქუთაისის ინტელიგენციის თავად, ეს ინტელიგენცია კი ქართული კულტურის დიდ ძალას წარმოადგენდა. ერთგან წერს: „ზოგიერთი ზნეობრივი თვისებები და მათ შორის პატიოსნებაც, სწავლის პრინციპებით არ შემიძენია. სწავლამ გამივრცელა და უფრო გამიგანიერა ის, რაც მივიღე შინაური აღზრდისაგან. მე არა მაქვს პრეტენზია დიდ ჭკუაზე, დიდ სწავლაზე, დიდ ენერგიაზე... მაგრამ პატიოსნების ცოტაოდენი შებღალვის მოთმინებაც არ შემიძლიან. ვისიც ვალი მაქვს, საზოგადოების თუ კერძო პირების, ზნეობითი თუ მატერიალური, ყველას გადახდის იმედი მაქვს იმდენად, რამდენიც გასჭრის ჩემი ჭკუა, სწავლა და ენერგია. ერთი სიტყვით, ჩემი ცხოვრების პროგრამა

ეს არის, რომ უსაქმოდ არ ვიყო... და ყოველივე დავამყარო გონივრულ ზნეობაზე"[15].

დავით მესხი წერს, მონაზონს მოგაგონებდაო, ქალების საზოგადოებაში ვერსად შეხვდებოდით, იშვიათად თუ შეივლიდა ნ. ნიკოლაძის ოჯახშიო.

კირილე ლორთქიფანიძის ორი სურათი არსებობს. ერთი ახალგაზრდობის, პეტერბურგში გადაღებული, მეორე მოხუცობის ჟამინდელი! ცნობილია, რომ ის ავადმყოფურად გაურბოდა ფოტოკამერას. ერთხელ ნიკოლაძემ სპეციალურად გაგზავნა ბანკში ცნობილი ფოტოგრაფი შმერლინგი, რომ კირილესთვის სურათი გადაეღო. ბანკიდან გამოსულმა კირილემ იგრძნო მისკენ მიმართული კამერა და გაიქცა. შმერლინგმა მოასწრო გადაღება, ორი კარიკატურაც დახატა, ერთში კირილე გარბის, მეორეში კი განუყრელი შავი ქოლგით იგერიებს ფოტოაპარატმომარჯვებულებს. ეს კარიკატურები და ფოტო დაიბეჭდა „ცნობის ფურცელის" სურათებიან დამატებაში, რომელსაც პირდაპირ იტაცებდნენ.

ერთხელ დიმიტრი ნაზარაშვილმა სცადა მისთვის სურათის გადაღება. ამის შესახებ იგონებს ექიმი სპირიდონ ბოლქვაძე: „დიმიტრის ძალიან უყვარდა კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე, საზოგადო მოღვაწე. მისი სურათი არავის ჰქონდა, რადგან ახალგაზრდობიდანვე უარი უქვამს სურათის გადაღებაზე. მიზეზი ის იყო, რომ პეტერბურგიდან სტუდენტობისას გამოუგზავნია დედისთვის სურათი, იმ დღეს დედა გარდაცვლილა. კირილემ თურმე დაიფიცა, რომ ამის შემდეგ სურათს არ გადავიღებო. უკვე მოხუცებული იყო, თეთრი წვერით, ლამაზი, შესანიშნავი. ერთ დღეს დიმიტრიმ გამანდო, რომ რამენაირად კირილეს სურათი უნდა გადავუღოთო, ეს ასე მოვაწყეთ: ჩვენი ამბულატორია იყო მაშინ ბალახვნის ქუჩაზე, სტეფანოვის სახლებში და კირილეც ამ ქუჩაზე იდგა ჩვენს დაბლა, მესამე სახლში, გამოსვლისას მე დიმიტრის წერილი უნდა გადამეცა კირილესათვის ისე, რომ პირი მიბრუნებული ქონოდა, ამბულატორიისაკენ, ფოტოგრაფი მიშენკო მოვიწვიეთ, მან ფანჯარაზე დადგა შენილ-

ბული აპარატი, საურთიერთო ბანკიდან, სადაც კირილე მუშაობდა, ორ საათზე გამოვიდოდა. მოდის კირილე, მე წერილი მოშორებით დავიჭირე, უნდა მობრუნებულიყო ჩვენი ფანჯრისაკენ, არ ვიცი შეგვატყო თუ არა, პირი ჩვენკენ არ ქნა და აგვარიდა, დავრჩით ჩალაგამოვლებულები, ჩვენმა ცდამ ამაოდ ჩაიარა, მისი სურათი კი საჭირო იყო, როგორც საზოგადო მოღვაწისა"[16].

კირილე ლორთქიფანიძე ბევრი საუკეთესო ადამიანური თვისების მაგალითად გამოდგება. იგი შეიძლება ასევე გამოდგეს მაგალითად ქართველი ინტელიგენტისა, რომელიც განასახიერებს სრულიად საქართველოს ჭირისუფალს და სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, საქართველოს რომელ ნაწილშიც, დაუცხრომლად იღვწის ქართული კულტურის, ეროვნული ენერგიის გამთლიანებისათვის. ყველაფერი ეს მკაფიო გამოხატულებას პოულობს კირილე ლორთქიფანიძის მდიდარ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში.

თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა კირილე ლორთქიფანიძემ ქუთაისის ბანკში სამსახურით დაასრულა. უოჯახო, საქმისათვის თავდადებული, ის მთელ დღეებს ბანკში ატარებდა. დირექტორის ხელფასის ნახევარზე უარი თქვა, ბანკს უტოვებდა თავის სარგებლობაში[17].

ბანკის შემოსავლის უდიდესი ნაწილი ხმარდებოდა საქვეყნო საქმეებს: სკოლებს, წიგნების გამოცემას, თეატრს, სტამბების მოწყობას, საოცარი წესრიგის სიყვარული აქაც მოჰყვა. ივანე პურადაშვილი იგონებს, რომ 1902 წლის 22 დეკემბერს, დღის 3 საათზე, როცა ბანკს ყაჩაღები დაესხნენ თურმე თავს და ოქროებთან ერთად ფასიანი ქაღალდების ჩხრეკაც დაუწყიათ, კირილეს ვერ აუტანია ასეთი არევ-დარევა ქაღალდებისა და უთქვამს: „ვაჟო, რად ურევ თამასუქებს, მანდ არაფერია და მერე რამდენი დრო უნდა დავკარგო მათ რიგზე დაწყობაშიო". იგი დაუღალავი მოსაუბრე ყოფილა, არა მარტო ნაცნობებთან, არამედ კლიენტებთან და ვაჭრებთანაც. პურადაშვილი ამაზე ერთ ამბავს იგონებს. ბაქოდან ქუთაისში გადმოსული ვაჭარი, მარმალა-

დის ქარხნის მეპატრონე ვინმე რაგოზინი ისე განცვიფრებულა კირილეს გაუთავებელი საუბრით ერთ-ერთ კლიენტთან, უკითხავს: „Он вдовец?" ივანეს უთქვამს: „нет, он халастяк". მას მრავალმნიშვნელოვნად გაღიმებია და წამსვე დაუსკვნია: „Тепер понимаю"[18].

ჯიუტი ყოფილა იმდენად, რომ ყველა ერიდებოდა მასთან კამათს, ხშირად გაჰქონდა საკუთარი აზრი, თუნდაც იგი მოსაწონიც არ ყოფილიყო. მისი სიჯიუტის გამო ბანკის იატაკი მარსელიდან გამოწერილი სპეციალური აგურით დაუგიათ, რადგან მას სწამდა, რომ ხის იატაკი სწრაფად გაჭუჭყიანდებოდა, მისი ეს ახირებული აზრი საკმაოდ ძვირი დამჯდარა.

გაუგებრობამ, უგულობამ თუ მაშინდელი საზოგადოების ერთი ნაწილის გულგრილობამ კირილე ლორთქიფანიძე, ეს უწმინდესი კაცი, ბრალდებულის სკამზე დასვა. მასთან ერთად ბანკის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც მისცეს პასუხისგებაში. ვერ უშველა 30 წლის თავდადებამ, იგი ხომ 1893 წლიდან მართავდა ქუთაისის ბანკს. ვალების დასაფარავად, საჯაროდ გაიყიდა კირილეს და-ძმათა მამულები, ხოლო მოხუცებულ „დამნაშავეებს" შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

ქუთაისის საზოგადოება აღსდგა ღირსეული თანამემამულის დასაცავად. მათ იუსტიციის მინისტრის – იგ. შჩეგლოვიტოვის სახელზე მიმართვაც კი გაგზავნეს, სადაც ეწერა, თუ რა დიდი დამსახურება მიუძღოდათ ამ ადამიანებს მშობელი ქვეყნის წინაშე, რომ ყველა რეფორმა ამ კუთხეში – საგლეხო, სასამართლო, განათლების. – მათი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით ჩატარდა. „მათი ნახევარსაუკუნოვანი სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა, – ვკითხულობთ განცხადებაში, – აღბეჭდილია ისეთი მაღალი პატიოსნებითა და უანგარო სამსახურით თავიანთი მხარის მიმართ, რომ ახლაც კი, როდესაც მათ ადგილობრივ საურთიერთო – საკრედიტო საზოგადოებაში ბედისწერამ ასეთი მწარე ხვედრი დაატეხათ თავს და ეს ხანდაზმული მოხუცები მიიყვანა საბრალდებო სკამამდე და მათთვის სამოქალაქო დანაშაულის სამწუხარო შედეგამდე, მაინც

ვერ შეარყიეს ათეული წლების განმავლობაში შემუშავებული საზოგადოებრივი აზრი მათ მაღალ მორალსა და მოქალაქეობრივ ღირსებაზე".

ამ დოკუმენტში კირილეს ცხოვრების რეჟიმი ასკეტიზმად არის დახასიათებული, მისი მორალური სახე კი გამორჩეულადაა მიჩნეული. ათ წელზე მეტხანს გრძელდებოდა ეს გაურკვეველი ვითარება და კირილეს შინაპატიმრობა, 1902-1914 წლებში. საექიმო ცნობას, რომლითაც სასჯელი მოეხსნათ ეჭვმიტანილებს, ცნობილი ექიმი და კირილეს მეგობარი – დიმიტრი ნაზარიშვილი აწერდა ხელს, რომელსაც მანამდე, მსგავს შემთხვევაში, უდანაშაულოდ გაკიცხულს, კირილე ლორთქიფანიძე დაუდგა გვერდით და მორალურად გაამხნევა. ამ ძნელმა წლებმა და შეურაცხყოფამ შეარყიეს კირილეს ჯანმრთელობა. მახსენდება, რა სიყვარულით იხსენიებდნენ „კირილ ბეუანიჩს" დიმიტრი ნაზარიშვილის ქალიშვილები – ისია და ელეონორა, რა თბილად ჰყვებოდნენ კონსტანტინე ბალმონტის ქუთაისში სტუმრობაზე, იმ უამრავ დეტალზე, რაც მათი ახალგაზრდობის ქუთაისში ხდებოდა. რაც არ უნდა გაეხსენებინათ ამ მშვენიერ ქალბატონებს, ვისზეც არ უნდა ესაუბრათ, კირილე ლორთქიფანიძის სახელი აუცილებლად წინ წამოიწევდა, აუცილებლად მთელი თავისი დიდებით გამობრწყინდებოდა. და ეს ბუნებრივიც იყო!

გარდაცვალების წინ კირილე ლორთქიფანიძემ შეადგინა ანდერძი, რომლის მიხედვით თავისი საუკეთესო ბიბლიოთეკა და არქივი ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას უანდერძა. მისი პირადი ნივთებიც ამავე საზოგადოებას დარჩა და ახლა ისინი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სიმდიდრეს წარმოადგენენ.

კირილე ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1919 წლის მაისში. დაკრძალვის ხარჯები სახელმწიფომ გაიღო. იგი დაასაფლავეს ბაგრატის ტაძრის ეზოში, ხოლო შემდეგ მისი ნეშტი საზოგადო მოღვაწეთა მწვანეყვავილას პანთეონში გადაიტანეს. აქ, თავისი თანამებრძოლებისა და საპატიო თანაქალაქელების გვერდით განისვენებს საქართველოსთვის

ნაცხოვრები და ნაბრძოლი კაცი, კაცი, რომელიც ლეგენდად ქცეულ ადამიანთა გვერდით თავადაც ლეგენდას წარმოადგენდა, დიდების შარავანდედით იმოსებოდა. სამართლიანად სწერდა მასზე თანამედროვე პოეტი – გრიგოლ აბაშიძე:

„სამშობლო ქვეყნის სადიდებლად სძგერს მისი გული, სხივ-მადლიანი".

და ბოლოს, დასკვნის მაგიერ:

კირილე ლორთქიფანიძესა და მის მსგავს ქართველებზე დაწერილი ყველა წიგნი, მოგონება თუ წერილი ლამაზ ბუტაფორიად იქცევა, აზრსა და ძალას დაკარგავს, თუ დროდადრო არ ჩამოვდგით ისტორიის თაროდან და საზოგადოების წინაშე ერთი ლამაზი შედევრივით არ გამოვფინეთ.

ჩვენც ისღა დაგვრჩენია, გავიხსენოთ ეს გონიერი, სულიერად და ზნეობრივად შემკული ადამიანი, რადგან მომავლისაკენ ღირსეულად სიარულს აუცილებლად ჭირდება წარსულისაკენ სვლაც, შიგნით და გარეთ ძიება, საკუთარი და კაცობრიობის წარსულის გააზრება საზოგადოებასთან ჩვენი ურთიერთობის უკეთ გასარკვევად.

„ვართ-ღა კი ნამდვილი ქართველები?" – სვამდა კითხვას ილია ჭავჭავაძე და ეს კითხვა არც პირველად იყო დასმული და არც უკანასკნელად. ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე ქართველობას ხშირად შეჰპარვია ეჭვი თავის შესაძლებლობებსა და ღირსებაში. რადგან სურვილი და ოცნება რეალურზე მეტია ყოველთვის, ჩვენს დიდ თანამემამულეებსაც ეცოტავებოდათ და ეპატარავებოდათ თავიანთი ნაღვაწი, ეროვნული სიდიადე უფრო ნამყოში ეგულებოდათ. იქნებ იყო ამაში სიმართლეც, მითოისტორიული გამოძახილიც. მაგრამ, საბედნიეროდ, ცხოვრება ყოველთვის დადებითად პასუხობდა დასმულ კითხვას. უამისოდ ეს ქვეყანა ვერც გამოაღწევდა ურთულესი კატაკლიზმებით დამძიმებულ ასწლეულებს და აქამდე ვერ მოვიდოდა.

ისტორიას რჩეულები ჰქმნიან, მათი თავდადება, „განწირულის სულისკვეთება", შემოქმედებითი ნიჭი და ენერგია აცოცხლებს. ჩვენს ქვეყანას მაღალი სულიერება და ზნეობა

თუ გადაარჩენს, ერის ინტელექტი და შემოქმედებითი უნარი თუ იხსნის.

კირილე ლორთქიფანიძის ცხოვრება ერთი ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა ენთოს და ჩუმად როგორ უნდა ინვოდეს კაცი – ქვეყნის გასანათებლად, მით უმეტეს: თუ ღმერთმა ისეთი ქვეყნის შვილობა არგუნა, სადაც ხშირად ბნელა და ჰყინავს. დიდი ქართული კულტურა ამგვარ თავდადებულთა მხრებზე დგას და საქართველოს უკვდავებას ჩუმად ინახავს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. კონსტანტინე მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, თბილისი 1959 წელი. იგივე „თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე", თბილისი, 1965 წელი.
2. სიმონ ხუნდაძე, ნარკვევები, 1941 წელი, გვ. 209-224.
3. ზაქარია ჭიჭინაძე – ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძე და ქართული სტამბა, 1627-1913 წლები.
4. გიორგი აბზიანიძე – „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან". თბილისი, 1959 წ.
5. მასალები XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან (კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა). ტექსტი შესავალი წერილით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსაცემად მოამზადა ელისო აბრამიშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება", 1981 წელი.
6. ივანე ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962 წელი.
7. ივანე ზურაბიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 132.
8. გიორგი აბზიანიძე, ნარკვევები XIX ს-ის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1959 წ. გვ. 330-346.
9. ნ. ნიკოლაძე – რჩეული ნაწერები, გვ. 48.

10. კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა, გვ. 134
11. იქვე, გვ. 135.
12. კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა, გვ. 93.
13. იქვე, გვ. 134.
14. სიმონ ხუნდაძე, მასალები..., გვ. 67-68.
15. ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 110-111.
16. ქუთაისის მუზეუმი, დიმიტრი ნაზარიშვილის ფონდი – 2176 – 1088.
17. ივ. პურადაშვილის მოგონებანი, ნაწ. II, ქუთ. ისტ. მუზეუმი.
18. ქუთაისის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 51, „памятная записка“, პირი, ხელმოუწერელი.

დიმიტრი ნაზარიშვილი
(1854-1927)

ქუთაისში, ქალაქის ცენტრიდან საფიჩხიისკენ მიმავალ ქუჩაზე, ერთი ძველებური, ლამაზეზოიანი სახლი დგას. იმ სახლში XX საუკუნის 60-იან წლებში ცხოვრობდა მოხუცი, სიმპათიური და სათნო ქალბატონი — ელეონორა ნაზარიშვილი. მისი და, ისია ნაზარიშვილი და დისშვილებიც ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისიდან და სახლი ცოცხლდებოდა. თუმცა, მაშინდელი ქუთაისის ინტელიგენციაც არ ტოვებდა ელო ნაზარიშვილს მარტო. მასთან მიდიოდნენ და წარსულზე დაუღალავად ალაპარაკებდნენ მეცნიერები და მწერლები, მხატვრები და ექიმები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომელთაც ამ მშვენიერი ქალბატონის მიერ გაცოცხლებული წარსულის რომანტიკა საოცრად ხიბლავდა და იზიდავდა.

ვის არ შეხვდებოდით ამ მოგონებებში: XIX საუკუნის დიდ მწერლებსა და მოღვაწეებს, ქართველ სიმბოლისტებს, 900-იანი წლების ქუთაისის ბულვარის გმირებს, საზღვარგარეთ — ბელგიასა და საფრანგეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს... ელეონორა ნაზაროვას განათლება იქ მიეღო და გასახსენებლიც ბევრი შემორჩენოდა. დიმიტრი ნაზარიშვილის არქივიც მან გადასცა ქუთაისის მუზეუმს, რომელშიც იმ ამბების ნაწილია დოკუმენტურად გაფორმებული, რასაც ასე დაუზარებლად ჰყვებოდა.

დიდი სიყვარულით იყო მისი მოგონებები გაცისკროვნებ-

ული — ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის, კირილე ლორთქიფანიძის, გიორგი ზდანოვიჩის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გალაკტიონისა და სხვათა მიმართ. ვინც კი ქუთაისში გარკვეული დროით მოღვაწეობდა, ნაზარიშვილების ოჯახთან ყველას რაღაც აკავშირებდა.

დიმიტრი ნაზარიშვილი დიდებული და სტუმართმოყვარე, კეთილი გულის ადამიანი ყოფილა. ის იმ ქართველ მოღვაწეთა ტიპს განეკუთვნებოდა, ყველაფერ პირადულს რომ საქვეყნოსთვის იღებდა, ძალას და ენერგიას არ იშურებდა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. სხვა ქუთაისელ კათოლიკეთა ოჯახების მსგავსად, ამ ოჯახმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურისა და განათლების აღორძინების საქმეში. ეს მცირე ნარკვევიც ნაზარიშვილის არქივის გამოყენებით შეიქმნა, რათა გაცოცხლდეს XIX-XX საუკუნეების ქართველი მამულიშვილის კიდევ ერთი პორტრეტი, ნათელი მოეფინოს კიდევ ერთი ისეთი ადამიანის საქმიანობას, რომელმაც თანამოაზრეებთან ერთად შექმნა დიდებული ეპოქა საქართველოს ისტორიაში, იმოღვაწა თერგდალეულთა გვერდით და, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე XX საუკუნის 20-იან წლებამდე, მუხლჩაუხრელად აკეთა ქართული საქმე. ამ ადამიანთა გარეშე ეპოქის სრული სურათი ვერც დაიხატება.

● დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილი მე-19 საუკუნის II ნახევრის საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ცნობილია არამარტო როგორც ექიმი, არამედ, აგრეთვე, როგორც საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი.

ნაზარიშვილების ოჯახი ქუთაისში ქართული ინტელიგენციის შესაკრებ საუკეთესო ადგილს წარმოადგენდა. აქ სტუმრად ყოფილა რუსეთისა და უცხოეთის ბევრი საუკეთესო შვილი. გამოჩენილი რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი ქუთაისში ორჯერ სტუმრობის დროს ორჯერვე ეწვია ნაზარიშვილების ოჯახს, მას ბაგრატის ტაძრის ეზოში სურათ-

იც გადაუღია სხვა სტუმრებთან და ქუთაისის მაშინდელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად. ამ ოჯახის მეგობრებად ითვლებოდნენ ტიციან ტაბიძე (მას ლექსი აქვს მიძღვნილი ისია ნაზარიშვილისადმი, დიმიტრი ნაზარიშვილის ქალიშვილისადმი), პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, დავით კლდიაშვილი.

თვით დიმიტრი ნაზარიშვილი კი მეგობრობდა XIX-XX საუკუნეების დიდ მწერლებსა და მოღვაწეებთან. ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დავით კლდიაშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, კირილე ლორთქიფანიძე, ევსტათე ბოსლეველი (მჭედლიძე), სეველი (დავით ბაქრაძე), დავით სოსლანი (კეზელი) და სხვ.

დიმიტრი ნაზარიშვილის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქუთაისთან. იგი ამ ქალაქში დაიბადა, რუსეთში მიიღო განათლება, მცირე ხნით იმოღვაწა კიდეც იქ, უცხოეთშიც მსახურობდა, მაგრამ კვლავ სამშობლოს დაუბრუნდა და მის ბედ-იღბალს ინაწილებდა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

დიმიტრი ნაზარიშვილი დაიბადა 1854 წელს, ქალაქ ქუთაისში. მისი მამა — ალექსანდრე — წარმოშობით გორიდან იყო. დედა, მარიამი, მაჭავარიანის ქალი კი — იმერეთიდან. ალექსანდრეს ოჯახი ქუთაისში უქიმერიონის ციხესთან ახლოს, არქიელის გორაზე ცხოვრობდა. ალბათ, ის პოეტური ხასიათი, რაც ამ ბრწყინვალე ექიმსა და საზოგადო მოღვაწეს ჰქონდა, ძველი ქუთაისის ამ ულამაზეს კუთხეში ცხოვრებამაც, ბაგრატის ტაძრისა თუ უქიმერიონის სიახლოვემაც განაპირობა. როგორც მისი ქალიშვილი ელეონორა ნაზარიშვილი იხსენებდა, დიმიტრის უყვარდა თურმე ასეთი ხუმრობა: მე გამოუმჟღავნებელი მგოსანი ვარო, პოეტობა ადრეული ბავშვობიდან ამ ხავსიანმა კედლებმა, საყვარელმა ბაგრატის ტაძარმა შთამინერგაო.

დიმიტრი ნაზარიშვილის წინაპარი — დავით ნაზარიშვილი მეფე ვახტანგ VI-ის ამალაში ყოფილა და რუსეთში

ძველი ქუთაისი

დარჩენილა. იქედან მისი მემკვიდრე პეტრე მობრუნებულა საქართველოში. დიმიტრის მამა ალექსანდრე პეტრეს მემკვიდრეა, მისი იმერეთში გადმოსვლა კი იმან განაპირობა, რომ მეუღლე იყო აქაური. ალექსანდრეს ხუთი შვილი ჰყავდა: დიმიტრი, დავითი, ტიტე, პოლინა (მარო) და ეკატერინე. ამათგან ტიტე ბავშვობაშივე გარდაიცვალა.

ქუთაისის სახელმწიფო-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ნაზარიშვილის არქივიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე ნაზარიშვილი ერთხანს სპარსეთსა და თურქეთში იმყოფებოდა წარმომადგენლად, იშვიათად ჩამოდიოდა ხოლმე ქუთაისში და ოჯახში მისი მოსვლა ყოველთვის დიდ ზეიმად იქცეოდა ხოლმე. განსაკუთრებული მზრუნველობით მამა უფროს შვილს — დიმიტრის ექცეოდა. [1.460]

ალექსანდრე ნაზარიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა, რამაც ოჯახს დიდი მწუხარების გარდა მძიმე მატერიალური მდგომარეობაც მოუტანა.

მცირეწლოვანი დიმიტრი დედამ მრევლოვის სკოლაში მიაბარა, სადაც მასთან ერთად ნიკო ნიკოლაძე და ალექსან-

დრე გაბაშვილი სწავლობდნენ. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ამ სამეულის მტკიცე მეგობრობას. შემდეგ იგი სახელმწიფოს ხარჯზე ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პანსიონატში ჩარიცხეს. აქაც, კლასიკურ გიმნაზიაში იგი ნიკო ნიკოლაძესა და ალიოშა გაბაშვილთან სწავლობდა. დიმიტრიმ გიმნაზია წარჩინებით დაამთავრა. მის ხელმოკლე ოჯახს არ ჰქონდა ნიჭიერი ჭაბუკისთვის უმაღლესი განათლების მიცემის საშუალება. ამის სურვილს ვერც თავად გამოთქვამდა, რადგან უფროსი იყო და-ძმებს შორის და დედას უნდა დახმარებოდა. გიმნაზიის დირექტორის მზრუნველობით, დიმიტრი ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებლის უფროს კლასებში ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებლად იწყებს მუშაობას. ერთი წლის განმავლობაში მან იმდენი თანხის დაგროვება შეძლო, რომ 1873 წელს, 19 წლის დიმიტრი პეტერბურგში გაემგზავრა და სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტი გახდა.

სტუდენტობის წლებში იგი ხალხოსნური იდეებით იყო გატაცებული. ეს წლები მან საუკეთესო მეგობართა წრეში გაატარა, რომელთა შორის ყველაზე თბილად ალიოშა გაბაშვილს იგონებდა: ეს იყო გარეგნობით მომხიბლავი, კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა მეგობრების წრეში, ქალების წრეში კი — დიდი მოწონებით. ზაფხულობით პეტერბურგელი სტუდენტები, მათ შორის ქართველები, როგორც ამას კირილე ლორთქიფანიძე და სხვა ქართველი მოღვაწეები იგონებდნენ, ვინაიდან სახლში ვერ ბრუნდებოდნენ, პავლოვსკის კურორტზე ისვენებდნენ. ერთხელ, თურმე, საოცრად ღატაკმა და მშიერმა სტუდენტებმა ძლივს შეაგროვეს 15 კაპიკი და სთხოვეს ალიოშა გაბაშვილს ამ ფულით ცოტა პური, ძეხვი, შაქარი და ჩაი ეყიდა. ალიოშამ, 15 კაპიკად ამდენი რამის მოთხოვნის სირცხვილი რომ დაეფარა, განსაკუთრებით ლამაზად ჩაიცვა, თავისი საგარეო ტანსაცმლით — თეთრი ჩოხით, მამა-პაპეული ქამარ-ხანჯლითა და ფაფახით გამოეწყო და ისე წავიდა მახლობელ

დუქანში. იქ შესვლამდეც და დუქანშიც ყველა განცვიფრებით მისჩერებოდა თეთრ ეროვნულ ტანსაცმელში შემოსილ ბრწყინვალე გარეგნობის ახალგაზრდას, განსაკუთრებით ქალები. მედუქნე თავქუდმოგლეჯილი მივარდა და მოწიწებით ჰკითხა — რას მიბრძანებთ, ჩემო ხელმწიფეო. თურმე ალიოშა გაბაშვილი ისე დაიბნა, რომ არ იცოდა რა ეთქვა. როდის-როდის ენადაბმულმა ძლივს ამოთქვა: С-спички! — თავაზიანმა გამყიდველმა 15 კაპიკად მთელი შეკვრა ასანთი მიართვა. ამგვარად, შიმშილით გულშეწუხებულ მეგობრებს წლების სამყოფი ასანთი მოგვართვა საჭმლის ნაცვლადო — იგონებს დიმიტრი ნაზარიშვილი.

სტუდენტობის დროს ნაზარიშვილი ცხოვრობდა ბეხტერევთან ერთად. ბეხტერევიც (ვლადიმერ მიხეილის ძე) 1873 წელს ჩაირიცხა აკადემიაში. პროფესორი ვ. მ. ბეხტერევი შემდგომში გამოჩენილი რუსი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი და ფსიქოლოგი, ნერვული სისტემის მორფოლოგი და ფიზიოლოგი გახდა.

ბეხტერევს ნაზარიშვილი ახასიათებს როგორც არაჩვეულებრივად გულმოდგინესა და შრომისმოყვარეს, რომელმაც არ იცოდა დაღლა. როცა გამოცდებისთვის ემზადებოდნენ, იგი დღედაღამ მეცადინეობდა. დაძაბული და ხანგრძლივი შრომის შემდეგ, როცა ვიტყოდი — დროა დავისვენო, მეხსიერება მეტს ვეღარ აიტანს-თქო — იგი მპასუხობდა — „ჩემი მხრიდან რაც ჩემზეა დამოკიდებული, მე ყველაფერს ვაკეთებ, ყველაფერს ვთავაზობ ჩემს მეხსიერებას, ხოლო მიიღებს თუ არა ჩემს შეთავაზებულს იგი, ეს უკვე მისი საქმეაო“.

დიმიტრი სხვა, შემდეგში ცნობილ სპეციალისტებთანაც მეგობრობდა. ერთ-ერთი მათგანი იყო შესანიშნავი პათოლოგი-ანატომი გრუბერი. დიმიტრიც გაიტაცა პათოლოგიური ანატომიის შესწავლამ და ამ დარგში წარმატებასაც მიაღწია.

1878 წელს მან დაამთავრა სამედიცინო აკადემია. მასთან ერთად აკადემია დაამთავრა ცნობილმა ქართველმა ექიმმა,

ტუბერკულოზის სპეციალისტმა ილია ზურაბის ძე გოპაძემ, რომელმაც დიდი შრომა გასწია კურორტ აბასთუმნის მოწყობისათვის.

დიმიტრი ნაზარიშვილის აკადემიის დამთავრება დაემთხვა რუსეთ-თურქეთის ომს. იგი როგორც სამხედრო ექიმი გაგზავნეს დუნაის მოქმედ არმიაში. მან მუშაობა დაიწყო 24-ე ქვეითი დივიზიის ირკუტსკის 39-ე პოლკში, რომელიც ბულგარეთში, ქალაქ ბურგასში იდგა. 1878 წლის 11 ივლისს იგი მეუღლე ტატიანას წერდა იმ მძიმე სამსახურეობრივ მდგომარეობასა და სირთულეებზე, რაც მას იქ ხვდებოდა.

ამ დროს დიმიტრისთან ქ. ბურგასში უფროს ექიმად მივლინებული იქნა მისი ნათესავი ალექსანდრე პეტრეს ძე ნაზარიშვილი, რომელიც დიდ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა დიმიტრის მიმართ. ის არმიაში გავრცელებულ მალარიას ებრძოდა, რამაც მასობრივი ხასიათი მიიღო რუსეთის სამხედრო ნაწილებში. ომის დამთავრებამდე დიმიტრიმ ბულგარეთში დაჰყო. იქ მან პარტახტიანი ტიფიც გადაიტანა.

ბულგარეთიდან დაბრუნების შემდეგ დ. ნაზარიშვილმა ქუთაისში, სამხედრო ლაზარეთში დაიწყო მუშაობა ორდინატორად. მან დაამზადა სპეციალური წვეთები, ე. წ. „ნაზარიშვილის წვეთები", მალარიის წინააღმდეგ. ამ წამალმა დიდი როლი ითამაშა საქართველოში მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დიმიტრი ვერ ურიგდებოდა ლაზარეთში გავრცელებულ სამხედრო-ბიუროკრატიულ რეჟიმს, თავი დაანება სამსახურს და კერძო ექიმად დაიწყო მუშაობა. იგი მთელს თავის შრომასა და ენერგიას საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ახმარდა. იგი შეიყვარა ხალხმა, როგორც საუკეთესო ექიმი და საზოგადო მოღვაწე. მიუხედავად ამისა, მას არ აკმაყოფილებდა მიღწეული, სურდა საფუძვლიანად დაუფლებოდა მედიცინას. ამ მიზნით იგი პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც სამხედრო-სამედიცინო აკადემიის კერძო პათოლოგიისა და შინაგან სნეულებათა თერაპიის კათედრაზე მოეწყო იმ კლინიკაში,

რომელსაც გამოჩენილი ექიმი-თერაპევტი, ბრწყინვალე პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი ვიაჩესლავ ავქსენტის ძე მანასეინი ხელმძღვანელობდა. იგი უაღრესად საინტერესო პიროვნებაა როგორც ექიმი, როგორც რუსი საზოგადო მოღვაწე და მასზე ვრცელი მონოგრაფიაც არის გამოცემული [2]. მას ეკუთვნის ვრცელი გამოკვლევა მალარიის შესახებ, ასევე შიმშილთან ბრძოლის შესახებ. პენიცილინის აღმოჩენამდე 50 წლით ადრე მანასეინმა იპოვა მწვანე ობის ანტიბიოტიკური თვისებები. იგი იყო გამოჩენილი რუსი მეცნიერის, სერგეი პეტრეს ძე ბოტკინის საუკეთესო მოწაფე, ხოლო დიმიტრი ნაზარიშვილი მანასეინის ერთ-ერთი საყვარელი მოწაფე იყო, რომელმაც მას ის საკითხები დაამუშავებინა, რომელიც თავად აღელვებდა და რომლებზედაც თავად ემუშავა. სწორედ მან ურჩია დიმიტრის სადოქტორო თემად — „ჭლექის მკურნალობის საუკეთესო საშუალებანი". მან 4 წლის გამნმავლობაში იმუშავა მანასეინის კლინიკაში და დიდი საექიმო გამოცდილება მიიღო. უფრო მეტიც, როცა ზაფხულობით 3 თვე კლინიკა იხურებოდა, აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები დასასვენებლად მიდიოდნენ, ხოლო კლინიკაში დარჩენილი ექიმები და მათთან ერთად დიმიტრიც, ერობებში გადიოდნენ სამუშაოდ, სოფლის მოსახლეობის დასახმარებლად, მრავალ დაავადებათა, განსაკუთრებით ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, პრაქტიკული ცოდნის შესაძენად, საერობო სამედიცინო საქმის შესასწავლად. მანასეინი, დიდი მხარდამჭერი ერობის საქმიანობის გაფართოებისა, თავის მოწაფეებსაც ფართოდ აბამდა საერობო საქმეებში. ამიტომ ვხედავთ ქართველ მეცნიერს რუსეთის შორეულ კუთხეებში — ფსკოვის გუბერნიის ხოლმის მაზრაში, ანდა ნოვოლადოგის სხვადასხვა თემებში. ერობაში მუშაობის დროს მან ძვირფასი მასალები შეაგროვა, რომელთა საფუძველზე ორი მნიშვნელოვანი შრომა დაწერა: პირველი ეხებოდა „ნოვოლადოგის მაზრაში, სახელდობრ გოროდიშჩენსკის, გლაჟევსკის, სოლეცკისა და ტიგოდის თემებში ადამიანებში ჯილეხის გავრცელებას 1884 წელს";

მეორე კი — „ათაშანგის გავრცელებას ფსკოვის გუბერნიის ხოლმის მაზრაში“.

ჯილეხის, იგივე ციმბირის წყლულის წინააღმდეგ საბრძოლველად დიმიტრი იმ დროს გაიგზავნა, როცა ნოვოლადოგის მიდამოებში ეს დაავადება საქონლიდან ადამიანებზე გადავიდა, ეტლები არ დადიოდნენ და მას უზარმაზარ მანძილზე უხდებოდა ფეხით სიარული. „ჩვენ ვცდილობდით გაორკეცებული ენერგიით ყველგან დროულად მიგვეესწრო ავადმყოფებისათვის და შესაფერისი დახმარება აღმოგვეჩინა“-ო, იგონებდა იგი; „სიცხეში, ყოველდღიურად რამოდენიმე ათეული ვერსის გავლა გვიხდებოდა ფეხით იმ სოფლებს შორის, სადაც ჯილეხი მძვინვარებდა“ [3.2]. ეს შრომა 18 გვერდს მოიცავს, მან სადოქტორო დისერტაციამდე ისეთი მნიშვნელოვანი შრომა გამოაქვეყნა, რომ უკვე მიიქცია ექიმთა საზოგადოების ყურადღება; ხოლო 1887 წელს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სამეცნიერო სხდომის წინაშე მან ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამ დროს იგი 33 წლისა იყო. მას შეეძლო დარჩენილიყო პეტერბურგში, მანასეინის კლინიკაში, მაგრამ იქ დარჩენას საქართველოში დაბრუნება არჩია. მან მშობლიურ ქუთაისს მოაშურა, სადაც სიკვდილამდე არ შეუწყვეტია დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ კულტურული მოღვაწეობა, რითაც ამ უაღრესად განათლებულსა და კეთილშობილ პიროვნებას გამორჩეული ადგილი უჭირავს XIX საუკუნის ქუთაისის ცხოვრებაში.

დიმიტრი ნაზარიშვილი იყო პირველი ექიმი, რომელიც ხალხს მშობლიურ ენაზე დაელაპარაკა. არ ყოფილა რაიმე საქმე, საზოგადოებრივი საქმიანობის რომელიმე სფერო, სადაც მას მონაწილეობა არ მიეღოს.

1892 წელს დიმიტრიმ ქუთაისში დააარსა პირველი უფასო ამბულატორია ღარიბთათვის. ამ ამბულატორიის გამგედ იგი 25 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ მუშაობდა და სხვა ექიმების დახმარებით უფასო საექიმო დახმარებას უწევდა ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის მაზრის ღარიბ მოსახლეობას.

იგი 35 წლის განმავლობაში იყო ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანი და მუდამ მისი მუშაობის გაუმჯობესებისთვის ზრუნავდა. ოც წელზე მეტხანს იყო ქუთაისის თეატრის ექიმი; თხუთმეტი წელი საპატიო მსაჯულად იმსახურა, რამოდენიმე წელი წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის მასწავლებელიც იყო. მან დიდი წვლილი შეიტანა სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებაში.

დიმიტრი ნაზარიშვილის ინიციატივით დაარსდა ქუთაისში ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, რომლის მიზანს შეადგენდა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და ხალხში სამედიცინო მეცნიერების პოპულარიზაცია. 33 წლის მანძილზე დ. ნაზარიშვილმა დიდი შრომა და ენერგია შეალია რკინიგზელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ამიტომ მიმართეს 1923 წელს (საქმიანობის 45 წლისთავზე): „ღრმად პატივცემულო დიმიტრი ალექსის ძევ! დღევანდელ ღირსშესანიშნავ დღეს, თქვენი საექიმო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავზე, ქუთაისის რკინიგზელთა სახელით, რომელთა შორის თქვენ გაატარეთ რამოდენიმე ათეული წელი, აღფრთოვანებით და წრფელი გულით მოგესალმებით. სრულ 33 წელს თქვენ ატარებდით რკინიგზელი ექიმის მძიმე უღელს. მრავალფეროვანი და საპასუხისმგებლოა რკინიგზელი ექიმის მოვალეობანი. თქვენ კი, ყოფილი ერობის ექიმი, ზედმიწევნით მომზადებული იყავით ამგვარი მუშაობისთვის. მიუხედავათ ყოველგვარი სიძნელისა და დაბრკოლებისა, თქვენ არც ერთხელ არ გიღალატნიათ ექიმის წმინდა მოვალეობისათვის და ყოველ წამს მზად იყავით მიგეწოდებინათ ავადმყოფთათვის საექიმო დახმარება და შეგემსუბუქებინათ მათი ხორციელი და არაიშვიათი სულიერი ტკივილებიც... არა ათი და ასი, არამედ ათასობით თქვენის ხელით სიკვდილის ბრჭყალებიდან გამოგლეჯილნი, მადლობით იხსენიებენ ექიმ ნაზაროვის სახელს. რკინიგზელთ თავის დღეში არ დაავიწყდებათ ექიმი დ. ა. ნაზაროვი, რომელმაც 33 წელი გაატარა მათ შორის და მათი ჭირისა და ლხინის გაზიარებით.

ჩვენ, რკინიგზელები, მუდამ ვამაყობთ, რომ ჩვენი ექიმი ნაზაროვი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ საექიმო ასპარეზზე მოქმედებით, არამედ სიტყვითა თუ კალმით ცდილობდა გაეწია სამსახური მშრომელი ხალხისათვის. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თქვენი საზოგადო ასპარეზზე მრავალფეროვანი მოღვაწეობით... სავსებით დაიმსახურეთ დიდად საპატიო წოდება საზოგადო მოღვაწისა" [4.106].

დ. ნაზარიშვილის პირადი ინიციატივით 1890 წელს ქუთაისში დაარსდა I საექიმო-სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც იმ დროისათვის ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. იმ დროს დასავლეთ საქართველოსა და ქუთაისის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე მეტად უნუგეშო იყო. ქალაქში ყურადღება არ ექცეოდა სანიტარული წესრიგის დაცვას. მოსახლეობაში სხვადასხვა ინფექციური დაავადება გავრცელდა. ავადმყოფები მკურნალობდნენ კერძო ექიმებთან და ექიმბაშებთან. ამ დროს ჩაუდგა სათავეში დ. ნაზარიშვილი საექიმო-სამეცნიერო საზოგადოებას. იგი იგონებს: „...1890 წელს დაარსდა ექიმთა საზოგადოება, რომლის წესდება დიდი გაჭირვებითა და ხვეწნით დავამტკიცებინე მთავრობას პეტერბურგში. ამ საზოგადოებას მეცნიერული ხასიათის გარდა, მიზნად ჰქონდა ექიმების შეკავშირება და საერთო ძალით გუბერნიაში განსაკუთრებით სანიტარული მუშაობის გამართვა" [4.284].

1890 წელს ქუთაისში სამსონ თოფურიასა და დ. ნაზარიშვილის ინიციატივით გაიხსნა პირველი საავადმყოფო, რომელმაც დიდი როლი ითამაშა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში.

ამ დროსვე დიმიტრი ნაზარიშვილმა დაწერა მნიშვნელოვანი ნაშრომი — „შავი ჭირი და მასზე არსებული შეხედულებანი". 90-იან წლებში საქართველოს ქოლერის ეპიდემია მოედო, რამაც მოსახლეობის გაჭირვებული ფენები მეტად დააზარალა. ექიმი სპირიდონ ბოლქვაძე იგონებდა, რომ „ეპიდემიის გაჩენის შემდეგ დაარსებული უფასო ამბულატორია გათვალისწინებული იყო ქუთაისისა და დასავლეთ

საქართველოს უღარიბესი მოსახლეობის დასახმარებლად"-ო".

1892 წელს დიმიტრი ნაზარიშვილის ინიციატივით გაიხსნა უფასო სამკურნალო, რომლის გამგედ მან 25 წელი იმუშავა.

განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა დ. ნაზარიშვილმა წყალტუბოს წყლების სამკურნალო თვისებების შესწავლასა და აქ კურორტის გახსნის საქმეში. ამ წყლების საუკეთესო შემადგენლობა და დიდი სამკურნალო ძალა შეამჩნია ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა, ვ. ი. პეტრიაშვილმა 1905 წელს. შემდეგ, 1919 წელს კი, აღნიშნული წყლების ქიმიური შემადგენლობა შეისწავლა რ. დ. კუპცისმა და მათში რადიუმის არსებობა დაადგინა. 1915 წელს დ. ნაზარიშვილი პეტერბურგში სამედიცინო საზოგადოების წინაშე გამოვიდა მოხსენებით, რომელიც შემდეგ ცალკე შრომად დაიბეჭდა ქუთაისში [5.3]. პეტერბურგში წასვლამდე იგი ესაუბრა ამ წყლების მფლობელებს — იოსელიანებს, რომელთაც მის ფასად ყოველწლიურად იჯარის სახით 20 ათასი მანეთი მოითხოვეს, ხოლო გაყიდვის შემთხვევაში — 7,5 მილიონი მანეთი.

დ. ნაზარიშვილს პეტერბურგში დიდი დახმარება გაუწია ცნობილმა პროფესორმა სერგი პეტრეს ძე ფეოდოროვმა, რომლის ძმა ქუთაისში მუშაობდა სასამართლოს თავმჯდომარედ. ამის შესახებ პეტერბურგიდან დიმიტრი ოჯახს ასე სწერდა: „დღეს ყრილობა სწყვეტს მუშაობას და შემდეგ იწყება უკვე ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე სხვადასხვა სამინისტროებში. გუშინ ფეოდოროვმა მთხოვა, რომ მის გარეშე ეს საქმე არ დამეწყო. ერთი სიტყვით, იგი დიდ მონაწილეობას იღებს ამ საქმეში და, ვფიქრობ, რომ მივაღწევ, რომ მოგვცენ ფული წყალტუბოში ათასი კაცისთვის დროებითი ბარაკების მოსაწყობად და გზების გასაყვანად" [4.344].

პროფესორ ფეოდოროვთან დიმიტრი ნაზარიშვილის ურთიერთობისა და წყალტუბოს განაშენიანების რთულ საკითხზე საკმაოდ ვრცელ სურათს იძლევა მისი მეორე

წერილი ოჯახისადმი, რომელიც მან 1915 წლის 17 იანვარს გამოგზავნა:

„დღეს მე ვიყავი პროფესორ ს. ფეოდოროვის კლინიკაში... დიდ ოპერაციაზე. მან მე დამათვალიერებინა კლინიკა ექიმების, სტუდენტების, ექთნებისა და სხვების თანხლებით. ალბათ, ვინც მე არ მიცნობდა, შეეძლოთ ეფიქრათ, რომ იგი დამყვება მე, მინისტრის ტოლ პიროვნებას და ყველაფერი უნდა მომახსენოს. მიჩვენა მისი აუდიტორია, შესახვევი, საოპერაციო, სასტერილიზაციო, მუზეუმი. აქედან მან თავისი მანქანით წამიყვანა გინეკოლოგიურ ინსტიტუტში, რომლის ქირურგიულ განყოფილებასაც თავად განაგებს. აქ მუშაობენ საუკეთესო პროფესორები, რომლებიც გამაცნო. მათ ჩემდამი უდიდესი თავაზიანობა გამოიჩინეს, დამათვალიერებინეს თავიანთი განყოფილებები და მაძლევდნენ ახსნა-განმარტებებს, როგორც მეცნიერების რომელიმე „კორიფეს", რომელიც მოვლინებულია ზღვის გაღმიდან. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ პროფ. ფეოდოროვი, რომელსაც მე ვუწოდებ მეორე ქუთაისელს, უდიდეს მზრუნველობას იჩენს ჩვენს საქმეზე, მატარებს ხელის გულით, როგორც დიდად სათაყვანებელ საგანს. დათვალიერების შემდეგ ს. ფეოდოროვმა დამპატიჟა საუზმეზე. ოთხი დღის უკან მან მიმიპატიჟა რესტორან „მედვედში", სადაც შეკრებილნი იყვნენ, როგორც მან მითხრა, ჩემი საქმისთვის — წყალტუბოს საკითხთან დაკავშირებით მეტად საჭირო ხალხი. იყო დაახლოებით ორმოცი კაცი. მან შემიყვანა იმ საზოგადოებაში, სადაც იყვნენ მინისტრების მოადგილეები, აკადემიკოსები და ა. შ. 14 იანვარს მე დავპატიჟე ს. ფეოდოროვი თავის ასისტენტებით, პლუს დიმიტრი ზაქარიას ძე ჭიაბროვი, ანდრო ერისთავი, ჩემი ძმა ვასილი და რუსეთის რკინიგზის მთავარი ექიმი უსპენსკი. ს. ფეოდოროვის მანქანით მე წავედი ვასილევსკის კუნძულზე ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილე კონოვალოვთან, რომელთანაც 4 საათზე მქონდა დანიშნული შეხვედრა.

კონოვალოვმა მიმიღო მეტად თავაზიანად და მთელი

ორი საათი საუბრობდა ჩემთან ქუთაისისა და წყალტუბოს შესახებ, ძებნიდა საშუალებებს, თუ როგორ უნდა დაგვეწყო წყალტუბოს ექსპლოატაცია და ა. შ. მე დავიწყე იქედან, მივედი მასთან პირდაპირ ქუჩიდან და მან უნდა მიმიღოს, რომ მე არც ერთი რწმუნება არა მაქვს წყალტუბოს შესახებ, მხოლოდ გული შემტკივა როცა ვხედავ, რომ ასეთი საუცხოო წყაროები ისეთი ხალხის ხელშია, რომელთაც არაფერი შეუძლიათ გააკეთონ და სხვებსაც არ აძლევენ საშუალებას ისარგებლონ ამით. წამომიყენა მთელი რიგი გეგმებისა... შემპირდა ყოველგვარი დახმარება. ორი დღის შემდეგ კი, შეხვედრა მაქვს სხვებთან“ [4.345].

ბოლოს და ბოლოს, პროფ. ს. ფეოდოროვისა და სხვა გავლენიანი პირების შემწეობით, დ. ნაზარიშვილმა მიაღწია იმას, რომ პრინც ოლდენბურგსკის განკარგულებით წყალტუბოს კეთილმოწყობისათვის შედგენილ იქნა ხარჯთაღრიცხვა შვიდას სამოცდათხუთმეტი ათასი მანეთის ოდენობით. ამ თანხით წყალტუბოში უნდა აგებულიყო სააბაზანე შენობები, გზა — ქუთაისსა და წყალტუბოს შორის. მაგრამ, მიუხედავად დ. ნაზარიშვილის კიდევ მრავალი მცდელობისა, ეს საკითხი მაინც დაგვიანებით გადაწყდა.

დ. ნაზარიშვილმა დიდი როლი ითამაშა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი და ექიმ ვ. ლორთქიფანიძის ინიციატივით დაარსდა ქუთაისში წითელი ჯვრის სამალარიო დისპანსერი. ამ დაწესებულებას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რადგან იგი უფასოდ კურნავდა ავადმყოფებს. ამის შესახებ გაზეთი „მუშა“ 1926 წელს წერდა:

„ეს რა ბედნიერება მოგვივლინა ღმერთმა“ — ხშირად გაიგონებთ დისპანსერის შესახებ საქართველოს შორეული სოფლებიდან მოსული გლეხებიდან. ხსენებული დისპანსერის სათავეში ისეთ გამოცდილ ექიმთა ყოფნა, როგორებიცაა დ. ნაზაროვი და ვ. ლორთქიფანიძე, იშვიათის მუყაითობით შერჩეული მუშა-მოსამსახურეთა შტატი და წითელი ჯვრის ქუთაისის განყოფილების საქმიანობა — ყველაფერი ეს თავდებია, რომ ხსენებული სასარგებლო საქმე კვლავ მე-

ტად გაფართოვდება. და მით დაუფასებელ ღვაწლსა და სამსახურს გაუწევს დას. საქართველოს მუშებსა და მშრომელ გლეხკაცებს“ [6.1171].

35 წლის მანძილზე დიმიტრი ნაზარიშვილს ირჩევდნენ ქალაქის თვითმმართველობის ხმოსნად, სადაც იგი სასკოლო და სანიტარული კომისიის თავმჯდომარე იყო. იგი, როგორც დეპუტატი, იბრძოდა ქალაქის კეთილმოწყობისა და მისი მცხოვრებლების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ქალაქის გამწვანება, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა, სკოლებისა და კულტურულ დაწესებულებათა გაჯანსაღება, ქალაქში წყალსადენისა და კანალიზაციის მოწყობა, — ყველა ეს საკითხი თვითმმართველობაში დ. ნაზარიშვილის საზრუნავ საკითხს წარმოადგენდა. როგორც პირად გამოსვლებში, აგრეთვე პრესის ფურცლებზე არ ინდობდა და ულმობელი კრიტიკით გამოდიოდა თვითმმართველობის მუშაობის, ქალაქის გამგეობისა და ქალაქის თავის საქმიანობის ნაკლოვანი მხარეების შესახებ. ამიტომ, ზოგჯერ თავად ერეოდა და ცდილობდა ამ პოსტზე ღირსეული პიროვნების მოხვედრას. ასე შეეცადა იგი ქუთაისის ქალაქის თავად 1910 წელს ნიკო ნიკოლაძის არჩევას, მაგრამ ამაზე თავად ნ. ნიკოლაძემ თქვა უარი. დიმიტრი ნაზარიშვილისადმი მიწერილ წერილში ნიკოლაძე აღნიშნავს: „68 წლის ასაკში ისეთი დიდი საქმისათვის ხელის მოკიდება, როგორიც არის ქუთაისის ქალაქის თავობა, ჩემს მიერ გაუმართლებელი იქნება. მთელი ეს ე. წ. ბლოკი მტრული გააფთრებისა, თავს მესხმის. ეს მტრობა, ჩემს მიმართ, ბუნებრივია, გადატანილი იქნება ქალაქის საქმეებზე“. წერილი ფოთიდანაა გამოგზავნილი 1910 წლის 30 სექტემბერს [4.28].

დიმიტრი ნაზარიშვილი მონაწილეობდა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის მუშაობაშიც და მუდამ ამ დაწესებულების საზოგადოების ინტერესებისადმი დამორჩილებისათვის იბრძოდა.

საექიმო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად,

დ. ნაზარიშვილი იყო საინტერესო პუბლიცისტი და მოაზროვნე. იგი მრავალ პერიოდულ გამოცემასთან თანამშრომლობდა ფსევდონიმებით: „ია“, „ლომკირი“, „Наблюдатель“ და სხვა. თანამშრომლობდა გაზეთებში — „შრომა“, „ჩვენი ქვეყანა“, „Новое обозрение“, „Возрождение“, „მუშა“, „ერი“, „ეროვნული დემოკრატია“ და სხვა.

დიმიტრი ნაზარიშვილის პუბლიცისტურ წერილებში წამოყენებული საკითხები შეეხება საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებს, სამედიცინო საქმეებს. განსაკუთრებით თავისი იდეურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულებანი მან გაზეთ „შრომაში“ წარმოადგინა.

როგორც ვთქვით, ჯერ კიდევ სტუდენტობაში, დიმიტრი ნაზარიშვილი დაუახლოვდა ხალხოსნურ მოძრაობას და გაიზიარა მათი შეხედულებანი; ამით უნდა აიხსნას მის მიერ გაზეთ „შრომის“ დაარსების ინიციატივაც, რომელმაც გარშემო შემოიკრიბა ლიბერალ-ხალხოსანთა ერთი ჯგუფი. ეს გაზეთი იყო ლიბერალურ-ხალხოსნური მიმართულების ორგანო დასავლეთ საქართველოში. ეს იყო პირველი ქართული გაზეთი, რომელიც ქუთაისში დაარსდა [7.9].

1881 წელს დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანმა და დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილმა კავკასიის საცენზურო კომიტეტში აღძრეს საქმე ქუთაისში ყოველკვირეული გაზეთის „შრომის“ გამოცემის ნებართვის შესახებ. ეს თხოვნა დაკმაყოფილდა და 1881 წლის 21 ივლისს კავკასიის მეფისნაცვალმა ნება დართო ქუთაისის გუბერნატორს გაზეთის გამოცემაზე. გაზეთის გამოცემა, როგორც ეს ნებართვაში ეწერა, ევალებოდა დიმიტრი დადიანს, დ. ნაზარიშვილი კი ქუთაისის გუბერნატორის მიერ არაკეთილსაიმედო პირად იქნა დახასიათებული და იგი თუმცა რედაქტორ-გამომცემლად დატოვეს, მაგრამ უანდარმერიას დაევალა მასზე თვალყურის დევნება. გაზეთის ყოველი ნომერი უნდა გაგზავნილიყო კავკასიის საცენზურო კომიტეტში [8.25,26].

აი, როგორ წერდა ქუთაისის გუბერნატორი მეფის ნაცვალს დ. ნაზარიშვილზე:

„ექიმი ნაზარიშვილი ნაკლებად სანდო ადამიანია. ის დამკვიდრდა ქუთაისში ამ ორი-სამი წლის წინათ და, როგორც მე გავიგე, მოერიდა სამსახურს სამხედრო საექიმო უწყებაში, რათა მთავრობისათვის სამსახური არ გაეწია. საექიმო პრაქტიკასთან ერთად, ის ქალაქის დუმაში, სადაც ხმოსნადაა, ეწევა ოპოზიციურს, ამასთანავე სრულიად უსაფუძვლო აგიტაციას: ბანკის არჩევნები მას უნდა გამოიყენოს გაზეთის გამოცემის საქმეში და შესაძლოა სხვა უფრო ფარულსა და ბოროტმოქმედ წარმოებისათვის. ბანკის საქმეებში სერიოზული კონტროლის უქონლობის გამო, ეს განზრახვა სიმართლეს მოკლებული არ არის. აი, რაში გამოიხატება ბატონ ნაზარიშვილის ღია მოქმედება. მისი ნამდვილი მოქმედება კი, რომელიც პოლიციისა და ჟანდარმერიის შტაბ-ოფიცრის დაკვირვებას ვერ გამოეპარა, მოზრდილ გიმნაზიელთა შორის სრულიად უკიდურესი სოციალისტური თეორიის პროპაგანდაში გამოიხატება. რაც შეეხება პირველი მარტის ამბავს (იგულისხმება ალექსანდრე II-ის მკვლელობა), ნაზარიშვილმა ამის გამო დიდი აღტაცება გამოთქვა იმ პირის მიმართ, რომელმაც პირველად აცნობა მას ამ უბედურების შესახებ. მაგრამ ეს გარემოება საიდუმლოებას წარმოადგენს, რათა კომპრომეტირებული არ იქნას ის პირი, რომელიც დღესაც მას თვალყურს ადევნებს“.

დიმიტრი დადიანი იყო ცნობილი პუბლიცისტი, კარგი გვარიშვილი, მდიდარი, მთავრობისაგან საიმედო კაცად მიჩნეული. ამიტომაც წამოაყენეს მისი კანდიდატურა დ. ნაზარიშვილმა და „შრომის“ ირგვლივ შემოკრებილმა ხელმოკლე ახალგაზრდა ხალხოსნების ჯგუფმა. ამიტომ წერდა გუბერნატორი მეფისნაცვალს: „აქედან გამომდინარე, ჩემთვის გასაგებია, რომ დ. ნაზაროვი გაზეთის გამოცემისთვის ცდილობს მიეკედლოს დ. დადიანის რეპუტაციას და ისარგებლოს მისი ფულადი სახსრებით“.

გაზეთ „შრომაში“ გამოქვეყნებული დ. ნაზარიშვილის სტატიების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ლიბერალურ-ხალხოსნურ პოზიციაზე მდგარა.

„შრომის“ თანამშრომელთა ყურადღების ცენტრში იყო ხალხის კეთილდღეობა, ხალხთან დაახლოება, მათი მდგომარეობის შესწავლა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, ისინი მოითხოვდნენ ხალხთან მჭიდრო კავშირის დამყარებას: „მაშ, შევათანხმოთ, შევაერთოთ ჩვენი რწმენა მათ რწმენასთან, ჩვენი ცხოვრება მათ ცხოვრებასთან, ზოგი ჩვენ შევასწავლოთ და უმეტესად მათგან ვისწავლოთ, გადავდვათ თავი მათთან სულით და გულით შეკავშირებულად და მაშინ ჩვენ აჩქარებულის ნაბიჯით წავალთ ეკონომიურის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გონების და ზნეობის განვითარების გზაზედ“ — წერდა დ. ნაზარიშვილი [9.22]. საქართველოს მდგომარეობასთან ერთად, იგი იხილავდა რუსეთის სოფლების მდგომარეობას, აღწერდა, თუ რა ცუდ დღეში იყო რუსი გლეხი, აკრიტიკებდა თვითმპყრობელობას, რომელსაც არ შეეძლო არა თუ სხვა ხალხების მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ თვით რუსი ხალხიც ამ დღეში ჰყავდა.

გაზეთ „შრომის“ პუბლიცისტები და მათ შორის დ. ნაზარიშვილიც, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გამო და გლეხების ინტერესების დაცვასთან ერთად, თავდადებით იბრძოდნენ საქართველოს ეროვნული აღორძინებისათვის.

„შრომის“ ფურცლებზე დაბეჭდილმა ნაზარიშვილისა და სხვათა მთავრობის წინააღმდეგ მიმართულმა კორესპონდენციებმა, როგორც ეს საარქივო მასალებიდან ჩანს, გამოიწვია მთავრობის აღშფოთება და ეს გაზეთი გახდა კავკასიის საცენზურო კომიტეტისა და მთავარმმართებლის მსჯელობის საგანი. დაიწყო მისი შევიწროება. დააპატიმრეს ქუთაისელი ცენზორი — აბულაძე, ცენზურა თბილისში გადაიტანეს და იგი უსასტიკეს ლუკა ისარლოვს ჩააბარეს. ბოლოს კი, 1883 წლის 3 ივნისს „შრომის“ გამოცემა შეწყდა.

მთავრობისა და საზოგადოების ერთი ნაწილის უღირსი საქციელით შეწუხებული და აღშფოთებული დიმიტრი ნაზარიშვილი 1883 წლის 9 მაისს ნ. ნიკოლაძეს წერდა: „არ არის საჭირო, რომ მოგიყვანოთ მაგალითები ჩვენი საზოგადოების ცხოვრებიდან, ისინი თქვენთვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ არ შემიძლია, რომ არ გავიხსენო ჩვენი უბედური გაზეთის შესახებ, რომელსაც დღეს თუ ხვალ მოუღებენ ბოლოს. და იცით ვინ არის ამის მიზეზი? თვით ჩვენი საზოგადოება, რომელიც ჩვენი გაზეთის თითქმის ყოველი ნომრის გამოსვლის შემდეგ გზავნიდა ურიცხვ დასმენებს სხვადასხვა ორგანოებში. ზოგიერთნი, რომლებიც მანამდე, სანამ შეისწავლიდა ანბანის ამოკითხვას, ისწავლიდა სტრიქონებს შორის ამოეკითხა ის, რაც გამოსადეგია მხოლოდ დასმენისათვის. შედეგად მივიღეთ ის, რომ ცენზურა გადაიტანეს თბილისში და ახლა ბატონი ლუკა ისარლოვი შეუბრალებლად ანადგურებს ჩვენს ისედაც ნაკლებ შინაარსიან წერილებს. ჩვენთან საერთოდ ამგვარად ხდება... მაგრამ ყველა ამის გამო რომ დავკარგოთ რწმენა უკეთეს მომავალზე, ვთვლი არასაპატიო ცოდვათ. ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდა თაობისთვის, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო გაეკეთებინა მისთვის რაიმე... რაც შემეხება პირადათ მე, ამ ვითარებიდან გამომაქვს დასკვნა, რომ საჭიროა დაველოდო და დავზოგო საკუთარი ძალა, რომ უკეთეს დროს გამოვიყენო იგი და ის უკეთესი დრო შორს არ არის, ყოველ შემთხვევაში, მე ეგრე ვფიქრობ“ [4.347].

ექიმი დ. ნაზარიშვილი იყო სასტიკი მებრძოლი ერის გამრავლების შემაფერხებელი აბორტების მკეთებელი ექიმების წინააღმდეგ. მან საზოგადოებას გააცნო პრობლემა და მოუწოდა, ბოიკოტი გამოეცხადებინათ, უფრო მეტიც, ქუთაისიდან გაეძევებინათ ექიმი, რომელიც აბორტს აკეთებდა თავის კაბინეტში [4.86]. ის იბრძოდა, აგრეთვე, ქუთაისის საექიმო კადრების ღირსეული შევსებისათვის. უღირსი პიროვნება, მისი აზრით, არ შეიძლებოდა ხალხის ჯანმრთელობის დამცველი ყოფილიყო. ექიმი ევსევი ლოსაბერიძე იგონებს, თუ

რა დიდი ბრძოლა გაუმართეს მათ გუბერნიის მთავარი ექიმის თანამდებობაზე მყოფ ექიმ სეგალს, შეიტანეს განცხადება ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში მისი გადაყენების თაობაზე და მოითხოვეს თავიანთი არჩეული პირის დანიშვნა ამ ადგილზე [4.21].

დიმიტრი ნაზარიშვილის არქივში დაცულია საინტერესო მიმოწერა ცნობილ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. აქედან ვასკვნით, თუ რა გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა მას აკაკი წერეთელთან, კირილე ლორთქიფანიძესთან, ნიკო ნიკოლაძესთან და სხვებთან. განსაკუთრებით აღვნიშნავთ ნაზარიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის გამორჩეულ მეგობრობას, უსაზღვრო ერთგულებას ერთმანეთისადმი. ნიკო ნიკოლაძე მისადმი მიწერილ ყველა წერილს სწორედ ასე ამთავრებდა — შენი მარად ერთგული ნიკო ნიკოლაძეო. იგი დიდად ზრუნავდა დიმიტრიზე, მის სამსახურებრივ თუ ოჯახურ კეთილდღეობაზე.

„ძმაო დიმიტრი, — წერდა ნიკოლაძე დ. ნაზარიშვილს, — არ გეგონოს, თუ ღმერთი გწამს, რომ დავივიწყე შენი საქმე. მას აქეთ, რაც პარიჟიდამ დავბრუნდი, ისეთი თავბრუსსახვევი შრომა გვქონდა პრავლენიეში, რომ სწორედ წარმოუდგენელია. ვრუნეკოლიც გეტყოდა, იმედი მაქვს, თუ რამდენი ვწერეთ, ვიყბედეთ და ვიცოდვილეთ ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში. თუმც, ხშირათ მქონდა შემთხვევა, შენს საქმეზე მელაპარაკნა, ყველამ ასე მითხრა — მოიცა, რა დროს ამეებზე ლაპარაკიაო, ჯერ „переводочный средства" (sic) გავაკეთოთ და მერმე სხვაზედ ვიფიქროთო. ცხადია, როგორც იქნა, ამ საქმესაც მოვერიეთ და ამ ორ კვირეში ისიც დაბოლოვდება. მაშ, შენი თანამდებობის საქმეც ახლოა.

ხშირათ მინდოდა შემოვსულიყავ შენთან, მაგრამ ვერ მოვახერხე: ისეთი დაქანცული ვიყავი ხოლმე პეტერბურგში, როცა ვთავისუფლდებოდი შრომისაგან, რომ ძილის მეტი აღარა მახსოვდა რა — ან რა უნდა მეთქვა, რომ მოვსულიყავი. ამას გწერ და თან იმედიც მაქვს, რომ ამ დღეებში გნახავ.

შენი მეუღლე დიდის პატივით მომიკითხე
შენი ერთგული ნიკო ნიკოლაძე
გამოგზავნილია პავლოვსკიდან".

ნ. ნიკოლაძის რამდენიმე წერილი ეხება ქალაქის თავის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის წამოყენებას დ. ნაზარიშვილის მიერ. ის ერთ წერილში უარს უცხადებს მას ასაკის გამო, მეორე წერილში კი წერს: „ჩემო საყვარელო ძვირფასო დიმიტრი. მაპატიე, რომ პასუხი შენს წერილზე დამიგვიანდა. უამრავი სადავიდარაბო საქმე მაქვს მარგანეცის თათბირისა ქალაქის სხვა შემადგომლობათა გამო..." შემდეგ იგი პასუხს სცემს ნაზარიშვილს, რომელმაც სთხოვა — ეკისრა ქუთაისის ქალაქის თავის მოვალეობა. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ მას მთელი სულითა და გულით უნდა ემსახუროს ქუთაისს და მისი აზრით, უკეთესად მოემსახურება მას არა ქალაქის თავის როლში, არამედ რწმუნებულად... „აირჩიეთ ქალაქის თავად ვინც გსურთ, მე კი, თქვენთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ვიმუშავებ და გპირდებით — ქუთაისს გადავაქცევ მნიშვნელოვან სამრეწველო ქალაქად".

წერილი დაწერილია რუსულად და გამოგზავნილია პეტერბურგიდან 1910 წელს.

ნ. ნიკოლაძეს ხშირად ჭირდებოდა ნაზარიშვილის თანადგომაც ფოთის საქმეებში. ამაზე მისი ზოგიერთი წერილი კარგად მეტყველებს [4.30].

„ამ დღეებში ვიყავი ქუთაისში. შენ უკვე საწირეში იყავი წასული..." ნ. ნიკოლაძე თხოვს დ. ნაზარიშვილს იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, ფოთის ქალაქის თავის მოადგილედ გალაკტიონ აბესალომის ძე ტყემალაძის დასამტკიცებლად. ტყემალაძეს 1905 წლის რევოლუციის დროს მონაწილეობა მიუღია სტუდენტთა გაფიცვაში, რის გამოც მისთვის უარი უთქვამთ ქალაქის თავის მოადგილეობაზე. ნ. ნიკოლაძე არწმუნებს დიმიტრის, რომ ტყემალაძე ღირსეული პიროვნებაა და ის მათ ნდობას გაამართლებს. წერილი ფოთიდანაა გამოგზავნილი 1915 წელს [4.31]

პირად, ოჯახურ ურთიერთობაშიც ისინი ძალიან ახლოს იყვნენ, ერთმანეთისთვის ყოველგვარი დახმარების თხოვნა შეეძლოთ:

„ძმაო დიმიტრი, — წერს ნ. ნიკოლაძე ერთ წერილში დ. ნაზარიშვილს, — შენი ჭირიმე, დამავალე, მიდი ერობაში და შემიტყვე, მოუვიდა თუ არა მას მინათმოქმედების მინისტრის განკარგულება ჩემი ჯიხაიშის ეზოს შესახებ (მეორე განკარგულება), რომელიც გამოაგზავნეს ტფილისიდამ 28 ივლისს 1919 წელს. იმ განკარგულების ნომერს დეპეშით მოგწერენ ჯიხაიშიდან, თუ ძმა ხარ, თხოვე ჩემს მაგიერ, ის განკარგულება ზემლემერს გადასცენ ასასრულებლათ. 8 სექტ. 1919 წელი. შენი მარად ერთგული

ნიკო ნიკოლაძე."

დიმიტრი ნაზარიშვილის არქივში დაცულია ასევე რამდენიმე წერილი, რომელთა ადრესატები სხვა მოღვაწენი არიან. მაგ. დავით ლორთქიფანიძე; ქალაქის საქმეების საკრებულოში წარდგენილი განცხადებები და ახსნა-განმარტებანი, საჩივარი — გაგზავნილი ნ. ნიკოლაძის, როგორც ფოთის ქალაქის თავის მიერ, მმართველი სენატის I დეპარტამენტში და საგაზეთო წერილები, გაგზავნილი გაზ. „ვოზროჟდენიეს" რედაქციაში. ერთი ასეთი წერილია — „Горе имеет сердце", რომელიც პასუხია ამ გაზეთში დაბეჭდილი წერილისა — „Политика отцов и её последствие"-ს წინააღმდეგ.

დიმიტრი ნაზარიშვილმა ბევრი შრომა და ცდა ჩაატარა კავკასიაში ერობის დამკვიდრებისთვის. მას მოსწონდა რუსული ერობა და ქართული სოფლის განვითარების დიდ საშუალებად მიაჩნდა იგი. მან შეადგინა ნაშრომი — „ერობა კავკასიაში" და წარადგინა ქალაქის თვითმმართველობაში. ნაშრომი ექვსი ნაწილისგან შედგებოდა. მის პირველ წერილს ასეთი მინაწერი აქვს: „ბატონო კირილე, გიგზავნი ამ წერილს გადასახედავათ და თუ არ მოგაწყინე თავი, ჩვეულებრივი დახმარება აღმომიჩინე. ეს დიდი საინტერესო კითხვაა და მინდა აღვძრა კითხვა ამაზედ...

დ. ნაზაროვი".

ნაშრომს ეწოდებოდა „პროექტი უმთავრეს საფუძველთა წესდებისათვის ადგილობრივ სათემო მმართველობისა ქუთაისის გუბერნიაში“ და შემდეგი ნაწილებისგან შედგებოდა:

1. საერობო დაწესებულებათა ტერიტორია;
2. ორგანოები საერობო თვითმმართველობისა;
3. საერობო შემოსავალი;
4. საერობო დაწესებულებათა განსაგები საგნები;
5. ხარისხი საერობო დაწესებულებათა უფლებისა;
6. საერობო თვითმმართველობის კონტროლი.

ერობა, მისთვის ასე ნაცნობი და ახლობელი რუსეთის სინამდვილიდან, სადაც წლების მანძილზე უმოღვაწია, სამშობლოს აღორძინების, მისი კეთილდღეობის, მშრომელი გლეხობის უკეთ სამსახურის გამოხატულება იყო. რაც შეეხება ნაშრომში გადმოცემული მმართველობის სტრუქტურის ისტორიულ მნიშვნელობას, რუსული და ქართული სინამდვილის შედარებას, განჭვრეტას იმისას, თუ როგორ იხარებდა ერობა ქართულ ნიადაგზე, ამ თვალსაზრისით ნაზარიშვილის ნაშრომს, ალბათ, ბევრი ხარვეზი მოეძებნებოდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ ეს დაუღალავი მოღვაწე მარად მამულის კეთილდღეობისათვის ზრუნავდა, ყველგან და ყველაფერში მისი აღორძინების გზებს ეძებდა. აკი თავიანთ მიმართვებსა და მოგონებებშიც ამას იმეორებენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები. საამისოდ ექიმ სპირიდონ ბოლქვაძის ვრცელი მოგონებაც საკმარისია, სადაც სრულადაა ნაჩვენები ამ დიდი ადამიანის საქვეყნო ღვაწლი, პროფესიული თავდადება და საზოგადოებრივი დაუღალავი გარჯა. სპირიდონ ბოლქვაძე იგონებდა დიმიტრი ნაზარიშვილის ბრძოლას ქოლერისა და ციმბირის წყლულის წინააღმდეგ, ექიმ ჯინორიძესა და ვასილ წერეთელთან ერთად თავდადებას ამ საქმეში, უფასო მკურნალობას, სპეციალურად შექმნილი სამედიცინო კომისიის მუშაობას, სადაც ნაზარიშვილი ხელმძღვანელ როლს ასრულებდა. ეს გულმოწყალე და კეთილი ადამიანი რკინიგზელ მუშებსა თუ ტყიბულელ

მაღაროელებს დიდხანს უანგაროდ ემსახურებოდა.

განსაკუთრებით საინტერესოა ბოლქვაძის მოგონებათა ის ნაწილი, რომელიც კირილე ლორთქიფანიძეს ეხება. ნაზარიშვილების ოჯახში იგი განსაკუთრებულად უყვარდათ, აფასებდნენ და ზრუნავდნენ მისთვის. დიმიტრიმ იცოდა, რა დიდი პიროვნება იყო კირილე ლორთქიფანიძე, ილიადან დაწყებული ყველასათვის გამორჩეული იყო მისი ღვაწლი და დამსახურება და ამიტომ მისი ამაგის წარმოჩინებაც საჭიროდ მიაჩნდათ. თავად ის კი, საკუთარ საქმეებზე უბრალო წარმოდგენისა იყო, მისი ფოტოც კი არ მოეპოვებოდათ, თუმცა, ამის მიზეზი ადამიანური ფაქტორი ყოფილა: კირილე ლორთქიფანიძეს სტუდენტობისას პეტერბურგიდან დედისთვის სურათი გამოუგზავნია, რომელიც იმ დღეს გარდაცვლილა. იმ დღეს დაუფიცია — დღეიდან სურათს აღარ გადავიღებო. ბოლქვაძე აღწერდა, თუ როგორ „გულით სურდა დიმიტრის ამ ხარვეზის გამოსწორება“.

დიმიტრი ნაზარიშვილს, როგორც ბრწყინვალე ექიმსა და სახელოვან მამულიშვილს იგონებენ ექიმი იაკობ იოსების ძე ჩარექიშვილი, მასწავლებელი ელენე პეტრიაშვილი; მისი მოღვაწეობის 45 წლისთავზე გამოგზავნილ სიმონ ჯაფარიძის, ჩხიკვიშვილის, ბახტაძის, აბაშიძის, ამირეჯიბის, გამრეკელის, მუხაძის, სოლოვიოვისა და მედიცინის სხვა მუშაკთა დეპეშებიც ამაზე მეტყველებენ.

ძნელი და რთული იყო ასეთი სპეტაკი მამულიშვილის პირადი ცხოვრება. მუდმივი გასაჭირი, საზოგადოებისადმი სამსახურის სანაცვლოდ გულგრილობისა და გულისტკივილის მიგება — ეს ყველაფერი კარგად ჩანს ნაზარიშვილის არქივში დაცული მასალებიდან. 263-ე ნომრით არქივში დაცულია დ. ნაზარიშვილის თხოვნა, სადაც ვრცლადაა მოთხრობილი ის მძიმე მდგომარეობა, რაც მან ბოლო წლებში გადაიტანა. იგი აღნიშნავს, რომ 1921 წელს ოჯახის საჭიროებისათვის ქუთაისის საადგილმამულო ბანკში დააგირავა თავისი სახლი და მამული, რისთვისაც მიიღო 200 ათასი მანეთის საგირაო ფურცლები, მაგრამ ეს გირაოს ფურცლები ქუთაისის ბანკმა

არ დაახურდავა. ამჟამად ქუთაისში არის საიპოტექო განყოფილება, წერს იგი, რომელსაც მინდობილი აქვს ბანკში დაგირავებული მამულების ლიკვიდაცია. განყოფილებას მისთვის მიუცია ანგარიში, რომლის მიხედვით მას უნდა შეეტანა ოქროს ფულით 960 მანეთი, ე. ი. ერთი მილიარდი მანეთი ბონებით. დ. ნაზაროვი ითხოვს, გადაისინჯოს ეს საკითხი, რადგან მას არ გამოუყენებია საადგილმამულო ბანკიდან გამოტანილი ფურცლები: „ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ვშრომობდი, ყოველის მხრით ვზღუდავდი ჩემს მოთხოვნილებებს, ბევრს რასმე ვაკლებდი ოჯახს და შვილებს, რომ ბოლო დროს მქონოდა თავშესაფარი და მოხუცებულობის დროს სხვის კარზე არ ამომხდენოდა სული. ეხლა ვხედავ, რომ ჩემი სურვილი ვერ დავაკმაყოფილე და ორას ათას მანეთში მეკარგება ამდენი ვაი-ვაგლახით შეძენილი მამული. მეტს მე არას ვიტყვი ამის შესახებ და ვთხოულობ, რომ ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება ვისთანაც ჯერარს და მომცენ საშუალება, ჩემი უკანასკნელი დღენი გავატარო ჩემს შექმნილ კერიასთან და არ ვიქმნე მოსავლელი ჩემი მოხუცებული და უპატრონო დების...“ [4.263]

ეს კიდევ რა იყო. უარესი ელოდა. მას სახლში შეუვარდა და ძალით ბინა წაართვა ვიღაც სტუდენტმა — სოციალ-დემოკრატიული იდეებით შეპყრობილმა ვინმე მესხმა, რამაც საბოლოოდ შეარყია მისი სულიერი მდგომარეობა.

ავადმყოფ დ. ნაზარიშვილს ბევრი წერილი მოსდიოდა, უსურვებდნენ გამოჯანმრთელებას, ამხნევებდნენ, სთავაზობდნენ დახმარებას — მატერიალურსა თუ სამედიცინოს. გულთბილ წერილებს სწერდა პროფესორი გრიგოლ მუხაძე თბილისიდან:

„ძვირფასო დიმიტრი!

ძალიან ვწუხვარ, რომ მე პირადად ავადმყოფობის გამო ვერ შევძელი თქვენთან ჩამოსვლა. ძალიან მეწყინა თქვენი ავადმყოფობის ამბავი. ალეკო წულუკიძეც ავათ იყო და ამიტომ მისი წამოსვლა დაგვიანდა. ჩვენი საერთო აზრი და სურვილია თბილისში ჩამობრძანდეთ, აქ კარგად მოწყო-

ბილი ურولოგიური კაბინეტი გვაქვს და ცალკე ოთახში მოგანყობთ. თქვენს ავადმყოფობას დაკვირვება, სპეციალური გამოკვლევა და სპეციალური წამლობა ესაჭიროება და ყოველივე აქ უფრო კარგად ჩატარდება, ვიდრე ქუთაისში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი დახმარებით თქვენ ისევ გამოჯანმრთელდებით და თქვენთვის ჩვეულებრივ ახალგაზრდობას დაგიბრუნებთ.

კიდევ ბოდიშს გიხდით, რომ მე პირადათ ვერ გინახულეთ. გთხოვთ გაბედოთ და თქვენ ჩამობრძანდეთ ჩვენს კლინიკაში.

თქვენი პატივისმცემელი გრ. მუხაძე".

დიმიტრი ნაზარიშვილი 1927 წლის თებერვალში გარდაიცვალა. გაზეთებში გამოქვეყნდა სამგლოვიარო განცხადებები, დაიბეჭდა მისადმი მიძღვნილი ლექსები, წერილები და მოგონებები.

დიმიტრი ნაზარიშვილი თავისი დროის სახელოვანი მოღვაწე იყო. მრავალმხრივი ნიჭით, დაუღალავი ენერგიით სავსე მამულიშვილმა ბევრი კარგი საქმე გააკეთა და დიდი როლი ითამაშა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон. «Энциклопедический словарь», т. XX, 1897 г., С.-Петербург

2. Г. И. Арсеньев, В. А. Манасеин (Жизнь и деятельность – 1841-1901 г. г.), Москва, 1951 г.;

3. Д. А Назаров, Сибирская язва на людях в Новоладожском уезде, в волностях: Городищенской, Глажевской, солецкой и Тогодской в 1884 г., журн. "Врач", № 41, 1886 г., С-Петербург, стр. 2;

4. დ. ნაზარიშვილის არქივი 2176/106, 284, 288, 344, 345,

5. Д. А. Назаров, «Цхалтубские минеральные источники и государственно-общественное их знание», доклад, Кутаиси,1917г.

6. გაზეთი „მუშა“, 1926 წ., 1171

7. დ. გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბილისი, 1947 წ., გვ. 9

8. ცსსა, ფონდი 5/12, 1881, საქმე 6107, გვ. 25-26

9. გაზ. „შრომა“, 1882 წ. 22

კიტა აბაშიძე
(1870-1917)



კიტა აბაშიძისადმი მიძღვნილ ერთ პატარა წერილში კონსტანტინე გამსახურდია მას „ომახიან ვაჟკაცს, საქართველოსადმი გულანთებულ ოქროპირს, გულმართალს, შეუდარებელ და დიდ ერუდიტს“ უწოდებდა. გამოჩენილი მწერალი იხსენებდა ტრიბუნაზე შემდგარ კიტას, დიდ ორატორს, რომელსაც საქართველოს მტრების ხსენებაზე მრისხანების ცეცხლი უელავდა თვალებში. კიტას ორატორობაზე სხვებიც წერდნენ, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ქვარიანი მას „ქიათურის კატონს“ უწოდებდა. დიდ ტრიბუნად იხსენიებდნენ მას დავით კლდიაშვილი, გრიგოლ გველესიანი, სამსონ ფირცხალავა და სხვები. გამსახურდია არ მალავს, თუ როგორ ადევნებია ქუჩაში, ცამეტიოდე წლის ბიჭუნა ამ უბადლო რაინდს, როგორი ომახიანი შემართებით უხილავს ქუთაისის თეატრში ხშირად სიტყვით გამოსული კიტა. კონსტანტინე გამსახურდია მას ილიას ერთგულ მიმდევრად, მისი იდეების დამცველად მიიჩნევდა. მის გვერდით იხსენიებდა იასონ ბაქრაძეს, სილოვან ხუნდაძესა და გიორგი ზდანოვიჩს, – კიტა აბაშიძის ერთგულ მეგობრებსა და თანამოაზრეებს. მათთან ერთად იოსებ ოცხელს, სახელოვან პედაგოგსა და ახალგაზრდების სულიერ მოძღვარს ასახელებდა. გამსახურდია წერდა ქუთაისში ახალგაზრდა „ცხრამუხელების“ ჯგუფის შექმნაზე, რომელთაც მიზნად დიდი ილ-

იას მკვლელების დასჯა ჰქონიათ. ამ ახალგაზრდებს ვინ-ვინ და კიტა აბაშიძეზე კარგი სხვა ვინ ეყოლებოდათ, მან ხომ დაურიდებელი, პირდაპირი და გამანადგურებელი პასუხი გასცა ილიას მკვლელებს თავის დროის ყველაზე მწვავე პუბლიცისტურ წერილში: „ჯვარს აცვ ეგე". სწორედ კიტა აბაშიძეს დაუშოშმინებია ეს ახალგაზრდები, ურჩევია მათთვის, რომ ფიზიკურად კი არა, სულიერად გაენადგურებინათ დიდი ილიას მკვლელები. მწერალი იხსენებდა კიტასთან მეგობრობას, რასაც უფროს-უმცროსობის ზღვარი არასოდეს წაუშლია, იხსენებდა მის სხვა დარიგებასაც, იმ დროს „ულტრაეროვნულ" გამსახურდიასა და მის მეგობარ „ცხრამუხელებზე" ზეგავლენას. „ჩვენ უნდა შევეცადოთ ჩვენი მეზობელი ხალხების მოწინავე ინტელიგენციასთან დავამყაროთ საუკეთესო ურთიერთობა"-ო, – ამით ცდილობდა კიტა აბაშიძე ურთიერთობის ნორმალურად წარმართვას თუ გნებავთ სომეხ-ქართველთა შორის, რაც ასე დაძაბული იყო იმ დროს, როდესაც კიტა აბაშიძე პეტერბურგში იყო (1912 წ.) და აქ მას ახალგაზრდა გამსახურდია შეხვდა. კონსტანტინე ამ შეხვედრაზე წერს: „მე მაშინ ნამეტნავად უკიდურესი „ულტრა" ვიყავი და ჯერაც არ მესმოდა, რომ იდეები ზოგჯერ ღვინოსა ჰგვანან: თუ მომეტებულად მიირთვი, უთუოდ გავნებს.[1]

გამსახურდია კიტა აბაშიძეს დიდ კრიტიკოსად მიიჩნევდა, ამბობდა, რომ ბევრი თაობა მოვიდა ლიტერატურის ისტორიასა და კრიტიკაში, მაგრამ კიტა აბაშიძის „დადგენილ სამანებს" ძვრა ვერავინ უყო. თუმცა დიდი მწერალი აკრიტიკებდა კიდეც მას. მიაჩნდა, რომ მცდარი იყო ფრანგი კრიტიკოსის – ფერდინანდ ბრუნეტიერის მიერ კიტასგან ათვისებული და გაზიარებული ე. წ. „განვითარების თეორია". გამსახურდია თვლიდა, რომ ასეთი თეორია ლიტერატურასა და ხელოვნებაში არ მუშაობდა და ვერც იმუშავებდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, ჰომეროსი, რუსთაველი, შექსპირი და სხვა გენიოსები – თავის შემდეგ უფრო დიდებს წარმოშობდნენ.

კიტა აბაშიძეს გამსახურდია საყვედურობდა მედროვე მწერლების გადამეტებულ შეფასებაშიც, თვლიდა, რომ ეს

ათამამებდა ამ საშუალო ნიჭის ადამიანებს და „ისე მჭიდროდ უსხდებოდნენ მწერლობის გაშლილ სუფრას, რომ ნამდვილი ჯვრისმტვირთველნი და ჭირისუფალნი მწერლობისა ლამისაა ტალანში დაეტოვებინათ". იყო და არის ამ კრიტიკაში სიმართლის მარცვალი. ან კი, რომელი შემფასებელი არ მოხვედრილა ასეთ გაუგებრობაში. თუ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და მთელი XIX-XX ს.ს-ის დასაწყისის კლასიკა შეუმცდარად შეაფასა კიტა აბაშიძემ, განა შეიძლებოდა მას „შეშლოდა" თანამედროვე „წვრილფეხა პოეტთა" შეფასებაში რაიმე, იქნებ, უბრალოდ, დაზოგა ისინი, ან, იძულებული იყო შეერბილებინა კრიტიკული აზრი მათ მიმართ. პიროვნული მომენტიც ხომ ჩვენში, ხშირად, ძალზე ბევრს განაპირობებს!..

საბოლოოდ ხომ გამსახურდია კიტა აბაშიძეს დიდ მასწავლებლად მიიჩნევს, რომლისგანაც მომავალი თაობები ბევრს ისწავლიდნენ როგორც მოაზროვნის, მამულიშვილისა და ერის პატრიოტისაგან.

კიტა აბაშიძე წერდა „ერთი პილატეთაგანის" ფსევდონიმით. ამით მან სცადა ერის ზნეობრივი გამოფხიზლება, პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის გაცნობიერება და ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობის სწორი გზით წარმართვა. ამიტომ იგი არა მარტო დიდი მოაზროვნეა, არამედ დიდი მოღვაწეც. მისი სულიერი მემკვიდრეობისა და პრაქტიკული ნაღვაწის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის, ქართველი ერის სულიერი ცხოვრების სრულყოფილი შესწავლისათვის.

კიტა აბაშიძის დიდ დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ქართული კულტურის ე. წ. „ევროპეიზაციის" პროცესის წარმართვა XX საუკუნის I ოცწლეულში. მას ჰქონდა სიახლეთა შეგრძნებისა და უტყუარი შეფასების ნიჭი, რითაც მან „ახალი სიტყვის უბადლო ოსტატებად" აღიარა ამ დროის გამოჩენილ მოღვაწეთა მიერ შერისხული „ცისფერყანწელთა" ლიტერატურული ჯგუფი და თავისი წერილებითა და საჯარო გამოსვლებით აჩვენა მათი შემოქმედების დიდი მხატვრულ-კულტურული ღირებულება.

იგი თავადაც ახალი ტიპის მოაზროვნე იყო და არამარტო ქართული ლიტერატურული კრიტიკა გადაიყვანა ემოციური სამყაროდან ღრმა მეცნიერულ-ანალიტიკური კვლევის სფეროში, არამედ ისტორიული პროცესებისა და საზოგადოებრივი მოვლენების შეფასებაშიც სრულიად ახალი მიდგომა გამოიჩინა და ბევრი პროცესი თანამედროვე ისტორიოგრაფიისთვის საინტერესოდ შეაფასა. თუ ზოგჯერ ვერ დავეთანხმებით ამ დიდ მამულიშვილს ზოგიერთ რამეში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას მიუღებლად მიაჩნდა ყველაფერი, რაც საქართველოს ერთიანობას, დამოუკიდებლობასა და მტკიცე სახელმწიფოებრიობას უშლიდა ხელს და მხოლოდ ამ შემთხვევაში ივიწყებდა მოვლენების მისთვის ჩვეული ღრმა ფსიქო-ანალიტიკური კვლევის მეთოდს. ზოგჯერ კი, მისგან წამოსული არაპოპულარული თვალსაზრისი, უბრალო ტაქტიკას წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გასამარტივებლად.

კიტა აბაშიძის მოღვაწეობის ჟამს დიდი დატვირთვა ჰქონდა სიტყვას – „პიროვნება". საზოგადოებას ჭირდებოდა ზნეობრივი გმირები, რადგან დაშლილ-დაქუცმაცებული ეროვნული მეობა ასეთი გმირებისაგან დულაბდებოდა. კიტა აბაშიძეც ასეთი იყო: დიდი პატრიოტი, უაღრესად განათლებული, ოჯახიშვილი, კარგი მოქართულე და ორატორი, უპირველესად საზოგადოებრივი ინტერესის ჩამთვლელი და არა პირადის, პატიოსნების ნიმუში, ბილწთან შეურიგებელი და ზავის არდამდები კაცი, რომელიც ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი გაკვეთილით ცხოვრობდა და სხვებსაც აქეთკენ მოუწოდებდა. თანამედროვეთა გადმოცემით, იყო ჯიუტიც, საკუთარი აზრის ბოლომდე დამცველი, თუგინდ ეს აზრი სიმართლესთან ახლოს არ ყოფილიყო, რწმენის მიხედვით ეკამათებოდა დიდ ავტორიტეტებსაც, მაგალითად: აკაკის, ნიკო ნიკოლაძეს. ნიკო ნიკოლაძეს იმდენად არ ერიდებოდა, ფოთის მასშტაბის მოღვაწედაც კი იხსენიებდა, ზდანოვიჩ-ნიკოლაძის დავაში მორალური პასუხისმგებლობა არ აძლევდა უფლებას ძველი მეგობრის, თანამებრძოლისა და თანა-

მოაზრის – გიორგი ზდანოვიჩისათვის ეღალატა, — თუმცა უამისოდაც ზდანოვიჩის შეხედულებებს იზიარებდა არა მარტო სამსახურებრივ, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებშიც.

გარდა სოლიდური ლიტერატურული მემკვიდრეობისა და ლიტერატურათმცოდნეობაში კვლევის სრულიად ახალი ხერხების დამკვიდრებისა, კიტა აბაშიძემ დიდი კვალი დატოვა საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაშიც. მისი პუბლიცისტური წერილები გაჟღენთილია ეროვნული სულით, მოიცავს ორი რთული საუკუნის მიჯნაზე არსებული ეროვნული პრობლემების მთელ სპექტრს და გამოირჩევა ობიექტური კვლევის ნიშნით, მოვლენების სწორი შეფასების უნარით.

კიტა აბაშიძისა და მისი თანამედროვე ქართველი მოაზროვნეების დამოკიდებულება ეროვნული და საკაცობრიო ფასეულობებისადმი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქართული მენტალიტეტი და ჯანსაღი ნაციონალიზმი განსაკუთრებულად გამოჩნდა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში, სხვადასხვა პარტიულ და იდეოლოგიურ შეჯახებათა ჟამს. ეს შეჯახება უბრალო არ ყოფილა, ის ნამდვილი ომი იყო, რომლის უკან იმპერია დამ ის წიაღში აღზრდილი ანტიქართული ძალა იდგა. ის ჭრიდა საქართველოს „ხეს", რომელსაც „ნაფოტებად" ცვიოდნენ პატრიოტები. რევოლუცია ანგრევდა არა მარტო ძველს, არამედ ტრადიციულს, ეროვნულ სიმდიდრესაც. ამ ვითარებაში ნათლად უნდა გამოკვეთილიყო ინტელიგენციის პოზიცია. ილიას მკვლელობამ ამის აუცილებლობა კიდევ უფრო გაამძაფრა. ვაჟა-ფშაველასა და კიტა აბაშიძის წერილებს — „ნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი" და „ჯვარს აცვ ეგე" — ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი გზის განსაზღვრისათვის, ეროვნული ენერგიის სწორი კალაპოტით წარმართვისათვის. უამისოდ, ქართული საზოგადოება დაკარგავდა „მამულისა წესისაებრ სვლის" ორიენტირს.

მართალია, კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტი-

კური შეხედულებანი ნაწილობრივ შესწავლილია, მაგრამ ამ საოცრად კოლორიტული და თავისებური მოაზროვნის შეხედულებათა ახლებური გააზრება ყოველთვის იქნება შესაძლებელი, იმდენად მრავალფეროვანია და ღრმა მისი ნაწერები. მათი დიდი ნაწილი ჯეროვნად არაა შესწავლილი და შეფასებული. ძირითადად ესაა: საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე გამოთქმული კრიტიკოსის შეხედულებები, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის თემა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, რუსეთის კოლონიური რეჟიმისადმი ქართველი ინტელიგენციისა და, კერძოდ, კიტა აბაშიძის დამოკიდებულება. კიტა აბაშიძის არაორდინალური პიროვნება ხშირად იყო ქება-დიდებისა თუ კრიტიკის საგანი, ამიტომ მასზე მოგონებები მრავლადაა დაცული ქართველ მოაზროვნეთა ნაწერებში, ესენია: ივანე ზურაბიშვილის მოგონებების წიგნი — „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის[2], სერგო გერსამიას — „მოგონებები"[3], დავით კლდიაშვილის — „ჩემი ცხოვრების გზაზე[4], გიორგი ლასხიშვილის[5] და ვასილ წერეთლის მემუარები[6], (კონსტანტინე გამსახურდიას მოგონება კიტა აბაშიძეზე[7], ასევე მის შესახებ გარკვეული ეპიზოდების გახსენებას ვხვდებით: სამსონ ფირცხალავას[8], ზურაბ ავალიშვილის[9], სიკო ფაშალიშვილის[10], ფუცუ დგებუაძე-ფულარიას[11] ნაწერებში.

საარქივო მასალებიდან, რომელიც კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ შეხედულებებს გვაცნობს, განსაკუთრებით აღსანიშნავია – საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი, სადაც ინახება ივანე ჯავახიშვილის და კ. აბაშიძის პირადი მიმოწერა[12]. ასევე, საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაცული კიტა აბაშიძის წერილები იოსებ ფანცხავასადმი, რაც ეხებოდა კიტა აბაშიძის თანამშრომლობას მაშინდელ პრესაში: გაზეთებში – „ივერია" და „ცნობის ფურცელი", ჟურნალ „მოამბეში"[13]. კიტა აბაშიძის წერილები დაცულია ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ზდანოვიჩის

არქივში, ეს წერილები, მართალია, ძირითადად შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ეხება, მაგრამ მათში იკითხება ამ დიდი მოღვაწის დამოკიდებულება ამდროინდელი საზოგადოებრივი მოვლენებისადმი, მისი პირადი ცხოვრების საინტერესო დეტალები[14].

ასევე მის შესახებ ბევრი საარქივო მასალაა დაცული საქართველოს სახელმწიფო არქივის ფონდებში. ესენია: კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის არქივი (ფონდი 13), თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის მმართველობა (ფ. 153), ამიერკავკასიის რკინიგზათა ქუთაისის ჟანდარმერიის პოლიციის მმართველობა (ფონდი 164), ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) ფონდში (2080); ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში: ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ფონდში (94), ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ფონდში (ფ. 139);

კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები შეისწავლა და საკანდიდატო დისერტაციად დაიცვა კახაბერ ქებულაძემ[15].

ჩვენ არ ვეხებით იმ უამრავ ლიტერატურას, რაც კიტა აბაშიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ეხება.

კიტა აბაშიძეს სასტიკად აკრიტიკებდნენ მარქსისტები. ფილიპე მახარაძემ მთლიანად უარყოფითად შეაფასა მისი პოლიტიკური მრწამსი[16]. აკაკი წერეთელსა და კიტა აბაშიძეს შორის გამართულ პოლემიკაში მას ადანაშაულებდა მელიტონ გობეჩია, კიტა აბაშიძის კრიტიკოსთა შორის იყო სიმონ ქვარიანი და XX საუკუნის დასაწყისის ბევრი პუბლიცისტი[17]. ამ კრიტიკის დეტალები ობიექტურად გასაანალიზებელი და დღევანდელი პოზიციიდანაა შესაფასებელი.

კიტა აბაშიძე დაიბადა 1870 წელს გურიაში, სოფელ ლესაში.

კიტა აბაშიძის ნამდვილი სახელი ივანე იყო, მაგრამ მას მთელი ცხოვრება შერჩა ბავშვობაში შერქმეული სახელი – კიტა. ეს სახელი მამამ შეარქვა, რომელიც სულ ახალგაზრდა



კაცხის მონასტერი, აბაშიძეთა საგვარეულო სასაფლაო

– 28 წლისა გარდაიცვალა ოდესის საავადმყოფოში, მაგრამ მოასწრო გარკვეული როლი ეთამაშა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 21 წლის გიორგი აბაშიძე – 1867 წელს დაინიშნა რაჭის მაზრის მომრიგებელ-შუამავლად და რომ არა ნაადრევი ტრაგიკული სიკვდილი, მისი და კიტას ცხოვრება სრულიად სხვაგვარად წარიმართებოდა. კიტას დედა – სოფიო გურიელი – პოეტ მამია გურიელის და, მეტად სათნო ადამიანი ყოფილა. მის შესახებ ივანე ზურაბიშვილი, მოგონებაში – „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის" – წერდა: „არის მხოლოდ ერთი სიტყვა, რომელიც სავსებით ახასი-

ათებს ამ არსებას, ეს არის წმინდანი. თუ მოიპოვება მიწიერთა შორის სულისა და გულის სიწმინდე, კაცთმოყვარეობის ისეთი ღრმა გრძნობა, რომლისთვისაც გაუგებარია თვით ცნება ბოროტებისა, ეს არის კიტას დედა. ამან ჩაუდგა სული კიტას, ამან აღზარდა მასში ის სათნოება და სიყვარული, ის სინაზე და მგრძნობიარე გული, ის მაღალი სული, რომლითაც გვხიბლავდა ჩვენ ჩვენი დაუვიწყარი კიტა". 25 წლის ქვრივად დარჩენილმა ქალმა ყველაფერი შესწირა შვილს, ხოლო, როდესაც კიტა აბაშიძე, 57 წლის ასაკში გარდაიცვალა, უბედურმა დედამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მამის სიკვდილის შემდეგ, როდესაც გიორგი აბაშიძე კაცხის საგვარეულო სასაფლაოს მიაბარეს, ოჯახიც კაცხში გადავიდა საცხოვრებლად. აქ მის აღზრდაში მონაწილეობდა გაუთხოვარი მამიდა და აბაშიძეების კარის მღვდელი – პეტრე მოდებაძე. მან აზიარა ყმაწვილი წმინდა წიგნებს და დიდი როლი ითამაშა მის სულიერ ფორმირებაში.

კიტა აბაშიძე ცხრა წლის შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. გიმნაზიაში გამეფებული ველიკოდერჟავული რეჟიმის გამო მოწაფეებს გაულახავთ პანსიონის ერთ-ერთი აღმზრდელი, რაც კიტას დაბრალდა და გარიცხეს გიმნაზიიდან. დედამისი ჩასულა ქუთაისში და გავლენიანი ნათესავების დახმარებით აღუდგენია შვილი, რაშიც კლასიკური გიმნაზიის დირექტორი – სტოიანოვიც დახმარებია.[18]

1889 წელს, გიმნაზიის წარმატებით დასრულების შემდეგ, კიტა აბაშიძე 10 თვით პარიზს გაემგზავრა, ამაში მას დეიდაშვილი – ეკატერინე თავდგირიძე და მისი მეუღლე, ცნობილი მეცნიერი ვასილ პეტრიაშვილი დაეხმარა. პარიზიდან დაბრუნებულმა სწავლა გააგრძელა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1895 წელს დაასრულა. მუშაობა დაიწყო თბილისის საკონტროლო პალატაში, შემდეგ მამის ყოფილი სამსახური ერგო – რაჭის მაზრის მომრიგებელ-შუამავლობა, 1899-900 წლებში შორაპნის მაზრაში გადმოიყვანეს იმავე თანამდებობაზე, 1901 წლიდან კი – ჭი-

ათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ჩაუდგა სათავეში, ჯერ საბჭოს „საურთიერთო ნდობის ბანკის“ თავმჯდომარე იყო, შემდეგ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბოლოს თავმჯდომარე. ეს იყო ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე, რისთვისაც ხშირად აკრიტიკებდნენ კიტა აბაშიძეს. მისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო შავი ქვის წარმოების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის – აკაკის — წინააღმდეგ გამართული პოლემიკა.

იქორწინა 1898 წელს – ვახტანგ ორბელიანის შვილიშვილზე, ნიკოლოზ ორბელიანის ასულ თეკლეზე, რომლის უმცროსი და ცოლად ჰყავდა ივანე ჯავახიშვილს. კიტასა და თეკლეს ოთხი შვილი შეეძინათ – სამი ვაჟი და ერთი ასული. უფროსი ვაჟი, რომელსაც მამის სახელი – გიორგი დაარქვა, ტრაგიკულად დაიღუპა 1924 წელს.

კიტა აბაშიძემ პუბლიცისტური მოღვაწეობა „ივერიაში“ დაიწყო და გააგრძელა სხვა პრესაში. როდესაც ეროვნული მიმართულების პირველი პარტია – სოციალისტ-ფედერალისტური პარტია შეიქმნა და დაუპირისპირდა სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებას, კიტა აბაშიძე მაშინვე ამ პარტიის წევრი გახდა. მთელი მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების კრედო იმაში მდგომარეობდა, რომ იგი აგრძელებდა დიდი ილიასა და სამოციანელთა იდეურ შეხედულებებს, ცხოვრებაშიც ამ იდეების პრაქტიკულ განხორციელებას ესწრაფვოდა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კიტა აბაშიძე იყო სოციალისტური იდეოლოგიის ერთგული, ისევე, როგორც მის ბევრ თანამოაზრეს, მასაც ღრმად სწამდა, რომ ქართველი ხალხის სოციალური კეთილდღეობის მოპოვება და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა გახდებოდა დამოუკიდებლობის აღდგენისა და ბედნიერი მომავლის საწინდარი. მისი თანამოაზრეები და თანამებრძოლები იყვნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორიცაა: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ზდანოვიჩი, გიორგი ლასხიშვილი, იოსებ ფანცხავა, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, სამსონ ფირცხალავა, გიორგი დეკანოზიშვილი, ივანე ზურაბიშვილი, გრიგოლ გველესიანი და სხვ.

1905 წლის რევოლუციის დროს კ. აბაშიძე დააპატიმრეს, როგორც ჭიათურაში მომხდარი არეულობების ხელმძღვანელი,[19] მაგრამ მალე გაათავისუფლეს, თუმცა ჟანდარმერიამ იგი მუდმივ აღრიცხვაზე აიყვანა, როგორც ცარისტული რეჟიმის საწინააღმდეგოდ განწყობილი „უკიდურესი შეხედულებების მქონე".[20]

კიტა აბაშიძე 1907 და 1912 წელს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატად დასახელდა, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდა.

1909 წელს იგი კვლავ დააპატიმრეს ქუთაისში გამართულ თავადაზნაურთა კრებაში მონაწილეობისათვის, სადაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი დაისვა. იგი იყო წ. კ. გ. საზოგადოების ჭიათურის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მუდმივად მონაწილეობდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობაში, რომელიც 1909 წელს დაარსდა და რომლის თამჯდომარე იყო ჯერ გერონტი ქიქოძე, შემდეგ კი ალექსანდრე გარსევანიშვილი. სახალხო უნივერსიტეტში კიტა აბაშიძე კითხულობდა ლექციებს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა შესახებ. ის იყო დიდი პროფესიონალი და ამ დროის მოწინავე კრიტიკოსი, რომელიც სწორად აფასებდა ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ პროცესებს. მისი ლექცია – „ვახტანგ ორბელიანი და გიორგი ერისთავი" საზოგადოებას დიდი ინტერესით მიუღია.[21]

კ. აბაშიძე აქტიურად თანამშრომლობდა ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან, დრამატულ საზოგადოებასთან, მისი ინიციატივით ჩატარდა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა I ყრილობა 1914 წელს, დაარსდა „საქართველოს კულტურულ საზოგადოებათა კავშირი", თავმჯდომარეობდა ქუთაისის საზოგადოებას – „სინათლე", შემწეობას უწევდა ყველა საზოგადოებრივ საქმეს.

განსაკუთრებით გამოჩნდა მისი ნიჭი და სიახლის შეფასების უნარი ცისფერყანწელებისადმი დამოკიდებულე-

კიტა აბაშიძე ქართველ მოღვაწეებთან. მარცხნიდან:
ნიკო თავდგირიძე, კიტა აბაშიძე, ივანე ზურაბიშვილი,
იაკობ ფანცხავა, ვლადიმერ ლორთქიფანიძე

ბაში, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი გადაიმტერა ახალი ლიტერატურული თაობის მხარდაჭერის გამო.

სერგო გერსამიას მოგონებებში ხაზი აქვს გასმული კიტა აბაშიძის დიდ ორატორულ ნიჭს, მის „ოქროპირობას".[22]

კიტა აბაშიძის ბუნებას დავით კლდიაშვილი „ავთანდილურს" უწოდებდა.

კიტა აბაშიძე აღფრთოვანებით შეეგება რუსეთის დანგრევას, მას დიდად აფასებდნენ რუსი სოციალ-დემოკრატე-

ბიც, ამიტომ შეიყვანეს კერენსკიმ და ლვოვმა ამიერკავკასიის კომისარიატის ხელმძღვანელობაში. იგი ამ თანამდებობაზე გარდაიცვალა კიდეც, 1917 წლის 19 დეკემბერს, ხერხემლის ტუბერკულოზით. დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების გარკვევისას, უპირველესად, დასაზუსტებელია ერთი რამ: იყო თუ არა ის სოციალისტური იდეოლოგიის ერთგული. მისდამი მიძღვნილ ნაშრომებში ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ კ. აბაშიძე უფრო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას თანაუგრძნობდა, როგორც მისი ნათესავი და მეგობარი – ივანე ჯავახიშვილი. მაშ, რატომ არ გადადგა მან ნაბიჯი ან ეროვნულ-დემოკრატიულ ჯგუფში ჩაწერის, ან მათ პრესაში მოღვაწეობისაკენ? ანდა, რად არ გააპროტესტა შემოთავაზება, როდესაც 1917 წელს, ოზაკომის წევრობისას, უდეპეშა ლვოვმა: თქვენი საბჭოში ყოფნა აუცილებელია, მთავრობა აუცილებელ საჭიროებად თვლის კავკასიის მოწესრიგებაში მონაწილეობა მიიღოს ორივე სოციალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლობამო. როგორც ჩანს, კიტა აბაშიძე ევროპული ტიპის სოციალიზმს მაინც თანაუგრძნობდა, თუმცა ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიაც ასე ახლოს იყო მასთან, ვერ ხედავდა რაიმე წინააღმდეგობას ამ ორ იდეურ მიმდინარეობას შორის. ამიტომ იყო „ცნობის ფურცლისა“ და „მოამბის“ ყიდვის მსურველიც მას შემდეგ, როდესაც ვერ შეძლო ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ყიდვა. ის ხშირად აკრიტიკებდა არა მარტო სოციალ-დემოკრატებს, არამედ სოციალისტ-ფედერალისტებსაც, თუკი პიროვნების საქმიანობას ქვეყნისთვის მიუღებლად მიიჩნევდა. კიტა აბაშიძე თავის წერილებში იაკობ ფანცხავასადმი სულ იმას წუწუნებდა და ამტკიცებდა, გიორგი ლასხიშვილთან ერთ გაზეთში ვერ ვიმუშავებ, რადგან ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა, ის უფრო „მესამედასელია“-ო. გ. ლასხიშვილს ბოლომდე არ წირავდა და ამბობდა, მაინც ყველას ჯობიაო. ეს „ყველას“ ნოე ჟორდანია და ვიღაც ახნაზაროვი იყო. „თავისუფლების ლიგის“ 1893

წლის II ყრილობაზეც მისი სიტყვა იმდენად ეროვნული და პატრიოტული ყოფილა, რომ ივანე ზურაბიშვილი იგონებდა: „კიტა კლდესავით მაგარი და შეურყეველი იყო თავის მაღალ რწმენაში“-ო.[23] კიტა აბაშიძის ერთგულებას სოციალისტური იდეოლოგიისადმი ცხადყოფს გიორგი ზდანოვიჩისადმი მიწერილი მისი წერილები.

კიტა აბაშიძე იყო „ივერიის“ თანამშრომელი და მისი შესყიდვის მსურველი, ეს გაზეთი კი XX საუკუნის დასაწყისშიც გამოკვეთილ დემოკრატიულ პოზიციაზე იდგა, ეროვნული სულისკვეთებით სუნთქავდა. ილია ჭავჭავაძის ირგვლივ შემოკრებილმა პუბლიცისტებმა 1895-96 წლებში შექმნეს ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა – წვრილბურჟუაზიული რადიკალურ-ეროვნული მიმართულება, რომელშიც შედიოდნენ: კ. აბაშიძე, გ. ლასხიშვილი, ვ. წერეთელი, ი. ნაკაშიძე და სხვები. მეორე ჯგუფი კი – „ცნობის ფურცლის“ ირგვლივ შემოიკრიბა, რომელიც შემდეგში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრთა გახდა, ეს იყო ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობა, როგორც ამას ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე წერს თავის ნარკვევში – „ფედერალისტები“ (24). თუმცა ეს განცალკევება დიდხანს არ გაგრძელებულა. ეროვნული საკითხის ერთნაირად გაგებამ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებზე ერთნაირმა შეხედულებებმა, ეს ორივე ჯგუფი მალე გააერთიანა, თუმცა ზოგი მათგანი აკრიტიკებდა მეორეს, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენც გავიზიაროთ და ვამტკიცოთ მათი სხვადასხვაობა.

მაგალითად: კიტა აბაშიძისა და გიორგი ლასხიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება, მათი კამათის მიუხედავად, არ ყოფილა დიდად განსხვავებული, მცირედი სხვაობა კი დასაშვებია და ბუნებრივიც: თერგდალეულები თუ სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წევრები ერთნაირი აზრისა ყველა საკითხში არასოდეს ყოფილან, მთავარია, რომ ისინი ერთ რამეში თანხვდებოდნენ: ეროვნულ საკითხში, ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიკური ინტერესების

გააზრებაში. ამდროინდელი იდეოლოგები ასეთ ზოგად შეფასებებს არ ცნობდნენ და, წვრილმანებამდე დასულნი, ცდილობდნენ საზოგადოებრივი ჯგუფების შიგნით დაყოფას სხვადასხვა დასებად. ასეთი იყო ბოლშევიკური იდეოლოგიის ქართველ მსახურთა შეფასებაც ახალგაზრდა ივერიელებისა და „ცნობის ფურცლის" ახალგაზრდებისა. ფილიპე მახარაძე მათ შესახებ წერდა, – რომ ისინი არაერთგვაროვანი მიმართულებით აზროვნებდნენ და სამ იდეურ ჯგუფს გამოჰყოფდა: პირველი – „წმინდა ბურჟუაზიული მიმართება", რომლის მთავარ წარმომადგენლად არჩილ ჯორჯაძეს თვლიდა, მეორეს – კონსერვატიულს, ფეოდალურ – თავადაზნაურულ მიმართულებას უწოდებდა და მის ხელმძღვანელად კიტა აბაშიძე მიაჩნდა, მესამეს უწოდებდა ნახევრად ლიბერალურ, ნახევრად ნაროდნიკულ მიმდინარეობას, რომლის იდეური ხელმძღვანელი იყო ვ. ლალი (გიორგი ლასხიშვილი), მისი აზრით, ცნობილი თავისი წვრილბურჟუაზიული მისწრაფებით.[24]

90-იანი წლების მიწურულში დაიწყო და XX საუკუნის დასაწყისში გაგრძელდა ამ ჯგუფების სწრაფვა პარტიის შექმნისკენ. აქაც ვერ შეთანხმდნენ, ეროვნული მიმართულების მთელი სპექტრი ვერ გაერთიანდა, იგი ორად გაიყო: ერთი შესაძლებლად თვლიდა ესერების პარტიასთან ქართველ ავტონომისტთა ჯგუფის შექმნას, მეორე ჯგუფი კი, რომელშიც კიტა აბაშიძე და ვლადიმერ ლორთქიფანიძე შედიოდნენ, შეუძლებლად მიიჩნევდა „რუსული პარტიის დროშის ქვეშ დგომას", შეკრებები იმართებოდა ხან „ცნობის ფურცლის" პირველი რედაქტორის ვალერიან გუნიას სახლში, ხან ნიკო ქართველიშვილთან. აქ გამოიკვეთა ორი: ძველი ეროვნული მიმართება და მეორე ჯგუფი, რომელიც უფრო სოციალიზმისაკენ იხრებოდა. ამ ჯგუფს დიდი იდეური ძალა ჰქონდა, რადგან თვით არჩილ ჯორჯაძე, რომელიც იმთავითვე იქცა „ცნობის ფურცლის" წამყვან იდეოლოგად, სოციალიზმს თანაუგრძნობდა.

ამ შეკრებებმა დიდი ეროვნული საქმეც გააკეთა: აქ

გამოიკვეთა საქართველოს ავტონომიის, კავკასიის ხალხებისა და შემდეგ მთელი რუსეთის ფედერაციის საკითხები, სოციალიზმის პროგრამული მოთხოვნები.

1904 წლის 4 აპრილს ჟენევაში გაზეთ „საქართველოს" დამაარსებელმა პოლიტიკურმა ჯგუფმა მოიწვია კონფერენცია და გადაწყდა ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნა. კონფერენციაში მონაწილეობდა დიდი პოლიტიკური სპექტრი, მისი ორგანიზატორების მთავარი იდეა იყო საქართველოს ეროვნული ხსნა, მისი ინტერესების დაცვა, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ინტერნაციონალური სულისკვეთების ნოე ჟორდანიასთვის, რომელიც ესწრებოდა კონფერენციას და კატეგორიულად არ დაეთანხმა მის იდეურ მიმართულებას და დატოვა იგი. ეროვნული მიმართულების ბევრი მოღვაწისთვის სოციალიზმის იდეოლოგია არ იყო მისაღები და სასიამოვნო, მაგრამ ვინაიდან ეს იყო სრულიად ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა ეროვნული ინტერესების მქონე ადამიანებს, სოციალიზმისადმი სიმპათია-ანტიპათია ამან გადაწონა და სოციალისტ-ფედერალისტური პარტია შეიქმნა, თუმცა ამ კონფერენციაზე მისი საბოლოო გაფორმება არ მომხდარა (ეს 1907 წელს მოხდა). ამ კონფერენციას კიტა აბაშიძე არ ესწრებოდა, მაგრამ მან, სხვებთან ერთად, შეადგინა პარტიის პროგრამის პროექტი, ამიტომ სამართლიანად ითვლება სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთ დამაარსებლად, პარიზში მყოფ არჩილ ჯორჯაძეს და გიორგი დეკანოზიშვილს გადაეგზავნა კიტა აბაშიძის, შიო ჩიტაძის, ივანე ყიფიანის და გიორგი ზდანოვიჩის დაწერილი პროგრამის პროექტი. იაკობ ფანცხავა თავის მოგონებებში აანალიზებს ერთ მომენტს: როდესაც ჭიათურაში შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მდივანი ალექსანდრე ნანეიშვილი გარდაიცვალა, მისი ადგილი გიორგი ზდანოვიჩს ფანცხავასთვის შეუთავაზებია და თან უთქვამს: კიტა აბაშიძეს და იასონ ბაქრაძეს ვერ ვენდობიო. ამის მიზეზად ფანცხავა ასახელებს იმას, რომ ამ დროს „ესენი წმინდა წყლის სეპარატისტები და ნაციონალისტები იყვნენ", სოციალ-

იზმი კი მათში სიბრალულის ღიმილს ინვევდა.[25] სულ ცოტა ხანში „სეპარატიზმი" ოფიციალურად გამოვლინდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო პოლიტიკაში, სადაც სახელმწიფო სათათბიროს სპეციალური ფრთა (200-კაციანი ჯგუფი) შეიქმნა რუსეთის ფედერაციული მოწყობის საკითხების მომხრე. „ავტონომისტთა" ჯგუფში ცნობილი რუსი მწერლები, მეცნიერები და მაშინდელი პოლიტიკოსები შედიოდნენ. ილია ჭავჭავაძეც, სახელმწიფო საბჭოს წევრობის დროს, დაუფარავად ლაპარაკობდა ამ იდეაზე და ბეჭდავდა პეტერბურგის გაზეთებში თავის შეხედულებას კავკასიის აუცილებელი ავტონომიის და საქართველოს მომავალი დამოუკიდებლობის შესახებ. ფანცხავას მოგონებები ცოტათი უსწრებდა მოვლენებს და ოდნავ ანგაჟირებას უკეთებდა მას.

ამდენად, კიტა აბაშიძის „სეპარატისტობა" და „ნაციონალისტობა" მხოლოდ მის მამულიშვილობაზე მეტყველებდა, მან ეს იდეა გაცილებით ადრე გამოხატა, ვიდრე სხვა პიროვნებებმა თუ პოლიტიკურმა ჯგუფებმა. 1905 წელს, ილია ჭავჭავაძემ, ანუ 1906 წელს სახელმწიფო საბჭოში გამოსვლამდე და პეტერბურგულ პუბლიკაციებამდე, სათავადაზნაურო ბანკში მოიწვია კრება, სადაც, ილიას მოწვევით, ახალგაზრდა პუბლიცისტებიც მოვიდნენ. კრების თავმჯდომარედ ილია სურდათ, მაგრამ მან უარი თქვა და თავის ნაცვლად, ივანე ზურაბიშვილი დაასახელა. ეს უკანასკნელი ამ დროს ახალგაზრდა, ნიჭიერ და პერსპექტიულ პუბლიცისტად ითვლებოდა. 1905 წლის 9 აპრილს ამას აცნობდა პეტერბურგში მყოფ ივანე ჯავახიშვილს კიტა აბაშიძე: საქართველოს დემოკრატიული პარტია დაარსდა, რომელიც რუსულ რადიკალთა პარტიას უახლოვდება და რომელშიც შედის ყველა ის, ვინც ფედერალისტების პარტიაში არაა, იმედია ფედერალისტთა პარტიის ერთი ნაწილიც ამას მიეკედლებაო.[26]

კრების მონაწილეებმა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა შეადგინეს და პეტერბურგში გაგზავნეს, მათ შორის იყვნენ კიტა აბაშიძე, გიორგი ზდანოვიჩი, გრიგოლ გველესიანი და სხვ. დასავლეთ საქართველოში საზოგადოე-

ბრივი აზრის ამ კუთხით მომზადებას, ამ მიზნით შეკრების მოწყობას კიტა აბაშიძე ხელმძღვანელობდა.

1907 წელს დაინიშნა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ახალი არჩევნები, რომელსაც სოციალისტ-ფედერალისტთა ერთმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა. კიტა აბაშიძე ამას აკრიტიკებდა, ბავშვურ ბუტიაობად მიაჩნდა და არჩევნებს მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად თვლიდა. მასთან ერთად არჩევნებს მხარს უჭერდა ცნობილი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც ამ დროს სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიასთან აქტიურად თანამშრომლობდა.

1907 წლის სათათბიროს არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატად საქართველოდან კიტა აბაშიძესთან ერთად იყო სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი, რომელმაც მოიგო იგი და კიტა აბაშიძე დაამარცხა. გაზეთ „მეგობარში" (1906, 32) დაბეჭდილ წერილში კიტა აბაშიძე დაწვრილებით განიხილავდა პოლიტიკური პარტიის ინტერესებს არჩევნებში და მის ტაქტიკას. ის მხარს უჭერდა პარლამენტური საშუალებების გამოყენებას და სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას ფიზიკური ბრძოლის ნაცვლად მას სთავაზობდა. წერილში კიტა სვამდა ასევე სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობის იდეას, თუმცა ამას საბოლოოდ შეუძლებლად მიიჩნევდა. ამის მიზეზად ასახელებდა ორ რამეს, რაც მის პარტიას განასხვავებდა სოციალ-დემოკრატებისაგან. ეს იყო შემდეგი: 1. სოციალ-დემოკრატებს შეუძლებლად მიაჩნდათ ავტონომიის მოთხოვნა რუსეთის სახელმწიფოში, განსხვავებით პოლონელი და ებრაელი კოლეგებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც „პრინციპული ცენტრისტები" იყვნენ. 2. ფედერალისტებისთვის მიუღებელი იყო მმართველობის ცენტრალიზებული ფორმა, სოციალ-დემოკრატებისთვის კი – ფედერალური. კიტა აბაშიძე იზიარებდა საქართველოს ავტონომიის იდეას შვეიცარიული კანტონური სისტემით, და მიაჩნდა, რომ ასეთი კანტონური გეგმა ჩვენში ისტორიულად იყო მზად: ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, ოდიშის, აფხაზეთის და სხვა კუთხეების არსებო-

ბით. ერთი შეხედვით, მისი აზრი ჟორდანიას ცნობილი აზრისაგან არც განსხვავდებოდა ამ საკითხზე, რადგან ჟორდანიაც კანტონების შექმნას „რეალური მოსახლეობის" პრინციპით ითხოვდა, რეალური ენებით და კულტურით, მხოლოდ ქუთაისის გუბერნია გამოდიოდა ამ გეგმით მარტო ქართული, დანარჩენი ან უცხო, ან შერეული. კიტა აბაშიძეც ამ თავისი პროვინციული დაყოფის ტრადიციული ფორმით ქართულ კანტონებს ითვალისწინებდა, ეროვნული ენითა და კულტურით, მაგრამ „რეალური მოსახლეობის" პრინციპს ეთანხმებოდა. მაგრამ კიტა აბაშიძე, რომელმაც სოციალ-დემოკრატები, არამარტო ბოლშევიკი-ექსტრემისტები, არამედ მენშევიკებიც მრავალჯერ გააკრიტიკა და იდეურად გაანადგურა, ამ თვალსაზრისს დროებით ტაქტიკად თვლიდა, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებად მიიჩნევდა.

ალექსანდრ ლედნიცკი, რედაქტორი ჟურნალისა – „ნაროდნოსტი როსსიი", რომლის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდა კიტა აბაშიძე

პუბლიცისტი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ ფედერალისტებისათვის უფრო მისაღები ანარქისტებთან თანამშრომლობა იქნებოდა, ვიდრე სოციალ-დემოკრატებთან, რადგან მისი პარტია ნამდვილი სოციალისტური იყო, რომელსაც ბევრი საერთო ჰქონდა ანარქიზმთან, ხოლო განსხვავება ის იყო, რომ ანარქისტები ცდილობდნენ „დღესვე განხორციელებულიყო ფედერალიზმის პრინციპი".

რუსული პარტიებიდან მას თანამშრომლობა დასაშვებად მიაჩნდა რადიკალურ-სოციალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლებთან – კერძოდ, რუს ესერებთან, ან

სხვასთან, ხოლო რაც შეეხებოდა სოციალ-დემოკრატებთან მათ დამოკიდებულებას, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ქართველი ფედერალისტები უარს იტყოდნენ თავიანთ პრინციპებსა და პოლიტიკურ იდეალზე, თავიანთ მსოფლმხედველობაზე, რაც კიტა აბაშიძეს შეუძლებლად მიაჩნდა.

კიტა აბაშიძე, როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, შედიოდა მთავარ კომიტეტში, მაგრამ 1907 წლიდან, როდესაც ქუთაისის კომიტეტი შეიქმნა, ის და ზდანოვიჩი იქედან გამოვიდნენ და ქუთაისის კომიტეტში შევიდნენ. მის ნაცვლად იაკობ ღულაძე შეიყვანეს მთავარ კომიტეტში, გ. ზდანოვიჩის ნაცვლად კი – ალექსანდრე ჯაბადარი.

კიტა აბაშიძე ყველა იმ კომისიის მუშაობაში იყო ჩაბმული, რომელიც სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებს განიხილავდა. ერთ-ერთი ასეთი კონფერენცია შეიკრიბა ფინეთში 1907 წელს. ფინეთიც ამ დროს ავტონომიისთვის იბრძოდა და საქართველოს მასთან ეს საერთო იდეალი აკავშირებდა. გ. ლასხიშვილის მემუარებით იქ, მასთან ერთად, გიორგი ზდანოვიჩი მონაწილეობდა და მათ მოხსენებები გააკეთეს, მან საზოგადოებრივ და ეროვნულ ძალთა შესახებ ისაუბრა, ზდანოვიჩმა კი – აგრარულ პრობლემებზე. ვასილ წერეთლის მემუარებით კი – ფინეთის კონფერენციაში სხვებიც მონაწილეობდნენ. კერძოდ: კიტა აბაშიძე, გრიგოლ რცხილაძე, გრიგოლ გველესიანი და სხვ. ქუთაისში ჩამოსული დელეგატები აღფრთოვანებული შეკრებილან გ. გველესიანის ბინაში და შთაბეჭდილებები გაუზიარებიათ: ფინეთში ყველაზე აღფრთოვანებით ჩვენ მიგვიღესო. ვასილ წერეთელს გაბრაზებულს დაუტოვებია სახლი, თან უთქვამს: მადლობელი ვარ საქართველოს ტერიტორიების გაჩუქებისთვისო. რეალური მოსახლეობის პრინციპი როგორც აღელვებდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნეებს ჩვენში, ეს ხომ ცნობილია, ვასილ წერეთელიც – სპირიდონ კედიას, რ. გაბაშვილის, გ. გვაზავას, ზ. ავალიშვილის, გრ. ვეშაპელის, გ. ქიქოძის და სხვათა მსგავსად – ეროვნულ-დემოკრატიული

აზროვნების ბოლომდე ერთგული და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე დამცველი იყო. მიუხედავად ამისა, 1912 წლის სახელმწიფო სათათბიროს ახალ არჩევნებში მან მხარი დაუჭირა კიტა აბაშიძეს, რომელსაც დეპუტატის სავარძელს სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი ეცილებოდა.

1912 წელს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს კიევში, „კამუფლაჟის კოოპერაციის კონფერენციის" სახელწოდებით ჩატარდა II კონფერენცია, სადაც უნდა დადგენილიყო იმპერიის კოლონიურ ერთა მომავალი, განსაზღვრულიყო მათი სავარაუდებელი საზღვრები. საქართველოდან მიწვეული იყვნენ: სოციალისტ-ფედერალისტებიდან – იოსებ ბარათაშვილი და სამსონ ფირცხალავა, სოციალ-დემოკრატებიდან – ნოე რამიშვილი და სილიბისტრო ჯიბლაძე. „რეალურ მოსახლეობის" პრინციპით მოხაზულ საზღვრებსა და რუქას, რომელიც თითქოს „კლდე"-ში დაიბეჭდა (რ. გაბაშვილის მოგონებების მიხედვით), ხალხის აღშფოთება გამოუწვევია. თუმცა ამ რუქას „კლდეში" ვერ ვნახულობთ, ეტყობა, ემიგრაციაში დაწერილ მოგნებებში, ისედაც ზედმეტად რადიკალი რევაზ გაბაშვილი სწორად ვერ იხსენებს ფაქტს, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ამ ფაქტმა იმდენად ააღელვა მაშინდელი პოლიტიკური ძალები, რომ რუქის არსებობა სიმართლე უნდა ყოფილიყო.

„რეალური მოსახლეობის" პრინციპის აღიარება კიტა აბაშიძის ეროვნულობას ერთგვარ ჩრდილს აყენებს, თუმცა ის ამ თავის შეხედულებას, როგორც ვთქვით, ისე განმარტავდა, რომ თავს იმართლებდა: ეს არ იყო ჩემთვის პრინციპის საქმე, უბრალოდ, ტაქტიკური სვლა იყო, მთავარი იყო საქართველოს გადარჩენა, დამოუკიდებლობა, ეროვნულ საკითხს კი შემდეგ მივხედავდითო.

კიევის კონფერენციას უკავშირებს სერგო გერსამია ჟურნალ „ნაროდნოსტი როსსიი"-ს დაარსებას 1913-1914

წლებში. ჟურნალის რედაქტორი იყო ცნობილი პუბლიცისტი ლედნიცკი, ხოლო თანამშრომლებიდან ერთ-ერთი –კიტა აბაშიძე. მან ჟურნალში რამდენიმე სტატია მოათავსა ეროვნულ საკითხზე და საქართველოს ავტონომიაზე, სადაც ერთხელ კიდევ გაიმეორა საქართველოს ავტონომიის შექმნის იდეა ფედერაციულ საწყისზე, რეალური მოსახლეობის პრინციპით. ამ ჟურნალის მოვლინებით ჩამოსულა საქართველოში კერენსკი – რომელთანაც შეხვედრას იგონებს ვასილ წერეთელი თავის „მემუარებში".

კიტა აბაშიძე იდგა სოციალ-დემოკრატთა და სოციალ-ფედერალისტთა ნაწილის იმ პოზიციაზე, რომელიც საქართველოს გამარჯვებას გერმანიის გამარჯვებას არ უკავშირებდა. მას სწამდა, რომ ომში საფრანგეთი და მისი კოალიცია (ანტანტა) გაიმარჯვებდა, დაინგრეოდა რუსეთის იმპერია და საქართველოც თავს დაიხსნიდა კოლონიური უღლისაგან. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მეორე ნაწილი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნეები მთელ იმედებს გერმანია-ავსტრო-უნგრეთ-ბულგარეთის ბლოკს უკავშირებდნენ. კიტა აბაშიძემ არ გაიზიარა ანტირუსული აჯანყების იდეა. 1914 წლის სექტემბრის ბოლოს თბილისში ჩატარდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ყრილობა, რომელმაც ანტიცარისტული აჯანყების მოწყობა გადადო ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე.[27]

განსაკუთრებით საინტერესოა კ. აბაშიძის მიერ გაზეთ „მეგობარში" (98, 101, 102) გამოქვეყნებული წერილების სერია, სათაურით: „საერთო მოქმედების მიუცილებლობა", რომელიც ეხმაურებოდა და მხარს უჭერდა პარტიის ლიდერის – არჩილ ჯორჯაძის კონცეფციას. წერილი ფსევდონიმითაა გამოქვეყნებული („იმ–ამ."). კიტა აბაშიძე თანაგრძნობას უცხადებს და ეთანხმება „საერთო ნიადაგის" თეორიას და წერს: „თავის დღეში ქართველი ერის საზოგადოებრივ ჯგუფთა შეთანხმებული მოქმედება ისეთი აუცილებელი არ ყოფილა, როგორც დღეს. ჩვენი ქვეყანა დღეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის წინაშე სდგას, ისეთი

საშინელის და უცნაურად გადახლართული ამბების მოწმეა, რომ მთელი ხალხის ენერგია ერთად უნდა იქნეს თავმოყრილი, ერთად შეკავშირებული და შეჯაჭვული, რომ დიად ისტორიულ მომენტში მარცხი არ მოუვიდეს". ის განიხილავდა საქმის მდგომარეობას, ამბობდა, რომ ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა, საქმე წინ არ წასულა, პირიქით, გათიშვისაკენ უფრო უბიძგებდა ერს ზოგიერთი იდეოლოგი, ვიდრე შეკავშირებისაკენ. კიტა აბაშიძე ასახელებდა გაზეთ „თემში" დასტამბულ „გარეშეს" წერილს ამ საკითხზე და მას უარყოფითად აფასებდა. წერილში გამოთქმულია პუბლიცისტის თამამი მოსაზრებები საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე, რამაც განაპირობა, ალბათ, ცენზურის მიერ გაზეთიდან შესაბამისი ადგილის ამოჭრა. მისი აზრით, ეს საქმე წინ იქნებოდა წაწეული, თუკი ეროვნული თვითმმართველობისა და ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი 1905-06 წლებში მთელი ერის საქმედ იქცეოდა, თუ ამის ნაცვლად ქართველი ერი კინკლაობას არ მოუნდებოდა.

ივანე ჯავახიშვილი, კიტა აბაშიძის ნათესავი (ქვისლი) და თანამოაზრე

ქართველი ერის გამთლიანებას, კიტა აბაშიძის შეხედულებით, ხელს უშლიდა ორი რამ: პოლიტიკური სერვილიზმი და პოლიტიკური ავანტიურიზმი. პოლიტიკური დაჩაგრულობა ჰქმნიდა მონურ ფსიქოლოგიას, რაც ასე იგრძნობოდა ჩვენს ერში. „დამონებულსა და დაბეჩავებულს ადამიანს სჩვევია სულ იმაზე ფიქრი, რომ რაღაც სასწაული მოხდება და ვიღაც იხსნის მას მონობისაგან, რომ სადღაც, სიზმარეთის ქვეყანაში არის ვიღაც დევ-გმირი და იგი მის ჩაგვრას ბოლოს მოუღებს...ასეთი მონა თავისდღეში გარკვეულ გზას ვერ

დაადგება. იგი ყოველთვის პოლიტიკური ავანტიურისტების ყურმოჭრილი ყმა იქნება". ერმა თვით უნდა იბრძოლოს და მიიღოს თავისუფლებაო, – ასე სწამდა კიტა აბაშიძეს. მას მიაჩნდა, რომ ასი წლის მონობამ გადააჩვია ქართველი ხალხი საღ აზროვნებას, გონიერ პოლიტიკურ მსჯელობას. იგი აკრიტიკებდა დასელებს, ქართველი სოციალ-დემოკრატების მენშევიკურ ფრთას, რომლებიც ფიქრობდნენ რუსეთში დემოკრატიული ძალების მოსვლასა და მდგომარეობის გამოსწორებაზე, ამას უკავშირებდნენ საქართველოს უკეთეს მომავალს. იგი აკრიტიკებდა მემარჯვენეებსაც, რომლებიც „რაღაც უმაღლესი სიმართლისაგან" მოელოდნენ „სულით ცხონებას" და ასკვნიდა: „სამართლიანობა გვავალებს ვთქვათ, რომ მემარცხენე ელემენტები უფრო მეტ ანგარიშს უწევენ სინამდვილეს, ისტორიულ პირობებს, ე. წ. „არსებულ რეალურ ძალთა განწყობილებას", ვიდრე მემარჯვენეებიო. ის სოციალისტ-ფედერალისტებს გონივრული პოლიტიკისაკენ მოუწოდებდა, შეახსენებდა რა ინგლისელი გლადსტონისა და ირლანდიელი პარნელის ურთიერთობას, წერდა, რომ, პარნელის მსგავსად, თვით ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ მილიუკოვისა და შინგარევისთანა ლიბერალებს, კერენსკისთანა მემარცხენე რადიკალებს სახელმწიფოებრივი აუცილებლობა ჩვენი მოთხოვნილებისა, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი რეალობაო. განსაკუთრებით კ. აბაშიძე ქართველ მემარჯვენეებს, ე. ი. ეროვნულ-დემოკრატებს აკრიტიკებდა, წვრილმანი იდეალების ერთგულებაში დებდა მათ ბრალს და ასკვნიდა: „შეიძლება მემარჯვენე ჩვენს ჯგუფებს ფართო, უსაზღვრო იდეალებიც ჰქონდეთ და თვით მისი სიფართოვე და უსაზღვროება იყოს მაჩვენებელი, რომ იგი სერიოზულად მოფიქრებული არ არის, დინჯად არ არის აწონილ-დაწონილი, რაც უნდა გულწრფელად იყოს იგი შეგნება შექმნილი". პოლიტიკური ავანტიურიზმი იქ იზრდება ერთი-ორად, სადაც საოცნებო იდეალების განხორციელების საშუალება არაა მოფიქრებულიო. მისი აზრით, საქართველოს პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს „მეზღაპრეობა" ახასიათებდა.[28]

როდესაც 1915 წელს აკაკი წერეთელი გარდაიცვალა, ამ დიდ ეროვნულ მწუხარებას კიტა თავისებურად აფასებდა, პოეტის დაკრძალვის ცერემონიალს ერის ერთგვარ გამაერთიანებლად თვლიდა. მართლაც, ჯერ ილიას, შემდეგ აკაკისა და ვაჟას სიკვდილმა ერი თითქოს გამოაფხიზლა, ამ დიდი ადამიანების ცხედრებთან თავშეყრილმა, უსაზღვროდ დამწუხრებულმა საზოგადოებამ დროებით დაივიწყა პარტიული შუღლი და შინადაპირისპირება. თითქოს, შეშინებული, მომავლის წინაშე დაფიქრებული შედგა და თანამოძმეებს ლმობიერად გაუწოდა ხელი. 1915 წლის 13 თებერვალს კიტა აბაშიძე წერდა გიორგი ზდანოვიჩს: „...გუშინდელ დღემდის ერთი საათი თავისუფალი არ მქონია, სულ აკაკის დასაფლავებას და საქმის მოწესრიგებას მოვუნდით. დიდი ამბავი იყო. ჩვეულებრივად ერთი კარგი იყო, რომ ყველანი როგორღაც შევრიგდით, ხმას მაინც ვცემდით... იქნება მართლაც მოხდეს ჩვენს შორის რაიმე შეთანხმება. ეს იქნებოდა უდიდესი ბედნიერება ჩვენის ქვეყნისათვის..."[29]. კიტა იხსენებდა მატარებლის ერთ ვაგონში თავშეყრილ ადამიანებს, რომლებიც მანამდე ერთმანეთს მტრობდნენ და ემდუროდნენ, ახლა კი მწუხარედ საუბრობდნენ დიდ საქვეყნო ტკივილზე და ლამის ერთამანეთისთვის ხელიც გაეწვდინათ.

კიტა აბაშიძის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, კიტას მძიმე ავადმყოფობის გამო, თანაგრძნობის წერილებს უგზავნიდნენ სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიის მთავარ ორგანოს, გაზეთ „სახალხო საქმის" რედაქციას, მისი დასაფლავებისადმი მიძღვნილ ნომერში კი, ეს მწუხარება, უფრო აშკარად და დაუფარავად ჩანდა. მისი დაკრძალვაც ერთი ისეთი სახალხო რიტუალი იყო, რომელზეც ორი წლის შემდეგ, 1919 წელს წერდა ახალგაზრდა გალაკტიონი: „არსად ისეთი დიდებული დასაფლავება არ იციან, როგორც საქართველოში. დასაფლავების დღეს საქართველოს ყოველი კუთხიდან, თვით მისი მიყრუებული ადგილებიდანაც კი, ჩამოდის მრა-

ვალი ხალხი... დასაფლავება იღებს ნაციონალური მოვლენის სახეს...“[30]

კიტა აბაშიძეს მთელი საქართველო იცნობდა და აფასებდა, მისმა დაკრძალვამაც მრავალი ადამიანი შეკრიბა და დააფიქრა, ეს დღეც ეროვნულ მოვლენად იქცა.

კიტა აბაშიძე დიდუბის პანთეონში დაკრძალეს 1917 წლის 24 დეკემბერს. ის სიონის ტაძარში იყო დასვენებული, სადაც დილიდანვე, 9 საათიდან დაიწყო წირვა, 12 საათზე მიცვალებული გამოასვენეს ტაძრიდან და დაასვენეს ერევნის მოედანზე. აქ წარმოითქვა სიტყვები, შემდეგ პროცესია პუშკინის ქუჩით სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის კლუბთან მივიდა, სადაც კვლავ ითქვა სიტყვები, იყო გამოსვლები კიტა აბაშიძის ღვაწლის შესაფასებლად, აქედან, შტაბის ქუჩით, პროცესია გავიდა სასახლის ქუჩაზე და შეჩერდა „სახალხო საქმის“ რედაქციაში. ეს რედაქციაც სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლში იმყოფებოდა. აქაც გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, შემდგომ პროცესიამ სასახლის ქუჩითა და გოლოვინის პროსპექტით ჩაიარა ვერის დაღმართი, მიხეილის პროსპექტითა და მუშტაიდით მივიდა დიდუბეში. პროცესიას წინ უძღოდა პარტიის დროშები, გვირგვინები, მოსდევდა მგალობელთა გუნდი, მოჰყვებოდნენ დელეგატები — სხვადასხვა რაიონის სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენლები. კუბოს მოსდევდნენ განსვენებულის ჭირისუფალნი და ბოლოს მიჰყვებოდა სამხედრო ორკესტრი. დასაფლავების ამ ცერემონიას არისტო ჭუმბაძე მეთაურობდა. სამგლოვიარო განცხადებაში, რომელსაც „სახალხო საქმის“ რედაქცია აკეთებდა, ეწერა: „იგი არ იყო მარტოოდენ საზოგადო მოღვაწე, რომელსაც ერთნაირად უნდა აფასებდეს ყოველი შეგნებული ადამიანი, იგი იყო საუკეთესო ტრიბუნი, მწერალი და პოლიტიკური მებრძოლი. ქართველმა საზოგადოებამ ერთი დიდი ადამიანი და კრიტიკოსი დაჰკარგა, ქართველმა ხალხმა თავისი საუკეთესო ორატორი, ხოლო ჩვენმა პარტიამ ერთი ხელმძღვანელთაგანი, რომელიც გარეშემოიკრებდა მრავალ ახალგაზრდას და მუდმივად თავს ელოლიავებოდა იმ სანუ-

კვარ აზრებს, განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ და გიორგი ზდანოვიჩმა რომ გადმოისროლეს ქართველ მასსაში".

წერილში ნათლად ჩანდა, კიტა აბაშიძის მტკიცე პარტიული პოზიცია, მისი მჭიდრო კავშირი სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიასთან. აქ ეწერა, თუ როგორ განიცდიდა კიტა პარტიის დევნას, როგორ წარმოთქვა მან მგზნებარე დასაცავი სიტყვა პარტიულ კონფერენციაზე, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის კრიტიკას მოწინააღმდეგეებისაგან რა ზუსტი და ლამაზი სიტყვებით გამოექომაგა: „ყველას ეხსომება ის გულიდან ამონახეთქი სიტყვები, – ვკითხულობთ „სახალხო საქმის" 24 დეკემბრის მოწინავეში, – განსვენებულმა კიტამ რომ წარმოთქვა გასულ კონფერენციაზე და ჩვენი პარტიის დევნა შეადარა პირველ ქრისტიანულ დევნას. კეთილშობილი იყო და განუსაზღვრელი მისი აღშფოთება". [31]

ესეც ცხადყოფს, თუ რა ამაოა მტკიცება, თითქოს კიტა აბაშიძე შორს იდგა სოციალისტური იდეოლოგიისაგან, რომ იგი ფორმალურად იყო ამ პარტიაში და უფრო მეტად ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის მომხრე იყო. მისი იდეალი და მძაფრი სურვილი იყო – ქართველი კაცის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლა. მისი პორტრეტი ისე წარმოგვიდგება, როგორადაც დიდი მწერლური თვალისა და ალღოს მქონე დავით კლდიაშვილი ახასიათებდა: ავთანდილური ბუნების, ნამდვილი ქართველი ღირსეული მამულიშვილის სახედ. „უკვდავმა შოთამ გასაოცრად ჩამოქნა ქართველი გმირის სახე ავთანდილში, – წერდა დავით კლდიაშვილი წერილში – „ძვირფას კიტას ხსოვნას". „ავთანდილი მშვენებით სავსე, ნაზი, გულგაშლილი, შუქმფენი, გრძნობით აღვსილი, გონებით სავსე, ავთანდილი ნამდვილი, საკვირველი ხატებაა ქართველი ადამიანისა. ჩაუკვირდით ყოველ ქართველ თვალსაჩინო პიროვნებას და თქვენ მასში უთუოდ დაინახავთ ავთანდილს, გაარკვევთ ავთანდილურ თვისებებს. კიტას ბუნებაც ნამდვილ ავთანდილური იყო. მისი ბუნების სინაზე,

მისი გულგაშლილობა, მისი უაღრესი გულკეთილობა, მისი მომხიბვლელი ბუნებრივი სადაობა, მისი თავმდაბლობა და გამზადებულობა თავისთავის დავიწყებამდინ ადამიანის სამსახურისათვის, – ყოველივე ეს ქმნიდა მის სახეს განსხვავებულ სახეთ, სახეთ ნამდვილის ქართველისა და იგი იყო აღმნიშვნელი მისი ავთანდილური ბუნებისა".[32]

დავით კლდიაშვილი იგონებდა, რა დიდ სიყვარულს მიაგებდა კიტა ყველას, როგორ ეამაყებოდათ იგი მის მეგობრებს, როგორ იბრძოდა კიტა აბაშიძე მონობის წინააღმდეგ, ადამიანებისა და ერების თავისუფლებისათვის.[33] ვრცელ წერილში გრიგოლ გველესიანი განიხილავდა კიტას იდეურ მემკვიდრეობას, მისი, როგორც მრავალმხრივი მოღვაწის, შემოქმედებით გზას, საქართველოს საუკეთესო შვილად მიიჩნევდა და დიდ დანაკარგად თვლიდა მის უდროო გარდაცვალებას. სოციალისტ-ფედერალისტი, განათლებული ადამიანი, პროფესიით იურისტი იოსებ ბარათაშვილი კიტას განსაკუთრებულ მოვლენად თვლიდა, ადამიანად, რომელსაც შეეძლო გავლენის მოხდენა თანადროულ საზოგადოებაზე. ასეთი ნიჭის მქონე ერისკაცები არცთუ მრავლად არიან. საუკუნეების მანძილზე ამგვარ პიროვნებათა სახელი ლეგენდასავით გადაეცემა ხოლმე შთამომავლობიდან შთამომავლობას. იოსებ ბარათაშვილი წერდა: „ვისაც არ უნახავს კიტა მოლაპარაკე, ის ვერ იქონიებს სრულ წარმოდგენას მასზე; ვისაც არ უნახავს კიტა ტრიბუნაზე, მოჰკლებია დღენი ბედნიერებისა. უპირველესად კიტა იყო სწორუპოვარი და შეუდარებელი მჭერმეტყველი, ორატორი, მოსილი გასაოცარი და იშვიათი ნიჭით.... მისი ბრგე და წარმოსადეგი ტანი, მოცინარი და მშვიდი, აუჩქარებელი და მასთან ჩაფიქრებული სახე იმწუთსვე იპყრობდნენ მსმენელს, ყველას ხიბლავდა მისი მწყობრი, გაუჩერებელი, უმწიკვლო სიტყვიერება, ფერად-ფერადად დაწყობილი აზრები, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, შემკული, სადად მოხაზული, რომელშიც ჩაწნული და ჩაქსოვილი იყო სპეტაკი და გულმხურვალე გრძნობა.. .ჭკუა და გრძნობა, მჭიდროდ შეკავშირებულნი, გადაბმულნი ჰქმ-

ნიდნენ სილამაზეს და სიყვარულს, სიხარულს და სიცოცხლეს, მისი ტკბილი ენა და საღი გონება ეალერსებოდა და ატყვევებდა მაყურებელს, როგორც მოულოდნელი მუსიკალური სიმფონია".

კიტა აბაშიძეს იოსებ ბარათაშვილი „სიტყვის ბეთჰოვენს", საქართველოს ოქროპირს უწოდებდა. ორატორთა შორის, წარსულშიც და თანამედროვეობაშიც, იგი კიტას უპირველეს ადგილს ანიჭებდა. ის ქართული ენის მესაიდუმლედ, საქართველოს უდიდეს პატრიოტად მიაჩნდა პუბლიცისტს და ღრმა მწუხარებას გამოთქვამდა მწერლის გარდაცვალების გამო.[34]

ივანე ზურაბიშვილი წერილში – „საყვარელი მეგობრის ხსოვნას" – იგონებდა ქუთაისში სწავლის პერიოდს, ავადმყოფობას, როდესაც გადამდები სენი ჭლექისა მძვინვარებდა და რომელმაც ივანეს დედა და ორი და წაართვა. ამიტომაც აშინებდა სულ უბრალო გაცივებაც კი, უბრალო წამოხველებაც; ერთხელ, მძიმე ავადმყოფი, სასწავლებლის ერთ ოთახში რამდენიმე ბავშვთან ერთად, ის იტანჯებოდა შიშით, ეგონა ჭლექი შეეყარა და ახლობლებივით მალე მოკვდებოდა. როდესაც ეს დაინახა, 13 წლის კიტა გადავიდა მის საწოლში და ნაზად დაამშვიდა მეგობარი. ივანე ზურაბიშვილი ადამიანური სათნოების გამოხატულებად მიიჩნევდა კიტას, მის ავტორიტეტს იხსენებდა: „ის იყო ჩვენს წრეში ავტორიტეტი და ყოველ ჩვენგანის მესაიდუმლე. კიტამ იცის? კიტამ რა თქვა? კიტა რას იტყვის? კიტას ვუთხრათ, – აი, ჩვეულებრივი ჩვენი შეგრძნება, როდესაც რამე საერთო საქმე გაგვიჩნდებოდა", – წერდა იგი.

„დამთმობი ყველაფრისა და ყველაფერში, მოსიყვარულე და ნაზი, ძვირფასი კიტა კლდესავით მაგარი და შეურყეველი იყო თავის მაღალ რწმენაში", – ესეც ივანე ზურაბიშვილის აზრია კიტაზე.

და კიდევ ერთი — „ახირებულ აზრს" რომ უწოდებს ეროვნულ-დემოკრატი ივანე კიტას მისეულ დახასიათე-

ბას: „როდესაც მახსენდება მთელი ჩვენის წრის წარსული, ასე მგონია, ჩვენ შევადგენდით ერთს ოჯახს, რომელშიაც ყველანი ჩვენ ძმები ვიყავით და ყველას ჩვენ გვყავდა ერთადერთი ყველასათვის საყვარელი და ყველას მოსიყვარულე და: ეს იყო კიტა. მხოლოდ მოსიყვარულე დას შეუძლია ისეთი ტკბილი, ნაზი და ამაღლებული სიყვარული, რომელიც შეჰქონდა მას თავის მეგობრულ გრძნობაში".

ამ სინაზეს ვაჟკაცურ გრძნობასთან აზავებდაო კიტა აბაშიძე და რაღაც გრძნეულ მიმზიდველობას იძენდა, რაც სიყვარულად გარდაიქმნებოდა და ეს სიყვარული გვაქვს ჩვენ მისდამიო.

ივანე ზურაბიშვილი შთამბეჭდავად იხსენებდა კიტას მშობლიურ სოფელს – კაცხს, აქაურ მონასტერს, კიტას მშობლიურ სახლს, მის საოცარ დედას, რომელიც წმინდანივით იყო და წმინდანივით მშვენიერი შვილიც აღზარდაო. კიტა აბაშიძის გარდაცვალებას იგი ჭერის ჩამოქცევას, უბინაოდ დარჩენას ადარებდა და წუხდა, რომ „საღმრთო მეჯლისზე", რასაც საქართველო მოელოდა 1917 წლის დეკემბერში, თავისუფალი საქართველოს დღესასწაულზე მისი ერთი საუკეთესო შვილი – კიტა აბაშიძე ვერ იქნებოდა.[35]

კიტა აბაშიძისადმი თაყვანისცემითა და სიყვარულით გამსჭვალული იყო სხვა მოგონებებიც: გ. სულთანიშვილის, სამსონ ფირცხალავას, თეოდოსია ჯაფარიძის, ნ. დუბროვსკის და სხვების.

ქართულ უნივერსიტეტთან, რომელიც ის-ის იყო არსდებოდა, შეიქმნა კიტა აბაშიძის სახელობის ფონდი, რომელსაც ფულს ურიცხავდნენ საზოგადოების წარმომადგენლები: 25 მანეთი ამ ფონდში ჩარიცხა ნ. დუბროვსკიმ, ივანე ზურაბიშვილის ვაჟმა – გიორგი ზურაბიშვილმა – ნათლიის საპატივცემულოდ, გვირგვინის ნაცვლად, 100 მანეთი შესწირა ქართულ უნივერსიტეტს, არჩილ ზურაბიშვილმაც ამდენივე თანხა გაიღო. მისადმი მიმართვაში „ქართველ ბელინსკად", ოქროპირად, ციცერონად და კატონად იხსენიებდნენ ამ დიდ მამულიშვილს და შესაძლებლობის მიხედვით გარკვეულ

თანხას დებდნენ მის სახელზე. თანხები და სამძიმრის დეპეშები მოდიოდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, ასევე რუსეთში მცხოვრებ ქართველთაგან.

ამრიგად,

1. კიტა აბაშიძეს განსაკუთრებული ღვაწლი აქვს XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებაში. მან პირველმა დააყენა ინტელიგენციის ზნეობრივი პასუხისმგებლობის საკითხი იმპერიის მიერ ინიცირებული ანტიქართული ძალების გამოაშკარავებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში;

2. კიტა აბაშიძემ დიდი როლი ითამაშა ევროპული ფასეულობების დამკვიდრებაში. ისტორიულ-კულტუროლოგიური მოვლენების შესწავლა-შეფასება მან მოახდინა არა ემოციური, არამედ ღრმა ფსიქო-ანალიტიკური კვლევის მეთოდით, რითაც დიდი როლი ითამაშა ახალი ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში. გარდა იმისა, რომ უტყუარად შეიგრძნობდა ყველა სიახლეს, რაც ქვეყნის სულიერ განვითარებას წინ სწევდა, ასეთი სიახლეების შემომტანი თავადაც იყო. მისი დამსახურებაა ცისფერყანწელთა ლიტერატურული თაობის სწორად შეფასება და მხარდაჭერა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს, როდესაც ამ ჯგუფს ებრძოდნენ და უარყოფით მოვლენად განიხილავდნენ;

3. კიტა აბაშიძემ დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ავტონომიისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს, იბრძოდა საერობო რეფორმის გატარებისათვის, ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური მგომარეობის გასაუმჯობესებლად. მას სურდა, ჩვენი ეროვნული სიმდიდრე ჩამდგარიყო მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების სამსახურში. ამ მხრივ, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოში მისი მუშაობის ხანგრძლივი პერიოდი ბევრ საინტერესო ეპიზოდს მოიცავს;

4. კიტა აბაშიძე იყო ილიას თანამოაზრე, თუმცა, მას ჰქონდა საკუთარი ხედვაც საქართველოს მომავალზე, კერძოდ, ის იყო სოციალისტური იდეოლოგიის მიმდევარი. ზოგიერთი

მკვლევრის მოსაზრება, თითქოს, კიტა აბაშიძე ფორმალურად იყო სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში და უფრო მეტად ეროვნულ-დემოკრატიულ იდეებს იზიარებდა, ვიდრე სოციალისტურს, არასწორია. ამის დასტურად, გამოდგება როგორც მისი პუბლიცისტიკა, ასევე, მის თანაპარტიელთა პირად არქივებში დაცული კიტა აბაშიძის ეპისტოლური მემკვიდრეობა. ეროვნულ-დემოკრატიული ფასეულობების ერთგულს, სოციალიზმი ესახებოდა ქართველი ხალხის მატერიალურად დაწინაურების, სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის საშუალებად;

5. კიტა აბაშიძე თანადროულ საზოგადოებაზე ახდენდა დიდ სულიერ და ზნეობრივ ზეგავლენას, იყო კარგი ორატორი და პუბლიცისტი, დაუღალავი მოღვაწე და პოლემისტი. ოპონენტებთან ბრძოლაში, ის მუდამ საზოგადო ინტერესებს აყენებდა პირადულზე მაღლა და მაშინაც გულწრფელი იყო, როდესაც ცდებოდა. მიუხედავად ხელმოკლეობისა, ის იყო ქველმოქმედი, გაჭირვებულ ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა არა მარტო საზოგადოებრივი სახსრებით, არამედ საკუთარი შემწეობით, რისი დამადასტურებელი მრავალი დოკუმენტიც მოიპოვება გიორგი ზდანოვიჩისა თუ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მუშაობის ამსახველ ფონდებში;

6. კიტა აბაშიძე მასშტაბური აზროვნების მოღვაწე იყო, მას ანგარიშს უწევდნენ რუსეთის იმპერიის იდეოლოგები, სამეცნიერო და კულტურული წრეები, შეჰყავდათ იგი როგორც სამთავრობო ორგანოებში, ასევე, მოწინავე პრესის სარედაქციო კოლეგიებში, იწვევდნენ სხვადასხვა კონფერენციებსა და შეკრებებზე, სადაც ყოველი მისი გამოსვლა ქართველი ერის ინტერესებს ემსახურებოდა. კიტა აბაშიძე გამორჩეული ისტორიული პორტრეტია იმ ქართველ მოღვაწეთა გალერეაში, რომლებიც ქმნიდნენ ეპოქის სულს, ყოველთვის, ყველანაირ პირობებში ახერხებდნენ საზოგადოების გამოფხიზლებას და წინსვლაში დახმარებას, ხელს უწყობდნენ პროგრესს. მისი მოღვაწეობისა და ნააზრევის გაცნობა ღრმად გვახედებს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ

მოვლენებში, რომელთა შესწავლის გარეშე XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის სრულყოფილი წარმოდგენა შეუძლებელია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. კონსტანტინე გამსახურდია, რჩეული ნაწერები, VII, გვ. 334. თბ. 1965.
2. ივანე ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962, გვ. 83-106.
3. ს. გერსამია, მოგონებები, კრებული „ლიტერატურის მატიანე", თბ. 1982, 7-8, გვ. 44-56.
4. დავით კლდიაშვილი – ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984, გვ. 187-199.
5. გიორგი ლასხიშვილი, მემუარები (1885-1915), ტფ. 1934 წ.
6. ვასილ წერეთელი, ლიტერატურული წერილები, მემუარები, კრებული შეადგინა და შესავალი დაურთო პროფ. დ. თევზაძემ, თბ. 1998.
7. კ. გამსახურდია, რჩ. ნაწერები, ტ. VII, თბ. 1965, გვ. 332-337.
8. სამსონ ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, ლ. ნანიტაშვილის წინასიტყვაობით, თბ. 1988 წ.
9. ზ. ავალიშვილი – საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ. 1990 წ.
10. ს. ფაშალიშვილი, შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან, თბ. 1961 წ.
11. ფუცუ დგებუაძე-ფულარია, მოგონებები, სოხუმი, 1959 წ.
12. საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის არქივი, 113.
13. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, საბუთები: 109, 2485, 2486, 2697, 3987, 3988, 3989, 3990, 3991, 3992, 3993-4000, 4000-4030, 4118, 4169, 4508, 6218-23, 6445, 7895, 14718, 20556, 22170, 25256, 28650.

14. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი – გიორგი ზდანოვიჩის არქივი 6416.
15. კ. ქებულაძე, კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, 2001 წელი.
16. ფილიპე მახარაძე – საუბარი სხვადასხვა საგანზე, გაზეთი „კვალი", 1901 ნ. 27, 27, 30, 33, 37, 43, 45, 51. წერილები დაიბეჭდა „მოსაუბრე"-ს ფსევდონიმით. წერილები შესულია ფილიპე მახარაძის თხზულებათა კრებულში, ტ. I. გვ. 301-308.
17. სიმონ ქვარიანი – „სამი გმირი", ქუთაისი, 1902 წ. (ლაპარაკია გიორგი ზდანოვიჩზე, კიტა აბაშიძესა და ნიკო ნიკოლაძეზე (რგანელი).
18. გიორგი აბაშიძე, კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა, თბ. 1964, გვ. 16-17.
19. სცსსა, ფ. 164, აღწ. I, საქმე 116, ფ. 373.
20. სცსსა, ფონდი 153, აღწ. I, საქმე 338, ფ. 126-127.
21. ქიმ, გარსევანიშვილის არქივი 2175, საბ. 25.
22. ს. გერსამია, მოგონებები, გვ. 46-47.
23. გ. აბაშიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 26.
24. დ. შველიძე – პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, ნაკვეთი I, თბ. 1993, გვ. 16.
25. იაკობ ფანცხავას მოგონებები, ქართული ლიტერატურის მუზეუმის ფონდი, საბ. 4168, გვ. 109.
26. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის არქივი, ფ. 113, საბუთი 1539.
27. ალ. ბენდიანიშვილი – ეროვნული საკითხი საქართველოში, 1980 წლ. გვ. 182.
28. იმ.–ამ. – კიტა აბაშიძე, საერთო მოქმედების მიუღებლობა, გაზეთი „მეგობარი", 1916 წელი, 98, 100, 101.
29. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (ქიმ) 193;
30. გალაკტიონ ტაბიძე, „ძვირფასი საფლავები", ტ. V, გვ. 5
31. სარედაქციო წერილი, გაზეთი „სახალხო საქმე", №132, 1917 წლის 24 დეკემბერი.

32. დავით კლდიაშვილი, ძვირფას კიტას ხსოვნას, გაზეთი „სახალხო საქმე“, 1917 წლის 24 დეკემბერი.
33. გრიგოლ ფერაძე, კიტა აბაშიძე, გაზეთი „ახალი საქმე“,1917 წლის 24 დეკემბერი.
34. იოსებ ბარათაშვილი, ვინ დავკარგეთ, გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წელი, 24 დეკემბერი.
35. ივანე ზურაბიშვილი, საყვარელი მეგობრის ხსოვნას, გაზეთი „სახალხო საქმე“, №132, 1917 წელი.

გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი)
(1855-1917 წწ.)

გიორგი ზდანოვიჩი მაიაშვილის გვარითაა ცნობილი. სანამ ამ ფსევდონიმს აირჩევდა, ამ დიდმა მოღვაწემ უკვე გაითქვა სახელი თავისი რევოლუციური ბიოგრაფიით მთელს რუსეთის იმპერიაში. ის იყო ნაროდნიკი, მარქსისტი და სოციალისტი, ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას, თანამშრომლობდა რუსულ და ქართულ რევოლუციურ-დემოკრატიულ პრესაში, იყო ცნობილი „50-იანელთა პროცესის" მონაწილე. ორი საუკუნის მიჯნაზე მცხოვრებმა ამ ადამიანმა შთამბეჭდავი კვალი დატოვა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ბევრი რამ შემატა არა მარტო ქართულ კულტურას, არამედ მის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფასაც. მის გარეშე წარმოუდგენელია აღნიშნული ეპოქის დიდმნიშვნელოვანი მოვლენების გააზრება-შეფასება. მამით პოლონელმა და დედით ქართველმა პატრიოტმა უამრავ ქართულ საქმეს ჩაუყარა საფუძველი, დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. პატრიოტიზმი, დაჩაგრული ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა, მჩაგვრელებისადმი უსაზღვრო ზიზღი, იქნებ, მისი გენეტიკური თვისებაც იყო. მამამისი, ეროვნებით პოლონელი ფელიქს ზდანოვიჩი, ასეთივე სიძულვილით იყო განმსჭვალული პოლონეთის დამპყრობლებისადმი. რუსული კოლონიალიზმის უღელი ხომ თითქმის ერთნაირად ტანჯავდა პოლონელ

და ქართველ ხალხს. თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი, მისი ლიტერატურა და ისტორია, მისი მდიდარი კულტურა ძალზე ხიბლავდა უსაზღვროდ განათლებულ და მებრძოლი ბუნების ფელიქს ზდანოვიჩს. იგი მეფის არმიაში მსახურობდა ექიმ-სტომატოლოგად, ჰქონდა შტაბსკაპიტნის სამხედრო ჩინი, სამსახურის მიტოვების შემდეგ დასახლდა ქუთაისში და 1854 წელს დაქორწინდა მაია მანუჩარის ასულ მიქელაძეზე. ცოლ-ქმარს 1855 წელს შეეძინა ერთადერთი ვაჟი — გიორგი, მეტი შვილი მათ აღარ ჰყოლიათ. ქორწინების ხუთი წლის თავზე ფელიქსი გარდაიცვალა და ოთხი წლის გიორგი მამით დაობლდა. სილამაზითა და ჭკუით სახელგანთქმული მაია მიქელაძე საზოგადოებაში ცნობილი და მიღებული ქალი იყო. სადა, შრომისმოყვარე, სათნო და მშვენიერ ქალბატონს ყველა პატივს სცემდა და განსაკუთრებულად აფასებდა. მისი ოჯახი ქუთაისში ერთგვარ სალონს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა, სადაც გუბერნიის მთელი ინტელიგენცია იყრიდა თავს. მაია მიქელაძეს განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა ნიკო ნიკოლაძის დედასთან — ლორთქიფანიძის ქალთან. იგი მანუჩარ მიქელაძის გერი, მის მეორე ცოლს მოყოლილი ქალიშვილი იყო, ფოთთან დაღუპული დიდჯიხაიშელი თავადის — ფირან ლორთქიფანიძის ასული, რომლის დედა — მზეხათუნ ქაჯაია დაქვრივების შემდეგ ასევე ქვრივ მანუჩარზე გათხოვდა და მაიასთან სიკვდილამდე განუყრელი დობა აკავშირებდა. ამ მოყვარული ადამიანების შვილები კი, იმპერიის მასშტაბით ცნობილი ორი ადამიანი — ნიკო ნიკოლაძე და გიორგი ზდანოვიჩი, სანწუხაროდ, საზოგადოებრივი საქმეების გამო, ისე გადაემტერნენ, რომ დაუზოგავად ებრძოდნენ და აკრიტიკებდნენ ერთმანეთს.

ფელიქს ზდანოვიჩის გარდაცვალების შემდეგ, მაია მიქელაძე ცოლად შეირთო ქუთაისის გუბერნიის პროკურორმა — ლევან ქორქაშვილმა. მისი დამსახურება იყო გიორგი ზდანოვიჩისათვის თავისი დროის შესაფერისი საუკეთესო აღზრდა-განათლების მიცემა. მაია მიქელაძ-



ქუთაისის კლასიკური გიმნაზია,
სადაც სწავლობდა გიორგი ზდანოვიჩი

ესა და ლევან ქორქაშვილს საკუთარი ოთხი ვაჟიშვილიც შეეძინათ, მაგრამ ისინი გამორჩეულად კარგად ექცეოდნენ უფროს ვაჟს. ლევან ქორქაშვილი თავისუფლად მოაზროვნე, ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების პატივისმცემელი და დამნერგავი იყო. ცარიზმის სამოხელეო აპარატში დიდ თანამდებობაზე ყოფნის მიუხედავად, მას არასოდეს დაუკარგავს ქართული ტრადიციებისა და ეროვნული ღირებულებებისადმი განსაკუთრებული ერთგულების უნარი. მან, თავის ვაჟებთან ერთად, გიორგი საკუთარივით აღზარდა, ჩაუნერგა ყოველივე ფასეულისადმი მისწრაფების სურვილი, ჰუმანურობა და კაცთმოყვარეობა.

როდესაც ეცნობი გიორგი ზდანოვიჩის არქივს, იმ უამრავ დოკუმენტს, რომელიც ამ საქმეებშია მოქცეული, უნებლიედ გეუფლება რაღაც გრანდიოზულობის შეგრძნება, ხვდები, რომ საქმე გაქვს არა მარტო ადგილობრივ, ვთქვათ, ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ დაუცხრომელ მოღვაწესთან, არამედ ადამიანთან, რომელიც მოიცავს მთელ საქა-

რთველოს, ერევა მისი ყოველი კუთხის ცხოვრებაში, ეხება მთელ უზარმაზარ რუსეთის იმპერიას, რომლის ყველა კუთხიდან მოსდის წერილები, შეტყობინებები, თხოვნა-მუდარები, ხვდები, რომ ესაა საჭირო ადამიანი მაშინდელი მინისტრების, დუმის წევრების, ცნობილ მწერალთა, მეცნიერთა, საზოგადო და კულტურის მოღვაწეთათვის. იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზდანოვიჩი იყო მასონთა ლოჟის დიდი მაგისტრის წოდების მქონე. მისი თანამედროვეებიდან ბევრი იყო ამ ლოჟის წევრი. კერძოდ, მასონები იყვნენ: კიტა აბაშიძე, ევგენი გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე და სხვები. მასონობა ამ ადამიანებისათვის, ისევე, როგორც სხვა უამრავისთვის ამ ეპოქაში, იყო არსებული რეჟიმის უკეთესით შეცვლის, ხალხის მასების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ყველაზე დიდი და გაბედული გზა. ამიტომ აირჩია იგი უსაზღვროდ კეთილშობილმა, საზოგადოებისათვის თავდადებულმა გიორგი ზდანოვიჩმაც. ის ასეთივე გულწრფელი და კეთილშობილი იყო თავის ყველა არჩევანში. თუმცა, მისი რევოლუციური იდეალები, სოციალისტური შეხედულებები, მარქსიზმით გატაცება კრიტიკულად შეიძლება შეფასდეს არამარტო დღეს, არამედ მაშინდელი ეროვნული მოღვაწეების პოზიციიდანაც. მიუხედავად ამისა, გიორგი ზდანოვიჩს და მის თანამედროვე, სოციალისტური მსოფლმხედველობის მქონე ადამიანებს ჰქონდათ თავიანთი სიმართლე, მიზანი და მომავლისათვის ბრძოლის პროგრამა. და ეს მსოფლმხედველობა ადამიანთა დახმარებას, საზოგადოების დაჩაგრული ნაწილის გაძლიერებას, მისი საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლას გულისხმობდა.

გიორგი ზდანოვიჩისადმი მიძღვნილი მცირეფორმატიანი გამოკვლევის ავტორი — დავით კაკაბაძე საუბრობს ზდანოვიჩის ოჯახზე, დედისადმი მის განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემაზე, რამაც განაპირობა ფსევდონიმის დედის სახელთან დაკავშირება. აქ მოტანილია მაია მიქელაძის დახასიათება, რომელიც ავტორისათვის მიუწოდებიათ ზდანოვიჩის ნათესავებს.[1] ირკვევა, რომ ეს იყო

მებრძოლი, გულგაუტეხელი, არა მარტო პირადი, ქალური მოვალეობით მცხოვრები ქალი, ხუთი ვაჟის დედა, არამედ სამშობლოს ბედზე გულშემატკივარი, საზოგადოებრივი ინტერესებით აღსავსე პიროვნება. მისი ოჯახი ინტელიგენციის მუდმივი თავშეყრისა და თანამედროვე პრობლემებზე მსჯელობის ადგილს წარმოადგენდა. ამ გარემოებამ იმოქმედა ყმაწვილ ზდანოვიჩზე. წერა-კითხვაც დედისაგან ისწავლა, საქართველოს ისტორიის შთამბეჭდავი ამბები მისგან შეისისხლხორცა, „ვეფხისტყაოსნის" საოცარი სიღრმე და სიბრძნეც, ზოგადსაკაცობრიო იდეალები და ჰუმანიზმიც მისგან მიიღო. ოჯახშივე დაეუფლა რუსულ ენას, რომელზედაც მშობლიურივით წერდა და კითხულობდა, რითაც განაცვიფრა კიდეც ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის რუსი პედაგოგები. გიმნაზიაში მოწაფეთა გაზეთი გამოდიოდა, არსებობდა სხვადასხვა წრეები, ზდანოვიჩი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამოირჩეოდა ორატორული და ორგანიზატორული ნიჭით. წიგნების კითხვამ, განსაკუთრებით ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, ფილოსოფიური ლიტერატურის გაცნობამ, ამდროინდელ ცხოვრებაზე დაკვირვებამ — ყმაწვილში რევოლუციური სული ჩამოაყალიბა. ის კარგად ხედავდა, თუ რა ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდა რუსეთის ხელისუფლება, როდესაც ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობას რუს ჩინოვნიკებს აძლევდა, რუსულ ენაზე აწარმოებდა სასამართლო საქმეებს, კრძალავდა დედა-ენის სწავლებას სკოლებში და ა.შ. ეროვნულზე არანაკლებად სოციალური ჩაგვრის მაგალითები მოქმედებდა ყმანვილზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ასე პოპულარული ხდებოდა და ფარულად ვრცელდებოდა მარქსისტული იდეოლოგიის ლიტერატურა, სოციალისტური თეორია, ასე რომ იტაცებდა რევოლუციურად განწყობილ, არსებული რეჟიმით უკმაყოფილო ახალგაზრდას.

1871 წელს გიორგი ზდანოვიჩმა დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და უმაღლესი განათლების მიღება

გადაწყვიტა. დიდხანს იმსჯელეს ოჯახში. დედა ურჩევდა მამის პროფესია მიეღო, თავად ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერების შესწავლის სურვილი ჰქონდა. ჩვიდმეტი წლის ზდანოვიჩი რუსეთის მაშინდელ პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრში — პეტერბურგში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად, ჯერ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა, 1873 წლიდან კი — პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში გადავიდა და ქირურგიული განხრით დაიწყო სწავლა.

სტუდენტობის წლებშივე გამომჟღავნდა გიორგი ზდანოვიჩის ერთი თვისება — მისი მოღვაწეობისა და აზროვნების მასშტაბურობა. ის არ ჰგავდა იმპერიის პროვინციულ ქალაქში დაბადებულს, თავისი აზროვნებით, მოქმედებით, ახალგაზრდობაზე ზემოქმედების უნარით ძალზე გავლენიან პიროვნებად, ლიდერად იქცა, არამარტო პეტერბურგის, არამედ მთელი რუსეთის იმპერიის რევოლუციონერთა წრეებში.

ეს იყო ნაროდნიკულ-რევოლუციური მოძრაობის მძლავრი გაქანების, რევოლუციური აღტყინების პერიოდი. არსებული რეჟიმისადმი გამოთქმულ პროტესტში სულ უფრო ნათლად იკვეთებოდა აზროვნებისა და პიროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივები, მჟღავნდებოდა რუსეთის სახელმწიფო წყობილებისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობანი, მისი უვარგისობის განცდა. მწიფდებოდა პოლიტიკური რეფორმების გატარების აუცილებლობა. ამ მოძრაობამ მოიცვა რუსეთის უნივერსიტეტთა სტუდენტობა, „რაზნოჩინცული" ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა. განსაკუთრებით ნაროდნიკულ მოძრაობასა და მის მეამბოხე მიმართულებას მიემხრო ქართველი სტუდენტობა, რომელსაც ეროვნული და სოციალური საკითხები, სამშობლოს უიღბლობა კიდევ უფრო დიდი ძალით უბიძგებდა ამ ტალღასთან შესაერთებლად.

საქართველოდან წასულ, მითუმეტეს, ეროვნული ჩაგვრისა და ცარიზმის ანტიხალხურ პოლიტიკაში გათვითცნო-

ბიერებულ ახალგაზრდებში დიდი საპროტესტო მუხტი იდო. ისინი სულ მალე ექცეოდნენ რუსეთში უკვე არსებული რევოლუციურ-ნაროდნიკული წრეების გავლენის ქვეშ, შედიოდნენ ამ ორგანიზაციებში და თავიანთ ძირითად მიზანს — განათლება მიეღოთ რუსეთის უნივერსიტეტებში - რევოლუციონერის ეკლიან და სახიფათო გზაზე ცვლიდნენ. ამიტომ იყო დიდი ილია ჭავჭავაძის პოზიცია სწორი და უდავოდ გამორჩეული, როდესაც ის ქართველ ახალგაზრდობას ურჩევდა განათლების მიღებას და სამშობლოსათვის ამ გზით სიკეთის მოტანას, დიდი რევოლუციური ტალღებისაგან გარიდებას. ზდანოვიჩმა იფიქრა: დედის სურვილი აღესრულებინა და სამშობლოსთვისაც სასარგებლო განათლება მიეღო თუ, ზოგადად, ხალხის ინტერესებისათვის გაეწირა ყველაფერი, საკუთარი სიცოცხლეც კი, თუკი საჭირო გახდებოდა. მან, როგორც ახალგაზრდამ და არსებული პოლიტიკური რეჟიმისადმი რადიკალურად განწყობილმა, მეორე გზა აირჩია.

ამ დროს პეტერბურგში არსებობდა ქართველ სტუდენტთა წრე, ე.წ. „ქართული წრე", სადაც ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ლევან აბდუშელიშვილი ლიდერობდა, ასევე, „კავკასიის რევოლუციური წრე", ეგნატე იოსელიანის ხელმძღვანელობით. გიორგი ზდანოვიჩი ამ უკანასკნელ წრეში შევიდა. აქ გაერთიანებულნი იყვნენ სხვა ქართველებიც: ლ. კვიცარიძე, კ. ბაქრაძე, პ. კვიცარიძე, ი. ბაქრაძე, ი. ქიქოძე და სხვები. უმეტესობა, ამ ქართული წრისა, ქუთაისიდან იყო და შემდგომში ზდანოვიჩის ერთგული თანამოაზრენი გახდნენ. მათ შორის დავასახელებთ იაზონ ბაქრაძეს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე მჭიდრო კავშირი ჰქონდა ზდანოვიჩთან და მათი მეგობრობის და საქმიანი ურთიერთობის ამსახველი მრავალი დოკუმენტია დაცული გიორგი ზდანოვიჩის არქივში.

ნაროდნიკულ-რევოლუციური მოძრაობა, თავდაპირველად, არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში გლეხობას ეყრდნობოდა, მაგრამ მალე გაირკვა ამ კლასის სისუსტე და

გიორგი ზდანოვიჩის დედა – მაია მიქელაძე,
ქუთაისელ მანდილოსნებთან ერთად (მარცხნიდან მესამე)

მოუმზადებლობა, რის გამოც სოციალური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მუშათა კლასის გამოყენება გადაწყდა. ამის გამო, რევოლუციური მოქმედების ცენტრმა პეტერბურგიდან მოსკოვში გადაინაცვლა. 1874 წელს აქ დაარსდა სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც „მოსკოვის ნრის" სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ორგანიზაციის დაარსებაში დიდი წვლილი შეიტანა ქართველმა რევოლუციონერმა ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარმა (1852-1913). ჯაბადარმა საშუალო განათლება თბილისში მიიღო, სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, 1874 წელს გაემგზავრა პარიზში და შვეიცარიაში, საზღვარგარეთიდან კვლავ მოსკოვში დაბრუნდა, სადაც რევოლუციური მოღვაწეობისათვის გაასამართლეს და ხუთწლიანი კატორღა მიუსაჯეს. ივანე ჯაბადარმა ციხეში ყოფნისას გააერთიანა იქ არსებული რევოლუციური, მათ შორის ქართული წრეები; ჯაბადარის

და ზდანოვიჩის გარდა, მოსკოვის წრეში იყვნენ: კარდაშევი, ჭიკოიძე, გამყრელიძე, ზლობინა, ბარდინა, ციციშვილი, იოსელიანი და სხვები. ივანე ჯაბადარი დაუახლოვდა პეტერბურგის რევოლუციური წრის ხელმძღვანელს, ორატორული ნიჭითა და ორგანიზატორული უნარით განთქმულ პეტრე ალექსის ძე ალექსეევს. მოსკოვის წრის მთავარ ორგანოს, ცენტრს — წარმოადგენდა მისი ჯგუფი სახელწოდებით — „ადმინისტრაცია ანუ მმართველობა". ამ ორგანოს ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ღვაწლი ქართველ ახალგაზრდა რევოლუციონერებს მიუძღოდათ. ზდანოვიჩის ამდროინდელი შეხედულებები სრულად ემთხვეოდა „ნაროდნიკ-ბუნტარების" თვალსაზრისს. ამას მოწმობს ტუნის ნაშრომში მოტანილი ნაწყვეტი მისი წერილიდან: „სამხრეთიდან უნუგეშო ცნობებია, — წერდა ზდანოვიჩი 1875 წლის 19 ივნისს მოსკოვიდან ივანოვოში — ორ წევრს აღარ სურს ოდესაში დარჩენა. ტულელები დანაშაულებრივად იქცევიან. მათ ძალიან დიდი ნაცნობობა აქვთ მუშათა შორის და ჯერ კიდევ არცერთი რევოლუციური წიგნი არ წაუკითხავთ..." წერილი ასე მთავრდებოდა: „გიგზავნით წიგნებს, გიგზავნით რევოლვერებს ვაზნებითურთ, დახოცეთ, ესროლეთ, იმუშავეთ, აჯანყდით"[2]. რამდენადაც ძნელია დღეს ჩვენთვის ამ მოწოდებაში ჰუმანიზმის დანახვა, იმდენად ღრმად სწამდა მის ავტორს, რომ „ქმნა მართლისა, სამართლისა", აუცილებლად მოითხოვდა ამ მსხვერპლს. რადგან „ვეფხისტყაოსნის" რემინისცენცია გაჩნდა, აქვე იმასაც ვიტყვით, რომ გიორგი ზდანოვიჩის თანამებრძოლი — ივანე ჯაბადარი თავის რევოლუციურ იდეებს სრულად სწირავდა ეროვნულ იდეოლოგიას, ფასეულობებს, აკრიტიკებდა გენიალურ ქართულ პოემას და მას არავითარ ადგილს არ აკუთვნებდა არათუ მსოფლიო, არამედ ჩვენს სულიერ კულტურაშიც. საბედნიეროდ, გიორგი ზდანოვიჩი ბოლომდე არ დაავადებულა ამ რევოლუციური თუ „ზეეროვნული" შხამით და ქართული კულტურა მისთვის ძვირფას სიმდიდრედ დარჩა სიცოცხლის

ბოლომდე, თავადაც დიდი ღვაწლი დასდო მის გადარჩენასა და აღორძინებას...

მოსკოვის წრეს ჰქონდა თავისი რევოლუციური მოქმედების პროგრამა, რომელიც მეფის ჟანდარმერიას გიორგი ზდანოვიჩის დაწერილად მიაჩნდა. ექსპერტიზის შედეგადაც დადგინდა მისი ხელწერა, მაგრამ თავად ზდანოვიჩი დოკუმენტის ავტორობას უარყოფდა და თავს გადამწერად აცხადებდა. ეს დოკუმენტი გახდა ცნობილი „50-ის პროცესის" საფუძველი. ამას მაშინდელი სასამართლოს მსაჯულებიც ადასტურებდნენ.[3]

აი, რას წერდნენ სასამართლო დოკუმენტში:

„Отобранная у Здановича программа революционной деятельности... является... документом особенно важным и существенным. Документ этот представляет отчетливую характеристику образа действии пропагандистов и основании, на которых учреждено было тайное общество с целью испровержения существующего порядка управления. Документ этот служит самой улыкой к обвинению всех... лиц, преступная деятельность которых вполне согласовалась с началами, проложенными в основе этой программы..."[3. 23]

რევოლუციური მოქმედების პროგრამა 13 თავისაგან შედგებოდა. თავები პარაგრაფებად იყო დაყოფილი. ეს დოკუმენტი განსაზღვრავდა ორგანიზაციის წევრის უფლებამოვალეობებს, რევოლუციონერისათვის საჭირო თვისებებს, ორგანიზაციაში შემავალი თემების მოქმედების, ფულადი სახსრების მოპოვების, კრებების ჩატარების, თემთა შორის კავშირების დამყარების ფორმებსა და წესებს. თემის წევრებად ღებულობდნენ დიდი რწმენისა და ენთუზიაზმის მქონე რევოლუციონერებს, რომელთაც საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ფასად შეეძლოთ საიდუმლოს შენახვა. ყველაფერი, პირადული ურთიერთობები თუ ოჯახური გრძნობები, რევოლუციონერს ორგანიზაციის ინტერესებისათვის უნდა შეეწირა. სანამ წევრად მიიღებდნენ, მანამდე

მკაცრი, პრაქტიკული გამოცდა უტარდებოდათ. თემის წევრებს არც საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა შეეძლოთ თემის თანხმობის გარეშე, არც ვინმესთან დაკავშირება და სადმე გამგზავრება. მათ უფლება ჰქონდათ თემის მმართველობისაგან მოეთხოვათ ცნობები, დაეწესებინათ კონტროლი და მოეწვიათ თემის საგანგებო კრება. თემის საქმეებს ხელმძღვანელობდა სამი კაცისაგან შემდგარი ადმინისტრაცია, რომელიც ყოველთვიურად იცვლებოდა.ის აწარმოებდა პრაქტიკულ საქმეებს: ბინის დაქირავებას რევოლუციონერი პროპაგანდისტებისათვის, მიწერ-მოწერას სხვა თემებთან, შოულობდა ფულს და წიგნებს, ყალბი პასპორტებით, ტანსაცმლით და სხვა საშუალებებით ამარაგებდა საზოგადოების წევრებს. თემში შემავალ პირებს სრული თავისუფლება ჰქონდათ რევოლუციური პროპაგანდისა და აგიტაციის დროს. ყველა თემს ჰქონდა დამოუკიდებელი ფონდი, რომლის შევსებაში მისი წევრი რევოლუციონერები მონაწილეობდნენ. რევოლუციური წიგნები კონსპირაციულად შემოჰქონდათ ევროპიდან. ორგანიზაციაში ეს ყველაზე მძიმე საქმე დავალებული ჰქონდა გიორგი ზდანოვიჩს. თუ ამ დავალებას გავითვალისწინებთ, იმასთან ერთად, რომ პროგრამის ავტორი თუ არა, თანაავტორი მაინც უნდა ყოფილიყო, მაშინ ნათელი ხდება ზდანოვიჩის გამორჩეული როლი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, ზოგადად მისი პიროვნული თვისებები და არც ის გაგვიკვირდება, რომ ის მასონთა ლოჟის ერთ-ერთი რჩეული ფიგურა იყო.

რევოლუცია მკაცრია და, ხშირად, ტრაგიკულიც არა მარტო მასში მონაწილე ადამიანებისათვის, არამედ მთელი თანადროული საზოგადოებისათვის, თუმცა მისი შედეგები პროგრესულად აისახება საზოგადოების შემდგომ განვითარებაზე.

ფანატიკოსი ქართველი რევოლუციონერების პირადი ცხოვრებაც ინგრეოდა, უბედურდებოდნენ არა მარტო ამ ადამიანთა ოჯახები, არამედ თვით ქვეყანაც, რადგან საქართველოს მათი განათლება და ღვაწლი სჭირდებოდა,

მოუთმენლად ელოდა მათ დაბრუნებას და ჩამორჩენილი ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს. რუსეთში სასწავლებლად წასული, ფანატიკურ რევოლუციონერებად ქცეული ქართველები, ხშირად ჰყიდდნენ თავიანთ სამემკვიდრო ქონებას და რევოლუციური თემის სალაროში შეჰქონდათ. ხშირი იყო თემის წევრთა ფიქტიური ქორწინებები, მზითვის აღებისა და მისი რევოლუციური მიზნით გამოყენებისათვის. მაგალითად, თავადი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ციციშვილი სპეციალურად ჩავიდა გორის მაზრაში, მიიღო კუთვნილი ქონება, გაყიდა, დაბრუნდა რუსეთში და ეს ფული მთლიანად რევოლუციური მოძრაობის სალაროში შეიტანა. ციციშვილი, მეტსახელად სანჩო, 50-ის პროცესზე მოხვდა, ზდანოვიჩთან, ივანე ჯაბადართან („მიხეილი"), ანთიმოზ გამყრელიძესთან („გამკა") და მიხეილ ჭიკოიძესთან („თედორე") ერთად. ციციშვილი ამ დროს 25 წლის იყო, მან ფიქტიურად იქორწინა რევოლუციონერ ა. სორუევსკაიაზე და მზითვის სახით მიღებული ქონებაც რევოლუციას შესწირა. 23 წლის ანთიმოზ გამყრელიძემ მდიდარ სომეხზე — ე. თუმანოვაზე იქორწინა და ისიც ასევე მოიქცა. ამ ორმა ქართველმა რამდენიმე ათასი მანეთით გაზარდა რუსეთის რევოლუციური სალარო. თემების მუშაობის საერთო ხელმძღვანელი ჯერ ივანე ჯაბადარი იყო, მისი დაპატიმრების შემდეგ კი — ანთიმოზ გამყრელიძე.

არალეგალური ლიტერატურის შემოსატანად გიორგი ზდანოვიჩს კავშირი ჰქონდა დამყარებული საზღვარგარეთ მცხოვრებ რუს რევოლუციონერებთან. მაგ.: შვეიცარიაში მცხოვრებ ს. მ. კრავჩინსკი—სტეპნიაკთან, ელენცთან, ჟუკოვსკისთან, ასევე, ამ დროს ჟენევაში მყოფ ვარლამ ჩერქეზიშვილთან.

რუსულმა ჟანდარმერიამ და საიდუმლო პოლიციამ კარგად იცოდა ზდანოვიჩის განსაკუთრებული როლისა და ავტორიტეტის შესახებ, ამიტომ ფარულად ადევნებდნენ თვალს, მაგრამ მოხერხებული კონსპირატორი კარგახანს ვერ ჩაიგდეს ხელში. საიდუმლო თემების აღმოჩენა მას შემ-

დეგ დაიწყო, როდესაც პოლიციამ ეს საქმე შემთხვევით გახსნა და ივანე ჯაბადარი და პეტრე ალექსეევი დააპატიმრა. ზდანოვიჩი სრულიად მოულოდნელად ჩავარდა. ამ ფაქტს აღწერს დავით კაკაბაძე: კიშინიოვში გამოგზავნილი არალეგალური წიგნების ტვირთი — 131,5 კილოგრამი, მას ტყავის სახით ჰქონია გაფორმებული. ზდანოვიჩი დახვდა ტვირთს, გადმოიფორმა და მოსკოვში გასაგზავნად ჩააბარა, დამშვიდებული გაემგზავრა მოსკოვში, დაბინავდა ვინმე გურევის სასტუმროში — ვერნერის ყალბი პასპორტით. კიშინიოვში კი მწონავებმა გადაწყვიტეს ტყავის ერთი ყუთი მოეპარათ, მაგრამ მოტყუვდნენ, ყუთში, ტყავის ნაცვლად, წიგნები აღმოჩნდა. ეს წიგნები გაყიდეს, ყუთი კი ნაგვით აავსეს. გაყიდული წიგნებით პოლიციამ კვალს მიაგნო და როდესაც დამშვიდებული ზდანოვიჩი მოსკოვში ტვირთისთვის გამოცხადდა, 1875 წლის 19 სექტემბერს, იგი დააპატიმრეს. ზდანოვიჩმა უარყო ვერნერობა, თავი ივანე ანდრეევად გამოაცხადა, ვერნერის პასპორტი ბაზარში ვიპოვეო, ამტკიცა, მაგრამ ვერაფრით შეიმსუბუქა მდგომარეობა. აღმოაჩინეს 2 400 რევოლუციური შინაარსის წიგნი, იარაღი, „რევოლუციური მოქმედების პროგრამა", „რევოლუციონერის წესდება", „საიდუმლო საზოგადოების ორგანიზაციების" მისამართების სია — ევროპისა და რუსეთის ქალაქებში და სხვა. ზდანოვიჩი გარეგნულად წითური იყო და მეტსახელი „რიჟა"-ც ამიტომ შეარქვეს. დაპატიმრებისას იგი შავად იყო შეღებილი, მაგრამ პოლიციამ მაინც გაარკვია მისი ვინაობა, წარმომავლობა, ის, რომ ანდრეევიც და ვერნერიც ზდანოვიჩი იყო. [1-33-34] 50-ის პროცესზე გამოსულ ორმოცდაათ ბრალდებულთაგან, ზდანოვიჩს ყველაზე უშიშრად ეჭირა თავი და მისი სიტყვაც გაუტეხლობით, საბრძოლო სულისკვეთებით, სოციალისტური იდეების რწმენითა და შემართებით გამოირჩეოდა. ეს პროცესი 1877 წლის თებერვალ-მარტში შედგა და არამარტო მთელი რუსეთის, არამედ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. საქმე ღია პროცესზე გაირჩა, სადაც ბრალდებულებს 15 ვექილი იცავდა; ორმოცდახუთმა ბრალდებულმა ყველა ბრალ-

დება უარყო, მათ შორის იყო ზდანოვიჩიც. მან დამცველ-ზეც უარი თქვა. სასამართლოზე დიდი გავლენა მოახდინა პეტრე ალექსეევის სიტყვამ, მისმა მუქარამ შეაშინა მეფის მოხელეები, რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ეს გაუტეხელი პათოსი სხვა ადამიანებსაც არ გადადებოდათ.

სასამართლო პროცესზე ნათქვამი გიორგი ზდანოვიჩის სიტყვა ბევრი რამით არის საყურადღებო. მასში გამოთქმული ბევრი თვალსაზრისი დღესაც აქტუალურია, ბევრი კი, როგორც ფანატიკოსი რევოლუციონერის შეხედულება, დრომოჭმულია და შინაარსგამოცლილი. რუსეთში გავრცელებული თვალსაზრისი, რომ ეს ქვეყანა საკუთარი გზით მიდის და არ უნდა გაიზიაროს ევროპის ქვეყნების გამოცდილება, ზდანოვიჩმა სამართლიანად გააკრიტიკა. მან სწორად თქვა, რომ „ცივილიზაცია და ადამიანური იდეები საერთაშორისოა. რა თქმა უნდა, კაცობრიობის იდეალები გარდაიქმნებიან ხალხთა ისტორიული ცხოვრების პირობების შესაბამისად, არსებითად რჩებიან ყველა ხალხისთვის საერთოდ, ამავე დროს, ეს იდეალები დეტალებში ესადაგებიან ქვეყნის პირობებს... რუსეთისათვის სრულიადაც არ არის ხელსაყრელი გამოეყოს ევროპის ხალხების ოჯახს და რომ, პირიქით, იგი ვალდებულია საკუთარი ბედი დასავლეთის ბედს დაუკავშიროს და მასთან ერთად იღვაწოს განვითარებისათვის საუკეთესო პირობების მისაღწევად.“ მისი მსჯელობა „თეორიულ და პროგრესულ სოციალიზმზე“ ამ დროისათვის სავსებით მისაღები, მაგრამ ზოგადად უტოპიური პოლიტიკური დოგმა იყო, რომლის განხორციელებაც შეუძლებელი იქნებოდა ყველანაირ საზოგადოებაში. ზდანოვიჩმა გამოთქვა ამ იდეალებისათვის თავგანწირვის მზადყოფნა, არ შეუშინდა მოსალოდნელ განაჩენს და სასამართლო პროცესი თავისი შეუპოვარი რევოლუციური ჟინის გამოხატვის არენად აქცია. სოციალური რევოლუცია, მისი აზრით, აუცილებლად გაიმარჯვებდა და ამას ვერავინ შეაჩერებდა.

გიორგი ზდანოვიჩს 6 წლისა და 8 თვის პატიმრობა მიესაჯა, კატორღაში მოხდით, განაჩენს თავად იმპერა-

ტორმა მოაწერა ხელი და ჟანდარმერიის შეფის რჩევით, არ გამოიჩინა გულმოწყალება მის შესარბილებლად.

შვილის მდგომარეობით შეწუხებული დედა ქუთაისიდან წერილს წერილზე აგზავნიდა იმპერატორთან, თხოვდა შვილის შეწყალებას და როდესაც პასუხი ვერ მიიღო, თავად გაემგზავრა რუსეთს, ხარკოვის გენერალ-გუბერნატორთან — ლორის-მელიქოვთან მიაღწია, მისი დახმარებით მოახერხა დაპატიმრებული ვაჟის ნახვა. პირველ რიგში, იქაურ ადმინისტრაციას შვილისათვის შელავათები და სასჯელის შემსუბუქება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. პატიმარ შვილთან შეხვედრა ძნელი იყო ქალისთვის, მაგრამ შვილმა ანუგეშა, თხოვა, სამართლიანობისთვის ვიბრძვი და გამიგეო. ამ ამბავს იგონებს და მარიამ მიქელაძესთან პირად ურთიერთობას აღწერს გიორგი ლასხიშვილი, თავის მემუარებში. 1889 წლამდე გაგრძელდა გიორგი ზდანოვიჩის პატიმრობა და გადასახლება, იგი იმყოფებოდა ხარკოვის, მოსკოვის, ბორისოგლების ცენტრალურ ციხეებში, გადასახლებული იყო კარაში 1882-83 წლებში, 1884-89 წლებში ჯერ ვერხოლენსკში, შემდეგ ტომსკში.

1889 წელს დაბრუნდა საქართველოში და სამუდამოდ დასახლდა ქუთაისში. ორი წლის შემდეგ, 1891 წელს გარდაეცვალა დედა, რაც მტკივნეულად განიცადა და ამიერიდან საკუთარი გვარი შეცვალა ფსევდონიმით — მაიაშვილი. აქვე ვიტყვი: არც გიორგი ზდანოვიჩს შეუქმნია ოჯახი, XIX საუკუნის ბევრ ქართველ მოღვაწეთა მსგავსად. მან ბოლომდე დახარჯა საკუთარი ცხოვრება არა პირადულის, არამედ საქვეყნო იდეალების განხორციელებაში. ამ ფონზე უბრალო ჭორად ჩანს ზოგი მისი თანამედროვის მტკიცება, რომ ზდანოვიჩს ახალგაზრდობაში რუსი რევოლუციონერი ქალი უყვარდა, მისი დაპატიმრების შემდეგ ეს ქალი გათხოვდა, ამან ისე იმოქმედა, ცოლი აღარასოდეს შეირთოო. მიზეზი გაცილებით ღრმა იყო, პიროვნულზე მაღლა საზოგადოებრივის დაყენება, იმ ურთულეს დროში თავაუღებელი შრომა და ღვაწლი. ამის მიუხედავად, რომანული ეპიზო-

დები, დაინტერესებულმა პირმა შეიძლება კიდეც მოიძიოს ზდანოვიჩის უზარმაზარ არქივში. წერილები ქართველი და უცხოელი ქალებისაგან იმდენ სითბოს, სიყვარულსა და პატივისცემას, ზრუნვასა და გულითადობას გამოხატავენ ამ დიდი და კეთილშობილი ადამიანისადმი, შესაძლოა, არც სიყვარული იყო უცხო ამ ქალებისათვის; ზოგი სტუმრობას სთხოვდა, ზოგი საკუთარ ხელთნაქნარს ჰპირდებოდა, ზოგი სამახსოვრო და ტკბილი საჩუქრისათვის უხდიდა მადლობას. აქედან არცთუ შორსაა ჭეშმარიტი სიყვარული, თუმცა გიორგი ზდანოვიჩისათვის ის მხოლოდ რომანტიკაში დარჩა და რეალურ ცხოვრებაში ყოველდღიური შრომა, ბრძოლა და მოუსვენრობა ერგო.

ჯერ კიდევ გადასახლებაში ყოფნისას, 1882 წელს, „ივერიაში" გამოქვეყნდა გიორგი ზდანოვიჩის „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ", რამაც ქართულ საზოგადოებაში დიდი კამათი და ვნებათაღელვა გამოიწვია. ავტორი აკრიტიკებდა თანადროულ ქართულ ინტელიგენციას ეკონომიკური პროგრამის უქონლობის გამო, ამტკიცებდა, რომ ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებას წინ უნდა წაძღოლოდა ეკონომიკური ჩაგვრისაგან თავის დაღწევა. „მხოლოდ ღრმა ეკონომიკური ცვლილებისათვის ბრძოლის გზა არის ნამდვილი თავისუფლებისადმი, მხოლოდ საუკეთესო ეკონომიურის წეს-წყობილების დამყარება ეროვნულის დამოუკიდებლობისათვის, რასაკვირველია, ნამდვილად გაანთავისუფლებს ხალხს და მისცემს მას ჭეშმარიტ თავისუფლებას", — წერდა იგი. ამ რწმენას სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა ზდანოვიჩი, რომელიც საქართველოს სამრეწველო-ეკონომიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ გამორჩეულ როლს ასრულებდა. მისი არქივის მასალები ცხადყოფს ამ სფეროში არსებულ მის მრავალფეროვან ინტერესს, ღვაწლს, მისი თეორიული შეხედულებების პრაქტიკაში გადატანის მაგალითებს. „ჭეშმარიტნი მებრძოლნი ხალხის სიკეთისათვის, პატრიოტი მოყვარენი თავისი სამშობლოსი, თავისავე საკუთარი ხელით უთხრიან ორმოს ძვირფას თავის ქვეყანას,

უკეთუ ივიწყებენ ხალხის ეკონომიურ ინტერესებს... უკეთუ გამოსდგომიან მხოლოდ ეროვნულ იდეებს და ტრადიციებს". ამ სიტყვების ავტორი თავდადებით იღვწოდა ჭიათურის მანგანუმის მოპოვებასა და წარმოებაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის, ამ სფეროს საშუალებით საქართველოს განათლებისა და კულტურის, ხალხის სოციალური მდგომარეობის დაწინაურებისათვის.[4] მას მიაჩნდა, რომ ქართველ თერგდალეულთა მოღვაწეობის საფუძველი გახდა 60-იანი წლების რეფორმები, ხალხის უკიდურესად დაბალი სოციალური დონე; თავის შეხედულებას, საზოგადოების განვითარებაში ეკონომიკის პრიორიტეტზე, პრაქტიკულად იცავდა ზდანოვიჩი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის თავმჯდომარედ ყოფნის მთელი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (1896-1917 წ.წ.).

გიორგი მაიაშვილი სოციალისტ-ფედერალისტი, ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი იყო, კიტა აბაშიძესთან, სამსონ ფირცხალავასთან, გიორგი ლასხიშვილთან, ვლადიმერ ლორთქიფანიძესთან და პეტრე ყიფიანთან ერთად; მეგობრობდა გიორგი ლასხიშვილთან, კიტა აბაშიძესთან და პარტიის სხვა ხელმძღვანელებთან, მხარს უჭერდა საქართველოს ავტონომიას რუსეთის ფარგლებში, ჰქონდა საკუთარი ეროვნული პროგრამა, იყენებდა იმ არაქართველ პირებთან ნაცნობობას, რომლებიც მუშაობდნენ ხელისუფლების სტრუქტურებში, მაგრამ მხარს უჭერდნენ ქართველი ინტელიგენციის ეროვნულ მოთხოვნებს. ამის დამადასტურებელი ბევრი წერილია გიორგი ზდანოვიჩის არქივში, ქართველი თუ რუსი მოღვაწეებისაგან მოწერილი. წერილი, რომელსაც ახლა მოვიტან, ამდაგვარი შინაარსისაა. 1909 წლის 23 თებერვალს, ბათუმიდან, სამსონ მდივანი თხოვს დაეხმაროს გაზეთ „რეჩ"-ში ვერმიშევის სტატიის დაბეჭდვაში. ანტიქართული კამპანიის საწინააღმდეგოდ, ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ რუსი მოხელის გამოყენებას.

„ძმაო გიორგი! — წერს ს. მდივანი —გუშინწინ ბათუმიდან გამოვგზავნე წერილი „რეჩ“-ის რედაქციისათვის. წერილის სათაურია „კიდევ პრივილეგიები და კავკასიის სეპარატიზმი“, ხელს აწერს „ალვერი“. ეს წერილი ეკუთვნის თქვენს კარგ ნაცნობს ა. ვერმიშევს. გთხოვთ დაგვეხმაროთ რედაქციაში, რომ უეჭველად დაიბეჭდოს. პირადი თქვენი გარჯა საჭიროა, რადგან ცოტა არ იყოს წერილი მოიგრძელებს და ადვილათ შეიძლება რედაქციამ არ დაბეჭდოს. წერილი შეეხება ასეცკის თავმჯდომარეობით მომხდარ კომისიის დასკვნებს, რომლითაც უნდა განიდევნონ სახელმწიფო სამსახურიდან ადგილობრივი მკვიდრნი. ამ მხრივ მდგომარეობა თანდათან მწვავდება. პურიშკევიჩის „ამხანაგების“ აღვირნართმეულ მოღვაწეობას საზღვრები უფართოვდება, ვინაიდან თვით ნამესტნიკი, შეშინებული მათი სიტყვებით, ყოველივე ღონეს ღებულობს, რათა გაიმართლოს თავი მათ წინაშე. ა. ვერმიშევის ვინაობა დაცული უნდა იქნეს, თავათ მოხელეა და ეშინია არ გაიგონ. თუ ვინიცობაა მიიღონ და დაბეჭდონ, ნუ დაიზარებთ ტელეგრამით გვაცნობოთ მხოლოდ ერთი სიტყვით „принят“. სხვაფრივ აქ სასიხარულო და საიმედო არა არის რა. იყავით კარგათ. თქვენი ს. მდივანი“.

გიორგი ზდანოვიჩის ხელმძღვანელ ნიჭსა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე შეუცვლელ როლს კარგად ახასიათებს კიტა აბაშიძის მისადმი გაგზავნილი ერთი წერილის შემდეგი ნაწყვეტი: „უთქვენოთ ჩვენი მდგომარეობა მეტათ ძნელია. თქვენ ჩვენი ნამდვილი თავი ხართ ყოველივე საქმეში. უთქვენოთ მოწყენილი ვართ როგორც მეგობრები და დაბნეულები, როგორც საზოგადო მოღვაწენი. ამას კომპლიმენტისთვის არ გეუბნებით, არამედ იმიტომ, რომ ღრმად ვგრძნობთ უთქვენობას“.[6]

გიორგი ზდანოვიჩს მიაწერენ ვასილ წერეთელი და დავით კლდიაშვილი კერენსკისთან მომხდარ ინციდენტს. 1912 წელს ქუთაისის თავადაზნაურთა შეკრებაზე კერენსკიმ გააკრიტიკა ქართული საზოგადოება, თქვა, რომ ჯერ არაა მზად ნიადაგი საქართველოს ავტონომიისათვის, რადგან

პოლიტიკურ პროცესში მხოლოდ თავადები მონაწილეობენ, ამიტომ ერობას დაჯერდითო. ზდანოვიჩმა ტრიბუნიდან ჩამოსვლა უბრძანა კერენსკის, ასე რომ მცოდნოდა, არ მოგიწვევდითო, ჩვენში ინტელიგენცია თავადები კი არა, ხალხის ნაწილი, მისი საუკეთესო შვილები არიანო, კიტა აბაშიძეს ნახევარი ქცევა მიწა აქვს მხოლოდ, რისი თავადი და გლეხთა მჩაგვრელიაო.

გიორგი ზდანოვიჩის პოლიტიკურ პლატფორმაზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის როგორც მისი ნაწერები, ასევე სოციალისტ-ფედერალისტთა მოგონებები. ზდანოვიჩი ახალგაზრდობაში ნაროდოვოლეცი იყო, ისევე, როგორც გიორგი ლასხიშვილი. მისი სოციალისტური იდეებიც საბოლოოდ „ეროვნულისკენ გადაიხარა" და „სოციალიზმ-ფედერალიზმის ნავსაყუდელში" დადგა. ლასხიშვილის აზრით, XIX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში ორი პოლიტიკური არჩევანი არსებობდა და ქართველი ახალგაზრდებიც ან ერთს, ან მეორეს ირჩევდნენ. „ერთის მხრით ძველი, ეროვნული, უმთავრესად თავადაზნაურული ინტელიგენცია, მეორეს მხრით ახალი დემოკრატიული ნაკადი, ეგრეთწოდებული „მესამე დასი". პირველი ბანაკის ორგანო იყო ილია ჭავჭავაძის „ივერია", ხოლო მეორე — გიორგი წერეთლის „კვალი". ამ ორ ბანაკს შუა იდგა განცალკევებული პატარა ჯგუფი ქართველი ინტელიგენციისა, რომელიც სავსებით ვერ მიემხრობოდა ვერც პირველ და ვერც მეორე ბანაკს. აქ იყვნენ: გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ალექსანდრე ნანეიშვილი (ნალი), სტეფანე ჭრელაშვილი (სანო), რომანოზ ფანცხავა (ხომლელი), იაკობ ფანცხავა (ფხა), დიმიტრი მაჩხანელი და სხვები. შემდეგ ამ ჯგუფს მიემატნენ ვასილ წერეთელი, კიტა აბაშიძე, ილია ნაკაშიძე და სხვანი. ამ ჯგუფიდან ზოგი შეეხიზნა „ივერია" —„მოამბეს" (მაიაშვილი, ნანეიშვილი, ვასილ წერეთელი, კიტა აბაშიძე), ზოგი „კვალს" (რომანოზ და იაკობ ფანცხავები).[7] გიორგი ლასხიშვილის ეს მოგონება ნათელყოფს მაიაშვილის ერთგულებას ეროვნული იდეოლოგიის, ილია ჭავჭავაძის გზისადმი. მისი განუყრელი

მეგობრები — კიტა აბაშიძე და გიორგი ლასხიშვილიც ხომ ამ მიმართულებას მისდევდნენ და სიცოცხლის ბოლომდე დიდი ილიას გზიდან არც გადაუხვევიათ და წუთითაც არ შეჩერებულან, არც დაეჭვებულან ამ გზის სისწორეში, ქართველი ხალხის მომავლის რწმენაში.

გიორგი ზდანოვიჩი, მათ მსგავსად, თავს ახალი მიმართულების მოღვაწედ თვლიდა, რაშიც გულისხმობდა ერთდროულად ეროვნული და სოციალური საკითხისადმი ერთგულებას, მისთვის სოციალისტური იდეოლოგია ქართველი ხალხის ხსნად, მისი ეკონომიკისა და პოლიტიკური ცხოვრების აღორძინებად გაიაზრებოდა. ამის გამო ეჯახებოდა ორ ბუმბერაზ მოაზროვნეს, მის თანამედროვეთ და თანამოსაქმეთ: ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს. ილიამ ჯეროვნად დააფასა ეს დიდი ადამიანი, მიიწვია თავის „ივერიაში" და მისი განახლება-გამრავალფეროვნება მიანდო, გიორგი ლასხიშვილსა და სხვა მისნაირად მოაზროვნე ადამიანებთან ერთად. თუმცა, ილია მათ ბოლომდე არასოდეს ეთანხმებოდა და არც მათ თვალსაზრისს იზიარებდა, მიიჩნევდა, რომ რევოლუციური გადატრიალებები საქართველოსნაირ პატარა ქვეყანას კარგს ვერაფერს მოუტანდა. არც რუსული მონარქიის დამხობა და კონსტიტუციურ-დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება იქნებოდა პანაცეა ქართველი ერის მომავლისათვის. სწორედ „ივერიის" ამ ახალმა, რევოლუციურმა ახალგაზრდობამ განაპირობა ცენზურის უკიდურესი რეაქცია და გაზეთ „ივერიის" დახურვა, რასაც გულისგატეხვა და გულისწყვეტა მოჰყვა რედაქციის შემადგენლობაში, ზდანოვიჩი კი ამ ფაქტს სულაც არ მიიჩნევდა ტრაგედიად, თვლიდა, — ასეთი რადიკალური ღონისძიებებით მთავრობა კიდევ უფრო გამოაფხიზლებდა და გააააქტიურებდა ხალხს, ხელს შეუწყობდა ანტიცარისტულ ბრძოლას. გიორგი ლასხიშვილის „მოგონებებში" „ივერიის" დახურვა, ილიასა და ზდანოვიჩის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი, ასეა დახატული: „მე და გიორგი (ზდანოვიჩი) წავედით თეატრში „ბანკოვიადის" საყურებლად, ავედით სცენაზე, დავიჭირეთ კორესპონ-

დენტების ადგილები, იმავე წუთს სცენაზე გამოჩნდა ილიაც, რომელიც პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა.

— აი, თქვენმა რევოლუციონერობამ უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი: ეს არის ქაღალდი მომივიდა „ივერიის" დახურვის შესახებ.

ადვილად წარმოიდგენთ, როგორ თავზარს დამცემდა ეს ამბავი, როგორ უეცრად მიცრუვდებოდა ყველა იმედი გაზეთის განახლებისა, გაზეთში თანამოაზრე ხალხის შეკრებისა და ახალი მიმართულებით მუშაობისა.

ილია კიდევ ლაპარაკობდა რაღაცას, მაგრამ მე აღარ მესმოდა, მხოლოდ მახსოვს, გიორგი ზდანოვიჩმა უთხრა:

— არა უშავს რა ილია, გაზეთის დახურვას და მაგგვარ თავში დაკვრასაც თავისი მნიშვნელობა აქვს ერის გამოფხიზლებისათვის.

— მეტი რაღა დაგვრჩენია, მაგით ვინუგეშოთ თავი, — ნაღვლიანის ღიმილით გვიპასუხა ილიამ და მოგვშორდა."[7-95]

„ივერიის" დახურვის შემდეგ ზდანოვიჩი თანამშრომლობდა „ნოვოე ობოზრენიეში", რომლის რედაქტორები იყვნენ ძმები — გიორგი და ვასილ თუმანიშვილები, გამომცემელი კი - მათი მესამე ძმა— კონსტანტინე. მართალია, ისინი ეთნიკურად სომხები იყვნენ, მაგრამ სრულად გაქართველებულნი. მათი მამა — მიხეილ თუმანიშვილი თავისი დროისათვის საკმაოდ ცნობილი ქართველი მწერალი იყო, და — ანასტასია თუმანიშვილიც ასევე აღიარებული მწერალი და მოღვაწე, გიორგი წერეთლის მეორე ცოლი იყო. თუმცა გიორგი წერეთელთან მას შვილი არ შესძენია (გიორგი წერეთლის პირველი მეუღლე იყო ნიკო ნიკოლაძის და, ირაკლი წერეთლის დედა), მაგრამ საკუთარი შვილებივით ზრუნავდა გერებზე. თუმანიშვილები ქართველი პატრიოტები იყვნენ, მაგრამ მათი გაზეთი და მასში მოღვაწე სოციალისტი პუბლიცისტები (მათ შორის ზდანოვიჩიც) დაუპირისპირდნენ გაზეთ „კავკაზის" რედაქტორს, რუს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ვასილ ველიჩკოს, რომელიც აკრიტიკებდა

სომხებს და უკიდურესი პუბლიცისტური სიმძაფრით აშარ-ჟებდა მათ ეროვნულ ინტერესებს. ქართველი საზოგადოე-ბის ერთ ნაწილში ველიჩკომ სიმპათია დაიმსახურა, რაც გასაგები იქნება, თუ სომეხთა ლიტერატურულ და პოლიტიკურ პრეტენზიებს, მათ დამოკიდებულებას გავიხსენებთ საქართ-ველოს ისტორიისა და ქართული კულტურისადმი. სომხურმა ამბიციებმა დააწერინა „ქვათა ღაღადი" ილია ჭავჭავაძეს და ტოლერანტობით განთქმული ქართველების ერთ ნაწილს ან-ტისომხური გრძნობები გაუღვივა, რაც ველიჩკოსადმი სიმ-პათიებსა და დამოკიდებულებაშიც გამოიხატა. ზდანოვიჩი ველიჩკოს ანტისომხურ განწყობილებას არ თანაუგრძნობდა. იქნებ, ამაში, ზოგადრევოლუციურ იდეებთან ერთად, ზდა-ნოვიჩის პიროვნული დამოკიდებულებაც თამაშობდა როლს, რადგან ველიჩკოს მხარეს იდგნენ იმ ქართველი ინტელი-გენციის წარმომადგენლები, რომელთანაც მას პოლემიკა ჰქონდა სხვადასხვა საკითხზე. ჩვენი ინტელიგენციის შიდ-ადაპირისპირებასა და „ფხუკიანობაზე" კარგად მიუთითებს გიორგი ლასხიშვილი, როდესაც აღწერს „ცნობის ფურცლის" რედაქტორობიდან ალ. ჭყონიას გადადგომას: „ამ ინციდენ-ტზე იმიტომ შევჩერდი,— წერს იგი, — რომ აღმენიშნა ერთი დამახასიათებელი თვისება ჩვენის ძველის მოღვაწეებისა: საზოგადო საქმით გამოწვეულ პოლემიკასა და კრიტიკას ისინი მეტწილად შეურაცხყოფად თვლიდნენ და სამუდამოდ მოსისხლე მტრები ხდებოდნენ. მე მგონია, ამ მხრით, ერთად-ერთ გამონაკლისს შეადგენდნენ ორი ძველი დიდი მოღვაწე — ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე, დანარჩენების მოღ-ვაწეობის ან მოქმედების კრიტიკულად შეხება სწორედ უბე-დურება იყო და დიდ გამბედაობას მოითხოვდა."[7. 134]

გიორგი ზდანოვიჩიც იმ „დანარჩენებში" შედიოდა და მასაც ახასიათებდა პირადი შეხედულებებით პიროვნებათა განსჯა. ეს მომენტი თამაშობდა დიდ როლს მასა და ნიკო ნიკოლაძეს შორის გამართულ პოლემიკაში. მისეული შეფასე-ბები და ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის განსჯა სწორედ ამ



გიორგი ზდანოვიჩი ქართველი ინტელიგენციის ჯგუფთან. დგანან (მარცხნიდან): ანთიმოზ გამყრელიძე, მიხეილ ძნელაძე, გიორგი ზდანოვიჩი, კოტე ბაქრაძე; სხედან (მარცხნიდან): ალექსანდრე ნანეიშვილი, ალექსანდრე გაბაშვილი, ვასო ყიფიანი

პოზიციიდანაა დასანახი და არა სუბიექტური თვალთახედვით.

თუმცა, იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში ზდანოვიჩმა დიდი და დადებითი როლი ითამაშა, თავგანწირული იყო ამ დიდი ადამიანის მცდელობა — ეს ეროვნული სიმდიდრე ქართველ ხალხს მომხმარებოდა. მის გუნდში მყოფი კიტა აბაშიძეც ასეთივე თავდადებული მამულიშვილი იყო. ჩანს, ზდანოვიჩისა და ნიკოლაძის სხვადასხვა თვალსაზრისი პირადი ინტერესებიდან კი არა, მათი სხვადასხვა შეხედულებებიდან და გულწრფელი სურვილებიდან მომდინარეობდა — არცერთ მხარეს არ ჰქონია სხვა ინტერესი, გარდა ერთისა: შავი ქვის მადნით საქართ-

ველოს ეკონომიკას, კულტურას, განათლებას შველებოდა, ხალხის სოციალური ცხოვრების დონის ამაღლება მომხდარიყო. ამაში გიორგი ლასხიშვილის მოგონებების ის ვრცელი ეპიზოდიც გვეხმარება, სადაც გიორგი ზდანოვიჩის საქმიანობის შეფასებაა, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. ამ პოსტზე ზდანოვიჩი საბჭოს დაარსებისთანავე დაინიშნა. „თამამად შეიძლება ითქვას — წერდა გ. ლასხიშვილი, — რომ გიორგი ზდანოვიჩის ენერგიის, გამჭრიახობისა და ნიჭის წყალობით დადგა ფეხზე და გაიზარდა ეს ჩვენი ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვანი საქმე." ის არც ზდანოვიჩის შეცდომებს ივიწყებდა, მაგრამ ამას ბუნებრივად თვლიდა, რადგან ეს საქმე ჩვენში ახალიც იყო და დიდი მნიშვნელობის მქონეც, ნაკლები გამოცდილება და გამარჯვებისაკენ სწრაფვა შეცდომებსაც აშვებინებდა მარგანეცის მრეწველობის მეთაურებს, მაგრამ „სწორედ გიორგი ზდანოვიჩის ნიჭისა და დაუშრეტელი ენერგიის წყალობით ამაღლდა ეს მრეწველობა და მსოფლიო მასშტაბის საქმედ ჩამოყალიბდა." [9. 137]

გიორგი ზდანოვიჩი მიხვდა, რომ წვრილი მეურნეობით ვერაფერს გააწყობდა, ვერც ტექნიკას გააუმჯობესებდა, ვერც მუშათა მდგომარეობას უშველიდა, ვერც უცხოურ პროდუქციას გაუწევდა საბაზრო კონკურენციას. საჭირო იყო მსხვილი კაპიტალის მოზიდვა, უცხოური ინვესტიციები. ამიტომ თავიდანვე უცხო კაპიტალისტებს შეუწყო ხელი, მაგრამ შედეგში, როდესაც დაინახა, რომ უცხოელები გულგრილები იყვნენ ადგილობრივი პრობლემებისადმი, დამოკიდებულება შეცვალა, ადგილობრივ წვრილ მეწარმეთა გაერთიანებას დაუჭირა მხარი, დააარსა ქართველ მრეწველთა სინდიკატი და საქმეც წინ წავიდა, მაგრამ ამ დროს გამოუჩნდა ოპოზიცია, რომელსაც ლასხიშვილი აკრიტიკებდა და ზდანოვიჩს ამართლებდა. იგი წერდა: „საქმიანი ოპოზიცია, უეჭველია, საჭირო და სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ საქმიანობის ნაცვლად ბრძოლა პირადობის წინააღმდეგ აღიმართა. „ზდანოვიჩი უნდა გადავაგდოთ, რითაც კი შეიძლებაო", — აი,

ლოზუნგი და დევიზი ამ გაშმაგებული ბრძოლისა.“ [7. 137] ქართველთა შორის გაჩაღებული დავით ისარგებლეს რუსმა რეაქციონერებმა, ბათუმური რუსული გაზეთის — „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორის — პალმის — მეთაურობით, ამოძრავდნენ ექსპორტიორები — ემერიკის მეთაურობით, საქართველოში მოღვაწე ბიუროკრატიამ გადაწყვიტა ხელის მოთბობა „ჭიათურაში დანთებულ კოცონზე“. არც ვინმე კალატოზიშვილს, რომელიც ზდანოვიჩის თანამდებობაზე წამოაყენეს, არც სახელმწიფო საბჭოს წევრს — ანდრია ერისთავს, გაეგებოდა რამე შავი ქვის მრეწველობისა, ზდანოვიჩი კი ამ საქმეში განსწავლული კაცი იყო და ზოგადად დიდი ორგანიზატორული ნიჭის მქონეც. ოპოზიციას „კვალი“ ეხმარებოდა. 1903 წლიდან ბიუროკრატიამ შეზღუდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს უფლებები. ხარჯთაღრიცხვა წინასწარ უნდა დამტკიცებულიყო ადმინისტრაციის მიერ, კრებების თამჯდომარეც კი — მთავრობის დანიშნული კაცი იყო. თუ რა მტკივნეულად განიცდიდა ზდანოვიჩი შავი ქვის მრეწველობაში არსებულ პრობლემებს, ოპოზიციის გამოსვლებს, კარგად ჩანს მის არქივში დაცული მრავალფეროვანი მიწერ-მოწერიდან. ზდანოვიჩი ეძებდა მარგანეცის სხვა საბადოებს სამხრეთ კავკასიაში. მთავრობაც დაინტერესებული იყო ამ ძვირადღირებული მადნის მოპოვების გაზრდით. ის თანამშრომლობდა სამთო ინჟინერ გრინევთან და ჩართული იყო თბილისისა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში მარგანეცის საბადოების აღმოჩენაში. ჟურნალის — „Вестник горного дела и орошения на Кавказе“ 1900 წლის ნომერში ათავსებდა ვრცელ ინფორმაციას ამ საკითხზე. ზდანოვიჩის არქივში დაცული ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ მთავრობას ყაზახში ჭიათურაზე არანაკლები მოცულობის საბადოს აღმოჩენის იმედი ჰქონდა. თბილისის ქიმიურ ლაბორატორიაში შემოწმების შემდეგ, იქ მიპოვებული ნიმუშის მაღალხარისხიანობაც დადგინდა, თუმცა ამ საქმემ განვითარება ვერ ჰპოვა.[8]

ზდანოვიჩი ჩართული იყო ნავთობის ძიებაშიც. ექსპედიციამ მისი ხელმძღვანელობით, აღმოაჩინა ნავთობის საბადო ხანისწყალზე, ბაღდადის ახლოს. ზდანოვიჩის არქივში მრავალი რუსი დეპუტატის, რუსეთის დუმისა და სახელმწიფო საბჭოს, მთავრობის წევრთა წერილებია დაცული. მათ შორისაა: როზენკოს, გორემიკინის, ნეიმანის; ქართველების: ნიკო ნიკოლაძის, კიტა აბაშიძის, ვარლამ ერისთავის, დავით ლორთქიფანიძის, გიორგი ლასხიშვილის, დიმიტრი ნაზარიშვილის, ნიკოლოზ ქარცივაძის, მიხაკო წერეთლის, გრიგოლ რობაქიძის, გრიგოლ ვოლსკის, იასონ ბაქრაძის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა წერილები. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ ადამიანებთან, რომლებიც შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სტიპენდიით ღებულობდნენ განათლებას საზღვარგარეთ, ასეთები კი უამრავნი იყვნენ. 1911 წლის 13 სექტემბერს, პარიზიდან წერილით, ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი, საზოგადო მოღვაწე სპირიდონ კედია ზდანოვიჩს თხოვდა სტიპენდიას და ფულად დახმარებას, პარიზში განათლების გასაგრძელებლად. 1908 წლის 20 იანვარს მას იგივე კედია ატყობინებდა წერილით „პარიზელ ქართველთა საზოგადოების შექმნას“.[10] Закавказье-ს რედაქტორი პართენ გოთუა თხოვდა დახმარებას ნიჭიერი და უსახსრო ახალგაზრდებისათვის[13] და ა. შ.

გრიგოლ რობაქიძე ზდანოვიჩს გულახდილად უზიარებდა როგორც თავის სულიერ განწყობილებას, ასევე საზოგადოებრივ შეხედულებებს. ერთ წერილში ის წერდა თბილისში წაკითხული ლექციის შესახებ, რომელსაც ცოტა მსმენელი დაესწრო და, როგორც ჩანს, ქართულად საუბრის გამო საყვედურიც შეხვდა. რობაქიძემ, ალბათ, პრინციპულად მიიღო ლექციის ქართულ ენაზე წაკითხვის გადაწყვეტილება, თორემ ის ისევე შეუდარებელი ორატორი იყო რუსულად საუბრისას, როგორც მშობლიურ ენაზე საუბრის დროს. „გუშინ იყო ჩემი ლექცია, — წერდა რობაქიძე, თბილისის საზოგადოება გულცივად შეხვდა ჩემს გამოსვლას: ლექციას ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო. თან უღონოდაც ვიყავი და ამ გარემოებამ

გუნება სრულიად ამიშალა. გადავწყვიტე — სრულიად არ წამეკითხა, მეშინოდა, ვაითუ ვეღარ წავიკითხო ჩვეული აღფრთოვანებით—თქო. მაგრამ ახლობელნი პირნი ჩამაცივდნენ და გადაწყვეტილება შევსცვალე. საბედნიეროდ, ვძლიე სულიერ ცუდგანწყობილებას და ისე მარჯვედ წავიკითხე, რომ საზოგადოება დიდს აღტაცებაში მოვიდა: ამბობდნენ, ასეთი დიდი შთაბეჭდილება უწინაც არ მოუხდენიაო. ჰე, რაც იყო —იყო! მორალურად მაინც უნდა დავკმაყოფილდე, თუმცა ესეც უნდა ვთქვა, რომ თბილისის საზოგადოებას ამიერიდან ქართულად ლექციას აღარ მივაწოდებ. ამ ცოტა ხანში ქუთაისში ვიქნები. დარწმუნებული ვარ, ქუთაისი ასე თავს არ შეირცხვენს."

მინაწერში ის ვალზე, 85 მანეთზე საუბრობდა, რომლის გადახდასაც ნაწილ-ნაწილ აპირებდა.[14]

იურიევიდან, სადაც გრიგოლ რობაქიძე სწავლობდა, მან კიდევ რამდენიმე წერილი გამოუგზავნა გიორგი ზდანოვიჩს. განსაკუთრებით საინტერესოა 1914 წლით დათარიღებული ერთი ბარათი, სადაც რობაქიძე საუბრობდა სოციალ-ფედერალისტების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაზე, სოციალისტურ იდეოლოგიაზე. წერილი საინტერესოა იმითაც, რომ მასში რუსული უნივერსიტეტების დაბალი დონე, მოაზროვნე ადამიანისათვის უინტერესო სწავლება ჩანს. წერილიდან ირკვევა, რომ რობაქიძეს სდომია ზდანოვიჩზე დაწერა, მისი სრულყოფილი პორტრეტის დახატვა „სახალხო გაზეთში", მაგრამ შეშინებია, საზოგადოებას ფამილარობაში ან ანგარებაში არ ჩაეთვალა. წერილი იმდენად საინტერესოა და ისე ღრმად ასახავს ამ ორი ადამიანის სულიერ ურთიერთობას, რომ არ შეიძლება სრულად არ მოვიტანოთ:

7 თებერვალი, 1914.

ძვირფასო ბატონო გიორგი!

ბარათი აქამდეც უნდა მომეწერა, მაგრამ ქართულმა სენმა ალბათ მეც მძლია: ჩვენში ხომ ბარათით გამოხმაურება მეტ ბარგათ მიაჩნიათ...

ახლა მაინც გავასწორებ ამ დანაშაულს...

საინტერესოს ჩემი ცხოვრებიდან ამ ჟამად ვერაფერს მოგაწვდით, იურიევში მეტად ერთფეროვანია სიცოცხლე და თვალისმომჭრელი ფერი არ ახალისებს სიცოცხლის ყვავილნარს: ყოველ საგანს აქ მოწყენის რუხი ფერი აქვს...

ვემზადები სახელმწიფო გამოცდისათვის...

უკვე გავიარე ცხრა საგანი ამ მოკლე ხანში (გამოცდაც ცხრა საგანს შეიცავს), მაგრამ უნდა მოგახსენოთ: ამ ცხრა საგანში ორი საგანი თუ არის ისეთი, რომელიც სტუდენტში სიყვარულს თუ არა, ინტერესს მაინც იწვევდეს; და საკვირველი არ არის, თუ ჯეროვნად ვერ ვსძლიე ეს საგნები...

აქ გამოცდას არ „ვაბარებ", ამის მიზეზი შემდეგია: აქ არის სისხლის სამართლის პროფესორი პუსტოროსლევი, რომელიც გამოსაცდელად თავისს სახელმძღვანელოს გავლას თხოულობს, საშინელის და ზოგჯერ პირდაპირ უაზროს; გიგზავნი მაგალითისათვის ორ მის ფორმულას, წაიკითხეთ და გადასწყვიტეთ, შესაძლოა თუ არა ამ ფორმულების დასწავლა? (ზეპირად თხოულობს); ასეთი ფორმულებით არის სავსე მისი სახელმძღვანელო (ორი ტომი, სულ 900 გვერდი); სხვისა რა მოგახსენოთ და მე კი არ შემიძლია მათი დაზეპირება: მე მგონია, ტვინს გააფუჭებს, გაალაყებს...

რადგან იურიევის უნივერსიტეტის პროგრამა, გარდა სისხლის სამართლისა, ძლიერ უახლოვდება ყაზანის უნივერსიტეტის პროგრამას, ამისთვის გადავსწყვიტე, სახელმწიფო გამოცდა ყაზანში „მივსცე". თხუთმეტ მარტს კიდეც უნდა გავემგზავრო იქ; ჩემთან ერთად სხვებიც მოდიან... ყაზანში ეგზამენის დაჭერას კიდევ ერთი უპირატესობა აქვს: იქ სესია ენკენისთვეშიც არის. ასე რომ, თუ შემთხვევით ჩავიჭერი მაისში, — ადამიანი ყველაფერს უნდა ელოდეს და შეძლება მექნება 3 თვის შემდეგ, ენკენითვეში დავიჭირო და მით ერთი წელი არ დავკარგო... თითქმის ორ თვეზე მეტია, რაც ავად ვარ, თუმცა მეცადინეობას ეს არ მიშლის, მაგრამ „გუნებას" (გულის-ნებას) კი ძალზე მიმღვრევს; გარდა ამისა, ნივთიერის მხრითაც მაწუხებს: წამლობა-ექიმობაში ჯერ 40 მანეთი



გრიგოლ ვოლსკი. გიორგი ზდანოვიჩის მეგობარი და თანამოაზრე

დამეხარჯა; ამ ცოტა ხანში უნდა სრულიად განვთავისუფლდე. ეს იყო მიზეზი, სხვათა შორის, რომ „საბჭო" შევაწუხე და მან იანვრის პირველ რიცხვებში 50 მანეთთან ერთად 50 მანეთიც წინდაწინ გამომიგზავნა; თებერვლისათვის უფულოდ დავრჩი და გუშინ კიდევ მოვწერე საშა კრინიცკის, რომ გამოაგზავნინოს, თუ წესი მაინცდამაინც ძალზე არ დაირღვევა; არ დამჭირდებოდა შეწუხება, რომ ჩემი ფული, ზაფხულში ლექციებით აღებული, შემენახა: ამ ფულიდგან 300 მანეთამდე დამეკარგა მისესხებით...

აშლილ გუნებას ხელოვნებით ვიქარვებ ხოლმე; ერთს „ფოთოლში" მინდა თქვენი პიროვნების სილუეტი ავსახო მხატვრულად; ამას კიდეც დავსწერ ამ მოკლე ხანში, მაგრამ დავბეჭდავ თუ არა, ეს კიდევ საკითხავია. ხომ იცით, რას იფიქრებენ ჩვენში?! ჩვენში პიროვნების კულტურა ჯერ კიდევ იმ დონეზე სდგას, რომ ყოველი კარგი ხსენებისათვის ანგარებას მოგაწერენ და მეც ვეჭვობ მისთვის მის დაბეჭდვას... კიტასაც ვერა მივსწერე-რა: შესაძლოა კიდეც დამემდუროს...

ერთი-რამ მინდა გამცნოთ: მე მგონია, ფედერალისტები ხანდახან ორ სკამზე სხედან, მოკლედ, აი, ჩემი ახსნა: ხალხისათვის ეროვნულსა და სოციალურს მომენტთა შორის არსებითი სხვაობა არ არსებობს: პირველი არსებობს იმდენათ, რამდენათ იგი „ვარიაციაა" კლასთა ბრძოლისა. აქედან: იცავენ რა მომენტს სოციალურს, ს. დ.-ები ეროვნულსაც იცავენ. ჩვენ შეგვიძლია ეს თეორია არ მივიღოთ, მაგრამ მათი „სილოგიზმი" სწორი არის; ახლა მივმართოთ ფედერალისტებს: მათის აზრით, ეროვნული და სოციალური მო-

გრიგოლ რობაქიძე

მენტი სხვადასხვაა არსებითად, მიუხედავად მათი ურთიერთზეგავლენისა. ესაა თეორია; პრაქტიკა: ცდილობენ ორივე მომენტი დაიცვან, მაგრამ აქ კითხვა იბადება: შესაძლოა თუ არა, ეს ორი მომენტი ერთიმეორეს ეწინააღმდეგებოდეს და თუ შესაძლოა, რომელს მიეცემა უპირატესობა? მე მგონია ამ საკითხს ფედერალისტები გვერდს ვერ აუვლიან; და ვერც უვლიან. მაგალითი: ხიზანთა საკითხი; თუ მივიღებთ ეროვნულს მომენტს (საქართველოს ტერიტორია), ხიზნების ასეთი განთავისუფლება, რომელსაც ქართველთა პროგრესული ნაწილი ესწრაფვის, ყოვლად შეუწყნარებელია (დიდი ნაჭერი ტერიტორიისა ოსების ხელში გადავა); თუკი სოციალურს მომენტს მივსცემთ უპირატესობას (ხიზნები როგორც მშრომელთა ჯგუფი), მაშინ რასაკვირველია, ხიზნებს სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოთ; „სახ. გაზ." უკანასკნელს ზომას მიმართავს, — მაგრამ რით დაიცავს მაშინ იგი ტერიტორიის პრინციპს, თუკი სოციალურ მომენტს შეუძლია სძლიოს იგი?.. ჩემის აზრით, აქ ისინი ორ სკამზე სხედან... მინდა ამ საგნის შესახებ ვრცელი წერილი დავბეჭდო „სახალხო გაზეთში": არ ვიცი მხოლოდ, დაბეჭდავს თუ არა...

თქვენ რომ გამოთქვამდეთ აზრს ამ საკითხის შესახებ მწერლობაში, ძალიან კარგი იქნება...

ვათავებ სიკეთის სურვილით...

სალამი კიტას, დათიკოს, იასონს, საშას, პეტრეს და სხვებს...

თქვენი მარად ერთგული

გრიგოლ რობაქიძე

იურიევი, ლეპიკსკაია. [9. 15]

წერილში გამოთქმული სოციალისტ-ფედერალისტების კრიტიკა მით უფრო საინტერესოა, რომ გრიგოლ რობაქიძე ამ პარტიის ერთ-ერთ ლიდერსა და მის საუკეთესო მეგობარს წერდა ამ სიტყვებს.

ძნელი იყო უამრავი წერილისათვის პასუხის გაცემა, მაგრამ ზდანოვიჩი ყოველ ფოსტას გულისყურით კითხულობდა და პასუხს სცემდა, ყველა გაჭირვებულის თხოვნა გულთან მიჰქონდა. ძნელი პერიოდი იყო მისთვის 900-იანი წლები, შინაბრძოლების გარდა, რევოლუციური ტერორიც ვრცელდებოდა მასზე. საზოგადოებას ხშირად აკითხავდნენ ფულისათვის, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წევრი ვლადიმერ ქადაგიძე იძულებული იყო უარი ეთქვა ფულის არქონის გამო, გიორგი ზდანოვიჩისადმი ქუთაისში მიწერილი წერილიდან ჩანს, თუ როგორი აგრესიით ხვდებოდნენ ამ უარს მთხოვნელები. შავი ქვის კანტორა რამდენჯერმე დაარბიეს კაზაკებმაც, რადგან ამ დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან რევოლუციონერთა თანაგრძნობაში შეიტანეს ეჭვი. „ცამეტ ამა თვეს, — წერდა გამგეობის წევრი ვლადიმერ მიქელაძე ზდანოვიჩს, 1906 წლის 15 იანვარს, — დაეცნენ ჩვენს კანტორას კაზაკები და ააოხრეს სუყველაფერი. წიგნები მიანგრ-მოანგრიეს, რამდენიმე დახიეს. მოსამსახურეებს წაართვეს სუყველაფერი. არაფერი არ დაუტოვეს, რაც ეცვათ იმის მეტი.[12]

გრიგოლ რობაქიძისადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს: ზდანოვიჩი არა მარტო ქველმოქმედი, არამედ გაჭირვებულ ადამიანთა სულიერი მეგობარიც იყო. ის ფულის გაღებით არ კმაყოფილდებოდა, სტუდენტთა შემდგომი ბედი, მათი სწავლის ხარისხიც აინტერესებდა. გრიგოლ რობაქიძისათვის ზდანოვიჩი იყო ადამიანი, რომელსაც თავისი ცხოვრების წვრილმანებს, შინაგან განწყობილებას, შეხედულებებს, მათ შორის, ძალზე გაბედულს, გულწრფელად უზიარებდა. ზდანოვიჩი ხშირად ჩადიოდა რუსეთის

დედაქალაქში. სანკტ-პეტერბურგში ის დიდხანს რჩებოდა და ქართველი სტუდენტები თუ მოღვაწეები, იმპერიის სხვა ქალაქებიდანაც მიდიოდნენ მასთან. ერთ წერილში რობაქიძე ბოდიშს უხდის, რომ ვერ ინახულა, თუმცა დედაქალაქში იყო და მის ლიტერატურულ ცხოვრებას ეცნობოდა. ნერდა, რომ გაიცნო ვიაჩესლავ ივანოვი, რომელიც აღფრთოვანდა მისი წერილით ვაჟაზე, დიდი ქართველი მწერლის შემოქმედებით; ზდანოვიჩს უმხელდა, როგორ ეცადა „რეჩ"-ში მოხვედრას, მაგრამ ურჩიეს „რუსსკაია მისლ"-ში მისვლა და ბრიუნერის - ამ გაზეთის ლიტერატურული განყოფილების გამგის დახმარებაც აღუთქვეს.[16]

საერთოდ, ძალზე საინტერესოა და, ვფიქრობ, აუცილებლად გამოსაქვეყნებელი, ის ეპიტოლური მემკვიდრეობა, რაც გიორგი ზდანოვიჩის მდიდარ საარქივო ფონდშია დაცული. მისდამი მიწერილ წერილებში ჩანს მთელი ეპოქა, საქართველოს საზოგადოებრივი ყოფა, სულიერი კულტურა, იმდროინდელი ურთიერთობანი, ადამიანთა მისწრაფება და ხასიათები. ზდანოვიჩი მრავალ საქმეს ითავსებდა, რომელთა შორის იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ხელმძღვანელობა. ძნელი იყო ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ისე მუშაობა, რომ ვინმეს ინტერესებს არ შეჯახებოდა, სხვათა შეხედულებებს არ დაპირისპირებოდა, ამიტომაც ხშირად ეხვეოდა კრიტიკის ქარცეცხლში. თუმცა, ამ დიდბუნებოვან მოღვაწეს არასოდეს შებღალვია მაღალზნეობრივი კაცის სახელი, მამულიშვილის რეპუტაცია. მის არქივში მკაცრი, კრიტიკული წერილებიცაა დაცული. ერთი მათგანი ახალი, სპეციალური სკოლის გახსნასა და რუსულ ენაზე სწავლებას ეხება. მისი ავტორი, — ი. გომელაური, ზდანოვიჩს ეკედრება, არ დაუკავშიროს თავისი სახელი ამ ანტიქართულ საქმეს: „ნუ ღალატობთ დიდებულ პრინციპს, — წერდა ის, — რომელიც წმიდაა და ხელშეუხებელი ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის, ჭეშმარიტი ადამიანისათვის დედა-ენა უნდა იყოს გზა და ხიდი, ადამიანთა სამყაროში გადასახედად, ამეების თქმა თქვენ არ გჭირიათ

ჩემგან, მაგრამ რა ვქნა, რომ რაღაცა მიზეზით სწორ გზას გადასცდით და ჩვენს ცხოვრებას დაღუპვის გზაზე აცურებთ... გადაშინჯეთ თქვენი დადგენილება, ნუ აჩქარდებით, დეე, თუნდ ერთი წელიწადი კიდევ დაგვიანდეს სკოლის გახსნა, მით უმეტეს, რომ შენობას სექტემბრამდის ვერ მოასწრებთ, ოღონდ საერო საქმეს ნურა ევნება რა, ოღონდ კი თქვენი სახელი ამ შავ საქმეს ნუ დაუკავშირდება შთამომავლობის სავალალოდ და თქვენდა დასამცირებლად!.. გაუფრთხილდით თქვენ სახელს, რომელიც თქვენის გონიერებით აქამომდის წმიდათ შეგინახავთ..."[17]

უამრავი საინტერესო წერილია არქივში — კიტა აბაშიძის, ივანე გომართელის, გრიგოლ ვოლსკის, იასონ ბაქრაძის და სხვების. აქვეა დაცული ვრცელი წერილი ნიკო ნიკოლაძის შესახებ, რომელიც არსად გამოქვეყნებულა და დიდი მნიშვნელობა აქვს ზდანოვიჩი-ნიკოლაძის ურთიერთობის შესასწავლად. საერთოდ, ეს ეპოქა რომ კარგად შევისწავლოთ, ზდანოვიჩის არქივის მეცნიერული დამუშავება, თანამედროვე ისტორიოგრაფიული მიღწევებითა და მეთოდოლოგიით მისი შესწავლა-გაანალიზებაა საჭირო. ამგვარად ის ჯერ არ შესწავლილა.

გიორგი ზდანოვიჩის სახლი ქუთაისში, მისივე ანდერძით, გადაეცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. სახლი მდებარეობდა ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე, ეკვროდა ვაჟთა გიმნაზიის (იგივე სათავადაზნაურო გიმნაზია) ეზოს. თუმცა, მამული, ანდერძის მიუხედავად, გაიყიდა კერძო პირზე. რადგან 1917 წლიდან თავად-აზნაურთა მთელი ქონება სახელმწიფოს გადაეცა, გიმნაზიის დირექტორმა, ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ — სილოვან ხუნდაძემ მამულის დაბრუნება თხოვა დემოკრატიული საქართველოს მთავრობას. ის მართლაც გადაეცა გიმნაზიას.[18] ამჟამად გიორგი ზდანოვიჩის ეზო და სახლი ქალაქ ქუთაისის II საჯარო სკოლის კუთვნილებაა.

ზდანოვიჩი სიკვდილამდე მეგობრობდა კიტა აბაშიძესთან, გრიგოლ ვოლსკისთან, იასონ ბაქრაძესა და დიმი-



გიორგი ზდანოვიჩი სასთუმალთან. სხედან:დიმიტრი ნაზარიშვილის ქალიშვილი — ელეონორა ნაზარიშვილი (რომელმაც აღწერა ზდანოვიჩის არქივი), იაზონ ბაქრაძე, დგას კიტა აბაშიძე

ტრი ნაზარიშვილის ოჯახთან. მისი არქივიც ნაზარიშვილის ქალიშვილმა — ელეონორამ მიიტანა მუზეუმში, აღწერა და სისტემაში მოაქცია. რომ არა ელო ნაზარიშვილი, დღეს უამრავი რამ გაურკვეველი იქნებოდა, რადგან ეს ქალბატონი პირადად იცნობდა ყველა დოკუმენტს და მათ ავტორს, იმ მოვლენებს, რაზეც ამ დოკუმენტებშია საუბარი. საბუთების აღწერილობა ისე სრულყოფილია, რომ ხშირად ძირითადი ტექსტის გაცნობაც კი აღარაა საჭირო. ელო ნაზარიშვილი, კიტა აბაშიძე, იასონ ბაქრაძე იყვნენ ავადმყოფი გიორგი ზდანოვიჩის მესასთუმლენი. თუმცა, მისი გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე თვეში (1917 წლის დეკემბერში) კიტა აბაშიძეც გარდაიცვალა. მის სახელს მტრებიც კი ვერ ანადგურებდნენ, იძულებულნი იყვნენ აღენიშნათ მისი დიდი საზოგადოებრივი წვლილი, განათლება და პატიოსნება. ასე

შეაფასა ზდანოვიჩი სიმონ ქვარიანმაც, რომელმაც იგი სიციალისტ-უტოპისტად მოიხსენია, მაგრამ ირონიით ნათქვამი შეფასების მიღმა ვერ დამალა მისი დიდი წვლილი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოში მუშაობისას, თუ სხვა საზოგადოებრივ თანამდებობებზე ყოფნისას რომ გასწია.

სარეცელს მიჯაჭვული გიორგი ზდანოვიჩი 1917 წლის 30 ივლისს გარდაიცვალა. დაკრძალეს ჯერ ბაგრატის ტაძრის გალავანში, შემდეგ კი მისი ნეშტი მწვანეყვავილას პანთეონში გადაასვენეს. ამ სამწუხარო მოვლენას აქტიურად გამოეხმაურა მაშინდელი პრესა, ქართულმა საზოგადოებამ აღნიშნა, რომ გამორჩეული პიროვნება, თავდადებული მამულიშვილი და ერთი წინამძღოლთაგანი დაკარგა. პუბლიცისტი მ. საყვარელიძე წერილში — „სამძიმრის მაგიერ" — საუბრობდა იმ მაღალ იდეალებზე, რაც გიორგი ზდანოვიჩს ამოძრავებდა მთელი სიცოცხლის მანძილზე: „მოხუცმა სარდალმა მიისვენა ხანგრძლივი ბრძოლისა და ღელვის შემდეგ. ჩვენ, ახალგაზრდებს გვმართებს გაათკეცებული მხნეობა, დაუშრეტელი ძალისა და ღონის გამოჩენა, რომ არჩილისა (არჩილ ჯორჯაზე, დ.ჭ.) და გიორგის დიდმა აზრებმა, ბრწყინვალე იდეალებმა გამარჯვება ჰპოვოს ურიცხვ მტერთა შორის." პუბლიცისტი მას ხევისბერ გოჩას, მინდიასა და სხვა, — ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო გმირებს ადარებდა, ხალხს მოუწოდებდა მისი პიროვნების ირგვლივ შემოსაკრებად, მის უკვდავსაყოფად: „დავესეხოთ გიორგის ენთუზიაზმი, ცოდნა, გამოცდილება, რაინდობა, დარბაისლობა, სამშობლოს სიყვარული, მშრომელი ხალხისათვის თავდადება და ამ თვისებებით შეიარაღებულნი გავიდეთ ბრძოლის ასპარეზზე", — მიმართავდა იგი ქართველ ხალხს.[19]

სოციალისტ-ფედერალისტი პუბლიცისტი შ. ვადაჭკორია წერდა, როგორ იტანჯებოდა ავადმყოფი გიორგი ზდანოვიჩი ბოლო წლებში, რომ მას ვერ უშველა ვერც ქობულეთის ჰავამ, სადაც ჩაიყვანეს, ვერც ქართველ ექიმთა გამუდმებულმა მზრუნველობამ. ექიმები — ს. ჯაფარიძე და ს. ლორთქი-

ფანიძე ავადმყოფს გვერდიდან არ ცილდებოდნენ, უამრავი თანაპარტიელიც მასთან იყო და ამხნევებდა. შ. ვადაჭკორიას მიაჩნდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერის დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო არა მარტო ამ პარტიის, არამედ მთელი საქართველოსათვის, აუცილებლად თვლიდა, მის მიერ აღმართული დროშა ძირს არ დაეხარათ. [20]

ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე წერეთელი წერდა: „აღსრულდა... მიიცვალა დიდი მასწავლებელი, აღარ ფეთქს მისი გული, აღარ სცემს მაჯა." იგი თავს გიორგი ზდანოვიჩის მოწაფეთა შორის ასახელებდა და მიაჩნდა, რომ ის იდეები,რასაც მასწავლებელი ქადაგებდა, არ მოკვდებოდა საქართველოში: „მოწყურებულნი ვიყავით მის სიტყვას, მაგრამ იგი ჩვენთან იყო და ჩვენც ობლად არ ვგრძნობდით თავს. და როდესაც გზას გადამცდარი ჩვენივე ძმები ჩასაქოლად გვეკვეთებოდნენ, ჩვენ ხმამაღლა, შორიდან მასვე მივმართავდით: მასწავლებელო, შენ ხომ ხედავ, სული შენი ხომ გრძნობს ამ უსამართლო დევნას, მაგრამ შენ ჩვენთანა ხარ, აბა, ჩვენც რისა გვეშინია—თქო?" ალ. წერეთლის ამ სიტყვებიდან ნათლად იკვეთება გიორგი ზდანოვიჩის პიროვნული თვისებები, წინამძღოლის, მასწავლებლის სახე, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თანამედროვე საზოგადოების დიდ ნაწილზე, ახალგაზრდა ინტელიგენციაზე. აქედან ნათელია, რომ საქართველომ მართლაც დაკარგა ღირსეული მამულიშვილი და დიდი პიროვნება.[21]

გაზეთი „სახალხო საქმე" გიორგი ზდანოვიჩის გარდაცვალებას უამრავი ახალი ამბით ეხმაურებოდა. მათ შორის იყო სტატია — „ეროვნული პოლიტიკის ახალი ნიადაგი", სადაც ეწერა, რომ სოციალური პრობლემები პოლიტიკურთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, სტატია მკითხველს ახალ პირობებში ახალი ფორმით ბრძოლის დაწყებისაკენ მოუწოდებდა და საჭიროდ მიიჩნევდა გიორგი ზდანოვიჩის სახელის ამგვარი ფორმით უკვდავყოფას.

გაზეთი აღნიშნავდა, რომ გიორგი ზდანოვიჩის პანაშვიდები მთელს საქართველოში გადაიხადეს, გორში დიდი დემონსტრაციაც გაიმართა, სადაც სხვადასხვა პარტიათა სახელით გამოვიდნენ მათი წარმომადგენლები და ისაუბრეს გარდაცვლილის დიდ ღვაწლზე. გამორჩეულად ითქვა, რომ ეს დიდი პიროვნება არ იყო ჩაკეტილი რომელიმე პარტიის ჩარჩოში, ის ყველა ქართველისათვის ერთნაირად საყვარელი მასწავლებელი და მისაბაძი ადამიანი იყო. თითქმის ყველა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში გადაუხადეს პარაკლისები. განსაკუთრებით საინტერესო იყო ზაქარია ჭიჭინაძის წერილი, რომელიც ზდანოვიჩის დაკრძალვის წინა დღეს, 1917 წლის 8 აგვისტოს გამოქვეყნდა „სახალხო საქმეში".

წერილში ზ. ჭიჭინაძე წერდა, რომ ზდანოვიჩი მან პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ გაიცნო, პირადად გაცნობამდე მისი საუკეთესო თვისებები ცნობილი იყო მისთვის, რადგან ზდანოვიჩი ძალიან პოპულარული და საზოგადოებისათვის მიღებული პიროვნება იყო. მას იცნობდნენ რუსეთშიც, იქაც მის დაპატიმრებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჭიჭინაძის თქმით, ჩერნიშევსკის შემდეგ, ყველაზე ხმაურიანი გიორგი ზდანოვიჩის დაპატიმრება ყოფილა. რუსეთის რევოლუციურ წრეებს ფულიც შეუკრებიათ მის დასახსნელად და ინგლისში გასაპარებლად, მაგრამ, ჯაშუშის წყალობით, „საქმე მარცხად წასვლიათ". ციხეშიც წერდა ზდანოვიჩი რევოლუციურ წერილებსო, — აღნიშნავდა ზ. ჭიჭინაძე, — იქ დაწერილი მასალა მოხვდა ლონდონურ რუსულ გაზეთში „ვპერიოდ", რომელსაც პეტრე ლავროვი რედაქტორობდა. ამ წერილს დიდი გავლენა მოუხდენია რუსეთის ახალ მოძრაობაზე. „ვპერიოდ"—ში დაბეჭდილი ერთი წერილი 1881 წელს ჟურნალ „ივერიაშიც" დაისტამბა. მას ქართულ საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და მრავალი გამოხმაურებაც მოჰყოლია „ივერიაშივე". „როგორც ჩვენი ქვეყნის შვილი და დედით ქართველი, იყო მტკიცე ქართველი მამ-

ულიშვილი და დიდი სვეტი ანუ ბურჯი ჩვენი ტომისა",— წერდა ჭიჭინაძე და გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილის დასახასიათებლად ბევრ კარგ მაგალითს იხსენებდა. თუ როგორ გულშემატკივრობდა იგი ქართველ ერს, როგორ ცდილობდა მისი უარყოფითი მხარეების ჩვენებას, რათა უკეთესად აღმოეფხვრა ქართველობის ეს ნაკლი; მოტანილი იყო ზაქარია ჭიჭინაძისადმი გაგზავნილი ერთი წერილის ფრაგმენტიც:

„ბ. ზაქარია! თქვენს მოგზაურობას ბათუმის მაზრაში მე დიდის ინტერესით ვადევნებდი თვალყურს და სიამოვნებით ვხედავდი, რომ იგი არ ჩაივლის უნაყოფოდ, მე დარწმუნებული ვარ, ჩვენს ინტელიგენციას შრომა რომ უყვარდეს და მხნეობა ჰქონდეთ, თითოეულს ჩვენგანს, ბევრი შეუძლიან შესძინოს ჩვენს დაქვეითებულს სამშობლოს, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ჩვენ არა ვართ შეჩვეული ჯაფას და ენერგიულ მუშაობას..."[22]

გიორგი ზდანოვიჩის საინტერესო ცხოვრების დეტალებს იგონებდა მისი თანაპარტიელი და მეგობარი — გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში. მისი აზრით, საქართველოს ავტონომიისათვის, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, სხვა ქართველი პატრიოტების მსგავსად, იბრძოდა გიორგი ზდანოვიჩიც.[7-126] მასვე ეკუთვნის მოგონება ფინეთში ერთ-ერთ კონგრესზე ზდანოვიჩთან ერთად წასვლისა და მისი მეგობრის დიდი პოპულარობისა ფინელ რევოლუციონერთა შორის.[7-211] საერთოდ, გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილის ცხოვრება ერთი დიდი ეპოპეაა, ეპოქის სულის გამომხატველი. ამ დაუცხრომელმა მოღვაწემ, პუბლიცისტმა, მუდმივად მაძიებელმა ადამიანმა, თითქოსდა სულისმოუთქმელად იცხოვრა, იღვაწა, იჯაფა და სამოცდაორი წლისაც არ იყო, რომ გარდაიცვალა და „მხცოვან მოღვაწედ" მოიხსენიებდნენ, მას ხომ ბავშვობიდანვე თანატოლებისგან გამოარჩევდა „მოხუცებულობა გონებისაი". მერე რა, თუ ზდანოვიჩის პოლიტიკური და ცხოვრებისეული იდეალები ზოგჯერ უტოპიური იყო და ადამიანისათვის მიუღწეველი. სამაგიეროდ, მან ხომ მთელი თავისი ენერგია უშურვე-

ლად დახარჯა ადამიანთა უკეთესი ცხოვრებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური წინსვლისათვის, ქართველი ხალხის განათლებისა და გაჭირვებიდან გამოყვანისათვის. ერთი კაცის ცხოვრებისათვის ამგვარი ღვაწლი სასახელოცაა და დასაფასებელიც.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დავით კაკაბაძე, გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო, 1969
2. Тун, история революционного движения в России, Петроград, 1917, გვ. 117, დ. კაკაბაძე, გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი), გვ. 21
3. Процесс 50-ти, издание В.М. Саблина, М. 1906г. ст. 40-121
4. გიორგი ზდანოვიჩი, წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ, გაზეთი „ივერია", 1882ნ. 7-9
5. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი 6416, საბ. 443
6. ქიმ, ფონდი 6416, საბუთი 1851
7. გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, გამომცემლობა „საქართველო", თბ., 1992
8. ქიმ, ფონდი 6416, საბუთი 2472, გვ. 5
9. ქიმ, ფონდი 6416, საბუთი 2471, გვ. 4
10. ქიმ, ფონდი 6416, საბ. 1907. 1932, 1939, 1940
11. ქიმ, ფონდი 6416, საბუთი 1709
12. ქიმ, ფონდი 6416, საბუთი 153
13. ქიმ, ფონდი 6416, საბუთი 1858
14. ქიმ, ფონდი 6416, საბუთი 1927
15. ქიმ, ფონდი 6416, საბუთი 1926
16. ქიმ, ფონდი 6416, საბუთი 1925
17. ქიმ, ფონდი 6416, საბუთი 1987
18. ქსსა (ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი), ფონდი 9,

საქმე 1601, ფ. 17-19
19. გაზეთი „სახალხო საქმე", 17, 1917 წ., 4 აგვისტო
20. შ. ვადაჭკორია, „ჩვენი გიორგი", გაზეთი „სახალხო საქმე", 17, 1917 წ., 4 აგვისტო
21. ალ. წერეთელი, გიორგი ზდანოვიჩის გარდაცვალების გამო, გაზეთი „სახალხო საქმე", 17, 1917 წ., 4 აგვისტო (სტატია გადმობეჭდილია გაზეთიდან — „ჩვენი მეგობარი")
22. ზაქარია ჭიჭინაძე, გიორგი ზდანოვიჩი, გაზეთი „სახალხო საქმე", 17, 1917 წ., 4 აგვისტო

ვასილ წერეთელი
(1862-1937)



ვასილ წერეთელი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის I მეოთხედის ერთ-ერთი გამოჩენილი და აქტიური მოღვაწეა. „ვ.წერეთლის წერილები, რომლებიც გამოქვეყნებულია გასული საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის 900-20-იანი წლების ქართულ პრესაში, დღემდე არ არის გამოცემული და შესწავლილი“ (1) — წერს ფილოლოგი დავით თევზაძე ვასილ წერეთლის პუბლიცისტური კრებულის შესავალში. ამ წიგნში მხოლოდ ლიტერატურული წერილები შევიდა, ვასილ წერეთელს კი ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ნაწერები აქვს. მისი მემკვიდრეობის შესწავლა-გაანალიზება, მისი შეხედულებების გათვალისწინება დაგვეხმარება XIX ს-ის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში.

ვასილ წერეთელი, პროფესიით ექიმი, ყველა მნიშვნელოვან საზოგადო მოვლენაში მონაწილეობდა.

ვასილ წერეთელი დაიბადა 1862 წლის 7 იანვარს (ძველი სტილით), სოფელ ცხრუკვეთში. მისი მამა – გიორგი წერეთელი, განათლებულ ადამიანად და კარგ მწიგნობრად ითვლებოდა. მის წიგნთსაცავში, როგორც ვასილ წერეთელი იგონებდა, ყოფილა მთელი XVII-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა, აგრეთვე ძველი ქართული მწერლო-

ბის ნიმუშები, მათ შორის ვეფხისტყაოსანიც, შემდეგში ეს წიგნთსაცავი გაბრიელ ეპისკოპოსს ჯრუჭის მონასტერში გადაუტანია. მასვე გადაუწერია ვახუშტის სამართლის წიგნი, რომელიც დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.

ნიჭიერებით გამორჩეული ყოფილა ვასილის დედა – მაია ფარსადანის ასული იაშვილი, რომელიც სოფელ სომიწოდან (ონის რაიონი) იყო. ისიც მწიგნობრობით გამოირჩეოდა. 1872 წელს, 10 წლის შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც ბრწყინვალედ სწავლობდა. სოფიო გველესიანი ბიოგრაფიულ ნარკვევში — „აღმოსავლეთმცოდნე გიორგი წერეთელი" იხსენებს ვასილის გულმოდგინებას, მის მიერ რუსული ენის ბრწყინვალედ ათვისებას, რასაც ამ საგნის პედაგოგიც განუცვიფრებია.

ვასილ წერეთელი პოლიგლოტი ყოფილა, თურმე რამდენიმე ევროპულ ენას ფლობდა. ჯერ კიდევ გინაზიაში სწავლისას დაობლებული ყმაწვილი დედამ მაინც არ მოწყვიტა გიმნაზიას, ვასილმაც კერძო გაკვეთილებით სცადა დედის დახმარება.

ქუთაისის გიმნაზია ამ დროს ჰუმანიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გამავრცელებელი, კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული კერა იყო.

ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულნი მიემგზავრებოდნენ ევროპის სასწავლო ცენტრებში იმ მიზნით, რომ შემდეგში თავიანთი სამშობლოს სამსახურში ჩამდგარიყვნენ. 1884 წელს ვასილ წერეთელმაც დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და ჩაირიცხა ოდესის უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1886 წელს ის ნაროდნიკული ორგანიზაცია – „ნაროდნაია ვოლიას" წევრიც გახდა, ამ ორგანიზაციის სტუდენტურ ფრაქციაში მასთან ერთად შევიდნენ გიორგი ქასრაშვილი, იოსებ ლორთქიფანიძე, ივანე ელიაშვილი, გრიგოლ ბარათაშვილი, რომანოზ ფანცხავა. შემდეგში იგი უფრო ლიბერალურ-ხალხოსნურ მოძრაობას მიემხრო.



ოდესა, სადაც სწავლობდა ვასილ წერეთელი

ნიჭიერი სტუდენტი გამორჩეულად უყვარდა ქართველ პროფესორს — ვასილ პეტრიაშვილს, მაგრამ პოლიტიკური ინტერესების მქონე ვასილ წერეთელი გადავიდა იურიდიულ ფაკულტეტზე, გაეცნო მარქსიზმის მოძღვრებას და გახდა მარქსისტი. 1887 წელს, როგორც სტუდენტთა არალეგალური მოძრაობის წევრი, არსებული წყობილების კრიტიკოსი, იგი დააპატიმრეს და გარიცხეს უნივერსიტეტიდან ე.წ. „მგლის ბილეთით". იგი გამოემგზავრა საქართველოში, მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში მყოფი დადიოდა ფილოქსერის გამოსავლენ ექსპედიციებში, განაგრძობდა პოლიტიკურ პროპაგანდას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ; 1889 წელს თანამოაზრეებთან ერთად (ვანო ჯაბადარი, ანტონ ფურცელაძე და სხვ.) შეუთანხმდა ნებიერიძეს ჟურნალ „თეატრის" გამოცემის თაობაზე. ჟურნალის გარშემო თავი მოიყარეს მარქსისტებმა და ძველმა ხალხოსნებმა, რომელთაც ამ დროს არ თანაუგრძნობდა ვასილ წერეთელი, ამიტომ, როგორც კი ნიკო ხიზანიშვილის რეკომენდაციით ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში" მიიწვია სამუშაოდ, ის უყოყმანოდ დათანხმდა.

1892 წელს ვასილ წერეთელმა რუსეთის მაშინდელი განათლების მინისტრისაგან მიიღო ნებართვა სწავლის

გაგრძელებაზე, რაც მოულოდნელი იყო მისთვის, მაგრამ გაირკვა, რომ ამისათვის ვასილ პეტრიაშვილს უზრუნია, რომელსაც ენანებოდა მისი ნიჭი. 1893 წელს ვასილ წერეთელი შევიდა კიევის უნივერსიტეტში, სამკურნალო ფაკულტეტზე, 1899 წელს დაასრულა უნივერსიტეტის სრული კურსი და, როგორც ექიმი-თერაპევტი, სამშობლოში დაბრუნდა.

„ტფილისის ქართველ ექიმთა მცირე გუნდს კიდევ მიემატა ერთი ახალგაზრდა ექიმი ვასილ წერეთელი, რომელმაც შარშან დაასრულა საექიმო ფაკულტეტი კიევის უნივერსიტეტში", — წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი" 1900 წელს. [2].

ახალგარდა ექიმი გიორგი ზდანოვიჩმა მიიწვია ჭიათურაში მწარმოებელთა საავადმყოფოს გამგედ. იგი დაქორწინდა მასწავლებელ ქეთევან გიორგის ას. ჩიქოვანზე, შეეძინათ 7 შვილი, აქედან სამი ადრე გარდაეცვალათ. პატრიოტი ექიმი ბუნებრივად გახდა იმ ერთადერთი ეროვნული პარტიის წევრი, რომელიც 900-იან წლებში (1903) ჩამოყალიბდა, სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ ეროვნული ცნობიერების ყველა ქართველი მიიზიდა, მაგრამ იმთავითე მოხდა პარტიის შიგნით განსხვავებული პოლიტიკური პოზიციების ჩამოყალიბება: ერთნი სოციალისტური იდოლოგიის პრიმატს აღიარებდნენ, მეორენი მთლიანად მიუღებლად მიიჩნევდნენ სოციალიზმს და ეროვნულ-დემოკრატიულ იდეოლოგიას თვლიდნენ მომავალი საქართველოს სახელმწიფოებრივ საფუძვლად.

ვასილ წერეთელი 10-იანი წლების შუახანიდან მლიანად განუდგა სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას. ძირითადი მიზეზი ამისა იყო საქართველოს ავტონომიის საკითხი, რასაც სოციალისტური მიმართულების ორივე ფრთა: სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალ-დემოკრატები რეალური მოსახლეობის პრინციპს უდებდნენ საფუძვლად. ვასილ წერეთლის აზრით, ასეთი ავტონომიის მიღებას, რომლითაც ათასწლოვან ტერიტორიებს კარგავდნენ ქართველები, ჯობდა რუსეთის ფარგლებში ყოფნა.

1917 წელს ფინეთში რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ეროვნებათა სოციალისტების კონფერენციაზე უნდა გამოსულიყო ვასილ წერეთელიც, თუმცა მას უარი უთხრეს — „სამწუხაროდ, ეს მოხსენება გვიან მივიღეთო". მოხსენება გიორგი ზდანოვიჩმა, გიორგი ლასხიშვილმა, გრიგოლ რცხილაძემ და სხვებმა წაიკითხეს.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, გრიგოლ გველესიანის სახლში გამართულ კომიტეტის სხდომაზე მოისმინეს დელეგატთა ანგარიშები, ვასილ წერეთელს ირონიულად უთქვამს: „გმადლობთ საქართველოს ტერიტორიის გასაჩუქრებისთვისო" და პროტესტის ნიშნად დაუტოვებია სოციალისტ-ფედერალისტების პარტია.

ვასილ წერეთელი შევიდა ამავე წელს შექმნილ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში.

1919 წელს ვასილ წერეთელი აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან.

1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოებიდან, ვასილ წერეთელი თავს ანებებს პოლიტიკურ მოღვაწეობას. 1926 წელს მუდმივ საცხოვრებლად ოჯახთან ერთად გადმოვიდა თბილისში, 1929 წლიდან იყო ჯანსახკომის სახალხო კომისარიატის სამეცნიერო ჟურნალის — „ჯანსახკომის მოამბის" მთავარი რედაქტორი.

გარდაიცვალა 1937 წლის 23 ოქტომბერს, დაკრძალეს თბილისში, ვერის ძველ სასაფლაოზე.

სოციალ-ფედერალისტური პარტიიდან განდგომის შემდეგ, ყოფილ თანაპარტიელებთან და თანამოაზრეებთან იდეური კამათიც მოსდიოდა, მართალია, პარტიის ლიდერს, არჩილ ჯორჯაძეს ის დიდ პატივს ცემდა, მაგრამ მასთანაც კრიტიკული დამოკიდებულება რომ ჰქონდა, კარგად ჩანს მასა და ანტონ ფურცელაძეს შორის 1913 წელს არსებულ მიწერ-მოწერაში. წერილები საქართველოს ლიტერატურის მუზეუმშია დაცული.

ვასილ წერეთლის წერილი ანტონ ფურცელაძისადმი
19 მარტი, 1913 წელი

დიდად პატივცემულო ბატონო ანტონ!

თქვენი წერილის დაბეჭდვის წინააღმდეგ პრინციპიალური არაფერი არა აქვს „კოლხეთის" რედაქციას, მაგრამ რადგან არჩილ ჯორჯაძე ახლა უკანასკნელ ორთაბრძოლაშია და გაზეთების კითხვას მაინც არ იშლის, უხერხულად სცნობს დაიბეჭდოს რამე, რასაც შეუძლია არ ააღელვოს და ავნოს — ერთობ უხერხული დროაო, მითხრეს, თვარა ანტონს იმდენად პატივსა ვცემთო, რომ, პირიქით, ჩვენთვის ძლიერ სასიხარულო იქნებოდა, რომ მიეწოდებია ხოლმე ჩვენი გაზეთისთვის წერილებიო.

რაც შეეხება თქვენს ინიციატივას გლეხთა დამხმარებელი საზოგადოების დაარსების შესახებ, სოლომონ მიქელაძემ იდვა თავს კიდევ ორი-სამი კრების მოწვევა და წესდების შემუშავება — ვფიქრობ, რომ განხორციელდება თქვენი აზრი.

იცოცხლეთ ხანგრძლივ თქვენისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

თქვენი მეგობარი და დიდათ პატივისმცემელი ვასილ წერეთელი. [3]

ამ წერილიდან ჩანს, რომ ძველმა მეგობარმა და თანამოაზრემ, მწერალმა ანტონ ფურცელაძემ კრიტიკული წერილი დაწერა არჩილ ჯორჯაძეზე და გაუგზავნა ვასილ წერეთელს, რომელიც იმჟამად ქუთაისში ცხოვრობდა და გაზეთ „კოლხიდაში" თანამშრომლობდა. ჭლექით დაავადებული და სასიკვდილოდ გადადებული არჩილ ჯორჯაძე მაინც კითხულობდა გაზეთს, რის გამოც რედაქციამ თავი შეიკავა წერილის დაბეჭდვაზე. როგორც ჩანს, რედაქცია არ იზიარებდა ფურცელაძის აზრს, ამიტომ წერილი არც არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების წემდეგ დაბეჭდეს, მიზეზად უცვნიათ გარდაცვლილის ხსოვნისადმი პატივისცემა. ვასილ წერეთელს მიაჩნდა, რომ რაც უნდა უხერხული ყოფილიყო კამათი, სი-

მართლე უნდა გარკვეულიყო, რისთვისაც წერილის დაბეჭდვა აუცილებელიც იყო.

მოვიტან ვასილ წერეთლის მეორე წერილს ანტონ ფურცელაძისადმი:

დიდად პატივცემულო ბატონო ანტონ!

რადგან არჩილი გარდაიცვალა, ახლა უხერხულად იცვნეს ამ წერილის დაბეჭდვა, ძალიან ვწუხვარ, რომ არ დაიბეჭდა: სიმართლე უნდა გამოირკვეს, თუნდ ეს საწყენიც იყოს ვისთვისმე.

იმ საქმეს, ვინ იცის, ეშველება რამე თუ არა, ქუთაისის ინტელიგენცია კამათშია ჩაფლული და საზოგადო საქმისათვის არა სცალია.

ვასილ წერეთელი

1913 წელი, 5.14. (4)

„შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე?" — სვამდა კითხვას ვასილ წერეთელი. სოციალისტების მიერ წამოყენებულ ამ იდეას ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტი უარყოფითად პასუხობდა და ამტკიცებდა კიდეც თავის თვალსაზრისს ქართული აგრარული მეურნეობის ისტორიული განვითარების მაგალითებით.

სოციალ-დემოკრატების აზრით, მთელი მიწა უნდა გადასულიყო ხალხის, ე.ი. ერობის ან რესპუბლიკის ხელში. ამას მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია ერქვა, შემდეგ საერობო თვითმმართველობას ან რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაერიგებინა მამულები მიწის მუშებისათვის იჯარით.

ვასილ წერეთელი არ თვლიდა სწორად მიწის ასეთ განკარგვას და წერდა: „ვთქვათ, მიწის მუშამ აიღო იჯარით მამული, წარმოვიდგინოთ, რომ ის თავის შვილებს ზრდის ხელოსნებად, ექიმებად, მეცნიერებად. გააკეთებს თუ არა თავის მიწაზე ბაღებსა და ვენახებს? გაასუქებს თუ არა საასუქით? შემორაგვავს თუ არა? დააშრობს თუ არა ჭაობებს? გაიყვანს თუ არა სარწყავ არხებს? არა, რადგან ეცოდინება, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისი მამული სხვის ხელში გადავა. ერობა ან რესპუბლიკა მიწებს არ დასტოვებს მისი

შვილების ხელში, რომელნიც მიწათმოქმედნი არ იქნებიან და არც უკანასკნელნი დაიდებენ თავზე ისეთ ტვირთს, რომელსაც ვერ მოერევიან".

პუბლიცისტი უშვებდა შესაძლებლობას: თუკი მოიჯარადრის მემკვიდრეებს გადაუხდიდნენ მამულზე ყოველგვარ დანახარჯს, მაშინ შესაძლოა მას ყველაფერი გაეკეთებინა, რადგან არ დაეკარგებოდათ მის შვილებს მისი ნაღვაწი, მაგრამ ეს მაშინ მოხდებოდა, თუკი ახალი მოიჯარადრე გადაიხდიდა დიდ ფასს, თუმცა, წერეთლის აზრით, ეს ძნელი იყო, რადგან ახალი იმდენად ვერ ამოწურავდა მამულის შემოსავალს, ვერ გააუმჯობესებდა ნაყოფისუნარიანობას, როგორც ძველი, უკვე შეჩვეული პატრონი. ამიტომაც დიდ ფულს ვერ გადაიხდიდა. არც ერობას და არც რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებას მიწაში გადასახდელი ფული არ ჰქონდა. მოიჯარადრემ დროზე თუ ვერ გადაიხადა იჯარა, მას ხომ ვერ ჩამოართმევს ერობა, რომ ჩამოართვას, რაც უნდა ფასი გადაუხადოს, მიწის მუშა მაინც გაღატაკდება.

ჩამორთმეული მამულები უფრო და უფრო დიდი იჯარით უნდა გასცენ. ამით ხომ უწესო დაბეგვრა გამეფდებაო, — კითხულოდა ვ. წერეთელი — იქნებიან, უპირატესობამოსილნი და უპირატესობას მოკლებულნი მოიჯარადრეები და მომავალ რესპუბლიკაში უამრავი უმიწაწყლო იქნებაო.

საუკუნო იჯარა, მისი აზრით, ასევე ხელს შეუშლიდა მიწების გაუმჯობესებას, თუ მიწას ხელშეუხებელ საკუთრებად არ ჩათვლიდა, გლეხი მას აღარ მოუვლიდა სათანადოდ.

ასევე აკრიტიკებდა წერეთელი სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სოციალისტ-ფედერალისტების დამოკიდებულებას აგრარული საკითხისადმი.

ამ ორივე პარტიის პროგრამა ითვალისწინებდა მიწის უსასყიდლოდ ჩამორთმევას და გადაცემას გლეხებისათვის იმ ზომით, რამდენის დამუშავებაც მათ შეეძლოთ. აქაც იგივე შედეგებს ვარაუდობდა.

ის მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატთა აგრარულ პროგრამას თვლიდა სრულყოფილად.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამით ყველას ექნებოდა დაწესებული ნორმა. თუ მემამულეს დაწესებულ რაოდენობაზე მეტი მიწა არ ჰქონდა, არ ჩამოერთმეოდა. მას უფლება ჰქონდა ეს მიწა ან თვითონ დაემუშავებინა, ან იჯარით გაეცა, დაეგირავებინა თუ რაც სურდა, ის გაეკეთებია. შეეძლო მემკვიდრეობის სახით გადაეცა. მამულის პატრონი თუ დაინახავდა, რომ მიწას სხვა ქონება ერჩია, უფლება ჰქონდა გაეყიდა იგი, კერძო საკუთრება მიწაზე ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო.

„ჩვენ დიდ ბოროტებად ვსთვლით, — წერდა ვასილ წერეთელი, — როდესაც აუარებელი მიწა მცირეოდენი მესაკუთრეების ხელშია თავმოყრილი, რადგან, ჯერ ერთი, ძნელია დიდი მამულის მოვლა და გაუმჯობესება და, პირიქით, დამტკიცებულია, რომ წვრილი მესაკუთრე უკეთ აუმჯობესებს თავის მამულს და, მეორე, ხალხის გამრავლება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული სხეულის ზრდა-განვითარებისათვის, უმთავრესად მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მიწა დანაწილებულია წვრილ მიწის მუშათა შორის. დიდი მამულების თავმოყრამ მცირეოდენი მესაკუთრის ხელში (ლატიფუნდიებმა) დაღუპეს ძველი რომი... ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ვისაც დაწესებულ რაოდენობაზე მეტი მიწა აქვს, უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს მიწის მუშებს კერძო საკუთრებად“.

ჩამორთმევა უნდა მომხდარიყო თანდათან და არა ერთბაშად, რადგანაც ეს გააკოტრებდა მემამულესაც და მათაც, ვისი ვალიც მას ჰქონდა. ეს კი საშინელ ეკონომიკურ კრიზისს გამოიწვევდა. მას უსამართლობად მიაჩნდა მემამულეთა კლასის ერთბაშად გაწირვა, მათ ჩამორთმეული მიწებისთვის ფული უნდა მიეღოთ, დანარჩენი კი თვითონ დაეტოვებინათ და ნაწილ-ნაწილ ეხადათ ღირებულება მთავრობისათვის.

კერძო საკუთრება, წერეთლის აზრით, ხელშეუხებელი უნდა დარჩენილიყო, ოღონდ უნდა მომხდარიყო მისი დემოკრატიზაცია, რასაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

პროგრამა ისახავდა მიზნად და ეს მიზანი რეალური იყო [5].

ვასილ წერეთელიც, სხვა ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწეების მსგავსად, ითხოვდა 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე საქართველოს ავტონომიის მიღებას. მას, ამ თემაზე დაწერილ სამ წერილში — ავტონომია და ფედერაცია, მოაქვს უამრავი ევროპული ქვეყნის მაგალითი, ავტონომიისა და ფედერაციული მოწყობის ფორმები, იხილავს 1783 წლის ტრაქტატს მუხლობრივად და დასკვნაში წერს: „რა დიდი ცოდვა იქნება, რომ განახლებულმა რუსეთმა აღადგინოს ძველი მთავრობის მიერ დარღვეული ხელშეკრულება და დაუბრუნოს საქართველოს ხსენებული ტრაქტატით განსაზღვრული ავტონომიური თვითმმართველობა, რომელიც სრულიადაც არ აღემატება თავისი გარეშე შემცველობით ფინლანდიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და სხვა ავტონომიების უფლებათ? მაგრამ დღეს ყველას ენაზე აკერია რუსეთის ფედერატიული ანუ საკავშირო რესპუბლიკა. რასაკვირველია, ეს უტოპიაა, განუხორციელებელი ოცნებაა: კავშირი გულისხმობს მოკავშირეთა ნებაყოფლობას, რუსეთის რესპუბლიკის ფედერაცია კი — ცენტრის, ე.ი. დამწესებელი პირების მიერ იქნება შედგენილი.

ფედერატიულ სახელმწიფოს ახასიათებს, სხვათა შორის, მცირეთა და დიდ შემადგენელ ავტონომიურ ნაწილთა თანასწორი წარმომადგენლობა ზედა პალატაში...“

მაგრამ, პუბლიცისტის აზრით, ძალმომრეობის მქონე ქვეყანაში ზედა პალატაში არ ჰყავთ თანაბარი წარმომადგენლები ყველა შტატებს ან ავტონომიურ სუბიექტებს.

„შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის ზედა პალატაში იმდენივე ადგილი დაუთმონ, მაგალითად, ქართველებს, სომხებს, ლიტველებს, თათრებს და სხვ., რამდენიც ექნებათ ველიკორუსებს?“ — კითხულობდა ავტორი და იქვე პასუხობდა: „ცხადია, რომ ეს არასოდეს არ იქნება და, მაშასადამე, რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით განუხორ-

ციელებელი უტოპიაა, რომელსაც მთელი ჩვენი ენერგია არ უნდა შევალიოთ. 1783 წლის ტრაქტატის განხორციელება კი შესაძლებელი იქნება ადრე თუ გვიან, რადგან რუსეთს ამით უზენაესი უფლება, სუვერენიტეტი, არ დაეკარგება..."[6]

ვასილ წერეთელი მწვავე კრიტიკით შეხვდა საქართველო-სომხეთს შორის წარმოქმნილი სამხედრო კონფლიქტის დროს მთავრობის პოზიციას, მოითხოვდა მისგან გადამჭრელი ზომების მიღებას. სომეხთა ტერიტორიული პრეტენზიები, პირველ რიგში, დიდ უმადურობად მიაჩნდა მას, რადგან საქართველო ყოველთვის აძლევდა თავშესაფარს სომეხ ლტოლვილებს, რამაც გამოიწვია მათი კომპაქტური დასახლებების გაჩენა და დემოგრაფიული ზრდის მაჩვენებელი საქართველოში. მეორეც: ლორის, ბამბაკის, ახალციხე-ახალქალაქის მოთხოვნა სომხეთის მიერ, იყო არამარტო ისტორიული უსამართლობა, არამედ სომხეთის დამპყრობლური მადის გახსნა. „საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ვის ხელშიაც იქნება ახალქალაქი, ახალციხე და ბორჩალო, მის ხელში იქნება ბოლოს და ბოლოს მთელი საქარველო. მაშ, სომხეთის რესპუბლიკის წადილი ჩვენს პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას ემუქრება, — ასკვნიდა პატრიოტი პუბლიცისტი, „თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, რომლის თვითეული ხელის დადება მიწა ჩვენს წინაპართა სისხლითაა მორწყული, ნეიტრალურ ქალაქად ჰსურთ გამოაცხადონ. ერთი სიტყვით, ჩვენს მადაგახსნილ მეზობლებს საქართველოს ტერიტორიაზე დიდი სომხეთის აშენება განუზრახავთ!", — აგრძელებდა იგი და ასეთ თავგასულობას მიაწერდა სომეხ პოლიტიკოსთა ვიწრო თვალთახედვას, მათი აზროვნების შეზღუდულობას, რასაც, მისი თქმით, წარსულშიც მრავალჯერ დაუღუპიათ ისინი.

ვ. წერეთელი ხალხს მიანიშნებდა შესაძლო ღალატსა და გამცემლობაზე, რასაც ადგილი ექნებოდა ომის დროს, ვინაიდან საქართველოში მცხოვრები სომხები სომხურ ინტერესებს გამოიჩენდნენ, მოუწოდებდა ყველას ომში ჩაბმისა და სამშობლოს დაცვისაკენ [7]. ომი მას მიაჩნდა საქართ-

ველოში ანტისახელმწიფოებრივი ნიშნების აღმოფხვრის და ეროვნული იდეის განმტკიცების საშუალებად. „დღეს იშვა ქართველი ერი, ამ სიტყვის პოლიტიკური მნიშვნელობით, — წერდა ვასილ წერეთელი, — დღეს მტერს გაერთიანებული საქართველო ებრძვის, ამაშია გამარჯვების სანინდარი," — გამოთქვამდა რწმენას და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის გაერთიანებას ეროვნული იდეის გარშემო დიდ ბედნიერებად თვლიდა. პარტიათა მრავალფეროვნება ჩვენი პოლიტიკური განვითარების მოწმეაო, — ამტკიცებდა პუბლიცისტი.

საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას იგი საერთაშორისო წონასწორობისა და მშვიდობიანობის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა. იმპერიების დანგრევას, დამოუკიდებელ ქვეყანათა შექმნას მსოფლიო ომის ობიექტურ შედეგად თვლიდა და სომხეთის პოლიტიკურ წრეებს ამ ობიექტური მოვლენებისათვის ანგარიშგაუწევლობაში ადანაშაულებდა. სომხებს ამიტომ აქვთ კავშირი რუსეთის მოპირდაპირე ძალებთან: მონარქისტებთან და ბოლშევიკებთან, რადგან „მათთვის სულერთია, ვინ გაიმარჯვებს, ოღონდ კი რუსები ამიერკავკასიაში კვლავ შემოიჭრნენ და ძველებურად გაბატონდნენ"-ო. სომხების ამგვარ პოლიტიკას ის მიაწერდა მათ გაბნეულობას მთელს ამიერკავკასიაში, საკუთარი სახელმწიფოს შექმნაში მათ უსუსურობას. „კარგად იციან, რომ საკუთარი ძალით ჯავახეთს, ბორჩალოსა და თბილისს ვერ წაგვართმევენ და ამიტომ ომში ჩვენს წინააღმდეგ რუსეთის ჩათრევას ლამობენ"-ო.

ვასილ წერეთლის აზრით, სომხეთი განსაცდელში აგდებდა მთელს ამიერკავკასიას, რუსეთის დაპყრობით ზრახვებს აქეზებდა, ამიტომ საჭირო იყო მის წინააღმდეგ არა ინტერნაციონალური ლოიალობა, არამედ გადამჭრელი ზომების გატარება[8].

საინტერესო იყო ვასილ წერეთლის წერილი — „პროფესიული კავშირები და სახელმწიფო", სადაც ის აფასებდა სოციალ-დემოკრატთა როლს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში, მაგრამ არც მათ კრიტიკას ერიდებოდა

ზოგიერთი სახელმწიფო მიმართულებისათვის ეროვნული ხასიათის გამოცლაში, აი, რას წერდა „საქართველოში“ ამის შესახებ:

„სოციალ-დემოკრატიას რომ საქართველოს სახელმწიფოს შექმნაში ღვაწლი მიუძღვის, არავინ არ უარყოფს. იყო დრო, როცა ხსენებული პარტია საქართველოს ავტონომიასაც კი უარყოფდა და ამ ნიადაგზე სხვა პარტიებთან დიდი ბრძოლა ჰქონდა. მაგრამ ეროვნული იდეა უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე მას ეგონა და ცხოვრებამ თვით ეს უარმყოფელი გამოიყვანა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლად, მიუხედავად ამისა, ხსენებული პარტია ჯერ მთლად ვერ განთავისუფლდა მეტაფიზიკური დოგმების მეუფებისაგან და ვერ დაადგა სწორ გზას. უეჭველია, ამით ბევრი წავაგეთ“.

პუბლიცისტი აუცილებლობად თვლიდა მიეთითებინა პარტიისთვის ამ შეცდომებზე. თვლიდა, რომ – მართალია „სოციალ-დემოკრატიამ, როგორც ყველაზე უფრო მოწყობილმა ორგანიზაციულად, მთელი ხალხი აამოძრავა და საერთო დროშის ქვეშ დააყენა, მაგრამ ყოველი პოლიტიკური და სოციალური რევოლუცია, რომელიც ხალხის ეკონომიკურ ცხოვრებას ნორმალურ კალაპოტში არ აყენებს, ბოლოს და ბოლოს რეაქციას შობს“.

პუბლიცისტის აზრით, თავისი მისია უკვე ამოწურული ჰქონდა მმართველ პარტიას, მას დადებითი როლიც ეთამაშნა, ახლა კი ველარ უძღვებოდა ერს, ეკონომიკურად ვერ უზრუნველყოფდა მის მოთხოვნებს, ამიტომ დრო იყო – განზე გამდგარიყო და ადგილი ისეთი პარტიისთვის დაეთმო, ვინც ამ მიზანს გაცილებით კარგად შეასრულებდა. ასეთ პარტიად ვასილ წერეთელს და „საქართველოს“ – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მიაჩნდათ.

მთავრობისა და მმართველი პარტიის დიდ შეცდომად წერეთელი თვლიდა ორმაგ სტანდარტებს, მმართველობის გაორმაგებულ ფორმებს და მათ ასე ჩამოთვლიდა: „ახალ საქართველოს თავიდანვე ორი გამგეობა დასჩემდა: პრო-

ფესიული კავშირები და საკანონმდებლო დაწესებულება, ადმინისტრაცია და პარტიული კომიტეტ-კოლექტივები, რეგულარული ჯარი და სახალხო გვარდია", – რომლებიც თანასწორუფლებიანი ორგანოები იყვნენ და უფლება-უპირატესობისთვის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მისი აზრით, საქართველოში არ იყო მთლიანი, ერთსისტემიანი სახელმწიფოებრივი შენობა, ყველაფერი გაორებული იყო.

ადამიანებმა არ იცოდნენ ვისთვის მიემართათ, სად ეძებნათ სამართალი. ვასილ წერეთელი ამ მხრივ უფრო მოწესრიგებულად მიიჩნევდა რუსეთის ბოლშევიკურ-ლენინურ სახელმწიფოს. ის უფრო ცენტრალიზებულ ქვეყნად მიაჩნდა. საქართველოს პრიორიტეტად, მაშინდელ რუსეთთან შედარებით, მისი აზრით, მხოლოდ ერთი რამ იყო – პიროვნების თავისუფლება, მაგრამ ამასაც დროებით მოვლენად თვლიდა, საერთოდ კი სჯეროდა, რომ ჩვენი ქვეყანაც კომუნიზმისაკენ მიდიოდა. ამის მაგალითად მოჰქონდა ქარხნებში არსებული ვითარება: „ერთის მხრივ მუშათა პროფესიული კავშირები განაგებენ წარმოებას, მეორე მხრით, კაპიტალისტები პასუხისმგებელნი არიან, როდესაც საქმე ცუდად მიდის, როგორც მუშების, აგრეთვე კრედიტორების წინაშე. ეს შეუსაბამობაა: ვისაც უფლება აქვს, მოვალეობა და პასუხისმგებლობაც მას უნდა ჰქონდეს, და, თუ მუშების ხელში უნდა დარჩეს გამგეობა, მათ ხელშივე უნდა გადავიდეს მთელი პასუხისმგებლობაც. ერთი სიტყვით, თუ მუშა იქნება გამგებელი, ისევე უნდა იყოს პატრონიც. არ შეიძლება გამგებელი ერთი იყოს, პატრონი კი სხვა. ეს ანარქიაა!"

წერეთლის თქმით, მუშისა და კაპიტალისტის ინტერესები საწინააღმდეგო იყო. რაკი კაპიტალისტს წარმოების პროცესში არაფერი ეკითხებოდა, ის აძვირებდა პროდუქციას, ანდა სულ იღებდა ხელს წარმოებაზე. მას შეეძლო თავისი კაპიტალი სავაჭრო კაპიტალად ექცია, უცხოეთიდან შემოეტანა საქონელი, რომელიც უფრო ძვირი იყო ბაზარზე, ვიდრე აქ დამზადებული. ასე წარმოიშვებოდა ვაჭრობა-სპეკულაცია. „რესპუბლიკა აღარაფერს ამზადებს, – გულისტკივილით

წერდა პუბლიცისტი, – რაც კი გვჭირდება, უცხოეთიდან შემოდის, შემოტანილის ღირებულება მრავალჯერ აღემატება გატანილის ღირებულებას და ფულის კურსი საშინლად ეცემა". საქართველოს ის გზა უნდა აერჩია, რაც მის დამოუკიდებლობას სიკვდილისაგან გადაარჩენდა. ეს გზა ევროპული იყო და არა ბოლშევიკური რუსეთისა. „პირველი გზა დაღუპავს საქართველოს, – ირწმუნებოდა იგი, – მეორე გზა კი ააღორძინებს ეკონომიურად და განამტკიცებს პოლიტიკურად", ამიტომ ჩვენს პროფესიულ კავშირებს იმაზე მეტი უფლება არ უნდა ექნეთ, რაც ევროპაში აქვთო. ამას საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტიადაც მიიჩნევდა ვასილ წერეთელი. [9]

ვასილ წერეთელმა ვრცელი წერილები მიუძღვნა 1920 წლის იანვარში გამოქვეყნებულ საქართველოს კონსტიტუციის პროექტს და თავისი კრიტიკული მოსაზრებანი გაუზიარა საზოგადოებას მისი ზოგიერთი დებულების შესახებ.

ვასილ წერეთელი მიზანშეუწონლად მიიჩნევდა საქართველოს მოწყობას ფედერაციულ სახელმწიფოდ, მისი აზრით, იგი უნდა ყოფილიყო ერთიანი რესპუბლიკა ერთი კანონმდებლობით. დასაშვებად მიიჩნევდა მხოლოდ აჭარის ავტონომიას – რელიგიური ნიშნის გამო და აფხაზეთისას – ეთნიკური ნიშნით, თუმცა ეს ავტონომიები უნდა ყოფილიყო მხოლოდ ადმინისტრაციული და არა სრულიად დამოუკიდებელი, მით უმეტეს, ეკონომიკურად ის სრულად უნდა შეთანხმებოდა ქართულ ეკონომიკურ სივრცეს. ქვეყანას ერთიანი საზღვრები უნდა ჰქონდეს, ტერიტორიის შიგნით კი საბაჟოები და ხელოვნურად აღმართული ზღუდეები უნდა მოიშალოსო, ამ პირობების გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი ვერ იქნებაო, – წერდა იგი.

იხილავდა რა კონსტიტუციის პროექტის მე-20 მუხლს სახალხო ინიციატივისა და რეფერენდუმის შესახებ, ის პარალელურად შვეიცარიისა და აშშ-ის კონსტიტუციების შესაბამის მუხლებს აანალიზებდა და საქართველოსთვის საჭიროდ თვლიდა არა სენატის, არამედ სახალხო ინიცია-

ტივისა და რეფერენდუმის დატოვებას. ეს უფრო დემოკრატიულ წესადაც მიაჩნდა. აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართაც პროექტის მუხლთან ვასილ წერეთელი აკეთებდა შენიშვნებს. მიაჩნდა, რომ შვეიცარია-ამერიკის მოდელი საქართველოსთვის პირდაპირ მისაღები ვერ იქნებოდა. ქართველ ხალხს პირდაპირი ხმის მიცემით უნდა აერჩია თავისი პრეზიდენტი და ამაში პარტიები არ უნდა ჩარეულიყვნენ. პუბლიცისტს განსაკუთრებით აღელვებდა საქართველოს მთავრობის პარტიული მიდგომა თანამდებობის პირების დანიშვნისას, მისი ავტოკრატიული მმართველობა. წერეთელი პრეზიდენტის უფლებებზეც ამახვილებდა ყურადღებას. იგი სამართლიანად წერდა, რომ „პრეზიდენტმა უნდა განაგოს რესპუბლიკა მინისტრების საშუალებით, მინისტრები კი პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ პარლამენტის წინაშეო“[10]. ასეთი წესი არის საფრანგეთში, აშშ-ში კი მინისტრები პრეზიდენტს ემორჩილებიან, რაც დემოკრატიული არ არისო. პრეზიდენტის ინსტიტუტსა და მის ამგვარ უფლება-მოვალეობაზე, რაც წერეთელს მოჰქონდა, პროექტში არ იყო ლაპარაკი. იქ საუბარი იყო მთავრობის თავმჯდომარეზე, რომელიც ნიშნავდა მინისტრებს. ეს პარტიული ორგანოა, ვიდრე სახალხო, დემოკრატიული, ეროვნულიო, რადგან მთავრობის თავმჯდომარე პარტიული ნიშნით დანიშნავს მინისტრებს და არა პირადი ღირსებებით, როგორც დღეს ხდებაო.

პარტიულ დიქტატურას ხედავდა იგი საარჩევნო წესში. პარტიული სიების არსებობა ავალებდა პარტიის წევრს, ხმა მიეცა მისი პარტიის წევრებისათვის და არა, მისი აზრით, ღირსეული, სხვა პარტიის, ანდა უპარტიო წარმომადგენლისათვის.

„საჭიროა მოქალაქის სინდისი განთავისუფლებულ იქნას პარტიული ძალადობისაგან. როდის იქნება ეს შესაძლებელი? – კითხულობდა ვასილ წერეთელი და პასუხობდა: აი, როდის: ბიულეტენში ყველა პარტიის სიები უნდა იქნენ მოქცეულნი. ამომრჩეველს ნება უნდა ჰქონდეს აირჩიოს ის კანდიდატები,

რომელთა არჩევაც სურს, სულ ერთია, რომელ სიასა და რიგშიაც არ უნდა იქნენ აღნიშნული. ამით პარტიული დიქტატურა მოიხსნებოდა. ასევე მან გააკრიტიკა მთავრობის თავმჯდომარის უფლება – საგანგებო სამხედრო წესების დროს საკონსტიტუციო გარანტიების მოხსნაზე, თუ ამ დროს ის უდანაშაულო ადამიანებს დასჯიდა ან სხვა კანონგარეშე აქტს განახორციელებდა, ამისთვის კანონი საგანგებო წესების გაუქმების შემდეგ არ სჯიდა.

ვასილ წერეთელი აკრიტიკებდა სოციალური უფლებების შესახებ კანონპროექტის ფორმულირებას, თუმცა, აქ მისი კრიტიკა ცოტა უსაფუძვლო ჩანს. ის საჭიროდ არ თვლიდა პენსიების, სამუშაო დღის, ღარიბ სნეულთა, მოხუცთა და მოწაფეთა შენახვის გარანტიების დაწესებას. ეს ევროპის დიდ ქვეყნებშიც არაა უზრუნველყოფილი, ჩვენ ამ გასაჭირში მაინც ვერ განვახორციელებთ, თუ კარგი დრო დადგება, მაშინ ამ აქტის წინააღმდეგი არავინ იქნებაო.

საქმე ის იყო, რომ კონსტიტუცია დიდ დროზე იყო გაწერილი, ის არ ეფუძნებოდა იმდროინდელ ვითარებას, ამიტომ სოციალურ გარანტიებს სოციალისტურ-დემოკრატიული ხელისუფლება ვერ შეელეოდა. კონსტიტუციის პროექტის შეუფარდებლობას რეალურ სინამდვილესთან საფრთხედ მიიჩნევდა ეროვნულ-დემოკრატი წერეთელი და შიშობდა, ვაითუ მას 1793 წელს შემუშავებული საფრანგეთის კონსტიტუციის პროექტის ბედი ერგოსო. მისი ეჭვების საფუძვლად აი, რას მიიჩნევდა: „გაბატონებულ პარტიას თუ მოქალაქეობრივი თავისუფლება სწამს, რატომ შებორკა თავისუფლება?! რატომ გაამეფა პარტიული დიქტატურა?! რატომ არ უზრუნველყო პიროვნების ხელშეუხებლობა, კრების, სიტყვის, ბეჭდვისა და არჩევნების თავისუფლება?!

ცხადია, დაპირებასა და სინამდვილეს შორის დიდი განსხვავებაა, თუკი ვცდებით, მით უკეთესი“...

ვასილ წერეთლის კრიტიკული მოსაზრებები, ისევე როგორც სხვა მისი თანაპარტიელების, ეხმარებოდა საკონსტი-

ტუციო კანონმდებლებს პროექტის დახვეწასა და სრულყოფაში.

ვასილ წერეთელი საქართველოს ეკონომიკურ დაწინაურებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციათა მუშაობას უკავშირებდა. ეს საკითხი რამდენიმე ათეული წელიწადი იყო ქართველი ინტელიგენციის მისწრაფების, დავისა და ძიების საგანი. რუსულმა ხელისუფლებამ თავის დროზე არ გამოიმეტა იგი ჩვენი ქვეყნისთვის, 1905 წლიდან კი პოლემიკის ზღვაში ჩაიხრჩო საკითხის გადაწყვეტის რეალური შანსი და იგი პოლიტიკური ვაჭრობის საგნადაც კი იქცა რუსეთსა და კავკასიის ხალხებს შორის. ეს მაშინ, როდესაც ერობების შემოღება ეთნიკური ნიშნით გადაწყდა. კომპაქტურად დასახლებული არაქართველები თავიანთ ერობებს მიიღებდნენ, რომლის ადმინისტრაცია იმ ენაზე აწარმოებდა საქმეს, რომელი ეთნოსიც იყო ამ საერობო მაზრის უმეტესი მცხოვრებნი.

ეს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, იწვევდა ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვის საფრთხეს, ამიტომ საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა რუსეთის იმპერიის დაშლამდე. ვერც ახლად დაარსებული ერობები მუშაობდნენ აქტიურად, დამოუკიდებლობის წლები იმდენად მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით გამოირჩეოდა, რომ ადგილობრივი მმართველობის მუშაობაც არაეფექტური იყო ამ ფონზე. ამან გამოიწვია ვასილ წერეთლის სტატიის დაწერაც. მას მიაჩნდა, რომ ერობები ცუდად მუშაობდნენ, რომ ქვეყანაში დემოკრატია კი არა, დიქტატორული მმართველობა იყო, ცენტრი აკონტროლებდა ყველაფერს, არ აძლევდა ადგილობრივ მმართველობებს საშუალებას, დამოუკიდებლად ეღვაწათ, შეეჩერებინათ თავიანთი მისია: გზების გაყვანის, სკოლების, სამკურნალო დაწესებულებების დაარსების, სამიწათმოქმედო, სამრეწველო და საგადასახდო საქმეები ეწარმოებინა. ბიუროკრატიულმა ცენტრალიზაციამ, ვასილ წერეთლის აზ-

რით, გამოიწვია საქართველოს საშინელ, კრიტიკულ ეკონომიკურ-ფინანსურ მდგომარეობაში ჩაყენება. პუბლიცისტი ცენტრალიზმსა და ბიუროკრატიულ-დიქტატორულ ხელმძღვანელობაში დიდ საფრთხეს ხედავდა და დასძენდა:

„ადგილობრივი თვითმმართველობის შებორკვა – ინიციატივის შებორკვაა, ინიციატივას მოკლებული ერობა კი, რასაკვირველია, ვერაფერს ვერ გააკეთებს“[11].

პუბლიცისტი დაწვრილებით განიხილავდა სათემო ერობათა უფლება-მოვალეობებს, ეკონომიკური წარმატებისთვის საჭირო ღონისძიებებს, მათ საკუთარ ინიციატივას, მთავრობის თავმჯდომარის მიუღებელ აზრს ამ საკითხზე [12].

სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეების, და საერთოდ, სოციალისტურ იდეებთან შეურიგებელ ვასილ წერეთელს არ მოსწონდა ამიერკავკასიისა და თბილისის ახალი ხელისუფლების საქმიანობა. ვერც ნოე ჟორდანია, ვერც პოპოვი და ხატისოვი ვერ აკმაყოფილებდა მის იმედებს თავისუფალი საქართველოს ხელისფლებაზე, ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრაზე. განსაკუთრებით მიუღებელი იყო მისთვის პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, რომელიც თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახელით პოპოვმა წამოაყენა. „მოქალაქე პოპოვმა პროლეტარიატის დიქტატურა მოითხოვა, თუმც არავინ მეგულება ახლა, არ იცოდეს, რომ როდესაც კი რომელიმე კლასს, თუნდაც პოლეტარიატს, — ბატონობა და დიქტატურა ჩაუგდია ხელში, მის წინააღმდეგ სხვა კლასები ამხედრებულან და ამგვარი განხეთქილება კონტრრევოლუციითა და რეაქციით დაბოლოვებულა. თუ ისტორიული გაკვეთილები ყურად არ უნდა ვიღოთ?!“ — კითხულობდა ვასილ წერეთელი.

ის ნოე ჟორდანიასაც აკრიტიკებდა, რომელიც ამტკიცებდა — ეროვნული გამოსვლების გარეშე, აკადემიურად მოვაწესრიგოთ ეროვნული საკითხიო.

რას უწოდებს ის „ეროვნულ გამოსვლებს?“, ვთქვათ, გაიმართა მიტინგი, რომელმაც ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია შეიწყნარა, „ეროვნული გამოსვლა“ იქნება ეს თუ

აკადემიური ბჭობა?“ — ირონიულად ამბობდა წერეთელი და პასუხსაც სცემდა, რა საკითხავია, მიტინგზე კი არა, თვით აკადემიაშიც კი შეუძლებელია ხშირად აკადემიური ბჭობაო.

წერეთელს არ მოსწონდა რუსეთის ახალი ხელისუფლების სეპარატული მოლაპარაკებები სომხებთან და გაჩენილ ეჭვებს უზიარებდა გაზეთ „საქართველოს“ მკითხველსაც: „ერთი რამ მაკვირვებს, — წერდა იგი, — როდესაც ჩვენ ვალად გვაკისრებენ აკადემიურ სიმშვიდეს, სიწყნარესა და მოთმინებას, ჩვენის გათელილის ეროვნული უფლების წამოყენების საკითხში, საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ნ. მილიუკოვი მიიწვევს ქ. თბილისის თავს ა.ი. ხატისოვს პეტროგრადში სომხეთის ავტონომიის შესახებ მოსალაპარაკებლად (იხ. „ზაკავ.რეჩ.“ 66). როგორ შეიძლება სომხეთის ავტონომიის საკითხის გადაჭრა ისე, რომ ქართველობას ამის შესახებ არა ჰკითხონ-რა?! დავიჯეროთ, რომ ჩვენს ეროვნულ უფლებას და თავმოყვარეობას ასე შეურაცხყოფენ?! — წერდა ვ. წერეთელი.

1920 წლის იანვარში პარიზის საზავო კონფერენციამ აღიარა საქართველოს დე-ფაქტო დამოუკიდებლობა. მთელ ქართულ საზოგადოებასთან ერთად, ამ ფაქტმა პატრიოტი ვასილ წერეთელიც აღაფრთოვანა. მისი წერილი – „საქართველოს დამოუკიდებლობა“ პუბლიცისტის არა მარტო აღფრთოვანებას, სამშობლოს მომავლისადმი მის დიდ რწმენასაც დაუფარავად გამოხატავდა. მის წერილში იკითხება სურვილიც, რომ ამიერიდან მსოფლიო თანამეგობრობას დაეცვა საქართველოს სუვერენიტეტი. საქართველოს დამოუკიდებლობაზე საკუთარ ოცნებებს ასე წარმოადგენს ვასილ წერეთელი:

„საქართველოს დამოუკიდებლობა!.. მეც, როგორც ყველა ჩემი თანამემამულე, ამ ნატვრას, როგორც წმიდათა წმიდას, სიყმაწვილიდან გულით ვატარებდი და ვზრდიდი.

ოცნებაც, წარმოდგენაც კი დამოუკიდებლობის –წამიერ ნეტარებას მივლინებდა ხოლმე.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხელჩართული ბრძოლა მენატრებოდა! საქართველოს განთავისუფლების გზები მეხატებოდა!..“

პუბლიცისტი იხსენებდა ოდესის უნივერსიტეტში სწავლის წლებს, როდესაც, თავის მეგობრებთან ერთად, აღფრთოვანებული ოცნებობდა „სამშობლოს განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ“. მისი ოპტიმიზმი ასოცი წლის ნანატრი თავისუფლების მიღებასა და საქართველოსთვის უსაფრთხო მომავლის მოლოდინს ეფუძნებოდა. ოღონდ ერთს ნატრობდა: მდიდარი, კულტურული და განათლებული საქართველოს მომავალი „შინაურ წესწყობილებაში თავისუფლებას“ დაფუძნებოდა, დამოუკიდებელი საქართველო თავისუფალ ქვეყნად ქცეულიყო[13].

წერილი ქუთაისში იყო დაწერილი 1920 წლის 14 იანვარს და იმგვარ აღტაცებულ პათოსს მოიცავდა, რაც ამ ისტორიულ ფაქტს შეჰფეროდა.

„მოქალაქეობრიობა და თავისუფლება“, – აცხადებდა პუბლიცისტი და ამ უკანასკნელის ნაკლებობაზე მიუთითებდა. მისი აზრით, საქართველოში არ იყო ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც არც ერთი პარტიის კუთვნილება არ იქნებოდა, ყველასთვის ერთნაირად მისაღები და ეროვნული სულის გამომხატველად იქცეოდა. ასეთი საზოგადოებრივი აზრი ეროვნული მთლიანობის აუცილებელ პირობად მიაჩნდა[14].

ვასილ წერეთელი აკრიტიკებდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიღებული მიწის კანონისათვის. მას მიაჩნდა, რომ 7 დესეტინა მიწა, რომელიც იყო ნორმა საქართველოს მიწისმფლობელებისათვის, საკმარისი არ იყო და ვერ იძლეოდა მეურნეობის გაუმჯობესების სტიმულს. ამდენი მიწის პატრონი ვერ შეძლებდა საკუთარი მეურნეობის ისეთ განვითარებას, რომ მოწეული პროდუქციით შეენახა მამულიც და თავისი მოთხოვნილებებიც დაეკმაყოფილებინა, ვერ განვითარდებოდა კაპიტალისტური მევენახეობა, მერძევეობა, ხორბლეულის მოყვანა, მებაღეობა და სხვა. ეს

ნორმა შეუსაბამო იყო თვით გლეხობისთვისაც. რამდენიმე თაობის შემდეგ ეს ნორმა ორ დესეტინაზე დავიდოდა, მამულის ყიდვა კი გაძნელდებოდა, რადგან თუ მამულს იყიდდა, მეურნეობის გასაუმჯობესებული ფული ასეთი მცირე მიწის მფლობელს არ შერჩებოდა[15].

ვასილ წერეთელი ბევრს წერდა განათლების რეფორმაში არსებულ ნაკლოვანებებზეც, აკრიტიკებდა მთავრობას პარტიული ინტერესების გატარებისათვის, იბრძოდა დემოკრატიისა და ნამდვილი თავისუფლებისათვის. მისი მოღვაწეობა და თეორიული ნაშრომები დამოუკიდებლობის წლების ქართულ პრესაში – მეტად მნიშვნელოვანია და მრავალფეროვანი. მათი შესწავლა აუცილებელია ამ ეპოქის უკეთ გასაგებად და ისტორიული მოვლენების უკეთ გასააზრებლად.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვასილ წერეთელი, ლიტერატურული წერილები, მემუარები, კრებული შეადგინა და წერილები დაურთო პროფ. დავით თევზაძემ, გამომცემლობა „მერანი“, 1998 წ.
2. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1152, 1900 წელი.
3. ვასილ წერეთელი, წერილი ანტონ ფურცელაძისადმი, გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი 288 18, ფ. 10.
4. იქვე, ფ.11.
5. ვასილ წერეთელი, გლეხთა საკითხი, გაზეთი „საქართველო“, 81, 1917 წ.
6. ვასილ წერეთელი, ავტონომია თუ ფედერაცია, გაზეთი „საქართველო“, 95, 96, 100, 1917 წ.
7. ვასილ წერეთელი, მოულოდნელი საფრთხე, გაზეთი „საქართველო“, 241, 1918 წ.
8. ვასილ წერეთელი, საქართველო-სომხეთის ომის მნიშვნელო-

ბა, გაზეთი „საქართველო“, 249, 1918 წ.
9. ვასილ წერეთელი, პროფესიული კავშირები და სახელმწიფო, გაზეთი „საქართველო“, 102, 1920 წლის 18 ენკენისთვე.
10. ვასილ წერეთელი – საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, გაზეთი „საქართველო“ 21, 1920.
11. ვასილ წერეთელი – ადგილობრივი თვითმმართველობა, გაზეთი „საქართველო“, 30, 1920 წლის 11 თებერვალი.
12. ვასილ წერეთელი, ადგილობრივი თვითმმართველობა, გაზ. „საქართველო“, 32, 1920 წლის 13 თებერვალი.
13. ვასილ წერეთელი, საქართველოს დამოუკიდებლობა, გაზეთი „ საქართველო“, 12, 1920 წლის 17 იანვარი.
14. ვასილ წერეთელი – მოქალაქეობრივობა და თავისუფლება, გაზეთი „საქართველო“, 71, 1920 წლის 2 აპრილი.
15. ვასილ წერეთელი – მიწის საკითხი, გაზეთი „საქართველო“, 75, 1920 წლის 9 აპრილი.

რაფიელ ინგილო
(1886-1966)

რაფიელ ინგილო XX საუკუნის ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი მოაზროვნე, დიდი პატრიოტი და თავდადებული მამულიშვილია. ამ საუკუნის დასაწყისის პრესაში გამოქვეყნებული მისი წერილები მთლიანად საქართველოს ტკივილებს ასახავდა, მის პრობლემებს აანალიზებდა, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალ გზებს ეძიებდა. განსაკუთრებულ ინტერესს ის პუბლიკაციები იწვევს, რომელთა თემა ამ დიდებული ადამიანის მშობლიური მხარე, საქართველოდან ტრაგიკულად მოწყვეტილი საინგილოა. ის წერდა აქაურ ქართველთა ცხოვრებაზე, მათ მწარე ბედისწერაზე, რუს მოხელეთა უსულგულობასა და ქართველების ძალდატანებით გამაჰმადიანებაზე. ტრაგიკული ქვეყნის შვილებიც იზიარებენ სამშობლოს იღბალს და მის წინაპრებსაც იმგვარი ბედი ჰქონდათ, როგორიც საუკუნეების მანძილზე ათასი ჯურის მტერთა მიერ ნარბევ საინგილოს. პაპამისი, ახალგაზრდა ინგილო, რომლის ნამდვილი გვარიც უცნობია, შამილს გამოქცევია და თბილისში ჩამოსულა. აქ, მაშინ, მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი ყოფილა, რომლის ამალის წევრს, პოლკოვნიკ ივანიცკის, მოსწონებია და უშვილებია ინგილო ყმაწვილი, მასვე მოუნათლავს და საკუთარი გვარი მიუცია მისთვის. ასე დადებია სათავე ინგილო-ივანიცკების გვარს. რაფიელის მამა, ალექსანდრე ივანიცკი სოფელ კახში ცხოვრობდა, რაფიელიც იქ დაიბადა. ყმაწვილი თავდაპირველად

თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ – თბილისის გიმნაზიაში. უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო, იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, თბილისში დაბრუნდა და ოჯახი შექმნა, ცოლად ბარბარე ილიას ასული ხარაშვილი შეირთო, რომელთანაც ოთხი შვილი შეეძინა: ლეონიდე, დიმიტრი, ირაკლი და რუსუდან ივანიცკები.

1917 წელს რაფიელ ინგილო-ივანიცკი შევიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, გახდა გაზეთ „საქართველოს" აქტიური თანამშრომელი და თითქმის ერთი წლის განმავლობაში, ფაქტიური რედაქტორიც.

რაფიელ ინგილო არჩეული იყო საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წევრად და მდივნად. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. არჩეული იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად, როგორც საინგილოს დეპუტატი; 1921 წელს გერმანიაში, ბერლინში გაემგზავრა, საიდანაც ჯერ ვენაში გადავიდა, შემდეგ რომში, როგორც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს მიერ მივლინებული რომის პაპის უწმინდეს კარზე.

1940 წელს რაფიელ ინგილო-ივანიცკიმ რომში, იტალიურ ენაზე გამოსცა წიგნი საქართველოსა და რუსთაველის შესახებ, სადაც შევიდა „ვეფხისტყაოსნის" შემოკლებული თარგმანიც. წიგნი გააფორმა რომის ოპერის თეატრის ქართველმა მხატვარმა-დეკორატორმა – გიორგი აბაშიძემ. ესაა სათანადო მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომი, რისთვისაც ავტორს გამოყენებული აქვს ცნობილ ქართველ მეცნიერთა როგორც საისტორიო, ისე რუსთველოლოგიური შრომები და „ვეფხისტყაოსნის" თარგმანები. წიგნი შემკულია რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის, წმინდა ნინოს, გიორგი მთაწმინდელის, წმინდა ქეთევანის, მარიამ დედოფლის, კათალიკოსების – ანტონ II-ის, კირიონის, კალისტრატეს პორტრეტებით, მცხეთის, თბილისის, ანანურის, ალავერდის

და გელათის ხედებით, ბაგრატიონთა სამეფო ღერბით.

1943 წელს რაფიელ ინგილო რომიდან პარიზში გადავიდა და ეკურთხა მღვდლად. აქედან გადასახლდა მადრიდში, სადაც მადრიდის წმ. ანდრია მოციქულის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარი გახდა. წირავდა და გალობდა ქართულ, ბერძნულ, რუსულ ენებზე; გარდა სასულიერო მოღვაწეობისა, აქტიურად თანამშრომლობდა ესპანურ რადიოსა და მიუნხენის რადიო „თავისუფლების" რედაქციაში.

სიცოცხლის ბოლოს, ავადმყოფობის გამო, პარიზს ისურვა გადასვლა, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

დასაფლავებულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

რაფიელ ინგილოს პუბლიცისტური მემკვიდრეობა არცთუ მცირეა. სხვა ეროვნულ-დემოკრატიულ მოღვაწეებთან ერთად, მან შექმნა სნორი საზოგადოებრივი აზრი ქართული სახელმწიფოებრიობის, მისი პოლიტიკური ორიენტაციის, ქართველი ერის სულიერი ცხოვრების თავისებურებისა და მისი განვითარების გზების შესახებ. ის კარგად ხედავდა რუსეთის იმპერიულ დამოკიდებულებას საქართველოსადმი, აკრიტიკებდა მას, ამხელდა მის ყველა ბოროტ გამოვლინებას, საზოგადოებას ევროპასთან ურთიერთობისაკენ მოუწოდებდა და მხოლოდ ეს გზა მიაჩნდა რუსეთისგან თავდახსნის საშუალებად.

რაფიელ ინგილოს წერილში – „ძველი და ახალი" – საუბარია ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებაზე, სიახალეების ძიებაზე, რაც შესაძლებლობას მისცემდა ერს გასულიყო წინსვლისა და შენების გზაზე.

პუბლიცისტი იხსენებდა უახლოეს წარსულს, როდესაც კოსმოპოლიტური აზროვნებით შეპყრობილი ქართველები ადვილად ელეოდნენ თავიანთ ეროვნულ ინტერესებს, მზად იყვნენ, დაემალათ კიდეც თავიანთი წარმომავლობა, თუ ეს საჭირო იქნებოდა. I-მა მსოფლიო ომმა, – პუბლიცისტის აზრით, – ქართველებსაც დაანახა კოსმოპოლიტიზმის პათოლოგიური მხარე და აჩვენა, თუ როგორ ღვრიდნენ თავი-

ანთი სამშობლოსთვის სისხლს პოლონელები, სერბიელები, ბელგიელები და სხვა პატარა ქვეყნის ხალხები. „საბედნიეროდ, – წერდა რაფიელ ინგილო, – დღეს ქართველობა დიდი კვლევა-ძიების შემდეგ დაადგა უტყუარ გზას, რომ ნათლად შეიგნო ეროვნული თავდაცვის საჭიროება. მისთვის საქართველო არ წარმოადგენს მხოლოდ კულტურულ-ისტორიულ კატეგორიას, მან უკვე ფსიქოლოგიურად განიცადა სამშობლოს სიყვარული. ცნობას სამშობლოს შესახებ იგი უერთებს განუსაზღვრელ გრძნობას, ხარობს მისი სიხარულით და უებროდ იტანჯება მისი ტანჯვით. ეს ფაქტია ცხადზე უცხადესი და სწორედ ეს არის თავდები ჩვენი უკეთესი მომავლისა“.

პუბლიცისტს საჭიროდ მიაჩნდა თავდადებული მუშაობა, მზადება მომავლისათვის, დამოუკიდებლობის მისაღებად მზადებას იგი ბიბლიური ქალწულების მდგომარეობას – „საპატარძლოს მომზადებას ნეფისათვის“ უწოდებდა და ამის ხელისშემშლელ მიზეზებსაც არ გამორიცხავდა. პირველ რიგში რაფიელ ინგილოს ეშინოდა ინტელიგენციის იმ ნაწილისა, რომელსაც არ შეეძლო თავისუფლად ლაპარაკი საკუთარ ხალხთან, ამას ის, როგორც გადატანით, ასევე პირდაპირი მნიშვნელობითაც მიუთითებდა. საქმე ის იყო, რომ ინტელიგენციის დიდ ნაწილს განათლება რუსულად ჰქონდა მიღებული და არ შეეძლო ქართულად მეტყველება. რაფიელ ინგილო ახასიათებდა პეტერბურგის, მოსკოვის და სხვა რუსული საუნივერსიტეტო ქალაქების ქართველ სტუდენტთა სათვისტომოებს, ამბობდა, რომ ორი ნიშანი იყო მიუღებელი მათი ცხოვრებისა. 1. ეროვნულობაზე უარის თქმა; 2. ენის დავიწყება, ქართული ენის ცუდად ცოდნა. მიზეზიო, ამბობდა პუბლიცისტი, ისიცაა, აქამდე ამ სათვისტომოებში რუსულად მსჯელობდნენ, ამიერიდან კი ქართულად საუბრობენო. „სალამი და ღრმა მადლობა იმათ, ვინც ბოლომდის ებრძოდა გადამგვარებლებს და ქართული სული შთაჰბერა ეროვნულ წრეებს“! – აღფრთოვანებას ვერ მალავდა პუბლიცისტი. იგი აღწერდა პეტერბურგის ქართული სათვისტომოს

ცხოვრებას, იმ სტუდენტებს, რომლებიც „წმინდა ტაძრად“ თვლიდნენ იმ შენობას, სადაც ეს დაწესებულება იყო. „ეს ხომ წმინდა ტაძარია, სადაც ლაპარაკი, ფიქრი და ოცნებაც კი ეკუთვნის სამშობლოს, ეს ხომ ის ადგილია, საიდანაც უჩინარი ძაფია გაბმული კავკასიის ქედისაკენ და ეს ძაფი ჩრდილოეთში დახუთულებს სითბოს და სიცოცხლეს გვაწვდის“, – იხსენებდა იქაური მეგობარი ქართველი სტუდენტის ნათქვამს და წერილის ბოლოს, იმედიანი აღფრთოვანებით წერდა: „კბილთა ღრეჭა მოუვათ, ვინც გვამათ გვთვლიდა და არ სჯეროდა მგოსნის წინასწარმეტყველება: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“... [1]

რაფიელ ინგილოს თავისუფლების მომტან აქტად მიაჩნდა თებერვლის რევოლუცია და მეფის ტახტიდან ჩამოგდება. მისი აზრით, ჩაგრული ერები ამიერიდან თამამად ჩაებმებოდნენ „მოწინავე კაცობრიობის ფერხულში“, ის გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე აანალიზებდა ვითარებას და სახავდა რუსეთის მომავალი განვითარების შესაძლო გზებს.

პუბლიცისტი ყველაფერს იმ დამფუძნებელი კრების მუშაობას უკავშირებდა, რომელსაც ახალი კანონმდებლობა უნდა წარმოედგინა, რაც ახალი ქვეყნის სამართლებრივ საფუძვლებს შეჰქმნიდა.

რაფიელ ინგილოს რუსეთის სრული აღორძინებისა და ბედნიერებისათვის მისი პერიფერიების აღორძინება მიაჩნდა საჭიროდ, სხეულის სწორად მუშაობა და მასში სისხლის მიმოქცევა მაშინ იქნება სრულყოფილი, თუ კიდურებიც კარგად განვითარდებიანო, – ირწმუნებოდა იგი და ქართველი ხალხის ინტერესების განხორციელებას, სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭებას ითხოვდა. „თავისუფალმა რუსეთმა უნდა მოგვანიჭოს ის, რაც მონურმა რუსეთმა ძალმომრეობით გამოგვტაცა ხელიდან!“ – დაბეჯითებით ამბობდა პუბლიცისტი [2].

მისი აზრით, თებერვლის რევოლუცია მსოფლიო ისტორიის გამორჩეულ მომენტს წარმოადგენდა. იგი კანონიერი



რაფიელ ინგილოს მიერ იტალიურ ენაზე გამოცემული წიგნი საქართველოსა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. რომი, 1941.

შედეგი იყო რუსეთში შექმნილი ვითარებისა, რადგან რევოლუცია უდიდესი კოლიზიების დროს ხდება, როდესაც სახელმწიფოს მმართველობა და ხალხის გულისთქმა-მისწრაფებებს შორის წინააღმდეგობა უკიდურესად მძაფრდება.

ის, ქართველი ხალხის სახელით, ულოცავდა რუს ხალხს გამარჯვებას, ძველი წყობილების დამხობას, რომელიც ვეღარ ეგუებოდა რუსი ხალხის მოთხოვნებს, არც საქართველოს მძიმე მდგომარეობას ივიწყებდა პუბლიცისტი და წერდა: „ძველი რეჟიმის გამგეობა ყველაზე მძიმედ ჩვენ გვაწვებოდა ზურგზე. საკუთარის ნებით შეერთებული სახელმწიფო, სიმდიდრით და დიდებული ბუნებით აღსავსე, თვალთმაქცმა დესპოტიამ უბრალო პროვინციად გახადა. იმპერიალიზმით გატაცებულმა, მან მოუსპო ქართველობას თავისი კულტურა და სახელოვანი ერის ასსიმილაცია განიზრახა. ყოველივე გამოჩენა ერისა, თვით არსი კულტურისა თავიდანვე იხშობოდა. ერის ბედი ხელთ ეკავათ გარყვნილ მაბეზღართ. მოგვიკლეს ენა, ზნე, ჩვეულება, განიტაცეს ერის სიმდიდრე, განდევნეს მამულისათვის თავდადებულნი!

ზიზღი და კრულვა ერის დამჩაგვრელებს!"

რაფიელ ინგილო ულოცავდა გამარჯვებას რუსეთს და განახლებულ ქვეყანაში თავისუფლებისათვის მებრძოლი ერების ღირსების დაცვას ურჩევდა, ურჩევდა იმათი მომავლის უზრუნველყოფას, „ვისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია იყო ისტორია თავისუფლებისათვის სახელოვანი ბრძოლისა".

„შეწყვეტილი ისტორია უნდა განახლდეს და ერი ზეიმით მიეგებოს მას!

უნდა შესწორდეს ისტორიის წინაშე ჩადენილი უსამართლობა!" – ასეთი იყო რაფიელ ინგილოს მიერ ქართველი ხალხის სახელით გამოხატული სურვილი [3].

როდესაც ამიერკავკასიის ხელისუფლება შეიქმნა და სოციალ-დემოკრატები გახდნენ ამ ხელისუფლების მესვეურნი, მათ დაიწყეს პარტიული ნიშნით პოლიტიკოსთა დანიშვნა თანამდებობებზე, რისთვისაც დაიმსახურეს კრიტიკა ეროვნული პარტიების წარმომადგენლებისა. კამათში სხვებთან ერთად რაფიელ ინგილოც ჩაერია. ისიც „ეროვნული იდეისადმი" შეურიგებლებს უწოდებდა სოციალ-დემოკრატებს და, თუმცა არ ახსენებდა ნოე ჟორდანიას, როგორც იმავე „საქართველოში" ეკატერინე გაბაშვილი და მისი ვაჟი, „რაეს" ფსევდონიმიანი წერილის ავტორი რევაზ გაბაშვილი, კრიტიკაში მაინც ჩანდა ნოე ჟორდანია [4].

ალექსანდრე ასათიანის მსგავსად, ეროვნულ-დემოკრატი რაფიელ ინგილოც „ქაღალდის ნაფლეთს" უწოდებდა 1783 წლის ტრაქტატს. მას ისტორიულ დანაშაულად თვლიდა, ადარებდა ძველი ჰუნების ავაზაკურ თარეშს, მურვანყრუს, შაჰ-აბასის შემოსევებს და ქართველი ხალხის აწიოკებას. შეიძლება ამ მოვლენებმაო, – წერდა რაფიელ ინგილო, – პირველობაც კი დაუთმონ იმ მუხანათობას, რუსეთის შავბნელმა მთავრობამ რომ ჩაიდინა საუკუნის მანძილზე საქართველოს მიმართო.

„თვითმპყრობელმა რუსეთმა, – წერდა რაფიელ ინგილო, – ასი წლის განმავლობაში წინასწარ დასახული მეთოდით

ჰგლიჯა საქართველოს სხეული“. პუბლიცისტი ახსენებდა მკითხველს საზარელ წარსულს, ამირანის დაფლეთილ მკერდს და ბაზალეთის ტბის ძირში მდებარე აკვანში შებოჭილ ყრმას ადარებდა საქართველოს და მის ბრწყინვალე მომავალზე საუბრობდა. ის ულოცავდა გაზეთის მკითხველს 12 მარტს მცხეთის დიდ ტაძარში მომხდარ მოვლენას, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას. უკავშირებდა ამ აქტს ერეკლეს საფლავთან გამოცხადებულ თავისუფლების იდეას, წარსულში იმავე მეფის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, 1783 წლის ტრაქტატს, რომელიც „ქაღალდის ნაფლეთად“ იქცა. მაგრამ დღეს ეს ნაფლეთიც მთელდებაო ამ აქტით, – ამტკიცებდა პუბლიცისტი [5].

ერის ცხოვრების სამართლებრივ ნორმებში მოქცევაზე საუბრობდა რაფიელ ინგილო წერილში – „უნდა აღსდგეს“. იურიდიული ნორმების საჭიროება, – მისი აზრით, მთელ ხალხს უნდა ესმოდეს, საერთო მშვიდობიანი ცხოვრება უამისოდ შეუძლებელია. ამის გარეშე ქვეყანაში ანარქია, უწესრიგობა გამეფდება. რუსეთის ძველ ხელისუფლებას პუბლიცისტი, პირველ რიგში, კანონების უგულვებელყოფაში სდებდა ბრალს. „თვითმპყრობელ რუსეთს არ უყვარდა უფლება, – წერდა იგი, – ამ ცნებაში იგი ხედავდა თავის უსაზღვრო თარეშობის შემბოჭავ ძალას. ტირანული სახელმწიფოსთვის უფლება დეკორაცია იყო, საზღვარგარეთ საჩვენებელი ხერხი... თვითმპყრობელობის ერთგულნი დარაჯნი მხოლოდ იმასა სცდილობდნენ, რომ გაემაგრებინათ მეფის შერყეული ტახტი, არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას, რომ დაუნდობლად და მრისხანედ დაეხშოთ აქა-იქ ყრუდ ამოძახილი პროტესტის ხმა. მათის მეოხებით უდიდესი იმპერია სრულიად ჩამოშორდა მოწინავე სახელმწიფოებს, მათ შუა აღიმართა გარდუვალი ზღუდე. მეფის ერთგულნი მსახურნი ბეჯითად ლესავდნენ ამ ზღუდეს, რომ ნათელ მზეს არ შემოეშუქებინა შიგ“...

ასეთი ქვეყანა ვერ უპატრონებდა და ვერ დაიცავდა სხვა ერის სუვერენიტეტს, რუსეთმა ვერ დაიცვა საქართველო,

მის მიერ დადებული 1783 წლის ხელშეკრულება, უმუხთლა და უღალატა მას.

რაფიელ ინგილო სწორად აფასებდა რუსეთის მონარქიული იმპერიის შოვინიზმს, დამპყრობლურ სულს, მაგრამ არასწორად და შეცდომით ამყარებდა იმედებს „დემოკრატიულ" რუსეთზე, ახალ ხელისუფლებაზე, ამაოდ სწამდა, რომ ეს ხელისუფლება გაიმეტებდა საქართველოსთვის თავისუფლებას. არ იცოდა, რომ რუსეთი, ყველანაირი, მონარქიული თუ ბოლშევიკური, დემოკრატიული თუ ტოტალიტარული – ვერ დაეხსნებოდა კავკასიის დაპყრობა-დამორჩილების იდეას. ამ წერილშიც ამაზეა საუბარი. ნათქვამია, რომ რუსეთი ძველ ცოდვებს გამოისყიდდა საქართველოს საკითხისადმი სწორი მიდგომით [6].

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალური გაფორმება და მისი პროგრამის გამოქვეყნება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ერის ცხოვრებაში, რასაც აღტაცებით ელოდა პუბლიცისტი თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ და თავის თვალსაზრისს 1917 წლის 28 მარტის „საქართველოში" გადმოსცემდა [7]. ამ მოვლენასთან დაკავშირებით რაფიელ ინგილომ გაზეთ „საქართველოს" მომდევნო ნომერშიც გამოაქვეყნა წერილი-მიმართვა – „სრულიად საქართველოს ერს", სადაც ერთგვარად აუხსნა მკითხველს, ქართველ ერს ამ ისტორიული აქტის მნიშვნელობა. პუბლიცისტი საუბრობდა ერის გამთლიანებაზე, პარტიული ნიშნით დაპირისპირების მოსპობაზე, ასევე სოციალური დიფერენციაციის მიუღებლობაზე იმ დროს, როდესაც ერის საზოგადოებრივი ინტერესები იხილებოდა.

რაფიელ ინგილოს ამ წერილშიც არის დასმული ლოზუნგი: „თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში!"

აი, რას წერდა პუბლიცისტი ერის გაერთიანებაზე: „დიდებულ ჟამს უნდა აღვივსეთ ამგვარი აზრებით: მტრობა-მეტოქეობა, პარტიული განხეთქილება და ყველა ის, რაც ცხოვრების სიდუხჭირით არის გამოწვეული, უნდა ჩანელ-

დეს, როდესაც წყდება მთელი საქართველოს საკითხი. ჩვენს ხელთ არის ჩვენი ბედი“ [8].

ჩვენი პროგრამის ქვაკუთხედი, – საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა მხოლოდ ერის გამთლიანებით, საკუთარი ძალისხმევითა და ბრძოლით იქნება შესაძლებელიო, – დაბეჯითებით ამტკიცებდა ინგილო.

რაფიელ ინგილო მიესალმებოდა რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას, რაც ქართულმა ეკლესიამ 12 მარტს გამოაცხადა, და წერდა, რომ ეს ბუნებრივი იყო, რადგან ეს ეკლესია რუსეთზე ძველი იყო. მას სწამდა, რომ იგივე კომიტეტი განახორციელებდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უფლებამოსილების განსაზღვრას [9].

1917 წლის აღდგომა განსაკუთრებულად საზეიმო გახდა ქართველი ხალხისათვის, ქართული ეკლესიისათვის. ეს ეროვნულმა პრესამ, ქართველმა ინტელიგენციამ გამოხატა სააღდგომოდ დაწერილ პუბლიკაციებში. მათ შორის იყო რაფიელ ინგილოც.

„ჩვენს მტრებს არ გაუმართლდა იმედი, – წერდა იგი, – საქართველო აღსდგა, შემოიკრიბა თავისი ერთგულნი და გაორკეცებულის ძალით შეუდგა სახელმწიფოს აშენებას“.

მისი აზრით, საჭირო იყო მსოფლიო ზღვის ტალღებში შეუმცდარად და უვნებლად გატარებულიყო სამშობლოს გემი. მძიმედ ნაცხოვრები, ისტორიის მღელვარე ტალღებს შეჭიდებული და გამოღწეული ერი, პუბლიცისტის რწმენით, – ამას გააკეთებდა [10].

რაფიელ ინგილოს განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევდა თბილისური მიტინგები და იქ გამოთქმული ზოგიერთი თვალსაზრისი, რაც ქართველი ერის ავტონომიის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1918 წლის აპრილში ასეთი რამდენიმე მიტინგი გამართულა და „ჰაერი მოუშხამავს“, — როგორც პუბლიცისტი წერდა.

დღეს მხოლოდ მტერი თუ ახსენებს აუგად საქართველოს ტერიტორიული თვითმმართველობის იდეას, მაგრამ

ეს ყველაფერი სწორედ მტრების მოწყობილია, მათი ნამუშევარია, ისინი ყოველთვის აკეთებდნენ ამას, როდესაც საქართველოს მძიმე დღეები ჰქონდა წარსულშიო, – წერდა რაფიელ ინგილო.

პუბლიცისტის აღშფოთება გამოუწვევია იმ ორატორებს, რომლებსაც ავტონომიის იდეა რუსეთის რევოლუციის შემასუსტებლად, თვითმპყრობელობის მომხრეთა წისქვილზე წყლის დასხმად მიუჩნევიათ. ამით ასეთ ორატორებს სურდათ ძირშივე ჩაეხშოთ ქართული დამოუკიდებლობის იდეა, ისინი კი, ძირითადად, საქართველოში მცხოვრები არაქართველნი იყვნენ. მათ ეშინოდათ ქართველი ხალხის თავისუფლების, ამტკიცებდნენ, ასეთ შემთხვევაში ქართველები ბატონყმობას აღადგენენ და საქართველოდან გაგვყრიანო, რის უგულვებელყოფასაც ცდილობდა რაფიელ ინგილო თავის პუბლიკაციაში – „ბრძოლის პროცესში" [11].

„დღეს პრაქტიკული მოქმედების დროა, – წერდა რაფიელ ინგილო, – ეს არ უნდა ავიწყდებოდეს ქართველობას, მას უნდა ახსოვდეს, რომ ავტონომიის მოპოვებაში იგი იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ირგვლივ მყოფი ხალხის განწყობილებას. ხალხს კი – მის უმრავლესობას მეტ-ნაკლებად ესმის ავტონომიის შინაარსი და ხშირად ორ ცნებას – ავტონომიას და სეპარაციას ერთმანეთში ურევს".

ხელმძღვანელთა ვალია, ხალხს ჭეშმარიტება აუწყონ, ზემოთ მოყვანილი ბრალდება ცილისწამებაა, ავტონომია სრულებით არ ეწინააღმდეგება რუსეთის რევოლუციას და არ არღვევს რუსეთის მთლიანობას, რომ ერი, რომელსაც სურს მომავალი, ხელს უწყობს დემოკრატიული სახელმწიფოს წინსვლას, მკაცრი ცენტრალიზაცია დესპოტური სახელმწიფოს ცხოვრების წესია, ავტონომია კი ქვეყნის დემოკრატიზაციაზე მეტყველებსო.

განსაკუთრებულ აქტიურობას რაფიელ ინგილო იჩენდა დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, მისი წერილები ყოველთვის იცავდა არა პარტიულ, არამედ ქვეყნის ინტერესებს. ის დაუძინებელი ოპოზიციონერი იყო მთავრობისა და

მმართველი პარტიის იდეოლოგიისა, ჰქონდა სწორი შეხედულება საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, მეურნეობაზე, კულტურის და განათლების საკითხებზე.

რაფიელ ინგილო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს პირველ პოლიტიკურ ნაბიჯებს მიესალმებოდა. მისი აღფრთოვანება გამოიწვია ქართული დელეგაციის წარმატებულმა ვიზიტმა გერმანიაში. როგორც ვიცით, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, საქართველოს დელეგაცია გერმანიაში გაემგზავრა და დადო მასთან ეკონომიკური ხელშეკრულება. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპატიო თავმჯდომარე ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც საქართველოს პარლამენტში, დახურულ სხდომაზე, მოახსენა ქართველ დეპუტატებს გერმანიაში ვიზიტის შედეგები, აღნიშნა, რომ ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ გერმანიის მთავრობასთან და მეორე მხრივ გერმანიის ბანკების კონსორციუმთან. ეს იყო ფინანსურად შეღავათიანი ხელშეკრულება, რასაც რაფიელ ინგილო მიესალმებოდა და მიაწერდა საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს პოლიტიკურ გამარჯვებას. „ეს იმის მაჩვენებელია, – წერდა იგი, – რომ გერმანიაში დაჯერებულნი არიან ჩვენი სუვერენობისა და სახელმწიფოებრიობის სიმტკიცეში და შეურყევლობაში, დარწმუნებულნი არიან, მაშასადამე, გერმანიის მმართველ და საფინანსო-საბანკო წრეებში იმაშიც, რომ ქართველ ხალხს ძალუძს გადალახოს უდიდესი დაბრკოლებანი, მრავალმხრივ რომ ეღობება მის აღმშენებლობით მუშაობას და მყუდრო ნავსაყუდრამდე მიიყვანოს უძველესი ივერიის აღდგენილი სახელმწიფოებრიობა [12].

1918 წლის 17 ოქტომბერს ნიკო ნიკოლაძის გამოსვლა საქართველოს პარლამენტში რაფიელ ინგილოს მიაჩნდა ქართული დიპლომატიის „სიდარბაისლედ“, მის დიდ წარმატებად. ის განსაკუთრებით ამ მხცოვან მოღვაწეს, მის ნიჭსა და დიპლომატიურობას უსვამდა ხაზს და წერდა, რომ

დელეგაციის მუშაობის ესოდენ დიდი შედეგიანობა სწორედ მისი პიროვნული ღვაწლი იყო.

რაფიელ ინგილო ხატავდა იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ სურათს, რაც ამ დროის საქართველოში იყო, მიაჩნდა, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, სახელმწიფოს შენარჩუნება მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, თუ ქვეყანა სწორი ეკონომიკური გზით წავიდოდა. ქვეყანაში პროდუქცია არ მზადდებოდა, ყველაფრის შემოტანა კი, ადრე თუ გვიან, კატასტროფით დამთავრდებოდა.

„თუ გერმანიის უდიდესი ბანკების თავდებობით გამოცემული ჩვენი ფული ძველებურად ქარს გავატანეთ, – ირწმუნებოდა პუბლიცისტი, – ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო მხოლოდ საოცნებო საგნად გადაგვექცევა. ქართული სახელმწიფო საკრედიტო ნიშნები, გარდა იმისა, რომ დაზოგვითა და, თუ გნებავთ, სიძუნწით უნდა იხარჯებოდეს, მისი მოხმარებაც უნდა მომგები იყოს თავიდანვე: ამ ფულით სახელმწიფო ვალდებულია მოაწყოს ქარხნები და ფაბრიკები, გამოასწოროს უკიდურესობამდე დაქვეითებული და დავაგლახებული სატრანსპორტო საშუალებანი და საზოგადოდ ყველა ის, რაც ეკონომიურად ასწევს მონობისაგან თავდაღწეულ რესპუბლიკას“ [13].

დელეგაციის ხუთთვიანი მუშაობით კმაყოფილი რაფიელ ინგილო ქართველ ხალხს მოუწოდებდა, ყველაფერი გაეკეთებინა, რათა განათლებული კაცობრიობისათვის დაემტკიცებინა მისი ღირსება, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების უნარი.

წერილში – „ახალი საფრთხე“, რაფიელ ინგილო ლაპარაკობდა იმ გარეშე ძალებზე, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, მათ შორის გამოჰყოფდა რუსეთს. ამ საფრთხის ასაცილებლად, პუბლიცისტი საჭიროდ თვლიდა „მტკიცე და ურყევ ადმინისტრაციული აპარატის მოწყობას და რკინის დისციპლინით შედუღებულს პატრიოტულსა და მამაც მუდმივი ჯარის შექმნას“. პუბლიცისტს აფიქრებდა საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე მომხდარი

ანტიქართული გამოსვლები. ის არ ასახელებდა თურქეთს, მაგრამ მიანიშნებდა მის უსაფუძვლო პრეტენზიებზე და ემუქრებოდა კიდეც. პუბლიცისტის ამდროინდელი განწყობილება კარგად გამოხატავს ქართველი ხალხის იმ იმედს, რასაც იგი გერმანიაზე ამყარებდა, რითაც, დამოუკიდებლობის პირველ თვეებში ასე თამამი და გაბედული იყო. გერმანია ჰპირდებოდა საქართველოს მოკავშირე თურქეთის აგრესიისაგან ხსნას, საქართველოსაც სწამდა ამ დაპირების. „საქართველოს სახელმწიფო გამონახავს უებარ საშუალებას ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთოს სამხრეთ მეზობლის ახირებული პრეტენზიები და მიაკუთვნოს მას ის საზღვარი, რისი გადმოლახვა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს ამ ხალხის სახელმწიფოს მომავლისათვის“, [14] – წერდა ინგილო.

რაფიელ ინგილოს პუბლიცისტიკა გაზეთ „საქართველოში“ ყოველთვის გამორჩეული იყო მძაფრი პოლემიკური ხასიათითა და იმდროისათვის აქტუალური პრობლემების წინ წამოწევით. 1918 წლის შემოდგომაზე, სომხეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობის დაძაბვასა და სომხეთის ტერიტორიულ პრეტენზიებს პუბლიცისტი ჩვეულებრივად, მაშინვე გამოეხმაურა და მდგომარეობა ობიექტურად შეაფასა. მისი აზრით, ქვეყანას უპირველეს საკითხად ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, საკუთარი საზღვრების გამაგრება უნდა მიეჩნია. ქვეყნის სახელმწიფოებრივი სიმტკიცე, სუვერენიტეტის დაცვა უამისოდ ვერ მოხერხდება. სხვა სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა, მისი აზრით, ადვილად მოსაგვარებელი იყო, ტერიტორიული დანაკარგისა კი, თითქმის შეუძლებელი. „სახელმწიფო ტერიტორიის დაკარგვა ისეთი დანაკლისია, – წერდა რაფიელ ინგილო, – რომლის ანაზღაურება მხოლოდ იშვიათ საერთაშორისო და პოლიტიკურ კომბინაციებს თუ შეუძლია“. ამ პოლიტიკური გამონათქვამის სისწორეს დღევანდელი საქართველოს მაგალითიც საუკეთესოდ პასუხობს. აფხაზეთისა და შიდა ქართლის სეპარატისტულ რეჟიმებთან ბრძოლა და

მათ მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დაბრუნება ხომ ურთულესი გახდა ჩვენი სახელმწიფოსთვის მაშინაც კი, როდესაც მის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, ხოლო დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება სარგებლობს ევროსტრუქტურებისა და გაეროს სრული მხარდაჭერით. ამიტომ გვეჩვენება ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა, კერძოდ კი, რაფიელ ინგილოს შეხედულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ ჯანსაღ და სწორ აზროვნებად.

პუბლიცისტი მთავრობისაგან საზღვრების მოხაზვას ითხოვდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის ზაქათალას, საინგილოს აკუთვნებდა ბამბაკ-ლორესთან ერთად. მიიჩნევდა, რომ ზაქათალის საკითხში შესცოდა ამიერკავკასიის მთავრობამ, როდესაც ამ ტერიტორიის ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულად დაკანონება ნაადრევად ჩათვალა. მთავრობას ის სთხოვდა ამ საკითხის გადასინჯვას და წერდა: „ბამბაკისა და ლორისის საკითხმა აამოძრავა ქართველი საზოგადოება და აგრძნობინა თბილისისა და მთელი აღმოსავლეთ საქართველოსადმი მიმართული საფრთხე. მაგრამ ქართველობამ უნდა საბოლოოდ შეიგნოს, რომ შეუდარებლად დიდი საფრთხე ჩვენ მოგველის იმ შემთხვევაში, თუ ზაქათალის გასაღები სხვის ხელში იქნება“ [15]. მისი აზრით, აზერბაიჯანი უფრო რეალურ პოლიტიკას ანხორციელებდა, რომელმაც საქართველოს ეს უძველესი კუთხე მიითვისა და „ჩვენი უმოქმედობით წაქეზებულმა“ ბოლოს ალაზნის გამოღმა ნაწილებზედაც დაიწყო დავა.

რაფიელ ინგილოს სწამდა, რომ „აღმოსავლეთ საქართველოში გამაგრება და დამკვიდრება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ხელთ გვიპყრია ისეთი პუნქტები, როგორიც არის სამხრეთით ბამბაკ-ლორისი, ხოლო ჩრდილოაღმოსავლეთით ზაქათალის ოლქი ნუხის მაზრის ადმინისტრაციულ მიჯნამდე“.

რაფიელ ინგილო არ მალავდა უკმაყოფილებას არც იმ ფაქტის გამო, რასაც საქართველოს ხელისუფლება იჩენდა

სომხეთის მიმართ – პუბლიცისტს მიაჩნდა, რომ უაზრო „დემოკრატია“, ლეთარგიულ ძილში ჩაძირვა, ვერას არგებდა ქვეყანას, როდესაც სომხეთის სახელმწიფო ასეთ ავანტიურაზე მოდიოდა. საზოგადოება აფხიზლებდა ხელისუფლებას, მაგრამ მან არ დაიჯერა, ხოლერით, ათასგვარი გადამდები სენით დაავადებული ლტოლვილებით აავსო ქვეყანა, დიდი ზიანი მიაყენა ისედაც დამშეულ და შეწუხებულ ქართველ ხალხს. ეს მაშინ, როცა ლტოლვილების სამშობლო ქვეყანა ასეთ დაუნდობელ პოლიტიკას ირჩევდა, შეთქმულების ბუდედ აქცევდა თბილისს, აფეთქებდა და ცეცხლს ანთქმევინებდა მდიდარ საწყობებს. „ვფიქრობთ, რომ რაიმე საზღვარი უნდა ჰქონდეს ლმობიერებასა და სათნოებას! ასე რომ ვიაროთ, მალე ქარს გავატანთ ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!“...

პუბლიცისტი ითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას სომხების წინააღმდეგ, არ გამორიცხავდა შეიარაღებულ დაპირისპირებას საკუთარი ინტერესების დასაცავად [16].

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თემა იყო რაფიელ ინგილოს წერილის – „კონფერენცია და ტერიტორიის საკითხი“ დედააზრი. 1918 წლის 10 იანვარს, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, მოწვეული იქნა კავკასიის ხალხთა და სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელსაც უნდა განეხილა საზღვრებისა და სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის სხვა საკითხები. რაფიელ ინგილო მიესალმებოდა ამგვარ კონფერენციას, მაგრამ წინასწარ შექმნილ იდეურ ფონს მეზობელი ქვეყნების პრესის მიერ – ჰგმობდა. განსაკუთრებით არ იწონებდა თბილისში გამომავალი სომხური პრესის ტონს. დაშნაკელთა მთავარი ორგანო „აშხატავორი“ ამ კონფერენციის მოწყობის ინიციატივას საქართველოს მთავრობისაგან გმობდა, შიშობდა, რომ ქართული მხარე თავის ინტერესებს უკარნახებდა და მიაღებინებდა კიდეც სხვა მონაწილეებს. ინგილოს უფრო ზომიერად ეჩვენებოდა აზერბაიჯანული

პრესის დამოკიდებულება. კერძოდ, გაზეთი „ადერბეიჯანი", რომელიც აცხადებდა მშვიდობიანი გზით კონფლიქტების გადაწყვეტისთვის მზადყოფნას, მიესალმებოდა კონფერენციას და მისი მოწვევის ინიციატორ ქართულ მხარეს. თუმცა სომხეთთან ერთად, ინგილო არც აზერბაიჯანის დამპყრობლურ ინტერესებს მალავდა საქართველოსადმი, მაგრამ ამას უფრო ასატანად თვლიდა, მიიჩნევდა, რომ მოლაპარაკებები ეფექტური შეიძლებოდა ყოფილიყო ზაქათალის თემაზე. ინგილო ასაბუთებდა ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტას პოლიტიკური, სტრატეგიული, ეკონომიკური და ისტორიული თვალსაზრისით და წერდა: „ქართველი ხალხის შეურყეველი რწმენით, მთლიანი და ნამდვილ სახელმწიფოებრივად მოწყობილი საქართველო იარსებებს იმ შემთხვევაში მხოლოდ, როდესაც დაცული იქნება მისი სასიცოცხლო ინტერესები, უწინარეს ყოვლისა, ტერიტორიულად. ეს მცნება არ უარყოფს ერთა თვითგამორკვევის აღიარებას, პირიქით. იგი მას ანმტკიცებს და ავითარებს და ადერბაიჯანის ხელმძღვანელებმა უნდა უწყოდენ, რომ არსად კავკასიაში ისეთი სიწმინდით და რეალურად არ იქნება ერთა უფლება დაცული, როგორც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში!"

რაფიელ ინგილოს სწამდა, რომ კონფერენციის იდეით საქართველომ ვალი მოიხადა, აჩვენა მეზობლებს, რომ ისეთი სერიოზული საკითხი, როგორიც სახელმწიფოს საზღვრებია, უნდა გადაწყდეს შეთანხმებით. „კონფერენციის ნაყოფიერება იმაზეღაა დამოკიდებული, რამდენად შესისხლხორცებული აქვთ ეს მთავარი აზრი მომიჯნავე სახელმწიფოებს და იმ რწმუნებულებს, ვინც სახელმწიფოთა სახელით ამეტყველდება ამ უდიდესი მნიშვნელობის კონფერენციაზე", – ამ რწმენით ამთავრებდა რაფიელ ინგილო თავის ერცელ წერილს [17].

კონფერენცია არ შედგა. დაშნაკური ანტიქართული გეგმები საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, სხვა დეპუტატებთან ერთად, მკაცრად იქნა რაფიელ ინგილოს მიერ მხილებული.

რაფიელ ინგილოს პუბლიცისტიკის სომხურ თემაში იგრძნობოდა მისი პოლიტიკური აზროვნების მაღალი დონე, მოვლენების შეფასების კარგი უნარი. იხილავდა რა პოლიტიკური ორიენტაციის თემას, მეზობელი სომხეთისა და რუსეთის მიერ საქართველო-გერმანიის ურთიერთობის გამოყენებას, ევროპის სახელმწიფოთა წინაშე საქართველოს „დასმენისა" და მისი პოლიტიკური დისკრედიტაციის მცდელობას, ინგილო წერდა: „საქართველოს გერმანიასთან შეკავშირებაში ბევრი ცდილობს ინგლის-საფრანგეთის საწინააღმდეგო აქტი აღმოაჩინოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ დაუზოგველი მოღალატე და პროვოკატორი მიაწერს ასეთ საზიზღრობას ქართველობას, რომლის სახელი ისტორიაში არასოდეს ყოფილა ნაბილწული".

პუბლიცისტი სწორად აფასებდა გერმანიის დამსახურებას საქართველოს წინაშე, მის მიერ ქართველი ერის ხსნას ოსმალეთის აგრესიისაგან, რასაც ამ დროს სხვა ვერავინ შეძლებდა. გერმანულმა ჯარმა, საქართველოში მისი ყოფნის დროს, განამტკიცა სახელმწიფოებრივი წესრიგი და დისციპლინა. ინგლისის შემოსვლას ასევე მშვიდად შეხვდა საქართველო. ამ შემთხვევაშიც, ინგლისის სახელმწიფო და საერთაშორისო პოლიტიკის ტრადიცია საფუძველს გვაძლევს, რომ ქართველი ერის ყველა ნაბიჯი კანონიერად შეფასდებაო. მოკავშირეთა ჯარის შემოსვლას მიესალმებოდა ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწე და მას ახალ იმედებს უკავშირებდა [20].

წერილში – „დაშნაკცუტუნის აღსარება" – რაფიელ ინგილო საუბრობდა სომხური ინტერესების წინააღმდეგობაზე ქართულ ეროვნულ ინტერესებთან, სომხების ბრძოლაზე კავკასიაში ჰეგემონობისათვის, „სომხის დემოკრატიის" ყალბ პოლიტიკაზე. მისი აზრით, სომხური გეგმები გამოაშკარავდებოდა კავკასიის ხალხთა სამშვიდობო კონფერენციაზე, მაგრამ სომხებმა წინასწარ თქვეს უარი მასში მონაწილეობაზე. ამისკენ, ინგილოს აზრით, მათ უბიძგებდათ ინგლის-საფრანგეთის გამარჯვება და იმედი, რომ ისინი დაუფასებდნენ

პრორუსულ სომხობას ანტანტის მხარდაჭერას. „ინგლისსაფრანგეთის გამარჯვებაში დაშნაკცუტიუნი ძველი პოლიტიკური წყობილების აღდგენას ჰხედავს და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსასრულის დღეებს კმაყოფილებით ითვლის“, — წერდა ინგილო. სამშვიდობო კონფერენციისადმი მათ დამოკიდებულებას მიაწერდა „ევროპისაკენ მათთვის არარსებული სარკმლის“ მოთხოვნას, ყველა მოსაზღვრე ქვეყანასთან ტერიტორიაზე დავას. „დაშნაკცუტიუნის ცენტრალური კომიტეტის ოფიციოზი, – აგრძელებდა ინგილო – საქართველოდან ლორისა და ჯავახეთის გადაცემას მოითხოვს „ჩვენი ქვეყნისათვის“, როგორც ამჟღავნებს საქართველოს დედაქალაქში გამოცემული სომხეთის პოლიტიკური გაზეთი... დღევანდელი საერთაშორისო განწყობილება დაშნაკცუტიუნის პარტიას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ სომხეთის სასარგებლოდ“. ინგილო აღწერდა ამ დამოკიდებულებას, სომხური გაზეთის გულახდილობას იმის საფუძვლად მიიჩნევდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას უფრო გამიზნულად უნდა ემოქმედა სომხური აგრესიის წინააღმდეგ [21].

როდესაც დეკემბრის დასაწყისში სომხურ-ქართული კონფლიქტი დაცხრობის ნაცვლად, გაღრმავდა, ინგილომ კვლავ სცადა პუბლიცისტური ენით გადმოეცა ამ კონფლიქტის საფუძვლები, მოეწოდებინა ხელისუფლებისათვის მის წინააღმდეგ ორგანიზებული დარაზმვა მთელი ერისა. ის წერდა, რომ ევროპის 8 დიდ ქვეყანას უკვე ნაცნობი ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ამიტომ ვერც რუსეთის იმედები, ვერც ინგლისელი გენერლის ტომსონისა, სომხობას ვერ გამოადგებაო, „დიდი სომხეთის“ შექმნას დიდი რუსეთის მფარველობით ისინი ვერ შეძლებენო. ამაოდ გაჰყვირიან სომხები საქართველოს იმპერიალისტობაზე, თითქოს ახალციხე, ახალქალაქი, ლორე-ბამბაკი წავართვით, ევროპული დემოკრატია ჩვენ არ მიგვატოვებს, ქაჩაზნუნის მთავრობას სურვილებს არ აუსრულებსო. „სამშვიდობო კონფერენციის ნაცვლად, სომხეთმა იარაღით მოიწადინა საზღვრების

საკითხის გადაჭრა. საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან სომხეთმა შეთანხმება უარყო და განმეორებით ააჟღარუნა იარაღი, პირველად მას ნახტომი ვერ მოუვიდა და შერცხვენილი უკუიქცა. ჩვენ გვჯერა, რომ ამ შემთხვევაშიც ქართველი ერის ერთსულოვანი გადაწყვეტილება ძველ გზას უჩვენებს წათამამებულ მტერს", – ასკვნიდა პუბლიცისტი რაფიელ ინგილო [22].

რაფიელ ინგილო წერდა ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის გამოძიებაზე რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოში. ის უსამართლოდ თვლიდა სასამართლოში საქმის გადადებას მესამე ბრალეული მხარის გამოჩენის გამო – ვინც არ უნდა გამოჩნდეს, დამნაშავე ქართულმა სასამართლომ უნდა დასაჯოს და არა სხვა ვინმემო, — ამტკიცებდა ინგილო. „სხვებიც არიან მონაწილენი? – კითხულობდა იგი, – სახელმწიფო ბრალდების ზედამხედველი არ დააყოვნებს მათ წინააღმდეგაც აღძრას საქმე და იგივე პირუთვნელი სასამართლო განსჯის მას.

მაგრამ შეუწყნარებელია, როდესაც სასამართლოს მსვლელობის ხელოვნურად შეჩერებას მოითხოვენ და საერთაშორისო სფეროში გადააქვთ საკითხი, რომლის გარჩევა და გადაწყვეტა სუვერენული საქართველოს უდავო უფლებას შეადგენს. საქართველოს წინაშე ჩადენილ უდიდეს დანაშაულს ჩვენი სახელმწიფო საკუთარ კანონიერ ორგანოთა შემწეობითაც გამოარკვევს [23].

სასამართლოს დამთავრების შემდეგ, გამოტანილ განაჩენსაც აკრიტიკებდა ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტი და თვლიდა, რომ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები დაისაჯნენ. ძეგვის ხიდის აფეთქების უკან სომხური და რუსული პოლიტიკა იდგა, პროცესი მიმდინარეობდა არასამართლებრივად და დამნაშავე შმაგაილოვის ვექილი – ზელენსკი სულ იმას ამტკიცებდა, თითქოს ამ ხიდის აფეთქება გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული და არა ქართველი ხალხისა. რაფიელ ინგილო ამას ტყუილს უწოდებდა, რადგან გერმანია უკვე დამარცხებული იყო და გადიოდა კავკასიიდან ისე, რომ

არაფერი მიჰქონდა. სინამდვილეში დაშნაკცუტიუნი და დიდმპყრობელი რუსეთია ამ ხიდის ამფეთქებელი და ქართველი ხალხის მტერიო, – ასკვნიდა ინგილო. შმაგაილოვისა და კოჩარიანცის სიკვდილის განაჩენს პუბლიცისტი მკაცრს, მაგრამ კანონიერს უწოდებდა [24].

რაფიელ ინგილოს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა აზერბაიჯანში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, ეს ბუნებრივიც იყო, რადგან იმ მხარის ცხოვრებაში, რომლის მკვიდრიც ის იყო, აზერბაიჯანი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა.

ინგილოს აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ნომინალურად მიაჩნდა, მისი აზრით, ამ ქვეყანას ხან რუსეთი მართავდა, ხანაც თურქეთი, დიდი იყო აზერბაიჯანით ევროპელთა დაინტერესებაც. რაფიელ ინგილო თვლიდა, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობა მოუმზადებელი შეხვდა ისტორიულ ბედს – დამოუკიდებლობის მიღებას, მან ვერ შეძლო მტკიცე ხელში ძალაუფლების აღება და ხან ერთი ქვეყნის მარიონეტად გადაიქცა, ხან მეორისა. განსაკუთრებით პუბლიცისტი გამოყოფდა თურქული ექსპანსიის პერიოდს, რამაც თურქული მოდგმის აზერბაიჯანელ ხალხში ეროვნული და პანისლამური იდეოლოგიის აღორძინება გამოიწვია, მაგრამ როდესაც თურქეთი ომში დამარცხდა, დაიშალა – როგორც იმპერია, ამან შეასუსტა თურქეთის გავლენა აზერბაიჯანზე და მისი პოლიტიკური ორიენტაცია კვლავ რუსეთისკენ გადაიხარა.

რაფიელ ინგილო თითქოს წინასწარმეტყველებდა რუსული აგრესიის გამარჯვებას აზერბაიჯანში, ამ ქვეყნის რუსეთისგან დაპყრობის აუცილებლობას. 1919 წლის დასაწყისში, როდესაც მისი წერილი იწერებოდა, ბაქოში რუსი მონარქისტები და ინგლისელები ბატონობდნენ, მაგრამ პუბლიცისტმა კარგად იცოდა და განჭვრეტდა ინგლისური დიპლომატიის ინტერესებს. თუკი ინგლისისთვის პირადი ინტერესი ძლიერი არ იქნებოდა, ის ადვილად დაუთმობდა ამ ქვეყანას რუსებს. აზერბაიჯანში მოქმედებდა ახალი, „მთლიანი რუ-

სეთის მხსნელი და აღმდგენელი" ოფიცერი ბიჩერახოვი, აქ თარეშობდნენ ანდრანიკას სომხური ბრბოები და ყარაბაღში მცხოვრებ მუსულმან მოსახლეობას მუსრს ავლებდნენ. აზერბაიჯანის განათლებულ ინტელიგენციას ძალა არ ჰყოფნიდა ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. რაფიელ ინგილო განსაკუთრებულ საშიშროებად აზერბაიჯანისა და საქართველოსთვისაც თვლიდა მინისტრთა კაბინეტის გადადგომას, რომელსაც ფათალი ხან-ხოელი ედგა სათავეში. ხან-ხოელი მას მიაჩნდა საქართველოს მოყვარე ადამიანად, განათლებულ და პატრიოტ კაცად და მის წასვლას პოლიტიკიდან აზერბაიჯანის რთულ პოლიტიკურ ვითარებას უკავშირებდა. „აზერბაიჯანის დღევანდელი მდგომარეობა, ამ სახელმწიფოს პოლიტიკური კრიზისი, – წერდა რაფიელ ინგილო, – საქარველოს წინაშეც აყენებს „მემენტო მორი"-ს საკითხს, მდგომარეობა დღითი დღე რთულდება და მხოლოდ არჩევნებში „გამარჯვებით" დაბრმავებულ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ყველაფერი თავის წესზეა"... [25]

მართალია, ხან-ხოელიც დაბრუნდა შემდეგში აზერბაიჯანის მთავრობაში, სავაჭრო და სამხედრო ხელშეკრულებაც გაფორმდა საქართველო-აზერბაიჯანს შორის, მაგრამ აზერბაიჯანი მაინც ვერ გადაურჩა იმ წინასწარმეტყველების აღსრულებას, რასაც ქართველი პოლიტიკოსები ვარაუდობდნენ. იგი რუსული აგრესიის მსხვერპლი გახდა. ხან-ხოელი კი, რომელიც აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, რუსეთის დაპყრობის შემდეგ, საქართველოში გამოიქცა, თბილისში მოკლეს და თბილისშივე დაასაფლავეს.

რაფიელ ინგილო სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას აკრიტიკებდა უწესრიგობის, სახელმწიფო დაწესებულებებში „კლეპტომანების" მომრავლების გამო, წერდა, რომ „ერთობა" ყველა ამ უმსგავსობას ძველი წყობილების გადმონაშთად თვლიდა, რაშიც ცდებოდა. მთავრობას იგი სიფხიზლისა და წესიერების დამყარებისაკენ მოუწოდებდა, კანონების წინაშე პასუხისმგებლობა, მისი აზრით, ყველა მოქალაქისთვის სავალდებულო იყო. დაასახელეთ დაწესებულება, – წერდა

იგი, – სადაც მექრთამეობას და ქურდობას თავი არ ეჩინოს. მიზეზი? ამაზე პასუხი „ერთობამ" გასცეს, ჩვენ არავითარი სურვილი არ გვაქვს მიზეზების ძიებისა, ჩვენ აღვნიშნავთ საზიზღარ მოვლენას სოციალისტების გამგებლობისას, რომ ამან უსაზღვრო მიმართულება მიიღო და ლამის შთანთქას საქართველოს არსებობა!

ისედაც უნუგეშო პიობებში ცხოვრობს ქართველი ხალხი: სპეკულიანტების თარეშობამ და საერთო ფინანსურმა უთავბოლობამ არაქათი გამოაცალა დემოკრატიასა და ინტელიგენციას და ამ უბედურებას ზედ დაერთო მთავრობის აგენტების დაუფარავი ავაზაკობა.

ჩვენ სახელმწიფო კატასტროფის წინაშე ვდგავართ! საკუთარი ხელით უფსკრულისკენ მივაქანებთ განთავისუფლებულ საქართველოს და არავინ არის, რომ შეაჩეროს ეს დამღუპველი სვლა სახელმწიფოს განადგურებისაკენ..." [26]

რაფიელ ინგილო სხვა წერილშიც – „სპეკულიანტების სამეფოში" ამ თემაზე წერდა, იმეორებდა დაჟინებით, რომ რესპუბლიკა კატასტროფის წინაშე იდგა და ამის მიზეზი სპეკულაცია, მექრთამეობა და ქურდობა იყო. ის ამას ისევ სახელმწიფოს მესვეურთა უნიათობას აბრალებდა. „პლუტოკრატიული ხელისუფლების ავ-კარგი ხალხმა იცის, – წერდა იგი, – მაგრამ ამავე ხალხს ვერ წარმოედგინა, რომ გაცილებით უარეს ყოფაში იგი ჩავარდებოდა მაშინვე, როცა დემოკრატია ხელთ იგდებდა სახელმწიფოს აპარატს და, მაშასადამე, საშუალება მიეცემოდა მდგომარეობის შედარებით მაინც გაუმჯობესებისათვის. თუ ადრე სოციალ-დემოკრატები ხალხის გაჭირვებას მონარქიზმით ხსნიდნენ, ახლა ასახსნელი არაფერი აქვთ, თვითონ უნდა ივარგონ და სპეკულაციას ბოლო მოუღონ. მათ მოეპოვებათ ბრძოლის საშუალებები, მაგრამ არ იყენებენ, კანონის აღსრულებას არ ავალდებულებენ მის მოქალაქეებს, ხომ გვაქვს პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონი სპეკულანტების წინააღმდეგ, ავამუშავოთ ეს კანონი და იქნებ გვეშველოს, მაგრამ მთავრობას ამის ნება არ გააჩნიაო" – მწვავედ აკრიტიკებდა

ხელისუფლებას პუბლიცისტი [27].

რაფიელ ინგილოს პუბლიკაციები ხშირად ეხებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს, ის დამოუკიდებლობის დროსაც წერდა ამ საკითხზე და ითხოვდა მთავრობისაგან სასწრაფოდ მოეგვარებინა საზღვრების საკითხი საქართველო-აზერბაიჯანსა და საქართველო-სომხეთს შორის. მისი თქმით, ქვეყნის საზღვრები ოთხივე მხრივ მოითხოვდა შესწორებას, ეს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებში შედიოდა. 1919 წლის ზაფხულში საქართველო-აზერბაიჯანს შოის დაიდო სამხედრო ხელშეკრულება. სომხეთთან დაპირისპირებული ეს ქვეყანა, მეზობლებიდან საქართველოს განსაკუთრებულ მეგობრობას უმტკიცებდა. ასეთი მეგობრობის დემონსტრაციას ის ახდენდა პარიზის საზავო კონფერენციაზე. დღევანდელი მეცნიერები ხაზგასმით წერენ აზერბაიჯანთან საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების კარგ დამოკიდებულებაზე [28]. მაგრამ ეს ურთიერთობა რომ არ იყო ღრმა და გულწრფელი, ამას მოწმობდა ტერიტორიული პრეტენზიები ამ ქვეყნისა საქართველოს მიმართ, რაზეც საუბრობდა რაფიელ ინგილო 1920 წლის სექტემბრის „საქართველოში". „საქართველოს მთავრობა – წერდა იგი, – მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიანობის სურვილით არის აღსავსე, მაინც ვერ ახერხებს ამ საკითხების სათანადოდ გადაჭრას და თავიდანვე მოემწყვდია ერთგვარ მოჯადოებულ წრეში, რომელსაც ვერ იქნა და ვერ მოსცილდა. მთავრობამ ამ ზაფხულს სამშვიდობო ხელშეკრულება დასდო აზერბაიჯანთან და იმედოვნებდა, რომ ამ აქტს მოჰყვება ძველი გაუგებრობისა და შუღლის უკუგდება, მთავრობა სასტიკად მოტყუვდა! „წითელი" აზერბაიჯანი ისეთივე უპირო კონტრაგენტი გამოდგა, როგორც მისი წინამორბედი – მუსავატელი..." [29]

ტერიტორიული საკითხის მოუწესრიგებლობა ამძიმებდა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ურთიერთობას, მესამე ძალის ჩარევას ამ საკითხში მიუღებლად მიიჩნევდნენ ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტები და მათ შორის იყო

რაფიელ ინგილოც. თავად ამ სახელმწიფოთა მთავრობებს უნდა მიეღწიათ შეთანხმებისათვის, დაყოვნებას დანაშაულად უთვლიდნენ მოსაზღვრე ქვეყნების მთავრობებს.

იმავდროულად, რაფიელ ინგილოს აღიზიანებდა ბოლშევიკური რუსეთის მცდელობა – ბოლშევიზმის საშუალებით ევროპისაგან, დასავლური სამყაროსაგან მოეწყვიტა ამიერკავკასია. მისი ირონიით სავსე სტატია – „აღმოსავლეთის „გამღვიძებელნი" — სავსე იყო ბოლშევიკური იდეოლოგიის კრიტიკით. ბაქოში შეკრებილი „აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა" მიიჩნევდა, რომ ის გახდებოდა „ევროპისა და ამერიკის სისხლში მოსვრილ მეყასბეებისაგან" განმათავისუფლებელი, კაპიტალიზმის „ბრჭყალებისაგან" დამხსნელი ამ რეგიონის მოსახლეობისა, სოციალური სამოთხის დამამკვიდრებელი. ინგილო ჩვეული პუბლიცისტური ოსტატობით აკრიტიკებდა ამ ყრილობის მონაწილეებს და წერდა: „ახალი წესწყობილების პიონერებად ბოლშევიკებს მიაჩნიათ ის ნახევრად ველური დელეგატები, რომელნიც ყველა თავის აფექტიურ გრძნობას აშიშვლებული ხმლის პრიალით ამტკიცებენ...ისინი დღეს გამოდიან „დახავსებული ევროპის" კულტურის მგმობელად და თავსატეხ სოციალ-პოლიტიკური პრობლემის იოლად გადამჭრელად. ავადმყოფური მანიით უნდა იყოს შეპყრობილი ადამიანი, რომ ამგვარ მისტიფიკაციებს გაატაცებინოს თავი და მანიაკურად ამუშავებული გონების პროდუქტი რეალ შესაძლებლობად დასახოს" [30].

ინგილო აკრიტიკებდა ბაქოს ყრილობაზე გამოსულ ქართველ ბოლშევიკებს, მათ თბილისურ გაზეთს „კომუნისტს", ყრილობის ორგანიზატორებს, – ზინოვიევს, რადეკს, ოსტროვსკის, მიიჩნევდა, რომ ეს ხალხი ახალი ბაბილონის გოდოლის აგებას ცდილობდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწევდა. აღმოსავლეთს ვერ განკურნავდნენ ბოლშევიკი დასტაქრები და მათი ხმა გურგანის ზღვის ხმაურში ჩაიკარგებოდა.

რაფიელ ინგილო აქტიური დამცველი იყო უდების უფლებების, რომლებიც აზერბაიჯანის შემადგენლობაში მოექცნენ და ეთნიკურ-რელიგიურ დევნას განიცდიდნენ

იქაური ხელისუფლებისაგან, რისთვისაც თხოვდნენ ქართველ მოღვაწეებს – რაფიელ ინგილოს, მოსე ჯანაშვილს, დიმიტრი ჯანაშვილს და სხვებს სხვადასხვა დროს – რათა ეშუამდგომლათ ხელისუფლებასთან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსახლებისათვის. ამ წერილშიც აკრიტიკებდა იგი აზერბაიჯანის ხელისუფლებას არამეზობლური და არამეგობრული დამოკიდებულებისათვის ქართველ ხალხთან. წერილი საინტერესოა უდების ამდროინდელი მდგომარეობის გასარკვევად და მოვიტანთ მის შინაარსს: „თბილისში ჩამოვიდნენ ნუხის მაზრის სოფელ ვართაშნისა და ყიშლაღის მართლმადიდებელ უდინთა წარმომადგენლები. მათ დავალებული აქვთ ყველა უდებისაგან იშუამდგომლონ საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ ისინი აზერბაიჯანიდან გადმოსახლებულნი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე კუთხეში. ეს პირველი თხოვნა არ არის: წინა წლებშიაც უდები ყველასათვის გასაგებად და გაბედულად აცხადებდნენ, რომ ამიერკავკასიაში მათ არავისთან საერთო არა აქვთ რა, გარდა ქართველებისა.

ქართველებისადმი ერთგულება უდინებმა ცხადად გამოააშკარავეს რევოლუციის პირველ დღეებშივე, როდესაც მათმა დელეგატებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კათალიკოსის არჩევნებში და აღიარეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ამიერკავკასიის „მთლიანი“ რესპუბლიკის დანაწილების შემდგომ უდინები გეოგრაფიულად აზერბაიჯანის სამფლობელოში მოხვდნენ და ამ დღიდან იწყება მათი უაღრესი შევიწროება და დარბევა. მიმდინარე წლის 27 მარტს გააფთრებული თათრის ბრბო მიესია სოფელ ვართაშენს და მიწასთან გაასწორა ეს ოდესღაც მშვენიერი და მდიდარი სოფელი. უდებმა მიმართეს თხოვნით ამ სტრიქონების დამწერს და ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს — ეშუამდგომლათ მთავრობის წინაშე მათი გადმოსახლებისა და ნივთიერი დახმარებისათვის. პირველი ვერ მოხერხდა აზერბაიჯანთან გართულებული დამოკიდებულებისა და შემდგომ ომის გამო“... საუბარი იყო 1920 წლის 30 აპრილს

აზერბაიჯანის გასაბჭოებასა და საქართველოსთან 3 მაისს მომხდარი სასაზღვრო შეტაკების შესახებ, რაც აზერბაიჯანის მხრიდან შემოსულმა აზერბაიჯანელმა და რუსმა ბოლშევიკებმა მოაწყვეს. ამის შემდეგ დაიძაბა ბოლშევიკური აზერბაიჯანისა და დამოუკიდებელი საქართველოს ურთიერთობა, ამიტომ ვერც რაფიელ ინგილო და ვერც მოსე ჯანაშვილი ვერ შეძლებდნენ უდებისთვის დახმარების გაწევას. მათი ახალი დარბევებიც იმ პოლიტიკური ქაოსის შედეგი იყო, რაც აზერბაიჯანში დაიწყო. ინგილო ცდილობდა „საქართველოს" მკითხველთა ყურადღება მიექცია უდების ისტორიული წარსულისაკენ, გაეგებინებინა მათთვის – რა საერთო ჰქონდათ ამ ხალხს ქართველებთან.

„ბიზანტიელ და რომაელ მეცნიერების – პლუტარხეს, სტრაბონის, ტაციტის და სხვების აზრით ნუხის მაზრა შედიოდა ძველი ალბანეთის შემადგენლობაში და ითვლებოდა მის ცენტრად, – წერდა რაფიელ ინგილო. ამასვე ამოწმებენ ჩვენი დროის მკვლევარნი, მათ შორის გრუშევსკი, აკადემიკოსი შიფლერი, მოსე ჯანაშვილი, დიმიტრი ჯანაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე. ალბანელებმა ქართველებთან ერთად მიიღეს ქრისტიანობა IV საუკუნის დასაწყისში და უკანასკნელებთან ერთად დაექვემდებარნენ ერთ საეკლესიო იერარქიას საქართველოს კათალიკოსის მბრძანებლობით. პოლიტიკურად ალბანელები ექვემდებარებოდნენ საქართველოს მეფეებს. IX საუკუნეში ალბანეთი სავსებით მოექცა საქართველოს სამეფოში, როგორც მისი განუყრელი ნაწილი.

ისტორიულ უდებს ეთნოგრაფიულად არაფერი აერთებს დღევანდელ მათ მეზობელ თათრებთან და სომხებთან. უდები წარმოადგენენ განთვისებულ ეთნიკურ კატეგორიას თავისი საკუთარი ენით, ზნე-ჩვეულებით, კულტურით. უდინების დაქვეითება დაიწყო მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც სპარსეთის მეფის შაჰ-ნადირის ბრძანებით გადმოასახლეს მათ მიწაზე სომეხი ებრაელები და სპარსნი. უდინების დარბევით შაჰ-ნადირს უნდოდა საქართველოს დასუსტება და

ეს მან კიდევაც მოახერხა იმით, რომ სავსებით მოხარა აღმოსავლეთ საქართველოში ის ელემენტი, რომელიც ყველაზე ერთგული იყო საქართველოისა.

ჟამთა მსვლელობაში დიდი ნაწილი უდებისა იძულებული იყო გადასულიყო სომეხ-გრეგორიანების რჯულში და მცირედიც მაჰმადიანურში. ამ ფაქტს, გარდა ისტორიული გამოკვლევებისა, ამოწმებს კიდევ გენერალ-ლეიტენანტის ველიამინოვის წერილი მიტროპოლიტ თეოფილაკთან 1819 წლის 16 გიორგობისთვის თარიღით და მიტროპოლიტის საპასუხო წერილი 6 თებერვალს, 1820წელს".

რაფიელ ინგილო ჩამოთვლიდა ნუხის მაზრაში არსებულ ქართული კულტურის ძეგლებს, ეკლესიებს, კოშკებს, ძველ ქართულ წარწერებს, ამავე ხაზით თამარის ხიდის გაგრძელებას, რომელსაც აქ „ყაზლიარ ყალას" უწოდებდნენ. ისტორიული ძეგლების სიუხვე იყო ვართაშენის აღმოსავლეთითაც, სოფელ ბუმში, ხილხალში, ორობანლიში და სხვაგან.

„ამ საინტერესო ეთნიურ ჯგუფს, – წერდა იგი, – დღეს შერჩა მხოლოდ რამდენიმე სოფელი მართლმადიდებელი და გრიგორიან ისტორიულ უდებით დასახლებული. უდინი გრიგორიანები სომეხ კლერიკალების ზეგავლენით, უდებად აღარ სთვლიან თავის თავს... შეგვრჩა მხოლოდ ორი სოფელი: ვართაშენი და ყიშლალი, ორი მართლაც სამუზეუმო სოფელი, რომლის მცხოვრებნი მართლმადიდებლობას იზიარებენ და თავის წინაპრებისამებრ ჭეშმარიტნი ერთგულნი არიან ქართველი ხალხისა. ისინი თავის თავს ქართველებში არც არჩევენ. მეზობელი სომხები და თათრებიც მათ „გურჯებს" უწოდებენ.

ბუნებრივია, რასაკვირველია, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდგომ უდებმა მოინადინეს მის ფარგლებში შემოსვლა. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ეს სურვილი ქართველ უდებს აღეძრათ თათრების მხრივ დარბევისა და შენუხების გამო. ამ გარემოებამ უთუოდ დააჩქარა პროცესი უდების საქართველოში გადმოსახლების პრაქტიკულად განხორციელებისა, მაგრამ ისიც

ცხადია, რომ ჩვენს სახელმწიფოში გადმოსახლებაზე უდები ოცნებობდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მათი მყუდროება შედარებით დაცული იყო".

რაფიელ ინგილო ამის შემდეგ აზერბაიჯანის, როგორც სახელმწიფოს, მოვალეობაზე ლაპარაკობდა. მისი აზრით, ეს ქვეყანა არ იცავდა საერთაშორისო ნორმებს, ჩაგრავდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ხალხებს. პუბლიცისტი აღნიშნავდა, რომ ესენი ძირითადად სომხები და უდები იყვნენ. თათრებმა სულ ამოწყვიტეს აქ მცხოვრები სომხები, დანარჩენები სომხეთში გაიქცნენ, ახლა კი უდებს მიდგენო. „ასეთ ველურ სახელმწიფოში, — წერდა ინგილო, – ცხადია დაჩაგრული ელემენტი გაწყვეტას არ ასცდება, მაშასადამე, თვით ამ ელემენტს უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარი ფიზიკური არსებობის შენახვისა და სწორედ ამ მიზეზით აზერბაიჯანის ტერიტორიიდან მოიხვეწებიან ყველა ისინი, ვისკენაც მიღერებულია დაუსჯელი თათრის აშიშვლებული ხმალი – გაქცევას უდებიც აპირებენ. სად უნდა მივიდნენ ეს უბედურები? ვის უნდა მიადგნენ ჭერის სათხოვნელად? მხოლოდ მოძმე ქართველ ხალხს, მხოლოდ იმ სახელმწიფოს, რომლის წიაღში უდებს მრავალი საუკუნის განმავლობაში სიკეთე და უზრუნველყოფა ჰქონდათ".

პუბლიცისტს უნაყოფოდ ეჩვენებოდა დიპლომატიური ნოტების ენით ლაპარაკი აზერბაიჯანთან, რომელიც არავითარ სამართლებრივ ნორმას არ იცავდა, იხსენებდა ზაქათალის ოლქის საკითხს, რომელმაც გაკვეთილი მისცა საქართველოს, რა შეიძლება მიეღო აზერბაიჯანისაგან. ამიტომ ამ უნაყოფო მიწერ-მოწერის ნაცვლად, მას პრაქტიკული დახმარების გაწევა სურდა უდებისათვის, მათი გადმოსახლება, მათი გადარჩენა, რაც მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო. ამ ვრცელი პუბლიკაციის ბოლოს, საკითხს ასე სვამდა რაფიელ ინგილო: „უდებს უნდა ვუშველოთ! მთელი ჩვენი წარსული ისტორია, ჩვენი ტრადიციები და დამოკიდებულება იმ ხალხთან, რომლის მცირედი, მართლაც „სამუზეუმო ნანილი" დღეს შერჩენილია ძველს ალბანეთში,

ის ფსიქოლოგიური ნათესაობა, რომელსაც ქართველები და უდები მჭიდროდ დაუკავშირებია ერთმანეთთან, – ყველა ეს უნდა გვიკარნახებდეს დროზე მივხედოთ დაჩაგრულ ძმებს და ავაცდინოთ მათ ნამდვილი ფიზიკური განადგურება გამხეცებული თათრის ურდოებისაგან" [31].

რაფიელ ინგილომ საპარლამენტო გამოსვლაში ასევე პრინციპულად დაუჭირა მხარი საღვთო სჯულის სწავლებას საქართველოს სკოლებში, მის დატოვებას სავალდებულო საგნად. ამისთვის ბევრი არგუმენტი მოიტანა [18]. ინგილოს გამოსვლა გააკრიტიკა სოციალ-დემოკრატთა ორგანომ – „ერთობამ", დაიცვა კანონპროექტი საღვთო სჯულის სავალდებულო საგნებიდან ამოღების შესახებ და ეროვნულ-დემოკრატიული პოზიცია ამ საკითხში მცდარად მიიჩნია.

რაფიელ ინგილოს მოჰქონდა „ერთობის" ტექსტიდან ადგილი: „თუკი სარწმუნოება ძლიერია ხალხში, რაღა საჭიროა მისი ხელოვნურად გაძლიერება სახელმწიფოს მიერ?" მიაჩნდა, რომ სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება და აზროვნება ცდებოდა, რადგანაც ისეთ კანონს ამტკიცებდა, რომელიც სარწმუნოების წინააღმდეგ იყო მიმართული, მიაჩნდა, რომ უაღრესად გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში ქართველი ხალხის შეკავშირებას ეს აქტი ხელს შეუშლიდა, გამოიწვევდა ანარქიას, ეს კი „ვნების გარდა არაფერს მოუტანდა მონობისგან ძლივს თავდაღწეულ რესპუბლიკას" [19].

რაფიელ ინგილოს პუბლიცისტიკა მუდმივად ექომაგებოდა ქართულ კულტურას, ითხოვდა იმ ეთნოისტორიული და სულიერი ტრადიციების შენარჩუნებას, რაც საქართველოს ძლიერებას, მის ფიზიკურ გადარჩენას უწყობდა ხელს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის, პუბლიცისტური ნააზრევისა და მოღვაწეობის სრულყოფილი შესწავლა მომავლის საქმეა და აუცილებელია იმ ისტორიული მოვლენების სწორად გასააზრებლად, რასაც XX საუკუნის I მეოთხედის საქართველოში ჰქონდა ადგილი.

რაფიელ ინგილოს ცხოვრება და მოღვაწეობა მკვლევარისთვის უამრავ მასალას იძლევა. იმ ნაწილითაც, რაც ჩვენ

წარმოვადგინეთ, ჩვენს წინაშე XX საუკუნის გამორჩეული ისტორიული პიროვნება დგება, რომელსაც სიკვდილამდე არ განელებია მშობლიური მიწისა და ხალხის უსაზღვრო სიყვარული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი „საქართველო", 57, 1916 წლის მარტი, რაფიელ ინგილო, ძველი და ახალი.
2. რაფიელ ინგილო, გაზეთი „საქართველო", 56, 1917 წელი.
3. რაფიელ ინგილო, – Coram Populo, გაზეთი „საქართველო", 53, 1917 წელი.
4. რაფიელ ინგილო – რა სწადიათ? – გაზეთი „საქართველო", 62, 1917 წელი.
5. რაფიელ ინგილო, საძირკველი, გაზეთი „საქართველო", 59, 1917 წ.
6. რაფიელ ინგილო, უნდა აღსდგეს, გაზეთ „საქართველო", 64, 1917 წელი.
7. გაზეთი „საქართველო" 69, 1917 წლის 28 მარტი.
8. რაფიელ ინგილო, სრულიად საქართველოს ერს, გაზეთი „საქართველო", 70, 1917 წ.
9. რაფიელ ინგილო, პირველი ნაბიჯი, გაზეთი „საქართველო" 71, 1917 წელი.
10. რაფიელ ინგილო, აღდგომა, გაზეთი „საქართველო", 73, 1917 წელი.
11. რაფიელ ინგილო, ბრძოლის პროცესში, გაზეთი „საქართველო", 76, 1917 წ.
12. რაფიელ ინგილო, საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობიდან, გაზეთი „საქართველო", 197, 1918 წ. ღვინობისთვის 19.
13. რაფიელ ინგილო, იქვე.
14. რაფიელ ინგილო, ახალი საფრთხე, გაზეთი „საქართველო", 202, 1918 წელი, ღვინობისთვის 26.
15. რაფიელ ინგილო, კიდევ ტერიტორიისათვის, გაზეთი „საქა-

რთველო“, 207, 1918 წ.
16. რაფიელ ინგილო, საქართველოს მტრები, გაზეთი „საქართველო“, 211, 1918 წ.
17. რაფიელ ინგილო, კონფერენცია და ტერიტორიის საკითხი, გაზეთი „საქართველო“, 213, 1918 წელი.
18. რ. ივანიცკი (ინგილოს) სიტყვა პარლამენტში, გაზეთი „საქართველო“, 224, 1918 წ.
19. რაფიელ ინგილო, პრესის მაგიერ, გაზეთი „საქართველო“, 229, 1918 წელი.
20. რაფიელ ინგილო, საქართველოს მტერთა ცრუ იმედები, გაზეთი „საქართველო“, 231, 1918 წელი.
21. რაფიელ ინგილო, დაშნაკცუტიუნის აღსარება, გაზეთი „საქართველო“, 234, 1918 წელი.
22. რაფიელ ინგილო, განმეორებით თავდასხმა, გაზეთი „საქართველო“, 239, 1918 წ.
23. რაფიელ ინგილო, სასამართლო ღირსების დაცვისათვის, გაზეთი „საქართველო“, 248, 1918 წ.
24. რაფიელ ინგილო, შეუდგომელის სიმკაცრით, გაზეთი „საქართველო“, 253, 1918 წელი.
25. რაფიელ ინგილო, აზერბაიჯანის ვითარება, გაზეთი „საქართველო“, 50, 1919 წლის 5 მარტი.
26. რაფიელ ინგილო, რესპუბლიკის მძარცველები, გაზეთი „საქართველო“, 60, 1919 წელი.
27. რაფიელ ინგილო, სპეკულიანტების სამეფოში, გაზეთი „საქართველო“, 77, 1919 წელი.
28. გრიგოლ ბოგვერაძე – საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია 1918-1920 წლებში, ქუთაისი, 2005, გვ.: 87-104.
29. რაფიელ ინგილო, კიდევ ტერიტორიული საკითხისათვის, გაზეთი „საქართველო“, 95, 1920 წლის 9 ენკენისთვე.
30. რაფიელ ინგილო, აღმოსავლეთის „გამაღვიძებელნი“, გაზეთი „საქართველო“, 97, 1920 წლის 11 ენკენისთვე.
31. რაფიელ ინგილო, ქართველ-უდების შუამდგომლობა, გაზეთი „საქართველო“, 108, 1920 წელს.

ზაქარია ედილაშვილი
(1873-1956)

ზაქარია ედილაშვილის გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილი წერილები ეხება საინგილოსა და შიდა ქართლის სოფლების ცხოვრებას. თითქოს ერთნაირად იცნობს მათი ავტორი ამ ორი კუთხის წუხილისა და სიხარულს, ისტორიასა და აწმყოს, ერთნაირად განიცდის მათ ტკივილს და საოცრად ახლოს მიაქვს გულან ის პრობლემები, რომელთა გადაჭრისთვისაც იბრძვის. ეს ბუნებრივიც იყო: ზაქარია ედილაშვილი ხომ შიდა ქართლში დაიბადა და მოღვაწეობის გარკვეული წლებიც მას მიუძღვნა. მაგრამ 10 წელი იცხოვრა და იმუშავა ამ პატრიოტმა და განათლებულმა, მამულზე უსაზღვროდ შეყვარებულმა კაცმა საინგილოში და ცხადად შეიგრძნო ის ტრაგედია, იმ ჭრილობის ფეთქვა, რასაც მშობლიური საქართველოდან მოწყვეტილი ნაწილი გამოსცემდა, იმ ადამიანთა სულისკვეთება იცნო, რომელთაც სადღაც შიგნით არ ჩაქრობოდათ სამამულე განცდა. ქართველი პატრიოტი პუბლიცისტის ფიქრი სულ იმ აზრს უტრიალებდა, რით შემოებრუნებინა ისტორიის გადაბრუნებული ურემი, რათა საინგილოს მომავლის სწორი გზა მოენახა.

ზაქარია ედილაშვილის წერილები, რომლებიც გაზეთ „საქართველოში" ქვეყნდებოდა 1915-1920 წლებში საინტერესოა ბევრი რამით, მათი შესწავლით ისტორიკოსი მკვლევარი უტყუარ დოკუმენტებს მოიპოვებს არა მარტო ამდროინდელი საინგილოსა და შიდა ქართლის ცხოვრებიდან,

არამედ რუსეთის მთელი ბატონობის პერიოდში ამ კუთხეების მიერ გადატანილ ტრაგედიას გვაცნობს და გვაგრძნობინებს. გერონტი ქიქოძის რედაქტორობით გამოსული მისი წიგნი — „საინგილო" ასევე ძვირფასი დოკუმენტებით ავსებს ამ ცოდნას და ჩვენს წინაშე წარმოადგენს ავტორს, რომლის დავიწყება შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ამგვარ მოღვაწეთა სულიერი ცეცხლითაც იქმნებოდა ჩვენი ისტორია [1].

ზაქარია ედილის შესახებ ბიოგრაფიული ნარკვევი და ამ წიგნის მიმოხილვა ეკუთვნის მკვლევარ ასრათ ომარაშვილს, რომელიც ბევრ საინტერესო კომენტარს აკეთებს „საინგილოს" შესახებ [2].

არც ამ ნარკვევში და არც ზ. ედილის წიგნში არ შესულა ის პუბლიცისტური მასალები, რომლებიც ჩვენ გაზეთ „საქართველოში" შევკრიბეთ და გავაანალიზეთ. ბუნებრივი იყო, რომ საბჭოთა პერიოდში მცხოვრები, კონიუნქტურით დამძიმებული საგამომცემლო პირობების დროს დაბეჭდილი წიგნი ვერ ასახავდა მათ. ეროვნულ-დემოკრატიული იდეებისა და თავისი პარტიული წარსულის გახსენებას ვერც ბოლშევიკური რეჟიმით დაშინებული ავტორი გაბედავდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ზაქარია ედილაშვილის ამ პერიოდის შრომებიც არ დაგვეკარგა და ისინი შეერთებოდნენ იმ ღვაწლს, რაც სხვა შრომებით გასწია, იმ მიზანს, რისთვისაც იღვწოდა ეს თავდადებული ადამიანი და რის გამოც მას დიდ შეფასებას აძლევდა ისეთი თანამედროვე, თანამოაზრე და ძველი თანაპარტიელი, როგორიც გერონტი ქიქოძე იყო.

ზაქარია ერმალოზის ძე ედილაშვილი 1873 წელს დაიბადა მდინარე ფრონეს ხეობაში, გორის მაზრის სოფელ ბრეთში (ქარელის რაიონი).

1884 წელს იგი მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1890 წელს დაასრულა. სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ისტორიის სიყვარული გაუღვივა ისეთმა პედაგოგმა და ისტორიკოსმა, როგორიც თედო ჟორდანია იყო. ზაქარია ედილი შემდეგში

დიდი სიყვარულით იხსენებდა მას, აღნიშნავდა, რომ მისი შემწეობით შეუყვარდა ძველი სიგელ-გუჯრების შეკრება, ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ყოფის ამსახველი მასალების შეგროვება. სემინარია ჩაბმული იყო პოლიტიკურ პაექრობაში, საზოგადოებრივი ვნებათაღელვა ამ სასწავლებლის კედლებს არყევდა და საფრთხეს უქმნიდა თავისუფლად მოაზროვნე ახალბედებს. მათ რიცხავდნენ სასწავლებლიდან და აპატიმრებდნენ. 12 გასარიცხ მოსწავლეთა შორის ზ. ედილიც მოხვედრილა, საბედნიეროდ, ის გადარჩენილა ამ სასჯელისაგან, რადგან ინსპექტორს სათანადოდ ვერ დაუსაბუთებია მოსწავლეთა დანაშაული.

სემინარიის დამთავრების შემდეგ, ზაქარია ედილს, ლუარსაბ ბოცვაძის დახმარებით, უშოვია სამსახური: კანცელარიის მოხელედ დაუწყია მუშაობა ქ. კავკავში, დავით სარაჯიშვილის ქარხანაში.

ზაქარია ედილის მოგონებები დავით სარაჯიშვილზე მრავალფეროვანია და მნიშვნელოვანი ამ დიდი ქველმოქმედის ცხოვრების გასაცნობად. სარაჯიშვილმა ინჟინერ-ქიმიკოსის პროფესიის შესასწავლად რიგაში გაგზავნა ედილი, რადგან დაინახა კავკავში ყოფნისას, ახლადგაცნობილი ჭაბუკის მუყაითობა და ცოდნისკენ სწრაფვა. ზაქარია ედილმა ვერ ჩააბარა მათემატიკა და ქიმია და სხვა ფაკულტეტზე მოხვდა, ვერც მისი დამთავრება შეძლო, რადგან სტუდენტურ აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა. სამშობლოში დაბრუნებული ზაქარია ედილი სარაჯიშვილმა ჯერ გაიცხა ასეთი ქცევისთვის, თუმცა, მაინც დაეხმარა და სამუშაო მისცა, შემდეგ კი კვლავ გაგზავნა სასწავლებლად, ამჯერად ესტონეთის ქალაქ დორპტში (იგივე ტარტუ), ვეტერინარულ ინსტიტუტში. ედილმა ტარტუში მოძებნა ქართველი სტუდენტები, დაუკავშირდა მათ, იქიდან გზავნიდა წერილებს ქართულ პრესაში, საზაფხულო არდადეგებს დავით სარაჯიშვილის სანარმოებში ატარებდა; ტარტუში დაოჯახდა და ესტონელ ქალთან ორი ქალიშვილი შეეძინა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კავკასიაში გამოგზავნეს სამუშაოდ, ოჯახი ვერ წამოიყვანა.

მუშაობდა ჯერ ნახჭევანში, შემდეგ კავკასიის თითქმის მთელი რეგიონი მოიარა, 1905 წელს ესტონეთში გარდაიცვალა მისი მეუღლე და დაობლებული ქალიშვილები საქართველოში ჩამოიყვანა; ფიზიკურად გატეხილი დასასვენებლად წავიდა აბასთუმანში, სადაც გაიცნო და მეორე ცოლად შეირთო დარიკო ჩარკვიანი.

ედილმა დახმარებისათვის მიმართა გრიგოლ ყიფშიძეს, რომელიც მისი თანასოფლელი იყო. უნდოდა სამუშაოს შოვნა, სწორედ მან შესთავაზა კახში წასვლა და ასე აღმოჩნდა ზაქარია ედილის ცხოვრებაში საინგილო, ასე შევიდა ეს კუთხე მის არსებობაში და არც აღარასოდეს განშორებია.

ათი წლის მანძილზე ედილმა დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა ინგილოთა შორის. ეს მან უზადო კაცთმოყვარეობით და კეთილსინდისიერებით დაიმსახურა.

1916 წელს ედილი მსოფლიო ომის ერთ ფრონტზე — შავი ზღვის სანაპირო რკინიგზის მშენებლობაზე გაიწვიეს. მისი ოჯახი კახში დარჩა, აქედან ზაქათალაში გადავიდა, მაგრამ საშიშროების გამო დატოვა ეს ადგილიც და სოფელ ბრეთს დაუბრუნდა. ფრონტიდან დაბრუნებულმა ზაქარია ედილმაც მუშაობა დაიწყო ქ. გორში, ვეტექიმად, მალე მაზრის ვეტერინარული სამსახურის უფროსი გახდა.

1925-1927 წლებში იყო გორში გამომავალი გაზეთის — „წითელი ქართლის" რედაქტორი. 1936 წლიდან სამუშაოს თავი მიანება და მთლიანად ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა; იგი 1956 წელს გარდაიცვალა.

საინტერესოა ზაქარია ედილის „საინგილო", ასევე ის პირადი წერილები, რაც სხვადასხვა არქივშია დაცული, მის მიერ საინგილოს 1863 წლის აჯანყების შესწავლის ცდა. ჩვენ მაინც იმ პუბლიცისტურ მასალას წარმოვადგენთ, რომელიც ჯერ არაა შესწავლილი, თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთი პუბლიკაცია გამოყენებული იყოს კიდეც თანამედროვე ისტორიკოსთა მიერ სხვადასხვა თემის დამუშავებისას.

ზაქარია ედილმა, ასრათ ომარაშვილის სწორი დასკვნით, კარგად გამოიყენა ამდროინდელი ქართული პრესა საინ-

გილოს თემის წინ წამოსაწევად, მისი შესწავლის, ქართველებისათვის ამ მხარის უკეთ გაცნობისა და მათთან დაკავშირებისათვის. „ზ. ედილს არ დაუშურებია ნიჭი და ენერგია ქართული პრესის წინაშე, — წერს მკვლევარი, — რათა ქართველ მკითხველამდე მიეტანა საქართველოს ამ შორეული პროვინციის იმდროინდელი მრავალი საჭირბოროტო საკითხი. ედილისეული პუბლიკაციები ხასიათდებიან საკითხის ღრმა წვდომითა და საინგილოსადმი განუზომელი თავდადებით. ეს არის რაღაც საოცარი სიყვარულით აღტყინებული კაცის გულისთქმა, რომელიც გამოუცნობი ძალით გნუსხავს, გატყვევებს და გიზიდავს. ედილის პუბლიკაციები მრავლადაა იმდროინდელ პრესაში, რომელთა შესწავლა და სათანადო ანალიზი მომავლის ამოცანას შეადგენს", — ასკვნის მკვლევარი. ჩვენი მიზანიც აქედან გამოდის: გავაანალიზოთ და მკითხველს გავაცნოთ ზაქარია. ედილის პუბლიკაციები, რომლებიც ქართულ პრესაში იბეჭდებოდა, გავაცოცხლოთ კიდევ ერთი გულმხურვალე პატრიოტი ქართველის ნააზრევი.

ზაქარია ედილაშვილმა თავისი კომენტარით გამოაქვეყნა დიმიტრი ჯანაშვილის ჩანაწერები.

დიმიტრი ჯანაშვილის ხელნაწერებში ზაქარია ედილაშვილს უპოვია რვეულები, რომლებიც რუსულ ენაზე ყოფილა დაწერილი და მრავალ საინტერესო მასალას შეიცავდა საინგილოს შესახებ. განსაკუთრებული ინტერესი ამ მასალისადმი იმითაც იყო გამოწვეული, რომ მასში რუსეთის იმპერიული ხელისუფლების დამოკიდებულება ჩანდა საქართველოს ამ უძველესი ისტორიული კუთხისადმი. ეს მასალა საინტერესოა ჩვენთვისაც, რადგან მასში უშუალო თვითმხილველის — დიმიტრი ჯანაშვილის მოგონებებია. თუმცა გაზეთში მხოლოდ მცირე ნაწყვეტი დაიბეჭდა მოგონებათა რვეულიდან, მაგრამ აქედანაც ჩანდა, თუ რა მტკიცედ იდგნენ ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულების ნიადაგზე კახის მცხოვრები ქართველი ინგილოები, და როგორ აიძულეს ისინი გადასულიყვნენ მაჰმადიანობაზე. ახალი ოლქის უფროსს

— სტოლეტოვს, ჯანაშვილის მოგონებებით, — გადაუწყვეტია ქართველი ქრისტიანების გამაჰმადიანება „რაღაც პოლიტიკურის მოსაზრებებით"... ეს პოლიტიკური მოსაზრება ჩვენთვის გასაგებია, თუ ქართველები დაკარგავდნენ სარწმუნოებას, ადვილად მოხდებოდა მათი ასიმილაცია ადგილობრივ არაქართულ მოსახლეობაში და ისინი საბოლოოდ მოწყდებოდნენ მშობლიურ ქვეყანას, ამით რუსეთს გაუადვილდებოდა მხარის მართვაც და ადმინისტრაციული დაყოფის დროსაც თავისუფლად იმოქმედებდა. მას ეს საქმე ნაიბებისა და მოლებისთვის დაუვალებია, საცოდავ ქრისტიანებს დაემუქრნენ, რომ დამნაშავე ქრისტიანს უფრო დასჯიდნენ, ვიდრე მუსულმანს. ხალხმა, ვინც მტკიცედ იცავდა რწმენას, დახმარების იმედი დაკარგა, მიხვდა, რომ ხელისუფლება მათ არ დაიცავდა და გამუსულმანდა. ეს ხალხი ჩუმად იცავდა სარწმუნოებას, 1850-1863 წლებში კი აშკარად აღიარეს ქრისტიანობა, ახლა კი კვლავ აიძულეს გამაჰმადიანებაო.

„ამრიგათ, 1863 წელს ბრძოლა ქრისტიანობისა მუსულმანობასთან, — იგონებდა დ. ჯანაშვილი, — დამთავრდა ამ უკანასკნელის გამარჯვებით. სამის საუკუნის განმავლობაში დაწყებული სპარსეთის მბრძანებლის შაჰ-აბასიდან ინგილოები თავის ორთავ თვალსავით იცავდნენ ქრისტიანობას ოლქში, მიუხედავად სასტიკი დევნისა, ხოცვა-ულეტისა და ტყვევნა-გატაცებისა. კავკასიის რუსთაგან დაპყრობის შემდეგ, ამ ძლიერის სახელმწიფოს გამგებლობის დროს, იმათ დაჰკარგეს თავის წინაპართა სარწმუნოება. ალიაბათის ნაწილის ინგილოებმა მიიღეს მუსულმანობა, ქრისტიანობა მხოლოდ კახის საბოქაულოშილა დარჩა, რადგან მეტად მტკიცედ იყვნენ სარწმუნოებაზედ. ძვირად დაუჯდათ კახელებს ეს სიმტკიცე და შეურყევლობა. ადმინისტრაციამ შარი მოსდო, შეიპყრო მათგან 10 კაცი, ბრალი დასდეს, თითქოს მათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ჰაჯი-მურთუზას აჯანყებაში, აგრეთვე წინააღმდეგობა გაეწიოთ მთავრობისათვის სულთანივებთან ალათემურის მიწის დავაში და გადაასახლეს სამის წლით რუსეთის შიდა გუბერნიებში, როგორც

მუსულმანები. ნამდვილი მიზეზი კი მათი გადასახლებისა იყო ქრისტიანობის აღიარება და თანამემამულეთა განმტკიცება ამ სარწმუნოებაში. ეს მტკიცდება იმითაც, რომ ოლქის უფროსმა სტოლეტოვმა, მათი სურვილის წინააღმდეგ, ისინი მუსულმანებად ჩაწერა და გაუყენა რუსეთის გზას". შემდეგში ამ პატიმრებს ნათესავებისთვის უთხოვიათ, გაეგზავნათ მღვდლის ცნობა, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, რათა რუსის მღვდელს მიეცა მათთვის ზიარებისა და აღსარების უფლება [3].

პუბლიკაციაში მოტანილია საინტერესო ცნობები საინგილოს ყოფიდან; კერძოდ, ის სამწუხარო შედეგები, რაც ქართველთა მხრიდან ქრისტიანობისადმი ერთგულების გამოვლენას მოჰყვა. „დაიკეტა შვიდი სამრევლო და განიდევნა მათგან მოძღვარნი, უკვე განზრახული ეკლესიათა აშენების შეჩერება, მათთვის დამზადებულის მასალების დალპობა და გაოხრება, გამუსულმანება 12 000 ინგილოსი, მეჩეთების აშენება ადმინისტრაციის განკარგულებით იმ ინგილოთა სოფლებში, სადაც 1864 წლამდის არასდროს მეჩეთი არ ყოფილა, მოლების გამწესება ინგილოებში, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ გამუსულმანებულ ინგილოთათვის, სასტიკი ბრძანება მიეცათ ნაიბებს, რათა დაესაჯათ ყველა ის გამუსულმანებული ინგილო, ვისაც შეამჩნევდნენ ქრისტიანობისკენ ლტოლვილებას. ქრისტიანებს ნება დართეს 1864 წლის ბოლომდე გადასულიყვნენ მუსულმანობაში, მუსულმან ინგილოებს კი სასტიკად ჰქონდათ აკრძალული ქრისტიანობა მიეღოთ, თუ ერთხელ მაინც განაცხადეს გამუსულმანების სურვილი. აკრძალული იქნა ქრისტიანობის გავრცელება ოლქში, დაწესდა სიტყვიერი სასამართლო, რომელშიც მოსამართლეებად შედიოდნენ მუსულმანები და ქრისტიანთაც მარტო შარიათით ასამართლებდნენ.

ამის შემდეგ ინგილოები დარწმუნდნენ, რომ მთავრობა ხელს აღარ უწყობდა მათში ქრისტიანობის გავრცელებას, რასაც თავისი საქციელით აშკარად ასაბუთებდა ახალი ოლქის უფროსი. „სტოლეტოვს სურდა ამითი ლეკების დაწყნარება,

მათი გულის მოგება და რუსეთისადმი პატივისცემისა და სიყვარულის ჩანერგვა მათში. იმას ეგონა, რომ სულერთია რანაირის სარწმუნოებისაც იქნებოდნენ კავკასიის ერები, ოღონდ კი რუსეთის ნამდვილი და თავდადებული ქვეშევრდომნი ყოფილიყვნენ. ამიტომ მისის წყალობით მაჰმადიანობა განმტკიცდა ოლქში და ბოლო მოეღო ქრისტიანობის აღდგენა-გავრცელებას ინგილოთა შორის".

დიმიტრი ჯანაშვილის რვეულის მიხედვით, სამ-ოთხ წელიწადში ყველა ქრისტიანი გამუსულმანდა, ამას ხელს ბოქაულები, მუსულმანი ნაიბებიც უწყობდნენ, რომლებიც ძალას ხმარობდნენ ქართველ მოსახლეობაზე. ის ჩამოთვლის სოფლებს, რომლებმაც ვერ გაუძლეს ათასგვარ ზეწოლას, სამართლებრივ დევნას და მიიღეს მაჰმადის რჯული. „გამუსულმანდა ს. თასმალო, სადაც კვირაცხოვლობის დიდი დღესასწაული იცოდა და სოფელი ლალაფაშა, სადაც მუსულმანობა მიიღო იმ ინგილოს ოჯახობამაც, რომელიც იმ 7 დეპუტატში ერია, რომელნიც თავისი ნებით წავიდნენ თბილისში და მოინათლენ 1840 წელს. სოფელ ენგიაში გამუსულმანდა ეკლესიის მნათეც, რადგან ეკლესია დაიკეტა, მთელი სოფლის გამუსულმანების გამო. მათსავე მაგალითს მიჰბაძეს რამდენიმე სიღნაღელმა დედაკაცმა, რომელნიც გამოთხოვილნი იყვნენ ინგილოებზედ."

„ამგვარად, გამუსულმანდა საინგილოთა ის სოფლები, სადაც მთელი საუკუნეობის განმავლობაში, მიუხედავად ლეკთა და ყიზილბაშთა თარეშისა, ნათელი ქრისტიანობისა არ აღმოფხვრილა, ეხლა ისლამმა მოიცვა და მეჩეთ-მინარეთებით აივსო საინგილო", — წერდა დიმიტრი ჯანაშვილი [4]. ზაქარია ედილაშვილი დიმიტრი ჯანაშვილის ჩანაწერებს თავისებურ კომენტარებს უკეთებდა და საინგილოს ბედს საქართველოს მომავალს უკავშირებდა.

1916 წელს, როდესაც მსოფლიო ომის საშინელებამ თურქეთიდან ბევრი მაჰმადიანი ქართველი კვლავ სამშობლოსკენ გამოჰყარა, ეროვნულ-დემოკრატმა მოღვაწემ და დიდმა პატრიოტმა, ერთ დროს სოხუმის ქალაქის თავად

ნამუშევარმა ნიკო თავდგირიძემ წინადადება წამოაყენა ხელისუფლების მაშინდელი ორგანოების წინაშე, რომ ამ ქართველ მაჰმადიანებს მისცემოდათ მიწები სოხუმის ოლქში. ამ წინადადებას გამოეხმაურა ზაქარია ედილაშვილი, რომლის პუბლიკაცია „საქართველოში“ ეხებოდა საინგილოში არსებულ კანონს, სადაც არავის შეეძლო მიწის ყიდვა, გარდა ზაქათალის მკვიდრისა. ზაქარია ედილი იხსენებდა კანონის შემოღების დროს, XIX საუკუნის II ნახევარს, როდესაც აქაური მმართველი, ოლქის უფროსი იყო რუსი მოხელე სერაფიმოვიჩი, რომელსაც ედილი „ფხიზელ და ხალხის მოყვარულ ადმინისტრატორად“ მიიჩნევდა და ხედავდა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიწა-წყალი განიავებული იყო, იგი სომეხთა ხელში გადადიოდა და რომ სერაფიმოვიჩი არა, ათითხუთმეტი წლის შემდეგ საინგილოელ კაცს აღარაფერი დარჩებოდა. მან, ზაქარია ედილის ცნობით, ფიცხლად აღძრა შუამდგომლობა, რომ საინგილოში აკრძალულიყო უცხოზე მიწების გაყიდვა და მისი შეძენა შეძლებოდათ მხოლოდ ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას, სომხებისა და სხვების შეძენილი მიწები ძალით ჩამორთმეოდათ მათ მფლობელებს და ძველებს დაბრუნებოდათ. ისე დახატა სერაფიმოვიჩმა ხალხის მდგომარეობა, რომ მთავრობა დაეთანხმა ოლქის უფროსს და საინგილოში აიკრძალა მამულების გაყიდვა უცხო პირებზე. ზაქარია ედილი იმ გადმოცემასაც იგონებდა, რომლის მიხედვით ერთ დიდ ინგილოურ სოფელში მისული სერაფიმოვიჩი შეხვდა მიწის მსხვილ მფლობელს, მოთხოვა საბუთები მიწის ნასყიდობაზე და როდესაც ის აჩვენეს, ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ასე გადაურჩინა მან მამა-პაპეული მამული ინგილოებს. „დარწმუნებული ვარ, — წერდა ედილი, — რომ არ ყოფილიყო ეს იძულებითი კანონი, დღეს საინგილოს მცხოვრებთ მთელი მამული ხელიდან ექნებოდათ წასული, მისი ბატონ-პატრონი სხვა იქნებოდა და ინგილო ბოგანო, უსახლკარო იქნებოდა, სხვის ხელის შემაცქერალი“.

ზაქარია ედილი აკრიტიკებდა ნ. თავდგირიძის შუამდგომლობას, უკავშირებდა მას ინგილოებში მომხდარ შემთხ-

ვევას და დაკვირვებას ურჩევდა ყველას, როდესაც საქმე მიწათმფლობელობას ეხებოდა. „ინგილოებს შერჩათ საკუთარი მამული ხელში და ეხლა კი, როცა ხალხი უფრო შეგნებით და სიყვარულით უცქერის მამულის საჭიროებას, გინდაც გაუქმდეს ეს კანონი, იმდენად საფრთხე აღარ არის.

ჩვენი მოღვაწეობა, მამულიშვილობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ მოსულთაგან დაიცვას ჩვენი მიწა-წყალი და არა გააღოს კარი და ფიანდაზად მიართვას თავისი ავლადიდება", — ასკვნიდა პუბლიცისტი [5].

მისი აზრი, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ-ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობდა, თუმცა ლტოლვილ მაჰმადიან ქართველთა დასახლება სოხუმის ოლქში, რომლის კოლონიზაციას მთელი XIX-XX საუკუნის მანძილზე ასე გაჩქარებით აწარმოებდნენ რუსები, სომხები, ბერძნები და სხვა ეროვნების ხალხი, არ იქნებოდა ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის რაიმე საფრთხის შემცველი.

საინგილოს გადაგვარებას, მის მოწყვეტას ქართული სამყაროდან და დენაციონალიზაციას ეხება მისი პუბლიკაცია — „საინგილოს გადაგვარება", რომელიც გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა [6].

პუბლიცისტი ნათლად ხედავდა, რომ გამაჰმადიანებული ქართველები სულ უფრო შორდებოდნენ დედა-ენასა და სამშობლოს, იგივე ბედი ელოდათ ქრისტიან ინგილოთაც, რადგან მათში ქართული ენა და განათლება დაბალ დონეზე იყო. გამოსავალს ქართული სკოლების დაარსებაში ხედავდა. ეს უნდა მომხდარიყო მაჰმადიან ინგილოებშიც, რათა გადარჩენილიყო ეროვნული სული. ზაქარია ედილის პუბლიკაციები მრავალმხრივაა საყურადღებო. მათი ნაწილი ისტორიული ხასიათისაა და შესაძლოა ჩვენთვის წყაროს მნიშვნელობაც ჰქონდეს ისევე, როგორც მის მიერ გამოქვეყნებულ დიმიტრი ჯანაშვილის რვეულს.

ასეთია წერილი ეპისკოპოსებზე — იოანე მანგლელსა და იოსებ სამებელზე, რომლებიც ვახტანგ VI-ის დროს მოსკოვში გადასახლებულ ქართველთა შორის იყვნენ. ისინი რუ-

სეთში ცდილობდნენ ქართული კულტურის აღორძინებას, ვახტანგის მიერ გამართულ სტამბაში ქართული წიგნების დაბეჭდვას და გამოგზავნას საქართველოში. იოსებ სამებელს მანგლელი ეხმარებოდა და ასტრახანითა და ყიზლარით გზავნიდნენ საქართველოში წიგნებს.

იოანე მანგლელმა იოსებ სამებელს მიმართა თხოვნით, რათა დახმარებოდა ნებართვის აღებაში, ყიზლარში ეკლესიის აშენების თაობაზე. იოსებ სამებელმა, რომელსაც უკვე წინასწარ ჰქონდა განზრახული იოანე მანგლელთან ყიზლარში დასახლება, მხურვალე მონაწილეობა მიიღო მონასტრის აშენების ნებართვის მოპოვებაში.

ზაქარია ედილი აღწერდა იმ სიძნელეებს, რაც ამ ეპისკოპოსებს შეხვდათ ყიზლარში ქრისტიანული მონასტრის აგებაში. მოსკოვიდან ყიზლარისკენ სასიხარულო ამბით გამომგზავრებული იოსებ სამებელი როგორ გარდაიცვალა ქ. სარატოვში, საიდანაც წამოასვენეს და ასტრახანში დაასაფლავეს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში 1750 წლის სექტემბერში, ხოლო იოანე მანგლელმა ამ სამწუხარო ამბის შემდეგ სულ რამდენიმე თვეღა იცოცხლა და აღესრულა 1751 წლის 28 მარტს.

ანდერძით მანგლელი დავით გარეჯელის უდაბნოში დაკრძალვას ითხოვდა, მაგრამ ასტრახანის ეპისკოპოზს მოახსენეს, რომ უგზოობა და შიშიანობა იყო ამ გზაზე და ითხოვეს ადგილობრივ მონასტერში მიცვალებულის დამარხვა, რისი ნებართვაც მიიღეს. „შებღალული ანდერძის ქომაგად, — წერდა ზაქარია ედილი, — გამოვიდა ძმა მისი ნიკოლოზ სააკაძე, პორუჩიკი რუსეთის ცხენოსანთა რაზმისა, რომელმაც ითხოვა ნებართვა ნეშთის სამშობლოში გადმოტანისა და წამოასვენა საქართველოში, მაგრამ რადგანაც დავით გარეჯელის მონასტერი იმჟამად დაცარიელებული იყო, რომელშიაც ანდერძის თანახმად უნდა დაეკრძალათ იოანე მანგლელი, ამიტომ დაკრძალული იქმნა სიონის ტაძარში.

მას ძალიან დიდი მადლის მქონედ მიიჩნევს პუბლიცისტი. იმასაც წერს, რომ გიორგი XII-მ ორჯერ გაახსნევინა მისი

აკლდამა, ეამბორა და თხოვა ავადმყოფი შვილების განკურნება, რაც შეუსრულდაო [7].

ზაქარია ედილაშვილი, როგორც „საქართველოს" კორესპონდენტი საინგილოდან, ხშირად აგზავნიდა რედაქციაში წერილებს ამ კუთხეში არსებულ მდგომარეობაზე, რასაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს წინა საუკუნეში ინგილოთა ცხოვრების შესასწავლად.

პუბლიცისტი საუბრობდა მეწყერზე, რომელიც ყოველწლიურად ანადგურებდა აქაურთა ყანებსა და ვენახებს, საკარმიდამო მიწებს. რიყვები, ანუ ჩეილაღები, რასაც ხალხი უწოდებს ქვითა და კლდე-ღრით სავსე ადგილებს, ჩამოწვებიან ბარად და ყველაფერს აფუჭებენო. ის ასახელებს მდინარეებს — მაჭის წყალს, ბელაქნის წყალს, კატეხს, თალის და ქურსუხს, რომლებიც სოფლებს აოხრებდნენ, როდესაც მოდიდდებოდნენ. მთავრობა ამ საერთო უბედურების წინააღმდეგ არაფერს აკეთებდა. ხალხი ცდილობდა ჯებირების („ბენდი") გაკეთებას, რაც ვერ იკავებდა ადიდებულ წყალს და მდგომარეობას ვერ ასწორებდა.

პუბლიცისტი აღწერდა ახალ ვითარებას, როდესაც მთავრობამ ხალხს 40 დესეტინა ტყე დაუთმო ჯებირის გასაკეთებლად, ამით მოსახლეობა ტყეს გაანადგურებს, საქმეს კი არაფერი ეშველებაო, — წუხდა ედილი. ის ითხოვდა გამოცდილი ინჟინრების მიერ კედლების ამოშენებას და არა ასეთ ხელოვნურ ღონისძიებას, რაც მხოლოდ ტყეებს ანადგურებდა და დასახულ მიზანს ვერ შველოდა.

პუბლიცისტი მეორე, საინგილოსთვის აქტუალურ საკითხსაც სვამდა. ეს იყო შაბიამნის შეძენა-შესყიდვა, რაც ფრიდონოვის ფირმამ ითავა, მაგრამ არ შეასრულა პირნათლად მოვალეობა, პირიქით, წერდა იგი, — მან სპეციალური ხრიკები მოიგონა, მოწმობები მოითხოვა ვენახების ქონებაზე, რაც სასწრაფოდ, ყალბად წარადგინეს ადგილობრივმა ვაჭრებმა, რომელთაც ხელში ჩაუვარდათ შაბიამნის დიდი პარტია და ახლა ისინი მიჰყიდიან ძვირად გლეხებსო.

ზაქარია ედილი სვამდა საკითხს, რომ ფრიდონოვისთანა

ხალხი, რომელთაც საქართველოში გამდიდრება სურდათ და არა ქართული საქმის სამსახური, ჩამოეცილებინათ შაბიამნის ფირმისათვის და ამ ნივთიერების შემოტანა პირდაპირ ინგლისელებისათვის ეთხოვათ, სადაც ჩვენებური კაცი, ღამბაშიძე კომისიონერობს და პატიოსნადაც მოგვექცევაო.

პუბლიცისტი „საქართველოს" მკითხველებს აცნობდა სხვა მეორე, ხორბლით მოვაჭრის საქციელს, რომელმაც კაკის კოოპერატივიდან უფლება მიიღო ორი ვაგონი ხორბლის შემოტანის. ერთი შემოიტანა, მეორე კი ძვირად გაყიდა. ეს მაშინ, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა შიმშილობდა. ოლქის უფროსს — სემიონოვს დაუსჯია ვაჭარი, მისთვის 3000 მანეთის ჯარიმა დაუდვია, თანაც სადგურ ევლახში შემოსული ორივე ვაგონი მოუხსნია და კაკის კოოპერატივისთვის გადაუცია.

ასეთი მკაცრი უნდა იყოს ხელისუფლება ვაჭრების მიმართო, — წერდა ედილი.

ედილი საინგილოდან მოწერილ სხვა წერილში ლაპარაკობდა ქართველთა ეკონომიკურ ჩამორჩენაზე, ამ მხარეში მეაბრეშუმეობის განვითარების დიდ პერსპექტივებზე. „ჩვენ, ქართველები ეკონომიკურ საკითხში მეტ სიბეცესა და უცოდინარობას ვიჩენთ. ეს სიბეცე გახლავთ ბაზრის უცოდინარობა, მისი სიავ-კარგე, მისი მაზანდა და სხვ. აი, ავიღოთ სიმინდი, რომელიც ეხლა იმერეთში მამა-სისხლად იყიდება და ამავე დროს ჩვენს სიახლოვეს, თერგის ოლქის ზოგიერთს ადგილებში 40-50 კაპიკად".

ის გულისტკივილით ლაპარაკობდა აბრეშუმის ფასზე იმერეთში, იმაზე, რომ ხონში და იმერეთის სხვა რაიონში კგ. აბრეშუმის პარკი 20-25 მანეთად იყიდებოდა, ხოლო საინგილოში 38-41 მანეთად, ნუხაში კი 40-45 მანეთი ღირდა.

„ბატონებო! — მიმართავდა ედილი მკითხველებს, — გაუფრთხილდით თქვენს საცხოვრებელს, ნუ ჰყრით და ნუ აძლევთ ჩალის ფასად ჩარჩ-ვაჭრებს. შეისწავლეთ ჯერ ბაზარი და მერე ისე გაიტანეთ თქვენი საქონელი გასაყიდად.

თუ ვინმესთვის საჭირო იყოს პარკის ბაზარი, მოჰმართოს სოფ. კახში (ზაქათალის ოლქი) მომხმარებელს საზოგადოებას და დიდის სიამოვნებით მივაწვდით ცნობებს და შუამავლობას გავუწევთ აბრეშუმის მექარხნეებთან".

მისი აზრით, ქუთაისის გუბერნიაში ვაჭრები ხელოვნურად სცემდნენ აბრეშუმის ფასს, მოუწოდებდა კოოპერატივებს, ეხელმძღვანელათ აბრეშუმის გაყიდვისათვის და ხალხი ასეთ ზარალში არ ჩაეგდოთ [9].

ზაქარია ედილი სხვა წერილშიც საუბრობდა აბრეშუმის მაღალ ფასზე საინგილოში, ვაჭრებისაგან გლეხთა ძარცვაზე, განსაკუთრებით სომეხ ვაჭრებს აკრიტიკებდა, მოჰყავდა ერთი მაგალითი, როგორ უჩიოდა სომეხი სტუდენტი თათარს, — აბრეშუმის თესლი მივეცი და მოწეული პარკის მესამედს არ მაძლევსო. ნაიბს უპასუხია: თესლი ერთი კოლოფი 2 მანეთი ღირს და 40 მანეთი კგ. აბრეშუმი, მოყვანილი ექვსი ფუთის მესამედს ვინ ჭკვიანი მოგცემსო და სტუდენტი გაუგდია.

ასეთი „ჭკვიანები" არიან სომხის ვაჭრები, სტუდენტებიც კიო, — წერდა ედილი [10].

ზაქარია ედილს ეკუთვნის გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებული რამდენიმე წერილი — ერეკლე მეფე და გრაფი ტოტლებენი [11]. ეს წერილები მისი ინტერესების მრავალფეროვნებასა და სიღრმეზე მეტყველებენ. ზაქარია ედილს, პროფესიით ვეტერინარს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტს, ქართული მწერლობა და საქართველოს ისტორია იზიდავდა და კალამს აღებინებდა ხელში, რათა თავისი ისტორიული თუ მხატვრული ნააზრევი გადმოეცა. ედილის ეს ისტორიული პუბლიკაციაც შეიძლება საჭირო და საინტერესო იყოს ერეკლე II-ის სამხედრო ხელოვნებასა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

ზ. ედილაშვილის ერთ-ერთ 1916 წლის სტატიაში, რომელიც ალექსანდრე ყიფშიძის გარდაცვალებას ეძღვნება, საუბარია იმაზე, თუ როგორ გახსნა მან პირველი კოოპერა-

ტივი საინგილოში, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აქაურთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ზაქარია ედილი იგონებდა თანასოფლელ ყიფშიძეებს, კერძოდ ერთ ძმას, ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელს, რომელსაც, გარდა სამწერლო, ისტორიული და პუბლიცისტური ნაშრომებისა, ჰქონდა დიდი პრაქტიკული ნაღვაწიც, მას ლიახვისა და ფრონის ხეობაში ისე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რომელსაც მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტი თუ შეედრებოდაო. როდესაც ალ. ყიფშიძემ სოფელს მიაშურა და იქ დიდი მეურნეობა შექმნა, გამოცდილება სხვებსაც გაუზიარა, ის კი არადა, დაეხმარა გლეხებს მსგავსი მეურნეობების შექმნაში, მათ შორის, მეც მაიძულა საინგილოში კოოპერატივები შემექმნაო.

ზაქარია ედილი კოოპერატიულ მოძრაობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ყოველნაირად უჭერდა მხარს, რასაც ალ. ფრონელის დამსახურებად თვლიდა [12].

ზაქარია ედილაშვილი საინტერესოდ გადმოსცემდა საინგილოში შექმნილ ვითარებას 1917 წლის მარტში, როდესაც ამ კუთხეში მივიდა ცნობა რუსეთის იმპერიის დარღვევისა და საქართველოს შესაძლო გათავისუფლების. ხალხი ვერ მიხვდა თავისუფლების მნიშვნელობასო, — წერდა „საქართველოში" მისი კორესპონდენტი, საინგილოში სოფ. კაკის კოოპერატივი დაარბიეს, მუშა-მოსამსახურეებიც კი გარეკეს, რადგან თავისუფლება მოქმედების სრულ თავისუფლებად აღიქვესო.

ზ. ედილაშვილი ამგვარ ქმედებას აბრალებდა ხალხის გაუთვითცნობიერებას, იმას, რომ მათთან არავინ ჩაატარა აგიტაცია, არ აუხსნა საქართველოს თავისუფლების არსი.

1917 წლის 25 მარტს ასე აღწერდა პუბლიცისტი: „25 მარტი მართლაც წარუშლელი იქნება საინგილოს ცხოვრებაში. ამ დღეს, წირვის გამოსვლის შემდეგ, აუარებელი ხალხის თანდასწრებით, წითელი ბაირაღებით გაემართა ხალხი ბაზრისაკენ. მეტად საყურადღებო იყო ზოგი ბაირაღის წარწერა: მაგ.: გაუმარჯოს ერთობას და პატარა საინგილოს,

გაუმარჯოს ქალთა თავისუფლებას. მარსელიოზას სიმღერით მიმავალ ხალხს ბაზარში ელოდა აუარებელი სომხობა და თათრობა... აქ თავიანთ ენაზე უმარტავდნენ ხალხს თავისუფლებას, ქართულზე, სომხურზე, თათრულზე, ლეკურზე, მეტად ერთსულოვნება და აღფრთოვანება იყო".

ორატორები მოუწოდებდნენ ხალხს წარსულში არსებული ქიშპობის და მტრობის დავიწყებას, ერთად მოქმედებას, ძმობას და მეგობრობას ურჩევდნენო, — წერდა ზ. ედილი. მოლამ შთამბეჭდავი სიტყვა თქვა ძმობაზე და ხალხი იქვე გადაკოცნაო. ერთმა ბნელით მოცული საინგილოს წარსული გაიხსენა და თქვაო: ამ ბნელშიც იყვნენ თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირებიო და გაიხსენა კონსტანტინე ბაირამაშვილი, რომელიც 1905 წელს ვერაგულად მოკლეს კუსაში, სადაც ტუსაღი იყოო. ხალხმა მოისურვა ეკლესიაში წასვლა და ამ პიროვნების მოსახსენებლად პანაშვიდის გადახდა, წავიდა ეკლესიაში და ჩამოჰგლიჯა წარწერა, რომელიც ტაძარზე ეკიდა: „მათი იმპერატორობითის ხელმწიფის დაქორწინების აღსანიშნავად არის აგებული ეს ეკლესიაო". გადაიხადეს პანაშვიდი და ხალხს მოუწოდეს ბაირამაშვილის სახელობის სკოლის აშენება, აქ ერთმა თათარმა თქვა მგრძნობიარე სიტყვაო: „ჩვენ, თათრებს, სომხებს და სხვათ თავისი საკუთარი ეროვნული სკოლები გვქონდაო, რომლებშიც ასე თუ ისე ჩვენი ენები ისწავლებოდა და ეროვნული სული ტრიალებდა, ქართველი ერი დიდ გამონაკლისს შეადგენდა ამაშიო, მას სრულიად ჰქონდა დახშული კარი ეროვნული სკოლისაკენ და დღეს დადგა მისთვის ის დრო, რომ მანაც ამგვარი სკოლა დააარსოსო და ყველანი, განურჩევლად ეროვნებისა, დავეხმაროთ მას ამაშიო". იქვე, ზ. ედილის ცნობით, გამართულა ხელმოწერები და 285 მანეთიც შეკრებილა, რაც საკმაოდ კარგი თანხა ყოფილა საქმის დასაწყებად. ხალხი ნასიამოვნები და გახარებული დაშლილა [13].

1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ე. წ. სამხრეთ ოსეთში დაიწყო ოსთა სეპარატისტული მოძრაობა, რასაც რუსეთი უწევდა ინსპი-

რაციას, აქეზებდა ოსებს — გამოყოფოდნენ საქართველოს და თავი რუსეთის ნაწილად გამოეცხადებინათ. ქართული საზოგადოებრივი აზრი, ბუნებრივია, ამ აქტის წინააღმდეგი იყო, აღნიშნავდა მის უკანონობას, ამასთანავე არკვევდა ქართულ-ოსური ურთიერთობის ყველა მხარეს. ზაქარია ედილაშვილის წერილიც „საქართველოს ოსები" — ამ მიზანს ისახავდა. პუბლიცისტის აზრით, დღეს ოსები კავკასიის გადმოღმა ქედებზეც ცხოვრობენ, თუმცა წარსულში მათი სამშობლო მხოლოდ ჩრდილო კავკასია იყო. „ჩრდილო კავკასიის მაშინდელ იახსებს (ასე იხსენიებს მათ ისტორია) კულტურული დამოკიდებულება და მონათესაობა ჰქონდათ საქართველოსთან და მისი კულტურის გავლენის ქვეშ იყო მთელი ოსეთი ძველ დრომდის", — წერდა ზ. ედილი და ასახელებდა მთელ რიგ ქართულ ეკლესია-მონასტრებს, ხატებს, ქართულ წარწერებს ოსეთში. თვით მწერლობა უძველეს დროში ოსეთში ქართული იყო, ძველი ოსური პოემა „ალღუზიანი" ქართულ ენაზედაა დაწერილი, ოსთა სამღვდელოებაც ქართველებისაგან შედგებოდა, „ვიდრე რუსეთმა ოსების ქართველებისგან ჩამოსაშორებლად ცალკე ოსთა სემინარია არ დააარსა ს. არდონში ოსთაგან სამღვდელოების მოსამზადებლად"-ო.

საქართველოში ოსთა ჩამოსახლება-მომრავლებას პუბლიცისტი აბრალებდა იმ გარეშე პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელშიდაც ისინი აღმოჩნდნენ. სკვითებმა და ყივჩაღებმა, შემდეგ კი ყაბარდოელებმა და ყაზახებმა შეავიწროვეს ისინი და შესჭედეს კავკასიის მთაგრეხილის მიუვალს ხეობებში"-ო. გვიან საუკუნეებში (ზ. ედილის თქმით ეს პროცესი XIX საუკუნის ბოლოდან გააქტიურდა) ოსები საქართველოს მთასა და ბარს მოედვნენ და ამაში თვით ქართველების ბრალიც იდო. პუბლიცისტი ოსთა მიგრაციას ასე აღწერდა: „ოსებს სული ეხუთებოდა, ველარ სძლებდნენ და ეგუებოდნენ ჩრდილო კავკასიის ვიწრო ხეობებს და საქართველოსკენ გამოიცქირებოდნენ. მათ სასიხარულოდ, ის ადგილები, რომელნიც ოსეთსა ჰსაზღვრავდნენ, იმჟამად საქართველოსაგან ცარი-

ელნი აღმოჩნდნენ. ჩვენი თავადიშვილნი და განსაკუთრებით მაჩაბელნი, რომელთა საკუთრებას წარმოადგენდა ოსეთის მოსაზღვრე ადგილები, სიხარულით იწვევენ ოსებს და ისინიც თანდათან საშინელის სისწრაფით მოიწევენ ქართლისაკენ და მას შემდეგ ეს სწრაფი დენა დღესაც არ შეჩერებულა. რაკი ერთხელ მოიკიდეს ფეხი ოსებმა, მომაგრდნენ მთებში, მაშინ ბარისაკენ შურით დაიწყეს ყურება და ბარის ხელში ჩასაგდებად აღარაფერს აღარ იშურებდნენ. ამას ხელს უწყობდა ქართლელი გლეხის გულუბრყვილობა და ჩვენი თავადების გაუმაძღარი სურვილი ვითომ ოსების ჩასახლებით, ახალის ყმების შოვნით ძველის ბატონობის ნასახი შენარჩუნებოდა მაინც. თავადაზნაურობა მათ უმთავრესად ტყიან ადგილს აძლევდა, რომელთაც ისინი ჩეხავდნენ და სახნავ-სათეს ახოებად აქცევდნენ. ასე აივსო არა მარტო სამაჩაბლო, არამედ საციციანო და საფალავანდო ოსებით. ქარელი, გორი, სკრა, გომის რკინიგზის სადგურებზე ოსური ისმის, რასაც ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ ვერ გაიგონებდითო". ასე ხატავდა ოსურ მიგრაციას ზ. ედილი. ის საქართველოში ოსების მეურნეობასაც ახასიათებდა, აღწერდა რა ულამაზეს ლიახვის ხეობას, გულისტკივილით აღნიშნავდა, რატომ მიატოვეს ქართველებმა ეს ჯანსაღი და მდიდარი მიწა-წყალი და რად დაუთმეს ოსებსო, რაზეც ერთი მღვდლის პასუხი მოჰქონდა. ოდესღაც აქ ქართველებს უცხოვრია, მაგრამ ხოლერა გაჩენილა, ამოხოცილან და მათი ადგილი ოსებს დაუჭერიაო. ამის სიმართლეში პუბლიცისტს არწმუნებდა არქეოლოგიური ნაშთები, ისტორიული საბუთები. ყველაფერი ამ მხარეში ქართული ნიშნით იყო აღბეჭდილი.

როდესაც ოსების ანტიქართული აჯანყება ჩაახშეს და ისინი საქართველოს სახელმწიფოს დაუმორჩილეს, ზაქარია ედილის თქმით, ოსთა ეროვნულმა საბჭომ მთავრობას მოთხოვნა წაუყენა — მცირემიწიანი ოსები მიწებით დაეკმაყოფილებინათ, განსაკუთრებით ისინი ითხოვდნენ ქართლისა და კახეთის ბარს. ამ დროს, მართლაც, ბევრი ოსი დასახლდა კახეთის სოფლებში.

პუბლიცისტი გულდაწყვეტილი იყო იმის გამოც, რომ საქართველოს ტყით უმდიდრესი ხეობა ოსებს ეკავათ, რომლებიც მამასისხლად ჰყიდდნენ ხე-ტყეს ბარის ქართველობაზე. ქართულ ფულს, ბონებს, ისინი არ ხმარობდნენ, რადგან ჩრდილო კავკასიაში ამ ფულს არ ღებულობდნენ, მათ კი კავშირი ძირითადად ამ რეგიონთან ჰქონდათ. ამიტომ ითხოვდა ზ. ედილი ამ საკითხის როგორმე მოწესრიგებას, ოსების მეტად დაკავშირებას ქართულ სამყაროსთან. [14].

ზაქარია ედილაშვილი სახიფათოდ თვლიდა როკის უღელტეხილით გზის გაყვანას ალაგირამდე, მიაჩნდა, რომ ეს გზა ოსების სეპარატიზმს კიდევ უფრო გააღვივებდა. ამასთან, აღნიშნავდა ოსების დემოგრაფიულ მატებას, მრავალშვილიანობას, მათ სულიერ შეკავშირებას, სწრაფვას საქართველოს თავისუფალი მიწების ათვისებისაკენ. საჭიროდ თვლიდა, რომ საქართველოს ეგრძნო ოსური საფრთხე, გაეთვალისწინებინა იგი და ეძებნა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან: „ქართლს საშინელი საფრთხე მოელის, — წერდა ზ. ედილი — და ამ ფრიად სერიოზულს საკითხს ჩვენმა მთავრობამ დროით უნდა მიაქციოს ყურადღება და ოსებს სხვა ადგილი მისცეს სადმე დასასახლებლად, რათა ოსებმა მთელი ქართლი შუაზე არ გაჰგლიჯონ და ამით დიდი საფრთხე არ მოუმზადონ საქართველოს. ყველაზედ უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ოსებისათვის თავის ძველ სამშობლოზედ მიგვეთითებინა, ე. ი. ჩრდილო კავკასიაზედ. ჩრდილო კავკასიაში უფრო მეტი თავისუფალი ადგილებია, ვიდრე ბედკრულ საქართველოში, რომელსაც ათასი სხვა ერი ეპოტინება“.

ისტორიამ, სამწუხაროდ, აჩვენა ედილის ამ სიტყვების სიმართლე, მისგან მითითებული „ოსური საფრთხე“ რეალობად იქცა.

ის აღნიშნავდა, რომ უმიწაწყლო ქართველები (რაჭველები) გადასახლდნენ ალაგირსა და ნალჩიკში და ოსების გადასახლება იმ ძირძველ ოსეთში უფრო სწორი იქნებოდა, რაჭველები თავიანთ სამშობლოს დაუბრუნდნენ, ოსები კი იქ

წავიდნენ, რათა ისედაც უმიწაწყლო ჩვენი გლეხობა უფრო მეტად არ შევიწროვდესო [15].

ზაქარია ედილაშვილი ხშირად წერდა დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს არათანაბარ საარჩევნო პირობებზე. მას მიაჩნდა, რომ სამთავრობო პარტია, რომელიც პირველი ნომრით იყრიდა კენჭს, იყენებდა ძალადობას, აგიტაციისა და პროპაგანდის საარჩევნო მეთოდებს არ ჯერდებოდა, დაშინების, იძულების მეთოდით, შეიარაღებულ მილიციონერთა გამოყენებით, სოციალური დაუცველობის გათვალისწინებით ყველაფერს აკეთებდა, რათა ხალხი მთლიანად თავის მხარეზე გადაეყვანა. „ამგვარად, შექმნილია ერთგვარი მონოპოლია პირველი ნომრისა, რომელთაც მთელი ქართლის სოფლები ჩაუგდიათ ხელში და ქალიან-კაციანა მათი ყურმოჭრილი მონანი გამხდარან", — ასკვნიდა იგი. ზაქარია ედილაშვილი, როგორც „საქართველოს" კორესპონდენტი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ზემო ქართლის სოფლების კონკრეტულ მაგალითზე წერდა და ავლენდა საარჩევნო პროცესის არადემოკრატიულობას, არჩევნების დროს არსებულ დარღვევებს, როცა ფარულად კი არ ხდებოდა ბიულეტენთა ჩაყრა, არამედ სოციალ-დემოკრატი მეთვალყურეების კარნახით [16]. მისი ვრცელი წერილი არჩევნების შესახებ, ხალხის ვნებათაღელვა, კამათი და დავა, ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოში ეს იყო პირველი ცდა, ეროვნული ორგანოების დემოკრატიულად არჩევისა, თუმცა, მას, გამომდინარე სიახლიდან თუ ქართული ხასიათიდან, ბევრი დარღვევაც ახლდა. ამ მხრივ თითქმის საუკუნის შემდეგაც კი, ბევრი არაფერი შეცვლილა საქართველოში.

ზაქარია ედილაშვილი, საინგილოს გარდა, სხვა თემებზეც აქვეყნებდა წერილებს გაზეთ „საქართველოში". საინტერესოა მისი პუბლიკაციები სასკოლო განათლებასა და სოფლის სასწავლებლებზე. მას უმოგზაურია შიდა ქართლში, ფრონის ხეობასა და ცხინვალის სოფლებში და აღწერდა ამ სოფლების მცხოვრებთა მდგომარეობას, განსაკუთრებით აკრიტიკებდა

პუბლიცისტი ხალხის ცრურწმენას, ათეიზმს, ეკლესიისა და მღვდელ-მონაზონთა ქმედების გამო რწმენის შესუსტებას. იგი აღწერდა ცალკეულ ფაქტებს, როდესაც შობის მარხვაში, მიცვალებულების პატრონებს საკლავი დააკვლევინეს მღვდლებმა, თავადაც ჭამეს და ხალხსაც ნება დართეს — ეჭამათ. ამის გამო რწმენა დაიკარგა, გახშირდნენ მკითხაველები და ცრუწინასწარმეტყველები, რომლებიც აიძულებენ მოსახლეობას კვირაში სამჯერ მაინც იმარხულონ, რომ ღვთის მადლი დაიბრუნონ. ამან გაზარდა უსაქმობა, სიზარმაცე, რამაც, საბოლოოდ, ისედაც გაღატაკებული ხალხის კიდევ უფრო გაღატაკება გამოიწვიაო. ასეთი მამების ხელში — წერდა ზ. ედილი, — დაინგრნენ და გაპარტახდნენ ძვირფასი ეკლესია-მონასტრებიო. პუბლიცისტი ასახელებდა მის მიერ ნანახ თიღვის მონასტერს, რომელიც ნახევრად გაპარტახებული დახვედრია იქ არსებულ სკოლასთან ერთად. სამღვდელოების დაცემის მიზეზს პუბლიცისტი მთავრობის იმ ქმედებაში ხედავდა, როდესაც დაიკეტნენ სასულიერო სასწავლებლები, სემინარიები, რომელთა მეშვეობით ხდებოდა სამღვდელოების განათლება. ის ასახელებდა გორის სასულიერო სასწავლებელს, რომელიც უნდა დაკეტილიყო და გადაკეთებულიყო საერო გიმნაზიად, სადაც გადასახადი 400 მანეთი იყო. სასულიერო სასწავლებლის 200 მოსწავლე ქუჩაში რჩებოდა, რადგან სწავლის ფულს ვერ იხდიდნენ. ზ. ედილი საჭიროდ მიიჩნევდა გორის სასულიერო სასწავლებლის გადაკეთებას სამეურნეო სკოლად, რომელსაც ექნებოდა 40 დესეტინა მიწა, სადაც მოსავალს მოიყვანდნენ და საკუთარ ხარჯებს თვითონვე დაფარავდნენ. მათი იქნებოდა სოფელ სკრაში ავსარქისოვის და ფრიდონოვის ხეხილის ბაღი, მოსწავლეებიც მოიგებდნენ ამით და საზოგადოების განვითარების საქმეც წინ წავიდოდა.

„გორის საზოგადოებას მართებს ყოველმხრივ დაეხმაროს მასწავლებელთა კეთილ განზრახვას, — წერდა პუბლიკაციის დასასრულს ზ. ედილი, — რითაც ერთის მხრივ 200 მოსწავლეს ქუჩაში არ დატოვებს და მეორეს მხრივ

გორის მაზრას შესძენს ისეთს სასწავლებელს, რომელსაც ის დიდი ხანია საჭიროებს. მაშინ ჩვენც დავულოცოთ გზა და ვუსურვოთ მასწავლებელთ კეთილად დაეგვირგვინებინოთ განზრახული საქმე"[17].

წერილიდან ჩანს, რომ პუბლიცისტი უკმაყოფილო იყო სასულიერო სასწავლებლის დახურვით, მაგრამ თუ ეს გარდაუვალი იყო, ყველაზე საუკეთესო ვარიანტად ამ სასწავლებლისთვის სასოფლო-სამეურნეო პროფილის მიცემა ესახებოდა, რაც, უდავოდ, სწორ შეხედულებას წარმოადგენდა. ამ დროს პროფესიონალური სკოლების ნაკლებობა იყო მთელს საქართველოში, სოფლის მეურეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის აუცილებელი იყო სპეციალისტების აღზრდა, მათ მიერ მეცნიერული მეთოდების დანეგვა, რაც გაზრდიდა აგრარული ქვეყნის სამეურნეო პოტენციალს.

როდესაც ზაქარია ედილაშვილის პუბლიკაციებს კითხულობ, წვდები იმ პრობლემების არსს, რაც მათ ავტორს აღელვებდა, ხვდები რომ საქმე გვაქვს ნამდვილ პატრიოტთან, დიდ მამულიშვილთან, იმ ტიპის ქართველ მოღვაწესთან, რომლისთვისაც ქართული მიწის ყველა ნაჭერი ძვირფასი იყო, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, — გასხვისებულ თუ მიტაცებულ ისტორიულ ნაწილში თუ შიდა საქართველოში. ის მუდმივად იღვწოდა, ეძებდა მომავლის აშენების გზას, სწამდა, რომ ეს გზა თავდადებაზე, მუდმივ ძიებაზე, შრომასა და ბრძოლაზე გადიოდა. რაც მთავარია, ის აუცილებლად გამოჩნდებოდა და უფლის ტაძართან მიიყვანდა ქართველ ერს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ზ. ედილი, საინგილო, 1947 წ. რედაქტორი გ. ქიქოძე.
2. ასრათ ომარაშვილი, საინგილოს ღირსეული მამულიშვილები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002 წელი, გვ. 49-73.

3. ზ. ედილი, ძველი რვეულიდან.გაზეთი „საქართველო“, 29, 1916 წელი,
4. ზ. ედილი — დიმიტრი ჯანაშვილის რვეულიდან.გაზეთი „საქართველო“, 29, 1916 წელი,
5. ზაქარია ედილი, ბ-ნ ნიკო თავდგირიძის შუამდგომლობის გამო, გაზეთი „საქართველო“, 7, 1916 წლის 10 იანვარი.
6. ზაქარია ედილი — საინგილოს გადაგვარება, გაზეთი „საქართველო“, 14, 1916 წელი.
7. გაზეთი „საქართველო“, 50, 1916 წელი, ზ. ედილი, იოანე მანგლელი.
8. ზ. ედილი, წერილი საინგილოდან, გაზეთი „სამშობლო“, 83, 84, 1916 წელი.
9. ზ. ედილი — მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ, გაზეთი „საქართველო“, 131, 1916 წ.
10. ზ. ედილი, წერილი საინგილოდან. „საქართველო“, 137, 1916წ.
11. ზ. ედილი — ერეკლე მეფე და გრაფი ტოტლებენი, გაზ. „საქართველო“, 132, 134. 136, 139, 140; 1916 წელი.
12. ზ. ედილი, ალექსანდრე ყიფშიძის ხსოვნის მოგონებანი, გაზეთი „საქართველო“, 147, 1916 წელი.
13. ზაქარია ედილაშვილი (ედილი), დაბა-სოფლები, საინგილო, გაზეთი „საქართველო“, 73, 1917 წელი.
14. ზ. ედილი, საქართველოს ოსები, გაზეთი „საქართველო“, 203, 1918 წ.
15. ზ. ედილი, საქართველოს ოსები, გაზეთი „საქართველო“, 207, 1918 წ.
16. ზაქარია ედილაშვილი, დამფუძნებელი კრების არჩევნები ზემო ქართლში, გაზეთი „საქართველო“, 40, 1919 წლის 21 თებრვალი.
17. ზაქარია ედილაშვილი, ზემო ქართლში, გაზეთი „საქართველო“, 68, 1919 წელი.

ალექსანდრე ასათიანი
(1889-1952)

ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ალექსანდრე ასათიანი. პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრებისადმი მიძღვნილი მისი პუბლიკაციები ხასიათდება პროფესიონალური ოსტატობით, კრიტიკულობით და საკითხის გადაჭრის გზების ძიებით.

ალექსანდრე ასათიანი 1889 წლის 10 აპრილს დაიბადა ლეჩხუმში, სოფელ ბარდნალაში. დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის სათავადაზნაურო პროგიმნაზიაში და დაასრულა რეალურ სასწავლებელში. სწავლა განაგრძო მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში, დაამთავრა ეკონომიკური განყოფილების საერთო კურსი, რის შემდეგ შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1914 წელს დაბრუნდა ქუთაისში.

სპირიდონ კედიასთან, რევაზ გაბაშვილთან, დავით ვაჩნაძესა და შალვა ამირეჯიბთან ერთად მუშაობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დასაარსებლად. ამ წრეს სამი პერიოდული ორგანო ჰქონდა: თბილისში ჟურნალი „კლდე“, გაზეთი „საქართველო“, ქუთაისში კი გაზეთი „სამშობლო“.

ალ. ასათიანი არჩეული იქნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ.

ალ. ასათიანის, გ. წერეთლისა და დ. ვაჩნაძის თაოსნობით დაარსდა „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“.

ალ. ასათიანი იყო აგრეთვე „პრომეთეს“ კავშირის წევრი.

ეს საზოგადოება აერთიანებდა საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ყველა ერის წარმომადგენელს. იგი იყო პარიზში გამომავალი ჟურნალის — „პრომეთეს“ ერთ-ერთი რედაქტორი და „პრომეთეს“ პოლიტიკური კლუბის თავმჯდომარე. გამოცემული აქვს წიგნები — „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“, „ქართული პოლიტიკის ძველი და ახალი გზები“, „მიწის საკითხი საქართველოში“.

გარდაიცვალა ქ. მიუნხენში. ჯერ ვედფრიდჰოფის სასაფლაოზე დაკრძალეს, აქედან კი ლევილის ქართულ პანთეონში გადაასვენეს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეროვნულ-დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნებული მისი პუბლიცისტური წერილები.

ალექსანდრე ასათიანი გაზეთ „საქართველოში“ პასუხს სცემდა ყველა იმ საჭირბოროტო კითხვას, რაც საზოგადოებას უგროვდებოდა არსებული რეჟიმის პირობებში. განსაკუთრებულ მღელვარებას XX საუკუნის 10-იან წლებში იწვევდა რუსული კოლონიზაციის ანტიქართული პროგრამა, სომხური პრესისა და პარტიების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის გეგმები და ხელისუფლების მიერ გაკეთებული რეაქციები ამ საკითხებზე.

წერილში — „ეროვნული მიწა-წყლის დაკარგვის ეკონომიური მიზეზები“, — ალექსანდრე ასათიანი ქართული ტერიტორიის უცხოთა ხელში გადასვლას დიდ ბოროტებად მიიჩნევდა, მაგრამ ცდილობდა ეს არ დაებრალებინა რომელიმე კონკრეტული პირის ან ჯგუფისათვის, არამედ მოეძებნა ამ პროცესის გამომწვევი ეკონომიკური მიზეზები. რა თქმა უნდა, მემამულეთა და, საერთოდ, ქართველების გულგრილობას ის ცუდ მამულიშვილობად თვლიდა, მაგრამ ჭეშმარიტი მიზეზის დავიწყებასაც არავის ურჩევდა. მისი აზრითვე, უნდა შეცვლილიყო არსებული ეკონომიკური ურთიერთობები, რომ საქმე ოდნავ მაინც გამოსწორებულიყო.

ყველაფერი, მთელი მეურნეობის სიმძიმე, გლეხს აწვა, რომელსაც პრიმიტიული იარაღებით უხდებოდა არცთუ ნაყ-

ოფიერი მოსავლის მიღება და ამასაც გადასცემდა ვაჭარს, მემამულეს ან სამღვდელოებას. ახლანდელ დროს, როდესაც მოსახლეობის რიცხვიც დიდია, ტექნიკაც ისევ ძველი, უკვე ჭირს ამგვარი მეთოდით ხალხის მოთხოვნის დაკმაყოფილებაო, — წერდა ალ. ასათიანი. ჩვენში ჯერ არ აღმოცენებულა მრეწველობა, რომელიც გვერდში დაუდგებოდა სოფელს და მოამარაგებდა სათანადო ტექნიკით. „თოხი და სახნისი კი ვერ ჰქმნის იმდენ დოვლათს, რამდენიც საჭიროა ეროვნული სხეულის გამოსაკვებად. დანაკლისს ჩვენ იმ უძრავი ფონდიდან ვავსებთ, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი მიწა-წყალი. ამ სახით ამ უკანასკნელ ხანებში მრავლად იყიდება მამულები, რითაც მემამულეთა მოთხოვნილებები კმაყოფილდება“ [1].

ასათიანი იძლეოდა მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო მისეულ რეცეპტსაც: „ამ უძრავი ეროვნული ფონდის გაფლანგვის პროცესი რომ შეჩერდეს, ამისთვის საჭიროა მემამულეებმა თავისი შემოსავლის გასადიდებლად სხვა რაიმე საშუალება გამოძებნონ. ჩვენში მიწა უთუოდ ძლიერ ცოტა შემოსავალს იძლევა. მათი მეპატრონეთა მადა და მოთხოვნილება კი მეტად დიდია“. იგი მემამულეებს ურჩევდა ვაჭრობა-მრეწველობა, ან კულტურული მეურნეობის მოწყობის საქმე ესწავლათ. მართალია, სხვა ქვეყნებში მამულების გაყიდვა ბუნებრივი პროცესია, რადგან ერთი ყიდის და იქვე, მეორე თანამემამულე ყიდულობს, ჩვენში კი ეს ეროვნულ კატასტროფას ჰქმნის, რადგან გლეხი არაა მსყიდველობითი უნარის მქონე, მიწა სხვა ერის წარმომადგენელთა ხელში გადადის და დიდ საფრთხეს გვიქმნის მომავლისთვისო.

პუბლიცისტი აუცილებლობად თვლიდა ეროვნული ტერიტორიის დაცვას და უმჯობესად მიაჩნდა ეს საქმე მომავალში ბანკებისა და, ზოგადად, ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა საშუალებებით მოეგვარებინათ.

ალექსანდრე ასათიანის სტატიაში — „სიმდიდრის მნიშვნელობა“, საუბარია იმაზე, თუ რა მჭიდრო დამოკიდებულებაშია ერის გონებრივი განვითარება და ქონებრივი მდგომარეობა. პუბლიცისტის აზრით, სანამ ქვეყანაში ეკო-



ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა

ნომიკური კეთილდღეობა არ იქნება, ვერც კულტურა აყვავდება. მდიდარ ქვეყანას არ გაუჭირდება ერის სულიერ მოთხოვნათა დამაკმაყოფილებელი ადამიანების გამოკვება. ასე რომ, „ოქროს ხანები" ნამდვილად ოქროზეა დამოკიდებულიო, — ამტკიცებდა ალექსანდრე ასათიანი. ვერც „ვეფხისტყაოსანი" შეიქმნებოდა და ვერც ჩვენი დიდებული ტაძრები აიგებოდა მწირ დროშიო. ჩვენ პოეზიასა და ხელოვნებაზე იმაზე მეტსაც ვფიქრობთ, რომ უნდა ვფიქრობდეთ, ჩვენ ხომ იმის საშუალება არა გვაქვს, ერთი წესიერი თეატრი მაინც ავაგოთო. და ეს მხოლოდ ჩვენი ქონებრივი უძლურებით აიხსნება და არა სულიერი სიღარიბითო [2].

ალექსანდრე ასათიანი კარგად ერკვეოდა ქართული ეკონომიკის ავ-კარგში. იცოდა, წარსულში როგორ იყენებდა საქართველოს სახელმწიფო იმ ნედლეულს, რაც ჩვენს ქვეყანაში მოიპოვებოდა. მისი აზრით, რუსებმაც კარგად იცოდნენ საქართველოს სამთამადნო ნედლეულთა მარაგი, ამიტომ გამოგზავნა მის შესასწავლად აქ მუსინ-პუშკინი, — სამთამადნო საქმის კარგი მცოდნე. ასათიანის აზრით, რუსეთმა ვერ გამოიყენა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები, ვერ აამუშავა ისინი ხალხის სასარგებლოდ. პირიქით, სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდა ბევრი ისეთი რამ, რაც ჩვენშიც მოიპოვებოდა. იქნებ გადაჭარბებულადაც აფასებდა ის ამ მხრივ საქართველოს შესაძლებლობას, როდესაც წერდა, რომ იმდენი ქვანახშირი, რკინა, სპილენძი, შავი ქვა, ვერცხლი, ოქრო, გოგირდი და ნავთი იყო ჩვენში, რომ სხვა არაფერი იყო საჭირო, ჩვენი ქვეყანა ამითაც გამდიდრდებოდა. რა თქმა უნდა, ეს ნედლეული იყო ჩვენში, მაგრამ მცირე და ისიც ისე განიავდა ამ დროს თუ შემდეგში, რომ მათგან ქართველმა ხალხმა ვერავითარი სარგებელი ვერ ჰპოვა. ვერც უცხოელი მრეწველები დაეხმარნენ ქვეყანას და პირადად ისარგებლეს, ვიდრე წარმოების დონე ასწიეს და ხალხისთვისაც ხელმისაწვდომი გახადეს მრეწველობით მიღებული სიკეთე. ალექსანდრე ასათიანი გულისტკივილით წერდა ამ მოვლენის გამო: „სამწუხაროდ, ქართველობამ ვერ შესძლო ამ ეროვნული სიმდიდრის მოვლა. პირველ ხანებში თითქმის მთელი ჭიათურის წარმოებები ქართველების ხელში იყო, უკანასნელ წლებში კი უცხოელების გავლენა ჭიათურაში დიდად მატულობს და ეს ეროვნული სიმდიდრის დაკარგვის პროცესი სისტემატიურად სწარმოებს“ [3].

მისი აზრით, ორმოცი წლის მრეწველობამ ვერ წარმოშვა ჭიათურის ქართველობაში გონიერი და მომზადებული მრეწველები. ადგილობრივი პირობების ცოდნა და თვით მადნის საკუთრება ქართველებს ანიჭებდა მნიშვნელოვან უპირატესობას უცხოელებთან შედარებით, მიუხედავად ამისა, მათი გავლენა და ძალა ჭიათურაში დღითი-დღე იკლებდა.

„ქართველობა უმწეო და უძლური შეიქმნა უცხოელებთან მეტოქეობაში", — ასკვნიდა ასათიანი.

უცხოელთა ძალა მათ ფულში არ ყოფილა. ასათიანის რწმენით, ეს იყო ქართველების უცოდინრობა ვაჭრობაში, რისი ცოდნა-გამოცდილებაც უცხოელებს მრავალი თაობიდან ჰქონდათ გადმოცემული და დაგროვილი. ამიტომ იყო, რომ ისინი ხშირად უგროშოდ მოსულან ჩვენში და აქედან გამდიდრებულნი წასულან.

ასათიანი ახასიათებდა გერმანულ ფირმებს, რომლებიც ჭიათურის წარმოებაში მუშაობდნენ და რომელთაც რუსეთმა შეუწყვიტათ საქმიანობა, რადგან მსოფლიო ომი მიმდინარეობდა. გერმანია რუსეთის მოწინააღმდეგე ბანაკის ხელმძღვანელი ქვეყანა იყო და, ბუნებრივია, ვერ აიტანდა მის ვერც ეკონომიკურ გაძლიერებას და ვერც, უბრალოდ, აქ ყოფნას. ამიტომ გაიცა ბრძანება გერმანული სააქციონერო საზოგადოებების დახურვაზე, შემდეგ კი მათ გაყიდვაზე.

გასაყიდად დაინიშნა ჭიათურის ორი დიდი წარმოება: „ჰელზენკერხენის სამთამადნო სააქციონერო საზოგადოება" და „კავკასიის სამთამადნო ამხანაგობა". პირველი საზოგადოება 1909 წელს დაარსდა, მანამდე ჭიათურაში მუშაობდა გერმანული ფირმა „შოკენ გრუბენ და გუტენფერეინის საზოგადოება", რომელიც შემდეგში შევიდა ჰელზენკირხენის საზოგადოებაში. „კავკასიის სამთამადნო ამხანაგობა" 1911 წელს გაიხსნა, მან სწრაფად გააფართოვა თავისი წარმოება და 1914 წელს, ომის წინ, უკვე ჭიათურიდან გაზიდული შავი ქვის მესამედი მათ ეკუთვნოდათ. ალექსანდრე ასათიანს მოჰქონდა ცხრილი გერმანული ფირმების მიერ ჭიათურიდან გაზიდული ქვის ოდენობის შესახებ და ასკვნიდა, რომ შავი ქვის ფასი ძალზე დაბალი იყო, ცოტა ხანში ის უნდა ამაღლებულიყო, ამიტომ ამ ფირმების ყიდვა-გაყიდვა სახელმწიფოებრივი საქმე იყო. წარმოების ლიკვიდაცია და საკუთრებაში გადაცემა უნდა მომხდარიყო კონკურსის წესით. თუ ასე იქნებოდა, ალ. ასათიანის აზრით, კონკურენტები ამ წარმოების ფასს ათეულ მილიონამდე მაინც აიყვანდნენ. ეს

მაშინ, თუ ისინი ნამდვილი მყიდველნი იქნებოდნენ და თავისთვის მოინდომებდნენ ყიდვას. მაგრამ, თუ კონკურენტად გამოვიდოდნენ თვით ამ ფირმის მეპატრონეები, რომელიმე რუსი ქვეშევრდომის ან ბანკის ზურგსუკან ამოფარებულნი, მათ შეეძლოთ ფასი კიდევ უფრო აეწიათ. მას მიაჩნდა, რომ სააქციონერო საზოგადოებებს არ უნდა ნდობოდნენ. „აქციები დღეს უკავია ერთს და ხვალ შეიძლება ეს აქციები და მთელი საქმე ძველ მეპატრონეებს ჩაუვარდეთ ხელში. ისეთი დაწესებულებანი კი, როგორც ჭიათურის საბჭო და თავადაზნაურთა საკრებულოა, მთავრობისთვის ყოვლად საიმედო იქნება. მთავრობისთვის არ არის საშიში, რომ ისინი ამ მადნებს ისევ გერმანელებს მიყიდიან".

მთავრობას გადაჭრილი ფასებით უნდა მიეცათ ეს წარმოებები საიმედო პირებისთვის. გერმანელებს ის 2-3 მილიონზე მეტი არ დაუჯდებათ, ამ ფასებით უნდა იხელმძღვანელოს მთავრობამ ამ საწარმოთა გაყიდვისას, ვინაიდან ყველა მომატებული კაპიკი გერმანელ მწარმოებლებს გაამდიდრებს და თვით რუსეთის სამთამადნო მრეწველობას კი მძიმე ხარკად დააწვებაო", — აღნიშნავდა ასათიანი [4].

ამ თემას იგი კვლავ უბრუნდება წერილში — „ჭიათურის საკითხი", სადაც ერთხელ კიდევ გარკვევით წერდა, რომ უმჯობესი იქნებოდა ამ წარმოებების გადაცემა ჭიათურელ მრეწველებზე, თანაც უკონკურსოდ, გადაჭრილად აღებული ფასით. საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, რომ ჭიათურის მრეწველთა საზოგადოებას ამ საწარმოების ყიდვის უფლება არ ჰქონდა, ალ. ასათიანი ასე პასუხობდა: „რასაკვირველია, ეს მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა. ჭიათურის შავი ქვის მრეწველებს საკუთარი ორგანიზაცია აქვთ — შორაპნის შავი ქვის მრეწველთა საბჭო, ისევე, როგორც ბაქოს ნავთის მწარმოებელთ. ეს ორგანიზაციები დაარსებულია სახელმწიფოს დასტურით და რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობით, იურიდიული პირის სრული უფლებებით არიან აღჭურვილნი. ვერც სამოქალაქო დებულებასა, სამთო კანონებსა ან სხვა რომელიმე სპეციალურ კანონმდებლობა-

ში ჩვენ ვერ ვიპოვით რაიმე ისეთ დადგენილებას, რომელიც უნდა უკრძალავდეს ამ ორგანოებს ქონების ყიდვა-გაყიდვას". მას მოჰქონდა სამაგალითო მუხლები და პარაგრაფები საზოგადოების დებულებიდან, რითაც თავის თვალსაზრისს ამტკიცებდა. კანონის ძალით მისი შეძენის უფლებას პუბლიცისტი უმატებდა ასევე იმ ზნეობრივ უფლებასაც, რაც ჭიათურის მრეწველთა საბჭოს არათუ არ ჰქონდა, როგორც ამას ზოგი მიიჩნევდა, არამედ, პირიქით. „ზოგი ამ საკითხში ზნეობრივ დაბრკოლებას ხედავს, — წერდა ა. ასათიანი, — ჭიათურის საბჭო ამორჩეულია ყველა მრეწველებიდან, ის ყველა შავი ქვის მწარმოებელთა საერთო ორგანო არის და როგორ შეიძლება იგი იმ ქონებას დაესაკუთროს, რომელსაც თვით საბჭოს რომელიმე წევრს ჩამოართმევენ. საზოგადოდ, ზნეობრივი მოტივები არ ხელმძღვანელობენ იქ, სადაც რეალურ ინტერესთა შეხლა-შემოხლა სუფევს და ეს ინტერესები კანონს და უფლებას ემყარება, მით უმეტეს, კომერციულ საქმეში, მაგრამ ეს საკითხი ამ თვალსაზრისითაც რომ განვიხილოთ, საბჭოს განზრახვებს მით ნუნი არ დაედება. ყოველს საამხანაგო საქმეში ერთი წევრი რომ ამხანაგობას გამოაკლდება, დანარჩენ წევრებს უპირატესობა ენიჭებათ მისი ნაწილის შექმნაში გარეშე პირებთან შედარებით და ეს წესი, თვით კანონითაც დადასტურებული ზნეობის საწინააღმდეგოდ სრულიად არ უნდა ჩაითვალოს" [5].

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი ინტელიგენცია ბევრს ფიქრობდა და წერდა საქართველოს მომავალ ბედზე, იქნებოდა ის ავტონომიური რუსეთის შემადგენლობაში თუ არა, როგორი უნდა ყოფილიყო ეს ავტონომიური უფლებები და რა სამართლებრივი საფუძველი ექნებოდა მას. ეროვნულ-დემოკრატთა მოწინავე ნაწილს მიაჩნდა, რომ ავტონომიის ძირითადი საფუძველი 1783 წლის ტრაქტატი უნდა ყოფილიყო (გიორგი გვაზავა).

იმავე საკითხს შეეხო ალექსანდრე ასათიანიც — წერილში — „ქართველი ერის სუვერენული უფლებები თუ 1783 წლის ტრაქტატი?" [6].

განსხვავებით გიორგი გვაზავასაგან, რომელიც საქართველო-რუსეთის მომავალ პოლიტიკურ ურთიერთობაში ამ ხელშეკულებას განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებდა, ალექსანდრე ასათიანი ხელშეკრულებას არ ცნობდა, თვლიდა, რომ 1783 წლის ტრაქტატს თვით რუსეთმა გაუკეთა ანულირება, როდესაც ის დაარღვია 1801 წელს და საქართველოს სრული ინკორპორაცია მოახდინა. საერთაშორისო სამართალი ასეთი დარღვევის შემთხვევაში რომელიმე მხრიდან, ხელშეკრულებას სრულიად ბათილად ცნობს და ეს ხელშეკრულებაც ბათილიაო.

მისი აზრით, საქართველო იურიდიულად თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო და რუსეთის იმპერია მას ძალადობრივად მართავდა 117 წლის მანძილზე. იგი ასახელებდა პოლონეთისა და ფინეთის მაგალითებს, რომლებმაც მთელი იურიდიული ლიტერატურა შეიქმნეს მათი სრული დამოუკიდებლობის შესახებ, თუმცა რუსეთს ეს განხორციელებული არ ჰქონდა, საყვედურობდა ქართველებს, რომ ამგვარი ლიტერატურა და მოთხოვნები სრულ დამოუკიდებლობაზე მათ არ შეუქმნიათ, თუმცა სამართლებრივად სრული დამოუკიდებლობა საქართველოს ეკუთვნისო.

ეს იყო ქართველ ეროვნულ დემოკრატთა პირველი საჯარო განცხადება და მოთხოვნა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისა, რითაც მათ ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიასა და ძალას გაუსწრეს.

აი, რას წერდა ალექსანდრე ასათიანი პუბლიკაციაში: „იმ წამიდან, რა ჟამს რუსეთის ძველი რეჟიმი დაემხო, საქართველო სრულიად თავისუფალია და მისი უმაღლესი, სუვერენული უფლებები მხოლოდ ქართველ ერს ეკუთვნის". როგორც რუსეთი, ისე საქართველოც დაუყოვნებლივ უნდა ჰქმნიდეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც მომავალში ერის უმაღლესი უფლების, მისი სურვილისა და ნებისყოფის გამომხატველი შეიქმნება. რუსეთი მოიწვევს დამფუძნებელ კრებას, შეიმუშავებს სახელმწიფოს კონსტიტუციას და შეადგენს აღმასრულებელ მთავრობას. ქართველმა ერმაც

უნდა მოიწვიოს თავისი დამფუძნებელი კრება, რომელიც შეადგენს საქართველოს პოლიტიკურ კონსტიტუციას და შეიმუშავებს რუსეთთან დამოკიდებულების დებულებებს, რომელიც რუსეთის მთავრობამ უნდა მიიღოს. შესაძლოა, ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მჭიდრო და მტკიცე იქმნეს, ვინემ ამას 1783 წ. ტრაქტატი ჰგულისხმობს, ხოლო ასეთი კონსტიტუციისა და რუსეთთან მეგობრული დამოკიდებულებისა და პოლიტიკური კავშირის შემუშავება მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერის სუვერენული უფლების კომპეტენციას შეადგენს და არა რომელიმე პოლიტიკური ერთეულის, თუ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების".

ამგვარად, ამ წერილით ალექსანდრე ასათიანმა პირველად და სწორად დასვა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის საკითხი, მისი საკანონმდებლო ორგანოს — დამფუძნებელი კრების მოწვევის, საკუთარი კონსტიტუციის შემუშავებისა და რუსეთთან სამშვიდობო-მეგობრული ხელშეკრულების დადების საჭიროება. რუსეთი პირველად გამოცხადდა საქართველოს მეზობელ სახელმწიფოდ, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას უნდა ჰქონოდა თანაბარი სახელმწიფოებრივი უფლებები და ურთიერთობანი.

მით უმეტს, წერილში გამოთქმული იდეა ძვირფასია იმდენად, რამდენადაც „საქართველოს" ამავე ნომერში გამოთქმული ივანე გომართელის მოთხოვნა მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიულ ავტონომიას ეხებოდა რუსეთის ფარგლებში. ასეთივე იყო გაზეთის მომდევნო ნომრების პუბლიკაციებში გამოთქმული თვალსაზრისიც [7].

ალექსანდრე ასათიანი, მიიჩნევდა რა, რომ რუსეთში პოლიტიკური სიტუაცია კარგა ხანს შეიძლებოდა ვერ მოწესრიგებულიყო, საჭიროდ თვლიდა საქართველოს მომზადებას მომავლისათვის. ამიტომ აყენებდა წინადადებას ქართული ეროვნული ცენტრალური ორგანოს შექმნისას, რომელიც აქედანვე ჩაუდგებოდა სათავეში საქართველოს პოლიტიკური ინტერესების განცხადების საქმეს. ეს იდეებიც წამოყენებული იყო 1917 წლის 14-15 მარტის გაზეთ „საქართველოში".

ასეთი მოსამზადებელი ორგანო საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობისა იყო საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ 1917 წლის ნოემბერში შეიქმნა. ეროვნული საბჭო რომ ადრევე შექმნილიყო, როდესაც ეს წინადადება ალექსანდრე ასათიანმა წამოაყენა და მას ის ფუნქცია შეესრულებინა, რაც ასათიანის წერილში იყო მოცემული, მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობა შესაძლოა სხვაგვარად წარმართულიყო [8].

ალექსანდრე ასათიანის აზრით, პოლიტიკური მიზნები პოლიტიკურ ოცნებებად დარჩებიან, თუ ეკონომიკური სინამდვილე არ იქნა გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისის ფონზე ის აკრიტიკებდა რუსეთის დროებით მთავრობას, მის წევრებს — მინისტრებს — შინგარიოვს, სკობელევს, ირაკლი წერეთელს, რომელსაც დიდ უტოპისტს უწოდებდა, რადგან სწამდა, თუ ისურვებდა რუსეთი, რევოლუციის ცეცხლს ევროპასაც მოსდებდა. ალექსანდრე ასათიანს ცრუ იმედად მიაჩნდა ევროპის რევოლუცია, რადგან ის, რა მიზანიც ჰქონდა რევოლუციას რუსეთში, ევროპაში დიდი ხანია მიღწეული იყო. ადამიანის თავისუფლება, მშვიდობიანი ყოფა ევროპის მცხოვრებთ გარანტირებული ჰქონდათ და რევოლუცია არაფრად სჭირდებოდათ [9].

ეროვნულ-დემოკრატ ალექსანდრე ასათიანის პუბლიცისტიკა უმეტესად ეკონომიკის საკითხებს ეხებოდა, მათში ასევე იყო ქართველთა მიდგომა ამ საკითხისადმი, შრომის კულტურის, შრომის კანონმდებლობისა და მასზე პოლიტიკური ზედამხედველობის, სახელმწიფო ზრუნვის აუცილებლობა.

ადამიანი, რომელსაც არც ცხოვრების სახსარი აქვს, არც შრომის უნარი, საშიშია და ავკაცობისთვის კარგ მასალას წარმოადგენსო, — წერდა პუბლიცისტი. თუ ბოროტებას მდიდრებიც ჩადიან, ეს უფრო გართობაა და სპორტული ჟინიო. ყაჩაღობის, ძარცვა-მკვლელობის წინააღმდეგ ბრძოლა ბევრ პრობლემას უკავშირდება, უპირველესად კი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარებას ითხოვ-

და ალ. ასათიანი და წერდა: „საღი და გონიერია ის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც ხალხის თაოსნობასა და შემოქმედებას არ უცდის და თვით ამრავალფეროვნებს საზოგადოებრივ ცხოვრებას ახალი და ხალხისათვის უცნობ ხელობათა გადმონერგვითა და გავრცელებით. ამით სახელმწიფო ცხოვრებას უახლოვებს იმ იდეალურ მდგომარეობას, როდესაც საზოგადოების ყოველი წევრი მოქმედებს და მოძრაობს რომელსამე ასპარეზზე, მით რაიმე ღირებულებას ჰქმნის და საზოგადოებას სარჩენელ ტვირთად არ აწევს“ .ალ. ასათიანის აზრით, — ქართველი ხალხი ვერ ჰქმნიდა ეროვნულ დოვლათს, რაც განაპირობებდა კულტურის დაბალ დონეს, ხელოვნებასა და ლიტერატურაში წარსულით სიამაყეს და თანამედროვეობაში უნაყოფობას.

„შრომის კულტურის განმტკიცება, — ასკვნიდა იგი, — ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის უპირველესი საზრუნავია. აქედან უნდა იწყებოდეს განახლება და აღორძინება ჩვენი ვითარებისა“ [10].

სხვა წერილში — ალ. ასათიანი საუბრობდა სოფლის ცხოვრების შეცვლაზე, ბურჟუაზიული პროცესების გადატანაზე სოფლად, რაც აუცილებლად გამოიწვევდა საქართველოს ეკონომიკურ დაწინაურებას, I მსოფლიო ომი მას მიაჩნდა აქეთკენ გადადგმულ ნაბიჯად [11].

ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობა უნდა მომხდარიყო ასევე ბანკების დაარსებით, რომლის ერთ, მნიშვნელოვან ობიექტს საქართველოში დაარსებული ამიერკავკასიის ბანკი წარმოადგენდა. ალექსანდე ასათიანი, იხილავდა რა ამ ბანკის საქმიანობას, წერდა: საკომერციო ბანკები თანამედროვე ერთა ეკონომიურ ვითარებაში უმაღლეს შემაკავშირებელ ძალას წარმოადგენენ და ჩვენს დაქსაქსულსა და ჩამოქვეითებულ ქვეყანას ასეთი შემაკავშირებელი ძალა ყველაზე მეტად ესაჭიროება“-ო. მარტივი და წვრილი საკრედიტო დაწესებულებები ვეღარ უშველიდა ქვეყანას, შემნახველი და გამსესხებელი სალაროები თუ ურთიერთნდობის საზოგადოებები საკმარისი აღარ იყო, რადგან, „წერ-

ილი სახსრით წვრილი საქმე თუ გაკეთდება“, ამ საზოგადოებებს კი არ ჰქონდათ ისეთი დიდი შესაძლებლობები, როგორც ამიერკავკასიის ბანკს.

ალ. ასათიანს სწამდა, რომ ეს ბანკი გააერთიანებდა დაქსაქსულ ქართულ კაპიტალს და მას საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებას მოახმარდა. ამის შემდეგ აიდგამდა ფეხს ქართული მრეწველობა და აღებ-მიცემობა, ეკონომიკური ვითარება საფუძველია ხალხის ცხოვრებისაო; „ასეთი დიდი საქმე არ გაკეთებულა ჩვენს ქვეყანაში მას შემდგომ, რაც ამერეთის და იმერეთის თავადაზნაურობამ ნახევარი საუკუნის წინეთ დააარსა ორი საადგილმამულო ბანკი, რომელნიც, სიტყვამ მოიტანა, სრულებით ვერ გამოიყენა ჩვენმა ხალხმა“-ო. მას საჭიროდ მიაჩნდა ქართველები, უცხოეთში თუ სამშობლოში მცხოვრებნი, გაერთიანებულიყვნენ, ფული ჭირდება ყველა დიდ საქმეს, ბანკის ორგანიზაცია და ფინანსები კი ამ საქმეთა შესრულების თავიაო [12].

ალ. ასათიანი ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური თვალსაზრისით შესწავლის საკითხზე. განსაკუთრებით, მისი მომავალი განვითარებისათვის იმ ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინება მიაჩნდა აუცილებლობად, რაც ქვეყანას სხვადასხვა სახით ჰქონდა.

პუბლიცისტის აზრით, ნიადაგი იყო გადარეცხილ-გამოფიტული და ამიტომაც არ შეეძლო ხალხის გამოკვება. მიწის გულში დაგროვილ სიმდიდრეს კი, თუკი ის მართლა არსებობდა, არ იცნობდა ხალხი. ქვეყანა რომ მდიდარი იყო მადნეულით, ეს ისტორიიდანაც იკვეთებოდა; ღარიბი ქვეყანა ასე არ დაინტერესებდათ მტრებს. „საჭიროა ერმა თავის ფარგლებში შემოიკრიბოს ყოველივე, რაც მისი არსებობის მოუცილებელ ნაწილს შეადგენს... ცუდია იმ ერის ცხოვრება, ვისი სასაზრდოო ძარღვები სხვას უჭირავს ხელში. პოლიტიკურ თავისუფლებას და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას არ ექნება ფასი და მნიშვნელობა, თუ ის ვერ შეძლებს ის-

ეთის ვითარების დამყარებას, რომ თავისი სიმდიდრე მანვე გამოიყენოს და ყოველივე საჭირო საქონელი სხვაგან არ ჰქონდეს საძებარი", — წერდა ასათიანი.

პუბლიცისტი საჭიროდ თვლიდა საქართველოსთვის ეროვნული მრეწველობის შექმნას, რუსეთის მადნეულის ნაცვლად, საკუთარის გამოყენებას, რაც პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარანტი გახდებოდა.

საჭირო იყო მრეწველობის ასაღორძინებელი ქართული კაპიტალის გარდა, იმის დადგენა, რა დარგის განვითარება იყო უპირველესად საჭირო, რა ფონდები და სახსრები გააჩნდა სამთამადნო მრეწველობას, მიწათმფლობელობას თუ სხვა. ამ მხრივ თავადაზნაურთა საკრებულოებს ურჩევდა მუშაობას, მიაჩნდა, რომ ქუთაისის თავადაზნაურთა საზოგადოებამ დ. გოგიჩაიშვილის წიგნის — „საქართველოს მიწათმფლობელობის შესახებ" — გამოცემით უკვე კარგი საქმე გააკეთა. საადგილმამულო კომისიებს უნდა შეესწავლათ მიწის ფონდი, მათი ვარგისიანობა და რეზერვები [13].

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველოს დიდი ძალისხმევა ჭირდებოდა ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად, საკუთარი მრეწველობის განვითარებისა და საბანკო-საფინანსო სისტემის შესაქმნელად. საქართველო ფინანსურ კრიზისს განიცდიდა. საჭირო იყო ჯარის, მიწის, განათლების რეფორმა — რეფორმებს — ფული, ქვეყანას კრედიტები ესაჭიროებოდა — ამ საკითხს ეხებოდნენ ისეთი ქართველი მოღვაწეებიც, რომელთაც მანამდე ფინანსურ-ეკონომიკური თემები არ აინტერესებდათ. ასეთი იყო გერონტი ქიქოძის წერილი — „ფინანსური პოლიტიკისათვის", — გაზეთ „საქართველოში". იქვე მოთავსებული იყო ალექსანდრე ასათიანის წერილი — „გერმანულ-კავკასიური ბანკი".

ალექსანდე ასათიანი, როგორც ეკონომიკურ საკითხებში კარგად გარკვეული პიროვნება, დაწვრილებით განიხილავდა დოქტორ ვესტერნჰაგენის წერილს, სადაც ნათქვამი იყო, რომ გერმანულ-ამიერკავკასიის ბანკის გახსნამდე, ყველგან

უნდა მოწყობილიყო სადეპოზიტო სალაროები. ასათიანი წერდა, რომ ქართული კანონმდებლობა არ იცნობდა ასეთ „კასებს". კერძო საკრედიტო დაწესებულებებს სადეპოზიტო კასების გახსნის უფლება არც მიენიჭებოდათ. ასეთი უფლების მიკუთვნება შეეძლოთ მხოლოდ სახელმწიფო ხაზინასა და იმ კერძო ბანკებს, რომელთაც ემისიის უფლება ექნებოდათ მინიჭებული, მით უფრო მიუღებლად მიაჩნდა მას, გერმანელთა განზრახვის შესრულება, თვით ბანკის გახსნამდე სადეპოზიტო სალაროების გახსნა. ა. ასათიანი ამ შეუსაბამობას ასე ხსნიდა: თუ სალაროებში დიდი ფული მოიყრიდა თავს, შენახული თანხების პასუხისმგებლობა 10 მლნ. მანეთით მაინც უნდა ყოფილიყო გამაგრებული. თუ ბანკის გახსნამდე გაიხსნებოდა სალაროები, მაშინ აქ რამდენიმე ათეული მლნ. მანეთი მოიყრიდა თავს და ბანკის გახსნამდე მას ერთი მანეთის პასუხისმგებელი არ ექნებოდა. სახელმწიფო ვერ დათანხმდებოდა იმაზე, რომ ხალხის ქონება ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. სადეპოზიტო „კასების ფული გერმანული დელეგაციის მიერ იქნებოდა დაცული". ასეთ რამეს იგი საქართველოს პირობების უცოდინარობას მიაწერდა უცხოელის მიერ. ჩვენს ქვეყანაში არის მრავალი საკრედიტო დაწესებულება, სახელმწიფო თუ კერძო, ისინი არ საჭიროებენ სხვა დაცვას, რადგან მთავრობის მიერ არიან დაცულნიო. ასათიანი ეხებოდა დოქტორის მიერ გახმოვანებულ გერმანელ ფაბრიკანტთა შიშსაც, ვინ გადაუხდიდათ საქონლის ფასს უცხო ქვეყანაში, სადაც დღემდე რევოლუცია მეფობდა. საქართველოში რევოლუცია კი არ მეფობსო, — წერდა ალ. ასათიანი, — მისი სნრაფი ლიკვიდაცია ხდება, ესეც რომ არ იყოს, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ეს მან მოახერხა გერმანიის წყალობით და ყველაფერი აქ მთავრობის, გერმანია-საქართველოს მცდელობით იქნება დაცულიო. ასათიანის აზრით, ყველა ბანკი, მათ შორის გერმანულ-ქართული თუ გერმანულ-კავკასიური, საქართველოს სახელმწიფოს უნდა დამორჩილებოდა, მის სათანადო უწყებასა და ქართულ კანონმდებლობას.

ის აყენებდა წინადადებას, მალე გახსნილიყო საქართველოს სახელმწიფო ბანკი გერმანიის ხელშეწყობით, მანამდე კი, სახელმწიფოს იმ კერძო ბანკთა ინტერესები უნდა დაეცვა, რომლებიც ქვეყანაში უკვე არსებობდნენ. თუ ახალი გერმანული ბანკი დაარსდებოდა, მას განსაკუთრებული პრივილეგიები და ხელშეწყობა ექნებოდა სახელმწიფოს მხრიდან, ეს კი შეაფერხებდა სხვა ბანკების მუშაობას. როდესაც ქვეყანა აღორძინდებოდა და სახელმწიფო განმტკიცდებოდა, მაშინ ბანკების სიმრავლე ეკონომიკურ ცხოვრებას გააუმჯობესებდა და ყოველმხრივ სარგებლობას მოიტანდა.

გერმანია-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური უთიერთობა უნდა მოგვარებულიყო სახელმწიფო ბანკის მეშვეობით, რომელიც სპეციალურად ამ მიზნისთვის გახსნიდა განსაკუთრებულ სახელმწიფო სალაროს. „როგორც გერმანულ ეკონომიურ კომისიას აქ, ჩვენს ბანკში, აგრეთვე ჩვენს კომისიას ბერლინში, თავისი სპეციალური ანგარიში ექნებათ იმ ოპერაციებისათვის, რომელსაც ისინი აწარმოებენ. დროგამოშვებით მოხდება ამ ანგარიშების გასწორება", — ასეთი იყო ალ. ასათიანის აზრი, გერმანიას და საქართველოს მტკიცე ეკონომიკური ურთიერთობები უნდა შეეკრა და ამ საქმეში მრავალი საკრედიტო და სავაჭრო ორგანიზაცია უნდა ჩართულიყო. ეს შემდეგში, როდესაც ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა, მანამდე კი, აჩქარებული ნაბიჯების გადადგმა, ქართველი პოლიტიკოსისა და მოღვაწის აზრით, არ შეიძლებოდა [14].

ალექსანდრე ასათიანი აკრიტიკებდა მიწის რეფორმას, რომელიც ამიერკავკასიის მთავრობამ გაატარა 1917 წელს. 7 მარტის კანონი, რომელიც კიდევ უფრო დაამძიმა 6 დეკემბრის კანონმა, მისი აზრით, არღვევდა კერძომესაკუთრულ ინტერესებს მიწაზე და საქართველოს გლეხობას ცუდ დღეში აგდებდა. „უსასყიდლოდ მიწის ჩამორთმევას არც ერთი ევროპის სოციალისტური პარტია არ იცავს, — წერდა იგი... სახელმწიფომ სასყიდელი უნდა გაიღოს ჩამორთმეულს მი-

ნებში არა იმიტომ, რომ არ დასაჯოს მთელი საზოგადოებრივი წრე, არამედ იმიტომ უფრო, რომ ამას მოითხოვს თვით სახელმწიფო ინტერესები“.

ასათიანი ეხებოდა მიწათმოქმედების სამინისტროს განცხადებას, 750 ათასი დესეტინის ჩამორთმევის შესახებ და ამბობდა, რომ ეს იყო უსამართლობა. „სახელმწიფოს გონიერი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, — ამტკიცებდა პუბლიცისტი, — რომ, შეძლებისდაგვარად, მთელი ხალხისთვის შექმნას ისეთი პირობები, რომ თითოეულ მოქალაქეს არამცთუ არსებობის, არამედ განვითარებისა და ცხოვრების კეთილად წარმატების საშუალება ჰქონდეს. ათიათასობით მოქალაქეს არც ერთი გონიერი სახელმწიფო არ ჩააყენებს ისეთს მძიმე მდგომარეობაში, რომ ისინი ერთის დაკვრით გარიყულნი იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან და არსებობის საშუალებას მოკლებული. მტკიცება, რომ მიწა არავის არ ეკუთვნის და ყველას საკუთრებაა, არის უბრალო დემაგოგია. მესაკუთრეთა დიდ ნაწილს მიწა შეძენილი აქვთ იმავე წესით, როგორც ყოველგვარი სხვა ქონება შეიძინება. ასეც რომ არ იყოს, მიწის შენარჩუნება აქამომდე ჩვენთვის ეროვნულ დამსახურებად იყო მიჩნეული და არ შეიძლება ეხლა დავსაჯოთ ისინი, ვინც მიწა არ გაყიდა და არ გაფლანგა“ [15].

ის იძლეოდა წინადადებას, როგორ უნდა დაკმაყოფილებულიყო მიწის მესაკუთრენი ჩამორთმეული მიწებისათვის. მიწის ნორმა უნდა გადიდებულიყო. ჩამორთმეულ მიწებში უნდა გადაეხადა სახელმწიფოს თანხა, თუ საამისო თანხა მას არ ექნებოდა არსებული კრიზისის პირობებში, უნდა გაეცა სპეციალური მოკლევადიანი 50 მილიონიანი სესხი. თუ საჭირო იქნებოდა, გრძელვადიანი სესხიც უნდა მისცემოდათ მიწის მესაკუთრეებს.

დეპუტატმა ალექსანდრე ასათიანმა დამფუძნებელ კრებაში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც იგი შეეხო მომარაგების სამმართველოს ანტიეროვნულ საქმიანობას და გამოარჩევდა ამ დაწესებულების მოხელეს — შრედერს, მის მოქმედე-

ბას მავნედ მიიჩნევდა საქართველოსთვის, რის გამოც შრედერმა ალექსანდრე ასათიანის საწინააღმდეგო წერილები გამოაქვეყნა რუსულ პრესაში, გაზეთებში — „ბორბა“ და „ვოზროჟდენიე“. სოხუმში მყოფ ალექსანდრე ასათიანს თანაპარტიელებმა გადაუგზავნეს ეს წერილები და მისგან პასუხად მიიღეს, რომ შრედერი თავს ამაოდ იმართლებდა, იგი დამნაშავე იყო და სასამართლოში მისი ჩამოსვლისთანავე წარდგებოდა არა როგორც ბრალმდებელი, არამედ როგორც ბრალდებული [16].

ალექსანდრე ასათიანის მიერ წარმოთქმული ვრცელი სიტყვა ბევრი რამით არის საყურადღებო. მასში, უპირველესად, ჩანს ამ პიროვნების ღრმა ეკონომიკური განათლება, სახელმწიფოებრივი ცხოვრების დემოკრატიული ფორმების ცოდნა, მისი შეუპოვრობა და უკომპრომისობა, როდესაც საქმე ეხება ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილებებს. დეპუტატმა დაურიდებლად გააკრიტიკა მთავრობის თავმჯდომარე ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღებისათვის. მას მიაჩნდა, რომ ახალი (ამ შემთხვევაში სასურსათო) სამინისტროს დაარსება ყოველთვის უნდა შეთანხმებულიყო დამფუძნებელ კრებასთან, ნოე ჟორდანიამ კი ეს არ გააკეთა, ამასთანავე, მან დანიშნა ისეთი მინისტრი, რომელიც სრულიად მიუღებელი იყო ქართველი ხალხისათვის, რადგან მის ინტერესებს ვერ დაიცავდა.

სასურსათო კომიტეტი დაარსდა მომარაგების სამმართველოს გაუქმების შემდეგ; პირველმა, ალ. ასათიანის აზრით, რაც სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებიდან გამოდიოდა, გაანიავა არსებული ქონება: მანქანა-დანადგარები ან გადაყარეს, ან გაყიდეს, ერთი სიტყვით, „ააოხრეს“, გაანაგურეს მომარაგების საქმე, დაიტაცეს ქონება... სასურსათო სამინისტრომ იგივე ტრადიცია გააგრძელა. მან დაიწყო საქონლის შესყიდვა ფასების გამოურკვევლად, არ დანიშნა აუქციონები, დაუშვა დახლქვეშ გაყიდვის პროცესი შაქრისა და მარილისა, ჩეკების ფარული განაღდება და სხვა. ალექსანდრე ასათიანმა საკანონმდებლო-სათათბირო ორგა-

ნოს სამინისტროს საქმიანობის მეტად მძიმე სურათი დაუხატა. მისი აზრით, ამ ორგანოში არ ჰქონდათ ბუღალტერია, კონტროლი, არ ემორჩილებოდნენ რევიზიის ანგარიშებს, მათ კრიტიკას არაფრად თვლიდნენ. ორატორი ამას სახელმწიფოს მთლიანი ეკონომიკური გეგმის უქონლობას მიაწერდა. დეპუტატი ასეთ კრიტიკულ აზრს ავითარებდა: „უნდა გავიმეორო ჩვენგან მრავალჯერ თქმული, რომ ჩვენ მთავრობას, არც წინედ და არც ეხლა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არც ჰქონია და არც აქვს გარკვეული ეკონომიური პოლიტიკა და სამეურნეო საქმის წარმოების გეგმა. მთავრობა მიეჩვია ჩვენ ასეთ განცხადებებს და არავითარ ყურადღებას არ აქცევს მას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს უნდა გვამცნოთ, გაქვთ თუ არა რაიმე პერსპექტივები, თუ ასე თვალახვეული ივლით?"

მთავრობის წევრთა რეპლიკაზე: თქვენი გეგმა წარმოადგინეთო, ალ. ასათიანმა უპასუხა, რომ ასეთი გეგმები ბევრჯერ წარადგინეს ეროვნულ-დემოკრატებმა, მაგრამ მას ანგარიშს არ უწევდა ხელისუფლება, კამათში გრიგოლ ვეშაპელიც ჩაერთო და ასათიანის კითხვას — რა გზით მიდიხართო, უპასუხა: არც მარჯვნივ, არც მარცხნივ — აბსტრაქტული გზით მიდიან, ჩვენ კი პირდაპირი გზით გვინდა ვიაროთო.

ალექსანდრე ასათიანმა წარმოადგინა უამრავი ფაქტი სიყალბისა, ისაუბრა რუსული ეკონომიკური სისტემის ნაკლოვანებებზე, რომელზედაც იყო მიბმული ქართული ეკონომიკა, საიდანაც იღებდა იგი მაგალითს. შრედერის დანიშვნაც ამ პოსტზე პირდაპირ მიუთითებდა რუსული ეკონომიკისადმი საქართველოს მთავრობის ქედის მოხრას [17].

ასათიანმა დაახასიათა შრედერი, როგორც მფლანგველი ქართული ქონებისა, უსულგულო ადამიანი, რომელიც ოდესიდან ჩამოვიდა. იქიდან მან ჩაი ჩამოიტანა, დიდი ფასი დაადო მას, ცოტა ხანში კი დიდი თანამდებობა მიიღო და ჩაიც გაასაღაო. ასათიანი შრედერს და მომარაგების სამმართველოს თანამშრომელს ფადილევს აბრალებდა ანტიქართულ

მოქმედებას და მათ სისხლის სამართალში მიცემას ითხოვდა. საერთოდ, საჭიროდ მიაჩნდა სახელმწიფო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობა კანონში ასახულიყო. გააცნო რა დამფუძნებელ კრებას შრედერის ბიოგრაფია, მომხსენებელმა თქვა, რომ ის საქართველოში ქართული საქმის საკეთებლად ჩამოსულს არ ჰგავდა. „შრედერი ჩამოვიდა აქ, ვფიქრობ, არა დიპლომატიური დავალებებით, არამედ სავაჭრო ოპერაციებისათვის. მას აქ არ იცნობდნენ, მაგრამ მის შესახებ ზოგიერთი ცნობები მაინც მოჰქონდათ რუსეთიდან ჩამოსულ პირებს. ამბობენ, რომ იგი ყოფილა მოსკოვში ვექილად და ვექილთა კორპორაციიდან გამოურიცხავთ, შემდეგ კიევში წავიდა და იქიდანაც გამორიცხესო, სოციალისტია და ეს პოლიტიკურ დევნად ნუ მოგეჩვენებათ, მისი პიროვნული ნაკლის ბრალიაო. ოდესაში აურჩევიათ უკანასკნელად, სასურსათო საბჭოში და იქიდანაც წამოსულაო. საქართველოს ლეგენდარული იაზონივით მოადგაო, — ირონიით აღნიშნავდა ორატორი. მას ჰქონია ვოიტინსკის რეკომენდაცია და საპატიო ადგილიც დაუკავებია საქართველოს მთავრობაში; ალექსანდრე ასათიანის ეს სიტყვა ეროვნული ინტერესების ერთგულების, ღრმა პროფესიონალიზმისა და გულწრფელობის გარდა გამოირჩევა გამოსავლის გზების სწორი და სრულყოფილი წარმოდგენით, სახელმწიფო მეურნეობის წარმოების გეგმის დასახვით. ის კი, რაც მან შრედერის შესახებ აცნობა დამფუძნებელ კრებას, ყველასათვის ცხადყოფდა, რა მცდარი გზით მიდიოდა ზოგჯერ ხელისუფლება, რუსეთთან მებრძოლი ქვეყანა რუსებს ენდობოდა ისეთ სასიცოცხლო საკითხში, როგორიც სასურსათო პრობლემა იყო. შრედერი იყო პეტერბურგის ქალაქის თავის ძმა, მისი ძმისშვილი, როგორც ალ. ასათიანი უწოდებდა, შრედერი II კი — იტალიიდან ცდილობდა ახალი სავაჭრო გარიგებების დადებას საქართველოსთან. სურსათის სამინისტროს თანამშრომელი შრედერი რომ ქართველი ერის ინტერესებს არ იცავდა, ამის კარგი მაგალითები კრებას ალ. ასათიანმა მრავლად წარუდგინა. ერთი ასეთი ცნობა იყო, შემთხვევა,

რომელიც ორატორმა ასე აღწერა: „იყო შემთხვევა, რომ სამინისტროსთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ევროპიდან ჩამოსული მსხვილი ქართველი მწარმოებელნი, რომელნიც ზეპირად კი არ ევაჭრებიან ჩვენს მთავრობას, არამედ ოკეანის გემი მოიყვანეს ჩვენს ნავსადგურში, რამდენიმე ასეული მილიონი საქონლით დატვირთული. მათ სამი-ოთხი თვის ნამუშევარი ჰქონიათ ჩვენს დელეგაციასთან ევროპაში, მასთან წინასწარი პირობაც კი ჰქონიათ დადებული... ამ პირებმა კვირაობით ვერავითარი განაჩენი ვერ გამოიტანეს სამინისტროდან... როდესაც ისინი სამინისტროში მივიდოდნენ, მათ ყოველთვის შრედერს შეუგზავნიდნენ და მის კაბინეტში მიატოვებდნენ. შრედერი კი თავის ძალას იჩენდა. ან არაფერს გარკვეულს არ ეტყოდა, ან რიხიანად დაუწყებდა მტკიცებას: ეს მიუღებელია ჩვენი მთავრობისთვისაო. თუ ასე ექცეოდა ის მსხვილ ევროპის მწარმოებლებს, როგორ მოექცეოდა ჩვენს წვრილ ვაჭარ-მრეწველთ. ისინი ერთხმად სჩივიან, რომ მის უწყებაში ჩვენ მოქალაქეთ არ შეესვლებათ, რომ ოდესის კომისიონერები თუ გამოიტანენ რაიმე განაჩენს და სხვ.

ასათიანი მეორე შემთხვევასაც აღნიშნავდა, როდესაც რუმინეთიდან პური უნდა შემოეტანათ, შრედერმა ხელი შეუშალა იმით, რომ დაკარგა რუმინეთიდან მოსული ქაღალდი, რომელიც ამ საშინელი შიმშილობის პირობებში შესაძლოა ციურ მანანად ქცეულიყო ქართველი ხალხისთვისო.

ალექსანდრე ასათიანი თვლიდა, რომ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მთლიანად უნდა გაჯანსაღებულიყო, საკანონმდებლო საფუძვლებით მონესრიგებულიყო და ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს დაქვემდებარებოდა [18].

ალექსანდრე ასათიანის ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის წერილები ნათლად აჩენს ამ შესანიშნავი პიროვნების, გულმხურვალე პატრიოტისა და უაღრესად განათლებული ადამიანის სახეს. ის იყო ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგი. მისი პორ-

ტრეტი გამორჩეულ ადგილს იჭერს ქართველ ისტორიულ პირთა იმ გალერეაში, რომელიც XX საუკუნემ შექმნა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ასათიანი, ეროვნული მიწა-წყლის დაკარგვის ეკონომიური მიზეზები, გაზეთი „საქართველო“, 46, 1916 წელი.
2. ალექსანდრე ასათიანი, სიმდიდრის მნიშვნელობა, გაზეთი „საქართველო“, 64, 1916 წელი.
3. ალექსანდრე ასათიანი, გერმანელთა წარმოება ჭიათურაში, გაზეთი „საქართველო“, 147, 1916 წელი.
4. ალექსანდრე ასათიანი, გერმანელთა წარმოება ჭიათურაში, იქვე.
5. ალექსანდრე ასათიანი, ჭიათურის საკითხი, გაზეთი „საქართველო“, 150, 1916 წელი.
6. ალექსანდრე ასათიანი, „ქართველი ერის სუვერენული უფლებები თუ 1783 წლის ტრაქტატი?“, გაზეთი „საქართველო“, 58, 1917 წელი
7. ივანე გომართელი, ქართველ დემოკრატიას, გაზეთი „საქართველო“, 58, 1917 წელი.
8. ალექსანდრე ასათიანი, ქართველი ერის სუვერენული უფლებები თუ 1783 წლის ტრაქტატი?, წერილი II, გაზეთი „საქართველო“, 59, 1917 წის 15 მარტი.
9. ალექსანდრე ასათიანი, პოლიტიკური ოცნება და ეკონომიკური სინამდვილე, გაზეთი „საქართველო“, 107, 1917 წელი.
10. ალექსანდრე ასათიანი, შრომის კულტურა, გაზეთი „საქართველო“, 25, 1917 წელი.
11. ალექსანდრე ასათიანი, ბურჟუაზიული სოფელი, გაზეთი „საქართველო“, 33, 1917 წელი.
12. ალექსანდრე ასათიანი, ნიმუში საქმიანობისა, გაზეთი „საქართველო“, 38, 1917 წელი.
13. ალექსანდრე ასათიანი, საქართველოს ეკონომიურად შესწავლა, გაზეთი „საქართველო“, 46, 1917 წელი.

14. ალექსანდრე ასათიანი, გერმანულ-კავკასიური ბანკი, გაზეთი „საქართველო“, 186, 1918 წლის 5 ოქტომბერი.
15. ალექსანდრე ასათიანი, მიწის მესაკუთრეთა დაკმაყოფილება, გაზეთი „საქართველო". 191, 1918 წლის 11 ღვინობისთვე.
16. ალექსანდრე ასათიანის და შრედერის საქმე, გაზეთი „საქართველო“, 20, 1870 წელი.
17. ალექსანდრე ასათიანის სიტყვა დამფუძნებელ კრებაზე, 1919 წლის 30 დეკემბერს, გაზეთი „საქართველო“, 24, 1920 წლის 4 თებერვალი, გაზეთი „საქართველო", 26, 1920 წლის 6 თებერვალი.
18. იქვე, გაზეთი „საქართველო“, 26, 1920 წელი.

გიორგი გვაზავა
(1869-1941)

ეროვნულ-დემოკრატიული მოღვაწეებიდან გამორჩეულია ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, შესანიშნავი პუბლიცისტი, მწერალი და იურისტი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი და დამოუკიდებელი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტიური მონაწილე — გიორგი გვაზავა.

მისი პუბლიკაციები ქართულ ეროვნულ პრესაში მთელი სიმწვავით პასუხობდა საქართველოსთვის სასიცოცხლო ინტერესებს, ებრძოდა ანტიქართულ ძალებს, იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ქართული კულტურისა და ლიტერატურის დიდ ტრადიციებს.

გიორგი გვაზავა დაიბადა სოფელ სუჯუნაში, ვაჭრის ოჯახში. დედ-მამა ადრე მოუკვდა. დედის ძმამ, ბლაღოჩინმა შალამბერიძემ აღსაზრდელად წაიყვანა სოფელ ნოქალაქევში. პირველდაწყებითი განათლება ნოქალაქევსა და მარტვილში მიიღო, შემდეგ შევიდა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში, აქედან კი გიმნაზიაში გააგრძელა სწავლა. გიმნაზიის დამთავრებისთანავე გვაზავა შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. იყო სპეციალური „კავკასიის სტიპენდიანტი". უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ მალე პარიზს გაემგზავრა და სორბონის უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

XIX ს. 90-იანი წლებიდან მოყოლებული — გიორგი

გვაზავა თბილისში ბრუნდება და მუშაობას იწყებს ნაფიც ვექილად. ამავე დროს ეწევა ნაყოფიერ სამწერლო მოღვაწეობას, თანამშრომლობს ქართულ და რუსულ პრესაში, ბეჭდავს წიგნებს: „ბატონიშვილი ლევანი“ (პოემა, თბ., 1895 წ.), „ლილო“ (თბ., 1895), „ჯაბა ჯაიანი“ (თბ., 1897), „ლანდი“ (ლექსები, თბ., 1904 წ.), „შალვა ოდიშელია“ (პოემა, თბ., 1905), „ჩეხია“ (სოციოგრაფიული მიმოხილვა, თბ., 1910); ამავდროულად იბეჭდება გიორგი გვაზავას თარგმანები: ბერანჟე, ლექსები, წინასიტყვაობა, თბ., 1898 წ.; სოფოკლე, ანტიგონე, ძველი ბერძნულიდან ლექსად თარგმნილი, თბ., 1912 წ.

1905 წელს გიორგი გვაზავა, სხვებთან ერთად, საფუძველს უყრის მომავალ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, 1907 წელს მონაწილეობს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციისათვის „ქართველი ერის პეტიციის“ გაგზავნაში. ამავე წლის მარტში, ვარლამ ჩერქეზიშვილსა და მიხაკო წერეთელთან ერთად, გამოსცა „Грузинская мысль“-ის პირველი ნომერი, მაგრამ ჟურნალი მაშინვე აკრძალეს.

1911 წელს გიორგი გვაზავა მთავრობის საწინააღმდეგო კორესპონდენციისათვის მეტეხის ციხეში ჩასვეს.

1912 წელს დაქორწინდა ნინო ჩერქეზიშვილზე. შეეძინათ ქალ-ვაჟი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გიორგი გვაზავა იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასკომის, ასევე დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მეთაური.

1917 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოვიდა მისი წიგნი — „საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით“.

პარიზში დასახლების შემდეგ გიორგი გვაზავა 1926-39 წლებში გამოსცემდა ჟურნალ „პრომეთეს“, ფრანგულ ენაზე. პარალელურად ეწეოდა აქტიურ ლიტერატურულ-მთარგმნელობით მუშაობას. 1929 წელს პარიზში გამოქვეყნდა მის

მიერ თარგმნილი ჟოლიო დე კრებიონის ტრაგედია „რადამისტი და ზენობია“ სათაურით: „ფარსმან, მეფე ივერიისა“, რომელიც ასახავდა ქართველი მეფის ბრძოლას რომის წინააღმდეგ (ტრაგედიას საფუძვლად დაედო ტაციტუსის „ანალებში“ მოთხრობილი ამბავი).

1934 წელს პარიზში პირველად გამოვიდა გიორგი გვაზავას თარგმნილი პასინის „მითრიდატი“, რომელიც პლუტარქეს „პარალელურ ბიოგრაფიებს“ ემყარება (1981 წელს მეორედ გამოვიდა პარიზში), 1935 წელს გამოვიდა ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“, 1939 წელს პარიზში გვაზავას პოეტური კრებული — „ჩემი ლექსები“გამოქვეყნდა.

1937 წელს პარიზშივე გამოვიდა ქართული ხალხური ზღაპრის „როსტომელას“ გ. გვაზავასეული ვარიანტი ლექსად. 1938 წელს პარიზში გიორგი გვაზავს მიერ ფრანგულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ გამოიცა (პროზაული ვარიანტი). განმეორებით წიგნი 1983 წელს გამოვიდა. 1929-1938 წ. წ. პარიზში გიორგი გვაზავას რედაქტორობით გამოდიოდა საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის ორგანო, გაზეთი „საქართველო“, სადაც იგი წერილებს ათავსებდა „გ. გ.-ს“, „სტამბოლელის“, „მეთვალყურეს“, „მკითხველის“, „წკიპურტის“, „Politicys“-ის, „X“-ის, X X X ხელმოწერით.

გიორგი გვაზავა გარდაიცვალა პარიზში. დაკრძალულია ბატინიოლის სასაფლაოზე.

გიორგი გვაზავას პუბლიცისტური მემკვიდრეობა მრავალფეროვანია და მდიდარი. ეროვნულ-დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნებული მისი წერილები დღევანდელი მკითხველის მრავალმხრივ ყურადღებას იქცევს: მათში იმდენად სწორი პოლიტიკური და სამართლებრივი ხედვაა, მოვლენები გაანალიზებულია და შეფასებულია ისე ობიექტურად, პუბლიცისტის აზროვნება იმდენად თანადროულად მოჩანს, რომ ხშირად დროის ზღვარი იშლება და მოვლენების შეფასება თითქოს დღევანდელი კრიტერიუმებით ხდება.

განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი გვაზავას შემოქ-

გიორგი გვაზავა ოჯახთან ერთად

მედება და მოღვაწეობა XX ს-ის 10-იან წლებში. 1918 წლის პოლიტიკურ მოვლენებში მან აქტიური როლი ითამაშა, მონაწილეობდა ყარსისა და ბათუმის საზავო კონფერენციებში, საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებაში. მისი შეხედულებები რუსეთ-საქართველოს, საქართველო-ევროპული სამყაროს პოლიტიკურ კავშირებზე დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას და ქართულ ისტორიოგრაფიაში მათი გამოყენება საჭიროა სწორი მეცნიერული დასკვნების გამოსატანად.

1916 წლის 19 იანვარს თბილისში, ქალაქის სახაზინო თეატრში წაკითხული პროფესორ გრედესკულის ლექცია სრულიად განსხვავდებოდა ქართული ეროვნულ-დემოკრა-

ტიული აზროვნებისაგან. მათ შორის — გიორგი გვაზავას, ალექსანდრე ასათიანის, გრიგოლ ვეშაპელის, რევაზ გაბაშვილისა და სხვათა შეხედულებებისგან. პროფესორს კაცობრიობის გადასარჩენად გერმანიის დამარცხება ომში აუცილებლობად მიაჩნდა. ის ეხებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებს, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების დამოკიდებულებას მათ მიმართ და ქართველებზე ამგვარ აზრს აყალიბებდა: საქართველოს დიდი წარსული ჰქონდა, მაგრამ ვერ გაუძლო მტრის მედგარ იერიშს და განსაკუთრებული ტრაქტატით „თავის სახელმწიფო ნებაყოფლობით შეუერთა რუსეთის სამეფოს. თავისი მდგომარეობით ქართველები ვერ იქნებიან კმაყოფილნი, მათ სურთ ეროვნული კულტურის თავისუფლება და აგრეთვე ავტონომიაც. არ შეიძლება უარვყოთ, რომ ავტონომიის მოსათხოვად, მათ საბუთიც აქვთ. მათ აქვთ ეს უფლება იმავე ტრაქტატის ძალით, რომელიც, როგორც ჩვენი (ე. ი. რუსების) იურისტები ამბობენ, არასდროს არავის არ გაუუქმებია. დამოუკიდებლობას ქართველები არ მოითხოვენ. ქართველების და რუსების ფსიქოლოგია და კულტურა ძლიერ უახლოვდებიან ერთმანეთს. ამ მხრით არც ერთი ხალხი არ სდგას თითქმის რუსებთან ისე ახლოს, როგორც ქართველები. ეს განსაკუთრებით ემჩნევა ორივე ერის ინტელიგენციას, რომელთაც ძლიერ ბევრი რამ აქვთ საერთო. თავდადება, რაინდობა და თითქმის საერთო ნაკლულოვანებაც, უზრუნველობა მოქმედებაში, რომელიც შეიძლება ქართველებში უფრო მეტი იყოს. ეს ერთობა განსაკუთრებით აადვილებს ეროვნული საკითხის გადაჭრას“.[1].

გიორგი გვაზავა ვერ ეთანხმებოდა ვერც ქართველთა ბევრ პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ მოსაზრებას. მათ შორის იყო პეტრე მირიანაშვილიც, რომელთანაც ის კამათობდა რუსთაველის პოემაზე. მირიანაშვილი ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები მაჰმადიანები იყვნენ, რაც გვაზავასთვის სამართლიანი კრიტიკის თემად იქცა. ამასთანავე ეს კამათი იყო ძალზე ინტელიგენტური, ურთიერთპატი-

ვისცემის საზღვრებს ის არ გასცდენია. გვაზავა მოპაექრეს პირდებოდა იმ სიმაღლეზე აყვანას, საიდანაც თავისი არგუმენტების უეჭველობას დაანახებდა. თუმცა თავადაც შეგიძლია იქ ასვლა, მაგრამ ერთად სიარული მაინც მეგობრობის ნიშანია და ჩემს თხოვნას კადნიერებად ნუ ჩამომართმევთო.

თავის მტკიცებულებას გვაზავა იწყებდა თავისუფლების იდეით, რაც პოემის მთავარ სულს წარმოადგენს. სოციალურად ისეთი თანასწორობის იდეა, რაც პოემაშია, ქალისა და კაცის, მდიდრისა და ღარიბის ასეთი დამოკიდებულება, მისი აზრით, მხოლოდ ქრისტიანული კულტურისთვის არის მისაღები. მართალია მირიანაშვილი ყურანის მთარგმნელია და კარგად იცის მუსულმანური აზროვნება, მიმითითოს ისეთ ადგილზე, საიდანაც საწინააღმდეგოს დასკვნა იქნება შესაძლებელიო. გვაზავას არგუმენტები რუსთაველის ქრისტიანული კულტურის კუთვნილებაზე ეფუძვნება იმას, რომ პოემაში მთავარი არის ადამიანი და არა ერი, რწმენა და არა კულტი, სული და არა გარეგნობა...

გვაზავას წერილი ბევრ საინტერესო დაკვირვებას მოიცავს, ის ადვილად ამარცხებს მოკამათეს და სრულად არწმუნებს მკითხველს თავისი შეხედულებების სისწორეში.[2]

გიორგი გვაზავასთან პოლემიკაში ჩაება მემედ აბაშიძეც. მან მიიჩნია, რომ ძმობისა და თანასწორობის, თუ სხვა იდეები, რომელსაც გვაზავა ასახელებდა „ვეფხისტყაოსანში", მოსეს რჯულშიც იყო და მუსულმანურ სარწმუნოებაშიც. გვაზავა უმტკიცებდა, რომ ხალიფატში ქალის გამეფებას თუ ცნობდა ყურანი, მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩათვლილიყო რუსთაველის პოემა მუსულმანური კულტურის ნაწილად, ასეთს ის არ იცნობდა. მემედ აბაშიძის ყველა არგუმენტს, მაჰმადიანი ქალების ცნობილ ისტორიებს კი გვაზავა არ მიიჩნევდა თავისი თეორიისთვის სარწმუნო წყაროდ.[3]

გიორგი გვაზავა თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაწერილ წერილში — „ჩვენი დროშა", მიიჩნევდა, რომ საქა-



მეფისნაცვლის სასახლე თბილისში. სადაც 1918 წლის 10 თებერვალს
გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმი. ხოლო 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა
საქართველოს დამოუკიდებლობა

რთველოს მთავარი ძალა უნდა ყოფილიყო ახალი ხელშეკ-
რულების გაფორმება რუსეთთან, რაც ქვეყნის ავტონომიურ
ტერიტორიულ მოწყობას დაეფუძნებოდა. ეს ხელშეკრულე-
ბა კი უკვე დადებულს, 1783 წლის ტრაქტატს, მის მთავარ
პუნქტებს გაიმეორებდა.

გიორგი გვაზავა წერდა, რომ ტრაქტატი იყო მეგობრული
და არა ქვეშევრდომული ხელშეკრულება. იქ საქართველოს
ტერიტორიული საზღვრების დაცვას კისრულობდა რუსეთი,
საქართველო კი ერთგულებას და ჯარით დახმარებას ჰპირდ-
ებოდა. ყოველგვარ საშინაო საქმეში საქართველო უნდა ყო-
ფილიყო სრულებით ავტონომიურ-თავისუფალი. თვით საერ-
თაშორისო უფლებებიც არ ჰქონდა მას სრულად შეკვეცილი,
— წერდა გვაზავა, — მხოლოდ რუსეთის კონტროლით და
მასთან შეთანხმებით უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ურთ-
იერთობები განსაზღვრულიო.

გიორგი გვაზავა, როგორც იურისტი, იკვლევდა ამ აქტის
დამოკიდებულებას საქართველოს სახელისუფლებო ორგა-
ნოებისადმი, ამჯერად მეფის უფლებებში ის ზოგად უფლე-
ბებს დებდა და წერდა: „როცა ხელშეკრულებაში პირდაპირ
და უმეტნაკლებოდ აღნიშნულია, რომ „მეფე და მისი მემ-
კვიდრენი უნდა დარჩნენ განუწყვეტლივ სამეფო ტახტზეო“,

ეს ეხლა, საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით, მკაფიოდ გამოხატვაა იმ დედააზრისა, რომ სულ ეს სახელმწიფოებრივი უფლებანი არის თვით შინაარსი ავტონომიური წესწყობილებისა, შინაარსი, რომელიც „განუწყვეტლივ" უნდა დარჩეს ქართველი ერის ხელში. აქედან ლოგიკურად აუცილებელია ის დასკვნა, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს თავისი საკანონმდებლო ორგანო (სეიმი, პარლამენტი), რასაკვირველია, აშენებული ფართო დემოკრატიულ პრინციპზე, ე. ი. ამორჩეული საყოველთაო და სხვა ხმის მიცემით საქართველოს ყველა მკვიდრთა მიერ, განურჩევლად სქესისა, რჯულისა და ეროვნებისა.

გვაზავას აზრით, ავტონომიურ საქართველოს უნდა შეძლებოდა ასევე შინაგანი საქმეების წარმოება, მინიჭებოდა სასამართლო და გადასახადების აკრეფის უფლება.

ეს ყველაფერი იდო 1783 წლის ხელშეკრულებაში.

რომელიმე მუხლის გაუქმება ან შეცვლა კი ორივე მხარის შეთანხმებით იყო შესაძლებელი.

1783 წლის შემდეგ დრომ განვლო, — ამბობდა გვაზავა, — უნდა მოხდეს ახალი შეთანხმება არა მარტო რუსეთთან, არამედ სომხებთანაც. მისი აზრით, ახალი შეთანხმება აუცილებელი იყო, მაგრამ, უპირველესად, ქართველებს უნდა ჰქონოდათ ნათელი და მკაფიო შეგნება იმ უფლებისა, რომელიც ჰქონდა უკვე, და რაც მისი გმირობითა და თავგანწირვით გამოგლიჯა მსოფლიო ისტორიას.[4]

გიორგი გვაზავამ მოუწოდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, რომ წინასწარ შეემუშავებინათ ავტონომიის სტატუსი, რადგან რუსეთმა 1917 წლის მარტში გამოაცხადა დამფუძნებელი კრების მოწვევა, სადაც საქართველოს ხმა ძალიან მცირე ექნება, რადგან იგი რუსეთის მოსახლეობის 2%-ს შეადგენსო.

თუ ჩვენ შევადგენთ ავტონომიის სტატუსს, განვსაზღვრავთ ჩვენი პოლიტიკური მმართველობის დეტალებს, რუსეთის დამფუძნებელი კრებაც იძულებული გახდება ამას ანგარიში გაუწიოსო.[5]

საქართველოს ავტონომიის საკითხი, რომელიც რუსეთის I რევოლუციის დროიდან დადგა აქტიურად საიმპერიო ხელისუფლების წინაშე, თებერვლის მოვლენების შემდეგ კვლავ წამოიწია, რაც შეეხება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, ეს თემა არა მარტო გააქტიურდა, დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულების პრეტენზიით მოსული რუსეთის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი და განხორციელებულიც იქნა.

1917 წლის სააღდგომო პუბლიკაციაში გიორგი გვაზავაც აღფრთოვანებული წერდა ქვეყნის მომავლის ახალ პერსპექტივებზე, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პოლიტიკური ავტონომიის მოპოვების აუცილებლობაზე.

გიორგი გვაზავას აზრით, თავისუფლება მარტო ოცნება კი არა, რეალური მოვლენაა. თავისუფალი უნდა იყოს არა მარტო ადამიანი, არამედ ქვეყანაც, ამ შემთხვევაში ქართველი და საქართველო.

პუბლიცისტის რწმენით, საქართველოს თავისუფლება ნიშნავდა ქვეყნისთვის საკუთარი კანონმდებლობის ქონებას, საკუთარი მთავრობის, სამართალდამცავი ორგანოს, ხაზინისა და ხარჯთაღრიცხვის შექმნას.

პუბლიცისტი ამბობდა, რომ ავტონომია ყველასთვის საოცნებო იყო, თვით სოციალისტებისთვისაც კი: „ავტონომია, — აი, ის მკვეთრი სიტყვა, რომელიც ეხლა ელვასავით გადადის მთელს საქართველოზე და აუცილებლად მოაქცევს თავის ცეცხლის რკალში ყველა მამულიშვილს, მას წინ, ვნახოთ, თუ ვინმე აღუდგება“-ო.[6]

მომდევნო წერილების სერიაში — „საქართველოს ავტონომია“, გიორგი გვაზავა კიდევ უფრო აკონკრეტებდა თავის შეხედულებებს ქვეყნის ავტონომიურ მოწყობაზე. მას აუცილებლობად მიაჩნდა შემდეგნაირი მოწყობა ავტონომიური საქართველოსი: ორად ჰყოფდა სახელმწიფო ინტერესებს: კერძოდ, ავტონომიის საქმედ და საერთო — სახელმწიფოს საქმედ. „შენობა არის ორსართულიანი, — წერდა იგი,

— ქვევით მოქცეულია პატარა-პატარა სახელმწიფოები (კანტონები ანუ შტატები), ზევით — მათი საერთო მთავრობა და წარმომადგენლობა".

გვაზავა ყოველ შემთხვევაში აუცილებლად თვლიდა საქართველოს ავტონომიას, როგორც არ უნდა მოწყობილიყო მომავალში რუსეთი: ფედერაციულ რესპუბლიკად, შტატებად თუ კანტონებად. საქართველოს ექნებოდა საშინაო დამოუკიდებლობა, საერთო საქმეებს კი რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი მთავრობა მოაგვარებდა. ეს იქნებოდა: საერთაშორისო წარმომადგენლობა, ჯარი და ფლოტი, გადასახადები და ბაჟები, ფულისა და ზომა-წონის სისტემა, რკინიგზები, ტელეგრაფი და ტელეფონი, ვაჭრობა, ბანკები, სასამართლო კანონმდებლობა და სხვ.[7]

გიორგი გვაზავა ეხებოდა საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხსაც და ვრცელ განმარტებას აძლევდა მკითხველს ამ თემაზე. ის საქართველოს უეჭველ ტერიტორიად თვლიდა: თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმისა და სოხუმის მხარეებს, საინგილოს, არტაანისა და ოლთისის ოლქებს, არ ვეხები ოსმალეთის საქართველოს, ეს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხიაო, — უმატებდა.

გვაზავა ერთხელ კიდევ განსაზღვრავდა რეალური მოსახლეობის საკითხს და ისტორიულ კუთვნილებას უფრო სამართლიანად თვლიდა. მართალია ლორე-ბორჩალოში, ახალქალაქში, არტაანსა და ოლთისში ბევრი ქართველი აღარაა, მაგრამ ეს ტერიტორიები ჩვენი ისტორიული კუთვნილებაა და არ შეიძლება ჩამოგვეჭრასო. „ჩვენ არ ვიცით, როდის დაიბადა ჩვენი ერი, — წერდა გ. გვაზავა, — არ ვიცით, როდის მოკვდება იგი, ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ იგი მოდუღს წარსულ საუკუნეთა ნაპირებში და მიჰდუღს წინ. ამ ბრძოლის და დუღილის დროს იგი ხან გადადიოდა თავის საზღვრებს, ხან უკან იხევდა და ჩვენთვის აშკარაა ამ წინ და უკან ხევისა და მოძრაობის შუახაზი. იგი არის საზღვარი

საქართველოს ტერიტორიისა".

დრო იყო, ჩვენი საზღვარი კასპიის ზღვამდე მიდიოდა, არც ისე დიდი ხნის წინათ განჯისა და ართვინის სახანოები ხარკს გვაძლევდნენ, მაგრამ მათ არ ვითხოვთ, არც ის გვგონია, სპარსეთი და არაბეთი შემოგვედავოს თბილისზე, რადგან ოდესღაც მათ ეპყრათ ეს ქალაქიო.

ბორჩალოც, ლორეც, ახალქალაქიც ეკონომიკურად ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი სახელმწიფოებრივი სხეულის სხვა ნაწილებთან, მათ საკითხსაც ეს წყვეტსო. ეკონომიკურთან ერთად ის განაპირა კუთხეების სტრატეგიულ მნიშვნელობასაც არ ივიწყებდა და ამბობდა, რომ მომავლისთვის ამ ტერიტორიების კუთვნილებას, ასეთი ბუნებრივი საზღვრების მოშლას დიდი მნიშვნელობა მიეცემა და დღესვე უნდა გავიაზროთ ეს მნიშვნელობაო.[8]

1917 წელი ურთულესი იყო ფრონტისპირა ქვეყნებისთვის. ასეთი იყო საქართველოც, რომლის ახლოს, თურქეთში წარმოებდა გერმანიის მოკავშირე თურქეთის ომი ანტანტის ჯარებთან, რომელთა ბანაკში რუსეთიც იყო, ქართველები კი რუსეთის ჯარში მრავლად მსახურობდნენ. ამ ჯარში განსაკუთრებული არევ-დარევა იყო. პროკლამაციები რუს ჯარისკაცებს მოუწოდებდა თავი მიენებებინათ ბრძოლისთვის, დაეტოვებინათ ფრონტი, ებრძოლათ რუსეთის ერთიანობისა და სოციალიზმისათვის, დაემხოთ მოღალატე მემამულეთა და ბურჟუაზიათა ბატონობა.

ასეთი ჯარი ბოლშევიკური სულისკვეთებით იმსჭვალებოდა და საშიში იყო საქართველოსთვის, რადგან, თუკი სამშობლო — რუსეთში დაბრუნდებოდა, საქართველოში მოხვდებოდა, სადაც მას რუსეთის მიმართ „სეპარატიულად" განწყობილი ქართველები შეიძლებოდა არ მოსწონებოდა და ბრძოლა გაემართა. ამ საშიშროებაზე საუბრობდა გიორგი გვაზავა წერილში— „ჯარი და პროვოკაცია".

კავკასიაში მოსულ ჯარს, გაღიზიანებულს სიძვირით, შიმშილით, საზოგადოებრივი არეულობით, შეიძლება პრო-

ვოკატორებმა ომისკენ უბიძგონ. პროვოკაციად თვლიდა გვაზავა ქუთაისში ჯარის მიერ სოციალისტ-დემოკრატების კლუბის დარბევას.

„ქუთაისში პროვოკაცია ჩასჩურჩულებს: აი, ქართველები ითხოვენ ავტონომიას, ავტონომია კი ღალატია, ჩამოშორებაა რუსეთიდან... ყარსში თუ ჰასანკალაში: აი, თათრები იარაღს ჰყიდულობენ, მოელიან ოსმალეთის ჯარს, რომ მხარი დაუჭირონ... ღალატია“... ამ პროვოკაციით წამონთებული ჯარი გამოდის და მზად არის მუსრი გაავლოს მუსულმანებს.

ამისთანა მაგალითები ბევრია— ის ასახელებდა საქართველოს ავტოკეფალიის საკითხს, რაც პროვოკატორებმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ასარევ-ასაწეწად გამოიყენეს, ქართველები სეპარატისტებად ჩათვალესო.

„ჯარი რევოლუციის დარაჯად დგას, — ასკვნიდა გვაზავა, — მაგრამ იგივე ჯარი კონტრრევოლუციის ხელში საშიშ იარაღად შეიძლება გახდეს. საჭიროა გაფრთხილება“-ო. ის ამიერკავკასიის ჯარისკაცთა ყრილობას ამ მხრივ დიდი სამსახურის მომტანად თვლიდა. ყრილობას უნდა შეემუშავებინა რეზოლუცია, ჩაეგონებია ჯარისკაცებისათვის, რომ ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა (თვითმმართველობისათვის) ერთ-ერთი ლოზუნგი იყო რევოლუციისა და ჯარის მიერ ამ ლოზუნგის წინააღმდეგ გალაშქრება რევოლუციის შეფერხება იქნებოდა. პუბლიცისტს სწამდა, რომ ყრილობის ასეთი სიტყვა, მისი გაფრთხილება ჯარის ყველა ბანაკსა და ყაზარმას მიწვდებოდა.[9]

გიორგი გვაზავა რევოლუციის შემდეგ, მის გავლენას სკოლაზე, სკოლის რევოლუციურად გარდაქმნას აუცილებლად თვლიდა. ითხოვდა სასწრაფო რეფორმების გატარებას, რომელთაგან უწინარესი სკოლის გაქართულება იქნებოდა. ის ნაკლოვანებანი, რაც სკოლას ჰქონდა და რაც უეჭველად მშობლიურ ენაზე მის დაფუძნებასაც შეუშლიდა ხელს, სასწრაფოდ უნდა აღმოფხვრილიყო: გამოცემულიყო ახალი ქართული სახელმძღვანელოები, სკოლის საქმე გადასცემოდა

სპეციალურ კომისარიატს და მზრუნველთა საბჭოს.

გიორგი გვაზავა ამიერკავკასიის მთავრობის მიერ შექმნილი განათლების კომისარიატის წევრი იყო და წერილით — „სკოლა და რევოლუცია" — თავის შთაბეჭდილებასაც გადმოსცემდა ამ კომისარიატზე. სწამდა, რომ განათლების საკითხი ამ ორგანიზაციის მიერ სწორ გზაზე დადგებოდა და მოწესრიგდებოდა საქართველოში.[10]

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გვაზავა ახსენებდა საქართველოს მთავრობას, რომ თბილისი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის პოლიტიკური ცენტრი იყო და აქედან უნდა გაეგო მსოფლიოს კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ობიექტური ინფორმაცია.[11]

გიორგი გვაზავა გეგეჭკორის სამინისტროს უწუნებდა დიპლომატიურ ენას, მიაჩნდა, რომ საერთაშორისო ნოტებში ის უშინაარსოდ, ან შეცვლილი მნიშვნელობით ხმარობდა სიტყვებს, არ ითვალისწინებდა საერთაშორისო დიპლომატიური ტერმინოლოგიის ზუსტად დაცვის აუცილებლობას. კერძოდ, ის საუბრობდა სომხეთის დიპლომატიური კორპუსისა და მთავრობისთვის გაგზავნილ ნოტებზე. ეს ნოტები იყო ფრთხილი, საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ სომხეთის მთავრობამ არ იცოდა იმ ბრძოლებზე, რომელსაც სომხური ჯარი აწარმოებდა სანაიანთან. გვაზავას სწორი დასკვნით, ქვეყანა დამნაშავეა მაშინაც თუ იცის და მაშინაც, თუ არ იცის, თუკი მისი ჯარი მეზობელი ქვეყნის საზღვრებს დაარღვევს, მიდის რკინიგზით, იარაღით და სურსათით და იბრძვის. საქართველოს მთავრობას აღშფოთება უნდა გამოეხატა, დაეგმო სახელმწიფოებრივი უფლებების შელახვა, მკაცრად მოეთხოვა სომხეთისთვის პასუხი და თავისი პირობების დაკმაყოფილება. ამას საქართველოს ხელისუფლება, გვაზავას აზრით, იმიტომ არ აკეთებდა, რომ ინტერნაციონალიზმის, დემოკრატიზმის ყალბი თეორიით იყო შეიარაღებული, „ღობე-ყორეს ედებოდა", ეროვნულ ღირსებასა და პატიოსნებას სამარცხვინოდ ჩქმალავდა. სხვანაირად ის

ვერ ისაუბრებს და ესაა ტრაგედია ჩვენი ცხოვრებისა.[12] ამგვარი შეძახილებით მთავრობა ნელა იკრებდა ძალას და ბოლოს ომიც გამოუცხადა სომხეთის მთავრობას, თუმცა ეს დაგვიანებით მოხდა და ბევრი უდანაშაულო მსხვერპლი შეეწირა „დემოკრატიულ ლოიალობას"[7]

ამ მხრივ გვაზავა უაღრეს რადიკალურ პოზიციაზე იდგა, ითხოვდა მოღალატეთა დასჯას, ანგარიშსწორებას სომხებთან, რომელთაც, მისი აზრით, უამრავი რამ გაუკეთა საქართველომ, შეიფარა, მათ კი ასე გადაუხადეს სამაგიერო. გვაზავა იხსენებდა მათ პრივილეგიებს საქართველოს სახელმწიფოში და შემდეგდროინდელი მათი ღალატის მომენტებსაც. მოვიტანთ ამონაწერს მისი სტატიიდან — „საშინელი ანგარიში": „სომეხს ხშირად ეჭირა უპირველესი ადგილი სახელმწიფოში. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია მოვიგონოთ, რომ ირაკლი მეფემ მისცა სომხებს ზოგიერთი უპირატესობა სამოქალაქო ცხოვრებაში, დაურიგა მიწაწყალი, დაუთმო ჩვენი ეკლესიები. სომხებმა თავისებურად გადაგვიხადეს ის ძმობა და პატივისცემა. აღა-მაჰმად ხანის ლაშქარს გზის მაჩვენებლად წინ მოუძღოდენ ირაკლი მეფის მიერ დასაჩუქრებული სომხები საქართველოს ასაკლებად. როცა გამოცხადდა მანიფესტი, რომლითაც გაუქმებული იყო საქართველოს პოლიტიკური არსებობა, 1801 წელს, და მთელი საქართველო გულ-ჩათუთქული ჰტიროდა, სომხებმა ვანქის სობოროს ეზოში გამართეს ცეკვა-თამაში და იდღესასწაულეს რუსეთის გაბატონება.

მეფის გვარეულობა საქართველოდან გაძევებული იყო, დარჩა უპატრონოთ მათი ქონება და ავლადიდება. დანგრეულ სახელმწიფოს ნაშთებს დაესივნენ ყვავ-ყორანნი — რუსი მოხელენი და სომხის ჩარჩები. შედეგი: მთელი სიონის უბანი, სოლოლაკი და კალოუბანი დარჩათ თითქმის მუქთად ისევ სომხებს. საქართველოს შემოერთების დროს სომეხთა რიცხვი არ აღემატებოდა ქ. თბილისში 8-10 პროცენტს, ეხლა მათი რიცხვი 34 პროცენტს უდრის..."

გიორგი გვაზავა საუბრობდა ამიერკავკასიის რესპუბ-

ლიკაზე, როდესაც სომხური ინტერესების დაცვას ანაცვალეს ქართველმა პოლიტიკოსებმა საქართველოს ბედი, კერძოდ, აჭარა და ბათუმი, ასევე სამხრეთ საქართველოს ნაწილი, რომელსაც თურქეთი არ დაიპყრობდა, საქართველოს რომ დროზე გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა. მისი აზრით, ოსმალეთს „სომხეთის გადათელვა უნდოდა“ და აზერბაიჯანს შეესია, ჩვენ ეს ვიცოდით, მაგრამ სომხებს ვერ ვუღალატეთო. გერმანიასთან კავშირით ჩვენში მცხოვრები სომხებიც გადავარჩინეთ, მაგრამ გავიდა თუ არა გერმანია საქართველოდან და ოსმალეთი აზერბაიჯანიდან, ისარგებლეს სომხებმა: „მადლობაც სომხურია, — წერდა გვაზავა, — მოღალატური, ვერაგი, უსინდისო. მოულოდნელად დაეხსნენ თავს ჩვენს პატარა სანაპირო რაზმებს და ამოჟლიტეს. აგრე იდღესასწაულეს სომხებმა საქართველოს პოლიტიკური აღდგენა და მისი რესპუბლიკური წესწყობილება“.

გვაზავა მოუწოდებდა სასტიკი ანგარიშისკენ, მოღალატე სომხებისაგან საქართველოს გაწმენდისაკენ, ძველი ისტორიული საზღვრის აღდგენისაკენ სომხეთ-საქართველოს შორის და ამ საზღვრად ასახელებდა ჯაჯურის ქედს.[13]

სომხურ-ქართულ ტერიტორიულ დავას ეხებოდა გიორგი გვაზავას წერილი — „სომხეთის როლიც“. ამ პუბლიკაციაში იგი ეხებოდა კავკასიის სხვა ხალხთა ტერიტორიულ პრეტენზიებსაც საქართველოს მიმართ, მაგრამ ყველაზე მიუღებლად და ავანტიურისტულად სომხური მოთხოვნები მიაჩნდა.

გვაზავა მკითხველს უმხელდა ერთ ფაქტს: უცხოეთში ყოფნისას ერთმა ცნობილმა დიპლომატმა კონფიდენციალურად შემატყობინა სომხური საფრთხე, თბილისის წართმევას გეგმავენ ქართველებისთვისო. როცა გამეცინა, გამაფრთხილა, დამიჯერე, ასეაო და მეც ვაფრინე რადიოთი — დეპეშა საქართველოს მთავრობასთან, თუმცა არც მათ დაიჯერესო. გვაზავა ამის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს: ხიდების აფეთქებას, შეთქმულებას, თავდასხმას ჯარზე და, ბოლოს, ომის გამოცხადებას იხსენებდა და ასკვნიდა: სომხებს არ

აწყობთ არც თავისი, არც სხვა კავკასიური ქვეყნის დამოუკიდებლობა, მათ ურჩევნიათ რუსეთზე მიბმაო. საამისოდ იხსენებდა სომეხი დაშნაკის — სააკიანის გამოსვლას ბაქოში: ისევ რუსეთის აღდგენა და სომხეთის რუსეთის მფარველობაში ყოფნას რომ ეხებოდა. გვაზავა ასკვნიდა, რომ „მთელი ეროვნული ენერგია სომხეთისა მიმართულია კავკასიის ერთა თავისუფლების წინააღმდეგ"-ო. თუ ლორესა და ბამბაკში სომხები გაიმარჯვებენ, საფრთხეშია თბილისი, თუ თბილისი დაემხობა, მთელი საქართველო დაცემულია, თუ საქართველო არ იქნა, ისე კავკასიის ვერც ერთი ქვეყანა ვერ იქნება თავისუფალიო — ასკვნიდა გვაზავა. საქართველოს იგი მთელი კავკასიის გულად და თავისუფლების იდეის განსახიერებად თვლიდა. სომხური პოლიტიკური აზრი არ ცნობდა დამოუკიდებელ კავკასიას, ის იმპერიალისტური რუსეთისკენ ისწრაფვოდა. ამის გამო მოუწოდებდა გვაზავა ქართულ ჯარს ამ ომში გამარჯვებისაკენ, რაგინდ სამკვდრო-სასიცოცხლო არ უნდა ყოფილიყო იგი.[14]

როდესაც ომი ოფიციალურად დაიწყო და პირველი გამარჯვებაც მოიპოვა ქართულმა ჯარმა, გიორგი გვაზავამ სიხარული გამოხატა ერის ზნეობრივი ამაღლების, სულიერი გაერთიანების გამო, რაც გამოჩნდა კიდეც ამ ომში. ახალგაზრდები, ერი თუ ბერი, მიიწევდა ფრონტისკენ, რათა სამშობლოს ინტერესები დაეცვა. გიორგი გვაზავა ამბობდა, რომ საჭიროა სხვა ფრონტებზეც ასე თავდადებულად ვიბრძოლოთო, ასეთ ფრონტად ის მიიჩნევდა პარიზის კონფერენციას. „იქ უნდა წარვსდგეთ აღჭურვილნი საჭირო და სათანადო იარაღით, ცოდნით, გამოცდილებით და ყოველნაირი საბუთებით, იქ უნდა მოვიგოთ ბრძოლა, იქ უნდა დავუმტკიცოთ, გავაგებინოთ ყველას სრული სამართლიანობა ჩვენი მოთხოვნილებისა და უზრუნველვყოთ ჩვენი მომავალი, ჩვენი პოლიტიკური თავისუფლება". იქ გვეყოლებიან მომხრე ქვეყნებიც და მოწინააღმდეგენიც, ჩვენი საბუთებით, ანუ ჩვენი ჯარით კი გამოჩენილმა სარდლებმა უნდა იბრძოლონ და სიმართლე მოიპოვონო.

ევროპაში გასაგზავნი დელეგაცია, მისი აზრით, სპეციალურად და დიდი დაკვირვებით უნდა შერჩეულიყო. მის წევრად მხოლოდ ისეთი ადამიანი უნდა შეეყვანათ, ვინც გამართულად, ლამაზად მეტყველებდა ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე, თარჯიმნის მეშვეობით სიმართლეს ვერ დაამტკიცებ, „აქ თვითონ უნდა იყო მეთვალყურე, დარაჯი, მზვერავი და მეომარი"-ო.

ევროპის კონფერენციაზე გადამწყვეტი სამი სახელმწიფოა: ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა, იქ რევოლუციას არავინ ახსენებს და არც პროლეტარიატის ბრძოლებს უჭერენ მხარს, ჩვენი მთავრობის ბელადები კი ცნობილნი არიან ამ სარევოლუციო იდეებით, მათ წარსულში ბევრჯერ წარმოუთქვამთ ევროპული ბურჟუაზიის საწინააღმდეგო ფილითიკები, ამიტომ, შესაძლოა, მათ არც დაელაპარაკონ ისე, როგორც კერენსკის მოუვიდაო. ის არსად მიიღეს და ევროპულმა გაზეთებმა „მჩხავანა დერვიშად" მოიხსენიეს. ნუ გავგზავნით რევოლუციის ბელადებს იქ, სადაც მათ არ აფასებენ, ყურს არ დაუგდებენ და ამით სამამულიშვილო საქმეს ნუ გავაფუჭებთო.

„რად უნდა ჩავაგდოთ საფრთხეში ან მათი პატივცემული სახელი, ან ჩვენი ეროვნული ინტერესები?! — კითხულობდა ის და ომში დალუპული გმირების სახელით, საქართველოს ხელისუფლებას წინდახედული მოქმედების, მეორე ფრონტზე გამარჯვების მოპოვებისკენ მოუწოდებდა.[15]

გიორგი გვაზავა ცდილობდა მოეძებნა დამოუკიდებელი საქართველოს ადგილი დიდ მსოფლიო პოლიტიკაში, გაეაზრებინა წამყვან სახელმწიფოთა პოლიტიკური ორიენტაცია როგორც საგარეო, ასევე საშინაო მოღვაწეობაში.

გერმანიის დამარცხებამ და ანტანტის გამარჯვებამ ერთგვარი დაბნევა გამოიწვია საქართველოს სამთავრობო ელიტაში. ეროვნულ-დემოკრატები, მიუხედავად იმისა, რომ სულ ანტიანტანტურ პოზიციაზე იდგნენ მთელი 10-იანი წლების მანძილზე, ფარ-ხმალს არ ჰყრიდნენ და საქართველოს პოლიტიკურ მარცხს სოციალ-დემოკრატებს აბრალებდნენ. მათი

აზრით, საქართველოს მთავრობა გადაყოლილი იყო პარტიულ ინტერესებს, ცრუსოციალისტურ იდეებს და ნაკლებად ზრუნავდა სწორი გამოსავლის პოვნისთვის. 1919 წლის 18 თებერვლის დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსული გიორგი გვაზავაც მისი პარტიის სახელით ადანაშაულებდა მთავრობას მეზობელი აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოუგვარებლობისთვის, ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოს დიდი ქვეყნები ცდილობდნენ ბაქოსთან კავშირს.

გიორგი გვაზავა ამბობდა, რომ 1878 წლის ხელშეკრულება ბათუმზე და 1907 წლისა კუნძულ კვიპროსის შესახებ, იყო ორი საერთაშორისო დოკუმენტი, რომლითაც ინგლისი ცდილობდა თავისი პოზიციები აღედგინა მცირე და შუა აზიაში, წინ აღდგომოდა რუსეთის სვლას სამხრეთისკენ და ინდოეთისკენ.

მსოფლიო ომმა, ორატორის თქმით, დაანგრია ოთხი იმპერია: რუსეთის, გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის და ოსმალეთის. ამ ნანგრევებზე დაიბადნენ ახალი სახელმწიფოები და ყველა ერს უნდა შეეგნო ამ დიდი ისტორიული მომენტის მნიშვნელობა, დაეწყო თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აშენება და განმტკიცება. „სახელმწიფოებრივი ცხოვრება უმნიშვნელო ფანტაზია კი არ არის, — ამბობდა გვაზავა, — იგია ერთადერთი ფორმა, აუცილებელი ერის არსებობისათვის. უამისოდ ერი მხოლოდ დიდი ბრბოა, რომელსაც, როგორც ქვიშას, აშლის და აღგვის ყოველი ქარის მობერვა. სახელმწიფო არმატურაა, თავისებური ჯავშანი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აისხას ყოველმა ეროვნულმა ორგანიზმმა, თუ უნდა მას სიცოცხლე, თუ არადა იგი აუცილებლად გახდება ლუკმა პირველივე შემოსეული მტრისა". გვაზავას აზრით, ორი იმპერიის ნატეხებისაგან უნდა აღმდგარიყო საქართველოს სახელმწიფო — რუსეთისა და ოსმალეთის კუთვნილი ქართული ტერიტორიებისაგან, მის ისტორიულ საზღვრებში. ორატორი იმასაც აღნიშნავდა, რომ უდიდესი მისიის აღსასრულებლად პატარა და

სუსტ ერს, მართალია, ცოტა ძალა თუ ექნებოდა, მაგრამ მას უნდა ესარგებლა იმ საერთაშორისო ძალების გამოყენებით, რომელიც დაინტერესებული იყო რეგიონით და ახლო-მახლო ქვეყნებით. ასეთად კი მას ინგლისი მიაჩნდა. ევროპის ეს ძლიერი ქვეყანა, გვაზავას აზრით, იყო ერთადერთი მეტოქე იმპერიული რუსეთისა, რომელიც იმჟამად (1919 წ.) ჩაყენებული იყო თავის ბუნებრივ კალაპოტში და ინგლისი შეეცდებოდა მისი პოლიტიკის ეს ნაყოფი ხელიდან არ გაეშვა. აქ საქართველოს ინტერესებიც ემთხვეოდა ინგლისისას და თუ ჩვენი მთავრობა თავის სიმაღლეზე იქნებოდა, არც დენიკინის შემოსევა და არც ბოლშევიკებისა მისთვის დიდი საფრთხე არ გახდებოდა. მაგრამ, გვაზავას თქმით,საქართველოს მთავრობას ეს შეგნებული არ ჰქონდა, არც ცდილობდა და არც სურდა მტკიცე სახელმწიფოს აშენებას, ადგა „ისეთ თვალსაზრისს, რომელიც პირდაპირ აფერხებდა და ანგრევდა ყოველ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას", ასეთ პოლიტიკას ინგლისი მხარს არ დაუჭერდა, მის გარეშე კი საქართველო ვერ ააშენებდა მომავალს. „ფაქტი ასეთია, — ამბობდა გიორგი გვაზავა, — ინგლისმა დაიჭირა ბათუმი და ბაქო. იგი დაინტერესებულია, რომ ბათუმ-ბაქოს რკინიგზა და ეს თავისებური კორიდორი, რომელიც შესდგება საქართველოსა და ადერბაიჯანისაგან, იყოს უზრუნველყოფილი ყოველი არეულობისა და ეროვნული შეხლა-შემოხლისაგან. აშკარაა, ინგლისის ინტერესია, რომ კეთილმეზობლური განწყობილება არსებობდეს საქართველოსა და ადერბაიჯანს შორის. როდესაც დეპუტატმა კირილე ნინიძემ რეპლიკა ესროლა, რომ მთავრობა ამას ცდილობდა, გვაზავამ დაურიდებლად და მწვავედ უპასუხა: „არა, თქვენ არ ცდილობდით, პირიქით, თქვენ ამბობდით, რომ ადერბაიჯანი ბეგების ქვეყანაა და მათთან მეგობრობა დემოკრატიას არ შეეფერებაო. თქვენ მარტო ბეგები გელანდებათ და ბეგებს შეჰყურებთ..."ახალ რეპლიკაზე — თქვენ ვის შეჰყურებთო (რაც პარტიული დავისა და შეურიგებლობის გამოვლენა იყო ეროვნულ-დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის) — გვაზავამ

თქვა: „ჩვენ ქვეყანას, სახელმწიფოს შევყურებთ. ჩვენ ადერბაიჯანს ვუყურებთ, როგორც სახელმწიფოს, როგორც სუბიექტს საერთაშორისო უფლებისას, რომელთან შეიძლება და აუცილებელიცაა კავშირი და მეგობრული განწყობილება. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არიან იქ, ბეგები თუ დივან ბეგები, რეაქციონერები თუ რევოლუციონერები, ეს ჩვენი საქმე არ არის და ჩვენ არ გვეხება. თქვენ კი საქართველოს უყურებთ როგორც სარევოლუციო ბაზას სხვა ქვეყნებში თქვენი სარევოლუციო მოღვაწეობის გადასატანად და ის კი იწვევს ყოველგვარ საერთაშორისო უთანხმოებას".

გვაზავამ ისაუბრა ახალციხე-ახალქალაქის შემოერთებისთანავე იქ ანტიხალხური მიწის კანონის გატარებაზე, რამაც ხალხის უკმაყოფილება გამოიწივა. მთავრობის სახელით, საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა უსაყვედურა მას, როგორც იურისტს, იმის არცოდნა, რომ ეს იყო პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომელიც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გატარდა და უნდა გატარებულიყო, ახალციხე გამონაკლისი ვერ იქნებოდა. ამაზე გვაზავამ უპასუხა, რომ პარლამენტმა რომ მიწის კანონი მიიღო, მაშინ ახალციხე-ახალქალაქი არ შედიოდა საქართველოს საზღვრებში, გარდა ამისა, პარლამენტში კანონების მიღებას სამთავრობო პარტიული უმრავლესობა განაპირობებდა, სახელმწიფოს უნდა შეძლებოდა გათვალისწინება ყველა თავისებურებისა და კანონები ასე უნდა მიეღო.[16]

შთამბეჭდავი იყო გიორგი გვაზავას სიტყვა დამფუძნებელ კრებაში 1920 წლის 15 იანვარს, საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტოდ აღიარების გამო. მის სიტყვაში გამოჩნდა ისტორიის გრძელ გზაზე დამოუკიდებლობისათვის გადატანილი ჭირ-ვარამი, ქართველი ერის ბრძოლა და თავდადება. ორატორმა ისაუბრა 20-საუკუნოვან კულტურაზე, რომლითაც ამაყად წარსდგა ქართველი ხალხი ევროპის წინაშე, ისაუბრა ამ კულტურის შემქმნელ თაობებზე, ეროვნული სულის მატარებელ დიდებულ მოღვაწეთა მთელს პლეადაზე. მანვე გააკრიტიკა სოციალ-დემოკრატი მთავრობის ლიდერ-

თა სიტყვები, რომ მეფეებმა ვერ შეძლეს საქართველოს საზ-ღვრების დაცვა, მისი შენარჩუნება და ეს შევძელით ჩვენ, ქართველმა დემოკრატიამო. გვაზავამ თქვა, რომ მეფეებს დიდი სურვილი ჰქონდათ და ძალისხმევაც არ დაუშურები-ათ სამშობლოს დასაცავად, მაგრამ ისტორიულმა პირობებმა არ შეუწყვეს ამ საქმეში ხელი, ახლანდელ დემოკრატიას კი ამის პირობები შეექმნა, რადგან საქართველოს უპირველესი მტრების — რუსეთის და ოსმალეთის იმპერიები დაემხოო. „გაიხსნა ისევ ძველი ისტორიული შარა-გზა და ჩვენი დე-მოკრატია ბუნებრივად და ლოღიკურის აუცილებლობით დაადგა ამ გზას. ეს გზა მიდის ევროპისაკენ. ნურავინ, ნურც პარტია, ნურც კერძო პირი ნუ იტყვის იმას, რომ ვითომდა მან აღმოაჩინა ეს გზა, რომ ვითომდა მან მისცა ქართველ ერს ეს ახალი მიმართულება. არა, ბატონებო, საქართველო ამ გზას ადგა დღიდან თავისი კულტურული დაბადებისა. იგი ბუნებრივად შედიოდა იმ არეალში, რომელიც ეპყრა ხმელთა-შუაზღვის კულტურას". ასე საღად აფასებდა გიორგი გვაზა-ვა შექმნილ ისტორიულ მომენტს და წარსულის მოვლენებს, მიაჩნდა „რომ ევროპული გზა განვითარების ბუნებრივი გზა იყო საქართველოსთვის. ამ გზიდან იგი მხოლოდ მე-14-ე საუკუნეში მოწყდა ოსმალეთის აგრესიის შედეგად. თუმცა არც მაშინ შეუწყვეტია ბრძოლა, სადღაც, „აზიის კუნჭულ-ში მიმწყვდეული", 4 საუკუნე იბრძოდა, „დაჰკარგა" ბევრი პროვინციები, დაიცალა სისხლისაგან, მაინც მეცხრამეტე საუკუნემდე მიიტანა თავისი კულტურული სიმდიდრე და პოლიტიკური ხელმწიფობა", მაგრამ შემდეგში დასუსტებუ-ლი და არაბუნებრივად წელში მოხრილი, რუსეთს ჩაუვარდა ხელში. როგორც კი ამ უკანასკნელის მარწუხებს დაუძვრა, ისევ ბუნებრივ გზას დაუბრუნდა: ევროპის გზას.

გიორგი გვაზავას აზრით, ქართველ ხალხს ევროპასთან მეტი საერთო ჰქონდა ისტორიულად, ვიდრე რუსეთთან. იგი ამბობდა: „ჩვენ რუსეთთან არა გვაქვს არაფერი საერთო არც ისტორიულად, არც რასსობრივად, არ გეოგრაფიულად. შეწ-ყდა არაბუნებრივი და იძულებითი კავშირი იმასთან, იწყება

ახალი ხანა თავისუფალი მოძრაობის და ბუნებრივი განვითარებისა".

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ევროპის მიერ დიდი ისტორიული გარდატეხის დასაწყისად მიაჩნდა ეროვნულ-დემოკრატ გიორგი გვაზავას. მაგრამ უაღრესად განათლებული ადამიანი, პოლიტიკური ცოდნით შეიარაღებული ორატორი არც იმას მალავდა, რომ საქართველოს ამ გზაზე გაუჭირდებოდა, რადგან არ ჰქონდა საკმარისი არც ცოდნა, არც ტექნიკა და არც კაპიტალი. ამიტომ დაჭირდებოდა ევროპის დიდი ქვეყნების დახმარება, ის იმედს გამოთქვამდა, რომ ევროპა, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთი, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას, დაეხმარებოდა კიდეც მის დაცვა-გამტკიცებაში — მართალია, საქართველოს სახელოვანი ჯარი და გვარდია ჰყავდა, მაგრამ საჭირო იყო მისი ტექნიკური აღჭურვა, ცოდნითა და დისციპლინით შეიარაღება, საჭირო იყო წიაღისეული სიმდიდრეების მოპოვება, ფინანსების მოძიება ცხოვრების ყველა სფეროში აღორძინების მისაღწევად.

გვაზავას მიაჩნდა, რომ საქართველოს უნდა მიეღწია სახელმწიფოებრივი ცხოვრების მაღალი დონისათვის, დაეცვა მოქალაქეთა უფლებები, შეექმნა თავისუფალი, შემოქმედებითი შრომის პირობები.

საინტერესო იყო მისი შეხედულება საქართველოს მომავალ საზღვრებზე, რომელიც ჯერ კიდევ არ დაემტკიცებინა საერთაშორისო კონფერენციას. გვაზავა აცხადებდა: „ჯერ არ არის საერთაშორისოდ გამორკვეული ჩვენი საზღვრები, მაგრამ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს დაუბრუნდება ყველა მისი ორგანული ნაწილები, არა მარტო ბათომის ოლქი, არამედ ლაზისტანიც, თორთუმი და ისპირიც, აგრეთვე სხვა განაპირა მიდამოებიც, რომლებიც ყოველთვის შეადგენდნენ მის განუყოფელ და ორგანულ ნაწილებს". ის იმედოვნებდა, რომ საზღვრებისათვის დაპირისპირება და მტრობა მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიანად გადაწყდებოდა.[17]

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამდროინდელი ქართველი მოღვაწეები, გიორგი გვაზავას თანაპარტიელი და თანამოაზრე ეროვნულ-დემოკრატები, ევროპულ ორიენტაციასთან ერთად, არ ივწყებდნენ საქართველოს სხვა ისტორიულად არსებულ კავშირებს და საჭიროდ თვლიდნენ ამის აღდგენა-განახლებას. გაზეთ „საქართველოს" ერთ-ერთ სარედაქციო წერილში ნათქვამია, რომ საქართველო არ არის მარტო ევროპული ქვეყანა. ის ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს და არ შეიძლება მოწყდეს აზიურ ნაწილს, ეს იქნება ისტორიული გზის უარყოფა და ცუდი შედეგების მომტანი. ევროპისაკენ გეზის აღებასთან ერთად, — ვკითხულობთ მოწინავე სტატიაში, — საქართველომ ენერგიული მუშაობა და მჭიდრო კავშირი უნდა გააბას მეზობელ აზიის ქვეყნებთან: აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ოსმალეთთან, სპარსეთთან, ავღანეთთან, ინდოეთთან და სხვა, რომელთაგან, მართალია, ბევრი სიმწარე გვინახავს, მაგრამ „კულტურული ტკბობაც" მიგვიღიაო. განსაკთრებულ მნიშვნელობას სტატიის ავტორები სპარსეთს ანიჭებდნენ, სადაც ეკონომიკური თვალსაზრისით ბევრი რამ იყო საინტერესო დამოუკიდებელი საქართველოსთვის. ამ ისტორიულად ახლო მდგარ ქვეყანაში იაფი სურსათის დიდი მარაგი იყო, რაც ასე ჭირდებოდა დამოუკიდებლობის ძნელ გზაზე დამდგარ საქართველოს. ეს საკითხები სპარსეთში გაგზავნილ ქართულ წარმომადგენლობას უნდა მოეგვარებინა.

გიორგი გვაზავას საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები კარგადაა ასახული მის პუბლიცისტიკაში. წერილში — „საქართველო და დემოკრატიზმი" — პუბლიცისტი ჩვენი ქვეყნის დიდ წარსულს, მის სახელმწრფოებრივ გამოცდილებას ეხება, აღნიშნავს, რომ საქართველოში თამარის დროს პარლამენტარიზმისა და კონსტიტუციონალიზმის ნიშნები გამოჩნდა და განვითარდებოდა კიდეც ჩვენი ქვეყანა ევროპაზე უადრეს, რომ არა მონღოლთა შემოსევა, ან თურქული ტრაგედია, 1453 წლის აქტით რომ დაგვირგვინდა. კონსტანტინოპოლის დაცემას მოჰყვა საქართველოს

მოწყვეტა ხმელთაშუაზღვის კულტურისაგან, მისი ერთი ნაწილი გამაჰმადიანდა და ოსმალეთის იმპერიამ მიიერთა, მეორე, ქრისტიანული ნაწილი კი რუსეთის იმპერიამ დაიპყრო. როდესაც მსოფლიო ომში ორივე დამარცხდა, საქართველო უნდა დაბრუნებოდა თავის ისტორიულ გზას. „ლოგიკური და აუცილებელი დასკვნა ამ ისტორიული პროცესისა არის საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი თავისუფალი შესვლა „ხმელთაშუაზღვის კულტურაში", ან, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ — საერთაშორისო ოჯახში.

ეს მიაჩნდა გიორგი გვაზავას ქვეყნის საგარეო ორიენტაციის მთავარ მიმართულებად. აქედან კი გამოჰქონდა რუსეთის მიმართ ასეთი დასკვნა: „რუსეთთან უნდა შეწყდეს სამუდამოდ ყოველი დამოკიდებულებითი განწყობილება, იგი — მისთვის, ჩვენ ჩვენთვის. ამიტომ ბოლშევიზმი იქნება იქ, თუ მონარქიზმი, ეს ჩვენ არ შეგვეხება. ჩვენი ისტორიული გზა გამოკვეთილია და განათებული მთელი ისტორიული პროცესით".

თუ არ იქნებოდა თავისუფლება და თანასწორობა, ისე ვერც ერთ სახელმწიფოსთან ვერ დამყარდებოდა კავშირი. გამონაკლისი რუსეთი ვერ იქნებოდა.

გიორგი გვაზავა თვლიდა, რომ არც ყველაფრის მიღება შეიძლებოდა დიდი სახელმწიფოების ცხოვრებიდან, არც მთავარის დავიწყება. ეს მთავარი კი იყო: პიროვნული თავისუფლება და კერძო საკუთრება, რომლის გარეშე სახელმწიფო ვერ შევიდოდა საერთაშორისო ოჯახში, ვერც განვითარდებოდა. ამ პრინციპს ებრძოდნენ უკიდურესი სოციალისტები, გვაზავა აკრიტიკებდა რუს ბოლშევიკ-მენშევიკებს, რომლებიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობაზე წერდნენ: — „სოციალიზმი დაავიწყდათ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აშენებენო". მართალია, მთავრობას თავადაც ხშირად აკრიტიკებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების მომხრედ და დამცველად გამოდიოდა, უფრო სწორად, მას სურდა ასე ყოფილიყო,

თუმც მწუხარედ დასძენდა, რომ საქართველოს მთავრობა დიამეტრულად საწინააღმდეგო პრინციპებს აყენებდა: „ჯერ დემოკრატია, შემდეგ სოციალიზმი", როდესაც აცხადებდა, გვაზავას აზრით, სოციალიზმი გამორიცხავდა დემოკრატიას, რამდენადაც დემოკრატიის საფუძველი კერძო საკუთრება იყო, სოციალიზმი კი კერძო საკუთრებას ებრძოდა. პუბლიცისტი სვამდა კითხვას: შეეგუებოდა თუ არა მონარქიულ პრინციპს შეჩვეული ქართული სახელმწიფო თავისებურებებს, ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფეოდალურ პირობებში აბსოლუტიზმი და დიქტატურა ბუნებრივად ვითარდებოდა, ახალ პირობებში კი, როდესაც ეკონომიკური, სულიერი, თუ გეოგრაფიული კავშირები ქვეყნის კუთხეებს შორის სწრაფი იყო და მოსახერხებელი, დემოკრატიზმის ფორმაც ყველაზე მისაღები იყო და საქართველოც მხოლოდ ამ გზით უნდა წასულიყო[18], მაგრამ ქართულ დემოკრატიზმს ჩრდილოეთიდან ბოლშევიზმის საფრთხე ემუქრებოდა. ის, სოციალიზმის სახელით, ყველაფერს ჰპირდებოდა ხალხს, რაც ილუზია იყო, მაგრამ ძალზე მომხიბვლელი. გვაზავა აკრიტიკებდა ლენინის თეორიას სახელმწიფოზე, მარქისტულ ფორმულას: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით", ამბობდა, რომ ეს პროლეტარები დგანან თავიანთ ქვეყნის საზღვრებზე და ებრძვიან სხვა ქვეყნის პროლეტარებს. ეროვნულ სახელმწიფოს ასეთი ფორმულა ვერ გამოადგებოდა, ლენინს იგი „მართლმადიდებელ მარქსისტს" უწოდებდა და მის ანტიდემოკრატიულ შეხედულებებს აბსურდულად თვლიდა, განსაკუთრებულ სისულელედ კომუნიზმის თეორიას მიიჩნევდა. გვაზავა იმოწმებდა ფრანგების გამოთქმას რუსულ ბოლშევიზმზე, მას პანრუსულ ფურგონს უწოდებდა, რომელიც მხოლოდ რუსეთში დაგრიხინებდა, რა ბედნიერებაც მოუტანა მან რუსეთს, უკვე ჩანსო. პუბლიცისტი ასკვნიდა: „ამნაირად, ერთად ერთი პრინციპი, რომელზედაც უნდა იქმნეს აგებული ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, არის დემოკრატიზმი. ეს ლოგიკური შედეგია მთელი ისტორიული პროცესის და დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობისა".[19]

გიორგი გვაზავა არასაკმარისად მიიჩნევდა ევროპის კონფერენციაზე წარგზავნილი საქართველოს დელეგაციის მუშაობას, მისი აზრით, დელგაციამ ვერ შეძლო სრული ინფორმაციის გავრცელება ჩვენი ქვეყნის რეალურ მდგომარეობაზე, მის ისტორიასა და თანამედროვეობაზე. ამის შედეგად მიაჩნდა 1920 წლის 12 აგვისტოს უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომლის მიხედვით, აშშ ცნობდა რუსეთის სახელმწიფოს აღდგენას ძველ საზღვრებში — ფინეთის, პოლონეთისა და სომხეთის გამოკლებით. ამერიკა არ ცნობდა სხვა სახელმწიფო ერთეულებს, მათ შორის საქართველოსაც. გვაზავამ დამფუძნებელი კრების სასწრაფოდ მოწვევა მოითხოვა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით; მისი აზრით, კრებას უნდა შეესწავლა და შეეფასებინა ქართული დელეგაციის მუშაობა საზავო კონფერენციაზე. „ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია მოითხოვს, — წერდა გაზეთი „საქართველო", — რომ ამ ნოტის შესახებ დამფუძნებელმა კრებამ გამოთქვას თავისი კატეგორიული აზრი, რომელსაც ის შეატყობინებს ევროპაში მყოფ საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს სათანადო განცხადებისათვის ანტანტის წინაშე. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის აზრით, ამერიკის ასეთი შეუფერებელი გამოსვლა, კერძოდ, ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ, აიხსნებოდა არა პრინციპიალური მტრული განწყობილებით შეერთებული შტატებისა საქართველოს სახელმწიფოებრიობისადმი, არამედ იმ გარემოებით, რომ ჩვენმა მმართველმა წრეებმა მთელი ორი წლის განმავლობაში ვერ შეძლეს ევროპა-ამერიკის წინაშე წარედგინათ ნამდვილი სახე დამოუკიდებელი საქართველოისა".[20]

ამ თემას ეხებოდა გაზეთის მოწინავეც, რომელიც წუხდა, რომ აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი ბენ ბრიჯი კოლბი არ ცნობდა საქართველო-აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას მაშინ, როდესაც „დე-ფაქტოდ" ეს ქვეყნები უკვე აღიარა ანტანტის კონფერენციამ და „დე-იურედ" აღიარებასაც უახლოეს დროში ჰპირდებოდა, გაზეთი ამ ფაქტს მიიჩნევდა

გიორგი გვაზავა ემიგრაციაში

საქართველოსთვის საფრთხედ, რადგან აშშ-ს დიდი „ხმა და პოლიტიკური წონა" ჰქონდა. სომხეთი ვერ მიიღებდა ამ დიდი ქვეყნის მხარდაჭერას, თუ არა მისი პოლიტიკური წრეების მეტი აქტივობა და საინფორმაციო ხასიათის მუშაობა, სომეხმა დიპლომატებმა დაარწმუნეს დემოკრატიული ამერიკის პოლიტიკური წრეები თავიანთი ქვეყნის უფლებებში, აჩვენეს მას „რეალური შეძლება და უნარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოსაწყობად".

გაზეთი მთელ ქართველ ხალხს მოუწოდებდა პროტესტი გამოეთქვა მთავრობისათვის დელეგაციის ამგვარი პასიურობის გამო.[21]

გიორგი გვაზავა დიდ შეფასებას აძლევდა ერთა ლიგას. მისი შექმნის საფუძვლად მიიჩნევდა მსოფლიო ომს, ქვეყნების ურთიერთდაპირისპირებისა და ინტერესთა შეჯახების სიმძაფრეს, დემოკრატიზმის გამარჯვებას, ეროვნული შეგნების გამოლვიძებას, საზავო კონფერენციის მოწვევას, რომელსაც უნდა შეექმნა ახალი მსოფლიო წესრიგი.

მონარქიზმი და იმპერიალიზმი, რომელიც ხელს უშლიდა დემოკრატიის და თავისუფლების პრინციპთა გამარჯვებას, მისი აზრით, დაასამარა ოთხი დიდი იმპერიის: რუსეთის, გერმანიის, ავსტრო-უნგრეთისა და ოსმალეთის დანგრევამ. მართალია, ანტანტა ორი იდეოლოგიის დაპირისპირებისას — დემოკრატიის მხარეზე იდგა, მაგრამ ამ კავშირში იყო რუსეთიც, ნამდვილი მტერი თავისუფლებისა, მონობის გამომჭედი იმპერია. გვაზავას თქმით, ეს იყო ალოგიზმი და იგი უნდა დაენგრია ომს. ისტორიას აქვს თავისი უტყუარი და აუცილებელი ლოღიკა, — წერდა იგი, — რუსეთი მოკავშირე იყო ანტანტის სახელმწიფოებისა და ეს იყო ხელოვნური დიპლომატიით შექმნილი ხუხულა, რომელიც ომმა მოსპო. ანტანტის კავშირში „ხელოვნურად შესული რუსეთი ისტორიის უწყალო ხელმა გამოჰგლიჯა იმ კავშირს, სადაც მას ადგილი არ უნდა ჰქონოდა და გადააგდო დამარცხებულ სახელმწიფოთა ბანაკში". რუსეთი დამარცხდა და იმიტომ კი არ დამარცხდა, გვაზავას აზრით, რომ სუსტი მებრძოლი იყო, ან იარაღი აკლდა, ან ფული, ან სხვა რამე, არამედ იმიტომ, რომ მისი შინაარსი, მისი რეჟიმი, მისი იდეოლოგია იყო თავისუფლებისა და დემოკრატიის უარყოფა, ეს კი ის იდეალებია, რომელთა გარეშე კაცობრიობა ვერ განვითარდება, ავტოკრატიული რეჟიმები ვერსად ვერ იქნება სამუდამო, ომი მთელმა მსოფლიომ გადაიტანა, უამრავმა ხალხმა დაღვარა სისხლი და მისი შედეგები, გვაზავას თქმით, ყველას უნდა შეხვედროდა. პუბლიცისტი იხილავდა ერთა ლიგის დებულებას, მის მუხლებს და მას თანამედროვე კაცობრიობის დიდ შენაძენად მიიჩნევდა.[22]

გვაზავა კარგად ხედავდა ომისშემდგომ მსოფლიოს, მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს, ურთიერთშორის წარმოქმნილ ინტერესებსა და პრეტენზიებს. საერთო მსოფლიო სურათის დაკვირვება ნიჭიერ პოლიტიკოსს წინასწარგანჭვრეტის უნარსაც არ უკარგავდა და ის საინტერესო თვალსაზრისს გამოთქვამდა მომავალში მსოფლიო პროცესების განვითარების შესახებ. „საკვირველია, როგორ მიდის

ისტორია, — წერდა იგი, — როგორ იკაფავს გზას თავის მიზნების განსახორციელებლად, როგორ აგროვებს ხშირად მოწინააღმდეგე ძალებს... საფრანგეთმა გაიმარჯვა! მისი უმთავრესი სურვილი იყო დასუსტება გერმანიისა, მისი ტერიტორიული დანანევრება და ეკონომიური დაცემა. მაგრამ... და აქ იბადება სხვა მოსაზრებანი. დღეს დამარცხებული გერმანიაც, შეიძლება ხვალ წამოდგეს. გავა ათი ან ოცდაათი წელიწადი და ვინ იცის როგორ დატრიალდება ბედისწერა?.." — გვაზავა იგონებდა ჩინგიზ ხანის, ძველი სახელმწიფოების მეთაურთა გამარჯვებებს, ნაპოლეონის მიერ ევროპის დაპყრობას, რომელიც არ ყოფილა ხანგრძლივი და მიაჩნდა, რომ ამისთვის იყო საჭირო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნით მშვიდობის განმტკიცება-გახანგრძლივება. მას მოჰქონდა უამრავი მაგალითი XVIII-XIX საუკუნეების ევროპის ისტორიიდან, როცა ქვეყნები ცდილობდნენ მშვიდობის დამკვიდრებას, მაგრამ ეს არ ხერხდებოდა.[23] ერთა ლიგის დაარსება და საერთაშორისო უფლებათა აღიარება გვაზავას მიაჩნდა დიდ მიღწევად, რაც პარიზის კონფერენციამ შეძლო 1919 წელს.[24]

გვაზავამ ქართველი მკითხველისათვის ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ერთა ლიგის დებულება, რომელიც სულ 26 მუხლისაგან შედგებოდა, ასევე დამატება, სადაც აღნუსხული იყო ამ ორგანიზაციის ძირითადი წევრები, რომლებმაც ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, და მოწვეული ქვეყნების სია.

მომდევნო წლებში გვაზავა აკრიტიკებდა ორგანიზაციის დებულებას, თუმცა მთლიანად მას დიდ მიღწევად თვლიდა.[25] მისი აზრით, ორგანიზაციას უნდა შეესწავლა ერები, მათი ისტორიული წარსულის გათვალისწინებით უნდა მიეღო ისინი თავის რიგებში. „საქართველო არ არის არც ვისიმე სამფლობელო, არც ახალშენი,— წერდა იგი. მან აღადგინა მხოლოდ თავისი თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, შეწყვეტილი რუსეთის მუხანათობითა და ღალატით".

საქართველოს შეუსვლელობას ამ ორგანიზაციაში ის

სოციალისტურ ხელისუფლებას აბრალებდა. რა თქმა უნდა, ბოლომდე მართალი არც გვაზავა იყო ამ კრიტიკაში: საქართველოს მთავრობას ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ უნაკლოც რომ ყოფილიყო, ანდა მათ ადგილზე ეროვნულ-დემოკრატები ყოფილიყვნენ, მაინც ვერ მოხდებოდა ამ დროს საქართველოს შესვლა ლიგაში, რადგან ეს არ ჯდებოდა ამდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკის სქემაში.

გიორგი გვაზავა ეროვნულ-დემოკრატი იყო და, ბუნებრივია, აღიარებდა კერძო საკუთრების უზენაესობას. ევროპულ სოციალიზმს, რომელიც ამ ფასეულობას იცავდა, პატივს სცემდა, მაგრამ მისთვის სრულიად მიუღებელი იყო ქართული სოციალიზმი, ბოლშევიკურიც და სოციალ-დემოკრატიულიც, რადგან ეს უკანასკნელიც ხელყოფდა ადამიანის უფლებებს, ართმევდა მას ქონებას, არ აძლევდა ამის გაპროტესტების ნებას, უხშობდა სასამართლოს კარს... ხშირად გაუკრიტიკებია მას მთავრობა ასეთი პოზიციისათვის, ხშირად ყოფილა უსამართლოდ დაჩაგრულთა დამცველიც. ქართველი სოციალ-დემოკრატების გადახრა ბოლშევიკური პრინციპებისადმი იგრძნეს 1920 წელს საქართველოში მყოფმა ევროპელი სოციალ-დემოკრატების დელეგაციამაც, მიუთითეს მათ ცალკეულ შემთხვევებზე, ურჩიეს გამოსწორება, სხვა მხრივ კი, საქართველო სოციალისტური სახელმწიფოს ნიმუშად მიიჩნიეს. ეროვნულ-დემოკრატები უთითებდნენ მთავრობას — ესმინათ ევროპელი თანამოაზრეებისათვის, მიელოთ ვანდერველდეს, ჰიუსმანის, კაუცკისა და სხვათა რჩევები. გიორგი გვაზავა ერთ შემთხვევასაც ახსენებდა საზოგადოებას, პარიზში, 1920 წლის ზაფხულში მეორე ინტერნაციონალის მდივან — ჰიუსმანთან შეხვედრას, როდესაც იგი ქართული დელეგაციის წევრს — ირაკლი წერეთელს ესაუბრებოდა — „ირაკლიმ გამაცნო იგი, — იგონებდა გვაზავა.

— აი, ეს გახლავთ ჩვენი მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენელი, იცავს ბურჟუაზიას და კაპიტალისტურ წარმოებასო, — უთხრა ჩემზე ღიმილით და მეგობრული კილოთი.

— არა, ბატონო, ვუპასუხე მეც ღიმილით: მე ვიცავ ეროვნულს და არა კლასობრივ ინტერესებს. მე დემოკრატი ვარ და სანამ თქვენც დემოკრატი ხართ, თქვენთან ვარ და თქვენთან ვთანამშრომლობ-მეთქი.

— დაგავიწყდათ აგრარული რეფორმა? თქვენ არ მოითხოვდით მიწის გამოსყიდვას? — დამეკითხა ბ-ნი ირაკლი.

— მართალია, ვუპასუხე მე,— ჩვენ მოვითხოვდით მიწის გამოსყიდვას მემამულეთაგან, ვინაიდან, ჩვენის აზრით, მუქთად ჩამორთმევა ქონებისა არის ტაციობა და არა დემოკრატიული პრინციპი...

ბ-ნი ჰიუსმანი, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და ყურს უგდებდა ჩვენს დავას, ჩაერია ბაასში და გაკვირვებით ჰკითხა ირაკლის:

— როგორ, თქვენ უსასყიდლოდ ჩამოართვით მიწა?!

— უსასყიდლოდ.

— დიდი შეცდომა ჩაგიდენიათ, — სთქვა ჰიუსმანმა. უსასყიდლოდ ჩამორთმევა ქონებისა ბოლშევიკური პროგრამაა და არა ჩვენი, ნამდვილი სოციალისტებისა.

ჰხედავთ, ბატონო ირაკლი? მე ვყოფილვარ „ნამდვილი სოციალისტი, თქვენ კი... ვთქვი მე.

ირაკლიმ ჩაღუნა თავი, ალბათ დავის გაგრძელება არ უნდოდა“.[26]

ასე იხსენებდა გიორგი გვაზავა ამ ფაქტს და ამით ერთხელ კიდევ აჩვენებდა ევროპული და ქართული სოციალიზმის განსხვავებას.

გიორგი გვაზავა იყო ფართო მასშტაბის განათლების მქონე, დიდი დიაპაზონის მოაზროვნე. მას კავშირები ჰქონდა ევროპის ქვეყნების დიდ მეცნიერებთან, მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, ცდილობდა ყველა ურთიერთობის საქართველოს სასარგებლოდ გამოყენებას. ყველას აწვდენდა ის ხმას საქართველოს ჩაგრულ მდგომარეობაზე, რუსეთის კოლონიურ სისასტიკეზე, ყველას განაწყობდა საქართველოს სიყვარულითა და მისადმი თანაგრძნობით.

როდესაც 1907 წელს ჰააგაში, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, პეტიცია შეიტანა რუსეთის წინააღმდეგ, გამოიყენა ჰააგის სასამართლოს საერთაშორისო არბიტრაჟის, ბელგიელი პროფესორის, გამოჩენილი მეცნიერის— ერნესტ ნისის ნაცნობობა. ეს მოღვაწე, გვაზავას თქმით, მუდამ საქართველოს დაცვაში იყო, მუდამ რუსეთს აკრიტიკებდა საქართველოს დაპყრობისა და კოლონიად ქცევისათვის.[27]

ის თავის პროფესიას ახმარდა ქართველი ხალხის ინტერესთა დაცვას, არ ერიდებოდა ავტორიტეტებს, მიაჩნდა, რომ იურიდიული სამართლიანობის, სასამართლო ორგანოთა ნამდვილი დემოკრატიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს აშენება. ის სახელმწიფოს შეახსენებდა კანონებს, როდესაც ირღვეოდა ეს კანონები, ურჩევდა — მაგალითის მიცემას მათ დაცვაში. ასეთი იყო შემთხვევა, როდესაც მოქალაქე კონსტანტინე (კოწია) თუმანიშვილი დაიჭირეს ნოე ჟორდანიას პირადი შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის. გვაზავამ პრესით გააპროტესტა ეს აქტი, დაიცვა ბრალდებული, რადგან ის არ იყო სახელმწიფო სამსახურში და მის მიმართ დისციპლინარული სასჯელი არ შეიძლებოდა, თანაც სასამართლოს უნდა განესაჯა ბრალეულობა, მით უმეტეს, პიროვნება არ იყო პოლიტიკურად საშიში და ეჭვმიტანილი სხვა არასამართლებრივ ქმედებაში. სასამართლო უნდა განსჯიდეს და არა მოხელეთა პირადი სურვილები, იურიდიული ცოდნა უნდა იქნეს გამოყენებული და პატივცემული მთავრობის მიერო, — ამტკიცებდა გვაზავა.[28]

გიორგი გვაზავა იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შემუშავებული პირველი ქართული კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი. ამიტომ დიდია მისი როლი ამ კონსტიტუციაში შესული დემოკრატიული ფასეულობების კანონმდებლობით განმტკიცებაში, საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული ღირებულებების შემოტანა-დამკვიდრებაში. მართალია, კონსტიტუციამ ვერ იმუშავა, საბჭოურმა 70-წლოვანმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა დაფარა მისი არსებობა, მაგრამ შემდეგში, როდესაც

კვლავ აღდგა დამოუკიდებლობა, როდესაც ქართველმა ერმა კვლავ დაიბრუნა დაკარგული თავისუფლებისა და დემოკრატიის მაღალი იდეალები, მისი ნააზრევი კვლავ გაცოცხლდა, რადგან ჩვენს დღევანდელ კონსტიტუციას საფუძვლად მის მიერ შედგენილი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები დაედო. ბევრი იბრძოლა მან იმისათვის, რომ კონსტიტუცია აეცდინა სოციალისტურ-ბოლშევიკურ იდეოლოგიას, საქართველოს მთავრობის მესვეურთა შეხედულებების კანონმდებლობაში გადატანას. ამას ადასტურებს მისი რამდენიმე პუბლიცისტური წერილი, რომელიც გაზეთ „საქართველოში" ქვეყნდებოდა 1920 წელს.

წერილში — „კონსტიტუცის ირგვლივ"— გიორგი გვაზავამ შიში გამოთქვა მთავრობის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული მოხსენების გამო, სადაც ლაპარაკი იყო კონსტიტუციაში ფაქტიურ ძალთა განწყობილებების ასახვაზე. იცოდა რა, რომ მთავრობის მეთაურის აზროვნებას ზეგავლენა შეიძლება მოეხდინა სახელმწიფოს ძირითად კანონპროექტზე, გვაზავა აკრიტიკებდა ჟორდანიას ამ თვალსაზრისს, მას თვლიდა მოძველებულად. ამ შეხედულებას ის მიაწერდა ლასალს, მიაჩნდა, რომ იმ დროს გერმანიის რეალურ ვითარებას ასახავდა ეს აზრი, საქართველოში კი სულ სხვა ვითარება იყო. ევროპაში საარჩევნო კანონს ყველგან ქონებრივი ცენზი განსაზღვრავდა, საქართველოში კი, უკვე 1919 წელს ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, სადაც საყოველთაო პრინციპი გატარდა: ყველა თანასწორი იყო და ყველას ჰქონდა საარჩევნო ხმა. ამიტომ, გვაზავას აზრით, რომელიმე კლასის, ან პოლიტიკური წრის გამოყოფა, რომელსაც უფრო მეტი უფლება მიეცემოდა კონსტიტუციით, შეუძლებელი იქნებოდა. „ბ-ნი ჟორდანიას შეხედულება, — წერდა გვაზავა, — აუცილებლად წაგვიყვანს სწორედ აქეთკენ. თუ რომელიმე წრეს ან კლასს მიეცემა მეტი უფლება, აშკარაა, დარღვეული იქნება დემოკრატიული პრინციპი თანასწორობისა".

მას მაგალითად მოჰქონდა რუსეთი,სადაც ოცდახუთი ათასი მუშა ირჩევდა იმდენივე წარმომადგენელს, რამდენ-

საც ასოცდახუთი ათასი სოფელი. ამით მყარდებოდა პროლეტარიატის დიქტატურა.

„ჩვენ ამ გზით არ მივდივართ და ძალთა განწყობილებაზე" ლაპარაკი ჩვენს პირობებში მოძველებულად უნდა ჩაითვალოს", —ირწმუნებოდა ის.

გვაზავა აკრიტიკებდა ჟორდანიას აზრს საქართველოში ბურჟუაზიის არარსებობაზე, არიან მისი იდეოლოგები, მაგრამ თვით კლასი არ არისო, — ამბობდა ჟორდანია, პროლეტარიატის არსებობას კი უშვებდა, რაზედაც გვაზავა დაცინვით წერდა: თუ პროლეტარიატია, მაშ, ბურჟუაზიაც გვყოლია, თუ ჟორდანიას ვერწმუნებით და ბურჟუაზიის არარსებობას ვაღიარებთ, მაშინ პროლეტარიატიც არ უნდა გვყავდესო. ამ შეხედულებას მარქსისტული აზროვნების ანარეკლად უთვლიდა, რომლის მიხედვით თვით სახელმწიფოს არსებობა იყო უარყოფილი. გვაზავა თვლიდა, რომ კონსტიტუცია უნდა ასახავდეს სახელმწიფოს მოწყობას, მთელი ერის ცხოვრებას, მისი საშუალებით ქვეყნის ყველა მოქალაქეს უნდა მიეცეს ერთნაირი უფლებები და თავისუფლების გარანტია. გვაზავას არასწორად მიაჩნდა ჟორდანიას მჯელობა: ორი ტიპის რესპუბლიკიდან: მთავრობის თავმჯდომარე პარლამენტარულს იმიტომ უარყოფდა, რომ, თითქოს, იქ ბურჟუაზია ბატონობდა და ყველა ძალაუფლება პარლამენტის ხელში იყო, დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება დანაწილებული იყო ცენტრსა და პერიფერიებს შორის.

გვაზავას მიაჩნდა, რომ პარლამენტარიზმი და დემოკრატიზმი არ ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს, პარლამენტარიზმის არსებითი შინაარსი არც ბურჟუაზიის ბატონობა იყო და არც ცენტრალიზმი. მისი შინაარსიც და დამახასიათებელი ნიშანიც იყო მხოლოდ პასუხისმგებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისა პარლამენტის წინაშე, მეტი არაფერი. პასუხისმგებლობა კი სრულიად არ ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის იდეას. საამისოდ გვაზავა საფრანგეთის მაგალითს ასახელებდა.

კრიტიკაში პირდაპირი და დაუნდობელი პუბლიცისტი ნოე ჟორდანიას პასუხისმგებლობისაგან გაქცევას საყვედურობდა და ამას თვლიდა შეხედულების საფუძვლად, როდესაც საქართველოს მთავრობის მეთაური პარლამენტარიზმს და დემოკრატიას ასე აშორიშორებდა, „მას უფრო მოსწონს პრინციპი მორჩილებისა, — წერდა გვაზავა, ვითომდა მორჩილება დემოკრატიული პრინციპია. ეს, რასაკვირველია, არ არის მართალი. მორჩილება უფრო პრინციპია დელოგიზმისა და თვითნებობისა. პირიქით, დემოკრატიზმის პრინციპია თავისუფლება, თვითგამორკვევა, თვითმოქმედება და აქედან გამომდინარე — პასუხისმგებლობა თავის მოქმედებაში“.

გვაზავა დასცინოდა ნოე ჟორდანიასგან ასევე სამთავრობო კრიზისების უარყოფას, სამინისტროს გადადგომის შემთხვევას. „ბ-ნი ნოე ბრძანებს, ამისთანა კრიზისებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, კრიზისის მოწყობა ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპსაო“. გვაზავა სამართლიანად ფიქრობდა, რომ მთავრობის კრიზისი, გადადგომა დემოკრატიული სახელმწიფოს მოვლენა იყო.

გვაზავა აკრიტიკებდა ნოე ჟორდანიას შეხედულებას პრეზიდენტის ინსტიტუტის შესახებაც. ჟორდანია დემოკრატიზმს და პრეზიდენტის ინსტიტუტს შეუთავსებლად თვლიდა, რაზედაც გვაზავა წერდა: მე ვკითხე მას, თუ ასეა, რატომაა მაშინ ამერიკაში დემოკრატიაც და პრეზიდენტიცო. მან მიპასუხა, ამერიკის პრეზიდენტებს ევროპის მონარქებზე მეტი უფლება აქვთო. ამ შეხედულებას შეცდომად უთვლიდა გვაზავა ჟორდანიას. „პრეზიდენტობა არ გამომდინარეობს არც პარლამენტარიზმიდან და არც დემოკრატიზმიდან, — წერდა გვაზავა. პრეზიდენტი შეიძლება იყოს და არ იყოს, მიუხედავად პარლამენტარიზმისა თუ დემოკრატიზმისა“. ასახელებდა ამერიკისა და შვეიცარიის მაგალითს. პრეზიდენტი ამერიკაში იყო, შვეიცარიაში არა, მაგრამ დემოკრატია ორივეგან იყო.

გვაზავა სამ მაგალითს ასახელებდა საქართველოსთვის: 1. ამერიკისას, სადაც პრეზიდენტი იყო და ყველა უფლება ჰქონდა მას, 2. შვეიცარიისას, სადაც ყველა უფლება ხალხის

მიერ არჩეულ წარმომადგენლებს ჰქონდა და ვ. საფრანგეთის მოდელი, სადაც იყო პრეზიდენტი, მაგრამ ანგარიშვალდებული მთავრობასთან.

ნოე ჟორდანია არ იზიარებდა შვეიცარიის მოდელს, რადგან იქ არ წარმოებდა საგარეო პოლიტიკა ამ ქვეყნის ნეიტრალური მდგომარეობის გამო, საქართველოს კი უამრავი გარეშე მტერი ჰყავდა და საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა ჰყოლოდა. გვაზავას სწორად მიაჩნდა ჟორდანიას ეს შეხედულება, ამბობდა, მაშასადამე, პრეზიდენტის მომხრე უნდა იყოსო, მაგრამ ასე არაა, რადგან ორჭოფობსო. გვაზავას ორაზროვნად მიაჩნდა ჟორდანიას შეხედულება: ყოფილიყო პრეზიდენტის მოვალეობის ამსრულებელი, მაგრამ არ რქმეოდა ეს სახელი. პრეზიდენტის ინსტიტუტი ნორმალურად მიაჩნდა გვაზავას, ჟორდანიას კი — არა. გვაზავას აზრით, ქვეყნის სათავეში უნდა მდგარიყო ერთი ვადით არჩეული პიროვნება, სათანადო უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტი. იგი არ უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე, რადგან არჩეული იქნებოდა ხალხის მიერ. იგი იწვევდა პირველ მინისტრს ან მინისტრთა თავმჯდომარეს, რომელიც შეადგენდა კაბინეტს. ეს კაბინეტი იქნებოდა პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე. პარლამენტს შეეძლო მისი გადაყენება, რომლის სანაცვლოს კვლავ პრეზიდენტი მოიწვევდა. ამრიგად, პარლამენტი აწარმოებდა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლს და მეთვალყურეობას, სამინისტრო კი დარჩებოდა თავისუფალი, მოქნილი და ენერგიული.[29]

გვაზავა ლაპარაკობდა პრეზიდენტის უფლებებზე, რომ მას არ შეეძლო დიქტატორული მოქმედება, რადგან კაბინეტის გარეშე ვერ იმოქმედებდა.

გვაზავას წერილებში კარგად ჩანდა მისი სახელმწიფოებრივი აზროვნება და საერთაშორისო სამართლებრივი ცოდნა. მისი შეხედულებები, რა თქმა უნდა, კონსტიტუციის სხვა ავტორთა შეხედულებებთან ერთად, აისახა საქართველოს პირველ კონსტიტუციაში.

გიორგი გვაზავას ლიტერატურულ-პუბლიცისტური

მემკვიდრეობა, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები და მოღვაწეობა ღრმა პატრიოტიზმით, ქართველი ერის სიყვარულით, ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიზმითა და დემოკრატიული იდეებით არის გაჯერებული. მისი თეორიული მემკვიდრეობა თუ პრაქტიკული მოღვაწეობა ახლოს დგას დღევანდელი საქართველოს სულიერ ფასეულობებთან და საზოგადოებრივ იდეალებთან.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გრედესკულის ლექცია, გაზეთი „მეგობარი", 92, 1916 წელი.
2. გიორგი გვაზავა, რუსთაველი, გაზეთი „საქართველო", 149, 150, 151.
3. გიორგი გვაზავა, კიდევ რუსთაველზე, გაზეთი „საქართველო", 178, 1916 წელი.
4. გიორგი გვაზავა, ჩვენი დროშა, გაზეთი „საქართველო", 57, 1917 წელი.
5. გიორგი გვაზავა, დამფუძნებელი კრება, გაზეთი „საქართველო", 59, 1917 წელი.
6. გიორგი გვაზავა, მკვეთრი სიტყვა, გაზეთი „საქართველო", 73, 1917 წელი.
7. გიორგი გვაზავა, საქართველოს ავტონომია, გაზეთი „საქართველო", 83, 84, 85. 1917 წელი.
8. გიორგი გვაზავა, საქართველოს ავტონომია,წერილი V, გაზეთი „საქართველო", 87, 1917 წელი.
9. გიორგი გვაზავა, ჯარი და პროვოკაცია, გაზეთი „საქართველო", 101, 1917 წელი.
10. გიორგი გვაზავა, სკოლა და რევოლუცია, გაზეთი „საქართველო", 104, 1917 წელი.
11. გიორგი გვაზავა, რას აკეთებს ჩვენი სამინისტრო?, გაზეთი „საქართველო", 236, 1918 წელი.
12. გიორგი გვაზავა, დიპლომატიური ენა, გაზეთი „საქართველო", 241, 1918 წ.
13. გიორგი გვაზავა, საშინელი ანგარიში, გაზეთი „საქართველო",

244, 1918 წელი.
14. გიორგი გვაზავა, სომხეთის როლი, გაზეთი „საქართველო", 247, 1918 წელი.
15. გიორგი გვაზავა, უნდა ითქვას, გაზეთი „საქართველო", 252, 1918 წელი.
16. გიორგი გვაზავა,სიტყვა დამფუძნებელ კრებაზე, 1819 წლის 18 თებერვალს, გაზეთი „საქართველო", 41, 1919 წლის 22 თებერვალი.
17. გიორგი გვაზავას სიტყვა დამფუძნებელ კრებაზე, გაზეთი „საქართველო", 12, 1920 წლის 17 იანვარი.
18. გიორგი გვაზავა, საქართველო და დემოკრატიზმი, გაზეთი საქართველო", 49, 1920 წელი, 5 მარტი.
19. გიორგი გვაზავა, საქართველო და დემოკრატიზმი, გაზეთი „საქართველო", 50, 1920 წლის 6 მარტი.
20. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ, გაზეთი „საქართველო", 96, 1920 წ.
21. ამერიკის ნოტა და საქართველო, გაზეთი „საქართველო", 97, 1920.
22. გიორგი გვაზავა, ერთა ლიგა, გაზეთი „საქართველო", 124, 1920 წელი.
23. გიორგი გვაზავა, ერთი ლიგა, გაზეთი „საქართველო", 129, 1920 წელი.
24. გიორგი გვაზავა, ერთა ლიგა, გაზეთი „საქართველო", 134, 1920 წელი.
25. გიორგი გვაზავა, ერთა ლიგა, გაზეთი „საქართველო", 139, 140, 1920 წელი.
26. გიორგი გვაზავა, გაუგონეთ ჰიუსმანსს, გაზეთი„საქართველო", 113, 1920 წელი.
27. გიორგი გვაზავა, ერნესტ ნისი, გაზეთი „საქართველო", 114, 1920 წელი.
28. გიორგი გვაზავა, კონია თუმანიშვილის დატუსაღება, გაზეთი „საქართველო", 120, 1920 წელი.
29. გიორგი გვაზავა, კონსტიტუციის ირგვლივ, გაზეთი „საქართველო", 174, 175, 1920 წელი.

გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე)
(1891-1926)

გრიგოლ ვეშაპელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, აქტიური ლიდერი, ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იყო.

ტრაგიკული გახდა ამ ნიჭიერი და პატრიოტი კაცის ცხოვრება, უფრო მეტიც, საბედისწერო ნიშნით აღბეჭდილი. მისი პოლიტიკური კარიერაც და პირადი ცხოვრებაც იმდენად მძიმე იყო, თითქოს იონას მსგავსად ვეშაპის მუცელში მოექცა, მაგრამ როგორც უბრალო მოკვდავმა იქიდან თავდახსნა ვერ შეძლო და მსხვერპლად იქცა. მთელი ცხოვრების მანძილზე რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი და ევროპული ორიენტაციის კაცი, ემიგრაციაში ყოფნისას, პარიზში, 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, აღიარებს რუსული ორიენტაციის აუცილებლობას და შეეწირება კიდეც მის ამ საბედისწერო შეხედულებას. საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე ქართველმა ეს ნაბიჯი ღალატად ჩაუთვალა და მოკლა. მანამდე კი, მთელი ცხოვრება საქართველოს განთავისუფლებისათვის თავდადებულად მებრძოლმა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც განაგრძო აქტიური მოღვაწეობა ქართული სახელმწიფოს განმტკიცებისთვის, მისი ტერიტორიული მთლიანობის, მატერიალური და სულიერი ფასეულობების დასაცავად. ის იყო პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი და

აქტიური პუბლიცისტი, 1920 წელს გამოშვებული ეროვნულ-დემოკრატიული, აგრარული მიმართულების გაზეთ „მიწის“ რედაქტორი, მრავალი სამეცნიერო წერილისა და წიგნის ავტორი.

გრიგოლ ვეშაპიძე 1891 წელს დაიბადა სოფელ საირხეში, შორაპნის მაზრაში (ახლა საჩხერის რაიონი). ვეშაპელი მისი ფსევდონიმია. იგი ღარიბი გლეხის შვილი იყო, მაგრამ ბავშვობიდან სწავლის გამორჩეულმა წყურვილმა შეაძლებინა ზემო იმერეთის ამ პატარა სოფლიდან გასულიყო და საზოგადოებრივ სარბიელზე წარმატებული მოღვაწეობისთვის შესაფერისი განათლება მიეღო. ის სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც საუკეთესო მოსწრებით დაამთავრა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო ნიჭიერი ჭაბუკის თხოვნა და სპეციალური სტიპენდიით გაგზავნა მოსკოვის უნივერსიტეტში. მსოფლიო ლიტერატურის მოყვარული, იგი ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. გრიგოლ ვეშაპელი, სწავლასთან ერთად, აქტიურად ჩაება მოსკოვის ლიტერატურულ ცხოვრებაში, ხშირად ესწრებოდა ლიტერატურულ საღამოებს და სიტყვითაც გამოდიოდა. უნივერსიტეტში სწავლა 1916 წელს დაასრულა.

უკვე სტუდენტობის დროს, ვეშაპელმა ყურადღება მიიპყრო როგორც ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ორგანიზატორმა და პუბლიცისტმა, რადგან ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნების მქონე ახალგაზრდა სწავლული იმთავითვე ჩაება 1915 წელს დაარსებულ გაზეთ „საქართველოს“ მუშაობაში, აგზავნიდა და ბეჭდავდა წერილებს ამ ორგანოში ყველაზე უფრო მწვავე და იმ დროისთვის აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემებზე. ეს პრობლემები ძირითადად ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო და ვეშაპელი მათ ეროვნულ ჭრილში განიხილავდა.

ამ წლებშივე დაწერა მან რამდენიმე შრომა ქართულ და რუსულ ენებზე. მათ შორის აღსანიშნავია „საქართველო და

ლაზისტანი“ და „საქართველოს შეერთება რუსეთთან“.

საქართველოში დაბრუნებამდე ახალგაზრდა ფილოლოგმა გაზეთ „საქართველოს“ სახელით რამდენიმე ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, რომლებიც მოსკოვის ქართული საზოგადოების ინიციატივით გაიმართა. ერთი ასეთი ღონისძიება იყო კონსტანტინე ბალმონტის საღამო. რუსი პოეტის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზეც წარმოთქვა სიტყვა გრიგოლ ვეშაპელმა, ალბათ ახსოვდა ბალმონტის ქუთაისური სტუმრობები. მაშინ ხომ იგი გიმნაზიის მოწაფე იყო. ეს დიდი და ხმაურიანი სტუმრობა მთელი ქუთაისის მსჯელობის საგანი იყო. გამომსვლელმა განსაკუთრებული მადლობა ბალმონტს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმნისა და დიდი ქართველი პოეტის რუსული საზოგადოებისთვის გაცნობის გამო გადაუხადა. სიტყვა პოეტური და შთამბეჭდავი გამოვიდა[1].

ისევე, როგორც ბევრი ქართველი პატრიოტი, ვეშაპელიც 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომლის ფაქტიური დამაარსებელიც, სხვა აქტიურ პარტიულ ლიდერებთან ერთად, ისიც იყო.

1917 წელს ამიერკავკასიაში შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის სათათბირო ორგანოს სეიმი წარმოადგენდა. გრიგოლ ვეშაპელი არჩეული იქნა სეიმის წევრად. მისი ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის წევრიც ასევე გახდა გრიგოლ ვეშაპელი. იგი ყურადღებას იქცევდა როგორც ნიჭიერი ორატორი, საუკეთესო პუბლიცისტი, ამიტომაც ყველა ეროვნულ საქმეში ედო წილი. როდესაც 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხა, მთავრობის სასახლის თეთრ დარბაზში შეკრებილი ეროვნული საბჭოს წევრთა და საზოგადოების წინაშე ნოე ჟორდანიამ, მისი რუსული ვარიანტი გრიგოლ ვეშაპელმა წარმოადგინა. გრიგოლ რცხილაძემ ქართულად და მან რუსულად მიმართა გოლოვინის პროსპექტსა და მიმდებარე მოედანზე შეკრებილ

დიდძალ ხალხს, რომელთაც სიხარულის ცრემლი სცვიოდათ სამშობლოს 117-წლიანი კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების გამო. გრიგოლ ვეშაპელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გახდა დამფუძნებელი კრების – საქართველოს პირველი პარლამენტის დეპუტატი. პარლამენტში ის შევიდა, როგორც დამოუკიდებელი ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი, რომლის ორგანო იყო გაზეთი „კლდე“.

გრიგოლ ვეშაპელი იყო გაზეთ „საქართველოს “ რედაქტორი, მაგრამ პარტიაში მომხდარი განხეთქილების გამო გაემიჯნა ძირითად პარტიულ ბირთვს და შექმნა „მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია“, რომლის ორგანოს, ასევე მისი რედაქტორობით გამოსული გაზეთი „მიწა“ წარმოადგენდა. ეს გაზეთი 1920-21 წლებში გამოდიოდა. მისი მოადგილე გაზეთში იყო პოეტი გიორგი ლეონიძე, რომელმაც ვეშაპელის ნაცვლად 1920 წლის რამდენიმე ნომერს მოაწერა ხელი.

ძნელი იყო პოლიტიკური ცხოვრება და ბრძოლის მეთოდებიც მკაცრი. ამდენად, განხეთქილება არა მარტო სრულიად განსხვავებული პროგრამების მქონე პარტიებს შორის იყო, არამედ თვით ერთი პარტიის შიგნით და თანამოაზრე პოლიტიკოსთა შორისაც. უამრავი ენერგია ეწირებოდა ამ უაზრო ბრძოლას, თუმცა დიდი სახელმწიფო საფრთხის დროს, რაც საქართველოს უცხოელი დამპყრობლებისგან მრავალჯერ დაემუქრა დამოუკიდებლობის ხანაში, ოპოზიციაც და პოზიციაც ერთიანდებოდა. მათ შორის ვეშაპელიც იყო. მის პირდაპირ და უშეღავათო ანტირუსულ ბრძოლას, ეროვნულ სულისკვეთებას კარგად მოწმობს დამოუკიდებლობის მეორე დღესვე, 1918 წლის 27 მაისს გაკეთებული ჟესტი: ამ დღეს თბილისის საქალაქო საბჭოს სხდომა გაიმართა. ქალაქის თავი სომეხი ხატისოვი იყო, დეპუტატები კი უმთავრესად არაქართველები, რომელთა სამუშაო ენა რუსული იყო. როდესაც სოციალ-დემოკრატი ივაშკოვი, ესერი ხუდადოვი, დაშნაკი ხატისოვი, ებრაელი გრუზენბურგი რუსულად



გრიგოლ ვეშაპელის დაკრძალვა პარიზში

გამოვიდნენ, ვეშაპელმა აიღო სიტყვა და ქართულად წარმოთქვა. მან გააკრიტიკა ხატისოვის გამოსვლა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობას ნაადრევი უწოდა და თქვა, რომ მაშინ მიიღებდნენ სომხები ამ აქტს, თუკი ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატია გაბატონდებოდა[2].

ვეშაპელის ქართულ სიტყვაზე დეპუტატებმა ყვირილი ატეხეს, ალექსანდრე ლომთათიძემ, კრების თავმჯდომარემ რუსულად დაიწყო სიტყვის თარგმნა, რათა დაეწყნარებინა აღშფოთებული არაქართველები, რამაც კიდევ მეტად გააბრაზა ვეშაპელი და თქვა: ქართული ენის ხმარება აქამდე ყველას უფლება იყო, ამის შემდეგ კი, ყველას მოვალეობაა.

ამ ადამიანის შეუპოვარი ხასიათი, მტკიცე ნებისყოფა, პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი მის პუბლიცისტიკაში ჩანს, 1918-1921 წლების ქართულ ეროვნულ პრესაში ასე უხვად რომ იბეჭდებოდა.

1921 წელს საქართველო რუსეთმა დაიპყრო. მრავალ პატრიოტს დასცა თავზარი ამ მოვლენამ, ბევრი შეეწირა სულიერად თუ ფიზიკურად ამ ძალმომრეობით აქტს. მათ შორის ვეშაპელიც იყო. ის არ მომკვდარა, მაგრამ უსაზღვროდ იმედგაცრუებული, რამდენიმე თვე ბათუმში დარჩა, არ გაჰყვა ემიგრაციაში საქართველოს იმ მთავრობას, რომლის უნიათობასაც აბრალებდა ნაწილობრივ ამ დიდ ეროვნულ მარცხს. ჯერ თურქეთში, შემდეგ პარიზში წავიდა, შემოიარა ევროპის ქვეყნები, ეწეოდა ანტიბოლშევიკურ პროპაგანდას.

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ მძიმედ იმოქმედა მასზე, მიხვდა, რომ ბოლშევიკურ რეჟიმს საქართველოში ასე ადვილად ვერავინ დაამარცხებდა. ანტიბოლშევიკურ საქმიანობასაც ნიადაგი ეცლებოდა, დაიწყო ფიქრი სამშობლოში ჩამოსასვლელად, გაუმხილა კიდეც სხვებს.

1924 წლის ნოემბერში ვეშაპელმა პარიზში გამოსცა გაზეთი „ახალი საქართველო", სადაც გაამჟღავნა თავისი ლოიალური დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ამის გამო დიდი კონფლიქტი წარმოიშვა მასა და დამოუკიდებლობის აღდგენისთვის მებრძოლ ქართველ ემიგრანტებს შორის.

1926 წლის 10 ივნისს ის მოკლა ქართველმა – ავთანდილ მერაბიშვილმა, რომელსაც დაუფიცია, რომ მოღალატის სისხლს აიღებდა საქართველოში დახვრეტილი მამისა და ძმებისთვის. ბოლშევიკების მხარეზე გადასვლა მას ვერც ერთმა ფრთამ ვერ აპატია და ემიგრანტები ცუდად უყურებდნენ, თუმცაღა იცოდნენ მისი დიდი ნიჭისა და გამბედაობის შესახებ.

35 წლის უიღბლო ქართველი დაკრძალეს პარიზში, მონპარნასის სასაფლაოზე, წვიმიან დღეს, კუბოს სასაფლაომდე

ფეხით მიჰყვებოდნენ მისი მეგობრები და ქვრივი.

გადმოცემით, პარიზში გამართულ სასამართლოზე გრიგოლ ვეშაპელის მკვლელი სასიკვდილო განაჩენიდან იხსნა რუსმა პოეტმა კონსტანტინე ბალმონტმა, რომლის საღამოზე მოსკოვში, 10 წლის წინათ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ ვეშაპელმა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ბალმონტსაც ახსოვდა იგი, მაგრამ ისიც იცოდა, რა მგრძნობიარე იყო ქართველობა ისეთ საკითხთან, როგორიცაა სამშობლოს ერთგულება. „ბატონო მოსამართლენო! – უთქვამს ბალმონტს, — მე ვარ რუსი ემიგრანტი პოეტი, რომელმაც ვთარგმნე ქართველთა საუნჯე „ვეფხისტყაოსანი“ შ. რუსთაველისა და, ამდენად, კარგად ვიცნობ ამ ხალხის უძველეს ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს. ეს პოემა, რომელიც ქართველი ერის ზნეობის უმაღლესი გამოხატულებაა, გმობს მეგობრისა და იდეის ღალატს! განსვენებულმა გრიგოლ ვეშაპელმა უღალატა თავის მეგობრებს და პოლიტიკურ იდეებს – დაპყრობილ სამშობლოში დამპყრობლებთან შერიგება და თანამშრომლობა მოუწოდა თავის თანამემამულეებს, რაც მას არ აპატიეს!“

ფრანგ მოსამართლეებზე იმდენად დიდი გავლენა მოუხდენია ბალმონტის სიტყვას, რომ ავთანდილ მერაბიშვილს მძიმე განაჩენი საფრანგეთიდან გასახლებით შეუცვალეს. საფრანგეთიდან განდევნილი მერაბიშვილი ჯერ გერმანიაში, შემდეგ ბოლივიაში და ბოლოს არგენტინაში, კერძოდ, ბუენოს-აირესში დასახლებულა და დიდი სიმდიდრის პატრონი გამხდარა. სხვათა შორის, ავთანდილ მერაბიშვილმა დააფინანსა და ცალკე წიგნებად გამოსცა II მსოფლიო ომის შემდეგ არგენტინაში ჩასული ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნაშრომები – „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, „ფერთამეტყველება“ და სხვ[3].

ასე ტრაგიკულად დამთავრდა ამ პატრიოტი კაცის ცხოვრება. გრიგოლ ვეშაპელი შეეწირა იმ თვალსაზრისის დაცვას, რისთვისაც მთელი ცხოვრება სხვებს ებრძოდა დაუნდობლად, რაშიც ადანაშაულებდა მმართველი პარტიის

ლიდერებს. ბედის ირონია იყო გზააბნეული კაცის უიღბლო დასასრული...

გრიგოლ ვეშაპელის პუბლიცისტიკაში წამოჭრილია საქართველოსთვის ისეთი მტკივნეული საკითხები, როგორიცااა დაკარგული ტერიტორიები, ქართული ისტორიული ძეგლების ბედი, რუსეთის კოლონიზაციის მიმდინარეობა კავკასიის დაპყრობის შემდეგ, რუსული პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება საქართველოსადმი და ა. შ. ეს თემები ისე ძირფესვიანად არის შესწავლილი და გაანალიზებული, რომ მათი ავტორი არა უბრალოდ ჟურნალისტის, არამედ მეცნიერ-მკვლევარის დიდ უნარს ამჟღავნებს.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა ახალი ძალით გააჩაღა კავკასიის, უპირველესად კი, საქართველოს კოლონიზაციის პროცესი. ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ დაპირისპირებული მეტროპოლიის ეს მეთოდი საქართველოს ეთნიკურად აჭრელებას, ქართული ენის ფუნქციის დაკარგვას, ერის ასიმილაციას ისახავდა მიზნად რუსულ იმპერიულ სახელმწიფოში. სოციალურად დაბეჩავებული ქართველი ერის არისტოკრატიული ნაწილი ამ პროცესს ძალაუნებურად უწყობდა ხელს, როდესაც თავის მამულებს გროშის ფასად ჰყიდდა. ეს მიწები ხელში უვარდებოდა იმ სახელმწიფო ორგანიზაციებს, საკოლონიზაციო პოლიტიკას რომ ანხორციელებდნენ.

1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ ვრცელ პუბლიკაციაში ვეშაპელმა ეს თემა ისტორიულ ჭრილში განიხილა. მისი აზრით, პროცესი ძველთაგან დაიწყო: ბერძნული ახალშენების დაარსებიდან შავიზღვისპირეთში, შემდეგ კი, ყველაზე დიდი მიგრანტების ტალღა საქართველოს ტერიტორიაზე XVI საუკუნეში შემოვიდა, როდესაც ირანის შაჰმა აბასმა ასი ათასი თურქ-თათარი ჩამოასახლა. რუსეთი კავკასიის დაპყრობამდე ერიდებოდა იმპერიის სამხრეთი კედლის გადმოლახვას, საქართველოს მიერთების შემდეგ კი, აქტიურად დაიწყო ეს პროცესი. ვეშაპელის თქმით, ეკატერინე II-ს ახალი რუსული ქალაქის აგებაც კი სურდა, ჯერ

კიდევ საქართველოს შეერთებამდე, იმ ადგილას, სადაც მტკვარი არეზს ერთვის.

კოლონიზაციის პროცესის მიმდინარეობას ვეშაპელი ასე აღწერს: 1818 წელს საქართველოში პირველად ჩამოასახლეს რუსი სექტანტები, ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს, დუხობორები ჩაასახლეს ჯავახეთში, იმერეთში კი, ორპირის ახლოს, საჭურისი „სკაპცები" ჩამოიყვანეს.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ბორჩალოში რუსეთის არმიის რეზერვისტები ჩამოასახლეს და ამავდროულად დაიწყეს შავიზღვისპირეთის კოლონიზაცია. ვეშაპელი გამოჰყოფს რუს მოხელეთა შორის ყველაზე აქტიურ კოლონიზატორს – გოლიცინს, რომელმაც მოინდომა მუღანლოს ველზე რუსული სოფლების გაშენება, რის გამოც 1898 წელს აქ თავისი სახელობის არხი გაიყვანა. ამ დროს ეკუთვნის ე. წ. „ამიერკავკასიაში გადმოსახლებულთა დამხმარე საზოგადოების" დაარსება, რომელიც თავიდან არ არჩევდა ეროვნებას, საქართველოში ყველა მსურველს ასახლებდა. ეს შეცდომა მალე გამოასწორეს და საზოგადოებას მხოლოდ რუს გადმოსახლებულთა დახმარება შეეძლო. „როდესაც გრაფი ვორონცოვი მოევლინა თბილისის დარიჩინისფერ სასახლეს, – ხატოვნად წერს გრ. ვეშაპელი, – კავკასიაში სულ 81 რუსის სოფელი იყო. მიუხედავად მწვავე აგრარული არეულობისა, რომელშიაც იმყოფებოდა მაშინ საქართველო, ბრწყინვალე გრაფმა სწორედ რუსთა კოლონიზაციას მიჰყო ხელი". აგრარულ არეულობაში ვეშაპელი რუსეთის I რევოლუციის დროს საქართველოში მომხდარ დიდ გლეხთა გამოსვლებს გულისხმობს, იმ პროცესებს, რაც რევოლუციას მოჰყვა დასავლეთ საქართველოში აჯანყებულ გლეხთა დასჯის მიზნით. ამას, ვეშაპელის დამოწმებით, არ შეუშინებია ვორონცოვ-დაშკოვი გაეგრძელებინა დაწყებული კოლონიზაციის პროცესი, პირიქით, რევოლუციური ტალღის შესასუსტებლად ეს აუცილებლადაც კი ჩათვალა. მან შექმნა სპეციალური საზოგადოება, ეს იყო „კავკასიაში გადმოსახლებების ორგანიზაცია", რომლის მიზანი იყო მთლიანი, კომპაქტური რუსუ-

ლი დასახლებების შექმნა, რადგან აქა-იქ გაფანტული რუსები ადგილობრივ მოსახლეობაში ითქვიფებოდა. ვორონცოვის კოლონიური პოლიტიკის გასაცნობად გრიგოლ ვეშაპელი მკითხველს ურჩევდა წაეკითხა „Кавказский кадендарь"-ში მოთავსებული წერილი, სადაც ძირფესვიანად აშკარავდებოდა ამ რუსი მოხელის მიზნები მუღანლოს ველისა და შავიზღვისპირა ქართული მიწების რუსებით დასახლების თაობაზე. ამ წერილის მიხედვით – მუღანლოს ველი 643172 დესეტინას შეადგენდა, შირაქის, შირვანის, აჯინაურის, სარბადის და ჯეირან ჭალის ველი 800 000 დესეტინას, შავიზღვისპირა რაიონი 100 ათასი დესეტინა გამზადებული იყო რუსთა ჩამოსასახლებლად, ამას დაემატებოდა 50 000 დესეტინა, სახელმწიფოს განკარგულებაში რჩებოდა 350 000 დესეტინა მიწა, რომელსაც ასევე საკოლონიზაციოდ გამოიყენებდა ცარიზმის სახელმწიფოს აპარატი.

გრიგოლ ვეშაპელს მოაქვს ქართული მიწების ფონდისა და აქ მიმდინარე რუსული კოლონიზაციის პოლიტიკის ზუსტი სტატისტიკა. ეს სტატისტიკა ჩვენთვისაც საინტერესოა, რადგან ნათელს ხდის რუსეთის დამპყრობლურ მიზნებს საქართველოსადმი. ამიტომ მოვიტანთ პუბლიცისტის მიერ გამოქვეყნებული ამ სტატისტიკის ნაწილს:

1908 წლამდე, სანამ „კავკასიაში გადმოსახლების ორგანიზაცია" დაარსდებოდა, საკოლონიზაციო ფონდი 258 580 დესეტინას უდრიდა. 1908-1915 წლებში კი 285 287 დესეტინა მიუმატებიათ, რაც 50 534 კაცს შეხვედრია. სოხუმის ოლქში, – აფხაზეთში – გაუმიჯნიათ 6 518 კაცის მამული, იმერეთში – 445, აჭარაში – 273, ქართლ-კახეთში – 3263; მთლიანად 1915 წლამდე გადმოსახლებულთათვის გამოუყვიათ 543 867 დესეტინა მიწა, 80 786 კაცისთვის; აქედან, მკვიდრ რუს მცხოვრებთათვის („სტაროჟილ") გადაუციათ 1 349 წილი. ახლად ჩამოსულ რუს გადმოსახლებულთათვის კი, მიუციათ 63 997 დესეტინა მიწა, ამათგან 44 304 კაცი ამჟამად დასახლებულიაო, – წერს გრ. ვეშაპელი. ამ რიცხვიდან, მისი მონაცემებით – 10 892 კაცი 1908 წლამდე ჩამოსახლებულა

საქართველოში, 33 412 კი – 1908-1914 წლების განმავლობაში. უკანასკნელ ექვს წელიწადში, კერძოდ 1910 წლიდან 1916 წ.-მდე, გრ. ვეშაპელის თქმით, – საქართველოში ჩამოსახლებულა 33 412 მამაკაცი რუსი, ანუ 66 ათასზე მეტი ორივე სქესის ადამიანი[4].

გრ. ვეშაპელის აზრით, ვორონცოვ-დაშკოვის დროს რუს ემიგრანტთა რიცხვის გაოთხმაგება იმან გამოიწვია, რომ რუსეთის კავკასიური ხელისუფლება ფულს არ ზოგავდა გადმოსახლებულთათვის, 1909-1916 წლებში გადმოსახლებულთათვის კეთილმოსაწყობად საჭირო თანხა – 985 570 მანეთი დაურიგებიათ; მთავრობას არც საკუთარი ხარჯით გზების გაყვანა დანანებია. 1907-1916 წლებში მას 1 126 142 მანეთი გაუღია მხოლოდ შავიზღვისპირეთის გზების მოსაწყობად. სკოლებისა და ეკლესიების ასაშენებლად გადმოსახლებულებს 1909-16 წწ. 586 443 მან. მისცეს. გარდა ამისა, მთავრობა ემიგრანტებს მელიორიზაციის, აგრონომიის და მრეწველობისთვის აწვდიდა საჭირო საშუალებებს: წისქვილები, ბამბის საპენტი და ყველის ქარხნებიც გაუწყვიათ მათთვის.

განსაკუთრებული თანხები გაუღია ხელისუფლებას მალარიის დასათრგუნავად, რაც ასე მძვინვარებდა გადმოსახლებულებში. რუსებს ეს სენი ქართველებზე მეტად ეტანებოდა და ამის მიზეზი მათი ფიზიკური შეუგუებლობა იყო უჩვეულო სამხრეთის ჰავასთან. ეს ხარჯი ყოველწლიურად იზრდებოდა. თუ 1908 წელს მალარიასთან საბრძოლველად 67 228 მანეთი დაიხარჯა, 1912 წელს ეს თანხა უკვე 202 5000 მანეთს უდრიდა, 1914 წელს კი 322 938 მანეთს. სულ 1908-1916 წლებში 1 159 431 მანეთი დაიხარჯა მალარიასთან ბრძოლაში. ამ დროისათვის მალარიით ავადმყოფებს 268 549-ჯერ მიუმართავს ექიმებისთვის.

1912 წლიდან კავკასიის საკოლონიზაციო მმართველობას ეხმარებოდა ცნობილი პიროგოვის სახელობის საექიმო საზოგადოების სამალარიო კომისია, რომელმაც საგანგებო რაზმებიც ჩამოაყალიბა შავიზღვისპირეთსა და მუღანლოში „უჟმურის“ გამოსაკვლევად და დასაძლევად.

გრ. ვეშაპელი ამ დაწვრილებითი სტატისტიკური ცნობების მოტანის შემდეგ აანალიზებს რუსეთის კოლონიზაციის პოლიტიკურ და ეროვნულ მნიშვნელობას და წერს: „უცხოელთა იმიგრაცია მწვავედ ეხება ქართველთა ეროვნულ ინტერესებს, რადგან თვით კავკასიის გადმოსახლებულთა ორგანიზაციის მოხსენებით, საკოლონიზაციო ფონდის შექმნის დროს იმასაც არ სჯიან, თუ რანაირადაა გადაწნული სახაზინო მიწების ბედთან მკვიდრ მცხოვრებთა ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა. საქართველოში „თავისუფალ“ მიწას რა უნდა, როდესაც თვით ქართველი გლეხობა მეტისმეტად მამულნაკლებია და უმიწაწყლო“.

ვეშაპელის აზრით, იმერეთში 1/3 მოსახლეობა უმიწაწყლობით იტანჯებოდა, მაშინ, როდესაც ახალჩამოსახლებულთ 6 და 7 დესეტინა მიწა ურიგდებოდათ, ოფიციალური მონაცემებით, ადგილობრივებს საშუალოდ ორი დესეტინაც არ ჰქონდათ. ამ სახნავ მიწაში, ორი დესეტინა რომ იყო, მითვლილი იყო ქვიანი ადგილები, გზები, მიჯნები, ღელეები.

„დიდად შეწუხებული ქართველი მოსახლეობა, – ასკვნის ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტი, – დიდი ხნის მოწყობილი იქნებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს განაპირა არე-მარეში, რომ ამ ბუნებრივ მიგრაციას წინ არ ეღობებოდეს პოლიტიკური პირობები. შავი ზღვის პირა მიწები ქართველებს იჯარითაც კი არ ეძლევა“, – წუხს იგი. იხსენებს, თუ როგორ აჰყარეს პარნაუსა და დალის ხეობაში მცხოვრები ქართველები – მეგრელები და სვანები, ასევეა აღმ. საქართველოშიო. მას მოაქვს რუსეთის მიწათმოქმედების მინისტრის სიტყვები, რითაც ამ მოვლენის პოლიტიკურ არსს ხსნის: „ამიერკავკასიაში რუსთა კოლონიზაციას დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს და ეს საქმე რაც შეიძლება მალე უნდა მოგვარდეს, იგი უფრო წინა რიგში უნდა დავაყენოთ, ვიდრე მკვიდრ მცხოვრებთა მიწით უზრუნველყოფაო“.

პუბლიცისტი იმედს გამოთქვამდა, რომ ომის ვეტერან ქართველებს მაინც მისცემდნენ მიწას საკოლონიზაციო ფონდიდან [5].

გრიგოლ ვეშაპელის წერილი – „შავი ზღვისთვის“ – პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, შავიზღვისპირეთის ბედს ეძღვნება, რაც I მსოფლიო ომის შემდეგ საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო. შავი ზღვისპირეთი მას ისტორიულად საქართველოს კუთვნილებად მიაჩნდა და მის ფლობას მომავალშიც აუცილებლობად თვლიდა. ერთი საწინდართაგანი ქართველი ერის ბედნიერებისთვის ესეც არისო, – დარწმუნებით წერდა იგი [6].

ვეშაპელის ყურადღების ცენტრში იყვნენ რუსული პარტიული ორგანიზაციებიც, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ და ანტიქართული პროგრამით გამოირჩეოდნენ. ამ მხრივ, ის გამოჰყოფდა და ვრცელ წერილს უძღვნიდა კადეტების მოღვაწეობას საქართველოში [1]).

წერილში სომეხთა საკითხიცაა განხილული, რადგანაც კადეტები და პრორუსული პარტიები სომხურ საკითხს პრივილეგირებულად თვლიდნენ. პუბლიცისტს მოჰქონდა მოსკოვის გაზეთ „არმიანსკი ვესტნიკის“ შეხედულებები და იმედები კადეტთა პარტიაზე, ასევე კრიტიკაც, რადგან სომხურ გაზეთს არ მოსწონებია სომხური საკითხის ორად გაყოფა: თურქეთის სომხობისა და კავკასიის სომხობის საკითხებად. კავკასიის სომხების საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკის საქმეა, თურქეთისა კი ჩვენი, აქ ქართველებს ხელი არ აქვთო, – ამტკიცებდა სომხური ორგანო, რისთვისაც აკრიტიკებდა მას ქართველი ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტი – გრ. ვეშაპელი.

კადეტთა პარტია რუსეთის იმპერიულ ინტერესებს იცავდა. პარტიის პროგრამით გათვალისწინებულ პოლიტიკურ იდეებს ასე ხსნიდა და აწვდიდა მკითხველს ვეშაპელი:

„კადეტთა პარტია, ისევე, როგორც რუსეთის სხვა პარტიები და წრეები, ყოველთვის გვერდს უხვევდა საერთოდ ყველა ერთა და კერძოდ, ქართველთა საკითხს. რუსეთი ისეთივე მრავალეროვანი ქვეყანაა, როგორც ავსტრიის „ნაკუწნაკუნი“ იმპერია. რუსეთის თავისებური სახელმწიფო, პეტრე დიდის შემდგომ სხვადასხვა რასის კონდოტიერთაგან გან-

მტკიცებული, იმის მაგივრად, რომ მკვიდრი რუსეთი პოლიტიკურად მოეწყო, სულ იმის ცდაში იყო, რომ საზღვრები გაეფართოვებინა და მითვისებული ქვეყნები შეენარჩუნებინა და მოენელებინა. მაგრამ ასეთი ბატონობა ოკუპაციას უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილ ცენტრალიზმს“.

მისი აზრით, ვერც კონსტიტუცია უშველიდა რუსეთს, თუკი სახელმწიფოს შენება მხოლოდ ერთი „ხელისუფალი ერის“ პრივილეგიად დარჩებოდა. ველიკორუსული დემოკრატია ვერ შეძლებდა ბიუროკრატიისგან მილებული, მოშლილი სახელმწიფო მანქანის მოვლას. ვერც რუსი ლიბერალები და ვერც სოციალისტები ვერ ივარგებდნენ მმართველებად იმ ვეება ქვეყნისა, არხანგელსკიდან ბათუმამდე რომ გადაჭიმულიყო.

ერთადერთ ხსნად პუბლიცისტს მიაჩნდა, რომ ყველა ერს სახელმწიფოს მართვის თანაბარი უფლება, თვითშემოქმედების უნარის გამომჟღავნების საშუალება მისცემოდა.

„მაგრამო, – წერს ვეშაპელი, – რუსეთის ლიბერალები ყოველთვის უფრთხოდნენ ეროვნულ უფლებათა აღიარებას... ეროვნული, კერძოდ ქართული საკითხი, რუსეთის ლიბერალებისგან შეუწყნარებელია“ და კადეტთა პარტიაც ამის საუკეთესო მაგალითს იძლევაო.

კადეტების პარტია ქართულ საკითხს პირველად 1905 წლის სექტემბერში შეეხო. ეს იყო ერობებისა და ქალაქების წარმომადგენლების ყრილობა მოსკოვში. ყრილობის არარუსმა მონაწილეებმა აღძრეს ეროვნებათა უფლებებისა და კანონმდებლობა-მმართველობის დეცენტრალიზაციის საკითხი. ყრილობის საორგანიზაციო ბიურომ წარმოადგინა დადგენილებანი პოლონელთა ყრილობისა, უკრაინის დემოკრატიული პარტიის და ქუთაისის საქალაქო საბჭოს მოხსენება.

ქუთაისის საქალაქო საბჭო აღიარებდა პოლიტიკური თვითმმართველობის აუცილებლობას და მოითხოვდა საქართველოს ავტონომიას ადგილობრივ შემუშავებული სტატუსის ნიადაგზე და თბილისში მოწვეული სეიმით [8].

არც საორგანიზაციო ბიურომ, რომლის ხელმძღვანელი და მთავარი მომხსენებელი კოკოშკინი იყო, არც ყრილობის პლენუმმა, არ მიიღეს არც უკრაინის და არც საქართველოს ავტონომია. ყრილობამ მხოლოდ ყველა ერის კულტურული თვითგამორკვევის ზოგადი უფლება აღიარა, რუსული ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად. სიტყვით აღიარეს იმპერიის ზოგიერთ ნაწილთა ავტონომიის საჭიროებაც, საიმპერიო-საკონსტიტუციო წესის დამყარების და ადგილობრივ მცხოვრებთა ავტონომიურ მოთხოვნილებათა და მომავალ ავტონომიათა ბუნებრივი საზღვრების გამორკვევის შემდეგ. მაგრამ საქმით, შესასრულებლად, მხოლოდ პოლონეთის ავტონომია სცნეს. ესეც იმის შემდეგ, როდესაც კონსტიტუცია შემუშავდებოდა და დემოკრატიული მმართველობა დამყარდებოდა.

გრ. ვეშაპელი კარგად აანალიზებდა ასეთი განცხადებების პოლიტიკურ საფუძვლებს, რუსეთის თვალთმაქცთამაშს – დემოკრატიის, ეროვნული უფლებების, დეცენტრალიზაციის და ავტონომიის სიტყვით და არა საქმით აღიარებას. პოლონეთის დამოუკიდებლობას, მისი აზრით, რუსეთი იმიტომ აღიარებდა, რომ ეს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხად იყო ქცეული.

ვეშაპელი აღწერდა ამ ყრილობიდან ერთი თვის შემდეგ, ანუ იმავე 1905 წელს, ვალხონკაზე შემდგარ კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ კრებას. პარტიის პროგრამა, რომელიც კრებაზე მიიღეს, კერძოდ, ამ პროგრამის 24-ე მუხლი ემთხვეოდა ერობისა და ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობაზე მიღებულ დადგენილებას. ავტონომიის საკითხში ნახსენები იყო მხოლოდ პოლონეთი და ფინეთი, დანარჩენი იყო ზოგადი მსჯელობა და საკითხის გადაჭრა კონსტიტუციის გამოსვლის შემდეგ უნდა დადგეს დღის წესრიგშიო – ამტკიცებდა ვეშაპელი. მას უკვირდა, რად ახსენეს ფინეთი, მას ხომ საკუთარი კონსტიტუციაც აქვს და ავტონომიაცო. რუსებმა სტოლიპინისგან ისწავლეს, რომელიც ამბობდა, ჯერ მშვიდობა და შემდეგ რეფორმებიო,

შემდეგ მილიუკოვისგან – ჯერ რეფორმები და მერე ეროვნული ავტონომიაო, ამასობაში კი კონსტიტუციაც გატყავდაო (ანუ, სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო).

პუბლიცისტი საყვედურობდა კადეტებს, ფინლანდია-პოლონეთის საკითხს რომ სვამდნენ, სადაა საქართველოს, ლიტვა-ლატვიის, ესტონეთის, უკრაინის ავტონომიაო. „კადეტების პარტიამ თანდათან იცვალა იმპერიული ფერი და წმინდა ველიკორუსულ ნაციონალ-პარტიად გადაიქცაო", — ასკვნიდა იგი.

ვეშაპელი ეხებოდა რუსეთის ამდროინდელ (1916 წ.) სახელმწიფო სათათბიროში ე. წ. „პროგრესული ბლოკის" მოღვაწეობას, რომლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი კადეტთა პარტია იყო, სადაც თითქმის უარყოფდნენ „ინოროდცების" ავტონომიურ უფლებებს.

„საზოგადოდ კადეტებმა, – წერდა ვეშაპელი, – მხოლოდ რუსის ებრაელები და სომხები შეიყვარეს, რადგან არც ებრაელთ და არც სომხებს არ აქვთ რეალური საფუძველი, რომ რუსეთის საიმპერიო საზღვრებში პოლიტიკური ავტონომიები შექმნან"-ო. მისი აზრით, კადეტთა სათავეში სომხები და ებრაელები იდგნენ. ის საქართველოდან კადეტთა ხელმძღვანელობაში ჩაწერილ გიორგი მიხეილის ძე თუმანოვსაც არ ინდობდა და წერდა: „მის ეროვნულ ჰერმაფროდიტობას ამ სიბერის დროს ბოლო მოღებია, სომხებში ჩაწერილა, – ღმერთმა შეარგოსო". ასევე კადეტთა პარტიის წევრად ასახელებდა ჯიველეგოვს, თბილისში მცხოვრებ სომეხს.

კადეტთა პარტიის ცკ.-ს დადგენილებაც მიუღია, სომეხთა საკითხი კავკასიაში ქართველი ერის საკითხთანაა დაკავშირებული და ამიტომ სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი კ. აფხაზი უნდა მოვიწვიოთ, როგორც ქართველი ერის წარმომადგენელიო. ვეშაპელი ერთი პირის მოწვევას და ქართველი ერის სახელით მასთან საუბარს უხერხულად თვლიდა, ამასთანავე, სომხეთის განცხადებასაც, ლაზისტან-ტრაპეზუნის საკითხში მოვრიგდებით ქართველებთანო, ორმაგ თამაშად თვლიდა, რადგან ნათელი იყო, რომ სომხებს ზღვაზე გასვლა

უნდოდათ, „მორიგებაზეც თავის ატკივება სომხებს სულაც არ დაჭირდებოდათ, რომ თავიანთ საზღვრებში დატეულიყვნენ და ისეთ რამეს არ იჩემებდნენ, რაც მათ მამა-პაპათ არ უნახავთ"-ო[9].

გრ. ვეშაპელის აზრით, სარწმუნოებრივი სულის გაქრობაც იყო მიზეზი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დამცრობისა. ამის მაგალითად მას ქართველთა დიდი დღესასწაულის – წმინდა ნინო მოციქულთასწორის – უბრალო ღრეობად გადაქცევა მოჰქონდა: „ყველას გული გაჰგრილებია, არც უბრალოსა და არც განათლებულს, გარდა მუცლის მრწამსისა, არა სწამს რა. ბედკრულმა უნუგეშო დრომ ყველანი ურწმუნოების სამოსელში გაგვხვიაო", – დანანებით წერდა იგი.

წმინდა ნინოს დღე, ქართველი ქალის დღედ იქცა, მაგრამ ეს ქალი, – ვეშაპელის აზრით, – აღარ ჰგავდა წინაპრებს, ან სულით რომ ზრდიდნენ ერს, – მოწამეობრივი სიცოცხლითა და სიკვდილით, ანდა ხორციელად, – შვილთა სიმრავლით და დედური ვალის მოხდით ემსახურებოდნენ სამშობლოს. მთელი ქართველი ერის ხორცი და სული მაშინ განიბანება წმინდად, როდესაც ამგვარი, სულით და ხორცით სამშობლოს შესაწირად გამზადებული ქალები გვეყოლებაო, – რწმენით წერდა პუბლიცისტი [10].

გრიგოლ ვეშაპელი განსაკუთრებულად იბრძოდა იმ რუსული გაზეთების წინააღმდეგ, რომლებიც პროსომხურ მიმართულებას გამოხატავდნენ და ამცირებდნენ ქართველთა ადგილს თურქეთის ისტორიულად ქართულ მიწაზე, სადაც ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ქართველები: ჭანები, ლაზები და მეგრელები.

1917 წლის „ტრაპიზონის ლისტოკში" გამოქვეყნებულა წერილი – „სარედაქტორო სვეტი", რომელიც ამ გაზეთის რედაქტორს მინცლოვს ეკუთვნოდა, სადაც გაკრიტიკებულნი იყვნენ ქართველი მოღვაწეები: დ. ჩუბინაშვილი, ა. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი და გრ. ვეშაპელი.

როგორც ვიცით, 1916 წელს რუსეთის არმიამ აიღო

ტრაპიზონი, რამაც ქართველ ინტელიგენციაში ერთგვარი აღმაფრენა გამოიწვია. ტრაპიზონისა და თურქეთის სხვა ქალაქების აღებას, სადაც ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ და რომლებიც ისტორიულ წარსულში საქართველოს ეკუთვნოდა, ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრი მომავალში ავტონომიური საქართველოს შექმნისას მის ტერიტორიულ ნაწილად წარმოიდგენდა, რაც აღიზიანებდათ ამ ტერიტორიაზე პრეტენზიების მქონე, ზღვაზე გასვლის მსურველ სომხებს და პროსომხურად მოაზროვნე რუს პუბლიცისტ- პოლიტიკოსებს. ასეთი ყოფილა მინცლოვი და მისი გაზეთი „ტრაპიზონსკი ლისტოკ"-ი. მინცლოვი გაღიზიანებულა ქართველ ავტორთა სტატისტიკური მონაცემებით, ისტორიული ექსკურსით და ქართველების კუთვნილებად ამ მხარის გამოცხადებით; გრ. ვეშაპელი იჭერს ქრონოლოგიურ სიყალბეში მინცლოვს და მიიჩნევს, რომ მისი ზრახვა არის ანტიქართული, ტრაპიზონ-ჭანეთში ყოველთვის ცხოვრობდნენ ქართველები და ამ მხარის ტოპონიმიკაც ქართულიაო. გრ. ვეშაპელი ასახელებს თავის წიგნში – (Г. Вешапели, Турецкая Грузия) მოტანილ ნიმუშებს: ბაიბურთი, ისპირა, თორთომი, კონა, ლომა, გორიანტა, ჩურქულეთი, მთაწყარო, იმერა, კომირა, შიგნითი, ორთაქეი, ფარვანა, მომწიფლეთი, ვიწე, სუმეკა, ხარავა, ხოფური, კამა, ამდენი, კოპლატი, მეკოა, არჯევანი, ხევი, გუდასხევი, ორჯობა, ქალადიდი, ოთხა და სხვ.

ვეშაპელი ინგლისელ მეცნიერს – კლარკსაც იმოწმებს, რომელმაც ტრაპიზონის ადგილი, ოსმალური სიტყვა – მენდერი – მდინარეაო, აღნიშნა და ტავრი – თავი, მთავარიო. შემდეგ მოაქვს ოსმალეთის ქალაქთა სახელების – ალ. ხახანაშვილისეული შეფასება; კიზირი, ონი, კუტაია, ტიონიტისი, ატენი (ტრაპიზონის ახლოს), ხონი, გომიში, ჩალა, ტაშისკარი, თანაბარ ქართულ სიტყვებს უდრისო. თვით აკადემიკოსი ნ. მარი, ტრაპიზონის ვილაიეთის დასავლეთის საზღვარ-მდინარის კიზილ-ირმაყის პირვანდელ სახელს – ჰალისს, გალისს, ჭანური ღალისით (ღალისი, ლაღიძგა) ხსნისო, იგივე მარი ამბობს, რომ ტრაპიზონს ჭანურად ტრა-მტრა ჰქვიაო.

ვეშაპელი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე ლაზეთშიც ბევრი ქართველია, ტრაპიზონში იმერთა მეფის – სოლომონ II-ის საფლავია, უნიეში კი – გურიელის მთავრის მეუღლის, მოჰქონდა რუსი ავტორის – პ. შუბინსკის ცნობა, რომ ტრაპიზონის მცხოვრებთა 2/3 ლაზია, ინგლისელი პარლამენტარის ლინჩის, ფრანგი მეცნიერის რეკლიუს, ნიკო მარის ცნობები და სწამდა, რომ გათურქებული ქართველები ისევე გაქართველდებოდნენ, როგორც აჭარლები [11].

გრ. ვეშაპელი მომხრე იყო ქართული მიწების მოფრთხილების, ებრძოდა მის წინდაუხედავად გამოყენებას, ერის ძირითად სიმდიდრედ მიწა მიაჩნდა და ამიტომ, როდესაც დამფუძნებელ კრებაში მიწის ახალი კანონი იქნა განხილული, მან გაილაშქრა მისი თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ. 1918 წლის 23 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, ამ დეკრეტით შეჩერდა მიწების ყიდვა-გაყიდვა, შემდეგ კი, 1920 წელს კვლავ იქნა დღის წესრიგში დაყენებული მფლობელისთვის თავისუფალ ყიდვა-გაყიდვაზე უფლების მიცემა, რასაც გრიგოლ ვეშაპელი შეებრძოლა. სხდომაზე გამოსულ სიტყვაში მან აღნიშნა, თუ ეს კანონი ასე გატარდება, მაშინ ჩვენი მიწები უცხოელთა ხელში გადავა და სამშობლო ხელიდან გამოგვეცლებაო [12].

გრიგოლ ვეშაპელი ბევრს წერდა ქართული ენის სიწმინდის, მისი სახელმწიფო ენად გახდომის აუცილებლობაზე, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში მისი გამოყენების უალტერნატივობაზე. მისი პუბლიცისტიკის დიდი ნაწილი ეძღვნება ქართული ლიტერატურის, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურული ტრადიციების შეფასებას. ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მიღებამდე, მან, როგორც ჭეშმარიტმა პატრიოტმა და ეროვნულ-დემოკრატიული ღირებულებების პატივისმცემელმა მოაზროვნემ, დიდი ენერგია შეალია ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნების საქმეს, პირველი ეროვნული სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერის – ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. თუმცა ეროვნულ-

დემოკრატიული პარტია საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მომხრე იყო, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, მაგრამ უფრო რეალური 1917 წლის დასაწყისიდან ავტონომიის მიღება ჩანდა.

როგორც კი დადგა საქართველოს ავტონომიის რეალურად მიღების საკითხი, კვლავ წამოიჭრა ქართველი ერის საუკუნოვანი ოცნების – ქართული უნივერსიტეტის საკითხი. ომმა, სამშობლოდან გადახვეწილმა სტუდენტი ახალგაზრდობის გაურკვეველმა ბედმა, რომელთა ნაწილი შორს ჩარჩა, ნაწილი კი უდიპლომოდ ჩამოვიდა სამშობლოში, კვლავ გააააქტიურა ეს დროდადრო მინავლული თემა.

გრიგოლ ვეშაპელმაც, სხვა თანამოაზრეებთან ერთად, თავისი სიტყვა თქვა, უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა თავისი ენით აუხსნა საზოგადოებას.

მან გაიხსენა ალექსანდრე ყიფშიძის წელიწადნახევრის წინ გამოთქმული სურვილი – მეცნიერებათა აკადემიის შექმნაზე. ყიფშიძეს ეს სურვილი იმან გაუჩინაო, — წერდა ვეშაპელი, — იქნებ, უცხოელებმა ქართული აკადემიის ღვაწლით საქართველოს ისტორიის გულში ჩახედვა შეძლონ და იმის გაგება, თუ რა ყოფილა, რისი უნარი ჰქონია, რა შეუძენია კაცობრიობისთვის ჩვენს ქვეყანასო.

აკადემია აკადემიურ ოცნებად დარჩა და ახლა უნივერსიტეტის საკითხი წამოიჭრა კვლავ ცხოველმყოფლად. საკითხის წამოჭრას ვეშაპელი ქართველი ერის პოლიტიკური მომწიფებულობით, მისი კულტუროსნობითა და თავისუფლებისადმი სწრაფვით ხსნიდა:

„ყოველ ერს პოლიტიკური თავისუფლების გზა გაეხსნა, მაგრამ დახეთ, ამ გზაზედ, მხოლოდ ისეთი ერი მიაბიჯებს, რომელიც პოლიტიკურ განთავისუფლებამდის, ეკონომიურადაც, კულუტურულადაც და ზნეობრივადაც განთავისუფლებული და თავის თავის პატრონი ყოფილა. ეროვნული სამეცნიერო ცენტრის არსებობა პირველი საწინდარია ერის კულტურული სახის გამოჩენისა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა კოლეგია მარტო სტუდენტებს კი არა, მთელს ერს

ასწავლის და უხელმძღვანელებს. ამიტომაა, რომ უსახელმწიფო ერის აღორძინების ერთმნიშვნელოვანი აქტი ყოველთვის ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება ყოფილა და არის...“

ის იმედოვნებდა, რომ სტუდენტებიც მრავლად ეყოლებოდა უნივერსიტეტს და პროფესორ-მასწავლებლებიც დაუბრუნდებოდნენ სხვა უნივერსიტეტებიდან მის კედლებს. ერთი რამ შეიძლება დაკლებოდა მას, ეს იყო ფული. ვეშაპელი თხოვდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კერძო ქველმოქმედებს ამ საქმეში დახმარებას [13].

განსაკუთრებით აღსანიშნავია, გრიგოლ ვეშაპელის პუბლიცისტიკაში გამოხატული ეკონომიკური შეხედულებები, მის მიერ დასმული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები. ვეშაპელს სწამდა – საქართველოს გადარჩენის და განვითარების საფუძველს სოფლის მეურნეობა, მის სხვადასხვა დარგში არსებული საუკუნოვანი გამოცდილება რომ განაპირობებდა. მის მიერ შექმნილი მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია სწორედ ამ მიმართულებით იღვწოდა. გაზეთი „მიწა“ დიდ ადგილს უთმობდა მეცხვარეობის, მეაბრეშუმეობის, მევენახეობის, მეხილეობის და სხვა დარგების მეცნიერულ საფუძველზე განვითარების გზების ჩვენებას, პრაქტიკულ და თეორიულ დახმარებას უწევდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების საქმიანობას.

გაზეთი „მიწა“ ყოველდღიურად გამოდიოდა 1920 წელს, 1921 წლიდან კი ყოველკვირეული გახდა. რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ ვეშაპელი დიდ როლს ანიჭებდა საექსპორტო საქონელზე ბაჟის გაუქმებას, ისეთი გასატანი პროდუქტების წახალისებას, როგორიც იყო: აბრეშუმი, თამბაქო, კონიაკი, არაყი. ვეშაპელს მიაჩნდა, რომ მეცხვარეობას შეეძლო დიდი სარგებლობის მოტანა, რადგან საქართველოს ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას ჰქმნიდა. მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“ ხშირად ამ გაზეთით მიმართავდა მთავრობის თავმჯდომარეს, მომარაგების, ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწვ-

ელობისა და მიწათმოქმედების მინისტრებს, სადაც იდგა მატყლზე შესაფერისი ფასების დადების, ცხვრის მოშენების, გამოკვების, წამლობის საკითხები, ევროპული დონის ფაბრიკების დაარსება მატყლის გადასამუშავებლად. „მწყემსის" გამგეობის თავმჯდომარე იყო ეროვნულ-დემოკრატი შალვა ქარუმიძე. გამგეობის თავმჯდომარე, მისი წევრები, თუ „მინის" რედაქცია სამართლიანად თვლიდა იმას, რომ მატყლის გადამუშავების ნაცვლად, რასაც შესაფერისი ფაბრიკა-დანადგარები ესაჭიროებოდა, დროებით ძვირადღირებული ქართული ნედლეული გაეტანათ საზღვარგარეთ, იქიდან კი, იაფი ქსოვილი შემოეტანათ ხალხის შესამოსად. რაც შეეხება ფასებს, ის უნდა ყოფილიყო მაღალი, რადგან ქართული მატყლის ხარისხი ამას იმსახურებდა.

გრიგოლ ვეშაპელი გლეხთა დახმარებისა და სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარების საკითხს სვამდა საქართველოს პარლამენტშიც [14].

ქვეყანაში შექმნილ პრობლემებს ის მოხელეთა თვითნებობას აბრალებდა, რომლებიც პარტიული ნიშნით ინიშნებოდნენ თანამდებობებზე და არა ნიჭისა და საქმიანობის გათვალისწინებით. თუ მთავრობა ებრძვის, ან იწყებს ბრძოლას უპასუხისმგებლო მოხელეებთან, პირველ რიგში დაწესებულებები თავისი პარტიული ამხანაგობებისგან უნდა განმინდოს, კეთილსინდისიერი და მცოდნენი შეარჩიოსო [15].

გრიგოლ ვეშაპელი, როგორც ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწე ოპოზიციაში ედგა ხელისუფლებას აჭარის საკითხში. ის მხარს უჭერდა აჭარის ავტონომიას, მისი სათათბირო ორგანოს – მეჯლისის არსებობას და აკრიტიკებდა ხელისუფლებას, კერძოდ, მის წარმომადგენელს აჭარაში – ბენია ჩხიკვიშვილს, მეჯლისის გარეკვისა და გაზეთ „სამუსულმანო საქართველოს" დახურვისათვის [16].

ის წერილებს ზოგჯერ გ-ლი-ს ფსევდონიმით აქვეყნებდა. ამ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ერთ წერილში ის აკრიტიკებდა საქართველოს მთავრობის საფინანსო პოლიტიკას, ბონების ფულადი ერთეულის არსებობას, რომელზეც ეწერა:

„მიღება სავალდებულოა თანასწორად რუსეთის საკრედიტო ბილეთისა“. ასეთი მთავრობა ერს უფსკრულთან მიიყვანსო, ამტკიცებდა და განმარტავდა: „ერთი ვიკითხოთ, რომელი რუსეთის საკრედიტო ბარათს გულისხმობენ: ნიკოლოზის რუსეთისა, კერენსკის თუ ლენინის, როცა ყველაფერი განადგურებულია და დღეს ყოველი კრედიტი შინ და გარეთ დაკარგული აქვს გაპარტახებულ რუსეთს, რომელიც მიწასთან გაასწორა საკუთარი ჯიბის მოყვარულმა სოციალისტურმა ვაკხანალიამ. ცოტაოდენ მაინც თავმოყვარე სახელმწიფო არც კი იკადრებდა თავის ფულისათვის ასეთი სამარცხვინო დამღა დაესვა. მაგრამ რას იზამენ, რუსეთის სუნი ჯერ კიდევ დიდხანს იტრიალებს მათ გარშემო, თუ რაიმე აუცილებლობამ არ აიძულათ და არ წააშლევინათ თავის ფულზე რუსეთის კრედიტთან თანასწორობა, ისევე როგორც, ერთ დროს გარემოებამ აიძულა ჩვენი მმართველი პარტია, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ენოდებინა თავისი თავისათვის და არა რუსეთის მუშათა პარტიის ორგანიზაცია“ [17].

ასე მწვავედ აკრიტიკებდა პრორუსული პოზიციისათვის მმართველ პარტიას, ასე რადიკალური იყო რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური გამიჯვნის აუცილებლობის მტკიცებისას ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ვეშაპელი. ეს რადიკალიზმი 1924 წლის აგვისტოს მარცხმა მოულოდნელად შეცვალა. იგი ერთბაშად გახდა რუსული ორიენტაციის, საქართველოში არსებული ბოლშევიკური რეჟიმიც კი აღიარა, სინანული გამოთქვა ადრინდელი პოზიციის გამო, ამაოდ გავემიჯნეთ რუსეთს, საქართველოს ამ დიდი მეზობელი ქვეყნის გარეშე არსებობა არ შეუძლიაო. ერთბაშად გადაუსვა ხაზი იმ უამრავ პუბლიცისტურ ნააზრევს, პოლიტიკურ თეორიებს და მყარ ეროვნულ პოზიციას, რასაც აქამდე ერთგულებდა, რუსეთის მკაცრი ცენზურის პირობებშიც კი. მოღალატედ აღიქვეს, ისედაც დაპირისპირებულ პარიზულ ემიგრაციაში ვერც ვერავინ ახსნა და ვერც ვერავინ გაიგო მისი განცხადებების არსი და მიზანი. ვინ იცის, იქნებ

უკეთესიც იყო, სამშობლოში ჩამოსვლა და ბოლშევიკებთან თანამშრომლობა რომ ვერ მოასწრო. ისინი მაინც არ აპატიებდნენ წარსულს და 30-იან წლებს მაინც ვერ გადაურჩებოდა გრიგოლ ვეშაპელი. ეს არის: ქართველმა ქართველის სისხლი იტვირთა და ერთი დიდებული ადამიანი პოლიტიკურ რომანტიკას შეეწირა, რადგან საქართველოს იმედად რუსეთის დასახვა XX საუკუნის 20-იანი წლების შუახანებში მეტი არაფერი იყო, თუ არა გულუბრყვილო კაცის რომანტიკული წარმოსახვა, ანდა უბრალოდ: სამშობლოს მონატრებით გადადგმული შლეგური ნაბიჯი ქარაფისაკენ...

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გრიგოლ ვეშაპელი, ბალმონტის მისალმება, გაზეთი „საქართველო“, 20, 1916 წელი.
2. გაზეთი „საქართველო“, 104, 1918 წელი.
3. გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, გვ. 221, 259.
4. გრიგოლ ვეშაპელი, კოლონიზაცია საქართველოში, გაზეთი „საქართველო“, 222, 1916 წელი.
5. გრ. ვეშაპელი, კოლონიზაცია საქართველოში, გაზეთი „საქართველო“, 224, 1916 წელი.
6. გრ. ვეშაპელი, „შავი ზღვისთვის“, გაზეთი „საქართველო“, 286, 1916 წელი.
7. გრ. ვეშაპელი, „კადეტები და საქართველო“, გაზეთი „საქართველო“, 291, 1916 წ.
8. Доклад бюро съезду Земских и Городских дъеятелей, М. 1906, 3-9 გვ.
9. გრ. ვეშაპელი, „კადეტები და საქართველო“, გაზეთი „საქართველო“, 291, 1916 წ.
10. გრ. ვეშაპელი, ნინოობა, გაზეთი „საქართველო“, 11, 1917 წელი.

11. გრ. ვეშაპელი, ბ-ნი მინცლოვი და ოსმალეთის საქართველო, გაზეთი „საქართველო“, 21, 1917 წელი.
12. დამფუძნებელი კრების დღიური, გაზეთი „საქართველო“, 25, 1920 წელი.
13. გრიგოლ ვეშაპელი, ქართული უნივერსიტეტი, გაზეთი „საქართველო“, 103, 1917 წელი.
14. გაზეთი „მიწა“, 1, 1920 წ.
15. გაზეთი „მიწა“, 1, 1920 წელი, „ბოროტმოქმედ მოხელეთა საკითხი“.
16. იქვე
17. გაზეთი „მიწა“, 5, 1920 წელი, გ-ლი, „ფინანსური კრიზისის გამო“.

ლელი ჯაფარიძე
(1895-1934)

ლელი ჯაფარიძე ერთი ის უსამართლოდ მივიწყებული მოღვაწეთაგანია, რომელიც სხვებთან ერთად ქმნიდა XX საუკუნის I მეოთხედის ქართულ საზოგადოებრივ აზრს და თავისი მხატვრული თუ პუბლიცისტური სიტყვით ჩვენში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცების სულისკვეთებას ამკვიდრებდა.

დაიბადა 1895 წელს, ქ. ქუთაისში, ექიმ დავით ჯაფარიძის ოჯახში. მისი ლექსები 1913 წლიდან იბეჭდებოდა ქუთაისურ პერიოდულ პრესაში, ჟურნალ „ცისფერი ყანნების" ფურცლებზე და სხვაგან. 1919 წელს ქუთაისში გამოცემულ „ახალი პოეზიის ანთოლოგიაში" გამოქვეყნდა ახალგაზრდა შემოქმედის ორი პოეტური ნაწარმოები. ქართულ ენაზე თარგმნა და დასტამბა სტეფან ცვაიგის, ბერნანდ კელერმანის, ა. რევეროვის თხზულებათა ნიმუშები და სხვა. 30-იანი წლების დამდეგს ვერც ის გადაურჩა საბჭოურ რეპრესიებს. 1931 წელს ლელი ჯაფარიძე საქართველოს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. გარდაიცვალა 1934 წელს.

ლელი ჯაფარიძე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი იყო. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის 1917 წელს ამ პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუძნებაშიც. ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერები – სპ. კედია, გრ. ვეშაპელი, გ. გვაზავა, ა. ასათიანი და სხვ. თავიანთ თანადროული საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს მძაფრი და პირუთვნელი განსჯის საგნად აქცევდნენ. ამათ შორის უნდა მოვიხსენიოთ

ლელი ჯაფარიძეც. ობიექტურობა, მაღალი სახელმწიფოებრივი ცნობიერება, ისტორიული პროცესის არაჩვეულებრივი ანალიზის ნიჭი და უნარი, საღი მსჯელობა, ეროვნული იდეალებისა და ფასეულობებისადმი განსაკუთრებული ერთგულება დღესაც ძალზე საინტერესოსა და აქტუალურს ხდის მის პუბლიცისტურ ნაწერებს.

ლელი ჯაფარიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლა აუცილებელია და, აი, რატომ:

1. ლელი ჯაფარიძე პოეტია. ჩვენთვის მისი პოეზიის მხატვრულ ღირებულებას იმდენად მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც ამ პოეზიის, როგორც ლიტერატურულ-ისტორიული ფაქტის შესწავლას: ლელი ჯაფარიძე იყო ცისფერყანწელთა ორდენის წევრი, ჟურნალ „ცისფერი ყანწების" ერთ-ერთი დამაარსებელი და ავტორი. მისი პოეზიის გაცნობა საჭიროა ამ ლიტერატურული პროცესის სრულყოფილად შესწავლისათვის.

2. ლელი ჯაფარიძე იყო ეროვნულ-დემოკრატი, ამ პარტიის ჯერ საორგანიზაციო, შემდეგ კი მთავარი კომიტეტის წევრი, გაზეთ „საქართველოს" წამყვანი თანამშრომელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი 1917-1921 წლებში, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პარლამენტში ამ გაზეთის წარმომადგენელი, დღევანდელი ტერმინით – „აკრედიტებული ჟურნალისტი". მისი „წერილები პარლამენტიდან" ღრმად, მწერლური ოსტატობით ხატავს ამ ისტორიული საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას, მაშინდელი დეპუტატების ურთიერთობას და საქვეყნო მოვლენებისადმი დამოკიდებულებას.

3. ლელი ჯაფარიძე რედაქტორობდა რუსულენოვან გაზეთს „Грузия"-ს. მისი პუბლიცისტიკა აქამდე შეუსწავლელია და სრულიად უცნობი საზოგადოებისათვის. მართალია, ამ პიროვნების მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი გაშუქებულია ოთარ ჯანელიძის, ალექსანდრე ბენდიანიშვილის, დიმიტრი შველიძის და სხვა მეცნიერთა გამოკვლევებში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ლელი ჯაფარიძის საზოგადოებრივ-

პოლიტიკური შეხედულებები საჭიროებს ცალკე შესწავლას, პროფესიონალურ განხილვა-გაანალიზებას.

1917 წელს ქუთაისიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოსული სიმბოლისტი პოეტი ლელი ჯაფარიძე გაზეთ „საქართველოში" იწყებს სამსახურს და, როგორც თანამშრომელს, ხშირად უწევს წერილის დაწერა: რედაქციის სახელით პასუხს სცემს პოლიტიკურ ოპონენტებს, რომელთა ნაკლებობას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ნამდვილად არ განიცდიდა, ეხმაურება მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, ერის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს.

მისი პუბლიცისტიკა დასაწყისში სიმბოლისტური პოეზიის გავლენის ნიშნითაა აღბეჭდილი. 1917 წლის საალდგომო სტატიაში, ქრისტეს სახეში საქართველოს ანსახიერებდა პოეტი, მთელი წერილი კი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენის ნატვრით, მისი თავისუფლებისა და სიდიადის სურვილით იყო გაჟღენთილი. თავისუფლების იდეას ის რეალური ფონიც აძლიერებდა, იმპერიის დაცემით რომ გამოიხატა. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მომხდარი იყო და რუსეთის იმპერატორის ტახტი დამხობილი. საქართველო ელოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. „ქრისტე აღსდგა" – წერდა მწერალი, აღსდგა ქრისტე მოქალაქისა!" მაგრამ ჩემი ქრისტე... მის ნათელ სახეს ჯერ კიდევ არ გაუნათებია, ლოდინით აღსავსე გული მისი ხალხისა...

მისი სამარე ჯერ კიდევ არ გახსნილა და მძიმე ლოდი, მთელი საუკუნე თავზედ რომ აწევს, ჯერ კიდევ არ მოუხსნიათ, მზად კი არის აღდგომისათვის!"

წამებული ქრისტეს ხმას მწერალი თავისი მრავალტანჯული ხალხის ხმად ისმენს: „და ვის გულში საქართველო ჯერ სავსებით არ დამარხულა, უნდა აინთოს ამ ხმით და თუ მტკიცე იქნება პასუხი თქვენი, გამარჯვებაც თქვენი იქნება. მაშინ იშვება თქვენი ქრისტე, თქვენი ერის თავისუფლება. და საქართველოს სამლოცველოში მხოლოდ მაშინ დაირეკება საალდგომო ზარი, ზარი საქართველოს აღდგომისა. მაჩვენეთ

ჩემი ქრისტეს სახე და მეც მხოლოდ მაშინ ვიტყვი სრულიად საქართველოსთან ერთად: ჭეშმარიტად აღსდგა!

ჯერ კი...

ჯერ ჩემთვის ქრისტე არ ამდგარა!..." [1] ასე წერდა და ამგვარად განიცდიდა პოეტი, მამულიშვილი საქართველოს ბედს 1917 წლის აპრილში, როდესაც რუსეთი თვითმპყრობელობისაგან განთავისუფლდა, ქართველი პატრიოტების ოცნება კი დამოუკიდებელ საქართველოზე კვლავ ოცნებად რჩებოდა. ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის მატარებელი ადამიანები ამ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში პირველნი აყენებდნენ ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის ლოზუნგს, მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. ქართველმა მოაზროვნეებმა ყოველთვის კარგად უწყოდნენ, რა როლი აქვს სულიერებას და ერის ზნეობრივ სიწმინდეს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და პოლიტიკური სიძლიერისათვის. ამიტომ იღვწოდნენ ასე თავდადებით ეკლესიისათვის კუთვნილი ადგილის დასაბრუნებლად და გულმხურვალედ ამიტომ შეხვდა მთელი ქართველი ინტელიგენცია ავტოკეფალიის აღდგენას. ლელი ჯაფარიძეც იზიარებდა მამულიშვილთა ზეიმს, იხსენებდა რუსული კოლონიური რეჟიმის სისასტიკეს ქართველი ერის სიმტკიცის ბურჯად მდგარი ეკლესიისა და მისი მსახურებისადმი, იმედოვნებდა, რომ სამღვდელოება, დიდი მსხვერპლი რომ გაიღო ერის წამებისას, გაამზადებდა იმავე ერს „უნეტარეს ბედნიერების მისაღებადაც". პუბლიცისტი სპეციალურ სტატიას უძღვნიდა ქუთათელი მიტროპოლიტის – ანტონის აღსაყდრებას, ახსენებდა მას 1819-1820 წლების ტრაგიკულ ისტორიას, წუხდა, რომ „ქუთაისი იმავ რუს სალდათთა ასპარეზად" ქცეულიყო. მაგრამ იმედს იტოვებდა, რომ ქუთათელის კვერთხი გაუკაფავდა სიმართლის გზას თანამემამულეთ [2].

ეს პერიოდი სრულიად განსხვავებული იყო ლელი ჯაფარიძის ცხოვრებაში. 1915-1916 წლებში გამოქვეყნებული პოეტური ნაწარმოებების ლირიკულ გმირს თითქმის აღა-

რაფრით ჰგავდა იმ პუბლიკაციების ავტორი, სადაც მთელი ქვეყნის ავ-კარგი ირჩეოდა, ფასდებოდა და საქართველოს მომავალ ბედთან მიმართებაში მოწმდებოდა. რუსეთისა თუ მსოფლიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები საქართველოს ბედსაც განსაზღვრავდა და თავისდაუნებურად ყველა გულწრფელ მამულიშვილს ითრევდა თავის ეპიცენტრში, აფიქრებდა ქვეყნის მომავალზე და აძებნინებდა რთული სიტუაციიდან გამოსავლის გზებს. პოლიტიკურ წერილებს წერდნენ: ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე. ისინი მტკივნეულად განიცდიდნენ ბოლშევიკების მოსვლას რუსეთის სათავეში, ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებას და ულმობელ რეპრესიებს.

რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების სიძნელეებზე საუბრობდა ლელი ჯაფარიძე წერილში – „საქართველოსთვის!" ახასიათებდა რა ბოლშევიკურ ქაოსსა და ნგრევას, მწერალი გულდაწყვეტილი იყო საქართველოს, ქართველი ხალხის ინდიფერენტიზმის, აუმღვრეველი სიმშვიდის გამო. მას სურდა იმპერიაში შემავალი ზოგიერთი ერის მსგავსად, მისი ხალხიც გამოფხიზლებულიყო და საბოლოოდ დაეხსნა თავი ამ საზარელი ვეშაპისაგან, შეექმნა „თავისი ნების გამომხატველი ორგანო". მიზეზად ამგვარი სიმშვიდისა, პუბლიცისტი ქართულ ხასიათს თვლიდა, რომლის ძალითაც: „საქართველოში ყოველი პარტია თავის თავს საქართველოს უთანაბრებს და ყოველი ქართველი თავის თავში მთელი ერის სახეს სცნობს". ერის დაქსაქსული ძალების შეკრებას იგი აუცილებლობად მიიჩნევდა, რადგან მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლებოდა და დახანებას დრო აღარ ითმენდა [3].

1917 წლის მიწურულს, საქართველოში ყველა გრძნობდა დიდი გარდატეხის ხანას, ძირეულ ცვლილებათა მოსალოდნელობას, ქვეყნის ბედის შეცვლას. ყველა გრძნობდა და ელოდა იმ იდეალს, რაც უზენაესს წარმოადგენდა ყოველი დროის ქართველისათვის. – სამშობლოს თავისუფლებას, პოეტი

ლელი ჯაფარიძე 117 წლის მანძილზე ჩონჩხად ქცეულ არსებად წარმოიდგენდა და მკითხველს მიუთითებდა, თუ როგორ უნდა იმოსებოდეს ეს ჩონჩხი ახლა და რა სიამოვნება ეუფლებოდა ამის დანახვაზე ყველა ქართველს. ახალ რეალობას ასე ხატავდა იგი: „საქართველო უკვე მეტყველებს თავის სამშობლო ენაზე, რომლითაც საუკუნეობრივი კულტურა შეუქმნია.

მის წმინდა ეკლესიებში ღაღადებს მისი სამშობლო სიტყვა და მორწმუნეთ სრულიად თავისუფლად თავიანთ რწმენაში შეუძლიათ უსმინონ საღვთო ქადაგებას.

საქართველოს ხალისიანი ჭაბუკნი თავის ჟღალ ტანსაცმლებში სამშობლო მიწის დასაცველად კიდით-კიდემდე ირაზმებიან და ყურჩათხრობილი ერი ამაყად უსმენს საუკუნეში დავიწყებულ მისთვის სანეტარო იარაღის ჩხარუნს. ახლდებიან ძველი ტრადიციები და იხსენება საგმირო მოგონებანი.

ნელი-ნელ სდგება ჩვენს წინ ძველი საქართველო და გვათრობს თავისი სახის გრძნეულებით, მაგრამ...“

ლელი ჯაფარიძეს საკმარისად არ მიაჩნდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა. ის ახსენებდა მკითხველს, თუ რა მოვლენები ხდებოდა „მბრძანებელ“ რუსეთში, ეშინოდა, რადგან „მოლიპულს გზაზედ მდგარს, სხვებიც უნდა ჩაითრიოს დამლუპველს უკუნეთში“. პუბლიცისტის აზრით, „ყველა მიღებული თავისუფლება ისევ ისეთ სიბნელეში ჩაიკარგება, საიდანაც ძნელია კვლავ გამოსვლა, თუ საქართველომ, ძლიერმა თავის ნებისყოფაში, ერთსულოვნად არ დაიცვა თავის უფლებანი“.

დამოუკიდებელი ქვეყნის სათავეში უნდა მოსულიყვნენ ეროვნული ორიენტაციის მქონე ადამიანები, მწერალს ეშინოდა სხვაგვარად არ მომხდარიყო, პოლიტიკური სადავეები ხელთ არ აეღოთ პრორუსულ ძალებს, ინტერნაციონალ-კოსმოპოლიტებს: „ნუთუ საქართველო მათ მიანდობს თავის დაცვას, რომ რუსეთის გადარჩენისათვის ცდას ანაცვალონ თავის ზურმუხტოვანი ველები და ერი ამაყი და ქედმაღალი

ველურ უცხოელთა თანაბრად გახადონ? განა მათ ხელში არ იყო მთელი რუსეთის ბედი და რა მისცეს მაშინ თავის სამშობლო მხარეს?"

პუბლიცისტი იხსენებდა იმ ფაქტს, რომ სოციალ-დემოკრატები წარსულში მიემხრნენ ე. წ. „რეალური მოსახლეობის" პრინციპით ამიერკავკასიის საზღვრების დადგენას, რაც საქართველოს ისტორიულ მინა-წყალს საფრთხეს უქმნიდა, რუსეთის მიერ ხელოვნურად შექმნილ დემოგრაფიულ მდგომარეობას უმორჩილებდა ქართველი ერის ინტერესებს, იკარგებოდა ათეულათასობით კვადრატული მეტრი ქართული მიწა, ირღვეოდა ეკონომიკური განვითარების ბალანსი, საქართველო „რეალური მოსახლეობის" პრინციპით კარგავდა ლორე-ბორჩალოს, ახალქალაქს და სხვა ტერიტორიებს. ამიტომ წერდა ლელი ჯაფარიძე: „ქართველი ერი, რასაკვირველია, გვერდს აუვლის იმ ხალხსაც, ვინაც ერთის კალმის მოსმით საქართველოს კოხტა ტანსაცმელს ძვირფასი სამკაულები ჩამოაცალა და თავის სოციალისტურ თავმოყვარეობას ანაცვალა ბორჩალო და ახალქალაქი".

არც სოციალ-ფედერალისტების იმედი ჰქონდა პუბლიცისტს: „უფრო უმნიშვნელო საქმეებში თუ ვერ მიიღეს ნდობა სოციალისტ-ფედერალისტებმა, ერის ბედის გადაწყვეტა მათ არავინ უნდა ანდოს", – აცხადებდა იგი. ლ. ჯაფარიძე ეროვნულ ძალად, საქართველოს ბედის ღირსეულ წარმმართველად მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებს თვლიდა, რადგან, ეს პარტია იყო „ზეკლასობრივი, იცავდა მთელი ერის ინტერესებს" [4].

ეს ის პერიოდია, როდესაც, ამიერკავკასია ემზადებოდა დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის. რუსეთის ქალაქებში არჩევნები 1917 წ. ნოემბრის დასაწყისში დასრულდა, სოფლებში კი იგი 18 ნოემბრამდე გაგრძელდა. ლელი ჯაფარიძეც გამოეხმაურა საარჩევნო კამპანიას გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილი წერილით – „დაიცავით არჩევნების თავისუფლება". პუბლიცისტი ამ არჩევნებს პირველ დემოკრატიულ არჩევნებად თვლიდა, მაგრამ ეჭვი ეპარებოდა

– უბრალო ხალხი, მუშები და გლეხები თუ ისარგებლებდნენ ხელისუფლების მიერ დადგენილი დემოკრატიული წესებით და გააკეთებდნენ თუ არა სწორ არჩევანს. „დღევანდელ არჩევნებში, – წერდა იგი, – სამწუხაროდ, ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას და ძალადობას. ჩვენ ყოველდღე მრავალი დეპეშა მოგვდის საქართველოს სხვადასხვა პროვინციიდან, რომ ქალაქად და სოფლად ზოგი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელნი, პარტიული ფანატიზმით გატაცებულნი, ხელს უშლიან თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ურევენ საარჩევნო ბიულეტენებს და დაპყრობილ ადგილებში თავიანთ გარდა არავის უშვებენ“.

პუბლიცისტი, ამგვარი ძალადობისათვის განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საყვედურობდა, ურჩევდა მის მეთაურებს, ემოქმედათ პროვინციელ თანაპარტიელებზე, რათა „არ დაეკარგათ პარტიული ეთიკაც და უბრალო სინდისიერებაც“ [5].

ეროვნულ-დემოკრატები სოციალ-დემოკრატთა ყველაზე შეურიგებელი ოპონენტები იყვნენ. ჯერ კიდევ ამიერკავკასიის მთავრობის მმართველობისას აკრიტიკებდა მათ გაზეთი „საქართველო“, სადაც სისტემატურად იბეჭდებოდა ლელი ჯაფარიძის პუბლიცისტური წერილები. ეს წერილები გამოირჩეოდა ოსტატური, მხატვრულად დამაჯერებელი ხერხებით, მოწინააღმდეგის ისეთი სუსტი ადგილების გამოკვეთით, რაც მკითხველს პუბლიცისტის სიმართლეში დაარწმუნებდა. არ დარჩენილა „ერთობის“ არც ერთი მეთაური წერილი თუ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეროვნულ იდეოლოგიასთან დაპირისპირებული მმართველი პარტიის რომელიმე ლიდერის თვალსაზრისი, „საქართველოს“ რომ არ გაეცამტვერებინოს, ბოლომდე არ ჩაჰყოლოდეს და არ ეჩვენებინოს მისი სიმცდარე. ამას გაზეთ „საქართველოს“ ნიჭიერი პუბლიცისტები აკეთებდნენ და მათ შორის ლელი ჯაფარიძეს, უეჭველად ეჭირა საპატიო ადგილი. ამ როლისთვის დანახვის უნარიც შველოდა, ინტუიციით ყოველთვის გრძნობდა, რა მოჰყვებოდა ამა თუ იმ აზრს, რა

შედეგი ექნებოდა მთავრობის წევრთა მიერ გამოთქმულ შეხედულებებს. ამიტომაც ხვდებოდა მისი კრიტიკა ასე ზუსტად მიზანში, გაზეთი „საქართველო“ კი ყოველთვის საინტერესო საკითხავი და სიმართლის დაუფარავად მქადაგებელი რჩებოდა. პრესის თავისუფლების ჟამს, მართალი სიტყვა აკრიტიკებდა არა უბრალო ჩინოვნიკებს, არამედ მთავრობის მესვეურთ, ქვეყნის მმართველ ძალებს.

1918 წლის 20 ივლისს გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა მოწინავე სტატია, სადაც ლაპარაკი იყო ამიერკავკასიის ფედერაციის აღდგენის შესაძლებლობაზე. ეს კი უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ღალატი იყო. ფედერაცია წაართმევდა ქვეყანას იმას, რაც 26 მაისს მიიღო, შეკვეცდა მის სუვერენიტეტს, გააუქმებდა სახელმწიფო ენას. „ერთობა“, მართალია, მხოლოდ პარტიული გაზეთი იყო და არა სამთავრობო, სადაც ხშირად ისეთი აზრები გამოითქმებოდა, რასაც ხელისუფლება არც ეთანხმებოდა (ოფიციოზს „საქართველოს რესპუბლიკა“ წარმოადგენდა), მაგრამ მმართველი პარტიის ორგანოში გამოთქმულ ასეთ ანტიქართულ თვალსაზრისს მაინც არ შეიძლებოდა დადებითი შედეგი მოეტანა, ამიტომაც აკრიტიკებდა ლელი ჯაფარიძე ამ მოწინავეს და მას სამთავრობო პარტიასთან იდეურ ბრძოლაში გამარჯვებისათვის იყენებდა. ის დასცინოდა მოწინააღმდეგეთა არათანამიმდევრულობას, პოზიციების ხშირად შეცვლას, რაც აბნევდა ხოლმე პარტიის აგიტატორებს რაიონებში და სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა. „წარმოიდგინეთ, მაგალითად, რომელიმე ზესტაფონელი კვაჭანტირაძე, – წერდა ლელი ჯაფარიძე, – რომელიც თავდადებით იცავს ერთაშორის სოლიდარობის იდეას და ამტკიცებს, რომ საქართველოს თავისუფლება მხოლოდ ბურჟუაზიისთვის არის ხელსაყრელი, მაგრამ მეორე დღეს კითხულობს თავის „ერთობაში“, რომ დემოკრატიამ უნდა იბრძოლოს საქართველოს თავისუფლებისათვის, ანდა გაშმაგებით მებრძოლი ფედერალისტებთან, რომლებიც მას ჰგონია „ბურჟუა კონტრრევოლუციონერი“, უცბად ისმენს, რომ მისი პარტია ხელგაყრილი

მიდის ამ „ბურჟუასთან“ სართიჭალის არჩევნებში.

რა გუნებაზე დადგება ასეთი პროპაგანდისტი?“ [6]

სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის ანტიეროვნულობას და ტაქტიკის ხშირ ცვლას ლელი ჯაფარიძე აბრალებდა ეთნიკური დაპირისპირების გაძლიერებასაც ქვეყანაში. განსაკუთრებული აღშფოთებით წერდა პუბლიცისტი ბოლშევიკთა მიერ ინსპირირებულ ოსებზე, რომლებიც რუსეთის ყოველმხრივი მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ოსთა დასახლება, ჯაფარიძის თქმით, „სოლივით ჭრიდა ჩვენს ტერიტორიას“.

პუბლიცისტი მთავრობას იმ უნიჭო ექიმს ადარებდა, არასწორ დიაგნოზს რომ სვამს და რაც არ უნდა კარგი წამალი მიაწოდოს ავადმყოფს, თავის მიზანს მაინც ვეღარ აღწევს.

ამ გამონათქვამით სტატიის ავტორი ადანაშაულებდა სოციალ-დემოკრატიას ოსთა აჯანყების მცდარი შეფასებისათვის. განსაკუთრებით იწუნებდა შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრის – ნოე რამიშვილის სიტყვებს: „ოსების მოძრაობა არ არის ეროვნული მოძრაობა, არამედ სოციალური ხასიათისაა ბოლშევიკების მეთაურობით, და თუ ქართველებშიაც ჰქონია ადგილი ასეთ გამოსვლებს, მაშინ ოსების მოძრაობა არ შეიძლება ჩაითვალოს მოღალატურადო“-ო. ოსთა აჯანყება საჩხერესა და თვით ე. წ. სამხრეთ ოსეთში, მათი მცდელობა, მოეწყოთ მასიური გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, საბჭოთა რუსეთიდან იმართებოდა. თვით რუსეთის ცაკი, ლენინის მეთაურობით, ცდილობდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გამოყენებას და კავკასიის ხელახლა დაბრუნებას რუსეთის ბოლშევიკური სახელმწიფოს შემადგენლობაში. საქართველოს ხელისუფლებას ეცნო – ოსთა მოთხოვნა საბჭოთა ოსეთის დამოუკიდებლობაზე. სოციალ-დემოკრატები კი მათ მიზნებს არ აშიშვლებდნენ, აცხადებდნენ, რომ ოსებს პოლიტიკური კი არა, მხოლოდ სოციალური სურვილების დაკმაყოფილება სურდათ. სოციალ-დემოკრატი ალექსან-

ლელი ჯაფარიძე ცისფერყანწელებთან ერთად. მარცხნიდან მარჯვნივ, პირველ რიგში: ნიკოლო მიწიშვილი, თამარ იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, მარო შანშიაშვილი; მეორე რიგში: ვალერიან გაფრინდაშვილი, ეფემია ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი, ნინო ტაბიძე, ალი არსენიშვილი; მესამე რიგში: რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, გიორგი ლეონიძე

დრე ლომთათიძე პარლამენტში ამბობდა: „თუ დავაკმაყოფილეთ ოსები მიწის საკითხის ჯეროვნად გადაჭრით, ისინი ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო დამცველები იქნებიანო". ლელი ჯაფარიძე წერილში – „სოციალ-დემოკრატები და ოსების აჯანყება" – აკრიტიკებდა მთავრობის ამგვარ მიდგომას ოსეთის საკითხისადმი, მიიჩნევდა, რომ აჯანყებულთა ხელმძღვანელი მღვდელი ჯიოევი შორსგამიზნულ პოლიტიკურ პროგრამას ისახავდა. საქართველოს ხელისუფლება, მმართველი პარტია კი ამას მწვავედ არ პასუხობდა. მხოლოდ ივანე გომართელის შეფასებას იწონებდა ლელი ჯაფარიძე, ურჩევდა „ერთობას", მის პუბლიცისტებს, არ მიეჩქმალათ ძალად მრავლისმეტყველი ფაქტები, „აგრარულ მოძრაო-

ბად არ ჩაეთვალათ ოსური სეპარატიზმი, არ დაეყოთ ერები „ნაციონალისტებად“ და „დემოკრატებად“ და ქართველი ნაციონალისტებისთვის არ შეედარებინათ ის ოსი, სომეხი თუ სხვა ერების წარმომადგენლები, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დამხობა რომ სურდათ [7].

ოსების საკითხი განიხილა 1918 წლის 6 აგვისტოს ეროვნული საბჭოს სხდომამაც. შეკითხვა დასვა და საკითხის განმარტება ითხოვა ეროვნულ-დემოკრატმა დეპუტატმა გრიგოლ ვეშაპელმა. ამ სხდომამ ერობის საკითხზეც იმსჯელა. ლელი ჯაფარიძე „საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ეხებოდა სხდომის მუშაობას და აკრიტიკებდა მმართველი არისტოკრატიის მიდგომას ორივე საკითხისადმი. მისი აზრით, შექმნილი ანარქიის დროს უნდა გადადებულიყო ერობის არჩევნები სოფლად და იგი უფრო დამშვიდებულ პირობებში ჩატარებულიყო. „დღეს უკვე ყველასთვის ნათელი გახდა, – წერდა ლ. ჯაფარიძე, – რომ ისეთი რთული ინსტიტუტის შექმნა, როგორიც არის საერობო თვითმმართველობა, ისეთს ქაოსურ ხანაში, როგორსაც საქართველო განიცდის, ყოვლად შეუძლებელია. თითქოს ეს საკითხი არც უნდა ყოფილიყო სადავო არც ერთი პარტიისათვის, თითქოს საბჭოს ყოველი წევრი გრძნობდა, რომ იქ, სადაც მესამედ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობას ამომრჩევლების მხოლოდ 2 პროცენტი იღებს, იქ ხალხის ნდობით აღჭურვილ წარმომადგენლობაზე ფიქრი სრულებით უსაფუძვლოა.

მაგრამ ამ საკითხმა მაინც დიდი კამათი გამოიწვია და სოციალ-დემოკრატებმა ფორმალური მოსაზრებით ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვაც კი არ ცნეს საჭიროდ.

მათს ფორმალიზმში დაიმარხა ერობის საკითხი“ [8]

ერობის არჩევნები მართლაც დაინიშნა და სოციალ-დემოკრატებს იგი არც გადაუდიათ საქართველოში „მშვიდი დროის“ დადგომამდე. ასეთი დრო არც დამდგარა დამოუკიდებლობის წლებში, და ამაში იქნებ არც იყოს რაიმე მიუღებელი, მაგრამ ლელი ჯაფარიძისეული შეფასება მოვ-

ლენების, საერობო რეფორმისა და მისი მნიშვნელობისა, ძალზე საინტერესოა.

გრიგოლ ვეშაპელის მიერ დასმულ კითხვასაც ეხება პუბლიცისტი, აღწერს თუ რა მგზნებარედ ისაუბრა ოსთა საკითხზე მჭევრმეტყველებით გამორჩეულმა ირაკლი წერეთელმა მთელი საათი და როგორ შეწყვიტა სხდომა ისე, რომ პასუხის გაცემის უფლებაც არ მისცა ეროვნულ-დემოკრატ დეპუტატს. ამ უსამართლობას ლელი ჯაფარიძე მიაწერდა სოციალ-დემოკრატების არაეროვნულობას და იმას, რომ მათ საკანონმდებლო ორგანოში აბსოლუტური უმრავლესობა გააჩნდათ. პუბლიცისტი ითხოვდა საპარლამენტო რეგლამენტში ცვლილებების შეტანას. ლელი ჯაფარიძე მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური წერილებით ებრძოდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მტრებს: იქნებოდნენ ისინი რუსი ბოლშევიკები და მათთან შეფიცული ქართველი თანაპარტიელნი თუ რუსი მონარქისტები, ესერები თუ კადეტები, საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის მიმტაცებელი მეზობლები თუ თავად უმეცარი თანამემამულეები, თავისთავად, უნებურად რომ ეგებოდნენ პროვოკატორთა ანკესზე.

ყველა ჩამოთვლილი მტერი ხშირად მგლის კი არა, ცხვრის ქურქში ეხვეოდა და დემოკრატიის, ინტერნაციონალური და სამართლიანი ლოზუნგების წამოყენებით ცდილობდა შეერყია საქართველოს სახელმწიფოს სიმტკიცე, აგიტაცია-პროპაგანდით გამოეცალა მისი საყრდენი, გადაებირებინა მასები და დაერწმუნებინა ისინი თავიანთი სახელმწიფოს უსამართლო პოლიტიკაში. ლელი ჯაფარიძე წინააღმდეგი იყო ისეთი დემოკრატიისა, რომელიც თვალს ახუჭვინებდა ხელისუფლებას მისი მტრების ნამოქმედარის მიმართ, თავისუფლებას ანიჭებდა ყოველ ანტიქართულ აზრსა და მოქმედებას. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იგი რუსი ესერების მიმართ გამოთქვამდა, რომლებთანაც საქართველოს ხელისუფლებას ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდა. ლ. ჯაფარიძე საქართველოში მცხოვრებ ესერებს რუსული ინ-

ტერესების გამტარებლად მიიჩნევდა, საამისოდ იმოწმებდა ეკატერინოდარში გამომავალი ესერული გაზეთის – „Родная земля"-ს ფურცლებზე დაბეჭდილ, იქაურ ესერთა ლიდერის – ნ. ბერიოზოვის წერილს. ბერიოზოვი აღშფოთებული იყო სოჭის სოციალისტ-რევოლუციონერთა რეზოლუციით – სოჭის ოლქის საქართველოსთან შეერთების შესახებ და მრისხანედ მიმართავდა მათ: „ნუთუ სოჭის სოციალისტ-რევოლუციონერებმა არ იციან, რომ ამიერკავკასიის ესერთა საოლქო კომიტეტი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს ჯერ ამიერკავკასიის და შემდეგ საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორების წინააღმდეგ?" ჯაფარიძე მიმართავდა მკითხველს, ეს არ გეგონოთ ძველად იყო ასე, დღესაც ამიერკავკასიის ესერთა საოლქო კომიტეტი რუსეთთან საქართველოს მიერთების მომხრეა და ამას არც მალავს მათი გაზეთიო. იგი იმოწმებდა ესერთა მე-8 ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციას, სადაც მიმართვა იყო, ებრძოლათ რუსეთისაგან დაშორების მომხრეებთან, ავალებდა ხელისუფლებას, მიეღო მათ წინააღმდეგ უსასტიკესი ზომები.

პუბლიცისტი ასახელებდა ამიერკავკასიის ესერთა საოლქო კომიტეტის წევრებს თარხანოვს და თუმანოვს, რომლებიც, მისი აზრით, ცნობილნი იყვნენ „როგორც მებრძოლნი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ" და რომლებიც სომხური დაშნაკ-ცუტიუნის პარტიის სიით შევიდნენ საქართველოს პარლამენტში. „ამ პირების მანდატები ჯერ, გვგონია, არ განუხილავთ და თუ დროზედ არ მიექცა მათ ყურადღება, შესაძლოა მათი „აღმშენებელი" მუშაობა ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებაში ძალზე სავალალო გამოდგეს საქართველოსთვის", – ასკვნიდა ლელი ჯაფარიძე [9].

ამგვარადვე აკრიტიკებდა მწერალი რუს კადეტებს, მიანერდა მათ სომხეთთან ალიანსს. „არარატის რესპუბლიკის ჯარები რომ ახალციხე-ახალქალაქის მხარეში დაბინავდნენ და ამავე ჯარის ნაწილებმა ბამბაკისა და ლორეს ოლქები დაიკავეს და სანაინ-ქობერის სიმაღლეზე გამაგრდნენ,

რუსულ-სომხურმა პრესამ უცნაური ენით ამიერკავკასიის ერთიანობა გაიხსენა“, – წერდა ლელი ჯაფარიძე წერილში „კადეტები და ამიერკავკასიის აღდგენა“. რუსი კადეტების მეთაური სემიონოვი მაშინ ალაპარაკდა საქართველოს დამოუკიდებლობის შეუძლებლობაზე, როდესაც „გაშიშვლებული ხმლები აღიმართა ჩვენი ტერიტორიის დასაპყრობად“. სემიონოვის აზრით, საქართველო ორგანულად იყო დაკავშირებული სომხეთ-აზერბაიჯანთან. ლელი ჯაფარიძე აკრიტიკებდა სემიონოვს, გაზეთ „რეჩ“-ის მეთაურ წერილს, სადაც საქართველოს რუსეთთან დაბრუნებაზე იყო ლაპარაკი და თვლიდა, რომ ეს იყო მიზეზიც იმ ჯარების გათავხედებისა, რომლებმაც გადმოლახეს ჩვენი ქვეყნის საზღვრები [10].

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოქვეყნებამ თავზარი დასცა რუსეთის საბჭოთა მთავრობას, საქართველოში მცხოვრებ ამიერკავკასიის მთავრობის წევრ სომხებსა და აზერბაიჯანელებს. ყველა ამათგანს თავიანთი პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. უცხოეთის მრავალფეროვანი აგენტურა დახვეწილად, თანაც თავისუფლად მოქმედებდა საქართველოში, სოციალ-დემოკრატიული ხელისუფალნი კი, დემოკრატიის სახელით, არ ზღუდავდნენ მათ მოქმედებას, არ სწავლობდნენ მათ საქმიანობას და სახელმწიფოს უშიშროების დასაცავად არ რეაგირებდნენ მათ ანტიქართულ გამოხდომებზე.

თბილისსა და სხვა ქალაქებში თავისუფლად დადიოდნენ რუსი ბოლშევიკები, დენიკინელები, სომეხი, თურქი და აზერბაიჯანელი აგენტები. ლელი ჯაფარიძის წერილი – „უცხოელი აგენტები“ –შექმნილ ვითარებაში მთავრობას ადანაშაულებდა. იმის ნაცვლად, რომ ათასი თვალი და ყური გამოება საქართველოს ხელისუფლებას, უცხოური აგენტურისათვის საკუთარი დაეპირისპირებინა, მტრის ბანაკებში თავისი ხალხი შეეგზავნა მათი ნამდვილი ზრახვების გასაგებად, მთავრობა მათ ნამოქმედარზე თვალს ხუჭავდა. ის

კი არადა, იგი არ კრძალავდა რუსეთის მეხუთე კოლონად ქცეულ ანტიქართულ რუსთა ეროვნების საბჭოს, ოსთა, სომეხთა ასეთივე საბჭოებს, რომლებიც ებრძოდნენ დამოუკიდებელ საქართველოს და რუსეთის შემადგენლობაში მისი დაბრუნებისათვის იღვწოდნენ. „აქაურ რუსულ ორგანიზაციებს, – წერდა ლელი ჯაფარიძე, – ორგანული კავშირი აქვთ დენიკინის ჯართან და მისი ინსტრუქციით მოქმედებენ. კადნიერება იქამდისაც მიდის, რომ კავშირი აშკარა არის და ეს დაწესებულებანი არც მალავენ ამას. მაშინ, როდესაც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ მხარეებიდან გაზეთებიც კი ვერ მიუღია საინფორმაციოდ, თბილისის „რუსსოვეტს" მუდმივი კავშირი აქვს გაბმული სხვადასხვა კურიერებით და საგანგებო რწმუნებულებით".

მიუხედავად იმისა, რომ რუსთა ეროვნულ საბჭოს მთელს ამიერკავკასიაში უნდა ემოქმედა რუსთა უფლებების დასაცავად, ის მარტო საქართველოში „მოღვაწეობდა" და მთავრობაც თავისუფლებას აძლევდა მას.

ლელი ჯაფარიძე მკითხველს აცნობდა ამ ანტიქართული რუსული ორგანიზაციის თავმჯდომარეს – ლებედევს, რომელიც დენიკინის მოხალისეთა ჯარის ინტერესებს ატარებდა საქართველოში.

ლებედევმა მონაწილეობა მიიღო ცნობილ „აჭარლების პროცესში", საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლებედევს ყალბი მანდატები აღმოუჩინა, მაგრამ არ დაუსჯია.

ამ ვრცელ წერილში ლ. ჯაფარიძე აკრიტიკებდა სომხეთის ელჩს საქართველოში – არშაკ ჯამალიანსაც და მასაც სომხეთ-რუსეთის აგენტად თვლიდა. ჯამალიანი, საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით, ხვდებოდა აქ ჩამოსულ უცხოელებს, სომხეთის პრობლემებთან ერთად მათ საქართველოს ავ-კარგსაც მოახსენებდა, აკრიტიკებდა ქართულ დემოკრატიას, მთავრობის პოლიტიკას, არწმუნებდა უცხოელებს, რომ საქართველოში ირღვეოდა სხვა ერების უფლებები. ლ. ჯაფარიძე იმოწმებდა ჯამალიანისად-

მი მიძღვნილ თბილისური სომხური გაზეთის – „ჟოღოვორთ ძაინ“-ის კრიტიკულ წერილს, რომელშიც აღნიშნული იყო: „საერთაშორისო პოლიტიკაში მიღებულია, რომ რომელიმე სახელმწიფოში დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღონ იმ მთავრობის სურვილი, სადაც უნდა გაიგზავნოს წარმომადგენელი... ამ თვალსაზრისით, და თავისი დიპლომატიური მოუმზადებლობითაც სასურველი არ არის, რომ ბ-ნი არშაკ ჯამალიანი დარჩეს სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლის თანამდებობაზედ საქართველოს მთავრობასთან“.

სომხური გაზეთის ამ შეფასებას იმეორებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო „ერთობაც“, მაგრამ ჯაფარიძის აზრით, ამ შეფასებას კონკრეტული გადაწყვეტილება არ მოსდევდა. „ერთობა“ ადასტურებდა, რომ ჯამალიანი გარეული იყო არაქართულ ქმედებაში, მაგრამ ამ ფაქტებს არ ასახელებდა და ითხოვდა არასასურველი ელჩის საქართველოდან გაძევებას, „თორემ საქართველო შესაძლოა მალე მტერთა ბანაკად გადაიქცეს და მაშინ...ისინი დაიწყებენ სხვების გაძევებას“-ო, ირწმუნებოდა ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტი [11].

რუსი, სომეხი და სხვა ეროვნების აგენტებზე არანაკლები ზიანი მოჰქონდათ საქართველოსთვის ქართველ ბოლშევიკებს. თავის პუბლიცისტურ წერილებში ლელი ჯაფარიძე აკრიტიკებდა ბუდუ მდივანს, ფილიპე მახარაძეს, მიხა ცხაკაიას, იოსებ სტალინს. ყველა ამ წერილში მთავარი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ზოგადად ქართული პარტიების განწყობილების გადმოცემა, მათი კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილებებისადმი, სახელმწიფო იდეოლოგიისა და მთავრობის პრაქტიკული მოღვაწეობის უარყოფითად შეფასება.

საქართველოში რუსეთიდან შემოსულ ბოლშევიკებს ხელისუფლება იჭერდა, მაგრამ რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეთა ჩარევის გამო, მალევე ათავისუფლებდა და ასახლებდა საქართველოდან. გასახლებულნი უმეტესად კავკავში

იყრიდნენ თავს, აქ იყო რსდმპ კავკასიის კომიტეტის შტაბი, ამ შტაბში კი ყველაზე აქტიურნი ქართველი ბოლშევიკები იყვნენ. ისინი აქაურ ბოლშევიკურ გაზეთში – „კავკაზსკაია პრავდა" – აქვეყნებდნენ წერილებს, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მალე დაცემას წინასწარმეტყველებდნენ [12].

მიუხედავად ხელისუფლების შეურიგებელი კრიტიკისა, ეს პათოსი არათუ ნელდებოდა ლელი ჯაფარიძის პუბლიცისტიკაში, არამედ სრულად იცვლებოდა, როდესაც საქმე ეხებოდა საქართველოსთვის საშიშ გარეშე საფრთხეს.

როდესაც სომხეთმა ომი დაიწყო საქართველოსთან, 1918 წლის დეკემბერში, მთელი პარტიული სპექტრი გაერთიანდა, ყველა მათგანი საქართველოს ინტერესებს გამოხატავდა და მთავრობის პოზიციას ამართლებდა. ლელი ჯაფარიძეც ასეთ შემთხვევაში აქებდა მთავრობის წევრებს, ხოტბას ასხამდა ნოე ჟორდანიას პატრიოტულ გამოსვლას პარლამენტში, ვალიკო ჯუღელის სიტყვებს ომში წასვლის წინ და ა. შ. საქართველო-სომხეთის ომის თემაზე დაწერილი ლელი ჯაფარიძის წერილები, ისევე როგორც მთლიანად ქართული პრესა, რა პარტიული მიმართულებისაც არ უნდა ყოფილიყო, იყო რადიკალური, შეურიგებელი სომეხი ნაციონალისტებისადმი, ითხოვდა ქალაქიდან მათ გაძევებას, ჯაშუშებად თვლიდა სომხურ ფრაქციას, მიიჩნევდა მათ „მეორე სახელმწიფოდ" ქართულ სახელმწიფოში [13].

სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის ისტორიოგრაფია არც ისე მწირია. თვით ომის პერიოდში შედგენილი დოკუმენტებისა და გამოცემული წიგნების გარდა [14] არსებობს თანამედროვე სომხური და ქართული საისტორიო ნაშრომები, რომლებშიც ომის პერიპეტიები და შედეგები სხვადასხვაგვარადაა შეფასებული. სომხური ლიტერატურა, სამწუხაროდ, თვალშისაცემად ტენდენციურია, როდესაც აიდეალებს ამ ომში სომეხი სარდლის – დრასტანატ კანაიანის (გენერალ დროს) დამსახურებას, არ გამოხატავს ისტორიულ სინამდვილეს, თუ ქართველებმა – გენერლების – მაზნიაშვი-

ლის, კვინიტაძის და სხვათა სარდლობით როგორ გააბრუნეს სომხეთის ჯარი და როგორ მისდიეს ერევნისაკენ. ჰამლეტ გევორქიანი, სომხურად გამოცემული წიგნის – „დრო"-ს ავტორი აღნიშნავს, რომ სომხეთის ჯარმა თბილისამდე სდია ქართულ ჯარს და რომ არა ინგლისის სარდლობა, თბილისს აიღებდაო. მოვლენების ამგვარი შეფასებისას, ობიექტური ისტორიის შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ პრესას, კერძოდ კი, ომისდროინდელი ოპოზიციური პარტიების საგაზეთო პუბლიკაციებს. ისინი ასეთ ფაქტს, თუკი იგი მართლა მოხდა, არ დამალავდნენ, პირიქით, გამოიყენებდნენ საქართველოს ხელისუფლების გასაკრიტიკებლად და დისკრედიტაციისათვის. ამდენად, ლელი ჯაფარიძის პირუთვნელ წერილებს სომხეთთან ომის თემაზე აქვს პირველწყაროს მნიშვნელობა; ჭეშმარიტი ისტორიის შესაქმნელად საჭირო ეს მასალა გვეხმარება აღვადგინოთ ამ ცნობილი მოვლენის რეალური სურათი [15].

თუ სომხეთის ომის დროს ლელი ჯაფარიძის პუბლიცისტიკაში შეხვდებით სიტყვებს: „ჩვენ გვჯერა, რომ სოციალ-დემოკრატიის ჭაღარა მეთაური მთელი საქართველოს ბელადობასაც შესძლებს"... – 1920 წელს იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ამ სახელისუფლებო პარტიის ლიდერის საქმიანობას, მთელს მის პარტიულ პროგრამას, სტრატეგიასა და ტაქტიკას. ლელი ჯაფარიძე უწუნებდა ხელისუფლებას პარტიული ინტერესების სახელმწიფოებრივზე მაღლა დაყენებას, პარტიის ორად გაყოფას „ერთობისა" და „ახალი სხივის" ბანაკებად ბუნებრივად მიიჩნევდა. „ახალი სხივი" და „ერთობა" ორივე ერთი და იგივე ბებერი ხის შტოებია და ამ ხის მწვერვალი – ნოე ჟორდანია ორივესთვის ერთნაირად მისაღებია – წერდა ლელი ჯაფარიძე, – მაგრამ აქვე ისმება კითხვა, თუ როგორ ატარებენ ცხოვრებაში იმ ხაზს, რომელსაც სხვადასხვა „თათბირებზედ" და პერიოდულ „მანიფესტებში" უსახავს თავის სამწყსოს ეს „მოხუცი ხე ქართული მენშევიზმისა".

ლელი ჯაფარიძეს არ მოსწონდა პარტიის მიერ დაშვებული უხეში შეცდომები, რომელთაც ისინი არ აღიარებდნენ. „ახალი სხივის" კრიტიკული გამოსვლები კი, მისი აზრით, ვერ ჰპოვებდა სათანადო პასუხს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებისაგან. ამის ნაცვლად, „ერთობის" პუბლიცისტი ს. დევდარიანი აკრიტიკებდა კიდეც „ახალ სხივს" მომარაგების მინისტრის უარყოფითად შეფასებისათვის, ამტკიცებდა, რომ თანაპარტიელების კრიტიკა არ იყო სწორი, მითუმეტეს, მინისტრის თანამდებობაზე მყოფი პირისა. „ჩვენი პარტიის წარმომადგენელი", „ჩვენი ამხანაგი", აი, გამართლება ყოველივე დანაშაულისა, აი, საფარი, რომელიც იცავს ყოველ მენშევიკს, რა დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს მან, ან როგორი საზიანოც არ უნდა იქნას მისი მოქმედება სახელმწიფოსათვის.

„ამხანაგი" და პარტია შეიქმნა სინონიმი სახელმწიფოსი და სახელმწიფოებრივი საქმეები მენშევიკების შინაურ საქმედ გადაიქცნენ. პარტიული კოლექტივები სწყვეტენ ისეთ საკითხებს, რომელთაც არავითარი საერთო არ აქვთ პარტიასთან და სახელმწიფო ორგანიზაციების პრეროგატივას შეადგენენ", – სამართლიანად წერდა პუბლიცისტი 1920 წელს გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში – „ამხანაგების სახელმწიფო" [16].

ოპოზიციური აზრის მხატვრულ-დოკუმენტურად და დამაჯერებლად გამოხატვა, მოწინააღმდეგე პარტიების კრიტიკა, არაქართული ორიენტაციის პოლიტიკოსთა საქმიანობის პირუთვნელი შეფასება, პასუხი რუსული პრესისა თუ ქართული სოციალისტური პარტიების გამოცემათა პუბლიკაციებზე, ანარქია, ხაზინის ქურდობა, კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები, უცხოელ აგენტთა საქმიანობის დეტალები, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეები, ქართული თეატრის, ლიტერატურის განვითარების ტენდენციები, საქართველოს პარლამენტის მუშაობის ნიუანსები და სხვა, წარმოადგენდა ლელი ჯაფარიძის პუბლიკაციების მთავარ თემებს, რომლე-

ბიც აისახა მის საგაზეთო ციკლში „წერილები პარლამენტიდან". გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ამ ციკლის 15 წერილში პუბლიცისტი აცოცხლებდა არა მხოლოდ პოლიტიკურ მოვლენებს, არამედ ცნობილ ადამიანთა თვისებებს, ადამიანურ ხასიათებს. ამ წერილებიდან ჩანს, თუ რა სერიოზულობით, საქვეყნო საქმეებისადმი მტკივნეული დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პარლამენტარები. ამ ნაწერებიდან კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რა წამგებიანია ქვეყნისათვის პოლიტიკაში მხოლოდ პარტიული პრინციპებით მოღვაწეობა, რა მარადიულია და წარუვალი ეროვნული იდეალები, რარიგ აუცილებელია პოლიტიკოსებისათვის საზოგადოებრივი ინტერესების პირადულზე მაღლა დაყენება და სხვა.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დავით კლდიაშვილის ფონდში დაცულია რამდენიმე დოკუმენტი, სადაც ლელი ჯაფარიძე გაზეთ „საქართველოს" მინდობილობით, მოღვაწეობის 30-ე წლისთავს ულოცავდა დიდ მწერალს, გამოთქვამდა რწმენას, რომ მისი სახელით დიდხანს იამაყებდა ქართული მწერლობა და მთელი საქართველო. გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიის სახელით პუბლიცისტმა ორი ათასი მანეთი გადასცა იუბილარ შემოქმედს (17). ეს ძალიან მცირეა მისგან გაკეთებული საქმეებიდან. ის, რაც ლელი ჯაფარიძემ შესძლო 1918-1920 წლებში, მთავრობის ოპოზიციაში ყოფნისას, თუ შემდგომ, ბოლშევიკური ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, არის ძალზე დასაფასებელი, ურთულეს პირობებში გაკეთებული საქმე და ნათქვამი სიტყვა, რასაც არ შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდეს ისტორიული წარსულის აღსადგენად და ჩვენი ქვეყნის მომავლის უკეთ გასააზრებლად.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლ. ჯაფარიძე, იხსენით ქრისტე, გაზ. „საქართველო", 1917, 73, 2 აპრილი.
2. ლ. ჯაფარიძე, ქუთათელი მიტროპოლიტი, გაზ. „საქართველო", 1917, 218, 5 ღვინობისთვე.
3. ლ. ჯაფარიძე, საქართველოსთვის, გაზ. „საქართველო", 1917, 239, 29 ღვინობისთვე.
4. ლ. ჯაფარიძე, რას გავალებთ „საქართველო", გაზ. „საქართველო", "1917, 251, 12 გიორგობისთვე.
5. ლ. ჯაფარიძე, დაიცავით არჩევნების თავისუფლება, გაზ. „საქართველო", 1917, 254, 16 გიორგობისთვე.
6. ლ. ჯაფარიძე, ღალატი თუ უგუნურობა, გაზ. „საქართველო", 1918, 243, 20 მკათათვე.
7. ლ. ჯაფარიძე, სოციალ-დემოკრატები და ოსების აჯანყება, გაზ. „საქართველო", 1918, 154, 6 მარიამობისთვე.
8. ლ. ჯაფარიძე, ეროვნული საბჭო, გაზ. „საქართველო", 1918, 155.
9. ლ. ჯაფარიძე, რუსი ესერები და საქართველოს დამოუკიდებლობა, გაზ. „საქართველო", 1918, 195.
10. ლ. ჯაფარიძე, კადეტები და ამიერკავკასიის აღდგენა, გაზ. „საქართველო", 1918, 200.
11. ლ. ჯაფარიძე, უცხოელი აგენტები, გაზ. „საქართველო", 1918, 237, 10 დეკემბერი.
12. ლ. ჯაფარიძე, ბუდუ მდივანი, გაზ. „საქართველო", 1918, 238, 12 დეკემბერი.
13. ლ. ჯაფარიძე, ჩვენ ვითხოვთ სისასტიკეს, გაზ. „საქართველო", 1918, 243, 19 დეკემბერი.
14. Из историй Армяно-Грузинских отношении 1918 г. Тб. 1919. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузия, Тифлис, 1919.
15. ლ. ჯაფარიძე, ომი ბოლომდის, გაზ. „საქართველო", 1918, 244.
16. ლ. ჯაფარიძე, ამხანაგების სახელმწიფო, გაზ. „საქართველო", 1920, 126.
17. გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, დავით კლდიაშვილის ფონდი.

ივანე გომართელი
(1876-1938)

ივანე გომართელი XX საუკუნის დასაწყისის ისეთი პოპულარული პიროვნება იყო, იმდენი ღვაწლი აქვს გაღებული ქართულ აზროვნებაში, იქნება ეს ლიტერატურული თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფერო, იმდენი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული, როგორც უბრწყინვალეს ექიმს და სიტყვით მკურნალს, რომ მასზე წერა თუ საუბარი ყოველთვის საინტერესო იქნება. ბევრიც დაწერილა და თქმულა, მიუხედავად ამისა, არის ერთი სფერო, მისი ცხოვრების ერთი მონაკვეთი, რომელიც მიმალულია, უფრო სწორად სრულიად გამოტოვებული გომართელისადმი მიძღვნილ ნაწერებში. ესაა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა. გომართელი სოციალ-დემოკრატი იყო, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წევრი, მისი იდეოლოგი, უამრავ სტატიასა და გამოსვლაში საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი ტერიტორიული მთლიანობის მგზნებარე დამცველი. ესაა მიზეზი, რომ ამ უაღრესად პოპულარული და სახელიანი კაცის ცხოვრების ეს ეპიზოდი — 3-4 წელიწადი ამოვარდა მისი შემოქმედებითი თუ ცხოვრებისეული ბიოგრაფიიდან.

ამ ნარკვევის წერისას ჩვენ გავითვალისწინეთ ის ლიტერატურა, რაც ამ ადამიანის ნააზრევსა და ცხოვრებისეულ გზას ასახავდა,[1] მაგრამ ძირითადად გამოვიყენეთ ქართული პრესის მასალები, რომლებიც აქამდე არ შეუსწავლია ვინმეს. უპირველესად, ესაა გაზეთი „ერთობა“, სადაც იბეჭდებოდა

გომართელის წერილები, გაზეთი „ალიონი", მისი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალი „ცისარტყელა" და სხვა. „ერთობაში" დაბეჭდილი პუბლიცისტური ნააზრევით ჩვენს წინაშე წარმოსდგება თეორეტიკოსი, რომლის შეხედულებები გულწრფელია, ხალხურია და სამშობლოს სიყვარულით, მისი საუკეთესო მომავლის სურვილითაა გაჟღენთილი.

XX საუკუნის დასაწყისში სიტყვა „გომართელი" ლამის გადამრჩენის, სასწაულმოქმედი მკურნალის სინონიმად ქცეულა. მასთან მიდიოდნენ უიმედო ავადმყოფები და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, იკურნებოდნენ. დაბრმავებულს თვალი აეხილებოდა, დავრდომილი — ფეხზე გაივლიდა და ა. შ. ამ სასწაულის ბევრ მაგალითს იხსენებდნენ გომართელის შესახებ და ბევრი რამ მისადმი მიძღვნილ წერილებსა თუ წიგნებშიცაა ჩაწერილი. ამით იგი თითქოს უფლის გზაზე შემდგარ პირველმოწამეებს ემსგავსებოდა. მისი ნიჭი, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური აზროვნების სიღრმე, მჭერმეტყველება, შინაგანი სითბო და საუკეთესო ადამიანური თვისებები, ავადმყოფებს მალამოდ ედებოდა, წამალს სასწაულს ახდენინებდა, ზოგჯერ უწამლოდ, სიტყვით ჰკურნავდა.

ივანე გედევანის ძე გომართელი 1876 წლის 2 (15) ოქტომბერს დაიბადა ზემო იმერეთში, საჩხერის რაიონის სოფელ გორისაში. ივანეს მშობლები — გედევან კაციას ძე გომართელი და სალომე სვიმონის ასული კურცხალია-გომართელისა საშუალო შეძლების აზნაურები იყვნენ. მამა საჩხერელ თავადთან — ელისაბედ ქაიხოსროს ასულ წერეთელთან მუშაობდა მზარეულად თუ მოურავად, ამიტომ ივანეც წერეთლების ოჯახში გაიზარდა. ვინაიდან ელისაბედ წერეთელი ძირითადად თბილისში ცხოვრობდა, ამიტომ ივანესაც არ გაჭირვებია თბილისში სწავლის მიღება. მეოთხე კლასამდე იგი თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში სწავლობდა და აქედან გადავიდა თბილისის II გიმნაზიაში, სადაც ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. გიმნა-

ზიის კურსი 1894 წელს ოქროს მედლით გაასრულა. ამის შესახებ „ივერიაც“ იუწყებოდა.[2]

იმავე წელს ივანე გომართელი გაემგზავრა მოსკოვს და საიმპერატორო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

მედიცინა თავად ამოირჩია, რადგან საქართველოში ეს სპეციალობა ამ დროს ყველაზე მეტად იყო საჭირო, ხალხს მკურნალი ესაჭიროებოდა და მკითხავებს მიმართავდა. უამრავი ადამიანი იღუპებოდა სულ უბრალო ავადმყოფობით. ახალგაზრდა ქართველი ჭაბუკი გულმოდგინედ ეუფლებოდა არჩეულ სპეციალობას, ღებულობდა ღრმა ცოდნას, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა. მან კარგად იგრძნო, რომ ნამდვილი პროფესიონალი საკუთარი დარგის ცოდნით ვერ შემოიფარგლებოდა. ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია მასშტაბურად იაზროვნოს, ჩაწვდეს პაციენტის ფსიქოლოგიას, იმოქმედოს მასზე თავისი ცოდნითა და განათლებით, ვერ იქნებოდა გამორჩეული მკურნალი. ამიტომ შეუდგა, მედიცინის პარალელურად, ისტორიის, ლიტერატურის, ფილოსოფიის ღრმად შესწავლასა და გათავისებას, დაიწყო პუბლიცისტური მოღვაწეობა: მოსკოვიდან თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ივერიაში“, „კვალში“, „ჯეჯილსა“ და „მოამბეში“. ჯერ კიდევ II კურსის სტუდენტმა, 1896 წელს, საბავშვო მოთხრობა დაბეჭდა თბილისში, წიგნად, „ხტუნია ციყვუნიას“ სათაურით, 1897 წელს, ბეჭდავს თბილისშივე ივანე როსტომაშვილის რედაქტორობითა და პ. მეფისაშვილის ფულით წიგნს — „ისტორია აღმოსავლეთისა“.

სტუდენტობაშივე, თვითონ ხელმოკლეს, არ დავიწყებია მშობლიური კუთხე: სოფელ ქორეთის სკოლას ჟურნალი „ჯეჯილი“ გამოუწერა, ამით ორი საქმე გააკეთა: „ჯეჯილის“ რედაქციასაც დაეხმარა და ქორეთელ ბავშვებსაც. მასწავლებელი დ. აბდუშელიშვილი ქორეთიდან „კვალში“ მიწერილ წერილში წერდა: რომ ასეთ ძვირფას შემოწირულობას პირველად ღებულობდა ქორეთის სკოლა „თავის თანამემამულე

თანამგრძნობელ ახალგაზრდისაგან, ოცი წლის არსებობის განმავლობაში".[3]

1899 წელს ივ. გომართელმა მიიღო მკურნალი ექიმის წოდება და საქართველოს მოაშურა. 1900 წლის 12 თებერვალს ჯავახეთში, სოფ. ბარალეთის ქსენონის ექიმად დაინიშნა. ესეც ნათელყოფს ჩვენი ძველი ინტელიგენციის საერთოეროვნულ ცნობიერებას, სადაც საჭირო იყვნენ, იქ მიდიოდნენ. ორი წელი იმუშავა აქ გომართელმა და დახელოვნდა თავის საქმეში. მთელი ახალციხის მაზრის სოფლებში მოიპოვა ნამდვილი სახალხო მკურნალის რეპუტაცია. არც ლიტერატურულ მოღვაწეობას წყვეტდა — მისი ლიტერატურული წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა „კვალში".

ცოტა ხნით, ბარალეთიდან იგი თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოში გადაიყვანეს, შემდეგ კი დიდი ჯიხაიშის ქსენონის ექიმად გაგზავნეს. ეს ქსენონი მაშინ გაიხსნა და მალე დიდი სახელი გაითქვა სწორედ გომართელის წყალობით. მის შესახებ, ქუთაისის გაზეთებთან ერთად, „ივერიაც" წერდა, კერძოდ, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ხიზანიშვილი „პლებს"-ის ფსევდონიმით გულისტკივილს გამოხატავდა, რომ გომართელის მსგავსი ექიმები ყველგან არ იყო.[4]

ივანე გომართელი იყო რუსეთის I სათათბიროს წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. ეს სათათბირო მეფის მთავრობის ნამდვილ ოპოზიციად იქცა. ანტიცარისტული „ვიბორგის მოწოდებისათვის" სათათბიროს დეპუტატები, მათ შორის ივანე გომართელიც, პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი, თუმცა, საბოლოოდ, დაჭერას გადარჩნენ. ამდროინდელ ვითარებას და გომართელის დამოკიდებულებას რუსეთში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისადმი კარგად გადმოსცემს გიორგი ზდანოვიჩის არქივში დაცული მისი ერთი წერილი, რომელსაც მთლიანად მოვიტანთ:

„24/X-06

პეტერბურგი

ბ-ნო გიორგი! თქვენ მიერ გამოგზავნილი 150 მ. მივიღე, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ. მე ამ ცოტა ხანში ვა-

პირებ დაბრუნებას, რადგანაც აქ საავადმყოფოში ზოგიერთი პრაქტიკული სამუშაო მქონდა და ამ ჟამათ ყოველისფერი გავათავე. ჩვენი ვიბორგის მონოდებისათვის მეგონა, რომ ციხეში ჩაგვაჯენდენ. და იმასაც ვუცდიდი აქამდე, მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ იმდენათ ციხეში ჩვენი ჩაჯენა არ უნდა მთავრობას, როგორც საარჩევნო უფლების წართმევა და თავის მიზანს მით მიაღწია, რომ დაწერისათვის კი არ გვაძლევს სამართალში, გავრცელებისათვის! ამ დღეებში ვიყავი დაბარებული გამომძიებელთან ამის თაობაზე. რადგანაც არავითარი საბუთი არა აქვთ ხელში, რომ გავრცელება დაგვიმტკიცონ, ამიტომ ეს გასამართლებაც მასხარაობა იქნება, ისე როგორც ჩვენების ჩამორთმევა.

მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ყველა არა საიმედონი ამომრჩეველთა სიიდან ამოშალოს, მაგრამ არასაიმედონი რუსეთში გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე მთავრობას ჰგონია. და ამიტომ მეორე სათათბიროც საოპოზიციო იქნება უსათუოთ. ეჭვს გარეშეა, რასაკვირველია, რომ აბსოლუტიზმის აღდგენა ყოვლათ შეუძლებელია, მაგრამ ახალი წყობილებაც ნელის ნაბიჯით დამყარდება რუსეთში და, პასუხისმგებელი სამინისტრო რომ მოიპოვოს დუმამ, მე შეუძლებლათ მიმაჩნია. როგორც ირკვევა, მთავრობაც ხედავს ახლა თავის უნუგეშო მდგომარეობას და კონსტიტუციის განხორციელებაზე თანახმაა, ხოლო პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელ სამინისტროს ის მტრულის თვალით უყურებს. რაც უნდა იყოს, საპარლამენტო ბრძოლის გარეშე არავითარი ძალა აღარ არის მთავრობის დასამარცხებლად. ჩვენში რა გასამტყუნარია ხალხი რომ შეშინებული იყოს, — აქეთაც ნამეტანი შეშინებული და გულგატეხილი არიან. სოფლებიდან სანუგეშო არაფერი ისმის. მუშებიც ძალიან თავჩაქინდრული არიან; მთავრობის დამარცხება ქუჩის ბრძოლით უფრო ადვილი საქმე ეგონათ, ვიდრე ნამდვილათ აღმოჩნდა და ამან გავლენა იქონია მუშახალხის სულიერ განწყობილებაზე. მაგრამ ჩემის ფიქრით გული ამდენათ მაინც არ გაუტყდებოდათ, პარტიათა შორის ასეთი გამწვავება რომ არ იყოს.

ამგვარმა გამწვავებამ თუ რამდენათ იმოქმედა მუშებზე, იქიდანაც მტკიცდება, რომ რამდენიმე ქარხნებში აქ ამას წინათ ამგვარი წინადადება იყო წამოყენებული: დღეიდან ინტელიგენტ ამხანაგებს ნულარ მივიღებთ ჩვენს წრეშიო. რასაკვირველია, წინადადება არ გასულა, მაგრამ ამგვარი წინადადება რომ წამოაყენეს კრებაზე, თვით ეს გარემოებაა ფრიათ საგულისხმო. ფრიათ საჭიროა, რომ ამ არჩევნების დროს მემარცხენე პარტიათა შორის შეთანხმებული მოქმედება იყოს. ესერები და ესდეკები აქეთ აპირებენ ბლოკს; შესაძლებელია, კადეტების მარცხენა ფრთაც ამ ბლოკს მიემხროს. თუ ასე არ მოიქცენ მემარცხენენი, ჩემის ანგარიშით უსათუოთ დამარცხდებიან არჩევნებზე. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ესერები, ესდეკები და ფედერალისტები რომ შეთანხმდნენ საერთო მოქმედებისათვის. მე ეს არა მწამს: ერთმანეთი უშველებელი ჟამივით ეჯავრებათ და ხელიხელს მიცემენ განა?

ქუთაისში, როგორც გავიგე, ახალი ქალაქის თავი მოდის — ფანცხავა. კარგი ყმაწვილია მიმართულებით, განვითარებით და სურვილებით, ხოლო ჩემის ფიქრით აკლია ის ფხა, ის ინიციატივა, რომელიც ასე საჭიროა ყოველგვარი საქმის მეთაურისათვის.

თქვენი ი. გომართელი...“[5]

ასევე დაწვრილებით აღწერდა ივანე გომართელი სხვა წერილებშიც I რევოლუციის დროს რუსეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, მოვლენებს საკუთარი თვალთახედვით აფასებდა.

სათათბიროდან დათხოვნის შემდეგ, ის დედაქალაქის კერძო კლინიკებში მუშაობდა და ლექციებს ატარებდა. იგი კარგად ხედავდა რუსულ შოვინიზმს. ქვეყანაში ყველა პარტია იდევნებოდა, გარდა „ჭეშმარიტ რუსთა პარტიისა“. ამის შესახებ ზდანოვიჩს წერდა: „...ახლა მშვიდობიანი განახლების პარტიასაც კი დაუწყეს დევნა. ჭეშმარიტი რუსების პარტიამ გამოაცხადა: ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი კონსტიტუციისაო. მინისტრებს უბრძანებენ, ემუქრებიან. ერთის სი-

ტყვით, ეჭვს გარეშეა, რომ უმაღლესი მთავრობა სასახლის ბიუროკრატია ჭეშმარიტ რუსებს ყოველგვარ დახმარებას უწევს. მეორე დუმის გარეკვის შესახებ აქედანვე ლაპარაკობენ. უნივერსიტეტები დღეს თუ ხვალ დაიხურებიან, ისეა საქმე: სტუდენტებს უნდათ უნივერსიტეტების ავტონომიით ისარგებლონ და არ ვიცი, რა ავტონომიაა შესაძლებელი დღევანდელ რუსეთში...“

ამავე წერილში ივანე გომართელი რუსეთის ბიუროკრატიის დახმარებისათვის ლანძღავდა უცხოელ ბანკირებს, რომლებიც ფინანსურ დახმარებას უწევდნენ ხელისუფლებას, ხელს უშლიდნენ ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებას. „...თუ უფულობამ აიძულა მთავრობა რაიმე რეფორმების განხორციელებაზე, თორემ არავითარი ძალა აღარ არის, რომ პარლამენტარული წყობილება დაამყაროს. ჩემის ფიქრით, წითელი რევოლუცია რუსეთში დასრულდა, — სისხლისღვრით არაფერი აღარ მოიგება, რაც არ წაიგება. მე იმედი მაქვს, რომ იქნება ახალმა დუმამ ფულით იყიდოს კონსტიტუცია მთავრობისაგან, თუ რომ სამზღვარგარეთის ბანკირებმა კიდევ არ იხსნეს მთავრობა განსაცდელისაგან. მე ტერორი არ მრწამს, მაგრამ მისი მომხრე რომ ვიყო, ამ იარაღს სამზღვარგარეთის ბანკირების წინააღმდეგ მივმართავდი, რადგანაც თუ იმათ არ გამოიხსნეს მთავრობა, ჯერ კიდევ შეიძლება რეფორმების განხორციელება.“[6]

ასე პოლიტიკურად გულგატეხილი დაბრუნდა თბილისში ივანე გომართელი 1907 წელს და პროფესიულ საქმიანობას — ექიმობას შეუდგა. ამდროინდელ სულიერ და მატერიალურ მდგომარეობას ასახავს ზდანოვიჩისადმი მიწერილი წერილი:

„დიდათ პატივცემულო
ბ-ნო გიორგი!

თქვენთან ძალიან უკაცრავათ ვარ, რომ აქამდე ჩემი სიტყვა ვერ შევასრულე და დაპირებისამებრ სესხი ვერ დაგიბრუნეთ, მაგრამ ხელი სხვადასხვა მიზეზებმა შემიშალა.

ახლა კი დიდის მადლობით გაახლებთ. ერთის მხრით კმაყოფილი ვარ, რომ თფილისში გადმოვსახლდი, მეორეს მხრით კი არა. წარმოიდგინეთ, ისე წახდა ყველა, რომ ბრალიანი და უბრალო მათხოვრათ გადიქცა. მუშა, მოხელე, მოსამსახურე, მოსწავლე, — ყველა ფულის სათხოვრათ დადის. რამდენიც ავათმყოფები მყავს, სწორეთ იმდენივე ფულის მთხოვნელები მოდიან."[7]

განსაკუთრებით საინტერესოა გომართელის ის პუბლიცისტიკა, რომელიც შეუსწავლელია და 1916-1921 წლებშია დაბეჭდილი ქართულ პრესაში.

1917 წლის ოქტომბერში დაბეჭდილი (გაზეთი „ალიონი", 50) ივანე გომართელის წერილი „ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკა" გამოირჩევა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში საქართველოსთვის აუცილებელი გზის ძიებით, ისტორიული ვითარების სწორი შეფასებით. პუბლიცისტს სწორად მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ვერ დაიცავდა, მით უმეტეს, ამას ვერ შეძლებდა ამიერკავკასიის „სარევოლუციო ცენტრი", რომელსაც კავკასიის სხვა ერებზე — სომხებსა და აზერბაიჯანელებზე კიდევ უფრო სუსტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე ქართველებზე. როგორც სოციალ-დემოკრატს, მას საჭიროდ მიაჩნდა ეროვნულ-ინტერნაციონალური საბჭოების შექმნა ამიერკავკასიის სამ ძირითად ხალხში. ეს უნდა მომხდარიყო ეროვნული ყრილობების საშუალებით, საერთაშორისო საბჭოს დაარსებით, რაც, დემოკრატიასთან ერთად, ინტერნაციონალური გზაც იქნებოდა და იხსნიდა ამიერკავკასიის ხალხებს მომავალი განსაცდელისაგან — ეს „ინტერნაციონალიზმის გზა" ჭეშმარიტად სოციალისტს, აუცილებლობად ესახებოდა. გომართელი აკრიტიკებდა იმ თანაპარტიელებსაც, რომლებიც ვერ ხედავდნენ განსხვავებას „ეროვნულსა და ნაციონალისტურს შორის და ერის ინტერესების გაბედული დაცვა ინტერნაციონალის ღალატად" მიაჩნდათ. ის მხარს უჭერდა და პირდაპირ აყენებდა ეროვნული ყრილობის მოწვევის აუცილებლობას. ნაციონალისტურის და ეროვნუ-

ლის დაპირისპირება-გამიჯვნით კი ცდილობდა ეროვნული იდეის გადარჩენას, ქართველი ხალხის გამოხსნას იმ რევოლუციური ანარქიისგან, რაც რუსეთის იმპერიის მთელ სივრცეში გაბატონდა. „ბევრს არ უნდა შეიგნოს, ან ვერ შეუგნია, რომ შესაძლებელია, რევოლუციამ გაიმარჯვოს, მაგრამ ქართველი ერი დამარცხდეს. როგორ, რანაირად შეიძლება ეს დამარცხება? ეროვნულ უფლებათა უარყოფით და ანარქიის შემწეობით", — ირწმუნებოდა გომართელი. მისთვის მიუღებელი იყო რუს ბოლშევიკთა ეროვნული თანასწორობის იდეა, რადგან, მისი აზრით, ეს ნიშნავდა რუსთა გაბატონებას სხვა ერებზე, ქართველისთვის კი ასეთი უფლება საკუთარი სახელმწიფოს, საკუთარი კონსტიტუციის შექმნის, საკუთარ მიწაზე ცხოვრების უფლება იყო. ამ საკითხის დაყენებისას დგებოდა საზღვრების გამიჯვნის საკითხიც, რასაც გომართელი საერთაშორისო არბიტრაჟის საქმედ მიიჩნევდა. თავისი აზროვნებით, მწერალი-პუბლიცისტი უფრო წინ იდგა, ვიდრე მისი პარტიელი ლიდერები, აკი ამიტომ ამბობდა: „ჩვენ კი პეტროგრადს მივჩერებივართ და იქიდან ველით ხსნას, იმას კი ველარ ვამჩნევთ, რომ პეტროგრადს თავისი საკუთარი თავის ხსნაც კი აღარ შეუძლია..."[8]

ეროვნული ინტერესების ერთგულებისკენ მოუწოდებდა ის ყველა პარტიას, უპირველესად კი — სოციალ-დემოკრატებს და ამ მოვლენას არ აციცებდა რევოლუციის ერთგულებას, თუმცა იქვე აფრთხილებდა ხალხს: „რევოლუციის გზა ვარდებით ხომ არ არის მოფენილი, — ეკლებიც ბლომად არის და ის ერთი ეკალიც ჩვენისთანა პატარა ერს სასიკვდილოდ დაჩხვლეტს".

ანარქია მას მომაკვდინებლად მიაჩნდა მცირერიცხოვანი ქართველი ერისთვის, ამიტომ ითხოვდა ეროვნული ყრილობის სასწრაფოდ მოწვევას და მსგავსი მოქმედებისკენ მოუწოდებდა სომხებსა და აზერბაიჯანელებს.

ქართველი ბოლშევიკების ანტიეროვნულ შეხედულებებს პუბლიცისტი მძაფრად აკრიტიკებდა სტატიაში — „ჩვენებური ბოლშევიკები და ეროვნული საკითხი". მას მოჰქონდა

ბოლშევიკური კონფერენციის დადგენილება, სადაც ეწერა, რომ ყოველ ერს ჰქონდა თვითგამორკვევის უფლება სრულ სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, მაგრამ ცხოვრებაში ამ შეხედულებას ბოლშევიკები, კერძოდ, მათი ერთ-ერთი ქართველი ლიდერი ფილიპე მახარაძე — რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა. ამის გამო ივანე გომართელი მიუღებლად თვლიდა ბოლშევიკურ იდეოლოგიას, მიაჩნდა ის ქართველი ერის უბედურებად, მისი ბუნებრივი განვითარების შემფერხებლად.[9]

ქართველი ხალხის მთავარ უფლებად მას თავისუფლების მოპოვება და დემოკრატიული წყობილების დამყარება ესახებოდა; რა თქმა უნდა, მისი იდეალი სოციალიზმის გამარჯვება იყო, რაც, გომართელის აზრით, კი არ ეწინააღმდეგებოდა ერის ინტერესებს, არამედ აუმჯობესებდა მის სოციალ-ეკონომიკურ პირობებს, ხელს უწყობდა კულტურისა და განათლების წინსვლას.[10] მისი წერილების სერია — „ერის უფლება და თავისუფლება" ბევრი რამითაა საინტერესო და პუბლიცისტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების გამომხატველი. 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამოქვეყნებული ეს პუბლიცისტური სერიალი ნათელს ხდიდა, რომ სოციალ-დემოკრატთა ნაწილს, მათ შორის ივანე გომართელს, ამ დროს სურდა „სრული პოლიტიკური ავტონომია". ეს არ ნიშნავდა სრულ დამოუკიდებლობას, რადგან ამ იდეის ავტორებს არ სურდათ რუსეთის მფარველობიდან გამოსვლა. მათი აზრით, ეს საზიანო იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან ვერანაირი რუსეთი ვერ შეეგუებოდა ამას, საქართველო კი მტრულად განწყობილ რუსეთს ვერ დაამარცხებდა. გომართელი არც კავკასიის რესპუბლიკას უარყოფდა მომავალში, რაც არასწორი იდეა იყო, მაგრამ პუბლიცისტმა ეროვნული საკითხი რომ წამოსწია წინ, ესეც პროგრესული პოზიციაა: „სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ ეროვნული საკითხი ვერ შეესისხლხორცა პარტიას, ვერ ჩასწვდა იმის გულს", — დანანებით ამბობდა იგი და დაბეჯითებით წერდა: „ქართველ ერს აქვს ერთი უდიდესი და უპირველესი მოვა-

ლეობა: ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის და ამ თავისუფლების მოპოვება.

ხოლო ქართველ ერს აქვს ერთი უდიდესი უფლება: ისე მოაწყოს თავისი შინაური ცხოვრება, როგორც მას ნებავს, როგორც ის თვითონ დაინახავს საუმჯობესოთ". ამ წერილშივე ეხებოდა ის ჟორდანიასეულ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის საკითხს, უარყოფდა მას და საჭიროდ მიაჩნდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება ტერიტორიალური პრინციპით.[11]

ამგვარი დამოუკიდებლობისაკენ საბრძოლველად მოუწოდებდა ის მშრომელ ხალხს თავისი პუბლიცისტური მიმართვებით, არწმუნებდა მათ, რომ ბედნიერი მხოლოდ ასეთ ქვეყანაში, თავისუფალ საქართველოში იქნებოდნენ.[12]

1917 წლის ნოემბერში ივანე გომართელმა გაზეთ „ალიონში" გამოაქვეყნა პუბლიკაცია — „აბხაზები და ჩვენ", სადაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება აფხაზი ხალხისადმი, განსაზღვრა მისი როლი და ადგილი მომავალ დამოუკიდებელ (ავტონომიურ) საქართველოში. წერილი დაიწერა იმ კრების გამო, რომელიც 1917 წლის 8-9 ნოემბერს შეიკრიბა აფხაზეთისა და სამურზაყანოს მოსახლეობის მონაწილეობით. ივანე გომართელი აღწერს კრების გამართვის წინარე პირობებს: კერძოდ, როგორ შეჰკრეს კავშირი აფხაზებმა მთიულებთან და კაზაკებთან, მოითხოვეს სამურზაყანოს ქართველი მოსახლეობაც შესულიყო ამ კავშირში. ამგვარი გზა, პუბლიცისტის აზრით, უარყოფდა როგორც დემოკრატიულ, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების პრინციპებს. მისი რწმენით, სანამ აფხაზები ამ კავშირს შეჰკრავდნენ, უნდა დაკითხვოდნენ მათ უშუალო მეზობელს, — სამურზაყანოს ქართველობას თანხმობას. გომართელი წერდა, რომ აფხაზები ცდილობდნენ საქართველოს დაშლას, მეგრელების ჩამოშორებას თავისი ერისაგან — ქართველი ხალხისაგან. „პატარა აფხაზეთი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 50 ათასამდე არც კი ადის, უნდა ერთხ-

ელ და სამუდამოდ გამოეთხოვოს იმ აზრსა და ოცნებას, რომ ის ვისიმე გადაყლაპვით საკუთარ თავს გაზრდის", ამ მოვლენის ახსნას პუბლიცისტი ცდილობდა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური საფუძველით. მას მიაჩნდა, რომ აფხაზი მემამულეები დამფრთხალი იყვნენ სოციალისტური იდეით, მათ ეშინოდათ მშრომელ ქართველებს არ ნაერთმიათ მიწები მათთვის, არ დაკარგულიყო აფხაზი თავადების გავლენა. „ერთადერთი მთელ აფხაზეთში გიორგი შარვაშიძეა, რომელიც ქართულ ორიენტაციას ატარებს, დანარჩენები ქართველებს და საქართველოს გაურბიან", — წერდა გომართელი, მოჰყავდა რუსული კოლონიზაციის მაგალითები ამ მხარეში, აფხაზთა რუსული ორიენტაციის განმამტკიცებლად მას რუსულივე შავრაზმული აგიტაცია მიაჩნდა.

აკრიტიკებდა რა აფხაზეთის მოწინავე წრეების პოლიტიკურ შეხედულებებს, ივანე გომართელი არც ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიერ აფხაზეთში გატარებულ ღონისძიებებს იწონებდა: მისი აზრით, ქართველებს საარჩევნო სიებში მეტი აფხაზი დეპუტატი, თუნდაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი უნდა შეეყვანათ, რომელთაც აფხაზები უფრო მეტად ენდობოდნენ, ვიდრე ქართველ სოციალ-დემოკრატებს... ამასთანავე, აფხაზეთში არ იყო ნიადაგი ამ იდეოლოგიის გასავრცელებლად, საქართველო წააგებდა, თუ აფხაზი ხალხისა და ამ კუთხის ინტერესებს არ გაითვალისწინებდა. „ამიტომ, როდესაც ამა თუ იმ საზოგადო და პოლიტიკურ საკითხს ვეხებით აფხაზებში, დიდი სიფრთხილე, გამჭრიახობა, წინდახედულება და თავდაჭერილობა გვმართებს, რომ სარგებლობის მაგიერ ზიანი არ მოვუტანოთ იმ საქმეს, რომელსაც ვემსახურებით".

გომართელი თვლიდა, რომ აფხაზებს უნდა მიეღოთ ჯერ ერობა, შემდეგ კი — ტერიტორიული ავტონომია სოხუმის ოლქის იმ ნაწილში, სადაც უმრავლესობა აფხაზები იყვნენ, სამურზაყანო კი საქართველოს ავტონომიის ფარგლებში უნდა შესულიყო.[13] მაგრამ აფხაზები უნდა დაბრუნებოდნენ ქართულ ანბანს, ქართულ სულიერ კულტურას, რომელიც

მათ წინაპრებს ჰკვებავდა საუკუნეთა მანძილზე, რადგან ახლანდელი ანბანი რუსეთის მოცემული და არაბუნებრივი იყო აფხაზეთისთვის. თუ ანბანი ექნებოდა ამ ერს, ქართული ასოებით უნდა შედგენილიყო იგი. ოსმალეთში გადახვეწილი აფხაზები მოჰაჯირობის შედეგად სამშობლოს მოწყვეტილნი, ველარ დაბრუნდნენ სამშობლოში, რადგან გამაჰმადიანებულ აფხაზებს უკვე სამშობლოდ მიაჩნდათ თურქეთი, 49 ათასი აფხაზი კი ვერ გადაყლაპავდა სამურზაყანოს, კულტურულად და ეკონომიკურად მასზე მაღლა მდგომს. ამიტომ თვლიდა გომართელი, რომ ქართველი დემოკრატია, საქართველო უნდა ყოფილიყო აფხაზეთის გადამრჩენი, პანისლამიზმს არ უნდა ჩაენთქა იგი.

ამ ვრცელ წერილში პუბლიცისტი კარგად ახერხებდა აფხაზეთში ამ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების დახასიათებას, ეხებოდა რუსულ და პანისლამისტურ ორიენტაციას და თვლიდა, რომ ეს უკანასკნელი უფრო ძლიერი იყო. საჭირო იყო დემოკრატიული აზროვნების გავრცელება, ქართული ორიენტაციის გაძლიერება, რაც მუდმივად აწყდებოდა აფხაზებისაგან წინააღმდეგობას. გომართელის მიერ დასმული საკითხები დღესაც ისევე მტკივნეულად აღიქმება, როგორც მაშინ, საუკუნის წინათ ულერდა.

ავტონომიის იდეა, როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძიდან მომდინარეობს და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირველესი მიზანი იყო XX საუკუნის დასაწყისში. ქვეყნის ხსნა მაშინ ამ იდეაში იდო. ივანე გომართელი იყო 1906 წელს არჩეული რუსეთის იმ სახელმწიფო სათათბიროს წევრი, სადაც ძალზე პოპულარული იყო ეს იდეა. თვით რუსეთშიც, 600-კაციან სათათბიროში 200 შედიოდა „ავტონომისტთა ფრაქციაში", მათ შორის იყვნენ მაშინდელი რუსეთის გამოჩენილი მოღვაწენი: მეცნიერები, პუბლიცისტები, მწერლები და სხვ. გომართელი ავტონომიის შესახებ 1917 წლამდეც წერდა, მაგრამ ამ დროს მომხდარმა პოლიტიკურმა ამბებმა კიდევ უფრო გააააქტიურა ეს იდეა და მანაც ცალკე ბროშურა მიუძღვნა ამ თემას.[14]

ბროშურის წინასიტყვაობაში ივ. გომართელი წერდა: „ამ წიგნაკში მოთავსებული წერილები ნაწილია მისი, რაც მიწერია ავტონომიის შესახებ. ამ წიგნაკს სახეში ჰყავს სოფლისა და ქალაქის მუშა ხალხი.

მისი მიზანია სოფლისა და ქალაქის მუშებს დაანახოს, შეაგნებიოს, რომ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია მათთვის სასარგებლოა და მისაღები".

წიგნი პროპაგანდისტულია. მასში ახსნილია და განმარტებული ავტონომიის შინაარსი და იდეა, ავტონომიური ქვეყნის მართვის პრინციპები, ამ მმართველობის ფორმის უპირატესობა, მისი შედეგები ქვეყნის წინსვლის საქმეში.

რუსული პროპაგანდა იმდენად ეწინააღმდეგებოდა ავტონომიას, რომ რუსეთის სათათბირო, პირველი რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, 1909-1910 წლებში აკრიტიკებდა კავკასიური ავტონომიის მსურველებს, მათ რუსეთის სახელმწიფოს მტრებად აცხადებდა. ცხადია, პრესა და სახელმწიფო იდეოლოგია უბრალო ხალხზე მოქმედებდა, მათი დიდი ნაწილი ვერ ერკვეოდა ავტონომიის ნამდვილ არსში და უარყოფდა მას. სწორედ ამ მიზნით დაწერა ივანე გომართელმა ეს პროპაგანდისტული ბროშურა და ხალხს დაწვრილებით აუხსნა ამ მოვლენის არსი.

ივანე გომართელი არწმუნებდა მკითხველს თავის პოლიტიკურ მრწამსში, უხსნიდა, რომ ჩვენი დედაქალაქი თბილისია და „ქართველი ერის პარლამენტიც თბილისში უნდა იყოს, აქ უნდა იკრიბებოდნენ ჩვენი დეპუტატები" და არა რუსეთში.

გომართელი უხსნიდა მკითხველს როგორ უნდა აერჩიათ დეპუტატები, როგორ უნდა მიეღოთ განათლება და სხვა საკითხები როგორ მოეგვარებინათ სახელმწიფო კანონების დაცვით.

„ვინ აირჩევს ჩვენში დეპუტატებს? — წერდა იგი. — და იქვე პასუხობდა მისივე დასმულ კითხვებს.

— მთელი ხალხი, მთელი ქართველი ერი, ერთი მეორეზე

მეტნაკლები უფლება აღარავის აღარ ექნება. თავადაზნაური აქ ველარ იბატონებს.

ყოველ ადამიანს — ქალსა და მამაკაცს, ოცი წლიდან მოკიდებული, უფლება ექნება არჩევნებში პირდაპირ მიიღოს მონაწილეობა, თუკი ის ყაჩაღი და ავაზაკი არ არის. ყველას ერთი ხმა აქვს: თავადსაც, გლეხსაც, აზნაურსაც... ახლა ყველა თავისუფალი და თანასწორი მოქალაქეა.

არჩევნები მოხდება მთელ საქართველოში საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭიყრით.

რას ნიშნავს ეს?

სულ უბრალო რამეს. არჩევნებში ყველა მიიღებს მონაწილეობას, ყველას თანასწორი უფლება ექნება, ყველა თითონ გამოცხადდება საარჩევნო ყუთებთან და ვისაც უნდა თეთრს ჩაუგდებს, ვისაც უნდა — შავს, ხოლო ისე, რომ სხვებმა ვერ დაინახონ, ვის როგორ კენჭს აძლევს. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ხათრით და მორიდებით ისეთი კაცი არ ავირჩიოთ, რომელიც არ მოგვწონს".

ივანე გომართელის აზრით, დეპუტატები, პარლამენტი დროდადრო, წელიწადში რამდენჯერმე შეიკრიბებოდა, პარლამენტი ამოირჩევდა დეპუტატებიდან რამდენიმე კაცს და საქვეყნო საქმეებს იმათ ჩააბარებდა. ეს იქნებოდა, მთავრობა და მისი წევრები პარლამენტის წინაშე იქნებოდნენ პასუხისმგებელნი. პარლამენტს ექნებოდა უფლება, თუკი მთავრობის წევრები ვერ გაამართლებდნენ ხალხისა და პარლამენტის ნდობას, გადაეყენებინა ისინი.

პარლამენტი ღებულობდა კანონებს და ერთწლიან ბიუჯეტს.

ივანე გომართელის საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი ძალზე ახლოა დღევანდელ ჩვენს სინამდვილესთან. ოღონდ საუკუნის წინ ის ბავშვური ენით განუმარტავდა სხვადასხვა საჭიროებას მკითხველს. თუნდაც გადასახადების გაწერას მოსახლეობაზე:

„უფულოთ საქმე არ გაკეთდება, ჩვენს პარლამენტს კი ბევრი საქმე ექნება. ამიტომ შემოღებული იქნება გადასახა-

დი, რომელიც ყველამ უნდა გადავიხადოთ ყოველ-წლიურათ. ეს ფული მოხმარდება ქვეყნის საქმეს. ერთი კაპეიკიც არ დაიკარგება, არც შეიჭმება".

„რა ექნება გასაკეთებელი ჩვენს პარლამენტს, ჩვენს მთავრობას? — სვამდა ასევე კითხვას ბროშურის ავტორი და პასუხობდა:

— ერთი დიდი საქმე იქნება სწავლა-განათლება: ყოველ სოფელში იქნება პირველდაწყებითი სასწავლებელი, ყოველ დაბაში საშუალო სასწავლებელი. პირველდაწყებითი სწავლა იქნება სავალდებულო, ამიტომ უსწავლელი არავინ დარჩება. ჩვენში ყველგან გაიხსნება ისეთი სასწავლებლები, სადაც სოფლის ახალგაზრდობა მიიღებს გამოსადეგ ცოდნას, შეისწავლის მებაღეობას, მეღვინეობას, აბრეშუმის მოყვანას და სხვ.

ჩვენი ხალხი რომ ყოველივე ამას შეისწავლის და განათლდება, რასაკვირველია უკეთ იცხოვრებს, ვიდრე დღეს სცხოვრობს.

მეორე დიდი საქმე იქნება ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

ჩვენი სოფელი რიგიანად საექიმო დახმარებას მოკლებულია... ჩვენ რომ ავტონომიას მივიღებთ, სოფლებში, დაბებში და ქალაქებში გაიხსნება საუკეთესო საავადმყოფოები, სადაც ხალხისათვის სულ პატარა დაბაში ყოველგვარი საექიმო დახმარება იქნება და მოუვლელობის, უპატრონობის მსხვერპლი აღარავინ აღარ გახდება.

მესამე დიდი საქმე იქნება რკინისგზები და მოკენჭილი (შოშია) გზები.

ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხე — ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, სამეგრელო, აფხაზეთი ერთმანეთს რკინიგზებით უნდა შეუერთდეს.

მეოთხე დიდი საქმე იქნება მეურნეობის გაუმჯობესება...

მეხუთე დიდი საქმე იქნება მუშა ხალხის დაზღვევა...

მეექვსე დიდი საქმე იქნება ქვრივ-ობოლთა და უპატრონო დავრდომილთათვის ზრუნვა. ავტონომიურ საქართველო-

ში იქნება სხვადასხვა დაწესებულებები და თავშესაკრები, სადაც მათ უპატრონებენ".

ჩამოთვლაში აღარ ნომრავს, მაგრამ ერთ დიდ საქმედ მიიჩნევს სამართლის წარმოებას, სასამართლოს დაახლოებას ხალხის ინტერესებთან. ივანე გომართელის აზრით, ავტონომიის დროს მოსამართლეები იქნებოდნენ ხალხის არჩეულები, საქმე გაირჩეოდა ქართულად, ადგილი არ ექნებოდა სიცრუეს და მექრთამეობას. საქმის გასაკეთებელი ხარჯების ძირითადი ნაწილი გადასახადებით შედგებოდა და ყველას იმდენი შეეწერებოდა, რა ქონების პატრონიც იყო.

პოლიციასაც ხალხი აირჩევდა, რაც შეამცირებდა მექრთამეობას და ძალადობას ამ სისტემაში.

ავტონომიურ საქართველოში გაუქმდებოდა წოდებები და ყველა იქნებოდა ქვეყნის თავისუფალი, თანასწორი მოქალაქე.

მიწის განაწილება უნდა მომხდარიყო მიწის დამმუშავებელ ადამიანებზე. ყველა მიწა გადავიდოდა ავტონომიური მთავრობის ხელში და ის გაანაწილებდა მას.

მისი აზრით, როგორც ასტრონომს შეუძლია ყველა ქალაქიდან ერთნაირი წარმატებით იკვლიოს ცა, ასევე შეუძლია პროლეტარიატს ყველა ქვეყანაში თავისი პრობლემები თვითონ მოაგვაროს, მაგალითად, ქართულმა პროლეტარიატმა რუს პროლეტარიატთან კავშირის გარეშეო:

„თუ იმას იფიქრებს ჩვენი მუშა ხალხი, რომ რუსეთის პროლეტარიატი უამისოთ თავის მიზანს ვერ მიაღწევს, — ეს იქნებოდა პამპულასებური გაბერვა საკუთარი ძალ-ღონისა, — წერდა გომართელი. — ან თუ იმას ფიქრობს ჩვენი მუშა ხალხი, რუსეთის პროლეტარიატი თუ არა, ისე ჩემს მიზანს ვერ განვახორციელებო, ესეც ნამეტანი დამცირება იქნებოდა საკუთარი ძალ-ღონისა...

„ყოველი ერის პროლეტარიატი განსაზღვრულ ტერიტორიაზე ახორციელებს თავის მიზანს".

მიუხედავად სოციალისტური აზროვნებისა, გომართელის ამდროინდელი თვალსაზრისი (როდესაც ჯერ ლაპარაკი

არაა არც რუსეთის დაშლაზე და არც საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე), სოციალ-დემოკრატი მოღვაწის შეხედულებები მაინც არის პროგრესული. რა თქმა უნდა, ქართველი ეროვნულ-დემოკრატები ამ დროს გაცილებით წინ იყვნენ ეროვნულ ცნობიერებასა და იდეოლოგიაში, მაგრამ სოციალ-დემოკრატი მოღვაწეები ჩამორჩებოდნენ გომართელს. ისინი დამოუკიდებლობის შემდეგაც კი ოცნებობდნენ საქართველო-რუსეთის კავშირზე. იგი უხსნიდა მკითხველს, რომ მარქსის დევიზი, უფრო სწორად, კომუნისტური მანიფესტის მოწოდება — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! — არ ნიშნავდა ეროვნულ-ტერიტორიალური საზღვრების უარყოფას, პირიქით, ამ საზღვრების დადგენას და მის შიგნით მტკიცე მოქმედებას ნიშნავდა. „ქართველი მუშა ხალხი, — წერდა იგი, — პროლეტარიატის საერთო მიზანს საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მიწაწყალზე ახორციელებს.

ამიტომ, თუ პროლეტარიატი ეცდება, ამ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ისეთი უფლებები მოიპოვოს, რომ მისმა მოქმედებამ მეტი ნაყოფი გამოიღოს, ამით მუშა ხალხი კი არ ჩამოშორდება თავის მიზანს, უფრო სწრაფი ნაბიჯით გასწევს იქითკენ. ჩვენ რომ მოვიპოვოთ ტერიტორიალური ავტონომია, ჩვენს საზღვრებში მოექცევიან სხვა ერებიც. შესაძლებელია ჩვენ ისინი შევავიწროვოთ, შევზღუდოთ და მაშინ ავტონომიის წყალობით ჩვენი სამშობლო გადაიქცევა ეროვნული მტრობისა და სიძულვილის ასპარეზად, ეს კი მუშა ხალხის საერთო საქმეს ხელს უშლის.

ცხოვრების დონის ზრდას ისე ხატოვნად აღწერდა ივანე გომართელი, რომ ცნობილ უტოპისტთა ნაწერს ემსგავსებოდა ზოგჯერ მისი მომავლის პერსპექტივით წარმოსახული სოფელი:

„მრეწველობა, მეურნეობა და ვაჭრობა აყვავდება, სწავლა-განათლება გავრცელდება; სოფლებში ფაბრიკები და ქარხნები გაიხსნება, სოფელი განათლდება და გალამაზდება. სოფლის ხალხი სწავლას შეიძენს, ცოდნას, ქონებას და ნა-

კლები შრომით გაცილებით უკეთ იცხოვრებს, ვიდრე დღეს ცხოვრობს“.

მისი აზრით, საქართველოში დარჩებოდა რუსული ფული, საქართველო დარჩებოდა რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად, მასში შემავალ ავტონომიად და უმაღლესი მთავრობა საქართველოსი იქნებოდა რუსეთის უმაღლესი მთავრობა, რომელიც დაიფარავდა საქართველოს გარეშე მტრებისაგან. ანუ ერთი ჯარი ეყოლებოდა ავტონომიურ საქართველოსა და რუსეთს.

„რუსეთის მთავრობა იქნება ჩვენი ცხოვრების თვალყურის მდევნელი და ჩვენს შინაურს საქმეებში ჩაერევა ყოველთვის, თუ რომ ჩვენმა ადგილობრივმა მთავრობამ კანონები დაარღვია“.

ასე განმარტავდა ივანე გომართელი ავტონომიური საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ფორმებს, დანიშნულებებსა და უფლებებს.

ის ცალკე თავად გამოყოფდა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრინციპებს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოციალ-დემოკრატი ივანე გომართელი არ ივიწყებდა არც პარტიულ პრინციპებს, არც მარქსისტულ დებულებებს და ცდილობდა საკითხი ამ კუთხიდანაც გაეშუქებინა, ცდილობდა შესაბამისობაში მოეყვანა ავტონომიის პრინციპები და პარტიულ-იდეოლოგიური მიზნები. მას საჭიროდ მიაჩნდა, რომ პარტიულ ნაჭუჭში ჩაკეტვა, მარტო საკუთარი პროგრამისა და მიზნების ქონება არ იყო სწორი, თუკი ქვეყნისთვის კარგი იქნებოდა, უნდა გაეზიარებინათ სხვა პარტიების შეხედულებანიც.

„სხვაგან, ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში, სოციალ-დემოკრატია იზიარებს სხვა პარტიების ეროვნულ პროგრამას და ამის გამო სრულებითაც არ ეშინია მას, ჩემი სახე არ დავკარგო და სხვა პარტიებში არ გავითქვიფოო. ჩვენში კი ყოველი ჩვენგანი ცდილობს, არაფერში არ ჰგავდეს სხვას, არაფერი არ ჰქონდეს სხვასთან საერთო და მუდამ ერთის შიშით არის შეპყრობილი: სხვასთან მსგავსე-

ბა რომ აღმომაჩნდეს, მაშინ ხომ ჩემი რწმენის მოღალატე გამოვდექიო“.

ის აკრიტიკებდა ბოლშევიკებს, მათ იდეოლოგიურ მრწამსს, მათ ანტიეროვნულ, ანტიდემოკრატიულ ცნობიერებას. მისი აზრით, დემოკრატია არათუ შეავინროებდა სხვა ერებს ჩვენში, არამედ მათ განვითარების, გამდიდრების და კულტურული დაწინაურების დიდ შანსს მისცემდა. „ავტონომიურ საქართველოში მცხოვრები ყველა ერები იქნებიან ისეთივე უფლებიანი და თავისუფალი მოქალაქენი საქართველოსი, როგორც ქართველები“, — ამტკიცებდა ივანე გომართელი.

მიუხედავად ასეთი მაღალი შეფასებისა, ზოგიერთებს ამ დროს მიზანშეწონილად მიაჩნდათ, ტაქტიკური მოსაზრებით, ჯერ არ მოეთხოვათ საქართველოს ავტონომია. ივანე გომართელი კი წერდა: „სწორედ დღევანდელი პირობები მიმაჩნია მე ხელსაყრელათ, რომ ტერიტორიალური ავტონომია მოვითხოვოთ“. ამისათვის ის ისტორიული საფუძვლის გამოყენებას ფიქრობდა. ჩვენ ხომ ჩვენი ნებით შევუერთდით რუსეთს, რომელმაც შემდეგში წაგვართვა ავტონომიაც კი, ძალით დაგვიპყრო და შეგვიერთა, ახლა ჩვენი უფლებების მოთხოვნა შეგვიძლია.[15]

„ახალმა მთავრობამ (ლაპარაკია დროებით ბურჟუაზიულ ხელისუფლებაზე რუსეთში) მოსპო ძველი რეჟიმი და აღადგინა ადამიანის უფლებანი. ის ვალდებულია აღადგინოს ერის უფლებანი. ის უარს ვერ გვეტყვის დაგვიბრუნოს ის, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა“. მას მიაჩნდა,რომ სანამ ბურჟუაზიული ხელისუფლება მყარად არ იყო, დროებითი მთავრობა ჰქონდა შექმნილი, მანამდე ყველა მოთხოვნას, დემოკრატიულობის ნიღბით შემოსილი, ადვილად დააკმაყოფილებდა, შემდეგ კი „უბრძოლველად ვეღარაფერს დააძრობთ ხელიდან“-ო.

მისი აზრით, საქართველოს ახლავე, სანამ დამკვიდრებული არ იყო ახალი მთავრობა რუსეთში, დამფუძნებელი კრებისათვის უნდა მოეთხოვა ავტონომია. ასახელებდა

პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრს — სოკოლოვს, რომელსაც ეს თვალსაზრისი ჰქონდა: ეთანხმებოდა უკრაინის ავტონომიას. რუსებთან შეთანხმება ამის გამო არ მიაჩნდა ისე ძნელად, როგორც სომხებთან, რადგან სომხებსა და ქართველებს შორის ტერიტორიული პრეტენზიები იყო. ივანე გომართელს ისიც სწყინდა, რომ ტერიტორიულ ავტონომიას რუსეთის ხელისუფლებაში სომხები ითხოვდნენ აქტიურად და არა ქართველები. მიაჩნდა, რომ ახლავე უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკება სომხებთანაც. შესაძლებლად და დასაშვებად მიაჩნდა დათმობაც ზოგ საკითხში, მაგრამ შეთანხმების გზით. ოღონდ პრინციპული იყო თბილისის საკითხში,რომელსაც სომხები თავიანთ ქალაქად თვლიდნენ.

აი, რას წერდა ივანე გომართელი ამ საკითხზე:

„საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის დედაქალაქი თფილისი უნდა იყოს.

უმჯობესია მთელი ქართველი ერი ერთ დღეს გაწყდეს, ვიდრე მან თფილისი დაჰკარგოს. ტერიტორიალური ავტონომია უთფილისოდ — ეს იქნებოდა ქართველების უდიდესი შეურაცხყოფა, საცინად აგდება, პამპულათ გამოყვანა.

თბილისში ერთი ქართველიც რომ არ იყოს, მაინც ქართველების არის თფილისი, სხვისი არავისი.

თფილისი ჩვენთვის აღთქმის ქვეყანაა, ჩვენი სიწმინდეა, ჩვენი სულიერი განძია; თფილისი ჩვენს სულშია, ჩვენს არსებაში ჩაქსოვილი ისე მჭიდროთ, რომ მისი ამოშლა, მისი ამოგლეჯა ყოვლად შეუძლებელია; თფილისი ჩვენი ისტორია, ჩვენი მომავალია; თფილისი ჩვენი ბედია, ჩვენი სიყვარული, ჩვენი სიხარული, ჩვენი იმედი, ჩვენი ოცნება.

სხვისთვის კი რა არის თფილისი?

სიმდიდრე, ფული, — მეტი არაფერი!

თფილისთან ჩვენ აგურები კი არ გვაკავშირებს, — თფილისთან ჩვენ გვაკავშირებს ჩვენი გული, ჩვენი ქართველობა, მთელი ჩვენი ისტორია“.

ივანე გომართელის განსახილველ ამ პატარა წიგნში ასევე სახელმწიფო ენის საკითხია წამოჭრილი. მისი აზრით, საქართველოს ავტონომიაში სახელმწიფო ენად ქართული ენა უნდა ყოფილიყო, და ეს იმიტომ: „ქართული ენა რომ სრულებით თავისუფალი იყოს, ქართულ ენას რომ უცხო ენა ველარ უწევდეს კონკურენციას, ქიშპობას, ქართული ენა რომ არ იჩაგრებოდეს, ქართულ ენაზე რომ უზრუნველყოფილი იქნეს მუშა-ხალხის სწავლა და განვითარება".

წიგნში განხილულია საქართველოში ეროვნული საკითხი, ერებს შორის ურთიერთობა. ავტორს მაგალითად მოჰყავს სომეხი დემოკრატიის გადახრა სომეხი ბურჟუაზიისაკენ, მაშინ, როდესაც ეს ბურჟუაზია მისთვის არაფერს აკეთებს, ქართველ დემოკრატიასთან კავშირზე მეტად, სომხებს მაინც გული მისკენ მიუწევთ. სომეხსა და ქართველ ბურჟუაზიას შორის ეკონომიკურ საკითხში დაპირისპირება ხშირად ეროვნული მტრობის ხასიათს იღებდა. ამის შემდეგ გომართელის მსჯელობა არის სოციალისტური; მისი აზრით, კლასობრივი ბრძოლა უნდა გამოცალკევებოდა ეროვნულს და უპირატესობა მისცემოდა.

„ავტონომიური საქართველო ყველასთვის დედა იქნება და არა დედინაცვალი", — წერდა გომართელი. განსაკუთრებით ებრაელებს გამოჰყოფდა, ჩვენსა და მათ შორის არ შეიძლება რამე სადავო იყოს, ტრადიციულად ისე მოვდივართო. „ჩვენი დემოკრატია ისეთს ურთიერთობას დაამყარებს ჩვენში, რომ სრული უფლება გვექნება ვიამაყოთ ჩვენი სამშობლოთი, სხვა ერებს კი სრული საშუალება მიეცემათ, შეიყვარონ ის, როგორც თავიანთი სამშობლო".

განუმარტავდა რა ხალხს, ავტონომიისა და დემოკრატიული წყობის სიკეთეს, ივანე გომართელი ასევე ავტონომიის სხვადასხვა სახეებს გამოჰყოფდა:

1. ეროვნულ-ტერიტორიალური ანუ ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომია ნიშნავს იმას, როდესაც ერთ რომელიმე ერს საკუთარ სამშობლოში ანუ მიწა-წყალზე საკუთარი ავტონომია აქვს;

2. ნაციონალურ-პოლიტიკურ ავტონომიას — ეს იგივეა, რაც პირველი;

3. კულტურული, ნაციონალურ-კულტურული ანუ ექსტრატერიტორიალური ავტონომია, რომელიც ეძლევა ისეთ ერს, რომელსაც საკუთარი სამშობლო არ გააჩნია. დასაშვებად თვლიდა, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსებსა და სომხებს მიეღოთ კულტურული ავტონომია, ასევე შერეული ავტონომია შექმნილიყო ბორჩალოს მაზრაში, სადაც ერთმანეთში იყო არეული სომხური, აზერბაიჯანული და ქართული მოსახლეობა.

ამ თვალსაზრისთა რევიზია, დღეს, რა თქმა უნდა, ძნელი არაა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ის გამოიხატებოდა, ჯერ კიდევ ცარიზმის ბორკილების ქვეშ მყოფ საქართველოში, როდესაც დაეცა მონარქიული რეჟიმი, მაგრამ ახალი, პროგრესული გზა რუსეთში შემავალ ხალხთა მოწყობისა არ ჩანდა, ივანე გომართელის შეხედულებები იყო პროგრესული და ამაღლებული საკუთარ პარტიულ პროგრამაზე.

ივანე გომართელი რომ სოციალისტური იდეოლოგიის ერთგული იყო ადრიდანვე, ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ იგი ბეჭდავდა იმ პრესაში, რომელსაც ეს მიმართულება ჰქონდა, ან თანაუგრძნობდნენ სოციალისტურ პარტიებს. ეს იყო „კვალი", „ჯეჯილი". თუმცა აქ პიროვნული ფაქტორიც შეიძლება ყოფილიყო: მას ხომ გიორგი ნერეთელთან და ანასტასია თუმანიშვილთან ძველი ნაცნობობა აკავშირებდა, მაგრამ იდეოლოგიაც, ალბათ, გარკვეულ როლს თამაშობდა.

სოციალისტურ-მარქსისტული იდეები ჩანს მის ადრინდელ, 1906 წელს გამოცემულ წიგნში — „ეროვნული საკითხი".[16]

იგი ისტორიული ექსკურსით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეროვნული საკითხი ახლოს იყო არისტოკრატიასთან, თუმცა არისტოკრატიისთვის ეს იდეა ფრიად ხელსაყრელი იყო და ამიტომ იცავდა მას: როდესაც მტერი ადგილობრივ ერს დაამარცხებდა, ადგილობრივი მმართველების ადგილს მტერი იჭერდა და დატყვევებულ არისტოკრატიას ან ხო-

ცავდა, ან იმონებდა. ამიტომ ეროვნული ინტერესის დაცვა არისტოკრატიისთვის ნიშნავდა საკუთარი ინტერესების, საკუთარი არსებობის დაცვას. და თუ ომიანობის დროს ნაციონალიზმის სახელით ის თავგამოდებით იცავდა თავის თავს და თავის თავთან ერთად მთელ ერსაც, ამას იმიტომ კი არ ჩადიოდა, რომ მთელი ერისათვის გული შეტკიოდა, არამედ იმიტომ, რომ ამას საკუთარი სვე-ბედი ითხოვდა: ან თავგამოდებული დაცვა ეროვნებისა, ან სამარცხვინო სიკვდილი და მონობა, აი, როგორი არჩევანი ედვა წინ ყოველი დროისა და ყოველი ერის არისტოკრატიას".[17]

სოციალიზმის ერთგული გომართელი აკრიტიკებდა ეროვნულ არისტოკრატიას, მას ბრალს დებდა პირადი მიზნების ერთგულებაში, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მხარდაჭერაში საკუთარი თავის კეთილდღეობისათვის, მთელი ერის კეთილდღეობის უგულვებელყოფაში, ნიჰილიზმსა და უსაქმურობაში. ე. წ. „არისტოკრატიული ნაციონალიზმის" დამამარცხებელ ძალად მას მიაჩნდა „პროლეტარული ნაციონალიზმი". მისი აზრით, თუ ევროპულმა ბურჟუაზიამ გააერთიანა ერები და ქვეყნები განამტკიცა, ქართულმა ბურჟუაზიამ ვერ შეასრულა ეს მისია, რადგან ხალხის ძარცვა-გლეჯა დაიწყო. მან მიაგნო, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოააშკარავა ამის მიზეზი: ჩვენში ბურჟუაზია ხომ ძირითადად არაქართული იყო, ქართული ინტერესი, მით უმეტეს, ეროვნული საკითხების გადაწყვეტა, მას არც სურდა და არც შეეძლო. ქართული ბურჟუაზია გვიან გამოვიდა ასპარეზზე, ქართველი ერის გაერთიანება კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, შინაურმა ბაზარმა შექმნა.

„ევროპის ბურჟუაზიასთან შედარებით, ჩვენს ბურჟუაზიას არავითარი ეროვნული შრომა არ დასჭირებია. ევროპის ბურჟუაზიამ ჯერ გააერთიანა თავ-თავისი ერები, შემდეგ შეუდგა მათ გაყვლეფას, და როცა თავისი ერი აღარ ეყო, სხვებს წაეპოტინა..."

მისი აზრით, ერთმანეთს ებრძოდა საქართველოში არსებული არისტოკრატიული, ბურჟუაზიული და პროლეტარული ნაციონალიზმი.

მთლიანად სოციალისტურ, არასწორ მსჯელობად ჩანს ივანე გომართელის ამდროინდელი შეხედულება, თუმცა, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ დროს ეროვნული იდეოლოგია ბოლომდე დახვეწილი არ ყოფილა, რუსეთის კოლონიური უღლისაგან თავდახსნის აუცილებლობის გზების ძიება არცთუ ისე რეალური ჩანდა. ეს პირველი რევოლუციის წლები იყო და ბოლომდე რადიკალური, რაც არ უნდა არასოციალისტური ყოფილიყო გომართელის შეხედულებანი, მაინც ვერ იქნებოდა ეროვნულ საკითხში. ამიტომ არის მისი შეხედულება ამგვარად ფრთხილიც და გაბედულიც; საამისოდ ხსენებული წიგნის ბოლო სტრიქონებიც გამოდგება:

„ეროვნული მოსპობა არის ორგვარი: ბუნებრივი და ძალმომრეობითი, მე მწამს,რომ სოციალიზმის დროს სხვადასხვა ერების რიცხვი შემცირდება, შემცირდება ენების რიცხვიც, ხოლო ეს მოხდება თავისთავად, ბუნებრივი კანონების, ბუნებრივი განვითარების ზეგავლენით. ხოლო, როდესაც დამონებულ ერში დევნიან ყოველივე ეროვნულს, ამას ჰქვია ძალმომრეობითი გადაგვარება. ამგვარ ძალდატანებით გადაგვარებას პროლეტარიატი მთელი თავისი არსებით უნდა ებრძოდეს, ეწინააღმდეგებოდეს, რადგან ამას არც ერთი გაყვლეფილისა და ხალხის უმრავლესობის ინტერესი არ მოითხოვს, არამედ მოითხოვს მხოლოდ გაბატონებული ერის ბურჟუაზიის, არისტოკრატიისა და მათი მთავრობის ინტერესები. ყოველი მომხრე ერის გადაგვარებისა ამ ერის უმრავლესობის მტერია და დამცველია გაბატონებული მთავრობის ინტერესებისა. აქედან ნურავინ ნუ გამოიყვანს კერძოდ იმ დასკვნას, ვითომ მე ვურჩევდე ჩვენს მუშა ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას დღევანდელ პირობებში, — ამგვარი ბრძოლა დღეს ჩვენი დაღუპვა იქნება ყოველმხრივ. ქართველმა მუშა ხალხმა უნდა შეუფარდოს, შეუთანხმოს თავისი მოქმედება რუსეთის პროლეტარიატის მოქმედებას. ქართველმა მუშამ და გლეხმა რუსის მუშასა და გლეხთან ერთად უნდა იბრძოლოს საერთო მტრის დასამხობად და საერთო კეთილდღეობის მოსაპოვებლად,

მაგრამ ქართველ პროლეტარიატს უნდა ახსოვდეს მუდამ, რომ ის ვალდებულია წინ აღუდგეს და შეებრძოლოს თავის ეროვნულ დევნას მთავრობის მხრით და იმგვარად მოაწყოს თავისი ერის შინაური ცხოვრება, რომ ქართველი ერის ბუნებრივი განვითარება უზრუნველყოფილი იყოს.

სოციალიზმის დიად სამეფოში ქართველი ერი თავისი საკუთარი სახით უნდა წარსდგეს და ჩვენი პროლეტარიატი სოციალიზმის სამფლობელოში უნდა შევიდეს, როგორც საერთაშორისო პროლეტარული პარტიის ქართველი წევრი".[18]

ეს ერთგვარი სოციალისტური აპოლოგია, კლასობრივი იდეოლოგია და პოლიტიკური ფუტურიზმი იყო, რასაც ცხოვრება ვერ აქცევდა რეალურ სინამდვილედ.

XX საუკუნის 10-იან წლებში ივანე გომართელის პოლიტიკურმა შეხედულებებმა ერთგვარი ცვლილება განიცადა. ეროვნული საკითხის გადაჭრის სურვილი მის სოციალისტურ აზროვნებას თავისებურს ხდიდა, გამოარჩევდა სოციალ-დემოკრატი თანაპარტიელებისაგან. განსაკუთრებით ეს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სათათბირო ორგანოში მოღვაწეობისას გამოავლინა. მისი, როგორც დამფუძნებელი კრების დეპუტატის გამოსვლები, ყოველთვის საინტერესო და ღრმაშინაარსიანი იყო. ეხებოდა რა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს, განათლების, რელიგიის, ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს მდგომარეობას, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს თუ სხვა თემებს, ივანე გომართელი ყოველთვის შემართული, პრინციპული და საკუთარი პოზიციის ბოლომდე დამცველი იყო.

მკაცრი იყო ივანე გომართელის გამოსვლა საქართველოს პარლამენტში 1918 წლის 26 ოქტომბრის სხდომაზე, პარლამენტი ამ დღეს სომხეთის ანტიქართული გამოსვლების, საქართველოს სასაზღვრო რაიონში მომხდარი სამხედრო ინციდენტების შესახებ მსჯელობდა. სიტყვები წარმოთქვეს მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა — ნოე რამიშვილმა, სამხედრო მინისტრმა გრიგოლ გიორგაძემ, სოციალ-დე-

მოკრატმა რაჟდენ არსენიძემ, სოციალისტ-ფედერალისტმა შალვა ნუცუბიძემ, ეროვნულ-დემოკრატებმა — გიორგი გვაზავამ და გრიგოლ ვეშაპელმა და დაშნაკ-ცუტუნმა დეპუტატმა —ტერ-ავეტისიანცმა. სწორედ მისი გულისწყრომა დაიმსახურა ივანე გომართელმა, რომელმაც პირდაპირ ამ პარტიას დასდო ბრალი საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებაში. „თქვენ კარგად იცით, რომ სომხეთის პოლიტიკას აწარმოებს „დაშნაკცუტუნი", — თქვა მან. — ჩვენ ბევრი საბუთი გვქონდა გაგვეგო, თუ როგორგ იყო განწყობილი ეს პარტია ჩვენდამი და ეხლა მან თავისი ნამდვილი სახე გვაჩვენა. მე მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ მეხერხება და გულწრფელად უნდა მოგახენოთ, საქართველოს ბევრი მტერი ჰყავდა, მათ შორის პარტია დანშნაკ-ცუტუნს სხვაზედ ნაკლები ადგილი არ უკავია, თქვენის ნოტებით თქვენ მიმართავთ სომხების დემოკრატიას, მაგრამ ნამდვილად კი საქმე გვაქვს „დაშნაკცუტუნთან". სომხის და ქართველი ერის დემოკრატიის შესახებ ჩვენ შეგვეძლო პოეტის სიტყვები გვეთქვა: „ერთს ბედს ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ", მაგრამ ჩვენს შორის ყოველთვის მართული იყო „დაშნაკცუტუნი".და მათ საკმაო გონიერებაც შესწევთ!..

როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, როგორ შეხვდა მას ეს პარტია?

თქვენ გახსოვთ წერილები ამ პარტიის პრესაში, მიმართული ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ"... აქ დაშნაკმა დეპუტატმა წამოიძახა, რომ ეს პროვოკაცია იყო, რაფიელ ინგილომ კი სომხური გაზეთები „აშხატავორი" და „ორიზონი" დაასახელა ადგილიდან. ივანე გომართელმა საუბარი გააგრძელა და „დაშნაკცუტუნის" მოღვაწეობა საქართველოში ორპირობად შეაფასა, რადგან, ისინი თითქოს მხარს უჭერდნენ საქართველოს პარლამენტში ქართულ პოლიტიკას, სინამდვილეში კი, პარტიის ლიდერები ერევნიდან იარაღს უმიზნებდნენ დამოუკიდებელ მეზობელს. „მე მირჩევნია მტერი პირდაპირი, მაგრამ ეს „დაშნაკცუტუნს" არ სჩვევია",

— ამბობდა გომართელი, ის საქართველოში მცხოვრები სომხებისაგან ითხოვდა პასუხს.[19]

სომეხმა დეპუტატებმა არ მიიღეს გომართელის გამოსვლა, ტერ-ავეტისიანცის თქმით, ეს ტყუილი იყო, დაშნაკცუტუნის პარტია არაფერ შუაში იყო, პროვოკაციები სომხური ინტელიგენციის ერთ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთაც არავითარი გავლენა არ აქვთ სომეხ ხალხშიო. „მე უნდა განვაცხადო, — თქვა მან გამოსვლის ბოლოს, — რომ სომხების ეროვნული საბჭო თბილისში დღე და ღამ ჰთათბირობს, რომ მთელი თავისი ძალ-ღონით დაეხმაროს თქვენს მთავრობას აქ, და ჩვენსას ერევანში"-ო, რამაც სიცილი გამოიწვია. ხმებიც გაისმა: მაშ, თქვენი მთავრობა ერევანშია?" ცხადი იყო, რომ საქართველოს პარლამენტის სომეხი დეპუტატები, საქართველოს მოქალაქენი სომხურ ინტერესებს ემსახურებოდნენ და არა ქართულს. ივანე გომართელი ამ ინტერესებზე საუბრობდა და მთავრობას გადამწყვეტი ზომების მიღებას ურჩევდა. მთავრობა ამ რჩევებს არ იღებდა, რადგან დემოკრატიულ პრინციპებს ერთგულებდა და ომისთვის მზადებას ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ თვლიდა. ამასობაში კი სომხები თავიანთ მხარდამჭერ რუსეთთან ერთად ემზადებოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ომისათვის.

ივანე გომართელს სოციალიზმი და მარქსიზმი მხოლოდ ხალხის ინტერესებისათვის საჭირო იდეოლოგიად, სოციალური კეთილდღეობის საფუძვლად მიაჩნდა. მართალია, მისი პოლიტიკური აზროვნება, მით უმეტეს დღევანდელი გადასახედიდან, ხშირად ვერ უძლებს კრიტიკას, მაგრამ, როდესაც მის პუბლიკაციებს ეცნობი, გრძნობ, ავტორი არ წყალობს თეორეტიკოსობას და პათეტიზმს, არამედ გულწრფელობასა და რწმენას. მას უხაროდა დამოუკიდებლობის მოპოვება, ხედავდა რუსული სოციალიზმის — ბოლშევიზმის საშინელ შედეგებს, საქართველოში კი ყველაფერი უფრო მშვიდად მიმდინარეობდა. მართალია, აქაც იყო იდეოლოგიური ავანტიურა, პარტიული და არა პირადი ღირსების ნიშნით კადრების შერჩევა, იყო მთელი რიგი შეცდომები, რომელთა

საფუძველს ხან ხელმძღვანელ პირთა დაბალი განათლება და პოლიტიკური მოუმზადებლობა განაპირობებდა, ხანაც ათასგვარი პროვოკაცია, მაგრამ ქვეყანა მაინც ინარჩუნებდა სიმტკიცეს, ებრძოდა გარეშე და შინაურ მტრებს. ქვეყანაში მრავლად იყვნენ შემოსული ბოლშევიკებისა და დენიკინელების აგენტები, ანტიქართული განწყობის სხვა ძალები, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართული სახელმწიფოს განმტკიცება არ სურდათ.

წერილში — „ჩვენი მდგომარეობა", ივანე გომართელი აანალიზებდა შექმნილ ვითარებას, ქართულ სოციალ-დემოკრატიას, მის ბელადებს გაწეული მუშაობისა და არჩეული პოლიტიკური გზისათვის აქებდა, ადარებდა მათ რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებს, „ჭეშმარიტი მარქსიზმის გზა" მისთვის უმაღლესი შეფასების კრიტერიუმი იყო. მისი აზრით, საქართველომ ორ ფრონტზე გაიმარჯვა: საერთაშორისო ფრონტზე, რადგან არ გამოეყო დემოკრატიას არც რუსეთისას და არც შეთანხმების ქვეყნებისას და საშინაო ფრონტზე, როდესაც საერთო ენა გამონახა ყველა პარტიასთან, ვისაც რევოლუციის გამოკვება სურდა; ბოლშევიზმი ორივე ფრონტზე დამარცხდა, ქართველი სოციალ-დემოკრატების მსგავსად, ბოლშევიკი სოციალისტები ვერ გაჰყვნენ „ჭეშმარიტი მარქსიზმის გზას", ვერ გახდნენ ნიჭიერი სარდლები. მათ ბოლშევიკური გადატრიალებით მოიპოვეს ხელისუფლება, რაც ტერორს და შურისძიებას დაუკავშირდა, ქართველი სოციალ-დემოკრატები კი, გომართელის აზრით, პრაგმატისტები აღმოჩნდნენ. მათ მიერ აღებულ პოლიტიკურ გეზს სწორად მიიჩნევდა პუბლიცისტი, ბოლშევიკებთან სრული იდეოლოგიური თანხმობისა და რუსეთში მათი გამარჯვების გამო, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა უკან დაიხიეს და ამიერკავკასიის ხაზზე გამაგრდნენ, — წერდა იგი. აქ საჭირო იყო სამი ერის — ქართველთა, სომეხთა, და აზერბაიჯანელების შეკავშირება, „შეთანხმებული პოლიტიკის წარმოება ამ სამ ერში არ გამოვიდა, თუმცა ჩვენი ბელადები, როგორც სწორი, საღი პოლიტიკის გამტარებლები და პასუხისმგე-

ბელნი ისტორიის წინაშე" ეცადნენ ამას. „ყველა საშუალება ამოწურეს რევოლუციის გადასარჩენად". „პოლიტიკოსი ვერ უარყოფს ვერცერთ საშუალებას, — წერდა გომართელი, — რომელიც იძლევა სულ მცირედ იმედსაც კი გამარჯვებისას. საქართველოში ძლიერია დემოკრატია და ის უმთავრესად მისდევს სოციალ-დემოკრატიას. თათრებში ძლიერია ბეგები და სამღვდელოება, რომელთა სულისკვეთების გამომხატველია მუსავატის პარტია. სომხებში უპირველეს როლს თამაშობს ბურჟუაზია და სამღვდელოება, რომელთა მეთაურია დაშნაკ-ცუტიუნის პარტია. დემოკრატიამ, ბეგებმა, სამღვდელოებამ და ბურჟუაზიამ რომ ერთნაირი პოლიტიკა აწარმოონ, ეს ყოვლად შეუძლებელი რამ არის. ამიტომ ამიერკავკასიის ხაზი მეტად სუსტი გამოდგა. თუ სოციალ-დემოკრატია მთელ თავის ძალას ხარჯავდა ამ ხაზის გასამაგრებლად, მუსავატი და დაშნაკცუტიუნი მთელ თავის ღონეს ამ ხაზის მოშლას ანდომებდა, ჩვენი პარტია იძულებული გახდა დაეხია მესამე და უკანასკნელ ხაზზე, ეს ხაზია საქართველოს გარშემო".

თუ გომართელს დავუჯერებთ, საქართველოსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს უნდა გადაერჩინათ და გადაარჩინეს კიდეც რუსეთში დამარცხებული მსოფლიო რევოლუცია, და ეს მოხდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა „სიბრძნის" წყალობით. მსოფლიო რევოლუციას რომ რუსეთში გაემარჯვნა, ამით რას მოიპოვებდა საქართველო, ეს არ ჩანს გომართელის თეორიულ-იდეოლოგიურ ნაწერებში, მაგრამ ის კი ჩანს, მისი განსაკუთრებული ქება რატომ ეხება სოციალ-დემოკრატთა ქართველ ლიდერებს, თუმცა ეს „მსხვერპლია", მაგრამ გომართელი ამ „მსხვერპლს" დიდებულსა და მსოფლიო მნიშვნელობის მქონეს უწოდებს. „სწორედ აქ გამოიჩინა ჩვენმა პარტიამ უდიდესი სიბრძნე, როგორც კი ოდესმე გამოუჩენია რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. სწორედ აქ გაიღო ჩვენმა პარტიამ უდიდესი მსხვერპლი, რომელზე მეტი მსხვერპლის გაღება არ შეუძლია არც ერთ პარტიას, ერის ინტერესი, არა მარტო ერისა, არამედ მთელი

საქართველოს ინტერესი — პარტიის ინტერესებზე მაღლა დააყენა სრულის თავის შეგნებითა და პასუხისმგებლობით. და ამით საქართველო გადაარჩინა ქონებრივ, ზნეობრივსა და სულიერ განადგურებას, პარტია კი უფრო აამაღლა"...

„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი უდიდესი აქტია საქართველოს ისტორიაში", — ამბობდა პუბლიცისტი.

ამ აქტით, საქართველომ თავისი სოციალ-დემოკრატია, სოციალ-დემოკრატიამ კი თავისი სამშობლო იპოვაო, — ამ ხატოვნად ნათქვამშიც კარგად ჩანს სოციალ-დემოკრატთა ფერიცვალება ინტერნაციონალიზმიდან — ნაციონალიზმამდე, კოსმოპოლიტიზმიდან — ეროვნულ ინტერესებამდე. „აშკარა შეიქმნა, რომ გზა ინტერნაციონალიზმისაკენ ნაციონალიზმზე მიდის", — ირწმუნებოდა გომართელი. ნაციონალიზმზე გადავლილი გზით მოპოვებული ინტერნაციონალიზმიც არ დავიწყებია და მას საქართველოს ისტორიული და ტრადიციული მრავალეროვნული სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკაში ხედავდა, ქართველი ერის ტოლერანტობასა და სხვა ერებისადმი პატივისცემის წესსა და ადათში მოიაზრებდა.

გომართელი მიიჩნევდა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებას ალბათ ბევრი პოლიტიკური ძალა მოახერხებდა, იმას კი, რაც მისმა პარტიამ — სოციალ-დემოკრატიამ გააკეთა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, საშინაო და საგარეო მტრების დასათრგუნავად, ვერც ერთი ვერ შეძლებდა. დამოუკიდებლობა დაიბადა რევოლუციის შემდეგ, რევოლუცია ადვილად ანგრევს დასანგრევს, ასაშენებელს კი ძნელად აშენებს. დამოუკიდებლობის მოპოვება, გარდა რევოლუციისა, ომის პირობებშიც მოხდა, რომელიც სრულ არევ-დარევას იწვევს მსოფლიოს ხალხთა და ქვეყნების ცხოვრებაში, გომართელის აზრით, ეს ორი მომენტი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მის მშვიდობიან მშენებლობას უმძიმეს მემკვიდრეობად ხვდა და ძალზე გააძნელა მისი შემდგომი ცხოვრება.

ურთულეს პირობებში ქვეყნის სათავეში მოსვლას გომართელი გმირობად უთვლიდა თანაპარტიელ ლიდერებს,

იმ კრიტიკას კი, რომელსაც ხშირად იყენებდნენ მთავრობის ოპოზიციური პარტიები და მათი პრესა, გომართელი სრული დარწმუნებით პასუხობდა: „შეცდომებიო, — გაიგონებთ ზოგჯერ აქეთ-იქიდან. შეცდომები კი არ არის გასაკვირველი, ასეთ დროს ღმერთიც კი შეცდება, — გასაოცარი ის არის, რომ ჩვენი პარტია არ დაიღუპა და თან არ ჩაიტანა ჩვენი ქვეყანაც. ზერელედ მოაზროვნე პირებისაგან ხშირად გაიგონებთ: ღმერთი გვწყალობს, სხვანაირ ბედზე ვართ დაბადებულიო. ჩვენი გადარჩენა იმათ სასწაულად მიაჩნიათ. ხოლო პირუთვნელი მკვლევარი იტყვის, რომ ეს სასწაული მოახდინა ჩვენი პარტიის სწორმა პოლიტიკამ".

„ჩვენი პარტიისა და მისი ბელადების თავგანწირული მუშაობის წყალობით დღეს ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი დემოკრატიული რესპუბლიკაა ვეებერთელა რუსეთის ნანგრევებზე". ამისათვის ქუდები მოიხადეთ ჩვენი ბელადების წინაშეო, — შესძახებდა ზოგჯერ და იმ პარტიისა თუ მისგან შექებული მეთაურების სიმდიდრედ მიაჩნდა ზნეობრივი ძალა — ეს იყო ძალა, რომლითაც ქართველმა ხალხმა ევროპას აჩვენა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ღირსი რომ იყო, რომ შეეძლო შინაური მშვიდობითა და წესრიგით, მეზობელ ერებთან სოლიდარობით და თანხმობით, ევროპასთან კავშირით განემტკიცებინა თავისი სახელმწიფო.

გომართელი გამოჰყოფდა საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებიდან იმ აქტებს, რომელთაც ყველაზე ჭკვიანურად და გაბედულად მიიჩნევდა: ნეიტრალიტეტის გამოცხადება, რითაც მსოფლიოს აჩვენა საქართველომ თავისი მშვიდობიანი ხასიათი, რასაც ომისშემდგომ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდაო; პარლამენტარიზმი, რაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი წარმატებული ფორმაა, ასევე მათი დიპლომატიური ნიჭი და დემოკრატიული პრინციპები. ივანე გომართელი მიიჩნევდა, რომ საქართველო გამოვიდა ანარქიის, ომის, შინა და გარე აშლილობის ზვირთებიდან და მისი გემი წარმატებულად მიცურავდა საუკეთესო მომავლისაკენ, პუბლიცისტს

სწამდა, რომ იგი მაგალითი შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო ახლო მეზობლების, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც კი.[20]

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ავტორიტეტს ის მარტო პუბლიცისტიკაში კი არა, პრაქტიკულადაც ნერგავდა ამდროინდელ საზოგადოებაში. გლეხებთან საუბარში ის მოხერხებულად იყენებდა თავის დიდ ცოდნასა და განათლებას, პარტიულ რწმენასა და სოფლის მცხოვრებთა ინტერესებთან სიახლოვეს, უხსნიდა მათ მთავრობის, მმართველი პარტიის წარმატებათა საიდუმლოებას, არწმუნებდა იმაში, რომ მათ მომავალი აუცილებლად ამ ძალების გამარჯვებას უკავშირდებოდა.

„დღეს ისეთი დრო არის, რომ ბევრი მოდის თქვენთან ლამაზი სიტყვებით: მე ვარ, რაცა ვარ, თორემ სხვები, აი, სოციალ-დემოკრატიაც, თქვენ გატყუებენო. მე მომეცით კენჭი, მე ამირჩიეთ და ყელამდე აგავსებთ სიკეთითო.

ამიტომ მე მინდა გადაგიშალოთ თვალწინ სოციალ-დემოკრატიის საქმიანობა და მერე სინდისის ქვეშ თქვით: გააკეთა თუ არა ამ პარტიამ თქვენთვის, გლეხებისთვის, დიდი და საშვილიშვილო საქმე“.

„ძველი ცხოვრება დაინგრა, მოისპო სამუდამოდ, ახალი შენდება და ამ დროს გაისმის წუწუნი: ეჰ, ძველი დრო ჯობდა, მიტკალი იაფი იყო, ჩითი იაფი, საპონი იაფი, სულ იაფი და იაფი!

ის კი ავიწყდებათ, რომ ციხეც იაფი იყო მაშინ, მათრახებიც და მუშტებიც.

და ყოველივე ეს, იცით, ვისთვის იყო იაფი? თქვენთვის — გლეხებისათვის. რა მოგიტანათ თქვენ ახალმა დრომ? განა მარტო სიძვირე?

თქვენ ისეთი რამ მიიღეთ, რომ მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველიც რომ დადიოდეთ, მაინც სულ უნდა იმღერდეთ და ქუდებს მაღლა ისროდეთ.

ერთი ასეთი განძი არის წოდებათა გაუქმება!.. მერე არ იკითხავთ, ვინ აღადგინა თქვენი ღირსება, ვინ გააუქმა წო-

დებები, ვინ მოგაცილათ თქვენ გლეხის სახელი და დასწერა: დღეიდან გლეხი და თავადი სწორი არიან და მოქალაქეებად იწოდებიანო?

ვინ და სოციალ-დემოკრატიამ"...

გომართელის აზრით, არც ერთი სხვა პარტია არ გააუქმებდა წოდებებს, არც ერთი არ წაართმევდა მიწას თავადაზნაურობას და არ მისცემდა გლეხებს. იგი არწმუნებდა მათ, რომ მხოლოდ ამ პარტიამ მისცა საარჩევნო უფლება, შესაძლებლობა, რომ ის აერჩიათ ხელისუფლებაში, ვისაც თავად ენდობოდნენ. ამიტომ უნდა ესარგებლა გლეხობას ამ დიდი უფლებით, მიეღო არჩევნებში მონაწილეობა და ისინი აერჩია, ვინც მის ინტერესებს უკვე კარგა ხანია იცავდა. გომართელი ახსენებდა ასევე ხალხს იმ საშინელებას, რაც თურქეთის ფრონტზე დამარცხებული, რუსული ბოლშევიკური ჯარის საქართველოში შემოსვლას მოჰყვებოდა: „მერე არ იკითხავთ, ვინ აგაცილათ თავიდან ეს საშინელება? ვინა და სოციალ-დემოკრატიამ", — პასუხობდა თავადვე და მხატვრული დამაჯერებლობით უხატავდა მათ იმ უმკაცრეს სურათს, რაც ბოლშევიკთა ჯარის შემოსევით დაიხატებოდა. ასევე ახსენებდა სოციალ-დემოკრატთა თავგანწირვას ოსმალეთის აგრესიის დროს, ქართული მიწების ანექსიას, რაც სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით ასევე იქნა თავიდან აცილებული. „ოსმალების შემოსევა რომ დროზე არ შეეჩერებინათ, თქვენს ბელელსა და სასიმინდეში თაგვიც კი შიმშილით მოკვდებოდა. მერედა ვინ შეაჩერა ოსმალების შემოსევა? ვინა და სოციალ-დემოკრატიამ".

„თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ჩვენი ქვეყანა ნაწილი იყო დიდი რუსეთის. ერთი მითხარით, რა იქნებოდა დღეს ჩვენში, რომ ისევ რუსეთის ნაწილი ვიყოთ? რა იქნებოდა და ის, რაც დღეს რუსეთშია. თქვენ ალბათ არ იცით და არც გაგიგონიათ, რა ამბავია დღეს რუსეთში. მე კიდეც ვიცი და კიდეც გამიგონია, რუსეთში დღეს ცხოვრება კი არ არის, ნამდვილი ჯოჯოხეთია, ცარცვა-გლეჯა, ხოცვა-ჟლეტა. ყაჩაღებს, მტაცებლებს, ქურდებს, დამრბევებს და ყველა

თავზეხელაღებულებს დარჩათ იქ ბურთი და მოედანი და, რაც უნდათ, იმას სჩადიან. დღეს რუსეთში არსად არ არსებობს მშვიდობიანი, გულდამშვიდებული ცხოვრება, გარეთ რომ გამოვლენ, არ იციან, ცოცხალი დაბრუნდებიან თუ არა შინ.

თქვენ რომ რუსეთის ნაწილი იყოთ, აი, ამისთანა გატანჯული, ჯოჯოხეთური ცხოვრება დაგემუქრებათ"... ეს უბედურებაც სოციალ-დემოკრატებმა აგაცილათ, იმიტომ გამოეყო რუსეთს, რომ დროზე დაინახა გაბოლშევიკებული ქვეყნის საშინელება, მათთან ყოფნის შეუძლებლობა. მაშინაც ხომ იყვნენ ისეთები, რომლებიც რუსეთთან გამოყოფის წინააღმდეგნი იყვნენ, ჩვენს ქვეყანაშიც ხომ არსებობდნენ ბოლშევიკური ძალები, რომლებიც დღესაც იბრძვიან და დღესაც საქართველოს მტრობენ ჩვენი პარტიის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯისთვის. მთელს რუსეთში დღეს გლეხები თქვენსავით არსად ცხოვრობენ, თქვენ გიცავთ ჯარი, გვარდია, რესპუბლიკის მტრებს პასუხს ცემს სოციალ-დემოკრატიის მიერ შექმნილი თავდაცვის ძლიერი ორგანოები, ირწმუნეთ მისი, მიეცით ხმა, მისი გამარჯვება თქვენი გამარჯვებაც იქნებაო, — ამბობდა გომართელი.[21]

მთელი მისი აგიტაცია, ურწმუნო თომას გახსენებით, იყო მეთოდი, რომელიც გლეხებს ჩააგონებდა: მართალია თქვენც ურწმუნო თომები ხართ, მაგრამ საქმეს რომ ნახავთ, ირწმუნებთო. მართალია, ამ შეგონებაში დიდი მკრეხელობაც იყო, რადგან სოციალ-დემოკრატია უძლეველ ძალად, თვით ქრისტეს სიმბოლოდ მოიაზრებოდა, მაგრამ ამას ამართლებდა ათეისტი პროპაგანდისტის უცოდველი მიზანი: მას თავადაც სწამდა მისი ქვეყნის დღევანდელობის, მმართველი პოლიტიკური ძალის, სამშობლოს მომავლის და გლეხების მოხერხებული დარწმუნებით დიდი საქმის გაკეთებას ვარაუდობდა: არ უნდა შეჩერებულიყო ეს წინსვლა, არ უნდა გაწყვეტილიყო აღებული გეზი, ქვეყანას სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესაჭეთა მიერ სვლა უნდა გაეგრძელებინა ბრწყინვალე მომავლისაკენ. გომართელის ორატორობას ეს

აზრი მსჭვალავდა და ატკბილხმოვანებდა, მისი მსჯელობის ლოგიკასაც მთლიანად ეს კეთილშობილური მიზანი განსაზღვრავდა.

წერილში — „გლეხები და დამფუძნებელი კრება", — ის გლეხებს უხსნიდა არჩევნებში მონაწილეობის წესსა და მიზანს, არჩევნების და, კერძოდ, დამფუძნებელი კრების როლს ქვეყნის, მათ შორის გლეხობის ცხოვრებაში.

არჩევნების უფლება ჩვენმა ხელისუფლებამ ყველას მისცა, თქვენს მტრებსაც კი, მაგრამ ეს თქვენთვის კარგიცაა, რადგან ისინი ვეღარ იწუწუნებენ, რომ დაიჩაგრებიან, ისინიც მიიღებენ მონაწილეობას თქვენთან ერთად არჩევნებში, მაგრამ დამარცხდებიან: „უმრავლესობას თქვენ წარმოადგენთ, დიდ უმრავლესობას და თქვენი დამარცხება კენჭით არავითარ მტერს არ შეუძლია, მაგრამ, იცით, რა არის ამისთვის საჭირო? სიფხიზლე და დიდი სიყვარული იმ საქმისა, რომელსაც ემსახურებით!" — არიგებდა ივანე გომართელი გლეხებს და ურჩევდა — ყველას მიეღო არჩევნებში მონაწილეობა, ამით დაამარცხებდნენ მტრებს, მათ, „ვისაც ძველი დროის დაბრუნება უნდა, ვისი მიზანიც მხოლოდ ის არის, რომ თქვენ ისევ გლეხებად დარჩეთ და მიწები და ყოველგვარი უფლება ისევ თავადებსა და მემამულეებს დაუბრუნდეს".

ბრძოლა წარმოებს კენჭებითო, — ამბობდა იგი და არ აკონკრეტებდა „მტრების" ვინაობას. თუმცა, თუ ამდროინდელ პოლიტიკურ ბრძოლებს გავითვალისწინებთ, ეს მოწინააღმდეგე პარტიები, — უფრო მეტად კი — ეროვნულ-დემოკრატები იყვნენ.

„მზე ჩაქრება და ეს პარტია კი არ დამარცხდება, — წერდა აღტყინებული პუბლიცისტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესახებ, — მაგრამ თქვენთვის მარტო გამარჯვება არ კმარა, საჭიროა ბრწყინვალე გამარჯვებაო. აგიტატორი, ორატორი და პუბლიცისტი არცერთ ხერხს არ იშურებდა გლეხობის თავის მხარეზე გადმოსაყვანად, „შხამის და გესლის მთესველნი მოისპნენ, არარაობდნენ, თქვენის სიკვდი-

ლის მსურველნი ყორნები ველარ ჩხაოდნენ!" — ხან ლექსის სტრიქონებს ესროდა მათ, ხანაც ზნეობრივი მოვალეობის გრძნობას ასეთი მრავალმნიშვნელოვანი შეგონებით უღვიძებდა: „სირცხვილი და სამარადისო შეჩვენება მას, ვინც ასეთ დროს არ შეასრულებს თავის წმინდა მოვალეობას და თავის ხმას დაჰკარგავს, ან სხვა პარტიას მისცემს!"[22]

ხალხის უბრალო ფენებში აღზრდილი და დიდი ავტორიტეტის მქონე ექიმის, პუბლიცისტის, მწერლისა და მოღვაწის ასეთი შთამბეჭდავი აგიტაცია, რა თქმა უნდა, მიზანს ყოველთვის აღწევდა. მთავრობამაც კარგად იცოდა ეს, ამიტომ იყენებდა მის ნიჭს, როდესაც პროპაგანდისტად გზავნიდა საარჩევნო უბნებში, განსაკუთრებით სოფლად. სამთავრობო გაზეთი „ერთობა"კი მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებსა თუ პუბლიცისტურ მიმართვებს ასე ხშირად ბეჭდავდა.

სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მოღვაწეობას იცავდა და სოციალიზმის იდეოლოგიას ექომაგებოდა ივანე გომართელი წერილით — „საქართველოს რესპუბლიკა და მისი მტრები".

ყველა ერის რეაქციონერებს აშინებთ რევოლუცია არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ სხვაგანაც, რისი მაგალითიც საფრანგეთი იყო, რომლის ბედი ეწია პატარა საქართველოსაცო, — ამტკიცებდა გომართელი. მხოლოდ აქ გაიმარჯვა რევოლუციამ და მტრებიც მას შეესივნენო. დემოკრატიის არსებობას საქართველოში ის დიდ მოვლენად თვლიდა და ამბობდა, რომ არცერთ მეზობელ ქვეყანაში მსგავსი არაფერი იყო. ამიტომ გახდა ამ ქვეყნების მიზანი ქართული დემოკრატიის დამარცხება. დემოკრატიის საფუძველი — რეფორმებია. ამ რეფორმებს უარყოფენ ჩვენი ნაციონალისტებიო, — ტკივილით წერდა გომართელი და აკრიტიკებდა ამ პარტიას. მის კრიტიკაში არის სუბიექტური პარტიული პრინციპი. ეროვნულ-დემოკრატები რეფორმებს არ უარყოფდნენ, მაგრამ სახელმწიფოში გატარებული ზოგიერთი რეფორმა, მაგალითად, აგრარული კანონი, მიაჩნდათ კლასობრივი ნიშნით შემუშავებულ, არასამართლიან კანონ-

ად. მათი აზრით, კლასობრივი ინტერესები კი არ უნდა მდგარიყო მაღლა, არამედ სახელმწიფოებრივი.

„ყველას სახელმწიფოს აშენება უნდა: ჩვენც, ნაციონალისტებსაც.

მაგრამ ნაციონალისტებს უნდათ თავადების და დიდი ბურჟუების სახელმწიფო, თუ მეფე იქნება სათავეში, ამაზეც არ გაჟინდებიან, ოღონდ ქართველი მეფე კი იყოს. ჩვენ გვინდა რესპუბლიკა ხალხისა, დემოკრატიისა. ნაციონალისტები იმიტომ შეეხარებოდნენ რუსეთის რევოლუციას, რომ საქართველო განთავისუფლებულიყო მხოლოდ. ჩვენ კი იმისთვის გვინდოდა რევოლუცია, რომ ძველი წყობილება დამხობილიყო და მთელი ძალაუფლება ხალხს, დემოკრატიას გადასცემოდა. საქართველოს დამოუკიდებლობაც ჩვენ მხოლოდ იმისთვის მივიღეთ, რომ ჩვენი დემოკრატია ყოფილიყო ქვეყნის ბატონ-პატრონი და სრულუფლებიანი მმართველი. ნაციონალისტებს უნდათ დამოუკიდებლობა, ხოლო დემოკრატიის ბატონობა და სრულუფლებიანობა კი — არა. ჩვენთვის კი დამოუკიდებლობა და დემოკრატიის ბატონობა განუყოფელი და განუყრელია. თავადების რუსეთი თუ უარვყავით, თავადების საქართველოს ჩვენ ვერ მივიღებდით. ჩვენ გვწამს მხოლოდ დემოკრატიის საქართველო“...[23] – წერდა ივანე გომართელი. მისი თვალსაზრისი, ეროვნულ-დემოკრატთა მისეული შეფასება, რა თქმა უნდა, სწორი არაა. ჯერ ერთი: დემოკრატიას, უპირველესად, ისინიც, ქართველი ნაციონალისტები, როგორც გომართელი უწოდებდა ამ პარტიას, ისინიც აღიარებდნენ სახელმწიფოს მთავარ ღერძად. წავიკითხოთ სპირიდონ კედიას, გვაზავას და სხვათა ნაწერები და ამაში ეჭვს ვერ შევიტანთ. განა ეს ადამიანები არ წერდნენ საქართველოს იმ კონსტიტუციის პროექტს, რომელიც შემდეგ ქვეყნის ძირითად კანონად იქცა და რომლითაც ჩვენი სახელმწიფოს იდეოლოგიურ საფუძვლად დემოკრატიული პრინციპები გამოცხადდა? მეორე: სოციალ-დემოკრატთა ძირითადი ნაკლი იყო, და არა ღირსება, სწორედ „მემამულეთა, ბურჟუათა“ საქართველოს მიუღებლობა. საქართველოს

ყველაზე დიდმა ეროვნულმა იდეოლოგმა ილია ჭავჭავაძემ განსაზღვრა სწორედ ის გზა, რომლითაც საქართველოს მომავლისაკენ ყველას ერთად უნდა ევლო: თავადსა და გლეხს, მუშასა და ინტელიგენციას, ყველას ერთნაირად ეკუთვნოდა ის სიმდიდრე, რომელსაც სამშობლო ჰქვია. ილიას გზის გამრუდება კი ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანდა. ამ გზის უარყოფით დაიწყეს იმ პარტიის ლიდერებმა საქმიანობა, რომელსაც ვანო გომართელი ეკუთვნოდა და გასაკვირი არ იყო მისი ასეთი მსჯელობაც. თუმცა, გომართელი თავად იყო პატიოსანი და ქვეყნის ერთგული ადამიანი, მაგრამ, როგორც ჩანს, ადვილი არაა ყოველთვის უშეცდომოდ ხედავდე არა მარტო მომავლის ორიენტირებს, არამედ თანადროულ მოვლენებსაც კი, მით უმეტეს, მმართველი, თანაც სოციალისტური პარტიის იდეოლოგი თუ ხარ. ეს კარგად ჩანს მის პუბლიცისტურ ნააზრევში.

საქართველოს რესპუბლიკის მტრების სიაში ქართველი ნაციონალისტების ჩარიცხვა იყო პარტიული სიბეცეც და პოლიტიკური შეცდომაც, რაც ამ ადამიანს, ნებსით თუ უნებლიედ გამოდიოდა და პუბლიცისტური ოსტატობით დაწერილ მის წერილებს ღირსებას უმცირებდა.

წერილში — „მშრომელი ხალხის სამშობლო", — პუბლიცისტი კიდევ უფრო აღრმავებდა თავის შეცდომას, ადანაშაულებდა თავადაზნაურულ-მემამულურ კლასს სამშობლოსა და მშრომელი ხალხის ღალატში.

„სამშობლო ისეთი ჭურჭელია ან იარაღი, — წერდა იგი, — რომელსაც სხვადასხვა პირი, სხვადასხვა წოდება სხვადასხვანაირად ჰხმარობს. ერთს იმისათვის უნდა სამშობლო, რომ ხალხი ჰყვლიფოს, მეორეს კი იმისათვის, რომ ხალხმა ადამიანურად იცხოვროს".[24]

„... უწინ სამშობლო იყო თავადებისა და მდიდრების ხელში და მათ ყოველისფერი ისე მოაწყვეს და ისეთი მთავრობა გაიჩინეს, როგორც მათ ჯიბე-მუცელს მოუხდებოდა. ხალხი კი... შებორკილი და უფლებააყრილი ჰყავდათ, რადგანაც ეს საჭირო იყო მათი კეთილდღეობისათვის... აი ამიტომაც

მთელი მაშინდელი ცხოვრება და მაშინდელი სამშობლო ძალადობაზე იყო აშენებული".

ხალხის დაპატრონებას ქვეყანაზე თვლიდა პუბლიცისტი სამშობლოს გათავისუფლებად, მისი მცდარი წარმოდგენით, ეს უბრალო ხალხი, გლეხობა და მუშები, უკეთ უპატრონებდნენ სამშობლოს, ვიდრე თავადები და მდიდარი ფენები. ასეთი იდეოლოგია, სამწუხაროდ, ახლოს იდგა ბოლშევიკურ-სოციალისტურ იდეოლოგიასთან, იწვევდა მეორე უკიდურესობას, როდესაც ხშირად მშრომელიც, განათლებულიც და დიდად პატრიოტი თავადაზნაურთა კლასის წარმომადგენლები კლასობრივი ნიშნით „სამშობლოს მტრებად", „მუქთახორებად", „მოღალატეებად" აღიქმებოდნენ, ამ რწმენაში კი, ხალხის ცნობიერებას, ამტკიცებდა ამგვარ პუბლიცისტთა ნაწერებიც.

კლასობრივი იდეოლოგია არის ერთ-ერთი მხარე მისი თეორიული ნაწერებისა, რაც მიუღებელია და მისი პუბლიცისტიკის ნაკლი.

ივანე გომართელი მიუთითებდა მშრომელ ხალხს იმაზე, თუ როგორ იბრძოდნენ საქართველოს მაგალითით მეზობელი ქვეყნების მშრომელები ასეთივე უფლებების მოსაპოვებლად თავიანთ ქვეყნებში. ამიტომაც მათი მთავრობები მტრულად იმსჭვალებოდნენ ჩვენი ქვეყნის მიმართ. პუბლიცისტი მოუწოდებდა მშრომელ ხალხს — დამდგარიყო მთავრობის გვერდით, რათა ერთიანი ძალით გაენადგურებინა მტრები.

ივანე გომართელის ჟურნალისტურ ოსტატობაზე მიუთითებს დიალოგის, ინტერვიუს, კამათის ფორმის გამოყენება საგაზეთო სტატიაში. წერილს — „სადღეისო საუბარი", — ის იწყებდა ნაცნობთა წრეში ბოლშევიკებზე გავრცელებული იმ აზრის გადმოცემით, რომლის მიხედვითაც ბოლშევიზმი მალე მთელ მსოფლიოში გავრცელდებოდა, რომ არაფერი ცუდი არ იყო მასში და, რაც მთავარია, ბოლშევიკებიც იმ სოციალიზმს აშენებდნენ, რომელსაც სოციალ-დემოკრატები. მოწინააღმდეგეთა აზრებს პუბლიცისტი დიალოგის ფორმით გადმოსცემდა და შემდეგ იწყებდა საკუთარი დებულებების

ჩვენებას — რატომ არ იყო ეს ასე და რატომ იყო ცუდი ეს იდეოლოგია. მისი მტკიცებით, ევროპა არასდროს მიიღებდა ბოლშევიზმს, რადგან იქ დემოკრატიას სცემდნენ პატივს და არა ხელისუფლების უზურპაციას, დიქტატურას, ვისიც არ უნდა ყოფილიყო იგი, თუ გნებავთ, მშრომელი ხალხისა.

ევროპა წარმოების განვითარებას მისდევს, კაპიტალისტურ წყობას აშენებს, სოციალიზმისათვის ბრძოლა ვერ დაამყარებს სოციალიზმს, პირიქით, კიდევ უფრო დაანგრევს ქვეყანას. საჭიროა ჯერ წარმოების კაპიტალისტური განვითარება და შემდეგ — სოციალიზმი, — ასე მსჯელობდა ვანო გომართელი და ამით თავისი პარტიის ხაზს მისდევდა. დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო, რომელიც სოციალისტურ იდეოლოგიას ემხრობოდა, ჯერ კაპიტალიზმის განვითარებას უჭერდა მხარს და შემდეგ სოციალიზმის დამყარებას. „სოციალისტურ გარდაქმნას ყველგან წინ უნდა უძღოდეს მსხვილი წარმოება, — წერდა ივანე გომართელი, — მაშინებისა და ფაბრიკების გაბატონება ეკონომიურ ცხოვრებაში, ქვეყნის ეკონომიური ძალების დიდი განვითარება, დიდძალი სიმდიდრის დაგროვება წარმოების, ფაბრიკების, ქარხნებისა და ტეხნიკის სახით".[25]

ის უარყოფდა საქართველოში სოციალიზმის შენების შესაძლებლობას მანამ, სანამ ქვეყანა არ დაეწეოდა ჯერ რუსეთს, შემდეგ კი — ევროპის განვითარებულ ქვეყნებს. ამიტომ მიიჩნევდა ყალბად და მიუღებლად ბოლშევიკურ აგიტაციას სოციალიზმზე, რაც ამ დროს საქართველოში ასე აქტიურად მიმდინარეობდა: დადიოდნენ ბოლშევიკი აგიტატორები, ვრცელდებოდა პროკლამაციები, სადაც დახატული იყო სოციალიზმის სამოთხე, ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამყარებული. მშიერ-მწყურვალ ხალხში ეს აგიტაცია ზოგჯერ დიდ ეფექტს ახდენდა, გადაჰყავდა ისინი ბოლშევიკთა მხარეზე.

„ერთადერთი, რაც შესაძლებელია დღეს ჩვენში, — წერდა გომართელი, — ეს გახლავთ ჩვენი მდგომარეობის მცირეოდნათ მაინც შემსუბუქება და თავის გატანა უკეთეს

დღეებამდე. ეს უკეთესი დღეები აუცილებლად არის წინ. მათ მხოლოდ სულმოკლენი ვერ ხედავენ.

ის არწმუნებდა ხალხს, მშრომელ მასებს — დემოკრატიას, რომ დაენახათ საქართველოს სინამდვილე, ხელისუფლების მიერ გაკეთებული საქმე, ათასი აცდენილი გასაჭირი და მომავლის პერსპექტივები, დარაზმულიყვნენ მთავრობის გარშემო, არ მიეღოთ ბოლშევიკი ყალბი აგიტატორების მიერ შემოთავაზებული დაპირებები.

ივანე გომართელის „საუბარი სოფლის ხალხთან", რომელიც 1919 წლის გაზაფხულზეა დაწერილი, ისე იკითხება, თითქოს დღევანდელ სოფელსა და მის პრობლემებზე იყოს საუბარი.

პროპაგანდისტული პუბლიცისტიკით ივანე გომართელი ცდილობდა გაემართლებინა მთავრობის საშინაო პოლიტიკა, მისი ეკონომიკური ღონისძიებები, ხელი შეეწყო მისი ავტორიტეტის განმტკიცებისათვის და დამფუძნებელი კრების ახალ არჩევნებში მისი პარტიის — სოციალ-დემოკრატთა გამარჯვებისთვის. უნდა ითქვას, რომ სხვა თანაპარტიელი პუბლიცისტებისაგან განსხვავებით, მისი ნიჭიერად და გარკვეული ლოგიკით, სიმართლით აღბეჭდილი წერილები, მიზანს აღწევდა.[26]

ასეთივე პარტიული სიამაყითა და გამარჯვებული სულისკვეთებითაა სავსე მისი წერილები — „26 მაისი"[27] და „დღევანელი დღე".[28]

შთამბეჭდავია მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე დაწერილი მისი წერილები, განსაკუთრებით რუსეთსა და დენიკინზე.

პუბლიკაცია — „დენიკინის გამოლაშქრება" მხატვრულად ასახავს დენიკინის პიროვნებას, მის ბრძოლას ძველი რუსეთის აღსადგენად. „აი, ქვეყანა, სადაც ხარობს ზეთისხილი და ფორთოხალი! წამოიძახა გენერალმა სიამოვნებით შავი ზღვის დანახვაზე. ჯერ ეს მხარე უნდა დავუმორჩილო ჩემს ხმალს და შემდეგ ზედ დავაფუძნო მთელი რუსეთიო".

„რუსეთისაკენ მიმავალი გზა კავკასიაზე მიდის, ზედ

საქართველოზე, ტფილისზე...“

„და შეუდგნენ მეგობრებში ტანკების მოპოვებას...“

„ამის შემდეგ იცით, რა მოხდა?

პამპულაი შეიკაზმა თოფითა და ჯინჯილითა,

უნდა ქალაქსა მივადგე, ამოვწყვიტო შიმშილითა.

ეს რომ ვალიკომ გაიგო, გადაბრუნდა სიცილითა“

ვალიკო ეროვნული გვარდიის სარდალი — ჯუღელია, რომელსაც პუბლიცისტი უშურველად ასხამდა ხოტბას.[29]

წერილი წარმოადგენდა ნამდვილ პუბლიცისტურ პამფლეტს, დენიკინის პოლიტიკური გეგმები აქ ისე იყო გაშარჟებული, რომ მკითხველს ღიმილს ჰგვრიდა და ნათლად აჩვენებდა ამდროინდელი საქართველოს ირგვლივ დატრიალებულ პოლიტიკურ ამბებს. მწერლის პუბლიცისტიკის ამგვარი სტილი ძალზე მიმზიდველი იყო და დიდ გავლენას ახდენდა მკითხველზე, გომართელის მიზანი, გაეშარჟებინა მტერი და ხოტბა შეესხა სამშობლოს დამცველებისათვის, უდავოდ აღწევდა მიზანს.

ამ წერილშიც ის მიმართავდა ხალხს მთავრობის გარშემო დარაზმულიყო. კისერს მოვუგრეხთ მეფის რუსეთის ამ ლაქიასო, — ირწმუნებოდა, ბედი გვცდისო, — იმასაც უმატებდა და წერილს ასეთი მოწოდებით ასრულებდა: „ —მაშ, დავუმტკიცოთ დენიკინს, რომ ღირსეული შვილები ვართ თავისუფალი სამშობლოსი“-ო.

ივანე გომართელის პუბლიცისტიკა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზანდასახულებას, მთავრობისა და მმართველი პარტიის საქმიანობის პროპაგანდას, ხალხში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას ემსახურება, მაგრამ იმდენად ძლიერი მხატვრული ხერხებია გამოყენებული მის წერილებში, რომ იგი სცილდება საგაზეთო პუბლიცისტიკის ჟანრს, ციკლი — „საუბარი სოფლის ხალხთან“, რომელიც 1920 წლის „ერთობაშიც“ გრძელდება, ამის ნათელი მაგალითია. სხარტი დიალოგები, წარსულსა და მომავალში ექსკურსი, რომლითაც ავტორის რომანტიკულ-ოპტიმისტური განწყობილება იხატება, გავრცელებული ამბებიდან შთ-

ამბეჭდავი მაგალითების მოტანა, ფოლკლორული ნიმუშების გამოყენება, პოლიტიკური დეკლარაციების, პარტიული და სახელმწიფოებრივი პროგრამების ჩვენებისა და უბრალო, სასაუბრო ენით ახსნის ფონზე, მართლაც რომ ძლიერ მხატრულ ეფექტს იძლევა. სოფლის ხალხს თავი უნდა დაედო, დიდი გარჯის ფასად უნდა აღორძინებულიყო ქართული სასოფლო-სამურნეო ტრადიციები, მათ შორის მევენახეობა, ასე ძვირფასი და ახლობელი ქართველი კაცისათვის. ვენახის მოვლის სიძნელე ბევრს აშინებდა, ამ დროს გავრცელებული ვაზის ავადმყოფობაც ხშირად უტეხდა გულს მეურნე კაცს, ძნელი იყო შაბიამნის ყიდვაც. ამიტომ მოჰქონდა გომართელს ორი ძმის მაგალითი, ერთმა ვერ გაუძლო ლოდინს და ვენახი ნაყოფის მოსხმამდე აჩეხა, მეორემ გაუძლო და უფრო მოგებული დარჩა.

საქმე კარგად ვერ წავა, თუ თქვენ არ ივარგებთო, — არწმუნებდა გომართელი სოფელს. მთავრობა გიცავთ, კარგ კანონებს, სათქვენო ცხოვრების წესს გიქმნით, თქვენ კი — უნდა გამოიყენოთო. შემდეგ უხსნიდა ბოლშევიკთა სახელმწიფოებრივ ინტერესებს, მათ აგრარულ პროგრამას, ასევე დენიკინის პოლიტიკურ მიზნებს, ისეთ სურათს ხატავდა, ორივე ამ მიმართულების გამარჯვების შემთხვევისთვის, რომ გონიერ ადამიანს შიში და წინააღმდეგობის გრძნობა თუ აღეძვრებოდა ბოლშევიკური და ლენინური იდეოლოგიისადმი.[30] სამაგიეროდ, წერილი დიდი რწმენითა და ნდობით ავსებდა მკითხველს საკუთარი მთავრობის, ჯარისა და გვარდიისადმი, რჩეული გზის სისწორეში არწმუნებდა და გამარჯვების იმედს უნერგავდა მას.

1920 წლის 9 მაისს „ერთობაში" გამოქვეყნებულ წერილშიც დიდი პუბლიცისტური ოსტატობით შეახსენებდა გომართელი სოფელს მთავრობის არჩევისას საჭირო დაფიქრებას, ურჩევდა მათ სამომავლო ინტერესთა გაჭვრეტას. წერილს საუღლე ხარის შერჩევისადმი, სოფლელთა დამოკიდებულებით იწყებდა და ასკვნიდა: თუ ხარს ასე გულდაგულ ირჩევ, მთავრობის არჩევას მეტი დაკვირვებით უნდა მიუდგეთო.

ახსენებდა მათ ზოგიერთ შეცდომას, როდესაც სწამდათ მთავრობის მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიების დაპირებების. განსაკუთრებული იერიში პუბლიცისტს ბოლშევიკებზე მიჰქონდა. მისი სატირა და პოლიტიკური შარჟი ააშკარავებდა ბოლშევიკური პროპაგანდის სიცრუეს, მათ უკან მდგარი პოლიტიკური და ფინანსური გეგმების უსუსურობას და ქართველი ხალხის საწინააღმდეგოდ გამიზნულ ქმედებას. „თუ თქვენი თავის სიკეთე გინდათ, ყოველი ღონე უნდა იხმაროთ, რომ ბოლშევიკები ჩვენში ვერ შემოვიდნენ", — არწმუნებდა იგი ხალხს. ბოლშევიკებს ჩვენი ციხის შიგნიდან გატეხა უნდათ, მაგრამ ჩვენი ქვეყანა შიგნითაც ჩაკირულია, გარეთაც... ამოუდექით ისევ ჩვენს მთავრობას გვერდში, შეასრულეთ ყოველი მისი მოწოდება, ბრძანება დ როგორც აქამდე გადაგარჩინათ ყოველგვარ ხიფათსა და უბედურებას, აწიც ის გადაგარჩენთ.

გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, ჟორდანიას მთავრობას!.. ძირს ყველა მისი მტერი და მოღალატე!" – ასეთი იყო ივანე გომართელის პუბლიცისტური პათოსი და რწმენა.[31]

გომართელის ეს პუბლიცისტიკა იქმნებოდა არა კაბინეტში, არამედ ხალხთან დიალოგით, ის, ადრინდელი ხალხოსნებივით, მუდმივად მოგზაურობდა საქართველოს მთასა და ბარში, ეცნობოდა ცალკეული რაიონის პრობლემებს, უხსნიდა სოფლელებს მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებას, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში დაწერილი მისი წერილები, საინტერესო ისტორიული წყაროა იმ რეგიონების შესასწავლად, რომელთაც პუბლიცისტი ასე დაწვრილებით აღწერდა ისტორიულ-ეთნოლოგიური, ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ კულტურული მდგომარეობის მიხედვით. ერთი ასეთი წერილია — „რაჭა-ლეჩხუმი", რომელიც ივანე გომართელმა 1920 წლის ივნისში, გაზეთ „ერთობაში" გამოაქვეყნა.[32] ივანე გომართელის წერილები იყო თითქმის გამონაკლისი დამოუკიდებელი საქართველოს დროინდელ „ერთობაში", სოციალ დემოკრატიულ იდეოლოგიასაც რომ იცავდა და თავისებურ სიმართლესაც არ ღალატობდა.

მისი პუბლიკაციების მართალ პათოსსა და მკითხველთა ზეგავლენის უნარს განაპირობებდა ეროვნული გრძნობები, ისტორიული მაგალითები, საქართველოსადმი სიყვარულისა და თავდადების განცდა, რომელსაც უხვად წარმოაჩენდა ივანე გომართელი, ფრონტის დღისადმი მიძღვნილ წერილში, 1919 წლის „ერთობაში" ის გმირებად ახასიათებდა ქართული ჯარისა და გვარდიის იმ წევრებს, რომელთაც ბათუმთან თავი დასდეს ოსმალოთა წინააღმდეგ ბრძოლაში, არარატის მთავრობის მიერ დაწყებული ომი საქართველოს გამარჯვებით დააგვირგვინეს, ეკატერინეფელდის და შულავერის ქვებიც კი ღაღადებენ ჩვენი მებრძოლების დიდებას, ისინი კრწანისის გმირების მემკვიდრენი არიანო, — წერდა პუბლიცისტი და რეაქციული რუსეთის მიერ აღმართულ ახალ საშიშროებაზე მიუთითებდა მკითხველს.

„იშვიათ, არაჩვეულებრივ დროსა ვცხოვრობთ, — წერდა გომართელი,— ისტორია ჩვენ მოგვჩერებია და ჩვენს ხელთ არის, მახინჯათ წარვსდგებით მის წინაშე, თუ სპეტაკი სახით, ყოველივე ჰქრება, ყოველივე წარმავალია, მხოლოდ სახელია უკვდავი და ვაი იმას, ვისაც ასეთ დროს ულირსი ადამიანის სამარცხვინო სახელი დარჩება, ავმაღლდეთ ყველა, ვძლიოთ საკუთარი თავი, პირნათლად წარვსდგეთ მომავლის წინაშე. დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ყველას შეგვწევს ძალ-ღონე დავივიწყოთ ჩვენი თავი და მთელი ჩვენის არსებით და შეძლებით რუსპუბლიკასა და თავისუფლებას ვემსახუროთ...

ვუთხრათ ჩვენს ჯარსა და გვარდიას, რომ ჩვენ ის გვახსოვს, რომ ჩვენ მისთვის ვზრუნავთ, რომ მისთვის ჩვენს წვლილს არასოდეს არ დავიშურებთ"...[33]

ეს მხარდაჭერა ჯარს ჭირდებოდა, საქართველო ერთიან ფრონტად იყო ქცეული, ვალიკო ჯუღელის, ეროვნული გვარდიის სარდლის სიტყვებით კი „ფრონტი პატარა ბავშვს ჰგავს, ცოტა რამე გულს ატკენს მას, ცოტა რამე გაახარებს". ამ „გახარებას" ცდილობდა ვანო გომართელი ქართული ჯარის მხარდაჭერით.

სოციალ-დემოკრატიული პარტია, დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილი ეროვნული სულისკვეთების ფონზე ცდილობდა რეორგანიზაცია მოეხდინა.

ამაზე საუბრობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიზაციათა გაერთიანებულ სხდომაზე, 1919 წლის ივლისში პარტიის იდეოლოგები: ირემაშვილი, ნაკაშიძე, ფოფხაძე, თევზაძე, რუხაძე და სხვ. მარქსიზმი და მარქისტული ორგანიზაციების შექმნა, მუშათა კოლექტივების იდეური დონის ამაღლება — აი, რას ითხოვდნენ „ერთობის" პუბლიცისტები, მმართველი პარტიის ის წარმომადგენლები, რომლებიც ვერ მოხვდნენ ადმინისტრაციულ დაწესებულებებში და სახელისუფლო ორგანოებში და მხოლოდ იდეოლოგებად, სოციალიზმისა და მარქსიზმის თეორეტიკოსებად რჩებოდნენ. ძნელიც იყო, წამგებიანიც და უსუსურიც ამათი საქმიანობა ეროვნულ-დემოკრატიულ იდეოლოგიასთან ჭიდილში, მათი შესანიშნავი პუბლიცისტებისა და პრესის შემოტევებს ვერ უძლებდნენ ვერც „ერთობის" პარტიული ფსევდონიმებით აღჭურვილი ავტორები და ვერც მთელი მათი იდეოლოგია.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგების მოთხოვნები ასეთი იყო დამოუკიდებლობის მეორე წელსაც: „დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციებს, შევქმნათ და გავხსნათ მარქსისტული სკოლები"...

„სანამ ჩვენ წმინდა პროლეტარული კლასი არ გვეყოლება, რყევა ყოველთვის იქნება"...

ზოგჯერ ბოლშევიკურ სოციალიზმთან მიახლოებული ქართული სოციალისტური აზროვნება ძლიერ შორს რჩებოდა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან, მის სახელმწიფოებრივ იდეოლოგიასთანაც კი. ივანე გომართელის წერილები კი, სოციალიზისადმი მისი ავტორის ღრმა ერთგულების მიუხედავად, ეროვნული ინტერესების გამომხატველი, ცხოვრებისეული გამოცდილებით გაჯერებული, ობიექტურობასა და მიმზიდველობას არ კარგავდა. მათი

ავტორისთვის ქართველი ხალხი ყველა პარტიასა და პოლიტიკურ იდეაზე მაღლა იდგა. ამიტომ უძღვნიდნენ პოეტები ლექსებს ამ კეთილშობილ ადამიანს, უსაზღვრო რწმენით აღვსილი პაციენტები კი ბრმად ენდობოდნენ მის ჯადოსნურ უნარს, დასტაქრის სიტყვითაც კი იკურნებოდნენ. ეს დიდი ძალა, სიყვარული და ქართველი ხალხის ცხოვრების გაუკეთესების სურვილი, მომავლის სწორი გზის ძიება, — ავსებს მის მრავალფეროვან პუბლიცისტიკას, რომლის მთლიანი შესწავლა ცალკე მონოგრაფიას მოითხოვს. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ამ მასალის ნაწილი ავლენს მწერლის, ექიმის, დიდებული საზოგადო მოღვაწის — ივანე გომართელის აზროვნების მთავარ მიმართულებას, ხატავს მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროფილს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ივანე გომართელი, რჩეული ნაწერები 2 ტომად, კრებული შეადგინა და ბიბლიოგრაფია დაურთო ვ. წონელიამ, შესავალი, ნატროშვილმა, თბილისი, 1966.

   გრ. ნადარეიშვილი, ივანე გომართელი, „განათლება", 1967წ.

   ფ. ნადიბაიძე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში (1900-1921 წ.წ.), „მეცნიერება", 1980, ნაკვეთი: ივ. გომართელი, გვ. 70-102.

   ალ. სიგუა, წერილები და პორტრეტები, თბილისი, 1977 წ., ნაკვეთი: მწერალი და მკურნალი, გვ. 129-134.

   მ.გ. ავბენვაშვილი, ივანე გომართელის ცხოვრება ესთეტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებით, თელავი, 1994 წ.

   ივანე გომართელი, ეროვნული საკითხი, თბილისი, 1906 წელი.

   ივანე გომართელი — საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია ანუ ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველო-

ბა, თბილისი, „ხალხის თავისუფლების“ რედაქციის გამოცემა, 1917 წ.
2. გაზეთი „ივერია“, 1894 წ. 124.
3. „კვალი“, 1898, 48, გვ. 800.
4. გაზეთი „ივერია“, 1903, 232.
5. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი (ქიმ), საბუთი 1959;
6. ქიმ საბუთი 1958
7. ქიმ საბუთი 1957
8. ივანე გომართელი, ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკა, გაზეთი „ალიონი“, 50, 1917 წლის 19 ოქტომბერი.
9. ივანე გომართელი, ჩვენებური ბოლშევიკები და ეროვნული საკითხი, გაზეთი „ალიონი“, 51, 1917 წლის 22 ოქტომბერი.
10. ივანე გომართელი, ერის უფლება და თავისუფლება, გაზეთი „ალიონი“, 52, 53, 54, 55, 56, 57. 1917 წ.
11. ივანე გომართელი, ერის უფლება და თავისუფლება, გაზეთი „ალიონი“, 55, 1917 წ.
12. ივანე გომართელი, მშრომელ ხალხს, გაზეთი „ალიონი“, 56, 1917 წელი
13. ივანე გომართელი, აბხაზები და ჩვენ, გაზეთი „ალიონი“, 58, 60. 1917 წელი.
14. ივანე გომართელი, საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია ანუ ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობა, თბილისი, 1917 წელი.
15. ივ. გომართელი — საქართველოს ტერიტორიული ავტონომია 1917 წ. გვ. 26-27.
16. ივანე გომართელი —„ეროვნული საკითხი“, თფილისი, ელექტრომბეჭდავი ამხ. „სორაპანი“, მადათ. კუნძ. 1, 1906 წელი.
17. დასახ. წიგნი — გვ. 12.
18. ივანე გომართელი, ეროვნული საკითხი, თბილისი, 1906 წ. გვ. 54-55.
19. ივანე გომართელი, სიტყვა საქართველოს პარლამენტში, 1918 წლის 26 ოქტომბერი, გაზეთი „საქართველო“, 205, 1918 წ.

20. ივანე გომართელი, ჩვენი მდგომარეობა, გაზეთი „ერთობა", 16, 17. 1919 წელი.
21. ივანე გომართელი, გლეხები და სოციალ-დემოკრატიული პარტია, გაზეთი „ერთობა", 22, 1919 წელი.
22. ივანე გომართელი, გლეხები და დამფუძნებელი კრება, გაზეთი „ერთობა", 29, 1919 წელი.
23. ივანე გომართელი, საქართველოს რესპუბლიკა და მისი მტრები, გაზეთი „ერთობა", 42, 1919 წელი.
24. ივანე გომართელი, მშრომელი ხალხის სამშობლო, გაზეთი „ერთობა",47, 1919 წელი.
25. ივანე გომართელი, სადღეისო საუბარი, გაზეთი „ერთობა", 76, 1919 წელი.
26. ივანე გომართელი, „საუბარი სოფლის ხალხთან", გაზეთი „ერთობა", 104, 1919 წლის 14 მაისი
27. ივანე გომართელი, 26 მაისი, გაზეთი „ერთობა", 109, 1919 წლის, 20 მაისი.
28. ივანე გომართელი, „დღევანდელი დღე", გაზეთი „ერთობა", 115, 1919 წლის 26 მაისი.
29. ივანე გომართელი — „დენიკინის გამოლაშქრება", გაზეთი „ერთობა", 122, 123, 1919, 5 ივნისი.
30. ივანე გომართელი, საუბარი სოფლის ხალხთან, გაზეთი „ერთობა", 9, 1920 წელი.
31. ივანე გომართელი, სახალხო საუბარი, გაზეთი „ერთობა", 108, 1920 წელი.
32.ივანე გომართელი, რაჭა-ლეჩხუმი, გაზეთი „ერთობა", 123, 124, 1920 წ.
33. ივანე გომართელი, ფრონტის დღე, გაზეთი „ერთობა" 156, 1919 წელი.

დავით კასრაძე
(1885-1965)

დავით კასრაძე ქართული აზროვნების ისტორიას მწერლის სახელით შერჩა. მის კალამს ეკუთვნის რომანი „კეთრი", მონოგრაფიები ალექსანდრე წუწუნავასა და ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსიმესხიშვილზე, ჰეროიკული პოემა – „ლეგენდა რუსთაველზე", ასევე პიესები და თარგმანები. 1932 წელს მანვე გამოსცა ოსური ლიტერატურის პირველი ანთოლოგია ქართულ ენაზე.

დავით კასრაძე 1885 წლის 27 დეკემბერს დაიბადა გორის რაიონის სოფელ ავნევში. დაამთავრა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ თბილისის სამხატვრო სასწავლებელი, 1908 წელს კი პარიზში გაემგზავრა, სადაც 1910 წლამდე სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. 1901 წლიდან ის ბეჭდავდა მოთხრობებსა და წერილებს ქართულ პრესაში.

გარდაიცვალა 1965 წელს.

მისი ნაწარმოებები რამდენჯერმეა გამოცემული. რაც შეეხება პუბლიცისტურ ნაწერებს, ქართული პრესის იმ მასალებს, რომლებშიც XX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება იყო აღწერილი, ან რომელთა საშუალებითაც მწერალი მოვლენებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავდა, თითქმის უცნობია და დაუბეჭდავი.

დავით კასრაძე იყო ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნების პუბლიცისტი, მისი წერილების თემა მრავალფეროვანია და ეპოქალური მოვლენების ამსახველი, ამდე-

ნად, მათი გაცნობა მკითხველისათვის საჭიროა თუნდაც XX საუკუნის პირველი ოცწლეულის რთული ისტორიული პროცესების უკეთ გასააზრებლად.

საინტერესოდ აანალიზებდა დავით კასრაძე სახელმწიფო საბჭოს წევრის — ა. მ. ერისთავის ბროშურას — „ქართველთა ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების საკითხები", რომელიც რუსეთში გამოიცა და გაზეთში — „პეტერბურგის უწყებანი" — განხილულიც იქნა.

დავით კასრაძე გადმოგვცემს ბროშურის შინაარსს, სადაც აღნუსხული იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფაქტები, ის მოვლენები, რითაც რუსეთმა შეურაცხყო ქართველი ერის სულიერი კულტურის დიდი მონაპოვრები, წაართვა მას საეკლესიო ქონება, ეს მაშინ, როდესაც, ასეთი რამ არ გააკეთა სომეხთა მისამართით. სომეხთა პრივილეგირებას რუსეთის სახელმწიფოში ბროშურის ავტორიც და მისი რეცენზენტიც სომეხთა ვაჭრულ და სამრეწველო საქმიანობის დიდ უნარს მიაწერდა.

სტატიაში აღწერილი იყო საქართველოს სავალალო მდგომარეობა რუსეთის კოლონიური უღლის ქვეშ. „რუსული პოლიტიკა საქართველოში სულ იმის ნგრევაშია, რაც ადგილობრივ სულიერს სიმტკიცეს შეადგენდა. უწინარეს ყოვლისა, წაღებულ და გაძარცვულ იქმნა საეკლესიო და სამონასტრო ქონება. გალატაკებული სამღვდელოება გათახსირების გზას დაადგა... რელიგიური სიცოცხლე ჩაკვდა. წმინდა ნინოს ჯვრით მოქცეული ქვეყანა ტლანქ, ათეისტურ მოძღვრებათა თავშესაფარი გახდა. ხალხს ინტელიგენცია გაეთიშა, გადაგვარების გზას დაადგა ეს უკანასკნელი და ერთად-ერთი ეგოიზმის მსხვერპლი გახდა". დავით კასრაძე ეთანხმება წიგნის ავტორის ამ შეხედულებებს, იხსენებს, როგორ გაანადგურეს მტრებმა არა მარტო ქართული ეკლესიები, არამედ ქართველ თავადაზნაურთა ქონება. ეს მაშინ, როდესაც გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა ჩამორთმეული მცირე ქონებაც დაუბრუნა სომხურ ეკლესიას, ყველანაირად დაუჭირა მხარი კავკასიაში სომეხთა ინტერესებს.

დ. კასრაძე იხსენებდა მიხეილ ნიკოლოზის ძის მთავრობას, როდესაც სამსახურში მთლიანად ქართველები იდგნენ, საპასუხისმგებლო ადგილები კავკასიის ხელისუფლებაში ეჭირათ მუხრანბატონებს, მელიქიშვილებს, ჭავჭავაძეებს, ორბელიანებს, ერისთავებს, ამილახვრებს, ამირეჯიბებს, ყიფიანებს, ანდრონიკაშვილებსა და სხვებს. უკანასკნელ პერიოდში კი მათი ადგილი დაიჭირეს ვეიდენბაუმმა, ჰაკელმა, პეტერსონმა და სხვებმა, რომელთაც „არა გაეგებოდათ რა ქართველის სულისა“.

პუბლიცისტი აკრიტიკებდა კავკასიის ახალი ადმინისტრაციული მოწყობის პროექტს, რომლის განხორციელებას გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი უწყობდა ხელს, და რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ართმევდა ქართველ ერს ისტორიულ ტერიტორიას და უფლებებს.

ნგრევა დაიწყო საქართველოს ეკონომიკის, სასოფლო-სამეურნეო სისტემაში არსებული ძველი წესების, მფლობელობის წესისა. საუბარი დაიწყო თემობის შემოღებაზე, რასაც ქართველი ხალხი ისტორიულად არ ცნობდა.

ერისთავის ბროშურის დედააზრს კარგად გადმოსცემდა დავით კასრაძე და თითქმის ზედმიწევნით, პერიფრაზით მოჰქონდა მასში აღწერილი ის სავალალო ვითარება, რაც რუსულმა ხელისუფლებამ დანერგა საქართველოში. ავტორი ავლენდა კოლონიზაციის სისასტიკეს, როდესაც ადგილობრივებს არ ჰყოფნიდათ მიწა და უცხოელებს აძლევდნენ სამოსახლოებს მთელს საქართველოში: ქართლ-კახეთში: გერმანელ მოახალშენეებს, დუხობორებს, მოლოკნებს და სხვა სექტანტებს, ასევე სომხებსა და სხვა ერებს, დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში სომხებს, ბერძნებს, რუსებს...

ადგილობრივმა ადმინისტრაციამ იტვირთა სახაზინო ტყეებისა და ქონების თვალყურის დევნება. შემდეგ ეს მოვალეობა დაეკისრა მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის სამინისტროებს. მათ მოახდინეს მიწების მობილიზაცია და ათასგვარი ხრიკით გაანადგურეს თავადაზნაურთა მამ-

ულები, რის გამოც ქართველი თავადაზნაურობის მიწები დანაწევრდა, ისინი გალატაკდნენ, მათი ქონებით კი ხაზინა გამდიდრდა. ცხოვრების ყველა სფერო დაინგრა, ქართველობამ გადაგვარება დაიწყო. ამ მოვლენას აბრალებდა ბროშურის ავტორი ინტელიგენციის გადაგვარებას, რაშიც სოციალისტური იდეების გავრცელებას მიუძღოდა წვლილი. ინტელიგენციამ არ მოისურვა თავისი ერის სულში ჩაეხედა და „ფანტასტური ინტერნაციონალის აჩრდილის დევნაში დაიწყეს საქართველოში სწორედ მისი განმტკიცება, რასაც ეტრფოდნენ რუსის მოხელენი მთელი საუკუნეების განმავლობაში"-ო, — ამტკიცებდა დავით კასრაძე და ბროშურის შინაარსს ეთანხმებოდა. მისი აზრით, ვორონცოვ-დაშკოვმა გაათამამა სოციალ-დემოკრატია და ბევრი სისულელე გააკეთებინა.

იგი ასახელებდა ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგის კარლოს პავვალენის ღონისძიებას, მეცნიერ-სოციალისტთა რჩევით რომ შეეცადა ქუთაისელ კერძო მესაკუთრეთა მიწების წართმევას და გლეხებისთვის დარიგებას. კარლ მარქსის, კაუცკის, რამიშვილისა და ლომთათიძის თეორიით უნდოდათ ეს სისულელე გაეკეთებინათ, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან მიწები ხვნა-თესვისთვის არ ვარგოდაო.

რუსეთს უნდა დაეცვა პატარა ქვეყნის ინტერესები, შეენახა მისი ეროვნული ღირსება, მაგრამ ქვა და გუნდა მიაყარა, ათასი შეურაცხყოფა არ აკმარა და ბოლოს სეპარატიზმიც დასწამაო [1].

სეპარატიზმი — სინამდვილეში იყო, ავტონომიის მოთხოვნა, რაც რუსეთის ფედერაციაში ამ დროს ძალზე აქტიური იყო და ქართველ პატრიოტებს ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზად მიაჩნდათ.

დავით კასრაძე აკრიტიკებდა რუსეთის სათათბიროს, მიაჩნდა, რომ მისი მოწვევა ყოველთვის განსაკუთრებულ მოვლენებს ემთხვეოდა და ხალხის დაწყნარებას, მის მიძინებას, მოქმედების შესუსტებას ისახავდა მიზნად. ის არც ხალხის

იმედებს ამართლებდა და არც სახელმწიფოსთვის აკეთებდა ბევრ რამეს. მწერალი და პუბლიცისტი მას ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივებასა და შოვინიზმშიც დებდა ბრალს[2].

დავით კასრაძის საინფორმაციო ხასიათის წერილებშიც ჩანს მისი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი, ჩანს მწერლის ეროვნული სულისკვეთება. ერთი ასეთი საინფორმაციო ხასიათის მასალაა — „ჯაჭვის ნაწყვეტი", რომელიც 1916 წლის [52] გაზეთ „საქართველოში" დაიბეჭდა და მიეძღვნა აჭარის დეპუტაციის სტუმრობას თბილისში. თუ მაჰმადიან თანამოძმეთა სიტყვები, რომელიც მათ მეფისნაცვალთან შეხვედრის დროს წარმოთქვეს, მართლაც გულუხვად იყო გამთბარი დედა-სამშობლოს სიყვარულით, ასეთი გრძნობები არც 1916 წლის 4 მარტს გამართულ ნადიმს აკლდა. დავით კასრაძე შთამბეჭდავად აღწერდა ბანკეტზე ნაგრძნობ-მოსმენილს და მიიჩნევდა, რომ „ამ დღეს ერთხელ კიდევ იფეთქა საღმა, მიძინებულმა ეროვნულმა სულმა და მიტომაც გაშლილი სუფრა ძველებური ისტორული წესრიგის კვალობაზე გადაიქცა მეჯლისად, პარლამენტად, ორი ერთმანეთთან საუკუნეობით დაშორებული ძმა, ძალით სამშობლო კერის ჯაჭვიდან მოწყვეტილი რგოლები და სხვადასხვა მხრით გაქანებულნი აქ შევიყარენით, აქ გადავხვიეთ ძმურად ხელი, აქ შევფიცეთ ერთმანეთს ძმობის განმტკიცება! ორთავე ვშვენოდით ერთმანეთს! ვშვენოდით მხურვალე სამადლობელი ცრემლებით, ვშვენოდით როგორც საამაყო დედ-მამის შვილნი".

ნადიმის დროს წარმოთქმული სიტყვების ინფორმაციული გადმოცემა იმდენად საინტერესოა, არ შეიძლება არ გამოვიყენოთ ის აჭარის საკითხის კვლევისას XX ს-ის დასაწყისის საქართველოში, ამიტომ მოვიტანთ დავით კასრაძის წერილის II ნაწილს: „უზენაესის განგებით გათიშულნი ძმები კვლავ ერთად შევხვდით და ეს უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს მომავალ ერთობას", — ბრძნულად, ძველებური მშვენიერი ენით წარმოთქვა ხოჯა ისკანდერ ეფენდი ცივა-

ძემ: „უზომო სამსახური გაგვიწიეთ თქვენ, მადლობა ათასი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ აჭარა აღარ არის ძველი დიდების კერა, იგი დროთა უკუღმართობის გამო ჩამორჩა. ძველი ლამპარი ჩაქრა, წყვდიადმა მოიცვა. გსურთ, რომ დაგიბრუნდეთ, გსურთ, რომ მარტო სიტყვიერ შეერთებად არ გამოვიდეს გასაჭირში შეხვედრილი ძმები? მაშინ მოგვეცით განათლება და ოც-ოცდაათ წლის შემდეგ ჩვენც დაგეწევით, არაფერში არ ჩამოგრჩებით", — აი, სიტყვები ჭაბუკის ცეცხლით აღფრთოვანებული რეჯებ-ეფენდი ნიჟარაძისა"...ასეთივე მგზნებარე ყოფილა მემედ აბაშიძის სიტყვა.

დავით კასრაძე ჩამოთვლიდა ნადიმზე წარმოთქმული სიტყვის პატრონებს. მიხეილ მაჩაბელს, გვაზავას პოეტურ გამოსვლას, კედიას ჭაბუკურ აღფრთოვანებას უსვამდა ხაზს, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ცხოვრების გამოცდილებით სავსე, რეალისტსა და „წინასწარმჭვრეტის ნიჭით დაჯილდოებულ" ნიკო ნიკოლაძეს აკუთვნებდა. მან თქვაო, — ამბობდა კასრაძე, — ნუ გგონიათ, რუსეთი და თურქეთი ახლა რომ მტრებია, მერე არ შეერთდნენო, იქნებ ცოტა იქითაც გავიხედოთ აჭარიდან ლაზისტანისკენო. კასრაძეც ეთანხმებოდა ნიკოლაძის ამ სურვილს — ჩვენს გასაძლიერებლად ლაზისტანის შემოერთება საუკეთესო იქნება სამომავლოდო[3].

დავით კასრაძე წერდა კულტურის, ქართული მწერლობის საკითხებზე. ის ძალზე აუღელვებია საქართველოში ახალგაზრდობის ასაკში დიდად პოპულაპრული პოეტი ქალის — ნინო ორბელიანის მდგომარეობას. ის მარტოხელა, ლოგინში მწოლიარე და სრულიად მიტოვებული ყოფილა, რის გამოც გაზეთ „საქართველოში", მასთან სტუმრობის შემდეგ დავით კასრაძემ სულში ჩამწვდომი სიტყვებით აღწერა „უდაფნო მგოსანის" მდგომარეობა, ბარათაშვილის სიტყვებით გამოხატა მისი სულიერი მარტოობა („ძნელი არის მარტოობა სულისა").

„უდაფნო მგოსანი გადაშლილი ისტორიაა, — წერდა დ. კასრაძე, — მიხვალთ და დასდუმდებით...

დასდუმდებით და ისმენთ ისტორიის საინტერესო ფურცლებს...

დაუწერელ ამბებს...

ძველი ცხოვრების სურათები იშლება...

ჰხედავთ რანი ვიყავით გუშინ, რას წარმოვადგენთ დღეს...

ნინო ცოცხალი სარკეა...

მთხრობელი, პირმცინარე სარკე...

მივიდეთ ავადმყოფ მგოსანთან, დაუდაფნავი შუბლი ტკბილი სალბუნებით შევუგრილოთ. ახალთაობა ზეთისხილის მწვანე შტოდ ავშრიალდეთ მის სარეცელთან"... ასე მოუწოდებდა თავისი თაობის ხალხს ნინო ორბელიანისადმი ყურადღებასა და პატივისცემას, რადგანაც იგი „ჯერ უცნობთ წინასწარ ლოცვას გვასწავლიდა სამშობლოს საკურთხევლის წინ-ო"[4].

თვითმოქმედებაზე დაწერილ ზოგად წერილშიც კი დავით კასრაძე ეროვნულ კითხვებს სვამდა: „უცნაურია საქართველოს ბედის ვარსკვლავი. საუკუნეთა ქარტეხილებმა რომ არ ჩააქრეს იგი, ეს როდი გვიკვირს, გვიკვირს ის, რომ მისი სულის ენერგია რატომ აქამდე არ გაიხარჯა, არ გაჰქრა?.." — წერდა მწერალი. მისი აზრით, ქართველი ხალხი არაა ზომიერი, ორ უკიდურეს სარტყელში ცურავს მისი ბუნება: ზვიადობასა და სასოწარკვეთაში, ხმალი და ჯვარი როცა გამარჯვებულ ხელში გვეპყრო, ჩვენზე უკეთესი არც ერთი ერი აღარ გვეგონაო, თავის ქება, განდიდება, წარსულით ფუყე ამაყობა, დღესაც სენია ქართველობის, როგორც უაქტივობა და პესიმიზმი გაჭირვების დროს. ქართველებს, როგორც მთლიანს ერთეულს, არა აქვს გამჭრიახი ალღო"... მწერალი აკრიტიკებდა იმ გულგრილობას, რითაც ქართველებმა რუსეთთან შეერთების თარიღთან დაკავშირებით არ გამოთქვეს თავიანთი სატკივარი; მართალია, ხელისუფლების კრიტიკა დაიწყო ქართულმა პრესამ, მაგრამ ეს გადავიდა უზომო მდგომარეობაში, იგი ასუსტებდა ქართველთა ერთიანობას, თიშავდა ერს, აძაბუნებდა ეროვნულ შემოქმედებით სულს.

ქართველი გარეშე ძალებზე უფრო ამყარებს იმედს, ვიდრე საკუთარზე, ამის გამოა, რომ დღესაც დაძაბუნებული ერი ვართ, ვერ ვაჩენთ ხასიათის სიმტკიცეს, მუდამ გარეგნულ გრძნობათა თაყვანისცემაში ვართ, მუდამ იმასა ვგრძნობთ და ვფიქრობთ, რომ ჩვენს გარშემო რაღაც ხდება და არა იმას, თუ რამ ჩვენგან კეთდება, კეთდება ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ჩვენი ეროვნული ბედნიერებისათვისო. ცხადია, ეს ისეთივე ავადმყოფური მოვლენაა, როორც ის, როდესაც ქართველი ჯვრითა და ხმლით გამარჯვებული ქვეყნის მბრძანებლად ირდგენდა თავსა, ეროვნული შემოქმედებითი შემეცნება და ეროვნული ენერგიის სიძლიერე ასეთი მოვლენით არ ისაზღვრება", — ამტიცებდა მწერალი.

მსგავსი საკითხები, ეროვნული მისიისა და ეროვნული ენერგიის შესახებ, აინტერესებდა ამდროინდელ ქართულ ცნობიერებას. გავიხსენოთ თუნდაც აქედან ორიოდე წლის შემდეგ გამოსული გერონტი ქიქოძის წიგნი — „ეროვნული ენერგია". დავით კასრაძეც ამ ინტერესს პასუხობდა და ერთგვარ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ავლენდა თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი ყოფისა და ცნობიერების მიმართ. თუმცა ეს მთლიანად არ ეხებოდა საქართველოს მომავალს. ის მცირე გამოღვიძება, რასაც მწერალი ხედავდა თავისი დროის ინტელიგენციაში, მას ჩაუნერგავდა იმედს, რომ მომავალში „ეროვნული შემოქმედებითი შემეცნება გაიზრდებოდა". აღმოსავლური ხასიათის ნიშანი — სიზარმაცე, მწერლის აზრით, დაიძლეოდა კოოპერატივების, წვრილი სამრეწველო საწარმოების შექმნით. ახალი საქართველოს შემოქმედებად თვლიდა ის იმ „სიზარმაცედაძლეულ" ადამიანებს, რომლებიც საქმეს აკეთებდნენ. მისი რწმენა მომავლისადმი ამ ადამიანების გამო ჩნდებოდა და სწამდა, რომ: „ქვაკუთხედი ამ რწმენისა უნდა იყოს თვით იდეა საქართველოსი და არა მარტო ფაქტი, რომ იგი იყო როგორც მთელი ერის მამოძრავებელი და შემამეცნებელი ფაქტორი".

ეროვნული ჰიგიენის მოსახდენად, — ამბობდა იგი, — რათა განვწმინდოთ ჩვენი შემეცნება, უმოქმედობით

და დარდიმანდობით დაძაბუნებული სულიერი სიძლიერე, საჭიროა ამ ახლის გაღვიძებას, ახალს ტალღას, ახალს თვითშეგნებას და თვითმოქმედებას ფართო ასპარეზი მიეცეს. ძალთა მოკრება და ხსნის საშუალებათა ძებნა შორს კი არ უნდა მოხდეს, უცხო ელემენტთა დახმარება-შველაში, არამედ ჩვენშივე" [5].

დავით კასრაძის პუბლიცისტური წერილები ეხებოდა რუსეთის სათაბიროს, მის პოლიტიკურ ინტერესებს, ქართული საკითხის დასმას სახელმწიფო სათათბიროში, მსოფლიო ომის მიმდინარეობასა და მის შედეგებს, ის ომის პერიპეტიების მიმოხილვისას, აუცილებლად საქართველოს მომავალსაც იაზრებდა [6].

მისი წერილები ხშირად იყო კრიტიკული, მაგალითად, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გამართული აკაკის საღამო უარყოფითად შეაფასა, რადგან სიტყვით გამომსვლელები — ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე ინგოროყვა, გრიგოლ რობაქიძე არ მოეწონა. მათ პუბლიცისტმა დაუწუნა დიქცია, შინაარსი მოხსენებებისა და ლექსების კითხვის სტილი [7].

ვინც ამ გამოჩენილ მწერალთა ორატორული ნიჭი და აზროვნების სიღრმე იცოდა, რა თქმა უნდა, ვერ დაეთანხმებოდა დავით კასრაძის ამ კრიტიკულ შეფასებას.

გაზეთის იმავე ნომერში, სადაც აკაკის საღამოზე იყო საუბარი, მოთავსებული იყო დავით კასრაძის მეორე წერილი, რომელიც აგრძელებდა იმავე გაზეთში წამოჭრილ რევაზ გაბაშვილის პოლიტიკურ თემას — სომეხი ლტოლვილების საკითხის განხილვას სომეხი და ქართველი პუბლიცისტების მიერ, გაკრიტიკებული იყო სომხური გაზეთი „ჰორიზონი". მისი აზრი სავსებით ემთხვეოდა თანაპარტიელი პუბლიცისტის — რევაზ გაბაშვილის აზრს [8].

მომდევნო ნომერში დავით კასრაძის მოთხრობა „დაბდურა" დაიბეჭდა [9].

დავით კასრაძემ „საქართველოში" გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი სათაურით – „თანამედროვე ომი და პროფ. გრე-

დესკული", სადაც გამოთქვა საკუთარი დამოკიდებულება იმ პოლიტიკურ საკითხებზე, მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნებს რომ უკავშირდებოდა [10].

მწერალი აკრიტიკებდა გრედესკულის შეხედულებებს, მისი აზრით, ომმა გამოაფხიზლა მსოფლიოს ხალხთა ეროვნული გრძნობები, დაანახა მას სოციალისტური იდეოლოგიის სისუსტე ამ საკითხში, ინტერნაციონალიზმზე ათქმევინა უარი და საკუთარი სამშობლოს ინტერესების სამსახურში ჩააყენა. იგივე აზრს ავითარებდა მწერალი გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილშიც – „ეროვნული ეროსი" [11].

„კარგი და წარმტაცი იყო სოციალისტური ილუზიები, — წერდა იგი, — მაგრამ საკმარისი იყო ევროპის ცენტრიდან ზარბაზანს დაეგრიალნა, რომ ტრადიციული სოციალისტური მსოლმხედველობის ოცნების კოშკიც წამოქცეულიყო. წერაქვი თვით მუშებმა დასცხეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეზიარნენ გათიშულ და უარყოფილ სამშობლოს სიყვარულს, მჭიდროდ შედუღდნენ იდეურად ეროვნულ კულტურასთან, სამშობლოს გულთან". ეროვნული სახელმწიფოებრივი ორგანოების შექმნას ქადაგებდა მწერალი და დაბეჯითებით ამბობდა, რომ სოციალისტური იდეოლოგია მუშათა ინტერნაციონალური გრძნობების შესახებ დამარცხდა. ახლა გზა სრულად უნდა დათმობოდა ეროვნულ სიტყვასა და საქმეს. „დამარცხდა სოციალისტური მოძღვრება, ლევიატანის ძლიერებით კვლავ სამშობლო იმოსება. აი, ამიტომაა, რომ მოძღვრება სოციალისტებისა იმ მომხიბვლელი ზღაპრების უბრალო წინასიტყვაობად დარჩა, რომელიც ეროვნული ეროსის ქანდაკის გვერდით მოვისმინეთ გულუბრყვილოთაგან. სასუფეველი კეთილ მთხრობელთ!.." — ასე ამთავრებდა წერილს, სადაც ჩანდა დავით კასრაძის უარყოფითი დამოკიდებულება სოციალისტური თეორიისა და მარქსიზმისადმი, მისი ეროვნულ-დემოკრატიული შეხედულებები.

დავით კასრაძის წერილში — „ესეც დარაზმვა!" — საუბარია სიტყვისა და საქმის ერთიანობაზე, რაც ქართ-

ველ ხალხში ჯერ კიდევ არ ჩანდა, განსხვავებით მეზობელი ხალხებისაგან, რომელიც მართლაც ირაზმებოდნენ ეროვნულ საქმეში და ეს პროცესი საქართველოს საზიანოდ მიმდინარეობდა.

მწერალს არასაკმარისად მიაჩნდა ქართველი ინტელიგენციის გამოსვლები იმ ანტიქართული მოვლენების წინააღმდეგ, რასაც ხელისუფლება მიმართავდა. მიუხედავად რამდენიმე ადამიანის თამამი გამოსვლისა, სხვები დუმდნენ. დ. კასრაძე ყურადღებას ამახვილებდა გაზეთ „საქართველოს" თამამ პუბლიკაციებზე, სოციალისტების უკანდახევაზე ეროვნულ საკითხებში. წერდა, რომ, სამწუხაროდ, ეროვნულ-დემოკრატთა აზრები ხშირად ხმად მღაღადებლისად რჩებოდა, მათ „რეტროგრადობას" სწამებდნენ, „უპროგრამო ხალხად" ნათლავდნენ, პრესაში სოციალისტები, კასრაძის აზრით, იმიტომ დუმდნენ, რომ რცხვენოდათ, როგორც ინტერნაციონალის მქადაგებელთ დაეცვათ ერის ღირსებები.

კონკრეტულ მაგალითად დ. კასრაძეს მოჰქონდა სოხუმის ოლქის მოკვეთა ქართული ეკლესიიდან, რაზედაც „საქართველომ" ხმა აიმაღლა, სხვა გაზეთებმა კი დუმილი ამჯობინეს. თანაგრძნობა სამღვდელოების მხრიდანაც კი არ იყო, რადგან ისინი ერთხელაც არ შეიკრიბნენ აღნიშნული საკითხის განსახილველადო, ერთხელ მოხდა რაღაც მსგავსი, მაგრამ მოვალეობის მოხდას უფრო ჰგავდა, ვიდრე გულმტკივნეული ხალხის შეკრებასო. ჩვენზე მეტად სხვები აღელდნენო, მაგალითად მოჰქონდა დურნოვოს პროტესტი, რომელიც ასევე გაზეთ „საქართველოში" დაიბეჭდა.

დავით კასრაძეს საჭიროდ მიაჩნდა ერის „დარაზმვის" სხვა ფორმა, მტკიცედ შეკავშირება ყველა სასიცოცხლო ეროვნული საკითხის გადასაჭრელად [12].

დავით კასრაძე წერდა ისტორიული ხასიათის წერილებსაც, სადაც თავის პოლიტიკურ შეხედულებებს, ეროვნულ ინტერესებს, ანტირუსულ სულისკვეთებას ავლენდა. ასეთი იყო მისი ვრცელი პუბლიკაციები „საქართველოში" — „ტანჯული გვირგვინოსანი", რომელიც იმერეთის მეფე სოლომონ

I-ს ეხებოდა.

წერილის დასაწყისში დავით კასრაძე ყურადღებას ამახვილებდა დავით არჩილის ძის ტახტზე ასვლის პერიპეტიებზე, მის ბრძოლაზე დავით გიორგის ძესთან, რომელიც, ერეკლეს დახმარებით, 1790 წელს ჩამოაგდო ტახტიდან და თავად ავიდა, რომ მასაც, ერეკლესავით სურდა რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა, მაგრამ მალევე დაინახა რუსეთის ღალატი. როდესაც აღა მაჰმად ხანთან ბრძოლაში 2000 ჯარისკაცით ჩასულმა ნახა, რა გაწბილებული იყო ერეკლე რუსეთისგან, მიხვდა იმპერატორის განზრახვას. დ. კასრაძე წერს: „რუსეთმა 1783 წელს დადებული ტრაქტატის ძალით არამცთუ ერეკლეს არ მოაშველა ჯარი, პირიქით, კავკასიის მთავარსარდალს გრაფს გუდოვიჩს პეტროგრადიდან ატყობინებდნენ, მაინცა და მაინც თავს ნუ გაიცხელებ, თვით სოლომონსაც ხელს ნუ შეუწყობ, რომ ერეკლეს დროზე დაეხმაროსო. მიზეზი აშკარა იყო: ამით რუსეთის მთავრობა ერთის სროლით ორ კურდღელს ჰკლავდა: ერთის მხრივ სტამბოლს არ მოიმდურებდა და მეორე მხრით ხელს შეუშლიდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შეერთებას, მის გაძლიერებას, რაც საზიანო იქნებოდა რუსეთთთან შეერთებისათვის. დიახაც, რუსეთისთვის უმჯობესი ყოველთვის იყო და იქნებოდა ქარველთა შორის კეთილგანწყობილება არ ყოფილიყო, არ შეერთებულიყვნენ და მიტომაც, სადაც საჭირო იყო ინტრიგების მოწყობასაც არ ერიდებოდა“.

ასეთ სწორ ისტორიულ ანალიზს აკეთებდა მწერალი — პუბლიცისტი. ის შემდგომ ისტორიულ მოვლენებს დაწვრილებით აღწერდა წერილში. მისი აზრით, სოლომონის სრული ანტირუსული განწყობილება და ბრძოლის დაწყება განაპირობა გენერალ ზუბოვის მიერ გარსევენ ჭავჭავაძისადმი მიწერილმა წერილმა — სოლომონი გადააყენეთ, რათა ოსმალთა რისხვა აიცდინოთო, ეს მოხდა ერეკლეს სიცოცხლეშივე.

ერეკლეს სიკვდილის შემდეგ კი, შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ, ბატონიშვილთა შორის ატეხილმა და-

ვამ ტახტზე, რუსეთის ძალადობრივმა მეთოდებმა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ, სოლომონი საბოლოოდ მოაქცია პოლიტიკურ ჩიხში. მან, როგორც დ. კასრაძე წერდა, — „რუსთა არც ერთი მოთხოვნა არ შეიწყნარა“, თუნდაც ის, რომ მისი წინა მეფის — დავით გიორგის ძის ვაჟი — კონსტანტინე გამოეშვა მუხურის ციხიდან. მან კარგად იცოდა, რომ ურჩი მეფის ადგილზე რუსებს პატიმარი უფლისწულის დასმა სურდათ. რუსეთმა გადაიბირა დასავლეთ საქართველოს სამთავროები წმინდა ანას ჯვრის მეშვეობითო, წერს კასრაძე, ანუ ჩინ-მედლებით მოხიბლა ქართველები და მეფე სოლომონი მარტო აღმოჩნდაო.

განსაკუთრებით მძაფრად ახასიათებდა მწერალი საქართველოს მთავარმმართებელს — ციციანოვს: „მეფე ერთგვარ სასოწარკვეთილებას მაშინ უფრო მიეცა, როდესაც კავკასიაში მთავარმართებლად ციციანოვი და არა ციციშვილი დაინიშნაო, — ხაზგასმით წერდა იგი. — ქართველი შთამომავლობით, უკეთ, ცუღლუტ ბედის მიერ ქართველად დაბადებული, იგი ჭეშმარიტ რუსზე რუსი იყო გონებით. ქართველთ მისგან ქართული არასოდეს გაუგონიათ. მისი გული რუსული სულით ჰფეთქდა. მან რუსეთის სკიპტრას დაუმორჩილა საქართველოს ბედნიერება, დამოუკიდებლობა, იგი სასტიკი იყო ყოველი ურჩისათვის, სასტიკი დევნა და შევიწროება დაუწყო სოლომონსაც“. — ასე აღწერდა ციციანოვის ანტიქართულ სულისკვეთებას და იმპერიულ ამბიციებს მწერალი. — ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს 1916 წელია, დრო, როდესაც რუსეთის იმპერია ჯერ კიდევ დგას და თავის კოლონიურ რეჟიმში აცხოვრებს „ინოროდცებს“. სოლომონის თავგანწირული ბრძოლის ჩვენებით, მისი ანტირუსული სულისკვეთების დახატვით მწერალმა თქვა თავის სათქმელი, გამოხატა საკუთარი დამოკიდებულებაც და ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა განმათავისუფლებელი ბრძოლის არსიც. [13].

წერილი საოცრად მხატვრულად, დიდი პუბლიცისტური სიმძაფრითაა დაწერილი, მაგრამ არ ჰკარგავს დოკუმენტური მასალებისადმი ერთგულების გრძნობას. ეს ვრცელი,

გაზეთის რამდენიმე ნომერში დაბეჭდილი მასალა შეიძლება საინტერესო წყაროდ გამოიყენოს XIX საუკუნის დასაწყისის იმერეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა და სოლომონ II-ის პიროვნებით დაინტერესებულმა ისტორიკოსმა.

დავით კასრაძე სამართლიანად აკრიტიკებდა ქარველ სოციალ-დემოკრატებს, ყოფილ მესამედასელებს, თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია სოციალისტური ძალების, პროლეტარიატის პირმშოდ რომ გამოაცხადეს და მომავლის პოლიტიკურ მიზნად პროლეტარიატის დიქტატურა დაასახელეს.

დ. კასრაძის აზრით, ძველი მთავრობა მთელმა ხალხმა დაამხო, რომელიმე სოციალური ფენის პრივილეგირებულად გამოცხადება კი საშიში და არასწორი იყო. ზეპარტიული მიდგომა საქართველოს მომავლისადმი ითვალისწინებდა პარტიების დაახლოებას, ერთიანი აზრის შექმნას, მართალია დასელებმა გაზეთის სათაურიც კი შეცვალეს — „თანამედროვე აზრი" — „ერთობად" გადააკეთეს, მაგრამ მიზანი მიუღწეველი დარჩა, ისინი არათუ ერთობის, არამედ ერის დაშლის მესვეურებად გამოდიან პროლეტარიატის გამორჩევითო.

კასრაძე არ ენდობოდა ნოე ჟორდანიას, რომელიც არ თანამშრომლობდა, მისი აზრით, ეროვნულ ძალებთან და პარტიებთან მაშინ, როდესაც სომეხ ხატისოვს, რუსეთში მოღვაწე ჩხეიძესა და კერენსკის ენდობოდა და უგზავნიდა პეტიციებს. „ჩვენი დასელები ჰღალატობენ ერთობის პრინციპს და ამ ჰეგემონიით (პროლეტარიატის) ჰსურთ მხოლოდ პროლეტარიატი აღჭურვონ უზენაეს უფლებით და თავისუფალი მოქალაქენი გათიშონ და თავიანთი იდეის ჩექმის ქუსლად გამოიყენონ. ისე გამოდის, თითქოს ჩვენი ერი მხოლოდ რუსთა და არარუსთა ბედნიერებისთვის უნდა გაინიროს, თითქოს პირადი ტკივილები არ აწუხებდეს. ადვილად შეიძლება ასეთმა განწყობილებამ მეტად ცუდი შედეგი გამოიღოს", — წერდა დავით კასრაძე და იმედს ისევ იმ დას-

ელებზე ამყარებდა, რომლებსაც მეტად აწუხებდა ერის ინტერესები, სურდა მისი კეთილდღეობა. ქართველ ერს ერთი ბატონის გადმოგდების შემდეგ მეორის გაბატონება სულაც არ უნდაო [14].

დავით კასრაძის წერილები I მსოფლიო ომის დროს მხატვრულად, მძაფრი ექსპრესიულობით განიხილავდა ომის პერიპეტიებს, საომარ ფრონტებზე შექმნილ მდგომარეობას თუ იმ ახალ პოლიტიკურ ძალთა გადაადგილებას, რაც ომმა გამოიწვია. ეს წერილები მკითხველთა დიდი ყურადღებით სარგებლობდა, მით უმეტეს, მანამდე არნახული ომის დიაპაზონი ხალხს აშინებდა კიდეც და აინტერესებდა, საქართველოს მომავალზე აფიქრებდა. მწერლის მიერ გაკეთებული ომის ანალიზი, ვარაუდები და ცალკეული ქვეყნების მიზნების გამოკვეთა, ასეთი ინტერესის მქონე მკითხველებს ერთგვარად აკმაყოფილებდა. დავით კასრაძე, შეიძლება ითქვას, გაზეთ „საქართველოს" პოლიტიკური მიმომხილველის როლში იყო.

მსგავსი ამოცანა ჰქონდა თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ დაწერილ მის წერილსაც — „1905-1917 წლები", სადაც მან მოკლედ აღწერა ის პოლიტიკური ტერორი, რეაქციის მძაფრი ხანა, რამაც დააზარალა არა მარტო ქართველი, არამედ რუსი ხალხიც, ყველა ადამიანი, „რომლისთვისაც მთავარი პატიოსნად შრომა და ცხოვრება იყო".

პირველად რუსეთის ისტორიაში, 1905 წლის რევოლუციამ წამოაყენა დევიზი, რომ მთავრობა დამორჩილებოდა საკანონმდებლო ორგანოს და ეს ახალგაზრდა კაკი წერეთელმა წარმოთქვა მგზნებარედ, თუმცა ხელისუფლებამ მალე, — დავით კასრაძის თქმით, — „ხიშტის წვერზე დააფუძნა კეთილგონიერებაც და უფლებაც".

დ. კასრაძე აღწერდა რეაქციის თარეშს, თერთმეტი წლის რუსულ აგონიას. 28 თებერვლის აქტს, მეფის ჩამოგდებას, ის ამ მძიმე წლების შედეგად მიიჩნევდა.

წერილი სანახევროდ დაჭრილია ცენზურის მიერ. საერ-

თოდ 10-იანი წლების პრესაში „თეთრი ლაქები", პუბლიკაციებში გამოტოვებული დაუბეჭდავი, სუფთა ადგილები ცოტა როდია. ასეა ამ წერილშიც.

წერილის ბოლოს დ. კასრაძე აფრთხილებდა ქართველ ხალხს, დალოდებოდა რუსეთში განვითარებული მოვლენების შედეგს, არ აჩქარებულიყო, არ ჩაბმულიყო იმ პროცესში და თავი არ დაეზარალებინა. იგი წერდა: „1917 წელს ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი მრისხანე სიტყვა, რუსეთი მის მოლოდინში უნდა იყოს, ქართველთ კი გვმართებს სიდინჯე და არა ისეთი აღტყინება, როგორიც მოხდა 1905-07 წლებში — რუსეთი უჩვენოდაც კარგად შესძლებს თავის საქმის მოგვარებას, ჩვენ კი უიმისოდაც ბევრი რამ გვაქვს საზრუნავი"[15].

ეროვნული იდეა, როგორც კოლექტიური ცოცხალი აზრი, სამარადისოდ მიაჩნდა დავით კასრაძეს. ერის ფიზიკური დასჯა არ გულისხმობს მის სიკვდილს, თუკი მისი კოლექტიური აზრი ეროვნულ იდეას არ ჰკარგავს, ერი ცოცხლობს და ვითარდება. მისი აზრით, წარსულში საქართველოს ჰქონდა ეს უკვდავი იდეა, მაგრამ რუსეთმა სცადა მისი ჩაკვლა და წაშლა, თუმცა კი — 116 წლის მანძილზე ვერ განახორციელა ეს შეცდომა.

რა იქნება, რა გველოდება? — კითხულობდა მწერალი და თვითვე პასუხობდა:

„დღეს ახალი ფარ-ხმალი გვჭირია, ვინ უნდა მოგვცეს? სადაა სამჭედლო, გრძნეული გრდემლი, მარჯვე წერაქვი? ვინ უნდა იყოს მჭედელი ჩვენი ბედისა? ვინ? ვინ და გადავხედოთ ისტორიას. ყოველთვის ასეთს შემთხვევაში ერი ტრიბუნს ეძებდა. ერის ტრიბუნი ხან მხედრის, ხანაც მონარქის სახით ევლინებოდა განსაცდელში ჩავარდნილ ქვეყანას"...

„ამ ტრიბუნის საყვირმა უნდა დაგვავიწყოს შინაური კინკლაობა, უთანხმოება, მანვე უნდა შეგვასმინოს სამშობლოს გულიდან აღმომხდარი კვნესა: ან ეხლა, ან არასოდეს!.."

მისი აზრით, ტრიბუნის როლი ძნელია. გამორჩეული ნინამძღოლი კი ქართველი ერისა არც ჩანდა ამ დროს. მხ-

ოლოდ ორი ადამიანის წარმოდგენა შეიძლებოდა, დ. კასრაძის თქმით, ამ როლში: კიტა აბაშიძის და აკაკი ჩხენკელის. შესძლებნენ თუ არა ისინი ერის ტრიბუნობას, ეს არ ვიცით ჯერო, მაგრამო, „ვიცით მხოლოდ, რომ ჯერ-ჯერობით ორთავე ღრმად ჩასწვდომია ჩვენი ერის გულის ჭრილობას და რომ ბედმა და ისტორიამ მათ დააკისრა უდიდესი მოვალეობა, — ერის ტრიბუნობა და მათ თავიანთ დროშაზე უნდა წააწერონ სამშობლო ქვეყნის დევიზი: ეხლა ან არასოდეს"-ო. [16].

დავით კასრაძის წერილი — „ახალი ღმერთების მოწოდება" — რუსეთის პოლიტიკური მოვლენების ფონზე ქართველი ხალხის ინტერესების განხორციელებას ისახავდა მიზნად. ის საზოგადოებას კერპთაყვანისმცემლობას უსაყვედურებდა, ამიერკავკასიის მთავრობისაგან რუსეთის ახალი ხელისუფლებისადმი დაპირისპირების რწმენას, მანიფესტების ნდობას დასცინოდა და წერდა: „რატომ ხდება ასე? რატომ და იმიტომ, რომ უფრო ფანტაზიორები ვართ, ვიდრე პრაქტიკულად მოსაქმენი, ჩვენში ჭარბობს ცირკული, გამაღიზიანებელი გრძნობა. შორეული გვიყვარს და აწმყო კი ვერ გაგვირკვევია. საზოგადო უფრო მალამოდ გვეცხება, ვიდრე საკუთარი, თეორიების ბურუსში გვიადვილდება ფრენა, ვიდრე სინამდვილის ნიადაგზე პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. სიტყვა ფრთას გვასხამს და გვაძმარებს პატარა საქმე. ამიტომაა, რომ ყოვლისფერი ხვალისთვის მიგვინდვია. „ხვალ იყოს... დამფუძნებელი კრება მოგვცემს... დამფუძნებელ კრებამდე საზოგადო საქმის ღალატი იქნებაო... ყოვლისფერი იქიდან..." [17].

მწერლის მიერ ეთნოფსიქოლოგიის წიაღში წვდომა ბუნებრივი იყო. ქართული ხასიათის ბევრი შტრიხი მისთვის გამაღიზიანებელი გახდა, განსაკუთრებით იმ მოვლენების ფონზე, რამაც ქვეყანაში 1917-18 წლების დასაწყისში იჩინა თავი. უპირველესად, ეს იყო რუსეთში მიმდინარე მძიმე პოლიტიკური პროცესები და ამიერკავკასიის დროებითი ხელისუფლების ქედის მოხრა რუსეთის წინაშე. ეროვნულ-დემოკრატებს ეჩ-

ქარებოდათ ავტონომიის მოთხოვნა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა, სოციალ-დემოკრატები კი ლოდინის ტაქტიკას არჩევდნენ, რუსეთში დამფუძნებელი კრების მოწვევას ელოდებოდნენ. ამ პროცესმა დიდხანს გასტანა. 1917 წლის ზაფხული და შემოდგომა დაძაბული გამოდგა რუსეთისთვის, ოქტომბრის გადატრიალებამ დაამხო დროებითი ხელისუფლება, მაგრამ არც მერე შეუცვლიათ ტაქტიკა ქართველ სოციალ-დემოკრატებს: რწმენა რუსეთის „დემოკრატიისა" და მისი დამფუძნებელი კრების ყოვლისშემძლეობისადმი არ დაუკარგავთ.

დავით კასრაძე ბევრს წერდა 1918-1921 წლებში მთავრობის არასწორ პოლიტიკაზე, მაგრამ ყოველთვის ხელისუფლების მხარეს იდგა, როდესაც საქმე საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და გარეშე მტრებისაგან ჩვენ ისტორიულ მინა-წყალზე პრეტენზიებს ეხებოდა. განსაკუთრებული აღშფოთება მან სახელმწიფოს მიერ სასულიერო სასწავლებლების გაუქმებისა და საღვთო სჯულის სწავლების აკრძალვისას გამოთქვა.

წერილში — „აჯანყებული ტრადიცია" — მწერალი წერდა, რომ საქართველოში მიმდინარეობდა უძველესი ტრადიციების ნგრევა. ამის გამოხატულებად მოჭარბებულ „დუიზმს", რელიგიური რიტუალების უარყოფას და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური წესების შეუსრულებლობას მიიჩნევდა. მკვდრებს უზიარებლად მარხავენო, — გულის ტკივილით ამბობდა მწერალი, „მარსელიოზას" სიმღერითა და თოფების ხათქა-ხუთქით მიაცილებენ მიცვალებულებსო. ამგვარ უზნეობას მხარი არ დაუჭირა ორმა მამულიშვილმა, მთავრობის ორმა წევრმა — ნოე ჟორდანიამ და კარლო ჩხეიძემ, დიდი მწუხარების ჟამს, ვაჟიშვილების დამკარგავმა ამ ადამიანებმა არ დაივიწყეს მამა-პაპური, მართლმადიდებლური ტრადიცია და შვილები ამ წესით დაკრძალესო. დ. კასრაძის თქმით, მთელი სამგლოვიარო მსვლელობა ორივე შემთხვევაში ხდებოდა საეკლესიო მამების მონაწილეობით. ამით, მთავრობის ამ დიდმა პირებმა, მაგალითი მისცეს

ხალხს, ეს ერის სულიერი ძახილი არისო, „რომელსაც განწირულებით ჩაბღაუჭებია ნაჯახდარტყმული და ნატორტმანებული მამათა ტრადიცია, რომელიც წამოწევისთანავე აჯანყებულა და თავისი დაკარგულის ადგილის დაჭერას მოითხოვს ჩვენს ცხოვრებაში"-ო [18].

დავით კასრაძის ეროვნულ-დემოკრატიული პუბლიცისტიკა, მის მხატვრულ მემკვიდრეობასთან ერთად, ნათლად მეტყველებს მისი ავტორის პროგრესულ აზროვნებაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების სწორად შეფასების უნარზე, მწერლის გამორჩეულ როლზე XX საუკუნის I მეოთხედის საქართველოს სულიერ ცხოვრებაში.

დავით კასრაძის წერილი — „ქალთა მონასტერი" კრიტიკულადაა მიმართული მონასტრული ცხოვრების მიმართ, მონასტრების მშენებლობების წინააღმდეგ, მიიჩნევს, რომ თანამედროვეობა ასეთ იმედებს გამორიცხავს, უფრო რეალურ, ცხოვრებისეულ ბძოლას ითხოვს, ვიდრე სამონასტროს.

ამ მსჯელობის ფონზე მწერალი კონკრეტულ ფაქტს ასახელებს: დაბეჩავებულ ქალებისათვის მონასტრის აშენების იდეას, სადაც მათ გასანათლებლად რუსი მონაზონი ქალები უნდა მოეწვიათ. მიმართვა იმპერატორის სახელზე, რომელსაც დავით კასრაძე აქვეყნებდა, ეკუთვნოდა ქართველ თავადებს, ისინი უხსნიდნენ იმპერატორს მონასტრის აშენების მიმდინარეობას, იმ პირობებს, რაც ამ მონასტერში შეიქმნებოდა, ასევე მიაჩნდათ, რომ ეს იქნებოდა ქართველთა მიერ იმ ცოდვის გამოსყიდვის ცდაც, რაც მათ რევოლუციაში მონაწილეობით ჩაიდინესო.

მწერალი დასცინოდა მთხოვნელებს და უხაროდა, რომ ეს თხოვნაც, როგორც ბევრი სხვა, უყურადღებოდ დარჩენილა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების მიერ [19].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა დავით კასრაძის წერილი „გზა და გზა", რომელიც 1916 წლის „საქართველოში" დაიბეჭდა გაგრძელებებით და სადაც მისი შთაბეჭდილებები იყო გადმოცემული საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ

მდებარე სოფლებზე, იქაურ მცხოვრებლებზე [20].

ავტორი ყურადღებას ამახვილებდა არა მარტო მთის მცხოვრებთა საშინელ ხვედრზე XIX საუკუნეში, რუსეთის ძალმომრეობაზე, არამედ თანამედროვე აუტანელ მდგომარეობაზე, რაც ომით და ამ მხარეში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირით იყო გამოწვეული. მწერლის აზრით, რუსეთმა, მთელს თავის იმპერიაში, მხოლოდ აქ დასტოვა ბატონყმობა, რადგან მთიელებს ბეგარად დაუწესა სამხედრო გზის შეკეთება. ყოველდღე 300-500 კაცი და ურემი გამოდიოდა გზაზე, მათ მანეთს უხდიდნენ, მაგრამ იშვიათად თუ აძლევდნენ ჯამაგირს, ხშირად ატყუებდნენ. ყველაზე მეტად მთას ჩრდილო კავკასიიდან ფრონტისთვის გამოდენილი საქონელი აზარალებდა. მესაქონლეები თელავდნენ გლეხთა ნათესებს, არ ეპუებოდნენ და პროტესტს თუ ვინმე გამოხატავდა, იარაღითაც უმასპინძლდებოდნენ. „მაგრამ მარტო ნათესს რომ ჰქონდეს საფრთხე — წერდა დ. კასრაძე, — ისიც დიდი ბედენა არ იქნებოდა მოხევეთათვის. უბედურება ის გახლდათ, რომ გზა-გზა მესაქონლეები მოხვედრილ ხარს თუ ძროხას, ან ცხენს თავიანთ საქონელში ურევენ და შემდეგ პატრონმა ბევრიც რომ თავი იმტვრიოს, ვერაფერს გახდება“.

ამას ემატებოდა საქონლის წართმევა ფრონტისთვის თავად მთავრობის მიერ. შიმშილობის დროს კავკავიდან მოჰქონდათ საკუთარი ხარებით პროდუქტი, ახლა ამასაც ვეღარ აკეთებდნენ, რადგან იქიდან ხშირად საქონელს ავადმყოფობა მოჰყვებოდა და მთავრობისაგან აეკრძალათ პროდუქტების ჩამოტანა. მოსახლეობის თხოვნით მიმართავდა ხელისუფლებას, ამის უფლება აღედგინათ მთიელებისათვის, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ. ასეთივე თხოვნა ეხებოდა ტყით და სათიბებით სარგებლობის უფლებას.

წერილების ამ სერიაში ბევრი ცოცხალი მაგალითია მოყვანილი რუსეთის ხელისუფალთა უსულგულობისა და მთიელ-გუდამაყრელთა და მოხევეთა ჩაგვრისა.

დავით კასრაძის წერილები — „აჭარელთა პროცე-

სის გამო" მიზნად ისახავდა მთავრობის ყურმოჭრილი მოსამართლეების მიერ აჭარელთა საქმის განგებ დამძიმების ჩვენებას; დავით კასრაძე, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული მოაზროვნე, მხარს უჭერდა აჭარელთა უდანაშაულობის მტკიცებას და გაზეთშიც იმ დოკუმენტებს ბეჭდავდა, რაც ამ მიზნის ასრულებაში დაეხმარებოდა მის თანამოაზრეებს, რომელთა იდეური საყრდენი გაზეთი „საქართველო" იყო[21].

ეს და სხვა, უამრავი საჭირბოროტო პრობლემა, რომელსაც დავით კასრაძის პუბლიცისტიკა ეხებოდა, ქართველი ხალხისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. მწერალი მათ მამულიშვილის პოზიციიდან, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე განიხილავდა. ამ ნააზრევის გაცნობა საჭიროა ეპოქალური მოვლენების უკეთ შესწავლისა და გაანალიზებისათვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დავით კასრაძე, ბროშურა საქართველოს შესახებ, გაზეთი „საქართველო", 101, 102; 1916 წელი.
2. დავით კასრაძე, სათათბიროს მოლოდინში, გაზეთი „საქართველო", 19, 1916 წლის 26 იანვარი."
3. დავით კასრაძე, „ჯაჭვის ნაწყვეტი".გაზეთი „საქართველო", 52, 1916 წელი,
4. დავით კასრაძე, „უდაფნო მგოსანი".გაზეთი „საქართველო", 62, 1916 წლის მარტი —
5. დავით კასრაძე, თვითმოქმედება, გაზეთი „საქართველო"66, 1916 წელი.
6. დავით კასრაძე, კლეოპატრა და კეისარი, .გაზეთი „საქართველო", 17, 1916 წელი,
7. დავით კასრაძე, „საზიმო სხდომა", გაზეთი .„საქართველო", 21, 1916 წელი,

8. იქვე.
9. დავით კასრაძე, „დაბდურა“.გაზეთი „საქართველო“, 24, 1916 წ.
10. დავით კასრაძე, „თანამედროვე ომი და პროფ. გრედესკული“ გაზეთი „საქართველო“, 2. 1916 წლის იანვარი.
11. დავით კასრაძე, ეროვნული ეროსი, გაზეთი „საქართველო“, 65,66, 1916 წელი.
12. დავით კასრაძე, „ესეც დარაზმვა!“გაზეთი „საქართველო“, 85, 1916 წელი,
13. დავით კასრაძე, ტანჯული გვირგვინოსანი.გაზეთი „საქართველო“, 80, 82, 1916 წელი,
14. დავით კასრაძე, პროლეტარიატის დიქტატურა, გაზეთი „საქართველო“, 60, 1917 წელი.
15. დავით კასრაძე, 1905-1917 წლები, გაზეთი „საქართველო“, 51, 1917 წელი.
16. დავით კასრაძე, ერის ტრიბუნი, გაზეთი „საქართველო“, 65, 1917 წელი.
17. დავით კასრაძე, ახალი ღმერთების მოწოდება, გაზეთი „საქართველო“, 105, 1917 წ.
18. დავით კასრაძე, აჯანყებული ტრადიცია, გაზეთი „საქართველო“, 77, 1919 წელი.
19. დავით კასრაძე, „ქალთა მონასტერი“, გაზეთი „საქართველო“, 283, 1916 წელი.
20. დავით კასრაძე, გზა და გზა, გაზეთი „საქართველო“, 146, 147, 158, 159, 160, 161, 168, 172, 174, 1916 წელი.
21. დავით კასრაძე — „აჭარელთა პროცესის გამო“, გაზეთი „საქართველო“, 156, 1916 წელი.

პეტრე მირიანაშვილი
(1860-1940)

პეტრე მირიანაშვილი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პედაგოგი და მთარგმნელია. ქართულ პრესაში მისი წერილები ეხებოდა საქართველოსთვის საჭირბოროტო საკითხებს, რასაც მის მიერ არჩეული რუბრიკაც („საჭირბოროტო") ადასტურებს. ამ პუბლიკაციებში კარგად ჩანს ავტორის ერუდიცია, მოვლენათა თავისებური შეფასების უნარი, საზოგადოებრივ ინტერესთა დაკავშირების მცდელობა ყველა კერძო შემთხვევასთან. თუ საქმე ეროვნულ საკითხს ეხებოდა, თუ მისი რწმენის საწინააღმდეგო მოვლენაზე ჰქონდა კამათი, პუბლიცისტი მაქსიმალისტი იყო, დაუნდობლად აკრიტიკებდა მისთვის მიუღებელს და ცდილობდა საკუთარი თვალსაზრისის მყარად დასაბუთებას.

პეტრე გრიგოლის ძე მირიანაშვილი დაიბადა ქალაქ ქუთაისში, 1860 წლის 21 თებერვალს. განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1882 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ აქ დიდხანს ვერ დაჰყო, 1884 წელს წავიდა პარიზში და სორბონის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. საფრანგეთითა და ფრანგული ენით გატაცება მისთვის ბუნებრივი იყო, რადგან მირიანაშვილი კათოლიკე იყო და „ფრანგიც", როგორც ამ რელიგიის მიმდევრებს ეძახდნენ საქართველოში. სორბონაში იგი ისმენდა გამოჩენილი მეცნიერების — რენანის, რამბოს, ლეტურნოს, ფლამარიონის,

დეშანელის და სხვათა ლექციებს. 1886 წელს, 26 წლის ჭაბუკი მშობლიურ ქალაქ ქუთაისში დაბრუნდა, აქ კლასიკურ გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ და ფრანგულ ენებს, შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ჩაება.[1] გაზეთ „დროებაში" იბეჭდებოდა პეტრე მირიანაშვილის წერილები, რომელთაც პეტერბურგიდან გზავნიდა. მისი ახალგაზრდობისდროინდელი პუბლიცისტიკა, ძირითადად, ქართველი კათოლიკობის ისტორიას ეხებოდა[2], წერდა ასევე ქართველოლოგიისადმი ევროპელ მეცნიერთა ინტერესებზე, ალექსანდრე ცაგარელზე, დავით ჩუბინაშვილსა და რუსეთში მოღვაწე სხვა ქართველებზე. „დროების" გარდა, ის რუსეთიდან და საფრანგეთიდან წერილებს აგზავნიდა ქუთაისში გამომავალ გაზეთ „შრომაში", „მწყემსში", „ივერიასა" და „თეატრში". XX საუკუნის 10-იან წლებში ბეჭდავდა გაზეთებში — „საქართველო" და „სახალხო საქმე". მირიანაშვილი წერდა ფსევდონიმებით: „პ.მ.", „კლდია", „მოგზაური", „ყარიბი" და სხვა. XX საუკუნის პრესაში მისი იმდენი და ისე მრავალფეროვანი თემატიკის პუბლიკაციაა დაბეჭდილი, რომ მათი განხილვა, ალბათ, ძნელი იქნება ერთ სტატიაში. 1900 წელს ის არჩეული იქნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად, იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მწერალთა პირველი ყრილობის აქტიური მონაწილე და სამდივნოს წევრი. მონაწილეობდა 1920 წლის 4 აპრილს გამართულ მწერალთა II კონფერენციაში, სადაც პრეზიდიუმის თავმჯდომარის — ნიკო ნიკოლაძის ამხანაგად აირჩიეს ვანო გომართელთან ერთად, მონაწილეობდა ლიტერატურულ პაექრობებში, ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბების საკითხზე გამართულ კამათში. ის არ იზიარებდა ქართველ მოღვაწეთა იმ აზრს, რომ სალიტერატურო ენა ყველა კილოკავის თანაბარი მონაწილეობით უნდა განვითარდეს, მის შექმნა-ჩამოყალიბებაში ქვეყნის ყველა კუთხემ ერთნაირი მონაწილეობა უნდა მიიღოს. პეტრე მირიანაშვილის რწმენით, დასაყრდენი ქართული სალიტერა-

ტურო ენისა, ქართლის კილო უნდა ყოფილიყო, მის შემდეგ კი კახურს ასახელებდა. იმერულსა და გურულს, საერთოდ დასავლურ ქართულ მეტყველებას ის აკრიტიკებდა და ამის გამო პრინციპული უთანხმოება ჰქონდა ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწე — სილოვან ხუნდაძესთან.[3]

პეტრე მირიანაშვილი XIX საუკუნის 90-იან წლებში განჯაში მუშაობდა მასწავლებლად, სწორედ იქ დაინტერესდა იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავით, იყო პოეტის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების ინიციატორი. მან შეისწავლა ბარათაშვილის საფლავის ადგილმდებარეობა, აცნობა ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილს, რომელთა თაოსნობით ეს საქმე 1893 წელს დიდი პოეტის დიდუბეში დაკრძალვით დასრულდა.

პეტრე მირიანაშვილი არის ქართული საოპერო ხელოვნების შედევრის — „აბესალომ და ეთერის" ლიბრეტოს ავტორი; მეგობრობდა ზაქარია ფალიაშვილთან, მელიტონ ბალანჩივაძესთან და სხვა ქართველ კომპოზიტორებთან, იყო ქართული ფილარმონიული საზოგადოების დამაარსებელი, ამ საზოგადოებამ კი დიდი როლი ითამაშა ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში.

პეტრე მირიანაშვილი იყო პოლიგლოტი, იცოდა რამდენიმე ენა: ქართულად თარგმნა ჰომეროსის, ევრიპიდეს, ესქილეს, გოეთეს შემოქმედება, ასევე ფრანგული, სომხური და არაბული ლიტერატურის ნიმუშები. დიდი კულტუროლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ ქართულ ენაზე შუალედური ფრანგული ენიდან „ყურანის" თარგმნას. მას ძალზე აინტერესებდა სამშობლო ქვეყნის ისტორია, მისი წარსული ეთნოკულტურა, ლიტერატურა, იყო ამ კულტურის საუკეთესო მცოდნე და შემფასებელი, ამ თემებზე გამოქვეყნებული აქვს უამრავი ნარკვევი.

პეტრე მირიანაშვილი გარდაიცვალა 1940 წლის 15 აგვისტოს. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ჩვენი ინტერესი გამოიწვია იმ პუბლიკაციებმა, რომელიც არაა შესწავლილი და ეხება XX საუკუნის 10-20-იან წლებს,

განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს.

პეტრე მირიანაშვილი სოციალისტ-ფედერალისტი იყო და როგორც ამ იდეოლოგიის მატარებელი, მომხრე იყო მშრომელი ხალხის სოციალური უფლებების დაცვის, მისი ეკონომიკური ძლიერების მოპოვებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გზით შეცვლის. თავდაპირველად ეთანხმებოდა საქართველოს ავტონომიას რუსეთის ფედერაციაში, თუმცა, შემდგომში დამოუკიდებლობის მგზნებარე დამცველად იქცა. მის წერილებში გაკრიტიკებულია რუსეთის იმპერიული ამბიციები საქართველოსადმი, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიები, განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს შესვლის თემა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველების ბედი და სხვა.

პეტრე მირიანაშვილი წერდა როგორც თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მწვავე მოვლენებზე, ასევე საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის საკითხებზე.

ანტანტის ჯარების მიერ არზრუმის აღების ცნობას 1916 წელს გაზეთ „საქართველოში" მან მიუძღვნა ისტორიული ხასიათის წერილი, სადაც წერდა, რომ არზრუმი, საიდანაც გზა იშლებოდა თურქეთის ქალაქ ტრაპიზონისაკენ, ოდესღაც საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი იყო. არზრუმი, იგივე კარნუ ქალაქი, ბევრჯერ აუღიათ ქართველებს, აქ ეთნიკური ქართველებიც დიდხანს ცხოვრობდნენო. ტრაპიზონი ძველი ქალდეაა, ისიც ქართველთა სამკვიდროაო, — ირწმუნებოდა ავტორი.

მირიანაშვილი იხსენებდა არზრუმის ვილაიეთში არსებული ბახიანის ხეობას, მას ეთნოგრაფიული საქართველოს ნაწილად მოიაზრებდა, მკითხველს მოუთხრობდა ილია ჭავჭავაძის დის, ქვრივი ელისაბედ საგინაშვილის მოურავის, ჩიკოიძის მოგზაურობას ამ მხარეში, ვისთანაც მას ულაპარაკია და გაუგია, რომ ჩიკოიძეს ბახიანში ქართულად

მოლაპარაკე მოსახლეობა უნახავს, რომელთაც უთქვამთ, რომ ათადან და ბაბადან აქ ცხოვრობდნენ მათი წინაპრები. მირიანაშვილი ვახუშტი ბატონიშვილსაც იმოწმებდა, რომ XVIII საუკუნეში აქ ჯერ კიდევ იჯდა ქართველი ეპისკოპოსი — არზრუმელი. ასევე, საქართველოს ისტორიულ ნაწილად თვლიდა ავტორი ტრაპიზონს, წმინდა ნინოს — ჭანეთის ქვეყნის — კაპადოკიის შვილად, აქედან მოსულად მიაჩნდა 13 ასურელი მამა, ამბობდა, რომ აქაურ სირიელებს და ჭანებს ბერძნები „თეთრ სირიელებს", გლავკო სირიოი-ს ეძახიანო, იმ ქალდეველებისგან, ანუ სირიელებისგან გასაცალკევებლად, რომლებიც მესოპოტამიაში დარჩნენო. ქალდეველი და ქართველი ერთი და იგივე სიტყვაა, — ამტკიცებდა პ. მირიანაშვილი.

ბოლოს, მკითხველს იმასაც შეახსენებდა, რომ ტრაპიზონში სოლომონ მეორეა დამარხული, 1783 წლის ტრაქტატით კი რუსეთი დაჰპირდა საქართველოს ამ ისტორიული მიწების უკან დაბრუნებასო.[4]

ამ ფაქტის გახსენებით, პუბლიცისტი იმედს განუმტკიცებდა მკითხველს, რომ თურქეთისგან მისაკუთრებული ძველი ქართული პროვინციები რუსეთის ჯარის მიერ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ კვლავ დაუბრუნდებოდა საქართველოს.

პეტრე მირიანაშვილის წერილი — „სალამი ქართველ მუსულმანებს", მიმართული იყო აჭარელი ქართველობისადმი. ეს თემა ამ პერიოდში ძალზე გააქტიურდა იმის გამო, რომ აჭარლები „დაადანაშაულეს" რუსეთისადმი, ე.ი. თავის სახელმწიფოსადმი ღალატში. სინამდვილეში, ეროვნული მოძრაობის გამო, აჭარაში არსებული ეროვნულ-დემოკრატიული ცნობიერებით, საქართველოსთვის უმჯობესად იქნა მიჩნეული თურქეთთან კავშირი, ვინაიდან თურქეთი გერმანიის ბლოკში შედიოდა, საჭიროდ ჩაითვალა რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა, რითაც მოშორებული იქნებოდა რუსეთის კოლონიური უღელი. ამდენად, ეს ღალატი კი იყო რუსეთის მიმართ, მაგრამ აჭარელთა მოქმედება საქართველოს სი-

ყვარულით იყო განპირობებული. უამრავი აჭარელი იქცა ლტოლვილად, პასუხისგებაში იქნენ მიცემული დამნაშავენი, რამაც ქართველი მოწინავე საზოგადოება აღაშფოთა და დარაზმა აჭარელთა დასახმარებლად. პეტრე მირიანაშვილის წერილი ეხებოდა აჭარელთა განათლების საკითხს, ქართულ ენაზე ყურანის თარგმნას, ომის საშინელებას, რამაც კვლავ გააჩინა საფრთხე ამ კუთხის შვილთა მიმართ.

„ქართველობა გასნირა მუხთალმა წუთისოფელმა, მაგრამ იხსნა განგებამ, — წერდა პეტრე მირიანაშვილი. დიდი ხნით დაშორებულ ძმათა დასაახლოვებლად ორჯერ მოგვევლინა განსაცდელი, ორჯერვე ომის სახედ. რაც რამ სიკეთე გაგვაჩნია, რითაც კი თავი მოგვწონს სხვა ერთა წინაშე, შეგვძინა იმ თემმა და კუთხემ, რომლის შვილებადაც თქვენ ითვლებით. დიახ, ბევრი რამ გვმართებს, მაგრამ ვალი კი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გადაგვიხდია.

გულს მიხარებს, რომ თქვენი შვილები სწავლობენ ჩვენს გიმნაზიებში. უნებურად მაგონდება ის სანატრელი დრო, როცა საქართველოს სხვა თემთა შვილი, ქალნი თუ ვაჟნი, მოდიოდნენ სასწავლებლად თქვენს წინაპართა სასწავლებლებში, როგორც მაგალითად ხახულს, ტბეთს, შატბერდს, მერეს და სხვაგან.

ჩვენი დაახლოვება ამჟამად იმდენად განმტკიცებულია, რომ აღარ დაგვჭირდება, ღვთით, ახალი ომის განსაცდელი. დღეს ჩვენი და თქვენი გამყოფი მხოლოდ რჯულია, მაგრამ თქვენი სარწმუნო ისლამი და მუსულმანი ერები ჯერ კიდევ თქვენმა სახელოვანმა შვილმა, დიდებულმა ბრძენმა შოთა რუსთაველმა გაგვაცნო თავისი ვეფხისტყაოსნით.

ხალხი, ვეფხისტყაოსანში მოხსენიებული, ღმერთსა და მუსაფს მინდობია, მაგრამ ქრისტიანი ქართველობა დღესაც მოწიწებით იხრის ქედს ამ საოცარი ქმნილების წინაშე. ჩვენი შემაერთებელი ამიერიდან უნდა იყვეს სული და სიბრძნე ვეფხისტყაოსნისა, ხოლო თქვენ ჩვენთვის გზად და ხიდად სხვა ტომის მუსულმან ერებთან კავშირის და მეგობრობის ჩამოსაგდებად. აი, მოციქულებრივი მოღვაწეობა, რომელიც

ბედმა გარგუნათ. თქვენი რჯულის სიმტკიცედ მე გითარგმნეთ ყურანი, რაკი ეს საშვილიშვილო საქმე შთამაგონა თვით ამ წმინდა წიგნმა, სადაც დიდებულმა წინასწარმეტყველმა მუჰამედმა უბრძანა არაბებს, მე გიბოძეთ ყურანი არაბულის ენით, რათა უფრო გასაგები ყოფილიყო თქვენთვისაო."

ქართულად ყურანის თარგმნას ასე ამართლებდა პეტრე მირიანაშვილი და მისგან გაწეულ ამ დიდ საქმეს ქართულ საქმედ მიიჩნევდა, ვინაიდან აჭარელი ქართველები უპირველესად პატრიოტები იყვნენ თავიანთი ქვეყნისა და მთელ მაჰმადიანურ სამყაროსთან მისი კეთილი ელჩები.

პეტრე მირიანაშვილის ისტორიული ხასიათის წერილებს მიეკუთვნება „ჭანეთის და ჭანების საკითხი", რაც წარმოადგენდა 1916 წლის გაზაფხულზე რუსეთის ჯარების მიერ არზრუმის აღებისადმი მიძღვნილი მისივე წერილის გაგრძელებას.

ტრაპიზონს ჭანეთის ცენტრად თვლიდა პეტრე მირიანაშვილი, მიაჩნდა, რომ ეს იყო ჭანებისაგან ქალდედ წოდებული ქალაქი. ის ბუნებრივი ნაწილია ეთნოგრაფიული საქართველოსი (სამეგრელო) და მესხეთზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვისო, ამტკიცებდა პუბლიცისტი. წერილი ეროვნულ-დემოკრატების პერიოდულ ორგანოში, გაზეთ „საქართველოში" დაიბეჭდა. იდეოლოგია, რომელსაც, ძირითადად, ეროვნულ-დემოკრატიული ძალები, მათი პარტია და პრესა ავრცელებდა ქართველ ხალხში, ნაწილი იყო იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენით, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობითა და ისტორიული მხარეების დაბრუნებით რომ უნდა დასრულებულიყო.

პეტრე მირიანაშვილი აღნიშნულ წერილში საუბრობდა ამ მხარის განსაკუთრებულ სულიერ მნიშვნელობაზეც, რაც ქრისტიანობის გავრცელებასა (IVს.) და მის განმტკიცებაში გამოიხატა VI საუკუნეში, როდესაც 13 ასურელი მამა აჭარიდან შემოვიდა ცენტრალურ საქართველოში მართლმადიდებლური ქრისტიანობის დასაცავად და განსამტკიცებლად,

ცეცხლთაყვანისმცემლობის დასათრგუნად. პუბლიცისტი აქაურ ქართველთა არც სხვა ისტორიულ ღვაწლს ივიწყებდა: „ძველ ქართველთა ნაოსნობას და ხუროთმოძღვრებას, ჩემის აზრით, სათავეში უნდა დგომოდნენ ჭანები,— წერდა იგი, ჯერ კიდევ 60-იან წლებში (საუბარია XIX საუკუნის 60-იან წლებზე.დ.ჭ.) ჭანებს ნაოსნობა ჰქონდათ გამართული რიონზე და და რიონის სათავის ხეობიდან ბზა ჩამოჰქონდათ. საუკეთესო ხის დარბაზები, ძველი ქართული ხუროთმოძღვრებით ნაშენი, სულ მათი აგებულია. ვაჭრობაშიაც უნდა ყოფილიყვნენ გართულნი, რადგანაც, დღევანდლამდისაც, თუმც ოსმალეთის საბრძანებელში სცხოვრობდნენ, ახერხებდნენ რუსეთში ვაჭრობას და მისვლა-მოსვლას."

ჭანები იგივე მეგრელები არიანო, — აცნობდა მკითხველს პუბლიცისტი, ლაპარაკობენ მეგრულთან საერთო ენაზე, მხოლოდ რჯულით არიან მუსულმანები, სუნიტები; ტანზე გურულებივით ჩაქურად იცვამენო. თუ რატომ ჭირდებოდა ჭანების ისტორიის გარკვევა, პ. მირიანაშვილი წერილის ბოლოს, დასკვნის სახით აწვდიდა მკითხველს: „რაკი ასეა, ჭანების, ჭანეთის საქმე ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც აჭარისა და სხვა სამაჰმადიანო საქართველოსი, პირველ რიგზე უნდა დავაყენოთ და გავუწოდოთ ხელი ყოველგვარი დახმარებისა, რომელიც ეგრე საჭიროა ჩვენი ერთობის სიმტკიცისათვის და დიდი რუსეთის ინტერესებისთვისაც".[5]

მაშასადამე, ქართველი ინტელიგენცია, I მსოფლიო ომის მიმდინარეობის ჟამს, სამაჰმადიანო საქართველოს დაბრუნებას იმედოვნებდა რუსეთის დახმარებით, ისევე, როგორც ეს მოხდა აჭარა-ახალციხის შემთხვევაში. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ეროვნულ-დემოკრატთა პროდასავლურ ორიენტაციას, ეს მეტად მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, რომ ეროვნულ-დემოკრატებს, უპირველესად, საქართველოს ინტერესები ამოძრავებდათ და ცალსახად გამოკვეთილი არც ევროპული და არც რუსული ორიენტაცია არ ჰქონიათ, მითუმეტეს, რუსეთი ამ დროს ჯერ კიდევ მყარად იდგა პოლი-

ტიკური თვალსაზრისით და სამეფო ძალაუფლების სრული კრიზისი არ ჩანდა.

პეტრე მირიანაშვილი, პირველ რიგში, როგორც პატრიოტი მოღვაწე, შემდეგ კი ყურანის ქართულ ენაზე მთარგმნელი, ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართველი მაჰმადიანების ბედისადმი. მას ყველაზე მეტად თურქეთში დარჩენილი ქართველობის ბედი აწუხებდა. ის იმედი, რომ 1914-1918 წლების ომში ამ ტერიტორიის ბედი ქართველთა ეროვნული ინტერესების შესაბამისად გადაწყდებოდა, არ აღსრულდა. მართალია, გერმანია-თურქეთის კავშირი ომში საბოლოოდ დამარცხდა, მაგრამ ბოლშევიკურმა რუსეთმა მათ დამარცხებამდე სცნო თავი დამარცხებულად, როდესაც სეპარატული ზავი შეკრა მოკავშირე ქვეყნებთან და თურქეთს მიაკუთვნა ისტორიული ქართული პროვინციები: არდაჰანი, ყარსი და ბათუმის ოლქი. თურქეთმა არ შეასრულა ბრესტის ზავით დაკისრებული ვალდებულება, არ ჩაატარა რეფერენდუმი ამ ტერიტორიებზე, რათა ისინი მხოლოდ მოსახლეობის დადებითი პასუხის შემთხვევაში მიეერთებინა. მან ჯერ იარაღით დაიპყრო ბრესტის ზავით მიკუთვნებული ტერიტორია, შემდეგ კი იარაღით შეშინებულ ხალხში ჩატარებული რეფერენდუმით თანხმობა მიიღო მის დაკავებაზე. გერმანიის დაპირებების გამო, საქართველო დროებით შეურიგდა ამ მდგომარეობას, 1918 წლის 4 ივნისს საქართველოს მთავრობამ ხელშეკრულება გააფორმა თურქეთთან, სადაც დაკანონდა ის რეალური ვითარება, რაც სასაზღვრო-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით ჰქონდა ამ ორ ქვეყანას. გერმანიამ შეასრულა დაპირება და აგვისტოში (1918წ.) რუსეთთან ბრესტის ზავის შესაბამის მუხლში შესწორება შეიტანა, რომლის ძალითაც თურქეთს მიკუთვნებული ისტორიული პროვინციები კვლავ საქართველოს დაუბრუნდა. სანამ ეს მოხდებოდა, ქართველი ინტელიგენცია თურქეთთან დადებულმა ზავმა შეაშფოთა. მათ შორის იყო პეტრე მირიანაშვილიც, რომელმაც გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებულ წერილში — „ზოგი რამ“ — გააკრიტიკა ქართული

მხარის მიერ, მაჰმადიანი ქართველების დასაცავად, დოკუმენტში ჩადებული ძალზე სუსტი დამცავი მექანიზმები. პუბლიცისტი იმედოვნებდა, რომ იმ ერთ თვეში (წერილი 12 ივნისის ნომერში დაიბეჭდა), რაც დოკუმენტის რატიფიკაციას ჭირდებოდა, საქართველოს ხელისუფლება ჩაფიქრდებოდა და გამოასწორებდა მდგომარეობას, ხელშეკრულებაში თურქეთში მცხოვრებ ქართველთა დასაცავად საჭირო პუნქტებს შეიტანდა. აი, რა შესწორებებს ითხოვდა მირიანაშვილი: მისი აზრით, თურქეთში მცხოვრებ მაჰმადიან, კათოლიკე („რომისა და სომხის ეკლესიების") და მართლმადიდებელ ქართველებს თურქეთის სახელმწიფოში თავისებური ანგარიში უნდა გაწეოდათ. თუ საქართველოში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები, ამ საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულნი იყვნენ თავიანთ ლოცვაში თურქეთის სულთანი ედიდებიათ, თურქეთის ქართველი მაჰმადიანებისათვის იმის ნება მაინც უნდა მიეცათ, რომ „თავიანთი ტომისა და რჯულის ქართველი" მოლა ჰყოლოდათ. სხვა რელიგიური კონფესიებისათვის კი ის ითხოვდა: „კათოლიკე ქართველობა უნდა დარჩეს სამწყსოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალ ვიკერის ან ეპისკოპოსისა, ხოლო მართლმადიდებელი ქართველობა საქართველოს რესპუბლიკის მართლმადიდებელ ქართველთა ეკლესიის იურისდიქციას უნდა დაექვემდებაროს".

იმავე ეკლესიის უწყებაში უნდა გადასულიყო — პუბლიცისტის აზრით — თურქეთის საზღვრებში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები. ქართული ენის სწავლებას, თეატრის, ჟურნალ-გაზეთების, სკოლების, სამრეწველო, კულტურული და საქველმოქმედო საზოგადოებების დაარსებას თურქეთის ქართველ მაჰმადიანებში, ხელი უნდა შეწყობოდა როგორც თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან, ასევე, საქართველოს მთავრობას უნდა ეზრუნა ამ საკითხის მოსაგვარებლად. ქართველ ხალხთან მათ მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდათ და არაფრით არ უნდა შეზღუდულიყო მათი მოქალაქეობრივი და კულტურული უფლებები.

პეტრე მირიანაშვილი, როგორც მისი თაობის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, სწორად აფასებდა საქართველოს წარსული და მომავალი ურთიერთობების ფორმებს მეზობლებთან, პირველ რიგში, საქართველოს დამპყრობელ ორ იმპერიასთან: რუსეთთან და თურქეთთან. ის აკრიტიკებდა ჩრდილოელი მეზობლის პოლიტიკას, ბრჭყალებში სვამდა სიტყვას „მფარველი", რადგან მიაჩნდა, რომ ასჩვიდმეტი წლის მანძილზე რუსეთმა ვერ მისცა ქართველ ხალხს მაღალხარისხოვანი განათლება, მირიანაშვილის აზრით, ქართველობას „იმის საშუალება არ ეძლეოდა, რომ ბუნებრივად შეეთვისებინა, თუ რამ კარგი გააჩნდა რუსულ კულტურას, მუხრუჭშემოჭერილი ჩვენი მოზარდი თაობის გონება ასჩვიდმეტი წლის განმავლობაში, ნამდვილი მუჟიკური ექსპერიმენტების საგნად ჰქონდათ ჩვენს ძალად მაცხონე პოლიტიკან პედაგოგებს, რომ ბოლოს გაემუჟიკებინათ ჩვენი ერი, მრავალათასწლოვანი კულტურის წყალობით, სულით და აღნაგობით რჩეულთა შორის ურჩეულესი."[6]

პეტრე მირიანაშვილი გაზეთის საშუალებით აკრიტიკებდა დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას პირველი კლასიდან რუსული ენის სავალდებულო საგნად დაკანონების შესახებ, ეს მას ძალზე საშიშად და მიუღებლად მიაჩნდა: „სამინისტროს განზრახვა თუ საქმედ იქცა (აგვაშოროს კი განგებამ!), —წერდა იგი, — ხელახლა მიგვჭედავს მოსკოვთან, რადგანაც ჩვენი ახალთაობა ისევ რუსეთისკენ იწყებს დენას მაღალი სწავლის შესაძენად, მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა დასავლეთ ევროპის ორიენტაციას დადგომია. ჩვენი ინტელიგენციის აგდება, არად ჩაგდება, დაბრიყვება რუსეთის ცრუ ლიბერალებისა და ცრუ დემოკრატებისაგან, სხვათა შორის, იმითაც აიხსნება, რომ ვერ შევძელით ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის საჭირო პროცენტი ევროპაში აღგვეზარდა, რომ ერთგვარი კადრი შეგვექმნა მოსკოვურ კულტურაზე დამოუკიდებელი ინტელიგენციისა".

პუბლიცისტის აზრით, რუსული ენის პირველი კლასიდან

სწავლების დაკანონება თავსმოხვევა იქნებოდა იმ ინტელიგენციისათვისაც, რომელსაც პოლიტიკურად აღარ სურდა რუსულთან რაიმე საერთო ჰქონოდა, შვილებისათვის ევროპული ენების სწავლება ერჩია, ვიდრე იმ ენისა, რომელმაც „ნაბუშარს დაამსგავსა შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის თავხსნიერი ქართული მეტყველება". ის დასაშვებად თვლიდა რუსული ენის ფაკულტატურ სწავლებას, რაც შეეხება ევროპულ ენებს, ევროპული ორიენტაციის ქვეყანაში, მათ შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა, სკოლებს გარდა, ენის შემსწავლელი კურსები უნდა შექმნილიყო ყველგან, მთავრობა უნდა დახმარებოდა ხალხს, რომ უფასოდ ან მცირედი გადასახადით მაინც, შეესწავლა ის ენები, რომელთა საშუალებით დაუახლოვდებოდა და შეითვისებდა ევროპულ კულტურას, ცხოვრების ნამდვილი გარდაქმნის გზას მოძებნიდა. ასეთი აზროვნება, ამ დროისათვის, რა თქმა უნდა, პროგრესული იყო და ქართველი ერის ინტერესებსაც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი თვეები მეტად მძიმე იყო ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის. გარეშე მტრების არმიას შინაურებიც ემატებოდნენ, პოლიტიკური ოპოზიციაც, მეტადრე ეროვნული ძალები, ბევრ რამეში არ ტყუოდნენ და სამართლიანად აკრიტიკებდნენ იმ შეცდომებს, რომელსაც სოციალისტური მთავრობა უშვებდა. პეტრე მირიანაშვილი, როგორც სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულების პუბლიცისტი, მთავრობის პოლიტიკურ ორიენტაციას, მის პოლიტიკურ კურსს, ძირითადად ამართლებდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან, როგორც ვიცით, ამ დროს სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები ერთ პოლიტიკურ ბლოკში იყვნენ.

პეტრე მირიანაშვილმა გააკრიტიკა ის ოპოზიციური აზრი, რომელსაც არ ეიმედებოდა გერმანიასთან კავშირი. იგი იმოწმებდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს, როდესაც 11 ივნისს გერმანიაში ჩავიდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი აკაკი ჩხენკელი, რომელმაც მთავრობის

წინაშე წაიკითხა მოხსენება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ და მოითხოვა — გერმანიასა და მისი მოკავშირეებს საგანგებო კონფერენცია მოეწვიათ საქართველოს მომავალი ბედის განსაზღვრისათვის. გერმანიამ მოიწონა წინადადება და ამგვარი კონფერენციის მოწყობა სტამბოლში გადაწყვიტა; შეირჩა გასაგზავნი დელეგაციაც: ევგენი გეგეჭკორი (თავმჯდომარე), ნიკო ნიკოლაძე, ირაკლი წერეთელი, გრიგოლ რცხილაძე, გენერალი ოდიშელიძე და გიორგი გვაზავა. თბილისში ჩატარდა გერმანიისა და საქართველოს ჯარის დიდი აღლუმიც. ყველაფერი ეს მირიანაშვილს აძლევდა იმედს, რომ გერმანია საიმედო პოლიტიკური პარტნიორი იქნებოდა საქართველოსათვის, მაგრამ პუბლიცისტი შიშობდა სხვა მიზეზების გამო.

პირველ რიგში, ის ეხებოდა თბილისის საქალაქო საბჭოში არაქართველი ხმოსნების სიმრავლეს, რუსული ენის გამოყენებას და ქართულის უარყოფას. ახსენებდა საბჭოს ხელმძღვანელობასა და დეპუტატებს, რომ ისინი რუსული მმართველობის დროს იყვნენ არჩეულნი და ახალი არჩევნებისას ქართველი ხალხი ან აირჩევდათ, ან — არა. მეორეც, ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებს ასახელებდა, ამბობდა, რომ სხვა ერები იქაც მრავლად იყვნენ, მაგრამ სახელმწიფო ენის ხელყოფას ვერავინ ბედავდა. „ქალაქის გამგეობამ თავისი სახიფათო პოზიცია თუ არ გამოიცვალა და კართაგენობა განაგრძო, — წერდა პეტრე მირიანაშვილი, — მის მეტი არ დაგვრჩენია, რომ ვთქვათ: „სიმილემ მუნიციპალიტეტემ დელენდამ ესსე“ („ამგვარი თვითმმართველობა უნდა მოსპობილ იქნას“).

პუბლიცისტის აზრით, ოსმალეთის მსგავსი ხელშეკრულებები უნდა დადებულიყო აზერბაიჯანსა და სომხეთთან. იგი სახიფათოდ თვლიდა აზერბაიჯანის მიერ პანთურქული და პანისლამისტური პროპაგანდის წარმოებას საქართველოში, ასევე „პანარმენიზმს“, მიაჩნდა, რომ გრიგორიანი ქართველები უნდა დაბრუნებოდნენ მშობლიურ წიაღს, რადგან ისინი ძალით იყვნენ ამ რჯულზე მოქცეულნი,

სომხურ ეროვნულ სკოლებში კი, რომლებიც ეთნიკური სომხებისათვის იარსებებდა დემოკრატიულ საქართველოში, ქართული ენა სავალდებულო საგნად უნდა ყოფილიყო.[7]

პეტრე მირიანაშვილი რუბრიკით — „ზოგი რამ" ყოველთვის იმ მტკივნეულ საკითხებს ირჩევდა, რაც ყველაზე მეტად აწუხებდა მისი დროის ქართველ საზოგადოებას. ერთი ასეთი მტკივნეული თემა დემოგრაფია, — ერის გამრავლება იყო. თუ სახელმწიფო რიცხობრივადაც არ მოლონიერდებოდა, ისე არც პოლიტიკური დამოუკიდებლობა გამოადგებოდა და ვერც ეკონომიკურ სიძლიერეს მოიპოვებდა. პუბლიცისტი იგონებდა ქართველ ნიჰილისტთა იმ თაობას, სენატორ გიორგი მუხრანბატონის სახით, რომელსაც ბუნებრივად მიაჩნდა დიდი ერისაგან მცირე ერთა ჩანთქმა-ასიმილაცია. ბუნების კანონთა საწინააღმდეგოდ თვლიდა მირიანაშვილი ამ აზრს, მაგალითად ზღვები და ოკეანეები მოჰქონდა: ასე რომ იყოს, იქ სულ ვეშაპები და გიგანტი თევზები იცხოვრებდნენ, წვრილი ცხოველები კი აღარ იქნებოდნენო, ხმელეთზე ლომი და ვეფხვი იქნებოდა მარტოო, „ბუნებას კონტრასტები უყვარს, ზღვასთან ერთად წყაროც სდის და ვარდთან ერთად იაც ჰხარობს"—ო; რომ გადარჩეს და გაძლიერდეს, პატარა საქართველოს გამრავლება უნდაო. მაგალითად მოჰქონდა გერმანია, სადაც სხვადასხვა წამახალისებელი საშუალება იყო მთავრობის მიერ შემუშავებული, რაც ერის გამრავლებას შეუწყობდა ხელს.

საქართველოში მცხოვრები არაქართველებისათვის მტკივნეული თემა იყო აგრეთვე წარმოება-დაწესებულებების ნაციონალიზაციის საკითხი.მირიანაშვილს მოჰქონდა რუსული გაზეთის „ედინენიეს" პუბლიკაცია,სადაც დაგმობილი იყო საქართველოს სარკინიგზო დაწესებულებებში, რუსული ენის ნაცვლად, ქართულის დამკვიდრება, „ქვო ვადის!" — ლათინურად დაგვჩხავიან თითქოს, საით მიდიხართო — ივერიამ იცის, საითაც მიდის და რად უნდა მშობლიური ქართული ყველა დაწესებულების ენად იქცესო. პარალელურად, პუბლიცისტი აყენებდა საკითხს, უცხოეთიდან დაბრუნებუ-

ლი ქართველების მოწყობის შესახებ, ქართველ მოხელეთა კავშირის საქმიანობაზე, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა კადრების აღზრდისა და საქმის წარმოების ქართულ ენაზე გადაყვანისათვის. „ედინენიეს" ბრალდებებს მირიანაშვილი ლოგიკურად სცემდა პასუხს და მშობლიური ენის საჭიროებას, რუსულ ენასთან მიმართებაში მის დიდ ღირებულებას ქართველი ხალხისათვის ასე ასაბუთებდა: „რუსული ენა არც ღვთის ენაა, არც ანგელოზის, არც ბულბულისა, ისევე, როგორც ყველა სხვა ენა. მაშასადამე, რა საფუძველი უნდა მქონდეს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ეგოიზმის უქონლობის მეტი, რომ ქართული ენა გავცვალო რუსულში. არც ქართული, არც თათრული, არც სომხური არაფრით არა სდგას უფრო დაბლა, ვიდრე რუსული. არც თვით ის ხალხი, რომელნიც იმ ენებს ჰლაპარაკობენ, ჩამოუვარდებიან რუსებს. თუმცა ასე შეიძლება ადერბეიჯანმა და სომხეთმა რუსული ენა დაიტოვონ სახელმწიფოებრივ ენად, მაგრამ ის ხალხი, რომელიც არის შემოქმედი „ვეფხისტყაოსნისა", თავის დამცირებად ჩათვლის რუსული ენის გაბატონებას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ამისათვის, ყველას, ვისაც მიიღებს თავის სამსახურში და ჯამაგირს მისცემს, კიდეც მოსთხოვს სახელმწიფოებრივი ქართული ენის საფუძვლიან ცოდნას."[8]

ენისა და მოქალაქეობის საკითხს პეტრე მირიანაშვილი ხშირად უბრუნდებოდა თავის პუბლიკაციებში. მას აღელვებდა ამ საკითხის დროზე გადაწყვეტა, რადგან ეს, მისი აზრით, დაკავშირებული იყო ქართული არმიის შექმნასთან. სანამ მოქალაქეობის საკითხი არ განისაზღვრებოდა, მანამდე ჯარი მხოლოდ ქართველებისაგან უნდა შემდგარიყო. ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას ის 1918 ზაფხულშივე მოითხოვდა, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე და ამისათვის, კონსტიტუციის შემუშავებამდე, სპეციალური დეკრეტის მიღებას თვლიდა საჭიროდ.

პეტრე მირიანაშვილი ეხებოდა პარლამენტისა და დეპუტატის ქცევის ნორმებსა და ზნეობრივ სახესაც. მისი აზრით,

ქართულ სახელმწიფოებრიობას ჰქონდა ისე სახელოვანი წარსული, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას ისეთი დიდი ტრადიცია, რომ პარლამენტის დეპუტატს უნდა გაეთვალისწინებინა იგი, ყოფილიყო „დარბაზის ერის" ტრადიციის დარბაისელი გამგრძელებელი, მისი სიტყვა პარლამენტში — უნდა ყოფილიყო გონიერების, სიდინჯის, აზრის დალაგებულობის ნიმუში, გარანდული ფორმით ნათქვამი, რითაც ის უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა მსმენელებზე თუ ამ აზრის წამკითხველზე. პარლამენტარს უნდა ცმოდა კარგად , დახვეწილი გემოვნებით, ის არ უნდა დამსგავსებოდა რუსეთში გერმანიის ელჩს — მირბახს, რომელიც დაუდევარი და უკულტურო ჩაცმით იქცევდა ყურადღებას. „პარლამენტარი არ უნდა იყოს უკულტურობის ბუდე, — წერდა პ. მირიანაშვილი, — დეპუტატი ცდება, თუ ჰგონია, რაკი რუსული სწავლა-განათლება მიუღია, ის კმაროდეს ქართული კულტუროსნობისათვის. ბევრი მინახია აკადემიელ უნივერსიტეტელი ქართველი, ხოლო ქართულად ყოვლად უცები, სამწუხარო იქნება, თუ ჩვენს პარლამენტსაც დასჩემდა ქართული უკულტურობა, ქართული უცებობა".[9]

მირიანაშვილს ამ აზრს ათქმევინებდა ზოგიერთი მაშინდელი დეპუტატის ცუდი ქართული მეტყველება, ემოციებს აყოლილი გამონათქვამები, რომელსაც ქართული პოლიტიკისათვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო. ქართული ხასიათისათვის ასე დამახასიათებელი „უცებობა" — დაუფიქრებლობა ყოველთვის ზედმეტი და გასაკიცხი იქნება ქართული სახელმწიფოს, მისი ხელისუფლებისათვის, მით უმეტეს, ისეთი ორგანოსათვის, რომელიც თვითონ აკანონებს და ქმნის ქვეყანაში მოწინავე სამართლებრივ, ზნეობრივ და კულტურულ ატმოსფეროს.

პეტრე მირიანაშვილი ხშირად წერდა სასკოლო რეფორმის მიმდინარეობაზე, აკრიტიკებდა მის ზოგიერთ პროექტს. მაგალითისათვის მოჰქონდა სომხური, რუსული და სხვა სკოლების სახელმწიფო ხარჯით შენახვა. მისი აზრით, რუსული სკოლებისა და სემინარიისათვის არც რუსეთის

სახელმწიფო ბალანსზე გადასვლის უფლება უნდა მიეცათ, რადგან ეს საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხს დაამცირებდა. სკოლების ნაციონალიზაცია თანდათან უნდა განხორციელებულიყო, რუსულენოვან მასწავლებლებს, ქართული ენის შესასწავლად დრო მისცემოდათ. რუსული ენისათვის ადრე არსებული სტატუსი დროზე უნდა მოეხსნათ, რათა რუსებს არ ეფიქრათ, რომ ქართველი მარადიულად „დობროდუშნია", ხოლო ჩვენი ქვეყანა იგივე „ბლაგოდატნაია გრუზია".

ქართული ენის, განათლების საკითხს უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა პუბლიცისტი და წერდა: „სახელმწიფოს არსებობას ყველაზე უფრო ამტკიცებს ეროვნული სკოლის პრინციპი. ეს პრინციპი მოითხოვს ძირითად გაეროვნულებას მთავრობის სკოლებისას და ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში ქართულის სწავლებას, როგორც სახელმწიფოებრივი ენისას, დაუყოვნებლივ გაგზავნას ევროპაში ახალგაზრდებისას, რომელთაც საქართველოში უნდა ჩამოიტანონ სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის გამოსადეგი ცოდნა. ამ საჭიროებას უნდა მოხმარდეს ხარჯი, განზრახული რუსული კულტურის გასაძლიერებლად იმ სახელმწიფოში, რომელიც სამუდამოდ ჩამოშორდა მიხაილ პოტაპიჩ ტაპტიგინის ორიენტაციას."[10]

საქართველოში გამომავალი რუსული პრესა — „ედინენიე", „ზაკავკაზსკოე სლოვო", „სოციალ-დემოკრატი" და სხვები აკრიტიკებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, სახელმწიფო დაწესებულებათა და სკოლების ნაციონალიზაციას. თვით ქართველი პუბლიცისტებიც, რომლებიც, გარუსებულ-გასომხებულნი, ანტიეროვნულ პოზიციაზე იდგნენ, იყვნენ ზოგჯერ ამ ანტიქართული შეხედულებების ავტორები. ასეთი ავტორთაგანი იყო ლევან ყიფიანი, რომელიც შეცდომად მიიჩნევდა ნაციონალიზაციას და თვლიდა, რომ თუ ქართველი ხალხი რუსულ ენას დაუტოვებდა ადრინდელ ფუნქციას, ამით სხვა ერების მეგობრობას დაიმსახურებდა. ეს აზრი პეტრე მირიანაშვილის გაკვირვე-

ბა-აღშფოთებას იწვევდა: „ვერ გაგვიგია, —წერდა იგი, — საქართველომ, რომელსაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა და კულტურა შეუქმნია, რად უნდა გამოატყვრინოს უცნაური მაგალითი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრინციპის გაარარავებისა. მაგალითად, რუსეთის ბოლშევიკური რესპუბლიკისათვის დაწესებულებათა ნაციონალიზაცია რად არის ბუნებრივი და საბედნიერო და ასეთივე ნაციონალიზაცია საუბედუროდ რად უნდა ჩაითვალოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის?.."

ქართველი პუბლიცისტი დასცინოდა „კავკაზსკოე სლოვოს" რუს ავტორს — იასტრებოვს, რომელიც თვლიდა, რომ ნაციონალიზაციით ქართველი ერი კულტურულ ძალებს ჩამოიშორებდა, რადგანაც განათლებული ხალხი აკლდა. მირიანაშვილი რუს პუბლიცისტს ახსენებდა მისი ქვეყნის შავრაზმულ პოლიტიკას კავკასიაში, სიტყვა „საქართველოს" აკრძალვას და მის მიმართ ასეთ დასკვნას აკეთებდა: „ასეთ აზრს იქადაგებს ის კაცი, რომელიც ან მოსკოვის კვლავ აქ გაბატონებას უნდა ეტრფოდეს, ან უნდა იყოს გულუბრყვილო მუჟიკი, რომელსაც სახელმწიფოებრიობის ქმნა ბორშჩის ჭამა ჰგონია".[11]

მირიანაშვილი იხსენებდა ფონ კიულმანის სიტყვას რეიხსტაგში, მის მიერ გამოთქმულ მოსზრებას — ამიერკავკასიაში ქართული სახელმწიფოს უპირატესობაზე. მიაჩნდა, რომ სომხეთის პრეტენზიები — მისი მთავრობა საქართველოს დედაქალაქში დარჩენილიყო, უცნაური და დაუსაბუთებელი იყო, თუმცა ამით სომხები თავიანთ ფარულ ზრახვებს ავლენდნენ საქართველოს დედაქალაქისა და ზოგიერთი ქართული ტერიტორიის მიმართ. მირიანაშვილი ხვდებოდა, რომ მეზობლებს აღიზიანებდათ საქართველოს მტკცე სვლა მომავლისაკენ, მისი დამოუკიდებლობა. ამ გაღიზიანებას გამოხატავდა გაზეთ „ედინენიეს" პუბლიცისტი „ნექტოს" ფსევდონიმით. მირიანაშვილის ვრცელი წერილი და ისტორიული ექსკურსი ქართული ქალაქების — ძირითადად თბილისის მშენებლობასა და მის დიდებულებაზე, იმ წერილმა გამოი-

წვია, სადაც ავტორი ამტკიცებდა: თბილისი რუსებისა და სომხების აშენებულია და თუ ისინი წავლენ, ქალაქი ვეღარ გაიზრდება, აღმშენებლობის გენია ამ ორმა ერმა თბილისს მოახმარაო. პუბლიცისტს მოჰქონდა ქართველი და უცხოელი ავტორების ნაწერები, იოანე შავთელის „აბდულმესია" და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", რომელთა საშუალებითაც ხატავდნენ ძველ თბილისს, მის ნაგებობებს, ბაღებს, მოედნებს, სავაჭრო ქარვასლებს. დამოუკიდებელი საქართველოს ფარული მტრები ქართველი ხალხის წინააღმდეგ შეთქმულან, დროა ეს სტუმრები „საიდანაც მოსულან, იქით წაბრძანდნენ, რადგან დიდი ხანია ოქროსა და ვერცხლის ღირებულება დაუკარგიათ და სპილენძად გადაქცეულან, როგორც ამბობს ქართველი ხალხის სიბრძნე"-ო, საქართველოს დიდი ტრადიციები აქვს და ურუსოდ და უსომხოდ გაძლებს, დაიცავს თავის დედაქალაქს და კვლავ ააშენებსო. სომხების მიერ თბილისის აშენებას ის დასცინოდა, რადგან სომხები ქართველი ხალხისათვის წართმეული ფულით აკეთებდნენ ამასო. ივანე გომართელის სიტყვებს იხსენებდა, თბილისში სომხის მარტო აგურიაო. „ნექტო" ამაოდ გვაკვეხნის რუსის და სომხის ხალხის აღმშენებლობით გენიას. არც გვჭირია, არცა გვშურს. კარგს იზამენ „ნექტოები", თუ მიაშურებენ თავიანთ სამშობლოს და იმას მოახმარენ თავიანთ აღმშენებლობით გენიას"-ო, ირწმუნებოდა ქართველი პუბლიცისტი.[12]

პეტრე მირიანაშვილი ხშირად უბრუნდებოდა ქართველი ხალხის გამრავლების საკითხს. დემოგრაფიული პრობლემის სახელმწიფო რანგში აყვანას ითხოვდა იგი და საჭიროდ თვლიდა მრავალშვილიანების დაჯილდოვებას, დაუქორწინებლობისათვის სპეციალური ჯარიმების დაწესებას, ავადმყოფთა ქორწინების აკრძალვას. პარალელურად, პუბლიცისტი ეხებოდა შინაური ცხოველების მოშენებისა და მოვლა-პატრონობის საკითხს. ესეც ერის კულტურის ნაწილად მიაჩნდა, თვლიდა რომ მას წარსულში დიდ ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი წინაპრები, XX საუკუნის დასაწყისში კი —

პირუტყვის ჯიშების გამოყვანა და მოვლა მივიწყებული იყო, სახელმწიფოს ეკონომიკური აღორძინება უამისოდ გაძნელდებოდა.[13]

წერილში — „სადღეისო", პეტრე მირიანაშვილი იხილავდა სამაჰმადიანო საქართველოსადმი აზერბაიჯანის დამოკიდებულებას და წერდა: „ადერბეიჯანი რომ პატარა ოსმალეთის როლს ასრულებს კავკასიის ამიერრესპუბლიკებში, ეჭვგარეშეა. ადგილობრივი მაჰმადიანი, ყველა თავისი ნათესავი და მერჯულე ჰგონია და თავი მოაქვს მის მფარველ-დამცველად"—ო. ის აღწერდა, როგორ ისარგებლეს მათ საქართველოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით და თავისი მფარველობის ქვეშ შეიყვანეს საინგილო, მანამდე კი აქაურები ააჯანყეს ქართველების წინააღმდეგ. ეს, მირიანაშვილის აზრით და სწორი დასკვნით, აზერბაიჯანის მთავრობის გათამაშებული პოლიტიკური ხერხი იყო. ამასვე აპირებდნენ მესხეთ-ჯავახეთში, მაგრამ აქ საქართველოს ჯარმა ჩაუშალათ განზრახვა. აზერბაიჯანის სახელმწიფო ახლა დაარსდა, მისი სახანოები, კერძოდ: განჯისა და ერევნისა, ერეკლეს ემორჩილებოდა, ხარკს აძლევდა ქართლ-კახეთის მეფეს, ხოლო ყაზახ-შამშადილი საქართველოს ნაწილს შეადგენდა. ზაქათალას, მესხეთ-ჯავახეთის, აფხაზეთისა და აჭარის მოსახლეობაში პროპაგანდას, მათი გადაბირების ცდას უწუნებდა პუბლიცისტი აზერბაიჯანელ აგიტატორებს და გამოთქვამდა მტკიცე რწმენას, რომ ამ ტერიტორიებს საქართველოს ხელისუფლება და ჯარი დაიცავდა.[14]

1919 წლის დაგეგმილ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციას პეტრე მირიანაშვილმა უძღვნა სტატია, სადაც გამოჰყო მთავარი პრობლემები, რაც ამ მეტად მნიშვნელოვან ხალხთა შეკრებაზე უნდა გადაწყვეტილიყო. პუბლიცისტს ესმოდა რა დიდი წინააღმდეგობები, ტერიტორიული თუ სხვა სახის პრეტენზიები ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ კავკასიის ახლად ჩამოყალიბებულ ქვეყნებს. ბევრი მათგანი ჯერაც არ გათა-

ვისუფლებულიყო რუსეთის ბატონიბისაგან. დენიკინური თუ ბოლშევიკური რუსეთი არ თმობდა ძველ იმპერიულ ამბიციებს. რუსეთის წინააღმდეგ განმანთავისუფლებელ ბრძოლაში ურთიერთდახმარება და შეკავშირება, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეისადმი ერთგულება — პეტრე მირიანაშვილს უპირველეს ამოცანად მიაჩნდა. მისი აზრით, ყველა კავკასიელ ხალხს უნდა ჰქონოდა შეგრძნება იმისა, რომ ამ კავშირის გარეშე ვერ იარსებებდა. ისტორიულად ყოველთვის ასე იყო: თუ კავკასიის ხალხები შეკავშირდებოდნენ, ყველა მტერს ამარცხებდნენ. „ასეთი კავშირი როცა ექნებათ კავკასიონის რესპუბლიკებს, მაშინ ჩვენდა გადასაყლაპავად გამზადებული რუსეთის შავი და წითელი გენერლები კი არა, საფრანგეთ-ინგლისის გამარჯვებული იმპერიალიზმიც ვერას დაგვაკლებს", —წერდა ის და იქვე გამოთქვამდა ეჭვს და შიშს, ასეთი გაერთიანება ძნელი ან თითქმის შეუძლებელი რომ იყო ინტერესთა იმ სხვადასხვაობის გამო, რაც ამ რესპუბლიკებს ჰქონდათ. „მაშინ, როდესაც ადერბეიჯანი გადაფაფრებია საინგილოს, — აზუსტებდა პუბლიცისტი, — როცა სომეხთა კერძო ჯგუფები ყალბ ინფორმაციებს აწვდიან ევროპულ პრესას საქართველოს თაობაზე, მათივე დელეგაციას მომავალი „სომხეთის იმპერიის" რუკაში ტფილისიც მოუქცევია, ჩვენ ვშიშობთ, ვაითუ ვერ მოხერხდეს ხსენებული რესპუბლიკების შეთანხმება და ერთის მტერი მეორემ თავის მეგობრად აღიაროს".[15]

პუბლიცისტის შიში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ეყრდნობოდა და სავსებით შეესატყვისებოდა საქართველოს მაშინდელ დამოკიდებულებას უახლოეს კავკასიელ მეზობლებთან. ამ შიშს ისიც აძლიერებდა, რომ ახლახანს შემოსული ინგლისელები არაფერს აკეთებდნენ პოლიტიკური ვითარების გასაჯანსაღებლად, ხელს არ უშლიდნენ ბათუმში გაბატონებულ დენიკინელებს და თითქოს კიდეც მფარველობდნენ მათ. ამაზე ერთხმად წერდა იმდროინდელი ქართული პრესა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანსაღ კავშირს უპერსპექტივოდ თვლიდა.

მირიანაშვილს ესმოდა საქართველოს პოლიტიკური ვითარების სირთულე, გარეშე მტრების წინააღმდეგ მჭიდროდ შეკვრისა და დაპირისპირების აუცილებლობა, ამიტომ წერდა მტიკვნეულად აფხაზეთის თემაზე; აფხაზების რუსული ორიენტაცია, მშობლიური ენისადმი დამოკიდებულება, მომავალში ამ მხარის გარუსებისა და სრული ეთნიკური ასიმილაციის საფუძვლად მიაჩნდა. ამ ტკივილს პუბლიცისტი გამოხატავდა ისტორიული ექსკურსის ფონზე, ახასიათებდა იმ წვლილს, რაც აფხაზეთს, როგორც ერთიანი ქართული კულტურის შემადგენელ ნაწილს მიუძღვოდა ძველი ქართული ხელოვნებისა და კულტურის შექმნაში.[16]

პეტრე მირიანაშვილის პუბლიცისტიკა დამოუკიდებლობის წლებში რამდენჯერმე შეეხო ისეთ მტკივნეულ თემას, როგორც საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, მათ შორის არსებული სახელმწიფოებრივი საზღვრები თუ სომხური დიასპორის როლი იყო სომხეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

პუბლიცისტი განსაკუთრებით შეაშფოთა „დიდი სომხეთის" იდეამ. მიუხედავად ამისა, მიესალმებოდა სომხეთში შექმნილ საზოგადოებას — „დეპიჰპაიკ"—ს (სომხეთისაკენ). საზოგადოება მიზნად ისახავდა ლტოლვილ სომეხთა სამშობლოში დაბრუნებას. ამ საკითხის მოგვარება, მისი აზრით, გაანელებდა იმ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ „სიმწვავეს", რაც იგრძნობოდა სხვა ქვეყნებში დასახლებულ სომხებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობაში. „საზოგადოების დაარსება საღი პოლიტიკური აზროვნების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, — წერდა პ. მირიანაშვილი, — და სასწაულადაც, რადგანაც ეხლანდელი თავმჯდომარე სომხეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსი, - ა. ხატისიანცი, თუ თვით არა არის ინიციატორი დეპიჰპაიკისა, იძულებული გახდება უარჰყოს ის პოლიტიკა, რომელიც იმის მამას – ი. ხატისოვს, როგორც სახელმწიფო მამულების გამგებელს, უკარნახებდა, რომ მოსახლეობის ხელოვნური სიჭრელის გასაჩენად ლტოლვილი სომხობა დაებინავებინა მესხეთ-ჯავახეთში, რომელსაც

მოსყიდული აგენტები აცლევინებდნენ გულუბრყვილო მაჰმადიან ქართველებს ქადაგებით: „თუ არ გადასახლდებით ოსმალეთს, რუსის მთავრობა გაგაქრისტიანებთ და სალდათობის ბეგარას მოგახდევინებთო“ — ასე აღწერდა სომეხთა „წვლილს“ ქართველთა გასახლებაში პეტრე მირიანაშვილი, რადგან „ზოგიერთ აგენტებში“ სწორედ იმ სომხებს გულისხმობდა, რომლებიც ამ საქმის ორგანიზატორები იყვნენ. რა თქმა უნდა, სომხურ-რუსული ინტერესების გაერთიანება უწყობდა ხელს სომეხთა ამგვარ პოზიციას. პუბლიცისტი აღწერდა იმ ძალადობას და შეუბრალებელ პოლიტიკას, რასაც იჩენდნენ მაჰმადიანი დამპყრობლები ქართველთა მიმართ, ჰკლავდნენ სარწმუნოებრივი სიმტკიცისათვის, ტყვედ იგდებდნენ და სამშობლოს წყვეტდნენ უამრავ ახალგაზრდას. „კერძო მოწამეთა გარდა, — წერდა მირიანაშვილი, — ისტორიამ იცის მასობრივი თავგანწირვის თუ წამების ამბავი, მესხეთ-ჯავახეთის ქართველობა სოფლობით გადაცვინულა მოდიდებულ მტკვარში, დედების და ბავშვების კალო ულეწნიათ და ძმათა კრებული მონასტერში გამოუწვავთ და ტყვედ წაუსხამთ გასაშენებლად თავიანთი უდაბნოებისა“. ის იხსენებდა ასევე, ქართველ ხალხზე შეწერილ ადამიანთა ბეგარას, თბილისში არსებულ სპეციალურ მოედნებს, სადაც ადამიანებით ვაჭრობა წარმოებდა, სპარსელი დიდებულების სწრაფვას — ქართველი ქალ-ვაჟების სისხლით გადაეხალისებინათ საკუთარი ჯიში. ისეთი ძნელი იყო ქართველთა ცხოვრების პირობები მაჰმადიანურ ქვეყნებში, რომ თუ არა ქართველთა გამძლეობა, მთლიანად ამოწყდებოდნენ. მირიანაშვილი აყენებდა საკითხს, რომ შესაძლო იყო იქ მცხოვრებ ქართველთა გადმოსახლება სამშობლოში, რისი სურვილიც მათ დიდი ხანია ჰქონდათ, მაგრამ რუსეთი საქართველოს ტერიტორიას თავისი ხალხის დასასახლებლად იყენებდა, რათა მთლიანად გაერუსებინა. ამჟამად კი ამის შესაძლებლობა იქმნებოდა. პეტრე მირიანაშვილს ამისკენ სომხური საზოგადოების დაარსებამ და მიზანმა უბიძგა; დარწმუნებული იყო, სომხებზე უკეთ, ამას ქართველები შე-

ძლებდნენ, რადგან ქართველს უფრო უჭირდა სხვის მიწაზე ცხოვრება, ვიდრე სომეხს. ეს ისტორიული ტრადიციაც იყო და ეროვნული ჩვეულებაც. ამის გამოყენებას და საქართველოს დაკარგული შვილების დაბრუნებას ითხოვდა პუბლიცისტი, როდესაც წერდა: „ჩვენ არც ისე ბევრი ვართ, რომ ოსმალეთ-სპარსეთში ქართველობა დავტოვოთ ღვთის ანაბარად, პირიქით, მათს გულის წადილს თანაგრძნობით უნდა შევხვდეთ და დავასახლოთ ისინი ზოგიერთ მაზრაში, მოსასპობად ეროვნული სიჭრელის, რომელიც ხელოვნურად გაუჩენიათ ჩვენს მტრებს ადგილის დასაჩემებლად."

პუბლიცისტი აყენებდა წინადადებას, გახსნილიყო სპარსეთში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობა, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებდა, გამართავდა მოლაპარაკებებს სპარსეთის მთავრობასთან, რათა ნება დაერთო იქაური ქართველების სამშობლოში დაბრუნებისათვის, უნდა შექმნილიყო სომხური საზოგადოების მსგავსი ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდებოდა „გურჯისტანისკენ", რადგან მისი მიზანი მაჰმადიანურ ქვეყნებში გასახლებულ ქართველთა დაბრუნება იქნებოდა, მათ გურჯები, ხოლო საქართველოს გურჯისტანი ეწოდებოდა. საქართველოში უნდა მომზადებულიყო ნიადაგი მათ ჩამოსასახლებლად, ჩამოსახლებულები გადასახადებისგან დროებით მაინც უნდა განთავისუფლებულიყვნენ. „მესხეთ-ჯავახეთის და ბორჩალო-ზაქათალის ადგილები საჭიროა იმ ქართველთათვის, რომელნიც სამშობლოსათვის ულმობელ ბედს მოუწყვეტია, სცხოვრობენ ოსმალეთ-სპარსეთში და სწყურიათ ისევ დაუბრუნდნენ თავიანთ მამა-პაპების სამკვიდროთ."

მირიანაშვილი ითხოვდა მაჰმადიან ქართველთა ბედის სასწრაფოდ გადაწყვეტას. პუბლიცისტს სწამდა, რომ მაჰმადიანი ქართველობა ბევრ სიკეთეს მოუტანდა საქართველოს, ბევრ სახელოვან გმირს და სწავლულს აღუზრდიდა დედა-სამშობლოს.[17]

1919 წელს დამოუკიდებლმა საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბერძნეთთან. პეტრე მირიან-

აშვილი შეეხო ამ საკითხს და გამოთქვა საკუთარი მოსაზრებები ამ ორი ქვეყნის მომავალი ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტზე. განსაკუთრებული ინტერესი მან საქართველო-საბერძნეთის მომავალი კულტურული ურთიერთობებისადმი გამოიჩინა, იმედი გამოთქვა, რომ ჩვენი ქვეყანა დაიბრუნებდა იმ დიდ საგანძურს, ათონის ივერიის მონასტერში რომ ჰქონდა უძველეს დროს. დროის უკუღმართობას აბრალებდა პუბლიცისტი ამ ლავრის ბერძნებისათვის გადაცემას და იმედოვნებდა, რომ დადგებოდა მისი საქართველოსათვის დაბრუნების დრო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საკითხი უნდა დაესვა საბერძნეთის მთავრობის წინაშე, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქთან შეათანხმებდა მას და საქართველოს დაუბრუნებდა იმ ძვირფას ქართულ ხელნაწერებს, რომელიც ამ მონასტერში იყო დაცული. პეტრე მირიანაშვილი იხსენებდა ალექსანდრე მესამის მცდელობას, ლავრის ხელში ჩასაგდებად. „დღეს საქართველოს სახელმწიფო არსებობს და სრული უფლებაც აქვს — მოითხოვოს თავისი საერო საკუთრება. თორნიკე ერისთავის და ექვთიმე და გიორგი ათონელების ღვაწლს ჩვენი დემოკრატია ვერ დაივიწყებს და მონიწებით შეინახავს თავის საერო მუზეუმში ათონის ივერიის ლავრის ძვირფას ქართულ ხელნაწერებს სასიქადულოდ ქართველი ხალხისა და საწვრთნელად მისი ახალთაობისა“, — წერდა მირიანაშვილი. ის იხსენებდა ასევე, 1882 წელს ქართველი ათონელი ბერის — ბენედიქტე ბარკალაიას მიერ ათონის ივერთა მონასტრის საქართველოსათვის გადმოცემის საკითხის აღძვრას, ქართულმა საზოგადოებამაც მიაქცია მას ყურადღება, მაგრამ ვერას გახდა, რადგან თავად რუსეთს სურდა ამ ლავრის ხელში ჩაგდება, ისევე, „როგორც არა ერთი და ორი საუნჯე ჩვენი ერისა, ძალადობით, თუ ვერაგულად დაუჩემებია“, — წერდა პუბლიცისტი.[18]

პეტრე მირიანაშვილი გაზეთ „სახალხო საქმის“ მკითხველს აცნობდა წელთაღრიცხვის უძველეს ფორმებს — ქორონიკონს, ჟამის ანგარიშს და მუზნურ თვლას. ამ ცნო-

ბების წყაროდ ის ასახელებდა ცნობილ სწავლულსა და ლექსიკოგრაფს — დავით ჩუბინიშვილს.

მისეულ ქორონიკონის ათვლაში წინააღმდეგობაა დღევანდელ ათვლასთან. თუ ჩვენი ისტორიოგრაფია დღეს თვლის, რომ 780 წელს დამთავრდა XII ქორონიკონი და დაიწყო XIII, პეტრე მირიანაშვილის აზრით, 780 წელს III ქორონიკონი დაიწყო. არ ჩანს, პუბლიცისტს რა ჰქონდა აღებული საწყის თარიღად და III ქორონიკონიც საიდან გამოჰყავდა. თუ ამას არ ჩავთვლით, ის ქორონიკონის გამოანგარიშების სწორ მეთოდს ასწავლიდა მკითხველს.

აი, რას წერდა პუბლიცისტი ჟამისა და მისი ნაწილების შესახებ, ასევე მუზნურ თვლაზე:

„ჟამი არის მეოცდაოთხე ნაწილი დღე და ღამისა, L ჟამისა — წენტილი ან უბი. წენტილი — 15 წამი, წამი — 60 წუთი (სეკუნდი), C წუთი — 1 კესი, C კესი — 1მასი — 1 არდი, C არდი — 1მეყი, C მეყი — 1 წენი, C წენი — 1 ვაწე (ტერცია), C ვაწე — 1 ბლისი, C ბლისი — ნივიანი ან ნვინი, 1 ნვინი — L ტერცია“.

მისი სიტყვით, მუზნური თვლა ეწოდებოდა ათად გამრავლებას. მაგ.: 10X1=10, 10X10=100, 10X100=1000, 10X1000-10 000 ან ბევრი. 10X10000=100 000 ან ბევრის ბევრი; 10X100 000=1 000 000 ანუ უშქარი. 10X 1000 000 = 10 000 000 ანუ უშტი. 10X10 000 000=100 000 000 ანუ უშტის უშტი.

ასეთი აღრიცხვის დადგენას მირიანაშვილი მიაწერდა იოანე შავთელს, „აბდულმესიანის“ ავტორს, რომელიც, მისი აზრით, მათემატიკოსიც უნდა ყოფილიყო. ეს გადმოცემის სახით არსებულა, რასაც ის გარემოება სდებია საფუძვლად, რომ შავთელი გელათში ცხოვრობდა და მის მიერ მონასტრის სამხრეთის კედელზე ამოკვეთილია მზის საათი ანუ საჟამური.[19]

პეტრე მირიანაშვილი დამოუკიდებლობის წლებშიც აგრძელებდა ცნობილ პედაგოგთან და საზოგადო მოღვაწესთან — სილოვან ხუნდაძესთან კამათს ქართული ენის საკითხზე. დამოუკიდებლობის წლებში მიმდინარე საგან-

მანათლებლო რეფორმა ქართულ ენას დიდი პრივილეგიას აძლევდა, სკოლების ე.წ. „გაეროვნების" პროცესი სწორედ ქართულ ენაზე სწავლას, სახელმძღვანელოების გადმოთარგმნას, სამეცნიერო ტერმინოლოგიის გაქართულება-შექმნას ისახავდა მიზნად. სილოვან ხუნდაძემ სპეციალურად მიმართა მინისტრს — შექმნილიყო ქართული ენის კომისია, რომელიც გრამატიკულ ნორმებს დაადგენდა, შეიმუშავებდა ერთიან სალიტერატურო ენას, სადაც დასავლური ქართული ენის ფორმებიც უნდა დამკვიდრებულიყო.[20]

პეტრე მირიანაშვილმა გააკრიტიკა სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი ეს დოკუმენტი, მისი მისწრაფება – იმერულ-გურული კილო შემოეტანა ლიტერატურაში, ძველებურად დაამტკიცა, რომ ქართლის ქართული იყო ლიტერატურული შემოქმედების, ქართული მწერლობის საფუძველი.[21]

პეტრე მირიანაშვილის ამ წერილს ამავე გაზეთში გასცა მკაცრი პასუხი სილოვან ხუნდაძემ, დაიცვა საკუთარი მოსაზრება, თუმცა, დღევანდელი სალიტერატურო ნორმების გათვალისწინებით, მის წერილში ბევრი დამახინჯებული სიტყვა და ენობრივი ნორმაა.

მირიანაშვილი „საჭირბოროტო" რუბრიკაში ბევრჯერ შეეხო ქართული ენის სიწმინდესა და სისადავეს, ის თვლიდა, რომ ქართული პროზა, ილიასა და აკაკის შემდეგ, ჩაკვდა, ლაღი ქართული, რაც მათ შეიტანეს პროზაში, აღარსად იყო, ქართული ლექსი კი ნელ-ნელა აღორძინდა და XX საუკუნის ათიანი წლების ბოლოს განვითარების მწვერვალს მიაღწია. იმავე მდგომარეობაში იყო ქართული დრამატურგია. ნათარგმნ თუ ორიგინალურ თხზულებებში ენა ისე დამახინჯებული და ჩახლართული იყო, არქაიზმების, ბარბარიზმებისა და კუთხური მეტყველების ისეთი დაღი აჩნდა ტექსტებს, რომ მსახიობებს დიდი შრომა უწევდათ როლის წარმოთქმისას, ხალხთან მისი მიტანისას. პუბლიცისტი ეხებოდა გახშირებულ იუბილეებს, მწერალთა საღამოებს, მიაჩნდა, რომ ეს გადამეტებული იყო, რადგან მწერლობის დონე ვერ შეეფერებოდა საზოგადოებაში გაჩენილ „იუბილეთა მანიას".[22]

მკაცრი იყო პეტრე მირიანაშვილის პუბლიცისტური ტონი მაშინაც, როდესაც საქართველოში მცხოვრები სხვა ერების ანტიქართულ პროპაგანდას ეხებოდა. მას არ მოსწონდა იმ სომხური პრესის იდეოლოგიაც, რომელსაც დაშნაკცუტიუნის პოლიტიკის წარმომადგენლები სცემდნენ. ამ პრესაში იყო საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი ხელისუფლებისა და დემოკრატიული პრინციპების არასამართლიანი კრიტიკა. პუბლიცისტი მიუთითებდა ქართველ ებრაელებსაც, რომლებიც ებრაულ სკოლებს ხსნიდნენ და ქართველებთან სულიერ გამიჯვნას ისახავდნენ მიზნად. მირიანაშვილი ეხებოდა ებრაელთა და ქართველთა მშვიდობიანი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას და საჭიროდ თვლიდა, ეს ტრადიცია არ დარღვეულიყო. ახალი მოძრაობა მას სიონისტური იდეოლოგიის გამოხატულებად მიაჩნდა და დასაწყისშივე მის აღმოფხვრას ითხოვდა.

პეტრე მირიანაშვილი ეხებოდა ქართველ ებრაელთა სწრაფვას იერუსალიმისაკენ, წერდა, რომ ისრაელში ქართველ ებრაელთა მთელი კოლონია არსებობდა, თუ ვინმეს სურს წასვლა, დღესაც შეუძლიაო. ხოლო სიონისტური პროპაგანდა საქართველოში მცხოვრებ ებრაელებში მხოლოდ იმ ხიდს ჩატეხს, რაც ასე მკვიდრად არის ნაგები უძველესი დროიდან, ახალი ჰურიასტანი და ჰაიასტანი საქართველოში არ გაჩნდებაო. მისი მრისხანება გამოუწვევია ონის რაბინის — დავით ბაზოვის მიერ ონში, სინაგოგასთან ებრაული სკოლის გახსნას. ქაშვეთის ტაძრის გალავანში ჭოლა ლომთათიძის დაკრძალვისას, მან შთამბეჭდავი სიტყვა წარმოსთქვა ქართულად, ახლა კი ებრაელი ბავშვების ჩამოშორება სურს ქართული კულტურის სამყაროდანო, — დანანებით ამბობდა პუბლიცისტი.[23]

ასეთივე მკვეთრი იყო მირიანაშვილი თბილისში გამომავალი რუსულენოვანი, პროსომხური პრესის მიმართ. კერძოდ, მისი კრიტიკის ობიექტს წარმოადგენდა გაზეთი „სლოვო“, სადაც ეწერა, რომ სომხები დიდი კულტურისა და ეკონომიკის მქონე ხალხია, ისინი საქართველოში უნდა

დარჩნენ და ითანამშრომლონ ქართველებთანო. სიტყვა „თანამშრომლობა“ მიუღებელი იყო პუბლიცისტისათვის, რადგან, მისი აზრით, სომხები ამ სახელმწიფოს მოქალაქეები იყვნენ და ისევე უნდა მიდგომოდნენ მის ინტერესებს, როგორც ქართველები ან სხვა ერები, ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები. ამ სიტყვით ხომ არ ფიქრობენ საქართველოში ახალი ჰაიასტანის გაჩენას და „თანამშრომლობას“ ქართულ სახელმწიფოსთან, თუ ეს ასეა, ეს ხომ რუსული იმპერიალიზმის სურვილი იყო, საქართველოში კი ამჟამად რუსეთი აღარაა, ვეღარც ალექსანდრე ხატისიანცისა და „მისი ძმების“ ხანა დაბრუნდება და ვერც მოსკოვის ბატონობისაო. „ქართული დემოკრატიაა ახლა ჩვენი ქვეყნის საჭის მპყრობელი და ყველას შეიტკბობს, ვინც მის სამსახურში გულწრფელად ჩადგებაო[24].

პ. მირიანაშვილი გულისტკივილს ვერ მალავდა ინგლისელთა პროსომხური პოზიციის გამო სამხრეთ კავკასიაში. როდესაც ყარსი და ყარსის ოლქი მთლიანად, არტაანი და არტაანის ოლქი ნაწილობრივ გადაეცა სომხეთს.

„სახალხო საქმეში“, რუბრიკით — „საჭირბოროტო“ დაბეჭდილ წერილში პუბლიცისტი ინგლისის პოლიტიკას საოკუპაციოს უწოდებდა, მიაჩნდა, რომ 1783 წლის ტრაქტატით რუსეთი ამ ტერიტორიის საქართველოსათვის გადმოცემას ვალდებულობდა და ინგლისს არ ჰქონდა უფლება მისი გასხვისების. ასევე, კრიტიკის ცეცხლში ატარებდა იგი ინგლისელთა მოქმედებას ბათუმის ოლქში, აქ რუსული ენის გაბატონებას, დენიკინელებისთვის მხარდაჭერას, მოჰქონდა მაგალითი, როდესაც აჭარლებმა მოითხოვეს ინგლისის სამხედრო შტაბისაგან ქართული ენის დაკანონება, თუ არადა, რუსულს ინგლისური გვირჩევნიაო. პეტრე მირიანაშვილი ურჩევდა მაჰმადიან ინტელიგენციას და მის ორგანოს, გაზეთ „სამაჰამდიანო საქართველოს“ უფრო აქტიურად ებრძოლათ ეროვნული საკითხის გადასაჭრელად, ქართული ინტერესების დასაცავად.

ამავე წერილში, ლაპარაკი იყო ქართლში გახსნილ

სომხურ სკოლებზე, სადაც სომხები მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ, მხოლოდ გრიგორიანული სარწმუნოებით განსხვავდებოდნენ, ახლა ენაც სომხური უნდათ შეასწავლონო: „ვაყელი და კავთისხეველი გრიგორიანი ბავშვების სომხურად სწავლების ჟინი დაშნაკცაკან პედაგოგებს თუ მოუვლით, მაგრამ მისი წამალი დემოკრატიული რეჟიმია“-ო, წერდა მირიანაშვილი და რესპუბლიკის მთავრობის იმედი ჰქონდა, არ დაეშვა სომხების მიერ ჩაფიქრებული ანტიქართული გეგმების განხორციელება.

იგივე ხდებოდა ქართულ ხელოვნებაშიც. თბილისში მცხოვრები ხელოვნების არაქართველი მუშაკები ცდილობდნენ თეატრი თუ მუსიკალური სპექტაკლები თავიანთ ენაზე თუ არა, რუსულად მაინც დაედგათ, რაც, ასევე, ალიზიანებდა ქართველი ინტელიგენციის ნაწილს, რომლის წარმომადგენელიც იყო პეტრე მირიანაშვილი. მისი გამოსვლები გაბედული იყო, რასაც სოციალისტ-ფედერალისტური პრესა გრძნობდა და მის წერილებს ყოველთვის მინანერს უკეთებდა: „ამ წერილის ზოგიერთ მოსაზრებას არ ვეთანხმებით“-ო.[25]

პეტრე მირიანაშვილი მაჰმადიანური საქართველოს განსაკუთრებული გულშემატკივარი და დამცველი იყო. „განა მეტი ეროვნული ტრაგიზმი შეიძლება თვალწინ წარმოგვიდგეს, ნახევარი საქართველო, ქართული კულტურის აკვანი, ქართველთა ისტორიული ზნეობრივ-გონებრივი, ნივთიერი ღირებულების სამშობლო ჩვენს ხელთ არ არის და ჯეროვნადაც ვერ გაგვიწევია ზრუნვა მისი შემოერთებისათვის“, — გულისტკივილით წერდა იგი 1920 წლის თებერვალში. მას ქართველ პოლიტიკოსთა შეცდომად მიაჩნდა, რომ ოლივერ უორდროპს დროზე არ გადასცეს ქართველი ერის მოთხოვნა ისე, როგორც ეს სომხებმა გააკეთეს. მისი აზრით, ასეთი მოთხოვნა გამაგრებული იყო თვით საზავო კონფერენციის დებულებით, რაც ითვალისწინებდა თურქეთის საკითხში მთავარი ყურადღების მიქცევას არა სარწმუნოებისათვის, არამედ ეროვნული პრინციპისათვის. მითუმეტეს,

თუკი ეროვნული ინტერესები თანხვდებოდა ტერიტორიულ პრინციპს და დამოუკიდებლობის მომთხოვნი ერი გაფანტულად კი არა, ერთად იცხოვრებდა. მირიანაშვილის აზრით, „ოსმალეთის საქართველოს ნაწილები ჭანეთი (ლაზისტანი) ისპირ—თორთუმის რაიონით, აგრეთვე, აჭარა-ქობულეთი, არტაან-ოლთისისა და საინგილოს ოლქები გაფანტულად კი არა, მკვიდრად მოსახლე ქართველთა ქვეყნები იყო და საქართველოს მთავრობასა და მის დელეგაციას ყოველგვარი უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ ხსენებული ტერიტორიები.

პეტრე მირიანაშვილი ემხრობოდა სამაჰმადიანო საქართველოს ავტონომიას იმავე სახით, როგორც ეს აფხაზეთში იყო განსაზღვრული. ავტონომია ეროვნულ-კულტურულად და სახელმწიფოებრივადაც ქართული იქნებოდა და საქართველოს ერთიანობას აქედან არავითარი საფრთხე არ დაემუქრებოდა. როგორც არაბულისა და ისლამის კარგ მცოდნეს, მას ჰქონდა წინადადება, სამაჰმადიანო საქართველოში არაბული ენა სავალდებულო საგნად ესწავლებინათ, მოფრთხილებოდნენ ისლამს, გამაჰმადიანებული ქართველების სარწმუნოებას, რადგანაც „მაჰმადიანი ქართველობა ისლამის დაცვისათვის სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლას უწმინდეს მოვალეობად“ თვლიდა.[26]

სარწმუნოებრივ საკითხს პეტრე მირიანაშვილი ეხებოდა წერილში — „საცოდავი ეკლესია“. დაწყებული თეიმურაზ—I-ის მეფობიდან, რუსეთი ისწრაფვოდა ქართული ეკლესიის ხელში ჩასაგდებად, მართლმადიდებელი სარწმუნოების ერთიანობის მოტივით ცდილობდა მთლიანად მოეხდინა უზურპაცია ქართული საეკლესიო ცხოვრებისათვის. პეტრე მირიანაშვილი აკრიტიკებდა საეკლესიო პირებს, რომლებმაც ვერ შეინარჩუნეს გარკვეული სიმტკიცე და მაღალი ზნეობა. პუბლიცისტი, რა თქმა უნდა, არ იყო მართალი. ასეთი კრიტიკა, ცალკეული პირების მიერ ჩადენილი შეცდომები თუ შეცოდებები, მთლიანად ქართული ეკლესიის, ქართველი ხალხის სულიერი ციტადელის როლს ვერ განსაზღვრავდა. მან ხომ მართლაც გადაარჩინა სულიერი საქართველო, რომ

არა ერისა და ეკლესიის დიდებული მოძღვრები, საქართველო, პოლიტიკურად თითქმის მკვდარი, ვეღარ აღსდგებოდა. ამ დიდ ღვაწლზე მიუთითებდა ერის სულიერი მამა — ილია ჭავჭავაძე, როდესაც სიყვარულით სავსე სიტყვას წარმოთქვამდა გაბრიელ ეპისკოპოსის წმინდა ნეშტთან. მაშინ, როდესაც ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი აკრიტიკებდა ხელისუფლებას საეკლესიო ქონების ხელყოფისათვის, მოითხოვდა ძვირფასი ხატებისა და საეკლესიო ნივთების ეკლესიებისათვის დატოვებას, პეტრე მირიანაშვილი ნამდვილ, „რევოლუციურ", „სოციალისტურ" მიდგომას იჩენდა და სახელმწიფოსთვის მათ გადაცემას ითხოვდა. ის აკრიტიკებდა მორწმუნეთა საბჭოს შექმნას, მიიჩნევდა, რომ დასუსტებული ეკლესია ხსნას მრევლისაგან ელოდა, რაც ასევე, არასწორი იყო. ეკლესიას, მის წინამძღოლს, კათალიკოს ლეონიდეს ძალა არ დაუშურებია სახელმწიფოს ანტიეკლესიური პოლიტიკის სამხილებლად, ქართველი ხალხის წმიდათაწმიდა რელიგიური რწმენის დასაცავად. რაც შეეხება პეტრე მირიანაშვილის თვალსაზრისს ეკლესიის შესახებ, ის ვერ დაემთხვეოდა ეროვნულ-დემოკრატი მწერლების აზრს თუნდაც იმიტომ, რომ მირიანაშვილი სოციალისტ-ფედერალისტი იყო და ათეიზმიც მეტად იქნებოდა მასში, ესეც არ იყოს, ის წარმოშობით კათოლიკე ქრისტიანი იყო, თანაც „ყურანის" მთარგმნელი, მის იდეებზე დაწაფებული, ამიტომაც მისი აზროვნება უფრო რელიგიური სინკრეტიზმით იყი გაჯერებული, ვიდრე მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი განსაკუთრებული პატივისცემით. ეს ჩანს მის პუბლიცისტიკაში, რომელიც ქართული ეკლესიის თემას ეხება. რა თქმა უნდა, პეტრე მირიანაშვილის ამ წერილს გამოეხმაურა ქართული ეკლესია. გაზეთ „კლდეში" დაიბეჭდა გ. იმნაიშვილის სტატია, სადაც ავტორმა მწვავედ გააკრიტიკა მირიანაშვილი. თუმცა პოლემისტის მოსაზრებას უარყოფდა იგი პასუხის პასუხში, მირიანაშვილის მიერ თავის გასამართლებლად მოტანილი საბუთები ძალზე სუსტია და არადამაჯერებელი.[27]

მირიანაშვილის შეხედულება მაშინდელ ქართულ სახელმწიფო პოლიტიკაშიც არსებობდა. 1918-1921 წლების ქართული სახელმწიფო ეკლესიას სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად აცხადებდა და მის ქონებას სახელმწიფო საკუთრებად თვლიდა. რაც შეეხება პ. მირიანაშვილის ეროვნულ გრძნობებს, მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, იგი უსათუოდ იყო პროგრესული და მისაღები. მისი რისხვა ხშირად ატყდებოდათ იმ რუს და ევროპელ მოღვაწეებს, რომლებიც უარყოფდნენ ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, მოითხოვდნენ კავკასიის ხალხების გაერთიანებას ან რუსეთში, ანდა ცალკე, რათა უფრო გაადვილებულიყო ურთიერთობა ერთ ქვეყანასთან, ევროპასა და მსოფლიოს აჭრელებული კავკასიის მრავალეროვნული რეგიონის უთვალავ ქვეყანასთან კი არა, ერთ ძლიერ სახელმწიფოსთან ჰქონოდა საქმე. ამ აზრს ავითარებდა თბილისში არსებული საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი ფორე, რომელსაც, მირიანაშვილის აზრით, მხარი დაუჭირა მისიის მეთაურმა დონანკურმა,.რის გამოც პეტრე მირიანაშვილმა აღნიშნული გამოსვლა ნორმანთა უძველეს თარეშსა და ევროპაში მათგან ჩადენილ უსამართლობას გაუტოლა. „ლიბერნოს, დეუს, ე ფურორე ნორმანორუმ", — გვიხსენი, ღმერთო, ნორმანთა მძვინვარებისაგან, — როგორც ევროპელები ამბობდნენ ძველად, ჩვენც ამას ვიტყვითო, — წერდა პუბლიცისტი..[28]

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობას, სამღვდელოების ყრილობას და მის გადაწყვეტილებებს აკრიტიკებდა პეტრე მირიანაშვილი წერილში — „ურჩი მიუშვი ნებასა"[29].

ასეთი მკაცრი იყო ის და ტენდენციურიც ეკლესიის კრიტიკაში, რადგან ეკლესიაც საზოგადოების ნაწილი იყო, იქ მიმდინარე უარყოფითი პროცესები ეკლესიური ცხოვრების თვისება კი არა, ზოგადად ქართული საზოგადოების ნაკლის მაჩვენებელი იყო. როგორც ჩანს, გაზეთ „სახალხო საქმის" რედაქციაც მიხვდა პუბლიცისტის კრიტიკის გადაჭარბებას და მინაწერში ასახა თავისი ნეიტრალური პოზიცია და ისიც,

რომ წყვეტდა ამ საკითხზე წერილების გამოქვეყნებას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ზოგჯერ ინტერნაციონალურ ინტერესებს ეროვნულზე მაღლაც კი აყენებდა. ჩვენში არსებული სხვადასხვა ეროვნული საბჭოები ცდილობდნენ საკუთარი მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას და მათი სურვილები მთავრობისაგან ყოველთვის სრულდებოდა. ასეთი იყო გერმანელი კოლონისტების სურვილიც, მათ ახალშენებს, ქართულის ნაცვლად, გერმანული სახელები ჰქონოდა. ბორჩალოს მაზრის სოფელ ორნაშენისათვის გერმანელებს ვალდჰეიმის დარქმევა მოუსურვებიათ, რასაც პეტრე მირიანაშვილი უკანონობად მიიჩნევდა. მისი აზრით, ხელისუფლებას, რომელიც გერმანელებს დაჰპირებია თხოვნის შესრულებას, ძველი ქართული სახელები კი არ უნდა მოესპო, პირიქით, უნდა აღედგინა. განსაკუთრებით ეს ამ რეგიონს, ბორჩალოს მაზრას ეხებოდა.

გულისტკივილით წერდა პუბლიციტი სომხური დაშნაკცუტიუნის პარტიის ანტიქართულ ქმედებებზე. როდესაც ამ პარტიამ გაიმარჯვა ახალციხის საქალაქო არჩევნებში და ხმის უმრავლესობა მიიღო, მირიანაშვილმა ეს ფაქტი ბუნებრივად მიიჩნია სახიფათოდ, რადგან ამის საშუალებას იძლეოდა პარტიის პროგრამა საქართველოში მცხოვრებ სომეხთა მოწყობის შესახებ. ეს დოკუმენტი თბილისის სომხურ გაზეთ „აშხატავორსა“ და რუსულ გაზეთ „სლოვო“—ში გამოქვეყნდა. პროგრამის პროექტი ითვალისწინებდა სომეხთა ავტონომიას, „საქართველოს სახელმწიფოში სომეხთა სახელმწიფოს შექმნას“, — როგორც მირიანაშვილი წერდა. სომხური პროგრამის პროექტით, სომხური ენა საქართველოში ქართულს უნდა გათანასწორებოდა, სომხებს საქმის წარმოება სომხურად უნდა ჰქონოდათ, სომეხთა ეროვნულ საბჭოს უნდა ემართა სომხური ავტონომია, ის ითვლებოდა ეროვნული ყრილობის აღმასრულებელ ორგანოდ, სომხებს გადასახადებს ეს საბჭო შეაწერდა და ეს გადასახადებიც მის განკარგულებაში იქნებოდა. სწავლა-განათლების საქმეც

მთლიანად სომეხთა ეროვნული საბჭოს ხელში გადავიდოდა. ეს ხელს შეუწყობდა გრიგორიან ქართველთა გასომხებასაც.

პეტრე მირიანაშვილი სვამდა კითხვას, საქართველოში სხვა ერებიც ხომ არიან, სომხები რას ფიქრობენ, მათაც რომ ამგვარი ავტონომიები მოითხოვონ, ჩვენი ქვეყანა დარჩება კიდევ თუ არაო. პუბლიცისტის რწმენით, საქართველოში მცხოვრები სომხების ინტერესი ქართული სახელმწიფოს დაშლა და მოსპობა იყო. ეროვნული უმცირესობანი ყოველთვის ისე უნდა ცხოვრობდნენ ქვეყანაში, როგორც თანასწორი მოქალაქეები, ტერიტორიული პრეტენზიები კი არ უნდა წამოაყენონო. საქართველოს მთლიანად თავისი მიწა-წყალი უჭირავს, მეზობლებს კი ბევრი ქართული ტერიტორია აქვთ მითვისებული, ამიტომ ჩვენ არაფერს დავთმობთ და არც არავის უსაფუძვლო პრეტენზიებს ავყვებითო. „თუ ასეა, — სომხეთის რესპუბლიკამ ხელი აიღოს სუვერენობაზე, შემოვიდეს საქართველოს რესპუბლიკაში თავისი ტერიტორიით და მაშინ სომეხთ დაშნაკცუთიუნის და მათი ეროვნული საბჭოს პოლიტიკურ პრეტენზიებს საფუძველი ექნებოდა. მაგრამ საქართველო არ ეძებს უცხო ტერიტორიებს, იმავ დროს არც ნებას მისცემს მის ტერიტორიაზე მოსახლე უცხო ეროვნულ უმცირესობას, რომ ვისმე მათგანს შეარყევიოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრინციპი საქართველოს რესპუბლიკის არსებობისა."[30]

მისი აზრით, საქართველოში მცხოვრები სომხები ყოველთვის ქართულ სახელმწიფოს ემსახურებოდნენ, ახლაც ასე უნდა ყოფილიყო, ხოლო ვისაც ეს არ სურდა, საკუთარი ეროვნული სახელმწიფოსთვის მიეშურებინა.

პეტრე მირიანაშვილის სოციალისტური იდეოლოგია ხშირად გამოკრთის მის ისეთ თემებზე დაწერილ წერილებში, როგორიცაა ქრისტიანული რელიგია და მისი დღესასწაულები. ამ პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ მათი ავტორი პატივს სცემს ქრისტიანობას, მაგრამ ძირითადად ათეისტია და თანაბარი უფლებებით ითხოვს ქართულ დაწესებულე-

ბებში სხვა რელიგიების ნიშანთა გამოყენებას. მაგალითად: ის იხილავდა წითელი ჯვრის საზოგადოების დაარსებას და წინადადებას აყენებდა, ჯვართან ერთად, ნახევარმთვარეც გამოესახათ ამ ორგანიზაციის ემბლემაზე. მისი აზრით, ქრისტიან ქართველებზე ნაკლები პატივი არ უნდა მიგებოდათ მაჰმადიან ქართველებს. თუ ამ შემთხვევაში მისი შეხედულება ტენდენციურია, სამაგიეროდ, ის მართალი იყო, როცა ქუჩის სახელებისა და ძველი აბრების შეცვლას ითხოვდა, რადგან ძველი რუსეთის იმპერიის მსახურთა სახელები, ქართულ ქუჩებს უნდა შეცვლოდათ ქართული სახელებით. მირიანაშვილის აზრით, ქართული ენა უნდა ყოფილიყო ყველგან, აფიშებსა თუ განცხადებებში, თუ საჭირო იყო, ქართულის შემდეგ უნდა გაკეთებულიყო უცხოენოვანი წარწერა.[31]

მირიანაშვილი იხსენებდა რუსული მმართველობის რეჟიმს, როდესაც გლეხებსაც კი უკრძლავდნენ ქუჩაში ქართულად წარმოეთქვათ გასაყიდი პროდუქტის სახელი. უცხოელებს ეგონათ, ქართველები, გლეხებიც კი, გარუსებულნი იყვნენ, როცა მათ ყვირილს ისმენდნენ ქუჩაში — „რიბი-რიბი" და „როზი-როზი"-ო, მაგრამ როდესაც გაიგებდნენ, რომ ამის მეტი არცერთი რუსული სიტყვა არ იცოდნენ, ხვდებოდნენ, საიდან მოდიოდა ამგვარი პოლიტიკა. მირიანაშვილი წერდა: „დედაქალაქის გამგეობა ისევე მოვალეა იძულებითი ზომები მიიღოს „რიბ-რიბის" და „როზ-როზის" მოსასპობად, როგორითაც ძველი რეჟიმის დროს იძულებით ზომებს ხმარობდნენ მათ შემოსაღებადო." ითხოვდა ჯარიმების დაწესებას, ქართული ენის, ქართული სამოსისათვის კუთვნილი ადგილის დაბრუნებას ქართველი ერის ცხოვრებაში.[32]

პეტრე მირიანაშვილი მხარს უჭერდა არა მარტო არსებული ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, არამედ მთელი სამაჰმადიანო საქართველოს შემოერთებას, მიიჩნევდა, რომ ბათუმის ოლქის შემოერთება საკმარისი არ იყო, მისი იმედები ემყარებოდა თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, ჭანებსა და ლაზებს. საქართველოს ისტორიულ მიწებს ეჭიდებოდ-

ნენ სომხეთი და აზერბაიჯანი, მაგრამ, მირიანაშვილის რწმენით, ისინი მიზანს ვერ მიაღწევდნენ. თურქეთის ქართულ პროვინციებს, მისი აზრით, საქართველოსათვის დიდი სტრატეგიულ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ მთელ საქართველოს მათი შემოერთების საქმე „სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად" უნდა ექცია. ასეთი კატეგორიული მოთხოვნის საფუძველს პუბლიცისტს ოსმალეთის იმჟამინდელი მდგომარეობა აძლევდა, როდესაც ამ ქვეყანას საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე უარი ეთქვა. პარიზის კონფერენციის მიერ შემუშავებული ზავის პირობები ოსმალეთის იმპერიას არათუ შლიდა, არამედ საფრთხეს თვით სახელმწიფოს არსებობას უქმნიდა, ამიტომ ოსმალეთის პოლიტიკოსები, „ახალგაზრდა ოსმალების" ჯგუფი, ცდილობდნენ ქვეყნის გადარჩენას და ზავზე ხელის მოწერას აპროტესტებდნენ. სანაცვლოდ, ეძიებდნენ სხვა პოლიტიკურ მოკავშირეს, რომელსაც ასეთ მძიმე დროს გამოიყენებდნენ. ასეთად იპოვეს კიდეც ბოლშევიკური, მსოფლიო პოლიტიკის მიერ არცნობილი და გარიყული რუსეთი. ამ ორმა ძალამ ერთმანეთი მართლაც კარგად გამოიყენა, ხოლო საქართველო მათმა ალიანსმა არათუ გააერთიანა, როგორც ამას პეტრე მირიანაშვილი იმედოვნებდა, არამედ საბოლოოდ გაანადგურა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.[33]

თუ ჭანეთ-ლაზეთის დაუფლების სურვილისათვის კიცხავდა სომხეთს, მირიანაშვილი ბუნებრივად მიიჩნევდა კილიკიის გაერთიანებას სომხეთთან, წერდა, რომ აზიაში მხოლოდ სომხები და ქართველები იყვნენ ისეთი ერები რომელთაც შეეძლოთ ევროპული კულტურის შეთვისება და გავრცელება მეზობლებში, მიესალმებოდა, თუკი ისინი თავიანთ ისტორიულ მიწებს დაიბრუნებდნენ.[34]

პეტრე მირიანაშვილი წერდა ისტორიული წარსულის სხვადასხვა მოვლენებზე: ქართული სტამბის დაარსების ისტორიაზე[35], საქართველოს ქალაქებზე, ლიტერატურულ მოვლენებზე, სწავლა-განათლების პრობლემებზე ძველ და თანამედროვე საქართველოში და სხვა.

პუბლიცისტს სურდა, რომ სამუსულმანო საქართველოში ესწავლებინათ ქართული და არაბული ენები, უფასო ყოფილიყო დაწყებითი სკოლები და წერა-კითხვა ყველას ესწავლა, ლაზისტანში გაზეთები ქართულ და თურქულ ენებზე გამოცემულიყო, თუ ლაზურ შრიფტს შექმნიდნენ, მისთვის ქართული ასოები გამოეყენებინათ. ოსმალეთის იმპერიიდან ლაზისტანის გამოსვლაზე ოცნებას მას უადვილებდა ამ რეგიონში ქართველური წარმოშობის ლაზთა უმრავლესობა, მათი მისწრაფება თვითგამორკვევისაკენ.[36]

I მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ერთ ხელისუფლებას, რომელიც ოფიციალური იყო და კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, არავითარი კავშირი არ ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკასთან, მეორე კი — ანატოლიაში მყოფი, ებრძოდა ანტანტას და ყველაფერს აკეთებდა თურქეთის იმპერიის გადარჩენისათვის. ანატოლიის ხელისუფლებამ თავისი წარმომადგენელი — ყიაზიმ ბეი გამოგზავნა საქართველოში, რომელიც აფხაზური წარმოშობის, გვარად მარშანია იყო. პეტრე მირიანაშვილი სპეციალურ პუბლიკაციას უძღვნიდა ამ ფაქტს და საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობას, ქართული ისტორიული პროვინციების ბედს ამ კონტექსტში განიხილავდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ამიერკავკასიაში აზერბაიჯანიც და სომხეთიც რუს ბოლშევიკებს ეპყრათ და მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველო იყო დარჩენილი, როგორც „თავისუფლების კუნძული". ანატოლიის ხელისუფლების მეთაურებს კი პოლიტიკური ალიანსი ჰქონდათ ბოლშევიკებთან.

აფხაზი დიპლომატის გამოგზავნას თურქეთის ხელისუფლების დიპლომატიურ ნიჭს მიაწერდა პუბლიცისტი და ქართულ ანდაზასაც იშველიებდა: „ადგილის კურდღელს ადგილის მეძებარი დაიჭერსო". ოსმალეთი თუ ჩვენი მეგობარია და უფლება არა გვაქვს ჭანეთის მოთხოვნისო, ამას კონსტანტინოპოლის ოფიციალური მთავრობა ემხრობა, მეორე კი, ყიაზიმ ბეის აზრით, თანახმაა საქართველოს დამოუკიდებლობისო. პეტრე მირიანაშვილის რწმენით, ერთიც

და მეორეც, პანისლამიზმით, ძალდატანებას აგრძელებდა ქართველებსა და თურქეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ წარმომადგენლებზე. ისლამის შესახებ ამ წერილში პ. მირიანაშვილი ბევრ საშინელებას წერდა, თუმცა თურქულ პოლიტიკას, პანთურქიზმს და პანისლამიზმს ის მიჯნავდა არაბთა ისლამური პოლიტიკისაგან, თვლიდა, რომ თურქეთისაგან განსხვავებით, არაბებს კულტურა შეჰქონდათ სხვა დაპყრობილ ხალხებში. ვიდრე მუსულმან ქართველთა წარმომადგენლები თურქების ხელში იყო, საქართველოს არ უნდა შეეწყვიტა მათი გათავისუფლებისათვის ბრძოლა. „სარწმუნოებრივი ნიშნით სახელმწიფოს შენება XX საუკუნეში პოლიტიკური ანაქრონიზმია"-ო, წერდა მირიანაშვილი.[37]

პეტრე მირიანაშვილის ბევრი შეხედულება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ქართული კულტურის საკითხებზე, იქნებ დღეს ვეღარც უძლებდეს კრიტიკას, ქართული კლასიკური მწერლობის ძეგლებზე მისი ზოგიერთი თვალსაზრისი ღიმილისმომგვრელიც იყოს (მაგალითად, შოთა რუსთაველის მაჰმადიანობის მტკიცება, „შუშანიკის წამების" პერსონაჟთა მისეული დახასიათება-შეფასება), მაგრამ ეს შეხედულებები მაინც საინტერესოა და სასარგებლო, რადგან კამათის სურვილს იწვევს, აზრთა სხვადასხვაობასა და მათი შეჯერების მიზანს ემსახურება.

რაც შეეხება პუბლიცისტის მიერ გაწეულ საზოგადოებრივ ღვაწლს, მის კულტუროლოგიურ მოღვაწეობას, ის მნიშვნელოვანია და საყურადღებო. საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად დაწერილ მისი პუბლიცისტური წერილები, თუნდაც რუსულ ენაზე, სომეხთა მიერ საქართველოსადმი დაწყებული იდეოლოგიური ბრძოლის საპასუხოდ გამოცემული წიგნი — „Красная книга" დღესაც საინტერესო და ღირებულია. ქართველი ერის XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის I ათწლეულების ისტორიის ჯეროვნად შესწავლას ამ სულიერი მემკვიდრეობის სრულყოფილი გაცნობა-გააზრებაც დაეხმარება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. II, თბილისი, 1955წ., გვ. 205-219
2. პეტრე მირიანაშვილი, „ჩვენი ქართველი კათოლიკობა“, გაზეთი „დროება“, 215, 1882 წ.
3. გაზეთი „სახალხო საქმე“, 659, 1919წ.
4. გაზეთი „საქართველო“, 28, 1916 წ., პეტრე მირიანაშვილი, საისტორიო ცნობა
5. პეტრე მირიანაშვილი, „სალამი ქართველ მუსულმანებს“, გაზეთი „საქართველო“, 55, 1916 წ.
6. პეტრე მირიანაშვილი, „ჭანეთის და ჭანების საკითხი“, გაზეთი „საქართველო“, 78, 1916 წ.
7. პეტრე მირიანაშვილი, „ზოგი რამ“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 255, 1918 წ., 12 ივნისი
8. პეტრე მირიანაშვილი, „ზოგი რამ“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 267, 1918 წ.
9. პეტრე მირიანაშვილი, „ზოგი რამ“, გაზეთი სახალხო საქმე“, 271, 1918 წ.
10. პეტრე მირიანაშვილი, „ზოგი რამ“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 272, 1918 წ.
11. პეტრე მირიანაშვილი, „ზოგი რამ“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 295, 1918 წ.
12. პეტრე მირიანაშვილი, „ზოგი რამ“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 303, 1918 წ.
13. პეტრე მირიანაშვილი, „სადღეისო“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 503, 1919 წ.
14. პეტრე მირიანაშვილი, „კავკასიონის რესპუბლიკათა კონფერენცია“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 509, 1919 წ.
15. პეტრე მირიანაშვილი, „სადღეისო“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 561, 1919 წ.
16. პეტრე მირიანაშვილი, „გურჯისტანისკენ“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 589, 1919
17. პეტრე მირიანაშვილი, „საბერძნეთის დიპლომატიური მისიის

ჩამოსვლის გამო“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 601, 1919 წ.
18. პეტრე მირიანაშვილი, „ქორონიკონის ჟამის ანგარიში და მუზნური თვლა“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 669, 1919 წ.
19. სილოვან ხუნდაძე, „მოხსენება სახალხო განათლების მინისტრს“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 688, 1919 წ.
20. პეტრე მირიანაშვილი, „საჭირბოროტო“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 784, 1919 წ.
21. პეტრე მირიანაშვილი, „ქართველ ფილოლოგთა მომავალი ყრილობისათვის“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 835, 1919 წ.
22. პეტრე მირიანაშვილი, „საჭირბოროტო“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 660, 1919 წ.
23. პეტრე მირიანაშვილი, „სომხების თანამშრომლობა“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 679, 1919 წ.
24. პეტრე მირიანაშვილი, „საჭირბოროტო“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 708, 1919 წ.
25. პეტრე მირიანაშვილი, „ისევ სამაჰმადიანო საქართველო“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 747, 1920 წ.
26. პეტრე მირიანაშვილი, „საცოდავი ეკლესია“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 755, 1920 წ.
27. პეტრე მირიანაშვილი, „რა უწოდოთ?“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 776, 1920 წ.
28. პეტრე მირიანაშვილი, „კლერიკალობა აყაყანდა!“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 786, 1920 წ.
29. პეტრე მირიანაშვილი, „ურჩი მიუშვი ნებასა“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 885, 1920 წ.
30. პეტრე მირიანაშვილი, „საჭირბოროტო“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 797, 1920 წ.
31. პეტრე მირიანაშვილი, „საჭირბოროტო“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 801, 1920 წ.
32. პეტრე მირიანაშვილი, „საქართველო ჯერ კიდევ არ გაერთიანებულა მთლიანად“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 867, 1920წ.
33. პეტრე მირიანაშვილი, „კილიკიის დამოუკიდებლობა“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 874, 1920 წ.

34. პეტრე მირიანაშვილი, „პირველი ქართული სტამბის დაარსების ისტორიისათვის“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 847, 1920 წ.
35. პეტრე მირიანაშვილი, „ნახულ-გაგონილი“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 892, 1920 წ.
36. პეტრე მირიანაშვილი, „შუშანიკის წამების შესახებ“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 289, 1918 წ.
37. პეტრე მირიანაშვილი, „ისლამი სახელი, თურქობა სახრავი“, გაზეთი „სახალხო საქმე“, 1001, 1920 წ.

სიმონ ქვარიანი
(1868-1946)

სიმონ ქვარიანი თანამედროვეთათვის კარგად ცნობილი მწერალი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი იყო. იგი 1868 წელს დაიბადა, ქ. ქუთაისში.

სიმონ ალექსანდრეს ძე ქვარიანს მძიმე ბავშვობა ჰქონია. მას ხელმოკლე ოჯახი ვერ აძლევდა იმას, რაც ამ დროისათვის იყო საჭირო ნორმალური განათლების მისაღებად, მიუხედავად ამისა, ნიჭიერმა და მიზანდასახულმა კაცმა შეძლო კარგი განათლების მიღება და ქართველი ინტელიგენციის მოწინავე რიგებში დამკვიდრება.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ შევიდა ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, თუმცა საუნივერსიტეტო კურსის დასრულებამდე მოუხდა სამშობლოში დაბრუნება. დიდი ძებნის შემდეგ, ძლივს მოახერხა სამუშაოს შოვნა წინანდლის საუფლისწულო მამულში. ორი წელი დაჰყო აქ და დიდი შრომით, თავდადებული პრაქტიკული საქმიანობით, საფუძვლიანად დაეუფლა მევენახეობა-მეღვინეობის საქმეს. წინანდალშივე გულმოდგინედ სწავლობდა ფრანგულ ენას და დიდ დროს ანდომებდა ზოგად განათლებას, რაც შემდეგში გამოჩნდა კიდეც მის ნაწერებში.

1894-96 წლებში ს. ქვარიანი მუშაობდა თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში. ამავე დროს მოღვაწეობდა ქართულ პრესაში.

1897 წელს გაემგზავრა საფრანგეთში, ჯერ ლიონში, შემდეგ ქ. მონპელიეში, ბოლოს კი — პარიზში. საფრანგეთში ყოფნისას იყენებდა რუსული ენის კარგ ცოდნას, აძლევდა რუსულის გაკვეთილებს. მონპელიეში, აგრონომიულ ფაკულტეტთან ერთად, ლიტერატურის სპეციალობაზეც ჩააბარა გამოცდები, რამაც გაზარდა მისი მხატვრული თვალსაწიერი და ხელი შეუწყო პუბლიცისტური ოსტატობის დახვეწაში.

საფრანგეთში ყოფნისას სიმონ ქვარიანი ხშირად დადიოდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. სწორედ ამ ბიბლიოთეკის ფონდში აღმოჩენილმა მასალებმა გაუჩინა საქართველოს ისტორიისადმი განსაკუთრებული ინტერესი, მათი გამოყენებით დაწერა ისტორიული ნარკვევი — „ქართველი ერის უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში“, რომელიც „აკაკის კრებულში“ გამოაქვეყნა.[1]

1899 წელს დაბრუნდა სამშობლოში და ქუთაისში ჩამოაყალიბა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „ზვარი“, სადაც ასწავლიდა ვაზის მოვლასა და დამყნას.

სიმონ ქვარიანი რევოლუციური, რომანტიკული სულის ადამიანი იყო. ნიჭიერ კაცს მეამბოხე სულისკვეთება ჰქონდა, რის გამოც პრობლემები არ ელეოდა. ასე დაემართა ჭიათურაში მუშაობისას, სადაც 900-იანი წლების დასაწყისში შავი ქვის საზოგადოებაში მუშაობდა ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ზდანოვიჩისა და კიტა აბაშიძის მიწვევით. როდესაც რევოლუციური ტალღა ჭიათურასაც შეეხო და ჭიათურელ მრეწველებს მუშებთან კონფლიქტი მოუვიდათ, ქვარიანი მუშების მხარეზე დადგა, რის გამოც კოლეგები გაუნაწყენდნენ. ამ მოვლენას, ამ დროს ჭიათურის თეატრში მოღვაწე შალვა დადიანიც იხსენებს და თავადაც აღწერს 1902 წელს ქუთაისში გამოცემულ წიგნში — „სამი გმირი“; წიგნი გიორგი ზდანოვიჩთან, კიტა აბაშიძესა და რგანელთან (ნიკო ნიკოლაძე) უთანხმოებას და ჭიათურის შავი ქვის საზოგადოებაში მათ საქმიანობას ეხებოდა.[2]

რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო, დაჭ-

ერას გადარჩენილი ქვარიანი გერმანიაში გაიქცა, საიდანაც, 1907 წელს ცნობილმა ქუთაისელმა პედაგოგმა, გიმნაზიის დირექტორმა იოსებ ოცხელმა მოიწვია. ქართულ (სათავადაზნაურო) გიმნაზიაში ის ფრანგულ ენას, ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა. პარალელურად წერდა ლექსებს, მოთხრობებს, დრამატულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებს. 1908 წელს მან შეადგინა „საქართველოს ისტორიის ეპიზოდური კურსი", 1910 წელს დაწერა წიგნი გიორგი საakაძეზე, 1915-16 წლებში შეადგინა „ქართველი ერის ისტორია (1780—1820 წ.წ.)", რომელიც 1918 წელს დაიბეჭდა.

თაობები გაიზარდნენ სიმონ ქვარიანის საქართველოს ისტორიის ამ კურსზე. იგი ეროვნულ სულს, პატრიოტიზმსა და სამშობლოსთვის თავდადების გრძნობას უნერგავდა ყველა ქართველს.[3] ლაკონური, მხატვრულად შთამბეჭდავი სტილით გადმოცემული დიდი ისტორიული დრამა ღრმა კვალს ტოვებდა ქართველ ახალგაზრდობაზე და მისი გამოცემაც 1918 წელს ბუნებრივი იყო: დამოუკიდებლობის აღდგენის გამო, დიდი ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენის ხანაში, საქართველოს ისტორიული წარსულის განცდას, ჰეროიკული სულის აღდგენას და საბრძოლო სულისკვეთებას, სამშობლოს დასაცავად თავგანწირვას უნერგავდა ეს წიგნი ადამიანებს და მას ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორც კლასიკური მწერლობის მაღალმხატვრულ ნიმუშს.[4]

1937 წელს ხელახლა გამოიცა სიმონ ქვარიანის რომანი „დიდი მოურავი", მან დაწერა რომანი შოთა რუსთაველზეც, რომლის თავებიც ამავე წლის ჟურნალ „მნათობში" დაიბეჭდა.

1918 წელს ს. ქვარიანი დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა, შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა ქ. სოხუმში, სადაც ქალაქის საბჭოს წევრად იქნა არჩეული. 1920-23 წლებში ცხოვრობდა ბათუმშიც, სადაც ჯერ ვაჭრობის განყოფილებაში, შემდეგ კი პედაგოგად მუშაობდა.

ქვარიანის პუბლიცისტიკიდან ჩანს, რომ ის ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნების მოღვაწე იყო, დაბეჭდვითაც ამ მიმართულების პრესაში იბეჭდებოდა. დამოუკიდებელ, დიდ საქართველოზე მეოცნებე პატრიოტს ალბათ ძალზე გაუჭირდებოდა ბოლშევიკურ ტოტალიტარულ რეჟიმთან შეგუება, ამიტომაც საბჭოთა პერიოდში აღარაფრით გამოუჩენია თავი, მარტო ლიტერატურულ საქმიანობას დასჯერდა. გარდაიცვალა 1946 წელს, 78 წლის ასაკში, თბილისში.

გვინდა შევეხოთ 1916 წლიდან 1920 წლამდე გამოქვეყნებულ მის პუბლიცისტურ და ისტორიულ შრომებს, რომელთა საშუალებით კარგად ჩანს სიმონ ქვარიანის დემოკრატიული აზროვნება, მოვლენების ობიექტურად შეფასების უნარი, საქართველოს ისტორიული წარსულის სხვადასხვა საკამათო საკითხზე მისეული თვალსაზრისი. ბევრი მისი ისტორიული შეხედულება დღესაც მისაღებია და გასათვალისწინებელი, არათუ იმ დროს, როდესაც ეს შეხედულება გამოითქმებოდა. ამიტომ აქვს მის ნაწერებს როგორც ისტორიოგრაფიული, ასევე წყაროთმცოდნეობითი მეცნიერული ღირებულებაც.

სიმონ ქვარიანის საქართველოს ისტორია ძირითადად ფაქტების სწორი ანალიზითა და დასკვნებით იქცევს ჩვენს ყურადღებას. რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში ის ახალ ხანას, ახალ ტრაგედიას უწოდებს. მისი პოლიტიკური სიკვდილის, მაგრამ სულიერად გადარჩენის მიზეზებსაც ასახელებს და არც ცდება თავის შეფასებებში. ქვარიანი რუსულ პოლიტიკას, კოლონიურ ექსპანსიასა და აგრესიას უკავშირებდა ქართველი ერის გამოფხიზლებას და წერდა: „გაცრუებულმა იმედებმა, ტლანქმა ძალმომრეობამ და ყოველმხრიდან უმაგალითო ცარცვა-გლეჯამ გააღვიძეს ქართველი ერი. ის უკვე გამოვიდა უმოქმედობის და მცონარობის ჯანყიდან, ფართოდ გაახილა თვალი და იცნო თავისი მტრები და მოკეთენი. ის მიხვდა ბოლოს, თუ რა საშინელი უფსკრულის პირას დგომილა შიგ გადასაჩეხად. რუსული სკოლა და ეკლესია, სასამართლო და მთელი მართვა-გამგეობის წესი ემუქრებოდა ქართველს გარუსებას და

გადაგვარებას. გამიჯვნის და კონფისკაციის სახით რუსებმა წაართვეს კერძო პირთ აურაცხელი მიწა-მამული და შერაცხეს სახაზინოთ. აგრეთვე სახაზინოთ შერაცხეს საეკლესიო, სამონასტრო, სამეფო და ზოგიც სამთავრო მამულები. ამ უმდიდრეს ადგილებზე კი დაასახლეს ასიათასობით სომეხი, რუსი, გერმანელი, ბერძენი და სხვა, რომ ამრიგათ აეჭრელებინათ საქართველოს ტერიტორია, მოეშორებინათ შავ ზღვას, დაესუსტებინათ ქართველი ერი და დაებადათ მკვიდრთა და ჩასახლებულთა შორის მძულვარება...

ასეთი პოლიტიკა, — სიმონ ქვარიანის აზრით, — მაშინ მიმდინარეობდა, როდესაც ქართველი ერი თავადაც იტანჯებოდა უმიწობით, თავიანთ სამშობლოში მათ უკრძალავდნენ დასახლებას, მაგალითად აფხაზეთში, და ეს მაშინ, როდესაც აქ უცხო ეროვნების ხალხი ჩამოჰყავდათ. ქვარიანი არც რუსულ პრივილეგიებს ივიწყებდა სომხებისადმი და წერდა: „მფარველობით და დიდი დახმარებით იმთავითვე ფრიად გაალაღეს ჩვენში გადმოსახლებულნი, განსაკუთრებით კი — სომხები, რომლებმაც დიდად ისარგებლეს ქართველი ერის სისუსტით, გულკეთილობით, სიუხვით და მინდობილობით, აგრეთვე ისარგებლეს დიდათ ამიერკავკასიის ომებით, თავისი ვაჭრული უნარით, ჩარჩობით, მევახშეობით და სხვადასხვა მანქანებით შეიძინეს ჩვენში დიდი მამულები, მილიონები და დღეს ისე გათამამდნენ, რომ ჩვენი მორიდებაც აღარ აქვთ".[5]

წიგნი დამოუკიდებლობის მოპოვების დროსაა დაწერილი, მაგრამ ასახავს მანამდელ პროგრესულ მოთხოვნებს, რაც 1916-1917 წლებში ჰქონდა საქართველოს: ფართო ავტონომიის მიღება რუსეთის ფედერაციაში და ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. ის საუბრობდა 115 წლის მანძილზე საქართველოსგან რუსეთისთვის მიცემულ იმ გმირებზე, რომელთაც დიდება და წარმატებები მოუპოვეს იმპერიას. პეტრე ბაგრატიონს, პავლე ციციშვილს, დიმიტრი და გრიგოლ ორბელიანებს, ძმებ ფანჩულიძეებს, ზაქარია ჭავჭავაძეს, ნიკო ამილახვარს, ს. კვინეტაძესა და სხვებს ასახელებდა

ისტორიული სახელმძღვანელოს ავტორი იმ 300 ათას ქართველთან ერთად, რომლებიც მსოფლიო ომში წავიდნენ საქართველოდან და ასახელეს რუსეთი, ბევრი მათგანი შეეწირა რუსეთისთვის ბრძოლას. „და ეს დიდი ამაგი ქართველი ერისა დაივიწყა რუსეთის მთავრობამ და საზოგადოებამ", — წერდა ქვარიანი, შამილის ომსა და სხვა რუსულ აღმოსავლურ ომებში დახოცილ ქართველთა ღვაწლის დავიწყებას იგი დიდ უსამართლობად თვლიდა, რადგან თვით რუსი მწერლები და გამოჩენილი სარდლებიც კი ვერ მალავდნენ მათ გმირობასა და დამსახურებას.

სიმონ ქვარიანის პოლიტიკურ პორტრეტს, მის საზოგადოებრივ მრწამსს ააშკარავებს წიგნის ის გვერდები, სადაც ლაპარაკია ქართულ სოციალისტურ და არასოციალისტურ პარტიებზე. პუბლიცისტი უპირატესობას ანიჭებდა ამ დროს ახლად ჩამოყალიბებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და წერდა, რომ უნდა გაერთიანებულიყო ეროვნული ძალები, ქართველი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლები ქართველი ერის მთელ მასასთან, ახალ პარტიას უნდა გამოეხატა მთელი ერის ინტერესები. „ამ ახალი პარტიის სახელწოდება იქნება ეროვნულ-დემოკრატიული ან ხალხოსნური პარტია. ამ პარტიის უმთავრესი მიზანი იქნება: წმინდა ხალხოსნურ ინტერესთა განსახიერება ეროვნულ ფარგლებში. ამრიგათ, ამ პარტიის ირგვლივ უნდა შეჯგუფდეს ქართველი ერის 80% მაინც, ე. ი. რვა მეათედი ნაწილი და ამიტომ ეს პარტია იქნება საქართველოში ყველაზე უფრო ძლიერი, მკვიდრი. აი, სწორეთ ამ პარტიის შექმნას თხოულობს დღეს თვით ქართველი ერის ჭეშმარიტი ინტერესი". ასეთი აზრი იმ დროს (1916-17 წლებში),როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოში ასეთი პოპულარობით სარგებლობდა, მით უმეტეს 1918 წელს, როდესაც ეს წიგნი გამოვიდა, რა თქმა უნდა თამამი და პროგრესული აზრი იყო. აქედან ჩანს, რომ სიმონ ქვარიანი ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნებით ყოველთვის გამოირჩეოდა.

საინტერესოა სიმონ ქვარიანის ისტორიული შეხედ-

ულებები ერეკლე II-სა და მის პოლიტიკურ კურსზე, რაც ქართულ ისტორიულ აზროვნებაში სწორხაზოვნად არაა შეფასებული.

ქვარიანის აზრით, რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ, მისმა სარდლებმა პოტიომკინმა და პანინმა მზაკვრულად ჩაითრიეს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ერეკლე II და სოლომონ პირველი. ეს იყო ქართველი მეფეების შეცდომა, მათ ვერ გაითვალისწინეს წინამორბედი მეფის — ვახტანგ VI-ის მსგავსი შეცდომის საშინელი შედეგები საქართველოსთვის ქართველთა პოლიტიკურად მშვიდი ხანა საშინელი დრამატული მოვლენებით შეცვალეს: „როცა ასე კარგად მიმდინარეობდა საქართველოს სამეფოთა საქმე, — წერდა ს. ქვარიანი იმის შემდეგ, რაც იხსენებდა ერეკლეს კავშირს ნადირ შაჰთან, განჯის, ყაზახის, ერევანის, შამშადილის და თითქმის მთელი ამიერკავკასიის სახანოთა დაპყრობას, — მტკიცდებოდა მათში სამეფო ძალა, წესი და ერთობა, როცა ხანგრძლივი ტანჯვის, შინაური შფოთისა და შემოსეულ მტერთა მიმართ სისხლისღვრის შემდეგ ქართველმა ერმა ამოისუნთქა თავისუფლათ და შეუდგა მოქალაქეობრივ ცხოვრებას და კულტურულ აღორძინებას, სწორეთ ამ დროს თავს დაატყდა მას ახალი საშინელი რისხვა ისევ რუსეთის მზაკვრული პოლიტიკის სახით“.[6]

ტოტლებენის ღალატს ქვარიანი წინასწარგანზრახულ რუსულ გეგმას უკავშირებდა და იმოწმებდა მარი ბროსეს მემუარებში მოტანილ ციტატას — ლვოვის რაპორტიდან პანინის მიმართ. ისტორიკოსი წერდა ამ ღალატის საშინელ შედეგზე და ერეკლე II-ის რაინდობას, ქართულ გულოვნებას და ხასიათს მიაწერდა მის რუსულ მხარეზე დგომას ამ საშინელი მოვლენის შემდეგაც. თუმცა, მის პოლიტიკურ ორიენტაციას მარცხად, შეცდომად მიიჩნევდა, აღწერდა რა წარსულში მის მიერ მოპოვებულ გამარჯვებებს, ქვარიანი წერდა: „... მაგრამ მოხუცდა ივერიის ლომი, დაუძლურდა მეტათ ერეკლე გმირი: ის დასუსტდა გონებითაც და ჩაიდინა ოთხი ისეთი დიდი შეცდომა, რასაც მოჰყვა საქართველოსთ-

ვის საბედისწერო შედეგი: 1. ერეკლემ არ შეიერთა იმერეთ-გურია-სამეგრელო და ამრიგათ არ გააერთიანა საქართველო, როცა ამის შემთხვევა მიეცა იმერეთის მეფე სოლომონ დიდის სიკვდილის შემდეგ და როცა ამგვარი წინადადებით მიმართეს მას კოლხეთის დიდებულთა დეპუტაციამ. 2. ერეკლე მეფემ გაუყო თავის შვილებს საუფლისწულოდ ქართლ-კახეთი და მით დააუძლურა სამეფო. 3. თავის მესამე ცოლის დარეჯან დედოფლის შთაგონებით შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი და მით დაბადა ძმებს შორის დინასტიური შუღლი და განხეთქილება და 4. არ სცნო ირანის შაჰათ ყაჯარი აღა-მაჰმად ხანი, რითაც გამოიწვია მისი საშინელი რისხვა და თბილისის აოხრება.

ამ ქვარიანისეულ ბრალდებებს ჩვენ არ განვიხილავთ, აღვნიშნავთ, რომ ამგვარი შეხედულება XIX-XX საუკუნის ბევრ მოაზროვნეს ჰქონდა, თუმცა დღეს, ჩვენს ისტორიოგრაფიაში მათი საწინააღმდეგო თვალსაზრისებიც ბლომადაა. განსაკუთრებით ეს ეხება დასავლეთ საქართველოს შეერთებაზე უარის თქმის ფაქტს. ზოგიერთი თვალსაზრისით, ეს იყო სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რადგან იმერეთის ტახტზე მაინც ერეკლეს შვილიშვილი დაჯდა, რომელიც ფაქტიურად თავისი პაპის ერთნებაობით იმეფებდა, თუ თვითონ ერეკლე მიიერთებდა იმერეთს, ისედაც დაძაბულ ურთიერთობას ოსმალეთთან კიდევ უფრო დაძაბავდა და საქართველოს სპარსეთთან ერთად ამ მეორე ფრონტზეც მოუწევდა სისხლისღვრა.[7]

თეორიულად ყაჯართა დინასტიის არცნობასა და მის შეუთავსებლობას ბაგრატიონთა ტახტთან აქვს ისტორიული საბუთი და საფუძველი.

სიმონ ქვარიანი ოსტატურად აღწერდა ერეკლე მეორესთან გამართულ თათბირს, დასავლეთ საქართველოს დელეგაციის მოთხოვნებს. ის წუხდა, რომ მეფემ ვერ დაინახა ამ დიდი ისტორიული აქტის მნიშვნელობა. ისტორიკოსი ამბობს, რომ „პირველი და ძლიერი ხმა ერთობისათვის იყო ჭაბუა ორბელიანის", შემდეგ კი მას მიემხრენ ანტონ კათა-

ლიკოსი, სარდალი დავით ორბელიანი, სოლომონ ლეონიძე, ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, იოსებ ბარათაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი და სხვები. ის არც იოანე მუხრანბატონს ივიწყებს, მის წამოძახილს — „ჩვენ, ქართველთა, ჩვენთვის ვერ მოგვივლია და ვითარ მოვუაროთ იმერეთსაო“ — ის ამ აქტის ჩაშლას დარეჯანს აბრალებს, რომელსაც ვეზირობდა და ჭკუას ასწავლიდა ოსეფა ყორღანაშვილიო. „ამ სომხისავე შედგენილი იყო ის უკუღმართი ანდერძი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, რამაც დაბადა საშინელი შუღლი ერეკლეს შვილებს შორის, მოკლა პოლიტიკურათ, გადაჩეხა უფსკრულში ივერია და მასთან მთელი საქართველო“, — ასკვნიდა ქვარიანი.

ისტორიკოსი ხვდება, რომ სრულად ჩააქსოვა თავის ნაწერში ის გულისტკივილი და სამამულო სევდა, რაც XVIII საუკუნის დამლევის საქართველოს დრამატულ ისტორიას მოჰყვა, ამიტომ არც ფრიდრიხ დიდის ცნობილი გამოთქმა დაივიწყა: „დასავლეთით მე ვმბრძანებლობ, აღმოსავლეთით კი უძლეველი მეფე ერეკლე გმირიო“, მისი აზრით, ფრიდრიხი, ბრძოლის წინ ერეკლეს მაგალითით ამხნევებდა თანამებრძოლებს, რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II კი, მიუხედავად თავისი მოღალატური და მზაკვრული პოლიტიკისა საქართველოსადმი, ერეკლეს გმირობის გამო გაოცებას უზიარებდა ფრანგ მოაზროვნეს ვოლტერს და მთელს ევროპას. ისტორიკოსი იმასაც კარგად იაზრებს, რომ ვერც ერეკლეს გმირობა და ვერც მთელი ქართველი ერისა შედეგს ვერ მოიტანდა, რადგან: „შავი ლანდივით მას უკვე ევლებოდა თავზე ჩასანთქავათ ბასრი კლანჭებით ფრთებგაშლილი ორთავიანი თეთრი არწივი“. მისი სამართლიანი აზრით, რუსეთის ლტოლვამ შავი ზღვის ხელში ჩასაგდებად, რასაც მოჰყვებოდა ხმელთაშუა ზღვისა და სრუტეების დაპატრონება, კონსტანტინოპოლის დაკავება, მეორე მხრივ კი — კასპიის ზღვით — ინდოეთისკენ გაჭრის სურვილი — იყო მთავარი, რასაც ემსხვერპლენ ვახტანგ VI, ერეკლე II და მთლიანად ქართველი ერის და სახელმწიფოს ინტერესები.

სიმონ ქვარიანის ისტორიაში გამოკვეთილად ჩანს პატრიოტი მოღვაწის — სოლომონ ლეონიძის პორტრეტი. ავტორის სიმპათია მთლიანადაა მის მხარეს. როდესაც გიორგი XII კვდებოდა, იმ დღეს, ლაზარევმა, კნორინგის ბრძანებით, უცებ ჩააყენა სასახლეში შეიარაღებული დარაჯები, შეკრიბა თავის ბინაზე ტახტის მემკვიდრედ რუსეთისგან ადრე მიღებული დავითი, ივერიის დიდებულები და წაუკითხა რუსულად იმპერატორ პავლე 1-ის რესკრიპტი, რომ არავინ დაენიშნათ ტახტის მემკვიდრედ. სანამ თარჯიმანი თარგმნიდა ამ სიტყვებს, ქვარიანის სიტყვით, — ის რუსულის კარგად მცოდნე ლეონიძემ საწინააღმდეგოდ თარგმნა და ხმამაღლა აუწყა კრებას, რომ ლაზარევმა მოულოცა ბატონიშვილ დავითს საქართველოს მეფობაო. ეს უბრალო ეშმაკობა კი არა, თავგანწირული მოქმედება იყო ქართველი მამულიშვილისა, რომელმაც იცოდა, თუ რა ელოდა საქართველოს მეფობის დაკარგვით, დავითს ემხრობოდა და სულ აქეზებდა, უფრო მეტი გაბედული მოქმედებისკენ მოუწოდებდა, მაგრამ ლიბერალური ფასეულობებითა და ვოლტერიანული ფილოსოფიით აღზრდილი დავით ბატონიშვილი ვერ ბედავდა ასეთ მოქმედებას, ეგონა, უკანონობას ჩავიდენო და სულ რუს გენერალ ლაზარევს შეჰყურებდა, რაც ლეონიძეს ღალატად მიაჩნდა. „დავითმა დაღუპა ოჯახი მეფეთა, გამოსჭრა ყელი მეფობასა, დაამცირა ერი თვისი და თვით თავი თვისიო“, ხშირად იმეორებდა ეს დიდი პატრიოტი, რომელიც შემდეგ იმერეთში, სოლომონ II-სთან გაიქცა ციხიდან, სადაც პოლიტიკური ნიშნით ჩაამწყვდიეს, სოლომონთან ერთად ებრძოდა რუსეთს, დამარცხების შემდეგ კი ახალციხეში გადავიდა. აქ, 1811 წელს შავი ჭირით გარდაიცვალა პატრ ნიკოლასთან ერთად, რომელიც, სიმონ ქვარიანის ისტორიის თანახმად, ეკამათებოდა საქართველოს უკანასკნელ მეფეს — გიორგი XII-ს, ჩააგონებდა მას: „რომ რუსთა წესი და ჩვეულებანი იქნება მეფისათვის სამძიმო, რომ დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო, სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქნების დაცინებული და საკიცხვე-

ლი, უცხო ნათესავი, პატრონათ ქვეყნისა მოყვანილი, შექმნის ერსა მტერად, მდევნელად და მაწუხებლად. მამაშვილური მთავრობა მეფეთა გადაიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლის სახედ სიყვარულისა უგვანისა და ბუნებისაგან არაოდეს აღსარებულისა. რუსნი შემოიტანენ პირველადვე მძიმესა უღელსა და დასდებდნენ ქვეყანასა კისერსა, მოითხოვენ დიდთა ხარჯთა, რომელთაც თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენი მამულნი და ყმანი, გაიყიდებიან ბარაბანით და მკვდარნი თქვენი დაიმარხებიან მუსიკითა".[8]

პატრი ნიკოლა რუტილიანი, რომელიც ასე წინასწარმეტყველებდა რუსეთ-საქართველოს მომავალ ურთიერთობაზე, საქართველოს პატრიოტებთან — სოლომონ II-სა და სოლომონ ლეონიძესთან ერთად გაიქცა რუსეთისგან დაპყრობილი საქართველოდან თურქეთის საქართველოში, სადაც, 1811 წელს აღესრულა კიდეც, მასთან ერთად დაიღუპა სოლომონ ლიონიძეც, თავად სოლომონ მეფე გადაურჩა შავ ჭირს, ტრაპეზუნდში გადავიდა და იქ გარდაიცვალა 1815 წელს.

სიმონ ქვარიანი სომეხთა კათალიკოსს — იოსებ არღუთაშვილს ჰკიცხავდა რუსთა თანამოაზრეობისათვის, ანტიქართული განწყობისათვის, წერდა, რომ ვანქის ტაძარში რუსეთთან შეერთების გამო დიდი წირვა და დღესასწაული გამართა თბილისელმა სომხობამ, რომ მათ სურდათ სომეხთა დიდი სამეფოს აღდგენა საქართველოს ხარჯზე, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა საქართველოს მიწა-წყალზე მათი დიდი კოლონიზაცია სომხური პოლიტიკის წარმატებით დაგვირგვინებულიყო.[9]

სიმონ ქვარიანის შეხედულება, რომ ალექსანდრე I გულკეთილი, დიდსულოვანი და განათლებული იმპერატორი იყო, რომელმაც დაინახა უსამართლობა „საქართველოს რუსეთთან შეერთებაში", — გულუბრყვილობაა, რუსული პოლიტიკური ინტერესები ყველა იმპერატორისთვის უპირველესი იყო, მათ შორის ალექსანდრესთვისაც, საქართველოს ეროვნული ინტერესი კი სრულიად უცხო,

დემოკრატიული ნიღბით მებრძოლი შოვინისტი და დამპყრობელი ალექსანდრეც საქართველოს მიმართ გარეგნული, მოჩვენებითი ჰუმანურობით მოქმედებდა, შინაგანად კი რუსული იმპერიის გაზრდა მას ისევე სურდა, როგორც სხვა მის წინამორბედებს, კავკასიის, ბალტიისპირეთისა და პოლონეთის დაპყრობას აუცილებლობად მიიჩნევდა და ამას ისე მოხერხებულად აკეთებდა, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოს შეერთებისას გააკეთა. თუკი ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა მოთხოვნას ითვალისწინებდა საქართველოს ამ ნაწილის შეერთებისას, რატომ არ გაითვალისწინა სოლომონ II-ის, დასავლეთ საქართველოს უარყოფითი დამოკიდებულება შეერთებისადმი. ფარისევლობა იყო მანიფესტში ჩაწერილი სიტყვები: „თქვენი იმედები ამხანათ არ იქნება მოტყუებული. არც ძალთა მომატებისათვის, არც ანგარებისათვის, არც უმისოთაც უდიდესი იმპერიის საზღვრების გადიდებისათვის ვიღებთ ჩვენს თავზე საქართველოს სამეფოს მართვა-გამგეობის მძიმე ტვირთს. მხოლოდ ერთად-ერთი ღირსება, პატივი და კაცთმოყვარეობა გვაკისრებენ ჩვენ წმინდა მოვალეობას ვისმინოთ ტანჯული ერის ვედრება, დავაცხროთ მისი წამებანი და დავაარსოთ საქართველოში მმართველობა, რომელსაც შეეძლება დაამყაროს სამართალი „პიროვნების და საკუთრების ხელუხლებლობისა და მიანიჭოს ყოველ ადამიანს კანონის ძალით მფარველობა“.

სიმონ ქვარიანი თავადაც კარგად ხედავდა ამ სიტყვების სიყალბეს და ახასიათებდა რუსი ჩინოვნიკების — ძმები კოვალენსკების, ლაზარევის, კნორინგის და სხვათა საქმიანობას, წერდა, რომ მათ შეაძულეს რუსეთი ქართველებს და წარსული ცხოვრება ანატრებინეს.[10] ისტორიკოსი დადებითად ახასიათებდა პავლე ციციანოვს, მის მოქმედებას იმით ამართლებდა, რომ რუსი მოხელე იყო და იძულებული ხდებოდა „რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის საზომით ემართა ქვეყანა“. ამ მხრივაც შეიძლება შევეკამათოთ ისტორიკოს სიმონ ქვარიანს, მაგრამ უნდა ვთქვათ მთავარი: მისი პატარა სახელმძღვანელო იმ მთავარ ხაზს იცავდა, რაც რუსეთ-

საქართველოს ურთიერთობაში ობიექტურად არსებობდა, არ მალავდა და არ ალამაზებდა ისტორიულ ფაქტებს, ჩვენთვის აუცილებელ ცოდნას გვაწვდიდა, რაც ისტორიის ვალია შეუნახოს და მიაწოდოს ხალხს. ამ სიღრმითა და ობიექტურობით, შემდეგში, რა თქმა უნდა, საბჭოური 70-წლიანი რეჟიმი ისტორიულ ცოდნას ვერ აწვდიდა მკითხველს და ბევრ მოვლენას ერთგვარად ნიღბავდა, ალამაზებდა თუ სულაც მალავდა.

მისი ისტორიის ის ნაწილი, რომელიც იმერეთის სამეფოს ეხება, ნათლად ავლენს რუსეთის დაუნდობლობას საქართველოსადმი, სოლომონ II-ის ტრაგიკულ, გმირულ და შეუდრეკელ პიროვნებას.

სოლომონ II-ის გაპარვას ტყვეობიდან ასე აღწერდა ქვარიანი: სიმონოვიჩის ფიცს, რომ მეფეს არაფერს ავნებდნენ და მხოლოდ მოლაპარაკებაზე მიჰყავდათ ტორმასოვთან, მეფე ენდო, თუმცა ეს ნდობა შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ აიძულა. 500 კაცით სოფელ საზანოდან, სადაც იგი იმყოფებოდა ცოლის მამულში, 1810 წლის 15-18 მარტს, გასწია სურამს მოგილევსკის თანხლებით. სოფელ ბეკამთან მიიღო ცნობა, რომ ტორმასოვი გორში ელოდა. გზაში სულიერად ეწამებოდა სოლომონი, ნანობდა, რომ ენდო რუსებს, მისი გრძნეული გული კარგს არას ეუბნებოდაო, — წერს ქვარიანი. დერბთან სცადა ოსეთში გაპარვა, მოგილევსკიმ შეუტყო განზრახვა და მეფეს განუცხადა, რომ ამიერიდან რუსი მცველების ხელში იყო. „სახელოვანი ტყვე" მიიყვანეს სოფელ ვარიანში, სადაც დახვდა ტორმასოვი, რომელმაც განუცხადა, რომ მისი ბედი საბოლოოდ თბილისში გადაწყდებოდა. გორში მეფის მხლებელნი დააფიცეს რუსეთის ერთგულებაზე და უკან დააბრუნეს, მეფეს 100 კაცი დაუტოვეს. თბილისში ჩაყვანილი სოლომონი თავად სუმბათაშვილის სახლში, მტკვრის პირას დააყენეს და სახლს დაცვა დაუყენეს. ქვარიანი წერს, რომ რამდენიმე დღეში მიტროპოლიტთა კრებამ ითხოვა მეფის დაბრუნება იმერეთში, რაზედაც უარი მიიღო. ტორმასოვმა უპასუხა, რომ „იმერეთი სამუდამოდაა შეერთებული რუსე-

თის იმპერიასთან და მეფის ნაცვლად იქ ინიშნება დროებით გამგეობაო". მთავარმართებელმა სოლომონის დატყვევების გამო სიმონოვიჩი გენერლობაზე წარადგინა, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. ქვარიანის აღწერით, სოლომონის გაპარვა ასე მოხდა: „წინა ღამეს გრიგოლ ერისთავმა და როსტომ წერეთელმა ვერის მინდვრებიდან მოარეკინეს ცხენები მეჩეთის ნანგრევთან, რომელიც ექვს ნაბიჯზე იყო ქალაქის გალავნის კარებიდან. ქაქუცა აბაშიძემ აუხსნა ბოქაულს ბარათაშვილს, რომ ეს ცხენები ჭირდებოდათ მეფის კარისკაცებს იმერეთში წასასვლელად. მეორე ღამეს სოლომონმა თავი მოიავადმყოფა და ადრე შევიდა თავის ოთახში, გაიხადა ტანისამოსი და დაწვა. ღამის 10 საათზე ქაიხოსრო წერეთელი შევიდა მეფესთან და ჩუმად აცნობა, რომ ყველაფერი მზად იყო. მეფის მოსამსახურე თაბუკაშვილმა მიართვა სოლომონს ადრევე დამზადებული უბრალო სამოსელი, მეფის ძვირფასი ტანსაცმელი კი მისცეს უბრალო სამოსლის მომტანს მედუქნე სომეხს ბეჟან მურასოვს. მეფის ლოგინში დაწვა მისი ერთგული მსახური. მეფე შეიმოსა უბრალო კაცად, შეიმურა სახე ნაცრით, აიღო ხელში დოქი და გავიდა ბაღში ქაიხოსრო წერეთლის ოთახიდან. მას შეეფეთა ორი დარაჯი, რომელთაც სოლომონმა თამამად უპასუხა, რომ იგი მეფის მსახური იყო და მტკვარზე წყლის მოსატანად მიდიოდა, მეფე გავიდა ქუჩაზე, აქ მას უცდიდა პოლიციელის სამოსლით ერთი იმერელი, ამან გაატარა მეფე ქალაქით და მიიყვანა გალავნის კარებთან, სადაც გააჩერა ისინი დარაჯმა, მაგრამ რაკი დაინახა პოლიციელი, გაუშვა ორივე გარეთ. აქ მეფეს დახვდა ოთხი წერეთელი, აბაშიძე და ერისთავები, 23 ცხენოსნით. მოახტა მეფე სოლომონი თავის ცხენს და გასწიეს ახალციხისკენ თრიალეთის გზით. გაცილდნენ რა თრიალეთს, მათ შეხვდა ლეკი მაჰმად ბელადი თავისი რაზმით, ესენი გაჰყვნენ მეფეს და 13 მაისს მშვიდობით მიიყვანეს ახალციხეში, სოფელ კოტელს, სადაც იყო ალექსანდრე ბატონიშვილი". ასე აღწერდა მეფის გაპარვის დეტალებსა და მის შედეგებს ქვარიანი. ტორმასოვს,

მისი აზრით, თავზარი დასცა ამ ამბავმა. თბილისის გუბერნატორი როზენი და ქალაქის კომენდანტი კომნენიც, მთელ რუსის ჩინოვნიკობასთან ერთად, ცუდ დღეში ჩავარდნილან. განსაკუთრებით ამ ამბავმა ააღელვა და შეურაცხყო იმპერატორი ალექსანდრე, რომელმაც გაიგო, როგორ მიაგდო ამაყმა იმერეთის მეფე — სოლომონ მეორემ 1804 წელს იმპერატორისგან ბოძებული ალმასებით მოჭედილი ალექსანდრე ნეველის ორდენი, თბილისის საპატიმრო ოთახში, როგორ არაფრად ჩააგდო მისი ღირებულება. ისტორიკოსი არც იმ მგრძნობიარე ბარათებს იშურებს მკითხველისათვის, რომელიც სოლომონმა ახალციხიდან მისწერა ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოსს, რომელიც შემდეგ ისევე შეეწირა უსულგულო რუსულ კოლონიურ რეჟიმს, როგორც მეფის გაპარვის მონაწილენი, თანამოაზრენი, ათასობითა და ათიათასობით მეამბოხე, რომლებიც მეფის მხარეზე, ე. ი. საქართველოს მხარეზე იბრძოდნენ რუსეთის დამპყრობლური რეჟიმის წინააღმდეგ. იგი აღწერს იმერეთის, კახეთის, მთიულეთის აჯანყების დეტალებს, ზოგჯერ ისეთ დოკუმენტებს გვაწვდის, რაც მეტად საინტერესოა მკითხველსათვის. მართალია, ეს ცნობები, უმეტესად აქტებიდანაა ამოღებული, მაგრამ მათი გაანალიზება, ეროვნული სულისკვეთებით სავსე, განათლებული ავტორის მიერ გაკეთებული ანალიზი და მიღებული დასკვნები დღესაც საინტერესოა და გასათვალისწინებელი.

მისი ისტორია სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შეფასებით მთავრდება, ისტორიკოსი აკრიტიკებდა სომხების ტერიტორიულ და კულტურულ პრეტენზიებს, მოჰქონდა პლატონ იოსელიანის მიერ აღწერილი გიორგი XII-ის ცხოვრებიდან ადგილი, სადაც საქართველოს უკანასკნელი მეფე უარყოფითად და ქართველთა მტრად ახასიათებდა სომხობას და ასკვნიდა: საქართველოს ორი მტერი ჰყავს, მის წინაშე ორი საფრთხეა: ერთი რუსეთი, რომელიც ენის დაკარგვით ემუქრება, მეორე კი სისხლით მორწყული, მამაპაპეული მამულის დაკარგვის, ქართული მიწების უცხოელები-

სგან მითვისების საფრთხეო, რაშიც ისტორიკოსი სომხების დიდ წვლილს ხედავდა. წიგნს, ორსაუკუნოვანი ისტორიის სახელმძღვანელოს, რომელსაც გამარჯვებულ და აღდგენილ საქართველოს სახელმწიფოში სცემდა, ასეთი ოპტიმისტური განწყობით, მომავლისადმი რწმენით ამთავრებდა: „ქართველმა ერმა გაუძლო ათასი წლობით მქროლავს ისტორიის უცნაურს გრიგალს, იგი უვნებელი გადაურჩა კაცობრიობის რისხვას ლანგ-თემურს, ის გაუმკლავდა ირანის ლომს შაჰ-აბასს, მან განიცადა წარსულ საუკუნეში უსაშინელესი წამებანი და მოვიდა ლაღი, ცოცხალი და უპოვარი, მაშ, გვწამს, რომ ღირსეული შვილი ამირანისა, დღეს ამ უსაშინელეს ქარტეხილში გამოვა გამარჯვებული და განახლებული, ვით ზღაპრული ფენიქსი, ცეცხლის ალში ამოვლებული“.[11]

სიმონ ქვარიანიც, პეტრე მირიანაშვილის მსგავსად, აღფრთოვანებული იყო, რუსეთის ჯარის მიერ ტრაპეზუნის აღებით და ფიქრობდა, რომ ეს „დიდი საქართველო“, ჭანეთი დედა-სამშობლოს დაუბრუნდებოდა და ამიტომაც ვრცელ, ისტორიული ხასიათის წერილში დაწვრილებით აღწერდა ჭანეთის ისტორიას, მოყოლებული III ათასწლეულიდან ქრისტეს შობამდე, დამთავრებული XX საუკუნით. მისი აზრით, ჭანები, სხვა ქართველურ ტომებთან ერთად, შეადგენდნენ ხეთების სახელმწიფოს, რომელიც ებრძოდა და ამარცხებდა დიდხანს ეგვიპტეს. მაგალითად მოაქვს ტელ-ამარნის ხელშეკრულება, სადაც ხეთები ეგვიპტის ტოლ ქვეყნადაა მიჩნეული, აღწერს ხეთების დასუსტების შემდეგ ქართველური ტომების დაბრუნებას კავკასიაში, ის ასახელებს: ისპირებს, ჭანებს, კოლხებს, მაკრონებს, სვანებს, ხალიბებს, აფსილებს, ბერებს, მოსტებს და სხვა.

საინტერესოა პუბლიცისტის თვალსაზრისი თავის თანამედროვეობაზე და ჭანეთის მომავალ ბედზეც, რასაც წერილის ბოლოს, დასკვნის სახით წარმოგვიდგენს: „წარსულმა საუკუნემ ჩვენ შემოგვიერთა საუკუნეობით მოწყვეტილი მესხეთი და ორი დიდი ხნით დაშორებული ძმა გადაეხვივნენ ერთმანეთს. დღეს კიდევ მსოფლიო ომის ქარტეხილმა გად-

მოისროლა ჩვენსკენ ჩვენთვის თითქმის დაკარგული ჭანეთი, ეს წმინდა გიორგის და წმინდა ნინოს ტურფა სამშობლო. უსაზღვროა ქართველი ერის სიხარული. დღეს თითქმის გაერთიანდა ძველი საქართველო ორთავა არნივის ქვეშ. დღეს კოლხეთ-ივერიის ფარგლებში მოექცა ძველი ლაზიკა და კაპადოკია"...[12]

პუბლიცისტის იმედი უკავშირდებოდა აქაური ხალხის მშობლიურ ენაზე მეტყველებას, ქართული ზნე-ჩვეულებების არსებობას, რაც მალე, ამ საუკუნის ბოლოსთვის თითქმის სრულიად წაიშალა. რაც შეეხება პოლიტიკურ იმედებს; რუსეთი სულ მალე, რამდენიმე წელიწადში თურქეთის პარტნიორი გახდა, მისი თანხმობით დაიბრუნა დაკარგული ამიერკავკასია, თურქეთში დარჩენილი ქართული მიწები კი, რომელთა დაბრუნებას 1916 წელს რუსეთის ჯარის გამარჯვების გამო იმედოვნებდა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, იქნებ სამუდამოდაც კი, თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩა.

სიმონ ქვარიანი არ კმაყოფილდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ანალიზით, გარდა ჭიათურის მანგანუმის მადნის გადამუშავებასა და საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მისი როლის შესწავლისა, მას სოფლის მეურნეობის საკითხებიც აინტერესებდა. პუბლიცისტი თვლიდა, რომ ომით გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისს შველა უნდოდა, ვაჭარ-სპეკულანტების საქმიანობა კი უფრო ამძიმებდა მდგომარეობას. იმერეთის რეგიონის სოფლის მეურნეობაში არსებულ პრობლემებს იგი გადმოსცემდა ვრცელ პუბლიკაციაში, რომელიც გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა 1916 წლის მარტში.[13]

წერილში დასმული იყო შაბიამნის საკითხი, რომელიც ვაჭრების ხელში ჩავარდნილი, გლეხობისთვის მიუწვდომლად იქცა და ვენახები ნადგურდებოდა. არადა, ვაზზე ბევრად იყო დამოკიდებული ზემო იმერეთის ოჯახის არსებობა. როგორც ქვარიანი წერდა: იგი იყო „მისი მარჩენალი და სულისჩამდგმელი". ის საყვედურობდა ხელისუფლებას გულგრილო-

ბისათვის, რადგან დროზე არ მოხდა ინგლისიდან შაბიამნის შემოტანა, „რაც გადაარჩენდა ხალხს ჩარჩების ბრჭყალებიდან, ვენახებს კი — მოსპობისაგან". მინათმოქმედების დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო შაბიამნის დაკვეთასა და მიღებაში, ამის ოპერაციები კი მინდობილი ჰქონდა მოსკოვის სახალხო ბანკს. ქვარიანის აზრით, დეპარტამენტის დახმარებით მოქმედებდა ფრიდონოვის ცნობილი ფირმა, რომელიც შაბიამნის გაყიდვას ისეთ ფასებში ჰპირდებოდა დეპარტამენტს, რაც დაუჯდებოდა მისი შემოტანა. ქვარიანს მიაჩნდა, რომ დეპარტამენტი არ აკონტროლებდა არც ბანკს და არც ფირმებს, რის გამოც, ჯერ კიდევ წინა წელს, ფრიდონოვს დიდძალი შაბიამანი შეუძენია, რასაც მალავდა, რათა იმ დროს გაეყიდა, როდესაც ყველაზე დიდი კრიზისი დადგებოდა და ხალხი თანახმა გახდებოდა ყოველგვარ საფასურზე, სახალხო ბანკის და ღამბაშიძის ფირმის გემები კი ჩრდილოეთის ზღვაში დგანან და ვერ მოდიანო. ღამბაშიძე ლონდონში იმყოფებოდა და ამ საქმეს კარგად ვერ ხელმძღვანელობდა; შექმნილი მდგომარეობით სარგებლობდნენ უცნობი სომეხი და ებრაელი ვაჭრები, დადიოდნენ ხალხში და მაღალ ფასში სთავაზობდნენ ვენახის შესაწამლ ნივთიერებას, თან აშინებდნენ, — რაც შეიძლება მეტი იყიდეთ, თორემ კიდევ უფრო გაძვირდებაო. სიმონ ქვარიანი აფრთხილებდა საზოგადოებას, რომ დიდ სპეკულაციასთან ჰქონდა საქმე. ზესტაფონში და იმერეთის სხვა პუნქტებში შედგა ოთხკაციანი დეპუტაცია, რომელიც წარუდგა მეფისნაცვალს და შექმნილ მდგომარეობაში დახმარებას თხოვსო, — წერდა პუბლიცისტი. გარდა ამისა, ასახელებდა დაბრკოლებას სიმინდის და ხორბლის შემოტანაში, იგი ადრე შემოდიოდა ჩრდ. კავკასიიდან რკინიგზით და გაცილებით იაფი იყო, ამჯერად კი ზღვით ხდებოდა შემოტანა და ზედმეტ ხარჯებს უკავშირდებოდა, რაც ტვირთად აწვა ღარიბ ხალხს.

პროდუქტებზე ხელოვნურად ფასის აწევას, ცალკეული ფირმებისა და ვაჭრების კონტრაბანდისტულ და უგულო ქმედებას მთავრობაც ხვდებოდა, მაგრამ, ქვარიანის აზრით,

ან არ სურდა, ან ვერ უმკლავდებოდა შექმნილ მდგომარეობას, ანდა, სულაც თანამონაწილე იყო ამ ანტიხალხური პოლიტიკის გამტარებელი ვაჭარ-სპეკულანტებისა.[14]

ეკონომიკური ცხოვრების დაბალ დონეს მიაწერდა პუბლიცისტი პროდუქტების სიძვირეს, რის წინააღმდეგ ბრძოლასაც ასაბუთებდა წერილების სერიაში — „სიძვირე და მასთან ბრძოლა".

ქვარიანის აზრით, ეს სოციალური მოვლენა ისეთი უბედურების საფუძველი იყო, რომელიც არყევდა სახელმწიფოს, ერის თავისუფლებას ზღუდავდა და ფიზიკურად სპობდა ერის სიჯანსაღეს. ის ააშკარავებდა სპეკულაციას, ვაჭრობა-გადაყიდვის ტენდენციებს, მევახშეობას, რადგანაც ამ საქმის მიმდევარნი სარგებლობდნენ „წამხდარი დროით" და „დღევანდელი ავადმყოფური ეკონომიური ატმოსფეროთი" საზრდოობდნენ. სოციალურ სენად მიაჩნა მას სპეკულაცია, რომლითაც დაავადდა ქართული ეროვნული სხეული. „ეს სასტიკი სენი, სიძვირე და სპეკულაცია, — წერდა ქვარიანი, — წარმოშვა ჩვენმა მოდუნებულმა და დაავადებულმა ეკონომიკამ, ჩვენი ერის შეფერხებულმა ნივთიერმა ცხოვრებამ და ყალბად ამოძრავებულმა ფინანსურმა აპარატმა. ამიტომ სიძვირე-სპეკულაციასთან ბრძოლა არ შეიძლება არც ხელფას-ჯამაგირების მომატებით, არც სასურსათო აპარატებით, არც ნიხრით და არც სპეკულიანტების დატუსაღებით. —ქირა-ჯამაგირების მომატება იწვევს ახალ-ახალ მილიარდის ბონების დამზადებას და გამოშვებას ბაზარზე, რაც საოცრად სცემს შინ და გარეთ ჩვენი მანეთის ღირებულებას, ამით ქმნის სიძვირეს და ბადებს სპეკულაციასაც"...

ქვარიანის აზრით, ამ სენს ვერ შეებრძოლა მთავრობა, რადგან თავიდანვე აირჩია არასწორი გზა: შეზღუდა კერძო ინიციატივა, წესიერი ვაჭრობა-მრეწველობა, ხელში ჩაიგდო ბანკები და ყველაფერზე დააწესა მეთვალყურეობა. დაბა-ქალაქებში შექმნილმა სასურსათო და მომარაგების კომიტეტებმაც ვერ უშველეს საქმეს, სიძვირე მოედო ყველაფერს და გუშინდელი სოციალიზმის მქადაგებელნიც, დღეს სპეკულა-

ციით დამდიდრდნენ. ასეთ სურათს ხატავდა ქვარიანი და თან დასძენდა: „და ეს ხდება თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში! ეს ხდება სოციალისტურ ხანაში, სოციალისტური მთავრობის ბატონობაში!.. ათასები და ათიათასები მწარედ კვნესიან შიმშილ-სიტიტვლისაგან, ამავე დროს კი რამდენიმე ათეული და ასეული ყოვლად უღირსი, მავნე ადამიანები იძენენ დიდ ქონებას, იძენენ მილიონებს და მილიარდებს!.."

სიმონ ქვარიანი მთავრობას აკრიტიკებდა იმის გამო, რომ ვერ გამონახა გზა სიძვირიდან თავდასაღწევად, მოჩვენებით დაერია სპეკულიანტებს, რამაც მდგომარეობა ვერ გამოასწორა. ის ახსენებს სახელმწიფოს, საღი ფინანსურ-ეკონომიკური ცხოვრების ძირითად დებულებებს: 1. უდეფიციტო სახელმწიფო ბიუჯეტს და 2. სწორი სავაჭრო ბალანსის წარმოებას.

ის წერდა, რომ მთავრობას იმდენი უნდა დაეხარჯა ქვეყნის საჭიროებისათვის, რასაც იღებდა ხალხისაგან გადასახადების სახით. მთავრობას ხელი უნდა შეეწყო ხალხის ვაჭრობაში ჩასაბმელად და საქონლის უცხოეთის ბაზრებზე გასატანად, უნდა გაეტანა მეტი, ვიდრე შემოიტანდა. მას მოჰქონდა ფულის სიმყარისთვის აუცილებელი პირობა: თუ შესაბამისი ოქრო არ იქნებოდა მასში ჩადებული, ფული კარგავდა ღირებულებას და ბონდებოდა. ქვარიანს მოჰქონდა სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების ამსახველი ციფრები, აანალიზებდა მათ და გამოჰქონდა დასკვნები საქართველოს ამდროინდელი ეკონომიკის დასახასიათებლად. წერილიდან ჩანს პუბლიცისტის გარკვეულობა ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებში, ასევე უნარი, დაენახა მდგომარეობის გამოსწორების გზები. ამ გზებს უჩვენებდა ის კიდეც ხელისუფლებას, ეს იყო: 1. სახელმწიფო ხარჯების შემცირება; 2. საგადასახადო აპარატის ამოქმედება; 3. საგლეხო საადგილმამულო ბანკის დაარსება; 4. მიწათმოქმედების განვითარება, რომ საჭირო არ გამხდარიყო უცხოეთიდან პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანა; 5.

მრეწველობის სხვადასხვა დარგის შექმნა და განვითარება. ნედლეულის არსებობის გამო, ის სასურველად თვლიდა ძაფსაღები, საქსოვი და საღებავის ფაბრიკების, შალეულის, აბრეშუმის წარმოებას. უცხოეთიდან მანქანების გამონერასა და ამ საქმის მცოდნე პირების ჩამოყვანას. 6. უნდა მოწესრიგებულიყო მუშათა შრომის ანაზღაურების, სამუშაო პირობების გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების საკითხი. 7. უნდა შეცვლილიყო სამონოპოლიო აპარატები, უცხოეთში გასატან სავალუტო საქონელზე დაწესებულიყო სხვადასხვა ბაჟი.

სახელმწიფო ხარჯების შემცირება შეიძლებოდა ჯარის, სახელმწიფო აპარატის, მილიციის შემცირებით. გათავისუფლებული მოხელეები უნდა გადაეყვანათ წარმოებაში, სადაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ ქვეყნისთვისაც და საკუთარი კეთილდღეობისთვისაც.[15]

წერილების სერიაში ქვარიანი ამტკიცებდა, რომ „საღი ეკონომიკა და საღი ფინანსები ქმნიან საღ პოლიტიკას და ამტკიცებენ სახელმწიფო წყობილებას“ წერილის დაწერის მიზეზად პუბლიცისტი ასახელებდა იმას, რომ დგება სიჩუმის დარღვევის დრო, რადგან სიჩუმე ლაჩრობა იქნებოდა და ქვეყნის ღალატი, საჭირო იყო „ცუდის დაწუნება და კარგის მოწონება“. მისი აზრით, საქართველოს მმართველმა პარტიამ სწორი პოლიტიკური გეზი აიღო, რითაც აჯობა რუსეთს და სხვა მეზობელ ქვეყნებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არასწორი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა აირჩია.

„უნდა ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და მთავრობამ მალე აუღეს ალღო ცხოვრების და ისტორიის ჩარხის ტრიალს, უარყვეს პოლიტიკაში ცენტრალისტურ-სოციალისტური ლოზუნგები და უტოპიები, უარყვეს რუსეთის დამღუპველი ორიენტაცია, გადადგეს ნებით თუ უნებლიეთ „იძულებითი“ ნაბიჯები, აიღეს სწორი გეზი და დაადგნენ პოლიტიკაში ნამდვილ ეროვნულისა და ასე თუ ისე დემოკრატიულ გზას. და თუ ამის გამო ისინი ერთის მხრით ძლიერ დაშორდნენ თავიანთ ჩრდილოეთის ოსტატებს და

ბოლშევიკთა ექსპერიმენტს, სამაგიეროდ, მეორეს მხრით, მათ ჰპოვეს პრინციპი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისა და დაცვისა. ასეთი სწორი გზა მიუთითა მათ თვით ისტორიამ და ქართველი ერის კეთილგონიერებამ. მათაც აუღეს ალღო".

ეს იყო „კარგის მოწონება",

ახლა ვნახოთ „ცუდის დაწუნება":

„სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის ჩვენი მთავრობისა და სოციალ-დემოკრატების აგრარულ, ეკონომიკურ და ფინანსური პოლიტიკის შესახებაც... ჩვენი მენშევიკები მოქმედებენ უფრო ფრთხილად (რუსებთან ადარებს!), წყნარად, თავაზიანად და თანდათანობით, მოქმედებენ უმუშტოდ და უხმლოდ, მხოლოდ სურთ დაუახლოვდნენ ამ ნელი სიარულით იმავე მიზანს, რასაც ეტრფიან რუსის ბოლშევიკები, ე. ი. დაამყარონ საქართველოშიც „სოციალისტური სამოთხე...

კმარა, ბატონებო! ჩრდილოეთისკენ ცქერა ჩვენ სეირს არ დაგვაყრის! რუსეთის მაგალითები ჩვენ დაგვლუპავს ერთიანად! რუსეთი დიდია, ჩვენ კი პატარა, მასთან აუარება მტრებით გარემოცული. რუსეთმა შეიძლება მოინელოს ბოლშევიკთა უცნაური ექსპერიმენტები... ქართველ ერს კი ასეთი უნიადაგო ცდანი მოსპობს ერთიანად!.." — ასე ახასიათებდა ქვარიანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსსა და შესაძლო შედეგებს. ის იცნობდა „ლენინ-ტროცკების, გოლდმანებისა და ვოიტინსკების" მავნე რეცეპტებს, ირწმუნებოდა, რომ ამათ დაღუპეს რუსეთი, საქართველოს გადარჩენის გზას კი ეროვნული პოლიტიკის სწორად გააზრებაში ხედავდა. მისი აზრით, საქართველოს მაგალითი უნდა აეღო ევროპისაგან, რომელიც 200-300 წლით უსწრებდა საქართველოს. უნდა უარეყოთ კერძო ქონების ჩამორთმევისა და რეკვიზიციის თითქმის ბოლშევიკური მეთოდი, რასაც საქართველო მიმართავდა. ერი უნდა გაფრთხილებოდა იმ სიმდიდრეს, იმ საქონელს, რაც ჰქონდა, არ გაეფანტა, უქმად არ გადაეყარა! ქვარიანი საუბრობდა ერის გაზარმაცებაზე, მის ინერტულობაზე, წარსულში რუსეთს ადანაშაულებდა ამ თვისების ჩამ-

ოყალიბებაში, შრომისა და მუყაითობისაკენ მოუწოდებდა ხალხს.[16]

სიმონ ქვარიანი დიდებულ მომენტს უწოდებდა რუსეთის 1917 წლის თებერვლის პოლიტიკურ მოვლენას და რუსეთში დატრიალებულ ამბებს. იგი მიესალმებოდა პეტერბურგის მუშათა ორგანიზაციის სათავეში ქართველი კარლო ჩხეიძის მისვლას.

მართალია, ქვარიანი ამ დროს გამოქვეყნებულ სტატიაში რუსეთთან შეერთებას ქართველი ხალხის თავისუფალ ნებად აცხადებდა, რაც განსხვავდებოდა ალექსანდრე ასათიანის, გიორგი გვაზავას, რაფიელ ინგილოს და სხვა ეროვნულ-დემოკრატიული მოღვაწეების თვალსაზრისისაგან, რომლებიც ძალადობრივ მომენტად, ანექსიად, 1783 წლის ტრაქტატის დარღვევად თვლიდნენ 1801 წლის აქტს. მიუხედავად ამისა, ქვარიანი საუბრობდა იმ უხეშ, კოლონიური მართვის მეთოდებზე, რასაც რუსეთი იყენებდა საქართველოს წინააღმდეგ. „რუსეთის ძველმა რეჟიმმა დათრგუნა იგი უხეშათ და წაართვა ყველაფერი, რაც გააჩნდა, ე. ი. პოლიტიკური თავისუფლება, მიწა-მამული, ეკლესია, სკოლა, სასამართლო, დათრგუნა მისი ენა, კულტურა, შემოქმედება, თვითმოქმედება და ეკონომიკა, გააღატაკა იგი სულიერად და ნივთიერად და დაადო კისრად მონობის მძიმე უღელი, რომლის ქვეშ მთელი საუკუნეა მწარედ კვნესის ქართველი ერი".

ის საუბრობდა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერის შეკავშირებას. ფართო ტერიტორიული ავტონომიის მოპოვება წმინდა დემოკრატიული პარლამენტით მხოლოდ ასეთი შეკავშირების შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი. ქვარიანი საჭიროდ ცნობდა 1783 წლის ტრაქტატის პირობების აღდგენას, დემოკრატიული პარლამენტის მოწვევას.

„ამ დიდებულ ჟამს შევერთდეთ ქართველნი, — წერდა სიმონ ქვარიანი, — განურჩევლად სქესისა და წოდებისა. დღეს მაინც დავივიწყოთ პირადი ჩვენი მტრობა და ანგარიშები, საყვარელ სამშობლოს საკურთხეველზე შევწიროთ მსხვერპლად ჩვენი ვიწრო თავმოყვარეობა და წვრილმანი კინკლაო-

ბა!.. ძმებო, ამას მოითხოვს დღეს ჩვენგან ქართველი ერის უზენაესი ინტერესი...“[17]

სიმონ ქვარიანის წერილები ეძღვნება ქართული კულტურის განვითარების საკითხებს, თეატრს, ლიტერატურას, მეცნიერებას, სასკოლო ცხოვრებას, იგი ხშირად იყო მოთავე საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოებისა. 1916 წელს, ომის ქარცეცხლის მიუხედავად, ის თხოვდა საზოგადოებას ვალერიან გუნიას საიუბილეო საღამოს გამართვას, ამ პიროვნებას უდიდეს შეფასებას აძლევდა ქართული აზროვნების განვითარებაში, თეატრალურ ცხოვრებაში, შეცდომად მიიჩნევდა აქამდე მის ჯეროვან შეუფასებლობას.[18]

სიმონ ქვარიანი აქტიურად იყო ჩაბმული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში 1918-1921 წლებში. მის წერილებში ჩანს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება, პოლიტიკური მოვლენების სწორად შეფასების უნარი. როდესაც კითხულობ 1920 წელს დაწერილი პუბლიკაციების იმ ნაწილს, სადაც რუსეთი, ბოლშევიკების უზურპატორობა და სამხედრო რეჟიმის სისასტიკეა დახასიათებული, ძნელი არ იქნება წარმოვიდგინოთ მათი ავტორის ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მით უმეტეს, 30-იანი წლების ტერორისა და ჩეკისტური თვალთვალის დროს. ალბათ უჭირდათ და მუდმივი საფრთხის ლანდი ჰყავდათ ადევნებული ამ ადამიანებს, რომლებმაც ასე უშიშრად იწინასწარმეტყველეს ქვეყნის დაღუპვა ბოლშევიკური იდეოლოგიის საშინელებით. სიმონ ქვარიანმა ხომ ეს საშინელება თავად იწვნია მის ქვეყანაში, 1921 წლიდან 1946 წლამდე, როდესაც ვალმოხდილი და ჯანგაცლილი მებრძოლი მშობელ მიწას მიებარა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, თბილისი, 1955, გვ. 299.

2. სიმონ ქვარიანი, სამი გმირი, ქუთაისი, 1902 წელი.
3. ლავრენტი ჭიჭინაძე, შუქი სხივოსანთა, მოგონებები, თბილისი, 1974 წ.
4. სიმონ ქვარიანი, ქართველი ერის ისტორია, XVIII-XIX საუკუნენი, ქუთაისი, 1918,
5. სიმონ ქვარიანი, საქართველოს ისტორია, XVIII-XIX საუკუნე, ტ. I, ქუთაისი, 1918 წელი, გვ. 14.
6. სიმონ ქვარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.
7. საქართველოს ისტორია, ილია ანთელავას რედაქტორობით.
8. სიმონ ქვარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.
9. იქვე.
10. სიმონ ქვარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
11. სიმონ ქვარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.
12. სიმონ ქვარიანი, სალამი დიდი ხნით დაშორებულ ძმებს, გაზეთი „საქართველო“, 87, 1916 წ.
13. სიმონ ქვარიანი, ეკონომიური ცხოვრება, გაზეთი „საქართველო“, 70, 1916 წელი, 29 მარტი.
14. სიმონ ქვარიანი, სიძვირე და მასთან ბრძოლა, გაზეთი „საქართველო“, 14, 1916 წელი.
15. სიმონ ქვარიანი, სიძვირე და მასთან ბრძოლა, გაზეთი „საქართველო“, 148, 1920 წელი.
16. სიმონ ქვარიანი, სიძვირე და მასთან ბრძოლა, გაზეთი „საქართველო“, 153. 1920 წელი.
17. სიმონ ქვარიანი, დიდებული მომენტი და ქართველი ერი, გაზეთი „საქართველო“, 60, 1917 წელი.
18. სიმონ ქვარიანი, ვალერიან გუნია, გაზეთ „საქართველო“, 90, 1916 წელი.

Dodo Chumburidze

Historic Portraits of the Georgian Public Figures

Summary

The public and political view points and activities of the prominent Georgian thinkers of the end of 19th century and the 20es of 20th century, contributed to the process of Georgia's development greatly. On the crossroad of the tow centuries, in the age of great cataclysms and important changes for Georgian people, these public figures heavily suffered for lack of own national state and aggressor empire's attitude towards Georgian ethno-historical and spiritual culture. The prominent sons of the nation, even under the colonial regime, tried to establish informal state structures and revive those values that are so important for national identity and permanent development of nation.

One of these structures was The Society of Spreading Literacy Among Georgians. The aim of this society was to return the main national value-the mother tongue - to our nation.

Even the name of our country "Saqartvelo"(Georgia), forbidden by the authorities of the Russian empire, needed to be legalized. For reaching the aim patriots self-sacrificially fought in literature and on the stage of theater, at home and outside, were establishing national schools, press, cultural organizations, Georgian societies in the towns of Russia every where, even where Georgians were in tens.

At the end of 19th and the beginning of 20th centuries ambitions of the Russian empire and the ideology of the world revolutionary and cosmopolitan(atheistic) ideology clashed with Georgian nationalistic-political interests.

It turned out that the best part of the society, the intellectual élite who had been determining the destiny of the country, progress and development, national aim, became involved in national liberation movement.

The political paradigms are put forward by epochs and they work in the very epoch they are formed. At the beginning of 19th century the main aim of Georgia was to restore Georgian statehood, even as an autonomy within the Russian state, the autocephaly of the Church of Georgia and restore mother tongue on its rights.

Those public figures who believed The Orthodox faith was a manifestation of national identity without a moment's hesitation declared Georgian Muslims true Georgians. Though Catholic Christian Petre Mirianashvili, who translated The Koran in Georgian, believed that the main national feature of Georgians is religious tolerance, dedicated his whole life to the fight of restoring and reviving Georgian statehood and preserving spiritual values of Georgian nation. He believed that despite of religious diversity Georgian people were able to consolidate. In the opinion of Georgian public figures genetically homogeneous Georgians could easily overcome the religious diversity. Especially as there was a great experience of natural involving foreigners in the affairs of national and state life.

The beginning of 20th century is the period of permanent discussions on national and social issues. Objective evaluation of the past and looking for the future perspective can be well seen in the works of those days Georgian public figures and intellectual élite who strived for rescuing Georgia from overwhelming maelstrom of revolutions and wars and preserved the country for future generations. The country which was preserved and carried out by our ancestors through great difficulties and stormy history.

The prominent public figures , the book deals with, were

calling society for spiritual catharsis, personal responsibility etc and were bringing up their fellow men with ideas and moral examples of their own personal life and deeds.

Exact concept of patriotism and nationalism does not exist. But it always was not only theory but feeling and action crossing the self-survival impulse of the Georgian nation. Some times awakening of the society needed a coarse word. The generations of public figures who had chosen Ilia Chavchavadze's way were actively fighting against indifference. They aimed to take care and be responsible of the development of country. Though they were discussing and arguing with each other but had never overstepped the main road of Ilia's united action theory no matter where they were on their home land or abroad. Georgian nationalism never opposed liberalism, democracy, cosmopolitism. On the contrary, in a good sense it always ment them. Isolation and narrow fundamentalism was alien to Georgian mentality. It can be well viewed not only in the centuries old Georgian historical and literary traditions but in the constitution worked out by Giorgi Gvazava and the members of his party or the figures having different ideological view point. Liberalism, cosmopolitism, humanism together with national feelings, love of home land, seeking for the best future can be viewed in the works of Kita Abashidze, Rapiel Ingilo, Leli Japaridze, Grigol Veshapeli, Alexander Asatiani, David Kasradze etc.

The portraits of the public figures discussed in the book are specially marked in the historical gallery of 20th century Georgia. Their thought had various ideological fundaments but the terminal aim of each was a better future of Georgia. To feel the spirit of historical processes without the mentioned thought is impossible because as St. Augustine of Hippo says: this is maid of flames of burnt spirits. The discussed portraits are burnt sacrifices on the alter of the mother land.

სარჩევი

შესავალი 3

კირილე ლორთქიფანიძე (1839-1919) 13

დიმიტრი ნაზარიშვილი (1854-1927) 52

კიტა აბაშიძე (1870-1917)..... 79

გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) (1855-1917 წწ.) 114

ვასილ წერეთელი (1862-1937)..... 154

რაფიელ ინგილო (1886-1966)..... 177

ზაქარია ედილაშვილი (1873-1956)..... 209

ალექსანდრე ასათიანი (1889-1952)..... 232

გიორგი გვაზავა (1869-1941)..... 255

გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე) (1891-1926)..... 293

ლელი ჯაფარიძე (1895-1934)..... 318

ივანე გომართელი (1876-1938) 340

დავით კასრაძე (1885-1965)..... 390

პეტრე მირიანაშვილი (1860-1940)..... 412

სიმონ ქვარიანი (1868-1946)..... 454

Historic Portraits of the Georgian Public Figures (Summary)..... 479